ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ირაკლი ფაღავა

# სირმა თეთრი

## ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე

თბილისი
2023

ნაშრომი ეძღვნება უნიკალურ ქართულ ვერცხლის საფასეს — *სირმა თეთრს*, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოში წარმოიშვა და, XVIII საუკუნის ბოლო მესამედში, პრაქტიკულად, უწყვეტად იჭრებოდა, — რუსეთის იმპერიის მიერ ამ ქართული სახელმწიფოს ანექსიამდე. დეტალურად არის განხილული სირმა ვერცხლის შესწავლის ისტორია; მისი გაჩენის ნუმიზმატიკური კონტექსტი; სამთამადნო წარმოება ქართლ-კახეთის სამეფოში; ირაკლი II-ის ურთიერთობა ქარიმ-ხან ზენდთან: სამონეტო რეფორმა, რომლის პროცესშიც იშვა კიდევაც ეს ქართული საფასე; მისი ტიპოლოგიური თავისებურებები და ემისიის ქრონოლოგია; თბილისის ზარაფხანის მართვისა და მოწყობის საკითხები; სირმა მონეტების მინაბაძები; მიმოქცევა და ეკონომიკური როლი; გავლენა საქართველოს შემდგომ ნუმიზმატიკურ ისტორიაზე. შეფასებულია ამ ვერცხლის მონეტების როლი საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიაში.

**რედაქტორი:** გიორგი სანიკიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით — გრანტი YS-21-2879. *ქართლ-კახეთის სამეფოს (1744-1801) ფულადი პოლიტიკა და ისტორია.*

© ირაკლი ფაღავა, 2023

ISBN 978-9941-8-5504-7
DOI: 10.6084/m9.figshare.24813885

*სოლომონ II-ს,*
*რომელმაც იბრძოლა მაინც*

*და*

*თეას*

ასეთს თეთრსა სჭრიდენ ჩვენშია,
რომ ყოველს ევროპიისა და აზიის ვეცხლზედ
ჩვენი ვეცხლი უფრო წმინდა იყო

*თეიმურაზ ბატონიშვილი, 1834 წელი*[1]

ქ. ავიღე მე, ლელუას შვილმა გაბრიელამა, შენ ასლანას შვილი
ავაქასგან,
ორი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხ დანგიანი
სირმა აბაზი [...

კიდევ მე, ლელუაშვილმა გაბრიელამ, ძმამა ჩემა
გიუამ, ავიღევით შენ, ასლანაშვილი ავაქასაგან, ერთი
თუმანი ახალი ქალაქის ზარაფხანის
სირმა თეთრი [...

*ქორონიკონს უო [1782 წლის] მარიამობის თვეს მიცემული თამასუქი*[2]

1 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესად-მი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა) (თბილისი: მეცნიერება, 1964), 42.

2 ნიკო ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალე-ბი საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)* (თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომ-ცემლობა, 1953), 57-58.

# სარჩევი


წინათქმა ........ 9
შესავალი ........ 15
თავი I. შესწავლის ისტორია ........ 23
თავი II. ნუმიზმატიკური კონტექსტი ........ 35
თავი III. ურთიერთობა ქარიმ-ხან ზენდთან ........ 47
თავი IV. სამონეტო ლითონის მოპოვება ........ 73
თავი V. ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმა ........ 111
თავი VI. ტიპოლოგიური კვლევა ........ 141
თავი VII. ემისიის ქრონოლოგია ........ 155
თავი VIII. ზარაფხანა ........ 173
თავი IX. მიმოქცევა და ეკონომიკური როლი ........ 223
თავი X. მინაბაძები ........ 271
თავი XI. ისტორიული როლი ........ 291
Summary ........ 299
ბიბლიოგრაფია ........ 301
სურათების სია ........ 315
ცხრილების სია ........ 319
დიაგრამების სია ........ 319
სქემების სია ........ 320
რუკების სია ........ 320
საძიებლები ........ 321
    პირთა, დინასტიათა და (სუბ)ეთნონიმთა ........ 321
    გეოგრაფიულ სახელთა ........ 338
    ნუმიზმატიკურ და ეკონომიკურ ტერმინთა, ობიექტთა,
    და საზომთა ........ 353
დანართი I. სირმა აბაზი აღმოჩენილი აფხაზეთში ........ 379
დამატებითი ბიბლიოგრაფია ........ 379
დანართი II. განჯის სახანოს ახალი სამონეტო ტიპი ........ 381

# წინათქმა

ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმოხვეჭილი მონარქის, ირაკლი[3] II-ის შვილიშვილი და იმერეთის უკანასკნელი მეფე, სოლომონ II 1772 წელს დაიბადა. 2022 წელს 250 წელი შესრულდა. იუბილესთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აჟიოტაჟი ნამდვილად არ იგრძნობოდა.[4] ამასობაში კი, მცირედი დაგვიანებით, გამომცემლობაში გადასაცემად ჩვენი მონოგრაფიაც გამზადდა. წიგნი ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტებს შეეხება, მაგრამ, გადავწყვიტეთ, იმერეთის მეფისათვის მიგვეძღვნა. იუბილესთან გამოცემის მეტ-ნაკლები თანხვედრის გამო არა.

XVIII საუკუნის II ნახევარში ქართული სახელმწიფოებრიობის ფლაგმანი ნამდვილად ქართლ-კახეთის სამეფო იყო: გეოპოლიტიკური წონა, ყველაზე ცოტა, რეგიონის მასშტაბით მაინც;[5] სამხედრო პოტენციალი; კულტურული მიღწევები; ეკონომიკური წინსვლა; ბოლოს და ბოლოს, (— ნუმიზმატის გულს ახარებს, —) საკუთარი ფულად-მონეტარული პოლიტიკის გატარება: იმდროინდელი ქართული სამეფო-სამთავროებიდან (უკვე დეეთნიზებულ ან/და მტრის მიერ დაპყრობილ მიწებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ეს ყველაფერი სწორედ ქართლ-კახეთის სამეფოს ახასიათებდა. სწორედ ქართლ-კახეთის სამეფოს, და, დავაკონკრეტებთ, მის მონარქს, შეეძლო, *ეცადა* მაინც, საქართველო გაეერთიანებინა, ჯერ კიდევ 1790 წელს.[6] მავანი იმას მაინც ვერ იტყოდა,

---

3 ქართლ-კახეთის ცნობილი მეფე თავის თავს ზოგჯერ *ირაკლის* (და არა *ერეკლეს*) უწოდებდა; მაგალითად, საკუთარი სახელით (დაქარაგმების გარეშე) გამოშვებულ სპილენძის ფულზე. Goga Gabashvili, “Rendering the Name of Heraclius II (Numismatic Evidence)”, *Journal of the Oriental Numismatic Society,* 214 (2013), 18-20. თუმცა, თეიმურაზ II-თან ერთად გამოშვებულ სამონეტო ტიპზე მამა-შვილის სახელები (საკმაოდ უჩვეულოდ) დაქარაგმებულია, როგორც „თე” და „ერ”. Евгений Пахомов, *Монеты Грузии* (Тбилиси: Мецниереба, 1970), 258. იხ. ასევე სურ. V.2. ნუმიზმატიკური მასალა ადასტურებს, რომ მისაღები იყო სახელის ორივე ფორმა, როგორც *ირაკლი*, ასევე *ერეკლე*.

4 სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ 2019 წელს *ქართველი მეფეების* სერიაში გამოცემული, იმერეთის მონარქებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია. სულხან კუპრაშვილი, *სოლომონ I და სოლომონ II* (თბილისი: პალიტრა L, 2019).

5 სხვათა შორის, ქართლ-კახეთის სამეფომ საბედისწერო როლი შეასრულა სრულიად სამხრეთ კავკასიის ისტორიაში, როდესაც ირაკლი II-მ რუსეთის იმპერიას სამხრეთ კავკასიის გულში უმოკლესი გზა გაუხსნა.

6 პლატონ იოსელიანი, *ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1978), 15-18; მიხეილ რეხვიაშვილი, *იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.)* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989), 326-394; მამია დუმბაძე, „საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის ცდები”, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე.* (ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე) (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 719-731; შეად. სარგის კაკაბაძე, *ქართველი ხალხის ისტორია: 1783-1921* (თბილისი: ნეკერი, 1997), 30-31.

რომ საქართველო თავად გააერთიანა — საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში... და მომხდარზე უარესად საქმე მაინც ვერ დატრიალდებოდა; —

ვაგლახ, ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორია ისტორიული ქართული სახელმწიფოებრიობის გედის სიმღერა აღმოჩნდა. 1801 წელს, ირაკლი II-ის გარდაცვალებიდან სულ რაღაც 3 წელიწადში, მისი სამეფო რუსეთის იმპერიამ შთანთქა. ქართლ-კახეთის სამეფოს კი სხვა ქართული სამეფო-სამთავროებიც მიჰყვა. წარსულში დავბრუნდეთ. თეიმურაზ II 1762 წელს გარდაიცვალა, რუსეთის იმპერიაში, მორიგი დიპლომატიური მანევრის განხორციელებისას. ირაკლი II ქართლის ტახტზედაც ავიდა — ქართლ-კახეთი უკვე de jure გაერთიანდა. ბრიტანელი ქართველოლოგის, უილიამ ალლენის (ცოტა არ იყოს, უსამართლო) თქმით, ქართლ-კახეთის სამეფო [1762 წლიდან — ი.ფ.] *"ერთი კაცის შოუს"* წარმოადგენდა,[7] და ეს კაცი ირაკლი II იყო. თუ ასეა, უნდა ვაღიაროთ, რომ მთავარ პერსონაჟს მარცხი მოუვიდა, და *შოუ* ეროვნულ ტრაგედიაში გადაიზარდა:[8] საქართველოს ფარგლებს გარეთაც სახელოვანმა,[9] ირაკლი II-მ ქართველებში ნათელი ხსოვნა დატოვა[10] (ეჭვიც არ გვეპარება, ორსაუკუნოვანი რუსულ-საბჭოთა ცენზურისა და იდეოლოგიური წნეხის ხელშეწყობითაც[11]). თუმცა, აჯობებს, ობიექტურად, და, რაც მთავარია, შედეგზე-ორიენ-

7 'a "one-man show"'. William Allen, *A History of the Georgian People: From the Beginning down to the Russian Conquest in the Nineteenth Century* (London: Routledge & Kegan Paul, 1932), 196.

8 Irakli Paghava, "The Indian Summer of Georgian Statehood: Political and Economic Outlines of Kartl-Kakheti History, 1744-1801", *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society 197* (2008), 2.

9 გადმოცემით, ფრიდრიხ II დიდს უთქვამს: "Moi en Europe, et en Asie l'invincible Hercule". Marie-Félicité Brosset, *Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au XIX Siècle. IIe Partie: Histoire Moderne* (St.-Pétersbourg: De l'Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences, 1857), 266, note 2; Allen, *A History of the Georgian People: From the Beginning down to the Russian Conquest in the Nineteenth Century*, 201.

10 შესაძლოა, გამორჩეულად, მის მშობლიურ კუთხეში, კახეთში; საქართველოს სწორედ იმ მხარეში, სადაც კახელები 1812 წელს *პატარა კახის* ამიერკავკასიაში შემოპატიჟებულ რუსებს აუჯანყდნენ.

11 ამ მხრივ სამაგალითოა ერთი 1983 წელს გამოცემული, თავისთავად ძალიან საინტერესო მონოგრაფიის შემდეგი პასაჟი: 'უეჭვოა, ფეოდალური ქართული სახელმწიფოებრიობა დაეცა არა მარტო ცარიზმის ხელყოფისაგან, არამედ პირველ რიგში ქვეყნის შინაგანი მძაფრი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის მიზეზით. მმართველმა წრეებმა ვერ შეძლეს შეეჩერებინათ ამ საერთო კრიზისის შეუქცევადი ბუნების განვითარება. ამის მიუხედავად, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის მთელ სიგრძეზე, ცალკეული, მოკრძალებული პროტესტის გარდა, არ განელებულა „პატარა კახისადმი" საერთო-სახალხო პატივისცემა. ამის მიზეზი ცნობილია: ერეკლე II-მ ხმლით დაიცვა საკუთარი სამეფო და ერის წინაშე მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვრა ისტორიული პერსპექტივა — დიდი მოკავშირის მოძებნით გადაჭრა „ბედი ქართლისა".' ლოვარდ ტუხაშვილი, *რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი)* (თბილისი: მეცნიერება, 1983), 4.

ამ ლამაზ ფრაზებში შინაგანი წინააღმდეგობრიობაა ჩაქსოვილი: თუკი ხმლით

ტირებულად ვიმსჯელოთ — ზეობა კრახით დასრულდა: 1762 წელს, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების დროისთვის, მამა-შვილის შექმნილი სახელმწიფო ფეხზე მყარად იდგა და, რეგიონის მასშტაბით მაინც, ჰეგემონიის პრეტენზიაც კი ჰქონდა. 36 წელიწადში, გიორგი XII-ს მემკვიდრეობით ერგო სამოქალაქო ომისა და დაშლის პირას მისული სამეფო, ქმედითი საკუთარი ჯარისა და სანდო მოკავშირეების გარეშე, სამაგიეროდ, განახევრებული მოსახლეობით, აკლებული დედაქალაქით და განადგურებული მრეწველობით, გამწარებული და კარს მომდგარი მტრებით. უნიათობის, ძმათაშორის შუღლისა და სახელმწიფოს მოშლის ორი-სამი წელიც, და კავკასიონს გამოღმა ირაკლი II-ის მიერვე შემოყვანილი რუსეთის იმპერია ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიას ახდენს. *პატარა კახის* პატრიოტიზმსა[12] და კეთილ ზრახვებში ეჭვს ვერავინ შეიტანს, მაგრამ, ძალაუნებურად, დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანი კი დაფიქრდება — რამდენად შედეგიანი *მენეჯერი* იყო ეს გამოჩენილი ქართველი მონარქი, რამდენად ქმედით პოლიტიკას ატარებდა; საერთო ჯამში, საქართველოს ისტორიაში რა როლი ითამაშა.

*წაგება და მოგება ძმები არიანო.* სხვა ამბავია, რომ ზოგიერთი წაგება შეიძლება საბედისწეროც აღმოჩნდეს. (რა გასაკვირია,) მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე მზრუნველი და უპრინციპო, თუნდაც *ერთმორწმუნე* გარე ძალის მიმართ ქართული მმართველი ელიტის ბრმა, მიამიტური ნდობა — მიუხედა-

---

„დაიცვა", „დიდი მოკავშირე" რაღაში დასჭირდა — *ქართლ-კახეთის ბედის გადასაჭრელად*? ვაი რომ, კი *იცავდა*, — შეძლებისდაგვარად, და გმირულადაც, — მაგრამ, *ვერ დაიცვა* (ლეკიანობა, ომარ-ხანის 1785 წლის შემოსევა, კრწანისის ომი, და სხვა და სხვა); ხოლო „ისტორიული პერსპექტივა" კი ნამდვილად განსაზღვრა: „ბედი ქართლისა" „დიდმა მოკავშირემ" სათავისოდ გადაჭრა — ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობითა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით, დეეთნიზაციითა და ეთნიკური წმენდით (მაგალითად, ჯავახეთში).

საზოგადოდ კი, საკითხავია, ისტორიული პერსპექტივა ასე რატომ უნდა განსაზღვრულიყო — „ბედი ქართლისა" მაინცადამაინც ვილაც „დიდი მოკავშირის" ხარჯზე რატომ უნდა გადაჭრილიყო? რასაკვირველია, ქართლ-კახეთის დაცემა მნიშვნელოვანწილად შინაგანმა კრიზისმა განაპირობა. თუმცა, დასასმელია (და გადასაჭრელია, ისტორიული კვლევის მეთოდით, თუკი მოხერხდება,) საკითხი— ასეთი შეუქცევადი და გარდუვალი იყო კი ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისი?

საზოგადოდ, რთული გასარჩევია, საბჭოთა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებშიც კი, რა წარმოადგენს ავტორის ჭეშმარიტ სამეცნიერო პოზიციას, და რა — უნებლიე, იქნებ ქვეცნობიერ, თუ, სულაც, ნებით დათმობას ცენზურისადმი თუ გაბატონებული საზოგადოებრივი პარადიგმისადმი. ასე, იმავე ავტორს იმავე ნაშრომში სხვაგან გაეპარა (თუ, გააპარა?) ესეთი პათოგნომური სიტყვებიც: „ერეკლეს როგორ ჩამოექცა თავზე ქართული სახელმწიფო". იქვე, 96.

ლოვარდ ტუხაშვილი იმასაც კი არ ივიწყებს (თუმცა, ავტორებისა და ლიტერატურის მითითებისგან თავს იკავებს), რომ „ XIX საუკუნის მოღვაწეების თვალში სახელოვანი ერეკლე II "სახელ-გატეხილია". საქმე ის არის, რომ XIX საუკუნის ქართველი ნაციონალური ბურჟუაზიის აზრით, ამ მეფის [ირაკლი II-ის — ი.ფ.] საგარეო პოლიტიკას მთავარ შედეგად ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემა მოჰყვა". იქვე, 115.

12 თანამედროვე გაგებით, და არა მხოლოდ საკუთარი სამფლობელოების კეთილდღეობაზე დარდის მნიშვნელობით.

ვად ტოტლებენის ქმედებებისა, მიუხედავად 1795 წლის ღალატისა,[13] მიუხედავად სხვათა და სხვათა; საკუთარი (სამხედრო) პოტენციალის უგულებელყოფა და სხვის იმედზე ყოფნა; საგარეოპოლიტიკური სიტლანქე; საზოგადოდ, ხალხის მორალური ძალების გამოფიტვა (?)[14] და დეგრადაცია;[15] თუნდაც, საგარეოპოლიტიკური კონიუნქტურის გაუარესება, შინაგანი სიმტკიცისა და მედეგობის ნაკლებობის პირობებში, — ამ ყველაფერს, ვფიქრობთ, კანონზომიერად, ეროვნული ფიასკო მოჰყვა: ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფო 1801 წელს აღესრულა. მაინც, თვალში საცემია, და გულს სტკენს, — თავს უფლებას მივცემთ, წინათქმაში გადავუხვიოთ აკადემიურ ინდიფერენტობა-მიუკერძოებლობას, — თუ როგორ უბრძოლველად, საკუთარი ხელითა და ენთუზიაზმითაც, გადავულოცეთ *საკუთარი — გადამთიელს.*

სოლომონ II-მ კი იბრძოლა. 1801 წელს გამოფხიზლდა. საკუთარსაც იცავდა; (თავისებურად) ქართლ-კახეთზედაც ზრუნავდა. ჩვენამდე იკვლიეს[16] და არ ჩავუღრმავდებით — მოვლენათა თანმიმდევრობას, ძალთა თანაფარდობასა და გამარჯვების ალბათობას. მეფე დამარცხდა, იმერეთი აოხრდა. მაგრამ, ამ ეპოქის საქართველოს ისტორიას ერთი მონარქი მაინც შერჩა, რომელმაც *სცადა* მაინც, *უცხოსაგან საკუთარი* იარაღით დაეცვა. მავანი იმას მაინც ვეღარ იტყვის, რომ სრულიად საქართველო რუსეთის იმპერიას *ნებაყოფლობით შეუერთდა.*

ისტორიაა. ქართველმა ერმა დღევანდელ საქართველოს უნდა მიხედოს. ჩვენ კი, ჩვენ ნაშრომს — სოლომონ II-ს ვუძღვნით. მებრძოლი ქართველი მეფის ხსოვნა იყოს.

მკითხველი, ასევე, შეამჩნევს, რომ სირმა ვერცხლისადმი მიძღვნილ მრავალ ნაშრომში, პირველ რიგში, ჩვენს მიერვე გამოქვეყნებულში, ბუნებრივია, საუბარია „ქართლ-კახეთის სამეფოზე", როგორც ამ თავისებური ვერცხლის მონეტების ემიტენტზე. მიუხედავად ამისა, წინამდებარე მონოგრაფიის ქვესათაურად გამოვიტანეთ „ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე", და არა *ქართლ-კახეთის სამეფოს (ეროვნული) ვერცხლის საფასე.* გვინდოდა ხაზი გაგვესვა იმ გარემოებისთვის, რომ ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამე-

13 სად იყვნენ გეორგიევსკის ტრაქტატით აღთქმული რუსული ბატალიონები, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფოში ალა მაჰმად-ხანი შემოდიოდა?

14 კაკაბაძე, *ქართველი ხალხის ისტორია: 1783-1921*, 34-36.

15 Allen, *A History of the Georgian People: From the Beginning down to the Russian Conquest in the Nineteenth Century*, 199-200.

16 რეკომენდაციას გავუწევთ, როგორც შესავალ ლიტერატურას, მაგალითად, მიხეილ რეხვიაშვილის ნაშრომს, რომელიც 1989 წელს დაისტამბა — დამოუკიდებლობის აღდგენა ახლოვდებოდა და ავტორმაც მეტის თქმა შესძლო, ვიდრე ზოგმა წინამორბედმა (მართალია, სამეცნიერო აპარატი შეიძლება უფრო დეტალურიც ყოფილიყო). რეხვიაშვილი, *იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.)*, 326-394. საყურადღებოა უფრო ადრეული შრომებიც. შოთა ბურჯანაძე, „იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ მეორის დროს (1794-1810 წწ.)", *მაცნე*, 3 (1967), 82-102; შოთა ბურჯანაძე, „იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ მეორის დროს (1794-1810 წწ.)", *მაცნე*, 4 (1967), 191-209; მიხეილ გონიკაშვილი, *იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე* (თბილისი: მეცნიერება, 1979), 76-210.

ფოს ისტორია, და მისი ამსახველი არტეფაქტები სრულიად ქართველი ერის საზიარო კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას წარმოადგენს (არ უნდა დავემსგავსოთ რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციას, რომელიც *საქართველოს* მხოლოდ ქართლ-კახეთს ან, სულაც, ქართლს უწოდებდა). რასაკვირველია, არანაირად არ ვაკნინებთ ირაკლი II-ის როლსა და ღვაწლს, — ამ უნიკალური და, როგორც დავინახავთ, *წარმატებული* ვერცხლის საფასის გამოშვების საქმეში; პირიქით, სირმა თეთრის შექმნა და წარმატება, უდავოდ, ირაკლი II-ისა და მისი ადმინისტრაციის დამსახურებაა. მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოში ქართლ-კახეთის სამეფოს სრულიად გამორჩეული გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამ ქართული სახელმწიფოსა და მის მესვეურთა ნებისმიერი მარცხი თუ წარმატება, საზოგადოდ, ქართველი ერისა და ქართული საქმის მარცხსა თუ წარმატებას ნიშნავდა. მარცხზე ზემოთ ვისაუბრეთ, სირმა თეთრი კი წარმატება იყო.

1763 წელია. მარცხამდე ჯერ შორია. ირაკლი II-მ მიაღწია კომპრომისს ირანის ახალ ბატონთან, ქარიმ-ხან ზენდთან; მოჩვენებითი მორჩილების სანაცვლოდ, *ვაქილმა*,[17] ამ მშვიდობისმოყვარე რეალისტმა, თითქოს, არეზის ჩრდილოეთით ქართლ-კახეთის სამეფოს დომინირება სცნო, და 1779 წელს გარდაცვალებამდე მდინარე არ გადაუკვეთავს.[18] იწყება სირმა თეთრის ეპოქა...

17 ქარიმ-ხანმა ვერ გაბედა თავი შაჰად გამოეცხადებინა, და *ხალხის დამცველის* სახელის მიღებით შემოიფარგლა.

18 მამია დუმბაძე, „ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII ს. 60-იან წლებში", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე.* (ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე) (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 630-632.

# შესავალი

ქართველი ერისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიაში გამორჩეული ადგილი 1744-1801 წლებში არსებულ ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს უკავია. ამ de facto გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს ისტორიას ვითვლით 1744 წლიდან, როდესაც თანხმობაში მყოფი მამა-შვილი, თეიმურაზ II და ირაკლი II, შესაბამისად ქართლისა და კახეთის მეფეები გახდნენ (და არა 1762 წლიდან, როდესაც თეიმურაზი გარდაიცვალა და ირაკლი ორთავე სამეფოს სათავეში მოექცა, ანუ, ქართლისა და კახეთის გაერთიანება de jure გაფორმდა).

ყველა დანარჩენ ქართულ სამეფო-სამთავროსთან შედარებით, ქართლ-კახეთის სამეფო აშკარად, თავისი პოლიტიკურ-სამხედრო, ეკონომიკური თუ კულტურული პოტენციალით გამოირჩეოდა. სწორედ ეს ქართული სახელმწიფო შეიძლება გამხდარიყო ეროვნული აღორძინების მესაძირკვლე.

თუმცა, მოვლენები სხვანაირად წარიმართა — 1801 წელს რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია განახორციელა.

ამგვარად, მივიღეთ ქრონოლოგიურად საკმაოდ მკაფიოდ მოხაზული საწყისისა და სასრულის მქონე ქართული სახელმწიფო წარმონაქმნი, რომელიც საქართველოს ისტორიული ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებდა, დღევანდელი დედაქალაქის ჩათვლით, და საკმაოდ ინტენსიური და თავისებური განვითარებით გამოირჩეოდა. ქართლ-კახეთის სამეფო უფრო *ახალი დროის*[19] სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც ანალოგი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არ ჰქონია. ბუნებრივია, ახლად გაერთიანებული ქართლისა და კახეთის მმართველი ელიტა მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ, ამჟამად, ეროვნული დამოუკიდებლობის (თუნდაც, არსებითი დანაკარგებით) აღდგენის შემდგომ, ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის კვლევას ახალი ბიძგი მიეცა.

ვფიქრობთ, ბაგრატიონთა კახეთის შტოს მიერ შექმნილი სახელმწიფოს ცხოველქმედების ყველა ასპექტი თანაბრად სიღრმისეულად არ გამოკვლეულა. ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკურ ისტორიას სათანადო ყურადღება მიექცა — ბოლოდროინდელი ნაშრომებიდან განსაკუთრებული დაფასების ღირსია აპოლონ თაბუაშვილის *ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის* (2010).[20]

ეპოქის ნუმიზმატიკური მონაცემების წყაროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიული პოტენციალი კი ამოწურული ჯერ არ არის. გარკვეულწილად მაინც, უგულებელყოფილი თუ არა, ჩრდილში მოქცეული ნუმიზმატიკური მასალა ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის შესასწავლად ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვან (და თავისებურ) პირველწყაროდ გვესახება. მართალია,

19 და არა გვიანფეოდალურ.

20 აპოლონ თაბუაშვილი, *ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის* (თბილისი: უნივერსალი, 2010).

ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკური ისტორია აქამდეც და არაერთხელ გამხდარა მკვლევართა ყურადღების ობიექტი,[21] მაგრამ, კვლევა დაიყვანებოდა ცალკეული საკითხების თუნდაც მრავალრიცხოვანი სტატიების ფარგლებში განხილვამდე; დღემდე არ შექმნილა ნაშრომი, რომელშიც ეს თემა მონოგრაფიულად იქნებოდა გამოკვლეული.[22] არადა, ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკური თუ ფულადი წარსულის კომპლექსური ანალიზი დაგვეხმარებოდა ამ სახელმწიფოს ისტორიის არა მარტო ეკონომიკური, არამედ, ასევე, პოლიტიკური და კულტუროლოგიური ასპექტების კვლევაშიც.

ვგეგმავთ სწორედ ამგვარი ნაშრომის შექმნას, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. თუმცა, წინასწარი მოკვლევის ფარგლებში ცხადი გახდა, რომ (გვიანდელი) ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი პოლიტიკისა და ცხოვრების ერთგვარ ქვაკუთხედს წარმოადგენდა *სირმა თეთრი* — უნიკალური ტიპის, ხალასი ვერცხლის მონეტები, რომლებიც ირაკლი II-ის მიერ ჩატარებული სამონეტო რეფორმის წიაღში ჩაისახა. ამ ეროვნული ქართული საფასის სიღრმისეულად შესწავლის გარეშე, ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი ისტორიის კვლევა არასრულფასოვანი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე **მიზნად დავისახეთ, ქართული სირმა თეთრი კომპლექსურად შეგვესწავლა**; წინამდებარე მონოგრაფიას სწორედ ეს დანიშნულება აქვს.

**საკვლევი მასალა**, სამწუხაროდ, შედარებით შეზღუდულია.

ოფიციალური დოკუმენტური წყაროები ქართლ-კახეთის სამეფოში მონეტის გამოშვებისა და მიმოქცევის თაობაზე საკმაოდ მწირია;[23] ფაქტობრივად, სულ რამდენიმე საბუთამდე დაიყვანება (მათ ქვემოთ გავეცნობით და მოვიშველიებთ). თავად ქართლ-კახეთის სამეფოს დოკუმენტაციის მნიშვნელოვანი და, ალბათ, უმეტესი ნაწილიც, საფიქრებელია, 1795 წლის შემოსევას შეეწირა; ამ ქართული სახელმწიფოს ნუმიზმატიკური ისტორიის მრავალ ასპექტზე უკვე რუსეთის იმპერიის მიერ მისი ანექსიის შემდგომი საბუთებით უნდა ვიმსჯელოთ. ახალდამორჩილებული ტერიტორიის ოპტიმალურად მართვისა და ექსპლუატაციის მიზნით, ქართლ-კახეთის სამეფოს მემკვიდრეობას რუსული ბიუროკრატია საკმაოდ სკრუპულოზურად სწავლობდა და აღრიცხავდა. 1801 წლის შემდგომ, უპირველეს ყოვლისა კი, XIX საუკუნის I ათწლეულში შედგენილ ამ რუსულ საბუთებში ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის სხვადასხვა ასპექტზე არაერთ საინტერესო ცნობას ვაწყდებით; ანდა, მოყვანილი ინფორმაცია საკმაო სარწმუნოობით შეიძლება წინარე, დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის პერიოდზედაც იყოს რეტროგრადულად ექსტრაპოლირებული.[24] საბე-

21 სირმა თეთრის ფენომენისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა იხილეთ ამავე ნაშრომის I თავში.

22 ამგვარი ნაშრომის არარსებობა უკვე აღინიშნა. გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი* (თბილისი: მერიდიანი, 2011), 138-139.

23 ძალიან ცოტა რამ გაგვაჩნია წინარე ეპოქებისთვისაც. სამაგიეროდ, უხვად არის წარმოდგენილი საბუთები, რომელიც ეხება რუსული ადმინისტრაციის მიერ მონეტის წარმოებას თბილისის ზარაფხანაში 1804-1834 წლებში, და ფულის მიმოქცევას რუსეთის იმპერიის ახლად ინკორპორირებულ ტერიტორიებზე. მათ, საჭიროებისამებრ, გზადაგზა, ქვემოთ მოვიშველიებთ.

24 Cf. ირაკლი ფაღავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო და საფასის წარ-

დნიეროდ, არცთუ მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი ქართლ-კახეთის სამეფოში მოღვაწე კერძო პირთა მიერ შედგენილი ნასყიდობის წიგნები, თამასუქები და სხვა;[25] ეს მასალა საკმაოდ საინტერესოა და აუცილებლად არის გასათვალისწინებელი.

საკვლევად დამატებით მასალას გვაწვდის თანადროულ პირთა დანატოვარი ნარატიული თუ ნახევრად-დოკუმენტური მასალა. ასეთია, მაგალითად, რუსული არმიის ოფიცრის, კაპიტან იაზიკოვის მიერ შედგენილი (აღმოსავლეთ) საქართველოს აღწერა;[26] გერმანელი მოგზაურისა და რუსეთის ხელისუფლების მსტოვრის,[27] იოჰან ანტონ გიულდენშტედტის თხზულების ძალიან საყურადღებო ფრაგმენტი, სადაც საუბარია ქართლ-კახეთის (და იმერეთის) ფულად ემისიებსა და ბაზარზე;[28] თეიმურაზ ბატონიშვილის მემუარი ქართლ-კახეთის სამეფოს ფულად სისტემასა და მეტროლოგიაზე.[29]

რასაკვირველია, ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი პოლიტიკისა და ისტორიის საკვლევად უძვირფასეს და უმდიდრეს პირველწყაროს თავად ნუმიზმატიკური მასალა წარმოადგენს. ვგულისხმობთ არა მარტო ქართლ-კახეთში ემიტირებული მონეტების ტიპოლოგიას (რომელიც აქამდეც საკმაოდ კარგად იყო ცნობილი), არამედ, პირველ რიგში, მონაცემებს ადგილობრივი თუ იმპორტირებული მონეტების მიმოქცევის შესახებ (2021 წელს დავიწყეთ ამ მონაცემების *სისტემური* კვლევა[30]).

საბედნიეროდ, საქართველოსა და რეგიონს ჰყავდა თავდადებული მეცნიერი ნუმიზმატი, — ევგენი პახომოვი, რომელიც თავს არ იშურებდა და ახალ-ახალ სამონეტო აღმოჩენებს სათანადოდ აღრიცხავდა და გამოსცემდა

---

მოების ზოგიერთი საკითხი ქართული და რუსული საბუთების მიხედვით” , *Scientia. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. მოხსნებათა მოკლე შინაარსები. 24-25 ნოემბერი, 2022.* საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი და რედაქტორი მანუჩარ გუნცაძე (თბილისი, საქართველო, 2022), 153-154.

25 მაგალითად, ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 44-160.

26 Александр Цагарели (под редакцией), *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Том 1, с 1768 по 1774 год. С картой Закавказья 1771 года* (С.-Петербург: Типография В. Киршбаума, 1891), 187.

27 იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა) (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962), 026.

28 იქვე, 232-237.

29 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 38-50.

30 Irakli Paghava, “Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K’akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)”, *Катедра Universum: Електронний Збірник науково-популярних праць з історії, археології, информаційної, архівної та музейної справи*. Випуск 3 (2021), 13-15.

ხოლმე[31] (რასაკვირველია, მის საქმიანობას აადვილებდა საბჭოთა კავშირისთვის დამახასიათებელი მკაცრი რეპრესიული რეჟიმი, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობა მეტწილად ვერ ბედავდა ნაპოვნი ცალკეული მონეტებისა თუ მთლიანი განძების გადამალვას). სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ახალი აღმოჩენების რეგისტრირების სისტემა, სამწუხაროდ, მნიშვნელოვანწილად მოიშალა. თუმცა, თბილისის, ერევნისა და ბაქოს ანტიკვარული ბაზრისა და ინტერნეტის, კერძოდ, სოციალური ქსელების მონიტორინგის ფარგლებში მაინც მოხერხდა (თუნდაც, ნაწილობრივ პასპორტიზებული) ახალი აღმოჩენების ნაწილის ფიქსაცია.[32]

ჩვენი **კვლევის მეთოდოლოგია** საკმაოდ ტრადიციულია, და გულისხმობს როგორც დოკუმენტური, ასევე ნარატიული პირველწყაროებისა და ნუმიზმატიკური მონაცემების შეპირისპირება-შეჯერებას.

ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ნუმიზმატიკური მონაცემების მასივის დამუშავების ორ მეთოდზე, რომელიც, მართალია, თავისთავად სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ, ქართულ ნუმიზმატიკურ ისტორიოგრაფიაში აქამდე თითქმის არ გამოიყენებოდა. ესენია *სიქების ანალიზისა* (die analysis) და *განძების მეტა-ანალიზის* მეთოდები.

თითოეული მონეტა ორი, შუბლისა და ზურგის სიქებით იჭრებოდა (სამონეტო ნამზადზე უროს დარტყმით გადაცემული ენერგიის ხარჯზე სიქების ზემოქმედების შედეგად). ამასთანავე, სიქების ცვეთისა და მწყობრიდან გამოსვლის ტემპი განსხვავდებოდა ხოლმე; უფრო ნელა ფუჭდებოდა ის სიქა, რომელიც გრდემლში იყო ჩამაგრებული (მას, ჩვეულებრივ, ტექნიკური თვალსაზრისით, შუბლის სიქას უწოდებენ ხოლმე); ან, ის სიქა, რომელზედაც უფრო მარტივი და ნაკლებ რელიეფური გამოსახულება / წარწერა იყო. აქედან გამომდინარე, სიქებს სხვადასხვა დროს განაახლებდნენ ხოლმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მრავალი მონეტა მოჭრილია საზიარო შუბლის, ან, საზიარო ზურგის სიქის მეშვეობით. აუცილებელია ინდივიდუალური *სიქების* (*სიქების ანაბეჭდების*) ამოცნობა-აღრიცხვა, რის საფუძველზედაც შესაძლებელი ხდება მონეტებს შორის ე.წ. *სიქის ბმულების* (die links) გამოვლენა; ამ ბმულების საფუძველზე კი მონეტები ერთმანეთს უკავშირდება (ან, არ უკავშირდება) და წარმოქმნის *სიქის ჯაჭვებს* (die chains). აღნიშნულის საფუძველზე, თეორიულად მაინც, შეგვიძლია მსჯელობა საფასის წარმოების ტექნიკაზე; ამა თუ იმ კონკრეტული მონეტების წარმომავლობასა თუ ქრონოლოგიაზე; ემისიის ინტენსიურობასა და მასშტაბზედაც კი; საზოგადოდ, რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, მრავალი *ზოგად-ისტორიული* საკითხის გარკვევა.[33] ქართულ ნუმიზმატიკურ ისტორიოგრაფიაში კვლევის ამ მეთოდით არსებითი შედეგების მიღება 2008

31 ქვემოთ მითითებული და მოშველიებული გვაქვს მის მიერ თავმოყრილი ინფორმაცია საქართველოსა და რეგიონში სირმა მონეტების აღმოჩენის ფაქტების შესახებ.

32 და, ამგვარად, მეცნიერებისთვის გადარჩენა.

33 ისტორიულ კვლევაში სიქის ბმულების შესწავლისა და, საზოგადოდ, სიქების ანალიზის პოტენციალს ბრწყინვალედ ასურათებს ალა მელნიკოვას ნაშრომი. Алла Мельникова, *Русские монеты от Ивана Грозного до Петра Первого: история русской денежной системы с 1533 по 1682 год* (Москва: Финансы и статистика, 1989).

წელს გამოქვეყნებულ კვლევებში მოხერხდა.[34]

სამონეტო თუ შერეული, მონეტებისა და არტეფაქტებისგან შემდგარი თითოეული განძი, ბუნებრივია, მრავლისმთქმელი ისტორიული ძეგლია, რომელიც შესაბამის ეპოქაზე ძვირფას ინფორმაციას შეიცავს. მაგრამ, თითოეული განძის, როგორც ისტორიული პირველწყაროს, ინფორმაციული ღირებულება გეომეტრიული პროგრესიით იმ შემთხვევაში იზრდება, თუ რამდენიმე, რაიმე კრიტერიუმით (ტეზავრაციის ქრონოლოგია; ისტორიულ-გეოგრაფიული განაწილება; შემადგენლობა) მონათესავე განძს ერთიანობაში, კომპლექსურად შევისწავლით. ასეთ შემთხვევაში უკვე შესაძლებელი ხდება გარკვეული *საზიარო მახასიათებლების* გამოვლენა, ამის საფუძველზე კი, ეპოქისთვის დამახასიათებელი *ისტორიული კანონზომიერებების* დადგენა. მეტა-ანალიზი თავისთავად გულისხმობს რამდენიმე განძის კომპლექსურად შესწავლისას ამ კომპლექსებისთვის დამახასიათებელი ციფრების დამუშავებას, იდეალურ შემთხვევაში, სტატისტიკური კვლევის პრინციპების გამოყენებით. როგორც წესი, უპრიანია ვიზუალური მასალის შექმნა და თანდართვა (ცხრილები, დიაგრამები, სხვა). ქართულ ნუმიზმატიკურ ისტორიოგრაფიაში პირველმა კვლევის ეს მეთოდი, თუ არ ვცდებით, დავით კაპანაძემ გამოიყენა, 1969 წელს.[35] 2018 წელს კი, და, შემდგომ, 2021 წელს, ასევე, მეტა-ანალიზის დახმარებით, მოხერხდა XII — XIII საუკუნის I მესამედის საქართველოს სამეფოსა და, ნაწილობრივ, მეზობელი მხარეების სამონეტო მიმოქცევის ზოგადი სურათის დაზუსტება.[36] 2021 წელს დავიწყეთ ამ მეთოდით სირმა თეთრის მიმოქცევისა და, საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი ისტორიის სხვადასხვა საკითხის კვლევაც.[37] გაირკვა, რომ სირმა თეთრის შემცველი განძების მეტა-ანალიზის შედეგები, ალტერნატიულ პირველწყაროებთან შეჯერებით, ქართლ-კახეთისა და რეგიონის ეკონომიკური ცხოვრების შესახებ საკმაოდ ორიგინალურ და, იმავდროულად, არსებით ინფორმაციას გვაწვდის; და, ამრიგად, ეკონომიკური ისტორიის კვლევის მძლავრ იარაღად გვევლინება.

შეძლებისდაგვარად, გასათვალისწინებელია ასევე სირმა თეთრის მე-

34 Irakli Paghava, Giorgi Bebia, “A Group of Unusual Sirma Abazis: Die Analysis”, *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society*, 197 (2008), 6-12; Severiane Turkia, Irakli Paghava, “The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH “1166” and Its Dating”, *Caucasian Numismatics. Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to ONS Newsletter*, 197 (2008), 28-32.

35 Давид Капанадзе, “Клад монет XII-XIII вв. из сел. Ничбиси”, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXVIII-B (1969), 80-97.

36 Иракли Пагава, *Нумизматическое прошлое Дагестана и Грузии* (Тбилиси: Артануджи, 2018), 66-86; Irakli Paghava, “Meta-Analysis of Georgian Hoards (1121-1230s)”, *VI Міжнародна наукова конференція АКТУАЛЬНІ ПРОБЛЕМИ НУМІЗМАТИКИ У СИСТЕМІ СПЕЦІАЛЬНИХ ГАЛУЗЕЙ ІСТОРИЧНОЇ НАУКИ. Тези доповідей. 17 _ 18 вересня 2020 року* (Переяслав, 2021), 73-75; Irakli Paghava, Vaso Sapanadze, “Three Hoards of Davit IV — Rusudan Epoch: New Material for Meta-Analysis”, *Al XIX-lea Simpozion de Numismatică. Programul şi Rezumatele Comunicărilor. Chişinău, 21-22 octombrie 2021* (Chişinău: Muzeul Naţional de Istorie a Moldovei, 2021), 13-16.

37 Paghava, “Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K’akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)”, 13-15.

ტროლოგიური მახასიათებლები, როგორიცაა, მაგალითად, შენადნობში ვერცხლის სინჯი, *სიქების თანაფარდობა* (შუბლისა და ზურგის ურთიერთმიმართება, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მონეტის დამზადების ტექნიკური პროცესის თავისებურებებზე).

*

წინამდებარე ნაშრომი ნაწილობრივ ეფუძნება და მოიცავს ჩვენივე სტატიებს, რომელთაც 2008 წლიდან მოყოლებული ვაქვეყნებდით (ზოგჯერ, თანაავტორობით). 15-წლიანი მუშაობის შემდეგ, იმედი მოგვეცა, რომ მზად ვიყავით ამ ცალკეულ სტატიებში მიმოფანტული ინფორმაცია ერთად შეგვეკრა, კომპლექსურად გაგვეანალიზებინა, და, დამატებით მასალასთან ერთად, მკითხველისთვის ერთიანობაში, მონოგრაფიის სახით შემოგვეთავაზებინა.

ბუნებრივია, საკვლევი თემის ფარგლებში ცალკეულ სტატიებში განხილული საკითხების ერთიანობაში და განზოგადოებულად შესწავლა ინფორმაციის ნაწილობრივ მაინც დუბლირების გარეშე შეუძლებელი იყო. მონოგრაფიის ზოგიერთი თავი გამოქვეყნებული სტატიების განვრცობა-მოდიფიკაციის შედეგს წარმოადგენს;[38] ტექსტის შინაგანი სტრუქტურა ზოგან გადახალისებულია, მაგრამ, ალაგ-ალაგ, მონოგრაფიის ჩაფიქრებულ შინაგან სტრუქტურასთან შესაბამისობის შემთხვევაში, მეტწილად უცვლელად არის დატოვებული. ფრაზებიც, ნაწილობრივ მაინც, გადასხვაფერებულია; თუმცა, ტექსტის შეცვლა მხოლოდ და მხოლოდ შეცვლისთვის დროის უაზროდ კარგვად მიგვაჩნია; მით უფრო, როდესაც საუბარია ტექსტის მეტ-ნაკლებად ტექნიკურ ფრაგმენტებზე, მაგალითად, სამონეტო ტიპების, ან, თუნდაც, განძების აღწერილობაზე. ამასთანავე, თვით-პლაგიარიზმის თავიდან აცილების მიზნით, შესაფერის ადგილებში ყველგან მითითებულია ორიგინალური ნაშრომის შესაბამისი გვერდები — იმედია, მკითხველი მოგვიტევებს და გადამეტებულად არ მიიჩნევს ამ მიზეზითაც განპირობებულ არაერთგზის თვით-ციტირებას.

*

წიგნის წერისას ვცდილობდით მაქსიმალურად დავყრდნობოდით პირველწყაროებს — თანადროულ, დოკუმენტურ თუ ნარატიულ მასალას. ასე, მაგალითად, ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო წარმოების განხილვისას, შეძლებისდაგვარად ორიგინალურ საბუთებს ვსწავლობდით (თუმცა, რასაკვირველია, ვითვალისწინებდით XIX და XX საუკუნის ისტორიოგრაფიასაც[39]). ბუნებრივია, ჩვენი ნუმიზმატიკური კვლევა მნიშვნელოვანწილად თავად სა-

38 2008 წელს დაბეჭდილი სტატიების რე-პუბლიკაცია თავიდანვე გვინდოდა: სამწუხაროდ, თავის დროზე, ზოგიერთი მათგანი რედაქტორმა ავტორთან შეუთანხმებლად დაამახინჯა: თვითნებურად ამოაგდო სურათები, სქემები და დიაგრამები.

39 Спиридон Эсадзе, *Очерк истории горного дела на Кавказе* (Тифлис, 1903); დერმიშა გოგოლაძე, *სამთამადნო, სამთო - საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII - XIX სს)* (თბილისი: მეცნიერება, 1966), 8-22; ასევე, 23-71.

მონეტო არატეფაქტებსაც ეყრდნობა; აღვნიშნავთ, რომ პრაქტიკულად ყველა მათგანი de visu გვაქვს შესწავლილი.

ერთი მხრივ პირველწყაროების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მეორე მხრივ კი, — მკითხველის კომფორტის უზრუნველყოფის მიზნით, არ მოვერიდეთ ვრცელი ციტატების მოყვანას; საჭიროების შემთხვევაში — ერთი და იმავე ციტატის ორჯერ, ან, სულაც, მრავალჯერ რეპროდუცირებას (მაგალითად, სოლომონ მელიქიშვილის მოწმობა მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი, ასე რომ, თავი ვერ შევიკავეთ, და რამდენიმეჯერ მოვიყვანეთ).

უცხოენოვანი ციტატები, შეძლებისდაგვარად, თარგმნილია ქართულად; თუმცა, ყველა შემთხვევაში არა. სიზუსტისთვის, უპირატესობას მაინც ორიგინალის ენაზე შესრულებული ციტატების მოყვანას ვანიჭებთ; იმედი გვაქვს, მკითხველთა ფართო წრეს არ გაუჭირდება მათი გააზრება, თუნდაც თარგმანის გაცნობის გარეშე.

სამეცნიერო აპარატი ჩიკაგოს სტილითაა გაფორმებული. ჩვენი აზრით, ჩიკაგოს სტილი არაკომპაქტურია, მაგრამ მომხმარებლისთვის ყველაზე მოსახერხებელია. წიგნის ბოლოში გამოყენებული ლიტერატურის სიაცაა.

საძიებლების გარდა, მონოგრაფიას თან ახლავს დიაგრამები, სქემები, რუკები, და, უბრალოდ, ილუსტრაციები. იმედს ვიტოვებთ, რომ ისინი გაუადვილებს მკითხველს არსში ჩაწვდომას. საგანგებოდ თუ არ არის მითითებული, ყველა გამოსახულება ავტორის მიერ არის გადაღებულია ან შექმნილი.

*

ბოლოს, ჩვენი სასიამოვნო მოვალეობაა, მადლიერებით მოვიხსენიოთ ყველა კოლეგა გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტიდან, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ვინც გვერდში გვედგა და არ იშურებდა თავის დროსა და ენერგიას, დაგვხმარებოდა: გიორგი სანიკიძეს, რომლის თანადგომის გარეშე, ეს ნაშრომი ვერ შედგებოდა; თამაზ გოგოლაძეს, მანუჩარ გუნცაძეს, თამარ ლეკვეიშვილს, თამარ დემეტრაშვილს, ზვიად ცხვედიანს, ირაკლი თოფურიძეს, ნიკოლოზ ნახუცრიშვილს. ვემადლიერებით გიორგი გოგავასა და დავით ფაციას; საგანგებოდ აღვნიშნავთ ჩვენი მეგობრის, კოლეგისა და ხშირად თანაავტორის, სევერიანე თურქიას წვლილს — სირმების სიყვარული საუკუნის დასაწყისში მან გადმოგვდო.

მადლობას მოვახსენებთ ასევე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს ჩვენი პროექტის დაფასებისთვის; ფონდის მიერ გაწეული ფინანსური მხარდაჭერა რომ არა, ამ კვლევის ჩატარება, სავსებით შესაძლებელია, განუსაზღვრელი დროით გადადებულიყო.

# თავი I. შესწავლის ისტორია

სირმა თეთრი ქართული ნუმიზმატიკური ისტორიის იმდენად მნიშვნელოვან კარს წარმოადგენს, რომ მას გვერდს ვერ აუვლიდა ამ დარგში მოღვაწე მეცნიერთა ვერცერთი თაობა. სანამ მკითხველს ჩვენს მოსაზრებებს, აღმოჩენებსა და ხედვას გავუზიარებთ, აუცილებლად მიგვაჩნია, მოკლედ მაინც, წინამორბედთა ნაღვაწლს გადავხედოთ. სხვა მკვლევართა თუ, თუნდაც, აქამდე ჩვენს მიერ გაკეთებულის გააზრების გარეშე, წინამდებარე მონოგრაფიაში წარმოდგენილ ფაქტებსა და ინტერპრეტაციებს საძირკველი გამოეცლებოდა.

*

იქნებ, სიმბოლურიცაა, რომ ქართული ნუმიზმატიკური ისტორიის კვლევა, შეიძლება ითქვას, ქართლ-კახეთის სამეფოსა და სირმა თეთრის ისტორიის შესწავლით დაიწყო. ქართული ნუმიზმატიკური ისტორიის *პირველი ქართველი* მკვლევარი[40] თეიმურაზ II-ის შვილთაშვილი, ირაკლი II-ის შვილიშვილი და გიორგი XII-ის ვაჟიშვილი, **თეიმურაზ ბატონიშვილია**.[41] უნდა ითქვას, რომ ეს ფაქტი ჯერ კიდევ სარგის კაკაბაძეს ჰქონდა გააზრებული, რომელმაც *დამატების* სახით სრულად დაბეჭდა თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობილი წერილი ქართული საფასის შესახებ:[42]

> „[...] წერილი თეიმურაზ ბატონიშვილისა წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, ქრონოლოგიურად პირველ ცდას ქართულ ენაზე ხსენებული საკითხის შესახებ, რომელი ცდაც ამასთანავე თავისი დროისთვის კარგად შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.
>
> [...]
>
> ეს წერილი თეიმურაზ ბატონიშვილისა, ავტორის მეცნიერული აზროვნების მეთოდოლოგიურადაც ფრიად დადებითად დამახასიათებელი, ამ ჟამად, რასაკვირველია, კრიტიკულად მოპყრობას საჭიროებს."[43]

მართლაც, ნუმიზმატიკის დარგში თეიმურაზ ბატონიშვილის ამ ერ-

---

40 ქართული მონეტის პირველი *მეცნიერული* (თუმც, მცდარი) პუბლიკაციაც თეიმურაზ ბატონიშვილის მოღვაწეობას რამდენიმე ათეული წლით თუ უსწრებდა; ვგულისხმობთ 1782 წელს დანიელ-გერმანელი მკვლევრის, იაკობ ადლერის მიერ გიორგი IV-ის წესიერი ჭედვის მონეტის პუბლიკაციას ნაშრომში *Museum Cuficum Borgianum Velitris*. Пахомов, *Монеты Грузии*, 99–100, примечание 1.

41 Irakli Paghava, "Prince Teimuraz and His Essays on Georgian Sphragistics and Numismatic History (at the Dawn of National Georgian Numismatic Scholarship)", *4th Simone Assemani Symposium. Trieste, 26-27 September, 2014. Edited by Bruno Callegher and Arianna D'Ottone Rambach* (Trieste: EUT, 2015), 199-214.

42 სარგის კაკაბაძე, „საფასის ისტორიისთვის საქართველოში", *საისტორიო მოამბე,* წიგნი I (1925), 31-35.

43 იქვე, 31, 35.

თადერთ, მაგრამ, სამაგიეროდ, დე-ტალებისადმი ყურადღებისა და სისტემატიურ-მეთოდოლოგიური მიდგომით სამაგალითო ნაშრომს თავისი მნიშვნელობა დღემდე არა აქვს დაკარგული: მასში ავტორმა, სხვა საკითხებთან ერთად, საკმაოდ მწყობრად ჩამოაყალიბა ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკური ისტორიის ერთი დიდი მონაკვეთი. იგულისხმება თეიმურაზ ბატონიშვილის ვრცელი და ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკურ-სფრაგისტიკულ-მეტროლოგიური ისტორიის შესახებ ინფორმაციით გაჯერებული *წერილი* მარი ბროსესადმი, რომელიც 1834 წლის 16 ნოემბრით თარიღდება.[44] ეს ტექსტი წარმოადგენს როგორც ისტორიოგრაფიულ ნაშრომს, ასევე, პირველწყაროსაც, ვინაიდან თავისი მოღვაწეობა ბატონიშვილმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიწყო, ქართლ-კახეთში,[45] და, ბუნებრივია, პირად მოგონებებს ეყრდნობოდა. აბსოლუტურად ვეთანხმებით სარგის კაკაბაძეს, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობები წარმოადგენს მნიშვნელოვან პირველწყაროს უკვე *გვიანდელი* პერიოდის ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი ისტორიის შესასწავლად:



სურ. I.1. თეიმურაზ ბატონიშვილი

> „დადებით ისტორიული მასალის მნიშვნელობა აქვს თეიმურაზის ცნობას თეიმურაზ-ერეკლე-გიორგი მეფეების დროს მოჭრილ საფასის შესახებ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მისი ცნობა არსებითად ახასიათებს ქართლ-კახეთის საფასის სისტემას უფრო მე-1770 და 1780 წლებიდან."[46]

თეიმურაზ ბატონიშვილმა საგანგებო ყურადღება მიაქცია როგორც საკუთარი, სპილენძისა და ვერცხლის საფასის წარმოებას, ასევე იმპორტირებულის მიმოქცევასაც. განსწავლული ბატონიშვილი აღწერს მიღებულ ნომინალებს, და მათ ისტორიას / ეტიმოლოგიას; საფასის წონით სტანდარტს და,

---

44 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 38-50.

45 გურამ შარაძე, *თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება* (თბილისი: მეცნიერება, 1972), 8-18; Paghava, "Prince Teimuraz and His Essays on Georgian Sphragistics and Numismatic History (at the Dawn of National Georgian Numismatic Scholarship)", 202-203.

თეიმურაზის შემოქმედებისათვის იხილეთ გურამ შარაძე, *თეიმურაზ ბაგრატიონი, II, შემოქმედება* (თბილისი: მეცნიერება, 1974).

46 კაკაბაძე, „საფასის ისტორიისთვის საქართველოში", 35.

საზოგადოდ, წონით ერთეულებს; ფულის ანგარიშის სისტემას. ბუნებრივია, მისი ყურადღების ცენტრში სირმა თეთრიცაა:

„Ⴀ. შაური მცირე, ვეცხლაკი ოთხის მუხუდოსი ანუ ერთის დანგის წონა.
Ⴁ. მეორე — ორშაურიანი, ორი დანგის წონა. ესე არს თენგირი ანუ კირმანეული.
Ⴂ. მესამე — თელთი ანუ აბაზი, ეს არის ორი კირმანეულისა ანუ ორის ორშაურიანის წონა.
Ⴃ. მეოთხე — ექვ[ს]შაურიანი, რომელიც არის წონით სამი ორშაურიანის წონა ანუ ოცდაოთხის ყრათის წონა, რომელი ფული ერთი მისხალი არის წონითა (მისხალი სპარსული სახელი არის, ქართულად დრამა ეწოდება მისხალს).

ეს ოთხი გვარი ფული იჭრებოდა ტფილისში. ხუთი აბაზი ერთს რუბლად ითვლებოდა ანუ ერთს მინალთუნადა და ათი რუბლი ერთს თუმნად ანუ ერთს იმპერიალად ითვლებოდა.

ასეთს თეთრსა სჭრიდენ ჩვენშია, რომ ყოველს ევროპიისა და აზიის ვეცხლზედ ჩვენი ცეცხლი უფრო წმინდა იყო. საქართველოს თითონ კარგი მადნები აქვსთ და მეფეებისა მათისა დროს ძალიან კარგათ მუშაობდა, დიდად სარგებლიერად."[47]

საგანგებოდ მოხსენიების ღირსია ასევე ფრანგი ქართველოლოგი, **მარი ბროსე**, რომელმაც ქართული ნუმიზმატიკის საკითხებზე მუშაობა მიხეილ ბარათაევზე ბევრად უფრო ადრე დაიწყო.[48] 1844 წლამდე, ანუ, მიხეილ ბარათაშვილის ცნობილი და გამორჩეული წიგნის (*Нумизматические факты Грузинского Царства*) დასტამბვამდე, მარი ბროსემ გამოაქვეყნა რამდენიმე საკმაოდ ვრცელი ნაშრომი, რომელშიც ქართული ნუმიზმატიკისა (და სფრაგისტიკის) სხვადასხვა საკითხი შეისწავლა.[49] იმდენად, რამდენადაც

47 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 39-45.

48 Paghava, "Prince Teimuraz and His Essays on Georgian Sphragistics and Numismatic History (at the Dawn of National Georgian Numismatic Scholarship)", 200-202.

49 ჩამოვთვლით ამ ნაშრომებს:
*Additions au Mémoire sur les documens originaux concernant la Géorgie* — 23 გვერდი (1832);
*Dissertation sur les monnaies Géorgiennes, traduite d'une lettre du prince Théimouraz avec des éclaircissement* — 45 გვერდი (1835);
*Dissertation sur les monnaies Géorgiennes* — 31 გვერდი (1836);
*Note sure quelques monnaies Géorgiennes du Musée Asiatique et sur une inscription Tibétaine d'Edchmiadzin* — 4 გვერდი (1837);
*Monographie Géorgienne de Moscou* — 123 გვერდი (1838);
*Monographie des monnaies Arméniennes* (ამ ნაშრომშიც განიხილება ქართული ნუმიზმატიკური ისტორიის სხვადასხვა საკითხი) — 46 გვერდი (1839).
Marie-Félicité Brosset, "Additions au Mémoire sur les documens originaux concernant la Géorgie (Journ. asiat. Mars, Avril, Mai 1832)", *Nouveau Journal Asiatique*, Tome X (1832), 168-190; Marie-Félicité Brosset, "Dissertation sur les monnaies géorgiennes", *Journal Asiatique*, *Troisième série*, Tome XV (1836), 5-35; Marie-Félicité Brosset, "Dissertation sur les

საუბარია სირმა თეთრზე, აღნიშვნის ღირსია მარი ბროსეს დამსახურება ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი სისტემის შესწავლის საქმეში; კერძოდ, მან რუსული იმპერიული ადმინისტრაციის მიერ თბილისში 1804-1834 წლებში მოჭრილ მონეტებზე სპარსული საანგარიშო სისტემის ზეგავლენა გამოავლინა;[50] ამ ზეგავლენის გამტარებელი კი სწორედ ქართლ-კახეთის სამეფო იყო. სწორედ მარი ბროსემ პირველმა გამოაქვეყნა თეიმურაზ ბატონიშვილის მემუარი ქართლ-კახეთის სამეფოს ფულად სისტემაზე.[51]

საყურადღებოა, მაგრამ, მიხეილ ბარათაევის (ბარათაშვილის) 1844 წლის სქელტანიან ნაშრომში[52] სირმა საფასე განხილული არ არის. ქართული ნუმიზმატიკის ამაგდარი მათ, სხვა, ირანული თუ ოსმალური ყაიდის მონეტების მსგავსად, ქართულად, ეტყობა, არ თვლიდა.

**ვიქტორ ლანგლუამ**, განსხვავებით მიხეილ ბარათაშვილისაგან, საქართველოს ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობას მიაკუთვნა სირმა თეთრიც; აღნიშვნის ღირსია მის მიერ პაპუნა ორბელიანის ცნობის გამოყენებაც.[53]

1860-იან წლებში ქართულ ნუმიზმატიკურ წარსულს **პლატონ იოსელიანიც** შეეხო. მისი ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოს, უფრო, გიორგი XII-ის დროინდელ ნუმიზმატიკურ (ასევე, სფრაგისტიკულ) ისტორიაზე[54] საკმაოდ

---

monnaies géorgiennes, traduite d'une lettre du prince Théimouraz avec des éclaircissement", *Nouveau Journal Asiatique*, Tome XV (1835), 401-445; Marie-Félicité Brosset, *Monographie des monnaies Arméniennes* (S.-Petersbourg, 1839); Marie-Félicité Brosset, "Monographie Géorgienne de Moscou"*, Bulletin scientifique publié par l'Academie impériale des Sciences de S. Pt.*, IV (1838), 279-302, 238-336; Marie-Félicité Brosset, "Note sure quelques monnaies Géorgiennes du Musée Asiatique et sur une inscription Tibétaine d'Edchmiadzin"*, Bulletin scientifique publié par l'Academie impériale des Sciences de S. Pt.*, II (1837), [38]1-[38]4;

მარი ბროსემ ქართული ნუმიზმატიკის დარგში მუშაობა 1844 წლის შემდგომაც გააგრძელა. Marie-Félicité Brosset, *Rapport sur l'ouvrage intitul*é Нумизматическіе факты грузинскаго царства *et revue de numismatique Géorgienne* (St.-Pétersbourg, 1847); Marie-Félicité Brosset, "Revue de numismatique géorgienne, par M. Brosset, destinee a servir de piece justificative au rapport precedent, 1ere et 2e parties", *Извлечен. из Отчета о пятнадцатом присуждении Демидовских наград, сост. Непременным Секретарем и читанный 17 мая 1846 г.* (Спб., 1846), 247-324. Cf. Шота Хантадзе, *Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение (Историографический очерк)* (Тбилиси: Мецниереба, 1970), 200-209.

საზოგადოდ, მისი ნუმიზმატიკური მოღვაწეობისთვის იხ. იქვე, 111-112, 114, 156-157; Гастон Буачидзе, *Мари Броссе. Страницы жизни* (Тбилиси: Мерани, 1983), 150-154.

50 Marie-Félicité Brosset, *Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au XIX Siècle. Introduction et Tables des matières* (St.-Pétersbourg: De l'Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences, 1858), CLXXXIV-CLXXXIX.

51 Brosset, "Dissertation sur les monnaies géorgiennes, traduite d'une lettre du prince Théimouraz avec des éclaircissement", 401-445

52 Михаил Баратаев, *Нумизматические факты Грузинского царства* (СанктПетербург: Типография Императорской Академии наук, 1844).

53 Victor Langlois, *Essai de Classification des Suites Monétaires de la Géorgie, depuis l'Antiquité jusqu'à nos Jours* (Paris: L'Imprimerie Impériale, MDCCCLX), 117-118, 121-123, 126.

54 იოსელიანი, *ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა*, 248, 250.

არეულია,[55] მაგრამ, მაინც, ინტერესის ღირსია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ავტორის ადრეულ ეპოქაში მოღვაწეობას. რასაკვირველია, ამ ინტერესს, უპირატესად, ნუმიზმატიკური ისტორიოგრაფიის ისტორიის კვლევის მნიშვნელობა განაპირობებს.

სირმა თეთრის (და, საზოგადოდ, ქართული ნუმიზმატიკის) შესწავლის საქმეში უაღრესად დიდია **ევგენი პახომოვის** წვლილი. თავის ფასდაუდებელ ნაშრომში *საქართველოს მონეტები* (*Монеты Грузии*) მან ეს მონეტები ცალკე ჯგუფად გამოყო[56] (სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ 1900-იან წლებში დაწერილი მონოგრაფიის მეორე ნაწილის,[57] რომელშიც სირმა თეთრიც იყო განხილული, გამოქვეყნება მხოლოდ 1970 წელს მოხერხდა, ავტორის სიკვდილიდან ხუთ წელიწადში). ფასდაუდებელია ასევე ევგენი პახომოვის მიერ მრავალი ათეული წლის განმავლობაში შეგროვებული უძვირფასესი ცნობები სირმა თეთრის მიმოქცევის (ანუ, ცალკე მონეტებისა და განძების აღმოჩენების) შესახებ;[58] მათ გარეშე სირმა თეთრის მიმოქცევის ანალიზი ნაკლებ მასშტაბური იქნებოდა. საყურადღებოა ასევე ევგენი პახომოვის მსჯელობა შემდგომი პერიოდის ქართულ საფასეზე სირმა თეთრის ზეგავლენაზე.[59] საზოგადოდ, არ გადავაჭარბებთ, თუ აღვნიშნავთ, რომ ევგენი პახომოვმა ქართველი ერის ნუმიზმატიკური მემკვიდრეობის კვლევა ხარისხობრივად ახალ დონეზე აიყვანა.

ყურადღების ღირსია **სარგის კაკაბაძის** მოსაზრებები ქართლ-კახეთის

55 ირაკლი ფაღავა, „ნუმიზმატიკური და სფრაგისტიკული ცნობები პლატონ იოსელიანის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა" (იესე ოსეს შვილის ბეჭდების განხილვითურთ)", *ქართული ნუმიზმატიკური საზოგადოების მოამბე,* №1 (2020), 73-98.

56 Пахомов, *Монеты Грузии*, 236-250.

57 პირველი ნაწილი ცალკე მონოგრაფიის სახით 1910 წელს გამოქვეყნდა. Евгений Пахомов, *Монеты Грузии. Часть I (домонгольский период)* (С.-Петербург: Типография Императорской Академии Наук, 1910).

58 Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и Закавказья, Труды общества обследования и изучения Азербайджана, выпуск 3* (Баку: Издание Общества обследования и изучения Азербайджана, 1926), 71, №231; Евгений Пахомов, *Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа. Выпуск II* (Баку: Издательство Азербайджанского филиала Академии наук СССР, 1938), 58, №537; Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск III* (Баку: Издательство АзФАН, 1940), 64, №917, 64-65, №918; Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск IV* (Баку: Издательство Академии наук Азербайджанской ССР, 1949), 77, №1209, 79, №1216-1217; Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск V* (Баку: Издательство АН Азербайджанской ССР, 1949), 43-44, №1496, 44-45, №1498; Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VII* (Баку: Издательство Академии наук Азербайджанской ССР, 1957), 83, №1856, 88, №1868; Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VIII* (Баку: Издательство Академии наук Азербайджанской ССР, 1959), 27-32, №2022, 34, №2043, 36, №2066, 52, К вып. I,229, К вып. I,231; Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск IX* (Баку: Издательство Академии наук Азербайджанской ССР, 1966), 104, №2147.

59 Пахомов, *Монеты Грузии*, 271-272.

სამეფოში ზარაფხანის იჯარით გაცემის თაობაზე, და ამ წყაროდან მიღებული შემოსავლის შესახებ; მანვე მიაქცია ყურადღება ახტალის ოქრო-ვერცხლის განაწილებას მეფესა და „მოიჯარადრეებს" შორის.[60] უკვე აღვნიშნეთ მისი დამსახურება თეიმურაზ ბატონიშვილის ნუმიზმატიკური ნაშრომის დაფასებასა და ავტორის პრიორიტეტის აღნიშვნაში; სარგის კაკაბაძის მიერ თავისი სტატიის დამატების სახით გამოქვეყნებული ტექსტი თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომის ორიგინალის ენაზე პირველ პუბლიკაციასაც წარმოადგენს.[61]

1938 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ფულად სისტემაზე თავისი მოსაზრებები **ჟოზეფ კარსტმაც** გამოთქვა.[62]

1955 წლის ნაშრომში **დეივიდ ლენგს** შეჯამებული აქვს მონაცემები იმ სირმა მონეტების შესახებ, რომელიც ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოებისა და კიდევ რამდენიმე დასავლური კოლექციის ფონდებში ინახება; მკვლევარმა შენიშნა წონითი სტანდარტის შემცირება 4 დანგამდე, მაგრამ ემისიის დაწყება შეცდომით ჰ. 1166 წლით დაათარიღა[63] (ამ საკითხს ქვემოთ მივუბრუნდებით, იხ. თავი VII).

ქართულ ნუმიზმატიკურ ისტორიას სრულიად ახლებურად მიუდგნენ ეკონომისტ-ნუმიზმატები, **ნიკოლოზ ქოიავა** (1892-1967) და **პაატა გუგუშვილი** (1905-1987). ორივესთვის დამახასიათებელია ინტერესი არა უბრალოდ ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტარული მემკვიდრეობისადმი, არამედ, საზოგადოდ, ეკონომიკური ისტორიისადმი. ორივე იკვლევდა საქართველოში გაბატონებულ ფულად სისტემებს, ადგილობრივად საფასის მიმოქცევასა და წარმოებას, საკრედიტო ურთიერთობებს. ნიკოლოზ ქოიავა XVIII საუკუნეზე მუშაობდა,[64] პაატა გუგუშვილი კი, უპირატესად, XIX-ზე, თუმცა, რეტროსპექტულად, წინა პერიოდსაც გადაწვდებოდა ხოლმე.[65] მათი ნაშრომები საუცხოოდ ავსებს ერთმანეთს. მიუხედავად ბოლო ათწლეულების აღმოჩენებისა,

60 კაკაბაძე, „საფასის ისტორიისთვის საქართველოში", 30.

61 იქვე, 31-35.

62 Joseph Karst, *Precis de Numismatique Géorgienne. Avec 12 Planches et un Appendice sur la Métrologie des Géorgiens* (Paris, 1938),.

63 David Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia* (New-York, 1955), 108-112.

64 ნიკოლოზ ქოიავა, „საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში", *ი. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, XXVIII (1946), 1-22; ნიკოლოზ ქოიავა, „ქართლ-კახეთის ფინანსები XVIII საუკუნეში (1701-1761 წწ.)", *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 55 (1954), 109-138; ნიკოლოზ ქოიავა, „ქართლ-კახეთის ფინანსები მე-XVIII საუკუნეში (1762-1801 წწ.)", *ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები*, ტ. 63 (1956), 33-65; ნიკოლოზ ქოიავა, „თბილისის სამონეტო ბაზარი XVIII საუკუნეში", *თბილისი 1500. საიუბილეო კრებული* (თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1958), 179-189; ნიკოლოზ ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1963).

65 პაატა გუგუშვილი, „ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ა.-კავკასიაში მე-19 საუკუნეში", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI (1938), 16-72; პაატა გუგუშვილი, *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში* (თბილისი: სახელგამი, 1956).

ნიკოლოზ ქოიავასა და პაატა გუგუშვილის სტატიები და წიგნები დღესაც კი ინარჩუნებს თავის ისტორიოგრაფიულ ღირებულებას და შეუცვლელია.

სირმა თეთრის შესწავლის ახალი ეპოქა დიდი ქართველი მეცნიერისა და პატრიოტის,[66] **დავით კაპანაძის** სახელს უკავშირდება. ქართული ნუმიზმატიკისადმი მიძღვნილი მონოგრაფიების სერიაში მან საგანგებო ყურადღება დაუთმო სირმა თეთრს და ეროვნული ქართული მონეტების ცალკე კლასადაც გამოყო:

- *XVIII საუკუნის მეორე ნახევრის "სირმა ვერცხლი"*[67]
- *"Багратидское" серебро второй половины XVIII в.*[68]
- *XVIII საუკუნის მეორე ნახევრის უსახელო ვერცხლი*[69]

ამით მან წარმოაჩინა ამ მონეტების ისტორიული მნიშვნელობა, და, დავამატებთ, მათი პოპულარობაც განაპირობა. გარდა ამისა, ევგენი პახომოვის წიგნის ხელახლა (სრული სახით) გამოცემისას, წიგნისთვის თანდართულ კომენტარებში დავით კაპანაძემ დააზუსტა ზოგიერთი ნომინალის გამოშვების ქრონოლოგიაც,[70] იმსჯელა სირმა თეთრის მიმოქცევის ხანგრძლივობაზედაც.[71] საყურადღებოა ასევე, პირველად დავით კაპანაძის მიერ გამოყოფილი სირმა თეთრის მინაბაძების ორი ჯგუფი: ე.წ. განჯის სირმები, და, მდარე სინჯისა და ხელობის არტეფაქტები, რომლებიც დავით კაპანაძემ ნუხის სახანოს ნაწარმად ჩათვალა[72] (მათ ქვემოთ მივუბრუნდებით, იხ. თავი X). არ შეიძლება არ ვახსენოთ, ასევე, მის მიერ რამდენიმე სირმა აბაზის სინჯის ექსპერიმენტულად განსაზღვრის ფაქტიც.[73]

სირმა აბაზიანების (და სხვა ქართული მონეტების) სინჯი ექსპერიმენტული გზით **თინათინ არეშიძემაც** შეისწავლა.[74]

---

66 პატრიოტიზმი დავით კაპანაძის *საბჭოთა* პერიოდში შექმნილი და გამოქვეყნებული შრომებიდან დღესაც გამოსჭვივის.

67 დავით კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა* (თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1950), 100-101; დავით კაპანაძე, *წარსულის მაცნეები* (თბილისი: ნაკადული, 1965), 131-133.

68 Давид Капанадзе, Грузинская нумизматика (Москва: Издательство Академии Наук СССР, 1955), 130-131.

69 დავით კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა* (თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969), 158-160.

70 Давид Капанадзе, "Комментарии", Пахомов Евгений, *Монеты Грузии* (Тбилиси: Мецниереба, 1970, 342, К стр. 239, 241.

71 იქვე, 342, К стр. 250.

72 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 100-101, ტაბ. XV, №191; Капанадзе, Грузинская нумизматика, 101, Таб. XV, №191; კაპანაძე, *წარსულის მაცნეები*, 132-133; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 159-160, ტაბ. XIX, №235-237; Капанадзе, "Комментарии", 341, К стр. 237.

73 დავით კაპანაძე, „ქართული ფულის სინჯადობა", *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. VI, 16 (1943), 573-576.

74 თინათინ არეშიძე, *ქართული მონეტების ქიმიური შედგენილობა*, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1950).

დავით კაპანაძის დაწყებული საქმე, დავით კაპანაძისვე ხელშეწყობით გააგრძელა **რევაზ ქებულაძემ**.[75] მის კალამს ეკუთვნის სამი საყურადღებო სტატია, სადაც განხილულია ფხოველისა და (მოკლედ) ფასანაურის, მნიშვნელოვანწილად, სირმა მონეტებისგან შემდგარი განძები; საზოგადოდ, (აღმოსავლეთ) საქართველოში სირმა თეთრის მიმოქცევის ხანგრძლივობა; ისევე, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოში რუსული მონეტების მიმოქცევის საკითხი[76] (რომლის გარკვევაც ძალიან გვეხმარება სირმა თეთრის მიმოქცევის თავისებურებების დაზუსტებაში).

სირმა თეთრის შესწავლის ახალი, თანამედროვე ეტაპი 2008 წელს იწყება. **ირაკლი ფაღავასა და თანაავტორების** ოციოდ ნაშრომში განხილულია სირმა თეთრთან დაკავშირებული სხვადასხვა სამეცნიერო საკითხი, როგორიცაა სირმა მონეტების მიმოქცევა და ეკონომიკური როლი; მათი ემისიის დაწყება ირაკლი II-ის მიერ ჩატარებული სამონეტო რეფორმის ფარგლებში; საზოგადოდ, სირმა თეთრის ემისიის ქრონოლოგია; ამ საფასის ტიპოლოგიური და იკონოგრაფიული თავისებურებები; გაყალბების პრობლემა: სწორედ 2008 წელს გამოქვეყნდა ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის — *აღმოსავლური ნუმიზმატიკური საზოგადოების ჟურნალის 197-ე ნომრის დანართი*, რომელიც მიეძღვნა კავკასიურ ნუმიზმატიკას, კერძოდ, ქართლ-კახეთის (აღმოსავლეთ საქართველოს) ფულად ისტორიას (*Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801.* Supplement to Journal of Oriental Numismatic Society #197, Autumn 2008). მასში (ინგლისურ ენაზე) დაიბეჭდა სულ რვა სტატია ქართლ-კახეთის სამეფოსა (7) და განჯის სახანოს (1) ნუმიზმატიკურ ისტორიაზე. თუ არ ჩავთვლით ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის მონახაზს და ნაშრომს ქართლ-კახეთის სამეფოში სპილენძის მონეტების დადამღვაზე,[77] ყველა დანარჩენი სტატია სირმა თეთრის ისტორიის სხვადასხვა ასპექტს ეძღვნება.[78] საყურადღებოა, რომ, პირველად ქართულ ნუმიზმატიკურ

75 გამოქვეყნებულია ამ ქართველი ნუმიზმატის ბიოგრაფია და სამეცნიერო შემოქმედების ანალიზიც. ირაკლი ფაღავა, „რევაზ ქებულაძე და მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა (ქართული ნუმიზმატიკური აზროვნების ისტორიიდან)", *საისტორიო კრებული*, ტომი 4 (2014), 398-406.

76 რევაზ ქებულაძე, „სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში", *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. 53 (1969), 757-760; Реваз Кебуладзе, "Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным", *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, 4 (1969), 91-104; რევაზ ქებულაძე, „ფხოველის განძი", *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXXI-B (1975), 104-22.

77 Paghava, "The Indian Summer of Georgian Statehood: Political and Economic Outlines of Kartl-Kakheti History, 1744-1801", 1-5; Irakli Paghava, Giorgi Lobzhanidze, Severiane Turkia, "Countermarking of Copper Coins in Late 18th Century Georgia", *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Newsletter of Oriental Numismatic Society*, 197 (2008), 38-46.

78 Paghava, Bebia, "A Group of Unusual Sirma Abazis: Die Analysis", 6-12; Irakli Paghava, "Variation in the Composition and Arrangement of Dates on Sirma Coins: Approach to Die Analysis", *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society, 197* (2008), 13-16; Irakli Paghava, "The Yellow Metal Coins Ascribed to Erekle II and the Fate of Georgian Dies

ისტორიოგრაფიაში, გამოყენებულია სიქების ანალიზით სხვადასხვა მონეტას შორის კავშირის დადგენის (და არა რამდენიმე მონეტის მიხედვით სრული სიქის აღდგენის) მეთოდიც.[79]

ალბათ, მაინც, აღნიშვნის ღირსია 2010, 2014 და 2016 წლებში გამოცემული სტატიების სერია ქართლ-კახეთის სამეფოს *ოქროს* შაურზე, რომელიც ტიპოლოგიურად *სირმა ვერცხლის* შაურის იდენტურია, და, ამრიგად, ე.წ. *სირმა ოქროს* წარმოადგენს.[80]

2013 წელს დაიბეჭდა ნაშრომი ქართლ-კახეთის სამეფოსა და განჯის სახანოს ნუმიზმატიკურ ურთიერთქმედებაზე, სადაც, სხვათა შორის, ავტორი ვერცხლის საფასის გამოშვებისა და მიმოქცევის საკითხებსაც შეეხო.[81] ასევე, განსვენებულ **ვლასტიმილ ნოვაკთან** თანაავტორობაში, გამოიცა ქართული მონეტები, რომელიც ჩეხეთში, ნაპრსტეკის მუზეუმშია დავანებული; მათ შორის სირმებიც.[82]

2014 წელს გამოქვეყნდა სირმა თეთრის (და ქართული ნუმიზმატიკური ისტორიის მრავალი სხვა საკითხის) მკვლევრის, რევაზ ქებულაძის ბიოგრაფია და სამეცნიერო მოღვაწეობის შეჯამება.[83] მომდევნო, 2015 წელს კი გამოქვეყნდა ნაშრომი პირველი ქართველი მეცნიერი ნუმიზმატის, თეიმურაზ ბატონიშვ-

---

of the 17th-18th Century", *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society*, *197* (2008), 33-37; Irakli Paghava, Severiane Turkia, "The Cross Motive on Tiflis, Ganja, Nakhjawan and Tabriz Coins Minted in AH 1181-1190", *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society*, *197* (2008), 17-19; Irakli Paghava, "A Series of Peculiar Minor Denomination Sirma Coins: Modern Fakes or Contemporary Imitations?", *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society*, *197* (2008), 20-27; Turkia, Paghava, "The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH "1166" and Its Dating", 28-32; Alexander Akopyan, "The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.", *Caucasian Numismatics. Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to ONS Newsletter 197* (2008), 47–48; .

79 Paghava, Bebia, "A Group of Unusual Sirma Abazis: Die Analysis", 6-12; Turkia, Paghava, "The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH "1166" and Its Dating", 28-32.

80 Irakli Paghava, "The Minting of Gold Shauris in Eighteenth Century Georgia: Monetary Evidence", *Journal of Oriental Numismatic Society*, 204 (2010), 15-17; Иракли Пагава, "Судьба золотых шаури грузинских царей Иракли II и Гиорги XII (опыт историко-антропологического исследования", *Расмір: Східна нумізматика, ІІІ Міжнародна наукова конференція, 1-3 серпня* 2013, ред. О. Казаров, В. Безпалько (Київ, 2016), 142-147, 171, 1920; ირაკლი ფაღავა, იოსებ ბიჭიკაშვილი, რაულ ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", *საისტორიო კრებული*, ტომი 4 (2014), 200-272.

81 Иракли Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", Эпиграфика Востока, XXX (2013), 201-242.

82 Irakli Paghava, Vlastimil Novák, "Georgian Coins in the Collection of the National Museum-Náprstek Museum in Prague", *Annals of the Náprstek Museum*, 34 / 2 (2013), 41-82.

83 ფაღავა, „რევაზ ქებულაძე და მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა (ქართული ნუმიზმატიკური აზროვნების ისტორიიდან)", 398-406.

ილის სამეცნიერო ღვაწლის შესახებ.[84]

განჯის სახანოს ნუმიზმატიკური ისტორიისადმი მიძღვნილ სტატიებში **ალექსანდრე აკოპიანი** განიხილავს *განჯის* სირმა ტიპის საფასის გამოშვების საკითხსაც.[85] საყურადღებოა ასევე მის მიერ გამოქვეყნებული ცნობები სირმა თეთრის შემცველი რამდენიმე განძის შესახებადაც.[86]

**კირკ ბენეტის** კატალოგი არ შეიცავს ორიგინალურ ინფორმაციას, მაგრამ, თარიღის განაწილების მიხედვით სირმა მონეტების ვარიანტების ჩამონათვალი საცნობარო მასალად გამოდგება.[87]

სირმა თეთრის კვლევა განახლდა 2020 წელს.

ყურადღება მიექცა პლატონ იოსელიანის მიერ შემონახულ ცნობას, რომ გიორგი XII ბრძანებდა ვერცხლის ჭურჭლის სირმა მონეტად გარდაქმნას.[88]

კვლევის ეპიცენტრში კი, ძირითადად, უფრო ქართლ-კახეთის ვერცხლის მონეტების მიმოქცევა და ეკონომიკური როლი აღმოჩნდა. შეძლებისდაგვარად გამოქვეყნდა და ქვეყნდება რამდენიმე ახალი განძი — ბოლნისის მიდამოებიდან, მანავის, კოჯრის I და II, ყარაბაღის I და II, ქართლის უპასპორტო, მთიანეთის I და II, ერევნის I და II, დუშეთის, უპასპორტო I, II და III;[89] ზოგადი

84 Paghava, “Prince Teimuraz and His Essays on Georgian Sphragistics and Numismatic History (at the Dawn of National Georgian Numismatic Scholarship)”, 199-214.

85 Akopyan, “The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.”, 47–48; Александр Акопян, “Типология монетного чекана Гянджи в 1172–1217 гг. х.”, *Тезисы сообщений и докладов XV Всероссийской нумизматической конференции, под. редакцией Игоря Ширякова* (Москва: Нумизматическая литература, 2009), 84-87; Александр Акопян, “Серебряный чекан Гянджинского ханства”, *Эпиграфика Востока*, Вып. 29 (2011), 29-38; Александр Акопян, “Метрология и названия серебряных монет Гянджинского ханства”, *Проблемы истории, филологии, культуры*, 2 (2016), 285-301.

86 Александр Акопян, “Новые данные о монетных находках из Армении и прилегающих областей”, *Нумизматика Золотой Орды,* 5 (2015), 119-120.

87 Kirk Bennett, *A Catalog of Georgian Coins* (Santa Rosa: Stephen Album Rare Coins, 2014), 301-315.

88 ფაღავა, „ნუმიზმატიკური და სფრაგისტიკული ცნობები პლატონ იოსელიანის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა” (იესე ოსეს შვილის ბეჭდების განხილვითურთ)”, 74, 78-80.

89 Paghava, “Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K’akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)”, 13-15; ირაკლი ფაღავა, ”სირმა მონეტების განძი ბოლნისის მიდამოებიდან” / Irakli Paghava, “A Hoard of Sirma Coins from the Vicinities of Bolnisi”, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. Ilia State University. G. Tsereteli Institute of Oriental Studies. საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: ისტორია, კულტურა, პოლიტიკა. International Conference *The Middle East and Caucasus: History, Culture, Politics.* თეზისები. Abstracts. თბილისი / Tbilisi. 16-18/12/2021. ([Tbilisi, 2021]), 63-65; ირაკლი ფაღავა, “ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონეტების კავკასიაში მიმოქცევის თაობაზე (სირმა აბაზების შემცველი ორი განძი მანავიდან და კოჯრიდან) / Irakli Paghava, “New Data on the Circulation of Silver Coins of the Kingdom of Kartl-Kakheti in Caucasus (Two Hoards Comprising Sirma Abazis from Manavi and Kojori)”, საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, მოხსენებათა თეზისები / *International Congress of Caucasian Studies. Abstracts.* თბილისი / *Tbilisi, 3-5/X/2022* ([თბილისი:] ივანე ჯავახიშვილის სახ-

ნაშრომი ქართლ-კახეთის სამეფოში ფულად მიმოქცევაზე, რომელშიც სათანადო ყურადღება სირმა თეთრსაც დაეთმო.[90] ახალი აღმოჩენების გათვალისწინებით, სამონეტო კომპლექსების შესახებ არსებული ინფორმაციის მეტა-ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა სირმა მონეტების შემცველი განძების ზოგადი კლასიფიკაცია,[91] რომელიც შემდეგ გადახალისდა და დაიხვეწა.[92]

საგანგებო სტატია მიეძღვნა ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ერთპიროვნული მონარქის, ირაკლი II-ის მიერ 1760-იანი წლების შუაში ჩატარებულ სამონეტო რეფორმას, რომლის პროცესში გაჩნდა კიდევაც სირმა თეთრი (გადახალისდა ასევე სპილენძის, და ოქროს მონეტების ემისიაც).[93]

ალბათ, აღნიშვნის ღირსია შრომები ავშარული პერიოდის (რომელიც, ნაწილობრივ, ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ადრეულ ეტაპსაც მოიცავს) დროინდელი მონეტების მიმოქცევასა და მოჭრის ტექნიკაზე; ამ ორ სტატიაში განხილული საფასე სირმა თეთრის ერთგვარ პრელუდიას წარმოადგენს და ქართლ-კახეთის სამეფოს გვიანდელი ემისიის კვლევის პროცესშიც გამოგვადგება.[94]

*

როგორც დავინახეთ, სირმა თეთრის კვლევა რამდენიმე მიმართულებით წარმოებდა:

- სირმა თეთრის მეტროლოგია (მასა, სინჯი) (თეიმურაზ ბატონიშვილი, მარი ბროსე, თინათინ არეშიძე, დავით კაპანაძე);
- ემისიის ტიპოლოგია და ქრონოლოგია (ევგენი პახომოვი, ირაკლი ფაღავა, სევერიანე თურქია);

---

ელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022. [Tbilisi:] Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2022), 94, 206; ირაკლი ფაღავა, "ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა მონეტების მიმოქცევის შესასწავლად", *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, XIV (2022), 248-259; ირაკლი ფაღავა, "სირმა აბაზის შემცველი ორი შერეული განძი კოჯრიდან და ყარაბაღიდან", (იბეჭდება).

90 Irakli Paghava, "Economic Colonialism and National Aspirations: Monetary Circulation at the Periphery of Three Empires, Case Study of East-Georgian Kingdom of Kartl-Kakheti", In print.

91 Paghava, "Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)", 13-15.

92 ირაკლი ფაღავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის შემცველი სამონეტო კომპლექსების მეტა-ანალიზი" / Irakli Paghava, "Meta-Analysis of Monetary Complexes Comprising Sirma Tetri of the Kingdom of Kartl-Kakheti", *Scientia*, 3 (2022), 39-76.

93 ირაკლი ფაღავა, „ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა", *ენრიკო გაბიძაშვილი 90.* (რედაქტორი ნინო მელიქიშვილი) (თბილისი, 2021), 343-370.

94 ირაკლი ფაღავა, „ავშარიანთა დინასტიის საფასე კავკასიის ფულად მიმოქცევაში", *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, 2(8) (2010), 391-407; ირაკლი ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, 1(7) (2010), 515-532.

- სირმა მონეტების მიმოქცევა (ევგენი პახომოვი, პაატა გუგუშვილი, რევაზ ქებულაძე, ირაკლი ფაღავა);
- სირმა თეთრის მინაბაძები (ევგენი პახომოვი, დავით კაპანაძე, ალექსანდრე აკოპიანი, ირაკლი ფაღავა);
- სირმა თეთრი, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს ზოგადი ეკონომიკური და ფულადი ისტორიის კომპონენტი (ნიკოლოზ ქოიავა, ირაკლი ფაღავა).

მიუხედავად უკვე შესრულებული სამუშაოსი, სირმა თეთრთან დაკავშირებული ყველა საკითხის, ისევე, როგორც, საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი ისტორიის სრულად და სრულყოფილად განხილვა-ანალიზი, მაინც, სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ამ ეტაპზე, შეძლებისდაგვარად, ვცადეთ მაინც, წინარე მკვლევართა მიღწევები შეგვეჯამებინა და, საკუთარ მიგნებებთან ერთად, ერთიანი, კომპლექსური ნაშრომის სახით წარმოგვედგინა. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე მონოგრაფია ერთგვარად აჯამებს 2023 წლამდე გაკეთებულს. ამასთანავე, გვჯერა, რომ ახალი მონაცემებიც გამოჩნდება, და სირმა თეთრის კვლევა მომავალშიც გაგრძელდება.

## თავი II. ნუმიზმატიკური კონტექსტი

არ იქნებოდა გამართლებული, სირმა თეთრი ქართლ-კახეთის სამეფოსა და რეგიონის სამონეტო ტრადიციებისა და რეალიებისგან იზოლირებულად განგვეხილა.

სირმა თეთრის, როგორც ფენომენის, გააზრებისთვის, აუცილებელია ქართლ-კახეთში ამ ახალი ტიპის მონეტების ემისიის დაწყებამდე არსებული მდგომარეობის გათვალისწინება; ანალიზი, თუ რამ განაპირობა სირმა თეთრის გაჩენა, და მისი მახასიათებლები. სირმა ვერცხლი არარაობიდან არ წარმოშობილა. მას წინ უძღოდა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რეგიონში სხვადასხვა საფასის მიმოქცევა; თბილისის ზარაფხანაში სხვა ტიპის ვერცხლისა და ოქროს საფასის გამოშვება; ნაირნაირი ტიპის სპილენძის ფულის მოჭრაც. სირმა თეთრი სრულიად კონკრეტული მონეტარულ-ფულადი პარადიგმის ფარგლებში ჩაისახა, და, ასე ვთქვათ, ეპოქისა და რეგიონის ღვიძლი შვილი იყო.

მონეტარულ-ფულად პარადიგმაში ვგულისხმობთ რეგიონში, და კერძოდ, ქართლ-კახეთში, XVIII საუკუნის 50-იანი — 60-იანი წლებისთვის ჩამოყალიბებულ ფულად სისტემას და მის მატერიალურ გამოხატულებას — მიმოქცევაში მყოფ მონეტებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივად იყო მოჭრილი, უმეტესი ნაწილი კი, ერთი და იგივე, ირანულ სტანდარტს მიეკუთვნებოდა.

უპრიანი იქნება, განვიხილოთ ქართლ-კახეთის სამეფოსთვის დამახასიათებელი, რეალურად გამოშვებული მონეტების ნომინალური ღირებულება და საანგარიშო სისტემა; საზოგადოდ, ადგილობრივი სამონეტო ბაზარი. სირმა თეთრის ბუნების გასარკვევად აუცილებლად განსახილველია სეფიანური სამონეტო ტრადიციების მქონე რეგიონში სხვადასხვა ლითონისგან დამზადებული საფასის განსხვავებული სტატუსი და როლი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია საფასის გამოშვების ადგილობრივი ტრადიციაც, — ადგილობრივად, ქართლისა და კახეთის სამეფოებში საკუთარი (ორიგინალური, თუ, არაორიგინალური) საფასის გამოშვების ისტორიას ვგულისხმობთ. რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მონეტის მოსაჭრელად ვარგისი ლითონების (სპილენძის, ვერცხლის, ოქროს) ხელმისაწვდომობასაც.

საკუთარი მონეტის (ქაღალდის ფულის შემოღებამდე, ფულის, სხვადასხვა დერივატს თუ არ ჩავთვლით, ფაქტობრივად, ერთადერთი სახეობის) გამოშვების მოტივაცია, მათ შორის, ქართლ-კახეთის სამეფოს შემთხვევაშიც, შეიძლება ყოფილიყო როგორც ეკონომიკური, ასევე, არაეკონომიკური.

*ეკონომიკურ* მოტივს წარმოადგენდა, მაგალითად, ხელისუფლების გათვითცნობიერებული მოთხოვნილება, ხარჯების გასასტუმრებლად ნაღდი ფული ეშოვა; ამგვარი საჭიროების შემთხვევაზე გვიყვება პაპუნა ორბელიანი, რომლის თანახმადაც, ჯარისთვის ჯამაგირის მისაცემად ქართველმა მონარქებმა

„გამოიტანეს ... თვისსა სალაროთი" ოქროსა და ვერცხლის „იარაღი" (ჭურჭელი?) და „მისცეს ზარაფხანაში".[95]

დამატებითი მოტივი შეიძლება ყოფილიყო, საზოგადოდ, ხელისუფლების ვალდებულება, თავისი სახელმწიფოს მოსახლეობა ფულით უზრუნველეყო, რის გარეშედაც ეკონომიკური განვითარება სათუო იქნებოდა (ექსკლუზიურად მონეტის იმპორტზე დამოკიდებულება შეზღუდავდა ხელისუფლების შესაძლებლობებს, ეკონომიკური სიტუაცია გაეკონტროლებინა).

რასაკვირველია, ტრადიციულ და მძლავრ მოტივს წარმოადგენდა ხელისუფლების სურვილი, საფასის გამოშვებით დამატებით მოგებაც ენახა.

*არაეკონომიკური* მოტივებიდან შეგვიძლია დავასახელოთ საკუთარი სამონეტო რეგალიის გამოყენების სურვილი. საკუთარი საფასე, როგორც იმდროინდელი მასმედიის საშუალება, ხელისუფალს, მონარქს, თავისი თავის პოზიციონირებაში დაეხმარებოდა, სახელმწიფოს შიგნით თუ გარეთ (ქართლ-კახეთის სამეფოს შემთხვევაში, სპილენძის საფასეზე მაინც; ძვირფასი ლითონის საფასე ხომ, როგორც დავინახავთ, ანონიმური უნდა ყოფილიყო); შესაძლებელი იქნებოდა დონატიური თუ მემორიალური მონეტების გამოშვება; დაკმაყოფილდებოდა, სხვა თუ არაფერი, მონარქის *ეგო*.

ახლად შექმნილი, ახლად გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს მონარქებიც, თეიმურაზ II და ირაკლი II გამოწვევის წინაშე დადგნენ, საკუთარი საფასე გამოეშვათ.

როგორი შეიძლება ყოფილიყო ეს საფასე? მოსალოდნელი იქნებოდა, რომ, დასაწყისში მაინც, ირანულ ყაიდაზე მოეჭრათ. ქართლიც და კახეთიც ხომ XVI საუკუნიდან სეფიანთა ირანის ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ; და ეს ზეგავლენა სამონეტო საქმესაც დაეტყო.

ირანის ფულად სისტემაში (და მისი ზეგავლენის სფეროში) პრაქტიკულად, ვერცხლის მონომეტალიზმი იყო გაბატონებული; ვერცხლის ფული წარმოადგენდა ღირებულების საზომს, ანგარიშსწორებისა და დაგროვების საშუალებას.[96] ვერცხლის პარალელურად იჭრებოდა სპილენძის ფულიც (დამახასიათებელი იყო, პერიოდულად, renovatio monetae), რომელიც, როგორც წესი, ანონიმურად იჭრებოდა, და რომლის გამოშვებაც ადგილობრივი მმართველების პრეროგატივას (და შემოსავლის წყაროს) წარმოადგენდა.[97] ძვირფასი ლითონის სამონეტო ემისიას კი შაჰის ცენტრალური ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა; ოქრო-ვერცხლის მონეტებზე ზედ აუცილებლად

95 პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1981), 196.

96 Rudi Matthee, Willem Floor, Patrick Clawson, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars* (London-New York: I.B.Tauris, 2013), 2, 34, 150-176, 223.

97 თინათინ ქუთელია, *ირანული სპილენძის ფულის კატალოგი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მიხედვით)* (თბილისი: მეცნიერება, 1990), 6-7; Matthee, Floor, Clawson, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars*, 25-30. ბუნებრივია, სპილენძის მონეტებიც გარკვეული წონითი სტანდართით იჭრებოდა; სხვა ამბავია, რომ ეს სტანდარტი ემისიის სხვადასხვა ცენტრში განსხვავებული იქნებოდა. Cf. იქვე, 25.

და ექსკლუზიურად მმართველი შაჰის სახელი უნდა ყოფილიყო მითითებული (რომელიც, ამგვარად, *სიქეს* უფლებით სარგებლობდა); სხვა თანადროული მმართველის მითითება კი აკრძალული იყო[98] (ზურგის შიიტურ ფორმულაში მიეთითებოდა, ბუნებრივია, მუჰამმადისა და ʻალის სახელები). ოღონდ, ოქროს მონეტები ძალიან იშვიათად იჭრებოდა და მათი როლი ეკონომიკურ ცხოვრებაში საკმაოდ შეზღუდული იყო.[99] სისტემა ძალაში დარჩა სეფიანთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგაც, იმ მცირედი განსხვავებით, რომ კავკასიის რეგიონში აღმოცენებულ მცირე სახელმწიფოთა სპილენძის მონეტები აღარ წარმოადგენდნენ ადგილობრივ მმართველთა მიერ გამოშვებულ შავ ფულს, არამედ ამ მცირე პოლიტიკურ ერთეულთა ოფიციალურ ფულად გარდაქმნა დაიწყეს (რაც მათ გაფორმებასაც დაეტყო).[100] თუმცა, გაბატონებული ადგილი კვლავინდებურად ვერცხლის საფასეს ეკავა.

XVIII საუკუნისთვის ვერცხლის მონომეტალიზმზე დამყარებული ფულადი სისტემის ქვაკუთხედს, წამყვან ნომინალს, წარმოადგენდა ე.წ. *ʻაბბასი*, იგივე ქართული *აბაზი*. ის რეალურ მონეტას წარმოადგენდა, რომელიც შაჰ ʻაბბას I-ის მიერ ჩატარებული რეფორმის შემდეგ გაჩნდა, მის სახელს ატარებდა, და, კავკასიის რეგიონში, XIX საუკუნეში ქართლ-კახეთის სამეფოსა და სახანოების რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობა-ანექსიამდე იჭრებოდა. ასევე იჭრებოდა ʻაბბასის / აბაზის ფრაქციები თუ *მრავალმაგები*[101] — უზალთუნი, იგივე მუჰამმადი / მაჰმუდი და შაური; აბაზნახევრიანი, ან სამაბაზიანი (მაგრამ, წონითი სტანდარტი, ანუ, შესაბამისი ნომინალის მონეტების მასა იცვლებოდა, მცირდებოდა). ვერცხლთან შესაბამისობაში იყო მოყვანილი ასევე, რამდენიმე ნომინალად წარმოდგენილი, სპილენძის ფულიც. გავრცელებული იყო შემდეგი საანგარიშო[102] ფულადი ერთეულები: *თუმანი* (მაქსიმალური ფულადი ერთეული) და *მინალთუნი*; უკნინეს საანგარიშო ფულად ერთეულს კი წარმოადგენდა *დინარი/ალთუნი*, რომელსაც აგრეთვე არ გააჩნდა მონეტარული შესატყვისი; ყველაზე მცირე რეალურ ნომინალებს შეადგენდა *ფული* და *ნახევარი ფული* (იჭრებოდა სპილენძში; სპილენძის უფრო ხშირი ნომინალები იყო *ბისტი* და *ნახევარი ბისტი* — იგივე *ორი ფული*); ვერცხლის უკნინესი ნომინალი კი — *შაური* და *ბისტი* იყო. სეფიანთა ეპოქაში ეს უკანასკნელი უფრო დონატივს წარმოადგენდა, და ნოვრუზზე დასარიგებლად იჭრებოდა, მათ შორის, საქართველოშიც (ქართლის სამეფოში).[103] შემდგომში,

---

98 ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხს თინათინ ქუთელია შეეხო. Тинатин Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)* (Тбилиси: Мецниереба, 1979), 26-27.

99 Matthee, Floor, Clawson, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars*, 30-33.

100 Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 208-211.

101 ამ ტერმინით საბაზისოზე რამდენჯერმე მეტი ნომინალური ღირებულების მქონე მონეტას აღვნიშნავთ; ფაქტობრივად, *ფრაქციის* ანტონიმია. ვფიქრობთ, მოსახერხებელია.

102 რომელსაც არ ქონდა შესატყვისი რეალურად არსებული მონეტის სახით.

103 Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)*, 45-46; ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*,

საფიქრებელია, ‘აბბასის / აბაზის დევალვაციასთან დაკავშირებით, ნოვრუზზე დასარიგებლად უკვე შაჰის / შაურის ღირებულების მონეტებსაც იყენებდნენ (იმეტებდნენ).[104] ამგვარი, 1 დანგამდე დაკნინებული მასის მონეტები ქართლ-კახეთის სამეფოშიც იჭრებოდა[105] (გასარკვევია, თუ რა როლს თამაშობდნენ ისინი სამონეტო მიმოქცევაში. ეს საკითხი შედარებით დაწვრილებით ქვემოთ გვაქვს განხილული; იხ. თავი IX).

ქართლ-კახეთის სამეფოში სხვადასხვა საანგარიშო და რეალურ ფულად ერთეულებს შორის თანაფარდობა ცხრილის სახით მოგვყავს (ცხრილი 1).

ცხრილი 1. ფულადი სისტემა ქართლ-კახეთის სამეფოში (1744-1801)

| | | მინალთუნი | 1½ აბაზი | აბაზი | უზალთუნი | შაური | ბისტი | ½ ბისტი | ფული | ½ ფული | დინარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ***თუმანი*** | = | 10 | $^{100}/_3$ | 50 | 100 | 200 | 500 | 1,000 | 2,000 | 4,000 | 10,000 |
| ***მინალთუნი*** | = | | $^{10}/_3$ | 5 | 10 | 20 | 50 | 100 | 200 | 400 | 1,000 |
| **1½ აბაზი** | = | | | 1.5 | 3 | 6 | 15 | 30 | 60 | 120 | 300 |
| **აბაზი**[i] | = | | | | 2 | 4 | 10 | 20 | 40 | 80 | 200 |
| **უზალთუნი** | = | | | | | 2 | 5 | 10 | 20 | 40 | 100 |
| **შაური** | = | | | | | | 2.5 | 5 | 10 | 20 | 50 |
| **ბისტი** | = | | | | | | | 2 | 4 | 8 | 20 |
| **½ ბისტი** | = | | | | | | | | 2 | 4 | 10 |
| **ფული** | = | | | | | | | | | 2 | 5 |
| **½ ფული** | = | | | | | | | | | | 2.5 |

i — ცხრილში არ არის შეტანილი ისეთი შედარებით ეგზოტიკური ნომინალი, როგორიცაა იბრაჰიმ ავშარიანის სახელით მოჭრილი სამაბაზიანი (მარჩილი).

---

33-34; ფალავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 240, სქოლიო 179.

104 იქვე, 238-241.

105 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 40-41; ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 33-34; ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 238, 240-241.

კურსივით აღნიშნულია *საანგარიშო ერთეულები*. რეალურად არსებული ფულადი ერთეულები ჩამოთვლილია მათი *ნომინალური* ღირებულების მიხედვით; თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათი *რეალური* ღირებულება დროთა განმავლობაში იცვლებოდა, კერძოდ, განისაზღვრებოდა ძვირფასი ლითონის შემადგენლობით, რომელიც ცვალებადი იყო, — სავარაუდოდ, სტაბილურად მაღალი სინჯის გათვალისწინებით, — მასის ცვალებადობის ხარჯზე.

XVIII საუკუნეში თბილისის ზარაფხანის, კერძოდ, ქართლისა და ქართლ-კახეთის სამეფოების მიერ გამოშვებული ვერცხლის მონეტების (ცვალებადი) წონითი სტანდარტი და ნომინალთა სისტემა დამატებით კიდევ ერთ ცხრილშია შეჯამებული (ცხრილი 3).

მონეტებზე ზედწერილები სპარსულად და არაბულად კეთდებოდა (მხოლოდ თბილურ შავ ფულზე ქართლელმა ბაგრატიონებმა დაიწყეს საკუთარი სახელის დაქარაგმებულად მითითება), მონეტის ცალი მხარე შიიტურ რელიგიურ ფორმულას ეთმობოდა (ოსმალური მონეტებისა და ავშარული მონეტების ნაწილის გარდა, სადაც ემიტენტის განმადიდებელი ამა თუ იმ ფორმულით ჩაანაცვლეს; შავ ფულზე კი რაიმე გამოსახულებას ათავსებდნენ).

ქართლსა და კახეთში საკუთარი საფასის გამოშვების ადგილობრივი ტრადიციები სრულად თავსდება ზემოთ აღწერილ ირანულ სამონეტო პარადიგმაში.

კახეთის სამეფოს (ეკონომიკური, შესაძლოა, ასევე, პოლიტიკური[106]) დედაქალაქი ბაზარი (ზაგემი) მონეტას ჭრიდა, ყველაზე ცოტა, ჰ. 960 (1552/3) წლიდან,[107] ვიდრე 1670-1680-იან წლებამდე;[108] საფასე ასევე იჭრებოდა კახეთის სამეფოსა თუ ელისუს სასულთნოს (რომელიც კახეთის ტერიტორიაზე აღმოცენდა) კუთვნილ ქართულ ქალაქ კაკშიც (ქახედი, ქახეთაბადი); გამოქვეყნებულია შაჰ ʻაბბას I-ის სახელით მოჭრილი ʻაბბასიანი / აბაზიანი, რომელიც ჰ. 1031 (1623/4) წლით არის დათარიღებული.[109] ვერცხლის მონეტები ისლამური (სეფიანური თუ ოსმალური ტიპის) იყო, სპილენძის კი — ირანისთვის დამახასიათებელ ქალაქურ შავ ფულს წარმოადგენდა.[110]

---

106 Irakli Paghava, "The Georgian City of Bazari (Zagam) According to Numismatic Data", *Al XVI-lea Simpozion de Numismatică. Programul şi Rezumatele Comunicărilor. Chişinău, 22-23 septembrie 2016* (Chişinău: Muzeul Naţional de Istorie a Moldovei, 2016), 42-44.

107 Irakli Paghava, Kirk Bennett, "The Earliest Date for the Kingdom of K'akheti Silver Issues of the 16th Century", *Journal of Oriental Numismatic Society*, 225 (2015), 25-26.

108 ირაკლი ფაღავა, „სეფიანებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან — კახეთის ქალაქი ბაზარი (ზაგემი) XVII-XVIII საუკუნეებში (ნუმიზმატიკური და წერილობითი მონაცემებით)", *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* VII (2013), 218-226. ნაშრომი მოძველდა; ახალი მონაცემების პუბლიკაციისა და გაპარული შეცდომების გასწორების მიზნით ვაპირებთ განახლებული სახით ხელახლა გამოვცეთ.

109 Irakli Paghava, "Kākhetābād, a New Georgian-Safavid Mint", *Journal of Oriental Numismatic Society* 235 (2019), 23-25; Irakli Paghava, "K'ak'i, Georgian Urban Center: The Numismatic History", *G. Tsereteli Institute of Oriental Studies _ 60. Selected Papers 1960-2020* (Tbilisi: Ilia State University, 2020), 474-489. დღეისთვის ცნობილი გახდა იმავე ნომინალის, იმავე ტიპის, და იმავე თარიღის მატარებელი კიდევ სამი ეგზემპლარი (ორი გაიყიდა სტივენ ალბუმის აუქციონზე, ერთი კი საქართველოში ამოტივტივდა).

110 Paghava, "K'ak'i, Georgian Urban Center: The Numismatic History", 474-489.

ქართლის სამეფოს წამყვანი (ერთადერთი?) და ყველაზე სტაბილურად მოქმედი თბილისის ზარაფხანა ჯერ კიდევ ჰ. 85 წელს ამუშავდა (704/5), თუმცა, ჩვენთვის საინტერესო ეპოქასთან უფრო ახლოა სეფიანური ტიპის მონეტების ემისია, რომელიც ჰიჯრის 986 (1578/9) წელს დაიწყო,[111] შემდეგ, შაჰ 'აბბას I-ის ზეობაში განახლდა, და, მეტ-ნაკლებად უწყვეტად, 1722-1723 წლამდე გრძელდებოდა.[112] ოსმალობის დაწყებისთანავე, თბილისის ზარაფხანა ოსმალური საფასის გამოშვებაზე გადავიდა;[113] შემდეგ, ნადერ-შაჰის სახელით ჭრიდა მონეტებს (დასაწყისში, ნომინალური სეფიანი შაჰის, 'აბბას III-ის სახელით);[114] ვიდრე ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფო შეიქმნებოდა.

გასათვალისწინებელია არა მარტო ადგილობრივად გამოშვებული მონეტები, არამედ ადგილობრივი სამონეტო ბაზარიც — თუ რა მიმოიქცეოდა ქართლისა და კახეთის სამეფოების ტერიტორიაზე მათ გაერთიანებამდე, რა საფასეს იყო დაჩვეული მოსახლეობა თუ მმართველი ელიტა. ირკვევა, რომ ადგილობრივ ბაზარზე ვერცხლი წარმოდგენილი იყო გვიანსეფიანური ემისიებით, ასევე, ოსმალური და ნადერ-შაჰის მონეტებით; ამას ადასტურებს როგორც ცალკეული მონეტების აღმოჩენის მრავალრიცხოვანი ფაქტები, ასევე თანადროულ ავტორთა დატოვებული ცნობები.[115] სხვა სახის ვერცხლი აღმოსავლეთ საქართველოში, შეიძლება ითქვას, აღარ შემოდიოდა — ევროპული ტალერული მონეტის, ისევე როგორც ვერცხლის მცირე ნომინალების

111 ირაკლი ფაღავა, „1578: თბილისში სეფიანური საფასის მოჭრა და საქართველოში ლალა მუსტაფა ფაშას შემოჭრა", *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* XI (2018), 324-332.

112 Тинатин Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)*, 25-45.

113 მერი ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით* (თბილისი: მეცნიერება, 1982), 122-127; ირაკლი ფაღავა, „ოსმალური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობა ახალი ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით", *კონსტანტინე ფაღავა 90.* რედ. ლ. ჟორჟოლიანი, მ. კვაჭაძე (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012), 133-139.

114 Тинатин Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)*, 45-46; ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 515-532; ევგენი ჭანიშვილი, „ნადირ შაჰის ახალი საფასე", *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები. სპეციალური გამოშვება. შოთა მესხია — 100* (თბილისი, 2016), 352-357.

115 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и Закавказья*, 32-33; გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 232-237; ქოიავა, „საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში", 85; ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით*, 76-81, 112-113, 120-122; Paghava, "Economic Colonialism and National Aspirations: Monetary Circulation at the Periphery of Three Empires, Case Study of East-Georgian Kingdom of Kartl-Kakheti". ახალი მონაცემების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ავშარული საფასე საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონებში იმაზე ბევრად უფრო ინტენსიურად მიმოიქცეოდა, ვიდრე ეს ადრე გვეგონა. ფაღავა, „ავშარიანთა დინასტიის საფასე კავკასიის ფულად მიმოქცევაში", 395, 400-401, 405.

შემოსვლა უკვე XVII საუკუნეში შეწყდა.[116] წვრილ აღებ-მიცემობას, როგორც ჩანს, ქართლის მეფეების (თბილისის ზარაფხანის) შავი ფული ემსახურებოდა — როგორც ქართლში, ასევე, ნაწილობრივ მაინც, კახეთში.[117] ოქრო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამხმარე როლს თამაშობდა — მოსახლეობისთვის ნაცნობი იქნებოდა როგორც ოსმალური ოქროს მონეტები, ასევე, ევროპული, ვენეციური ცეხინები თუ ჰოლანდიური დუკატები.[118]

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საფასის იურიდიულ-დეკლარაციული ბუნებიდან გამომდინარე (ქართლ-კახეთის სამეფოს მეტ-ნაკლებად დაქვემდებარებული და, უთუოდ, საფრთხილო საგარეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით), ირანული ტრადიციის პარადიგმაში მოქმედების პირობებში — მოსალოდნელი იყო, ქართლ-კახეთის სამეფოს საკუთარი საფასე ირანული ყაიდის ყოფილიყო — სეფიანური თუ პოსტსეფიანური სისტემის მიხედვით მოჭრილიყო.[119] ასე მოხდა კიდეც. ქართლ-კახეთის მონარქების ფულადი პოლიტიკა ძალიან ფრთხილი იყო (განსაკუთრებით, ირაკლი II-ის მიერ ჩატარებულ სამონეტო რეფორმამდე).

ქართველი მეფეები ამჯობინებდნენ რეგიონში თავისი და თავისი სახელმწიფოს მდგომარეობა ოფიციალური ირანის მხარდაჭერით[120] (თუ, უფრო, ამ მხარდაჭერის იდეით) განემტკიცებინათ; ანუ, თანმიმდევრულად ემხრობოდნენ, მოსაჩვენად მაინც, იმას, ვისაც სათანადო, ასე ვთქვათ, ლეგიტიმური წარმომავლობა ჰქონდა (ავშარიანთა დინასტიას ეკუთვნოდა; და, ზოგჯერ, ირანში გაბატონებული მდგომარეობაც ჰქონდა მოპოვებული).[121]

*

სანამ უშუალოდ სირმა თეთრზე, და მის წინამორბედ, ასევე, ქარიმ-ხანის ინვოკაციის მატარებელ საფასეზე გადავალთ, მოკლედ შევეხოთ საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო ემისიებს.

ქართლ-კახეთის სამეფოშიც ძირითად საფასეს, ჩანს, **ვერცხლი** წარმოადგენდა, — შესაძლებელია საუბარი ვერცხლის მონომეტალიზმზე თუ

116 რევაზ ქებულაძე, *ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში* (თბილისი: მეცნიერება, 1971), 108-110, 135-136.

117 Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)*, 102-105.

118 ქებულაძე, *ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*, 35-46. ძალიან საინტერესოა ასევე, მართალია, იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოსმალური და ვენეციური ოქროს მონეტების ქუთაისის განძი. იქვე, 39-40; ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით*, 83.

119 ფაღავა, „ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა", 364-365.

120 ესეც *ლეგიტიმისტური პრინციპის* დაცვა იყო. ოღონდ, ამ შემთხვევაში, რამდენადმე განსხვავებულ *ლეგიტიმიზმზეა* საუბარი. შეად. ტუხაშვილი, *რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი)*, 21-30.

121 იქვე, 22-27.

არა, ვერცხლის დომინირებაზე მაინც.[122] გამოვყოფდით სამი კატეგორიის ვერცხლის მონეტებს, დინასტიური კუთვნილების, მითითებული ემიტენტისა და ტიპის მიხედვით: ავშარული; ქარიმ-ხან ზენდის ინვოკაციით და შიიტური ფორმულით; სირმა თეთრი.

დასაწყისში იჭრებოდა ავშარიანთა დინასტიის სტანდარტული საფასე, ამა თუ იმ ავშარი დინასტის (ნადერ-შაჰის, იბრაჰიმისა თუ შაჰროხის) სახელით: მონეტები არ განსხვავდებოდა სხვა ზარაფხანების ნაწარმისგან არც მასით, არც ტიპოლოგიით; მხოლოდ მოჭრის ადგილად მიეთითებოდა *თბილისი*.[123] თბილისის ზარაფხანა ინარჩუნებდა კონტაქტს ავშარიანთა ადმინისტრაციასთან, და, გარკვეულწილად, მას ექვემდებარებოდა კიდევაც — პაპუნა ორბელიანის ცნობით,

> „გამოეგზავნა შაჰ-სულთან იბრეიმს თავის სახელზე ზარაფხანა ქალაქში და დაჰკრეს სიქა, ბრძანებისამებრ მისისა მოსჭრეს სამაბაზიანი და შაური, ფლური ოცდაათის შაურის".[124]

ამ ცნობაში, ბუნებრივია, იგულისხმება შესაბამისი, ჩანს, ცენტრალურად დამზადებული სიქების გამოგზავნა.[125] დასტურდება თბილისის ზარაფხანის მუშაობაზე, ნაწარმის დიზაინზე მაინც, ცენტრალური ავშარული ხელისუფლების ზეგავლენა (სურ. II.1). საყურადღებოა, რომ იმავე, ჰ. 1162 წელს განჯის ზარაფხანამაც (სახანომ) მოჭრა მონეტა იბრაჰიმის სახელით (სურ. II.2).

საყურადღებოა პაპუნა ორბელიანის მეორე ცნობაც, რომლის მიხედვითაც, თეიმურაზ II და ირაკლი II ზარაფხანას დიდ შეკვეთას აძლევენ:

> „გამოიტანეს მეფეთა ჩვენთა თვისსა სალაროთი ოქროსა და ვერცხლის იარაღი, მისცეს ზარაფხანაში, მოაჭრევინეს ფლური და თეთრი და აძლევდენ ჯარსა, ცდილობდენ კვლავ შეყრას ჯარისასა".[126]

---

122 ქოიავა, „საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში", 76-78; ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 11-12.

123 Пахомов, *Монеты Грузии*, 231-235; ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 528-529.

124 პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 154.

125 ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 525-526.

ცნობილია მოხსენიებული სამაბაზიანი და შაური; ხშირად გვხდება აბაზიანიც; „ფლური ოცდაათის შაურის" კი დღემდე უცნობია. იქვე, 518. ამ ნომინალის *ოქროს* (რომლის აღმოჩენის შემთხვევებიც, საზოგადოდ, იშვიათობაა) მონეტები დღემდე არ არის ნაპოვნი. პაპუნა ორბელიანის მიერ „ფლურის" მოხსენიება ერთგვარი მეტაფორა ხომ არ არის, და ისტორიულ რეალიას თუ შეესაბამება?

126 პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 196.



სურ. II.1. ქართლ-კახეთის სამეფო, იბრაჰიმ ავშარის სახელით, თბილისი, აბაზი, ჰ. 1162 წ.



სურ. II.2. განჯის სახანო, იბრაჰიმ ავშარის სახელით, განჯა, ʻაბბასი, ჰ. 1162 წ.

თუმცა, ამ ცნობიდან მაინცდამაინც არ ჩანს, ზარაფხანა მათ დაქვემდებარებაშია, თუ არა.

1744 წლის შემდგომ პერიოდში,[127] რომელიც უკვე შეიძლება ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკურ ისტორიას მივაკუთვნოთ, თბილისის ზარაფხანაში ავშარიანთა სახელით მოიჭრა შემდეგი მონეტები:[128]

ნადერ-შაჰის სახელით, ჰ. 1159 წლის (1746/7) ნადერი / რუფია, D ტიპის, წონითი სტანდარტით 1 თუმანი = 1200 მუხუდოს (ექვსდანგიანი / 4.61-გრამიანი ʻაბბასი);

ჰიჯრის 1162 წლით (1748/9) დათარიღებულ ნადერიზე / რუფიაზე ჯერ კიდევ 1747 წელს გარდაცვლილი ნადერ-შაჰის სახელი, ჩვენი აზრით, შეგნებულად აღნიშნეს - ტირანის მკვლელობის შემდგომი პოლიტიკური არასტაბილურობის გათვალისწინებით, ერთგვარი დიპლომატიური ფანდის სახით; ანუ, ეს არ არის უფრო ადრე, ნადერის ზეობაში მცდარი თარიღით მოჭრილი მონეტა;[129]

იბრაჰიმის სახელით, ჰიჯრის 1162 წლის (1748/9) 3 ʻაბბასი, ʻაბბასი (აბაზი) და შაჰი (შაური), A, B და D ტიპის, წონითი სტანდარტით 1 თუმანი = 1200 მუხუდოს (ექვსდანგიანი / 4.61-გრამიანი ʻაბბასი);[130]

შაჰროხის სახელით, მისი II და III ზეობის დროს, ჰიჯრის 1162-1165 (1748/9-1751/2), შემდეგ კი 1169-1170 (1755/6-1756/7) წლებში იჭრებოდა ʻაბბასი (აბაზი), მუჰამადი / უზალთუნი და შაჰი (შაური), წონითი სტანდარტით 1 თუმანი = 1200 მუხუდოს (ექვსდანგიანი / 4.61-გრამიანი ʻაბბასი).[131]

---

127 ჰ. 1156 წლით დათარიღებული შაური (ჭანიშვილი, „ნადირ შაჰის ახალი საფასე", 352-357) უფრო 1743 წელს უნდა იყოს მოჭრილი. ჰ. 1156 წელი დაიწყო 1143 წლის 25 თებერვალს და დასრულდა 1744 წლის 14 თებერვალს.

128 Пахомов, *Монеты Грузии*, 231-235; ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 528-529.

129 Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 215.

130 Пахомов, *Монеты Грузии*, 233-234; ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 529.

131 Пахомов, *Монеты Грузии*, 234-235; ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პე-

ავშარიანთა სახელით მოჭრილ საფასეს ჩაენაცვლა ქარიმ-ხან ზენდთან ალუზიის შემცველი საფასე, შიიტური რელიგიური ფორმულით.[132] ეს მონეტები უშუალო კავშირშია სირმა თეთრთან (რომელზედაც ასევე მოიხსენიება *ქარიმი*); მათი გაჩენა ასახავს ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთქმედებას ახალგაჩენილ საგარეოპოლიტიკურ და -სამხედრო ფაქტორთან; ვგულისხმობთ ნადერ-შაჰის სიკვდილის შემდგომ ირანში გაჩაღებულ ომებში ქარიმ-ხან ზენდის გამარჯვებას და მისი გავლენის სფეროს არეზამდე განვრცობას.

ირაკლი II-ის ურთიერთობა ქარიმ-ხან ზენდთან, რაც ასახეს როგორც ზემოთ აღნიშნულმა მონეტებმა, ასევე სირმა თეთრმა, ჩვენი საკვლევი თემისთვის იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მას შემდეგ თავს მთლიანად დავუთმობთ.

სირმა ვერცხლის ფენომენის უკეთ გააზრებისთვის, აუცილებლად გვეჩვენება, თუნდაც მოკლედ, ასევე, სხვა ლითონებში მოჭრილი საფასეც განვიხილოთ.

ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკურ ისტორიას შეიძლება მივაკუთვნოთ თბილისში მოჭრილი ავშარული ტიპის რამდენიმე **ოქროს** მონეტაც, რომელმაც დღემდე მოაღწია, ან რომლის შესახებადაც რაღაც ცნობები შემოინახა.

სახელმწიფო ერმიტაჟში (რუსეთის ფედერაცია) ინახება შაჰროხის თბილისში მოჭრილი მეოთხედი მოჰურ აშრეფი (2.69 გ), დათარიღებული ჰიჯრის 1160(?) წლით (1747/8).[133] ჩვენთვის ცნობილია კიდევ ერთი ეგზემპლარი (2.68 გ), რომელიც საქართველოში, კერძო კოლექციაში ინახება.

პაპუნა ორბელიანის ზემოთ ციტირებული ცნობით, „შაჰ-სულთან იბრეიმის" გამოგზავნილი სიქებით („ზარაფხანის" გამოგზავნა, ვფიქრობთ, სწორედ სიქების გამოგზავნას ნიშნავდა[134]) თბილისში ვერცხლის მონეტასთან ერთად მოიჭრა „ფლურიც ოცდაათის შაურის".[135] ცნობა დაუთარიღებულია, თუმცა, ვიცით, რომ იბრაჰიმ ავშარიანის ზეობის წლებია ჰიჯრის 1161-1162 (1748-1749); მისი სახელით თბილისში მოჭრილი ჩვენთვის ცნობილი ყველა მონეტა კი ჰიჯრის 1162 წლით (1748/9) არის დათარიღებული.[136] საფიქრებელია, „ფლურიც", თუკი არსებობდა, იგივენაირად უნდა ყოფილიყო დათარიღებული.[137]

---

რიოდი)", 529; Bennett, *A Catalog of Georgian Coins*, 269-270.

132 Пахомов, *Монеты Грузии*, 235-236.

133 ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 529; ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 202, სქოლიო 3.

134 ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 525-526.

135 პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 154.

136 Пахомов, *Монеты Грузии*, 233-234.

137 ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 207.

„ფლური" ნახსნებია პაპუნა ორბელიანის სხვა ცნობაშიც,[138] რომელიც დაუთარიღებელია, მაგრამ, კონტექსტის მიხედვით, დაახლოებით 1752-1753 წლებით (ჰიჯრის 1165-1167?) უნდა დათარიღდეს. მაგრამ, ამ თარიღით თბილისური ოქროს მონეტები ჩვენთვის უცნობია.[139]

ქართლ-კახეთში ოქროს საფასე პოსტავშარულ პერიოდშიც იჭრებოდა.

დღეისთვის უკვე დადგინდა, რომ ე.წ. „ერეკლეს ჩერვონცები" — ირაკლი II-ის სპილენძის მონეტის მოსაჭრელად განკუთვნილი სიქის (ერთთავიანი არწივის გამოსახულებითა და თარიღით „1796") და სირმა აბაზის მოსაჭრელად განკუთვნილი (ჰ. 1203 წლით / 1788/9 დათარიღებული) სიქის გამოყენებით, *ელექტრუმში* მოჭრილი *ჰიბრიდული მონეტა* (ცნობილია ორ ეგზემპლარად), — სინამდვილეში, რუსული ნუმიზმატიკური ისტორიისთვის (თუ რუსეთის იმპერიაში მონეტების კოლექციონერობის ისტორიისთვის) დამახასიათებელ ე.წ. „ნოვოდელს" წარმოადგენს („ნოვოდელები" წარმოადგენს კოლექციის შესავსებად განკუთვნილ მონეტისმაგვარ არტეფაქტებს, რომელიც ნებისმიერად შერჩეული ორიგინალური თუ ხელახლა შექმნილი სიქებით ნებისმიერად შერჩეულ შენადნობში იჭრებოდა). ჩვენთვის საინტერესო ნოვოდელები კი 1796 წლის შემდეგ, უდიდესი ალბათობით, უკვე ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიის შემდეგ დამზადდა (რაც, სხვათა შორის, ირიბად, ქართული სიქების ბედზე მიუთითებს).[140]

სამაგიეროდ, ეჭვს არ იწვევს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ირაკლი II-ისა და გიორგი XII-ის ზეობაში იჭრებოდა ოქროს მონეტის ორიგინალური ტიპი, ე.წ. *ოქროს შაური*.[141]

წვრილ აღებ-მიცემობას უზრუნველყოფდა, და ტახტის ფინანსურ ინტერესებს კარგად ემსახურებოდა **სპილენძის** საფასის საკმაოდ მოქნილი სისტემა. იჭრებოდა ორიდან ხუთ ნომინალამდე;[142] სამონეტო ტიპი პერიოდულად იცვლებოდა — რასაც თან სდევდა მონეტებზე სამონეტო ტიპის მიღების ახალი

---

138 პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 196.

139 ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 208.

140 Paghava, "The Yellow Metal Coins Ascribed to Erekle II and the Fate of Georgian Dies of the 17th-18th Century", 33-37.

141 Paghava, "The Minting of Gold Shauris in Eighteenth Century Georgia: Monetary Evidence", 15-17; Пагава, "Судьба золотых шаури грузинских царей Иракли II и Гиорги XII (опыт историко-антропологического исследования", 142-147, 171, 1920; ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 200-272.

142 ირაკლი ფაღავა, "ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე", *ჰეროლდი*, 6 (2017), 90-91, დიაგრამა 1; ირაკლი ფაღავა, "სპილენძის ღირებულება ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის მიწურულს ისტორიული საბუთების მიხედვით (თანადროული სპილენძის საფასის თვითღირებულების საკითხისთვის)", *საისტორიო კრებული,* 2 (2012), 236; Irakli Paghava, "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti", *Iranian Numismatic Studies. A Volume in Honor of Stephen Album.* Editor: Mostafa Fahfoury (Lancaster/London: Classical Numismatic Group, 2017), 250-251.

თარიღის აღნიშვნა; შუალედებში, როგორც ჩანს, მონეტები ან არ იჭრებოდა, ან, იქნებ, იჭრებოდა ბოლო სამონეტო ტიპის თარიღით — გამონაკლისია თეიმურაზ II-ისა და ირაკლი II-ის ერთობლივი ემისია: მონეტები დათარიღებულია ჰიჯრის 1166, 1168 და 1169 წლებით.[143] აღსანიშნავია ქართლ-კახეთის სპილენძის საფასის იკონოგრაფია, რომლის ევოლუცია და სემანტიკა ადრინდელ ნაშრომებში საგანგებოდ გვაქვს გაანალიზებული.[144]

შეიძლება გამოიყოს შემდეგი სამონეტო ტიპები (მითითებულია სამონეტო ტიპის აღმნიშვნელი წამყვანი იკონოგრაფიული ელემენტი; ემიტენტის სახელი; მოჭრისა თუ სამონეტო ტიპის მიღების თარიღი):

- ლომი, თეიმურაზ II, ჰ. 1162 წ. (1748/9);
- შევარდენი წეროს ჰკორტნის (თბილისის დაარსების ლეგენდა?), თეიმურაზ II და ირაკლი II, ჰ. 1166, 1168 და 1169 წწ. (შესაბამისად, 1752/3, 1754/5 და 1755/6 წწ.);
- ბაგრატიონთა გერბი, ირაკლი II, ჰ. 1179 წ. (1165/6);
- თევზი, ირაკლი II, ჰ. 1190 წ. (1776/7);
- ორთავიანი არწივი, ირაკლი II, ჰ. 1201 წ. (1786/7), ჰ. 1201 წ. (1786/7) და 1787, ჰ. 1201 წ. (1786/7) და „1781", ჰ. 1202 წ. (1787/8) და „1781", ჰ. 1203 წ. (1788/9) და 1789, ჰ. 1203 წ. (1788/9) და „1781", ჰ. 1206 წ. (1791/2) და 1791;
- ცალთავიანი არწივი, ირაკლი II, ჰ. 1210 წ. (1795/6) (ან "12010") და 1796 წ.;
- თევზი, გიორგი XII, ჰ. 1213 წ. (1798/9);
- ფარშევანგი, temp. დავით ბატონიშვილი / რუსული მმართველობა, ჰ. 1215 წ. (1800/1).

*

ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის (და ოქროს) საფასის რეფორმირება უკავშირდება რეგიონის პოლიტიკურ სარბიელზე ქარიმ-ხან ზენდის ამოქმედებას. შემდეგი თავის სწორედ ამ ახალ ფაქტორს ეძღვნება.

143 Пахомов, *Монеты Грузии*, 258-259; Евгений Пахомов, *Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII в.в.* (Баку, 1928), 99-100; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 151, 157; Капанадзе, "Комментарии", 343, К стр. 259.

144 ფაღავა, "ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე", 90-97; Paghava, "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti", 251-253.

# თავი III. ურთიერთობა ქარიმ-ხან ზენდთან

სირმა თეთრზე, როგორც დავინახავთ, მითითებულია ინვოკაცია *ჲა, ქარიმ*, ორლესული გამონათქვამი, რომელიც, ნომინალურად, ალლაჰის ერთ-ერთ სახელს წარმოადგენს, მეორე მხრივ კი, ზენდი მმართველის, ქარიმ-ხანის რამდენადმე შენიღბულ მოხსენიებას წარმოადგენს:[145]

يا كريم

*ჰოი, ქარიმ / ჰოი, მოწყალეო*

აღნიშნული ინვოკაცია დამახასიათებელია სწორედ ქარიმ-ხან ზენდის საფასისათვის.[146] გასაგებია, რომ თბილურ მონეტებზე მისი გაჩენა შემთხვევითი ვერ იქნებოდა. ისტორიული ფაქტების განხილვა გვარწმუნებს, რომ ამ ინვოკაციის მოთავსება თბილისის (და სხვა რეგიონული ზარაფხანების) სამონეტო ნაწარმზე უბრალო მიმბაძველობით ვერ აიხსნება; ეს ქმედება ქართლ-კახეთის სამეფოს (და კავკასიის სახანოების) ქარიმ-ხანთან გეოპოლიტიკური ურთიერთკავშირის ამსახველია.

ამრიგად, სირმა საფასის ანალიზი არასრულფასოვანი იქნება, თუ არ განვიხილავთ ქართლ-კახეთის სამეფოს ქარიმ-ხან ზენდთან ურთიერთობას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ *ჲა, ქარიმ* თბილურ ვერცხლის მონეტებზე ჯერ კიდევ სირმა თეთრის გამოშვებამდე რამდენიმე წლით ადრე გაჩნდა. ჰიჯრის 1177 (1763/4), 1178 (1764/5) და 1179 (1765/6) წლებში თბილისის ზარაფხანა უშვებდა მონეტებს ინვოკაციით *ჲა, ქარიმ*, და შიიტური რელიგიური ფორმულით;[147] ამრიგად, ამ მონეტებს სხვანაირი, სირმა თეთრისგან განსხვავებული დიზაინი (და, შესაბამისად, იდეოლოგიური დატვირთვა) ჰქონდათ. ერთი მხრივ, ისინი სირმა თეთრის უშუალო ნუმიზმატიკურ წინამორბედს წარმოადგენდნენ, სირმა თეთრის გენეზში მონაწილეობდნენ, და მათი განხილვის გარეშე სირმა ვერცხლის კვლევაც არასრული იქნებოდა. მეორე მხრივ კი, ინვოკაციის *ჲა, ქარიმ*, და შიიტური რელიგიური ფორმულის მატარებელი მონეტები, როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოს ქარიმ-ხანთან ურთიერთქმედების შედარებით ადრეულ ეტაპს ასახავს.

ზემოთქმულის საფუძველზე, საგანგებოდ განვიხილავთ ჰიჯრის 1177-1179 წლების ვერცხლის საფასეს, ასევე, საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სამეფოსთვის ქარიმ-ხანის ფაქტორის მნიშვნელობას; კერძოდ, ირაკლი II-ისა და ქარიმ-ხან ზენდის ურთიერთობას.

*

ქარიმ-ხანი ქართლ-კახეთის სახელმწიფოსთვის საგულისხმო საგარეო ფაქტორად, პირველად, როგორც ჩანს, 1760 წელს იქცა, მოჰამედ ჰასან-ხან ყაჯარის 1759 წელს დამარცხებისა და ფათალი-ხან ავშარისგან თაბრიზისა და

145 Пахомов, *Монеты Грузии*, 235-238.

146 Stephen Album, *Checklist of Islamic Coins. Third Edition* (2011), 288.

147 Пахомов, *Монеты Грузии*, 235-236.

ურმიის წართმევის შემდეგ (თუმცა, ქარიმ-ხან ზენდის ძალაუფლება მაინც არ იყო სტაბილური; ასე, მაგალითად, ზაქი-ხან ზენდის ამბოხის ჩახშობა მოუწია; ქარიმის ძალაუფლების კონსოლიდაცია მხოლოდ 1765 წლისთვის მოხდა[148]). ყოველ შემთხვევაში, ომან ხერხეულიძე ქარიმ-ხანს პირველად სწორედ 1760 წლის ქვეშ ახსენებს:

> „კვალად წელსა 1760, ქორონიკონს 448, წარვიდა მეფე თეიმურაზ როსიასა შინა იმპერატრიცა ელისაბედთან თხოვად შეწევნისა.
>
> ამასვე წელსა ზანდი ქარიმ-ხან განძლიერდა, ყაჯარი მაჰმად-ხან დაამარცხა და ომში მოკლა, ავღანი აზატ-ხან გამოაქცია, თავის ქვეყნისაკენ ვერღარა წარვიდა და ადრიბეჟანისაკენ წარმოვიდა ჯარითა და ბევრი ავი საქმე ჰქმნა ავაზაკებრ."[149]

1762 წლის იანვარში თეიმურაზ II სანქტ-პეტერბურგში გარდაიცვალა. რუსეთის იმპერიაში ქართლის მეფის, უფრო სწორედ კი, ქართლ-კახეთის უკვე de facto გაერთიანებული სამეფოს *უფროსი* მეფის გამგზავრებამ, ბუნებრივია, ქარიმ-ხანის უკმაყოფილება გამოიწვია.[150] ქარიმ-ხანიც ხომ, შეძლებისდაგვარად, *დიდი ირანის* მიწებს აგროვებდა; სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასია კი, ქართლ-კახეთის ჩათვლით, ხომ „ოდითგანვე" ირანულ პროვინციას წარმოადგენდა, ასე რომ, რუსებისთვის ვერ ემეტებოდა.

იოსებ ემინის თანახმად, 1763 წელს, „თორმეტი დღის სავალზე" მყოფი ქარიმ-ხანი ირაკლი II-ს მძევლებს სთხოვდა, ისევე როგორც ხარკს ლამაზი ქალწულებით:

> "[...] news being received that Carim Khan had overcome all his competitors in the kingdom of Persia, and, at twelve days distance, was preparing to march with a hundred thousand men to Tiffliz, if prince Heraclius would not consent to the condition brought by Carim' s messengers to him; namely, to send his daughter-in-law, the wife of Wakhtan Mirza, his late eldest son by the first wife, and his brother Gorgin Mirza, the hereditary prince of Georgia, or second son to prince Heraclius, together with his son-in-law prince David, and twelve other noblemen's sons, with twelve beautiful Georgian virgins not older than twelve years."[151]

---

148 ლუიზა შენგელია, *ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს* (თბილისი: მეცნიერება, 1973), 90-93; ზურაბ შარაშენიძე, *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში* (თბილისი: მეცნიერება, 1970), 44-49; John Perry, "Karim Khan Zand", Last updated April 24, 2012, *Encyclopædia Iranica*. <http://www.iranicaonline.org/>; John Perry, *Karim Khan Zand* (Oxford: Oneworld, 2006), 51-54.

149 ომან ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1989), 58-59.

150 Ольга Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке* (Москва: Наука, 1966), 131.

151 Joseph Emin, *The Life and Adventures of Joseph Emin, an Armenian* (Calcutta, 1918), 209. თუმცა, წყარო სანდო არ არის. ემინსა და ირაკლი II-ს შორის ქარიმ-ხანის ულტიმატუმზე პასუხის განხილვა ავტორის აშკარა ფანტაზიის შთაბეჭდილებას ტოვებს, ისევე როგორც მათი მრავალი სხვა, ემინის მიერ „სტენოგრაფირებული"

საყურადღებოა, რომ ემინის მიხედვით, „არცთუ მრავალი დღის შემდგომ" ("Not many days after"), თბილისამდე მოაღწია ზაქი-ხანის აჯანყების ამბავმა, რამაც აიძულა ქარიმ-ხანი უკან დაეხია.[152] ეს ცნობა ქრონოლოგიურ მინიშნებად გამოგვადგება.[153]

ირაკლი II-ს მამის რუსეთში ელჩობის გამო, ჩანს, ქარიმ-ხანთან თავის მართლება დასჭირდა; მართალია, პირადად კვლავ არ ეახლა, მაგრამ ელჩობა გაუგზავნა, და სცადა მამის რუსეთში გამგზავრება ექსკლუზიურად თეიმურაზ II-ის წამოწყებულ, ვაჟიშვილთან შეუთანხმებელ ავანტიურად წარმოეჩინა.[154]

ქარიმ-ხანთან კომპრომისის მიღწევას ხელი შეუწყო ირაკლი II-ის მიერ ქარიმ-ხანისთვის ვაქილის ძველი მეტოქის, აზატ-ხანის გადაცემამ (ირაკლი II-მ ის ჯერ კიდევ 1760 წელს შეიპყრო):

> „[...] და მოუწერა ქარიმ-ხანმან მეფეს ირაკლის ძმობით და სიყვარულით წიგნი: „აზატ-ხან ადრიბეჟანის მხრისაკენ წარმოვიდა და ქვეყნებს არბევს და აოხრებს და უკეთუ მაინთ გამოჩნდეს სადმე, დაიჭირე და გამომიგზავნე, რომლისათვისცა ერანზედა დიდი ვალდებულება გექმნებაო". ამ ჟამად აზატ-ხანმა იმ ადგილებში ველარ მოიცადა და დაღისტნისაკენ წარმოვიდა. ჰსცნა ესე ირაკლიმ და ყაზახში გარდაასწრო და თავის ჯარებით სრულიად შეიპყრა. აზატ-ხან ქარიმ-ხანს გაუგზავნა და ჯარნი მისნი ყოველნი განათავისუფლნა და თავის ქვეყნებში გაისტუმრა."[155]

თეიმურაზ ბატონიშვილის ვერსიაში[156] პრაქტიკულად იგივე წერია; საინტერესო კი ის არის, რომ, აზატ-ხანის შეპყრობა და ქარიმ-ხანისთვის გადაცემა (რამდენადმე ანაქრონისტულად?) აზატ-ხანის ერევნის სახანოზე პრეტენზიებით არის ახსნილი (ირაკლი II-ის ამ ქმედებას მისი შვილიშვილი შემდეგნაირად ამართლებს):

> „ამჟამათ აზათ-ხანმა საცა იყო, იმ ადგილებში ვეღარ მოიცადა და დაღისტნისაკენ წამოვიდა. ჰსცნა ესე მეფემ ერეკლემ, ყაზახში გარდაასწრო წინ ჯარით და თავისის ჯარებით სრულად შეიპყრა, აზათ-ხან ქარიმ-ხანს გაუგზავნა და იმისი ჯარისკაცნი სულ ყველანი გაანთავისუფლა და თავ-თავის ქვეყნებში გაისტუმრა. ეს საქმე მეფემ ერეკლემ იმიტომ უყო აზათ-ხანს, რომ აზათ-ხან ერევანს მეფეს თეიმურაზს და მეფე ერეკლეს არ ანებებდა. ჩვენს ბატონებს ერევანი ყეენებისაგან ნაბოძები ჰქონდა და ის

---

დიალოგი. მაგალითად, იქვე, 209-210, 212-217. ემინი, საზოგადოდ, რასაკვირველია, ტენდენციურიცაა.

152 იქვე, 210-211.

153 ამ შემთხვევაშიც ემინი წერს რომ ირაკლი II-ს შესთავაზა, არც მეტი, არც ნაკლები, აღალით დამძიმებულ ქარიმ-ხანს დადევნებოდა. იქვე, 212.

154 Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*, 131.

155 ომან ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, 58-59.

156 ზოგიერთი ფრაგმენტი, ჩანს, ლაშქარნივისის თხზულებისგან დამოუკიდებელია და თავად თეიმურაზ ბაგრატიონის კალამს ეკუთვნის.

იმძლავრებდა ერევანს. ჩვენი ბატონები შერიგებას უკან აზათ-ხანს ბევრის გზით შეეწივნენ, მაგრამ მაინც ერევანზე ხელს არ იღებდა."[157]

ქარიმ-ხანის მიერ ირაკლი II-სადმი შესაბამისი თხოვნის გაგზავნას ადასტურებს სპარსული წყაროც.[158]

ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, აზატ-ხანი, თეიმურაზ II-ის და ირაკლი II-ის ძველი მეტოქე და შემდეგ კი მოკავშირე და მოყვარე (მას თეიმურაზ II-ის დისწული მიათხოვეს[159]) ირაკლი II-ს თავისით მიენდო, თუ დაღესტანში მიდიოდა და ირაკლი II-მ ის გზად დააკავა.[160] ქართულ წყაროებშიც კი ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიაა გადმოცემული. ომან ხერხეულიძის მიხედვით, როგორც დავინახეთ, ირაკლი II აზატ-ხანს სამხედრო ოპერაციის მეშვეობით ჩაიგდებს ხელში, თეიმურაზ ბატონიშვილის *ახალ ისტორიაში* კი ირაკლი II-მ შეიპყრო მისდამი მინდობილი აზატ-ხანი (თუმცა, ომან ხერხეულიძის თხზულების თეიმურაზისეულ ნუსხაში გამეორებულია ომანის ვერსია[161]):

„და განძლიერდა რა ქარიმ-ხან ზანდი სპარსეთსა შ(ინ)ა, მაშინ ლტოლვილი და დაცემული აზათ-ხან მოვიდა მეფისა წინაშე და ევედრა შეწევნასა, ხოლო ამან შეიპყრა და წარუგზავნა ქარიმ-ხანს, რომელმანცა ნაცვლად სამსახურისა ამის უძღვნა მეფესა მადლობაჲ საბოძვარითურთ."[162]

რუსული ხელისუფლების მიერ შეგროვებული ცნობებით, უფრო ისე გამოდის, რომ აზატ-ხანი ირაკლი II-ს თავისით დანებდა.[163] პეტრე ბუტკოვთანაც ასეა.[164] თავად ირაკლი II-ც მამას 1761 წლის 23 იანვარს იმავეს წერდა (გამოქვეყნებულია რუსული თარგმანი).[165]

157 იქვე, 77.

158 შარაშენიძე, *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში*, 42, სქოლიო 107.

159 პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 208-209.

160 დუმბაძე, „ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII ს. 60-იან წლებში", 629, სქოლიო 4.

161 ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, 77.

162 თეიმურაზ ბაგრატიონი, *ახალი ისტორია*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1983), 51.

163 იასე ცინცაძე, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში", *საისტორიო მოამბე*, 17-18 (1964), №37, 230, №45, 242-243; ვალერიან მაჭარაძე, *მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. 2, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968), №144, 444, №167, 477.

164 Петр Бутков, *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, П.Г. Буткова. Часть первая* (СанктПетербург, 1869), 246.

165 მაჭარაძე, *მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. 2, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში*, №104, 389.

საინტერესოა, რომ, იმავე საბუთით, ირაკლი II-მ უკვე მიიღო თავის მფარველობაში ერევანი და მაცხოვრებლებს გადასახადიც დაუწესა.[166] ირაკლი II ასევე იწერება, რომ ქარიმ-ხანსა და ფათალი-ხანს შორის უთანხმოებაა, მაგრამ, რით დასრულდება, დრო აჩვენებსო.[167]

ასე თუ ისე, კონსულ ი. იგუმნოვის მოხსენების თანახმად, ირაკლი II-მ აზატ-ხანი ქარიმ-ხანს 1763 წელს გადასცა.[168]

თეიმურაზ ბატონიშვილმა თავის *ახალ ისტორიაში* შეიტანა ერთი მეტად საინტერესო ცნობა, რომლის თანახმადაც ირაკლი II ქარიმ-ხანის წინააღმდეგ სამხედრო ძალით მოქმედებასაც კი აპირებდა; მაგრამ, გადაიფიქრა. ამასთანავე, ეს ამბავი, რატომღაც, მოთხრობილია უშუალოდ აზატ-ხანის ქარიმ-ხანისთვის გადაცემის ამბის შემდეგ:

> „ჟამსა ამას აღდგა ფათალი-ხან ავშარი, მოიკრიბნა მჴედრობანი ადრიბეჟანისანი და მოადგა შუშის და სთხოვა მეფესა შეწევნაჲ. ამან მიაშველა მჴედრობაჲ და ოდეს წარმოემართა ამათ ზედა ქარიმ-ხან, მაშინ არღარა წარჰყვნენ მჴედრობანი ქართველთანი და მოიქცნენ უკანვე."[169]

რატომ „არღარა წარჰყვნენ მჴედრობანი ქართველთანი", რა შეიცვალა — უცნობია. ეს ამბავი ბუტკოვთანაც გვხვდება, და იგივენაირად არის მოთხრობილი; ოღონდ, მოცემულია, აშკარად, უფრო სწორი თარიღი — 1761 წელი.[170]

აზატ-ხანის გადაცემის სახით გაწეული სამსახურისთვის ქარიმ-ხანი, ბუნებრივია, მადლობელი იქნებოდა. შეთანხმება შედგა. ქარიმ-ხანმა ირაკლი II-ს ერევნის სახანოს უზენაესი გამგებლობა, მისგან გამოსაღების მიღების უფლებაც დაუთმო; როგორც ჩანს, *საზოგადოდ* აღიარა ირაკლი II-ის დომინანტური მდგომარეობა არაქსის ჩრდილოეთით მდებარე სახანოებში (ქართული სამეფოს შინაგან ავტონომიაზე რომ აღაფერი ვთქვათ):

> „ეს საქმე ქარიმ-ხანმან დიდად დაუმადლა და მრავალი ფეშქაშები წარმოუვლინა და დაუმტკიცა ერევანი და მოუწერა ხანსა ერევნისასა: „შენ რაიცა ხარკი სახელმწიფო გედვას, ყოველსავე მეფეს ირაკლის მისცემდეო და ჰმორჩილებდე, ვითარცა არს წესი მორჩილებისა". და მოსწერა სხვათაცა ხანთა ადრიბეჟანისათა მორჩილება მეფის ირაკლისა."[171]

---

166 იქვე, №104, 390.

167 იქვე, №104, 390. 1761 წლის 26 აპრილს ირაკლი II წერს თეიმურაზ II-ს, რომ ფათ ახალი-ხანთან კავშირშია, ქარიმ-ხანსა და ფათალი-ხანს კი კვლავინდებურად უთანხმოება აქვთ. იქვე, №147, 451.

168 Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*, 132, примечание 137. ბაგრატ ბატონიშვილთან, 1765 წელია მითითებული, რაც, აშკარად, შეცდომაა; ნაშრომში ქრონოლოგია და ფაქტები, საზოგადოდ, არეულია. ბაგრატ ბაგრატიონი, *ახალი მოთხრობა*, ბატონიშვილი დავითი. *ახალი ისტორია*. ბატონიშვილი ბაგრატი. *ახალი მოთხრობა*, გამოსცა თამარ ლომოურმა (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941), 52.

169 თეიმურაზ ბაგრატიონი, *ახალი ისტორია*, 51-52.

170 Бутков, *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, П.Г. Буткова. Часть первая*, 246.

171 ომან ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა,



სურ. III.1. განჯის სახანო, ქარიმ-ხანის ინვოკაციით, განჯა, ‘აბბასი, ჰ. 1176 წ.

„ადრიბეჟანში" ომან ხერხეულიძე, ჩანს, არაქსის მარცხენა მხარეს გულისხმობს, თანამედროვე სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ტერიტორიას. არა გვგონია, რომ რეგიონში დომინირებაზე ქარიმ-ხანის თანხმობა ირაკლი II-ს მხოლოდ აზატ-ხანის გადაცემით შეეძინა. აზატ-ხანის გადაცემა ირაკლი II-ის მხრიდან უფრო მისი კეთილი ნების გამომხატველ ფაქტად უნდა განვიხილოთ; ნიშნად იმისა, რომ ირაკლი II ვაქილთან ზავისა და კომპრომისის მიღწევის მოსურნე იყო; ვფიქრობთ, ქარიმ-ხანმაც იგივენაირად აღიქვა. პირადად როგორი მადლიერიც არ უნდა ყოფილიყო ქარიმ-ხანი, ამიერკავკასიის სახანოებში ირაკლი II-ის პოლიტიკისადმი მისი ლოიალური დამოკიდებულება უფრო ქართლ-კახეთის სამეფოსა და ზანდი მმართველის ძალებს შორის ბალანსით იქნებოდა განსაზღვრული.

ალსანიშნავია, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედ ჰიჯრის 1177 წელს (დაიწყო ქრისტეშობიდან 1763 წლის 12 ივლისს და დასრულდა 1764 წლის 30 ივნისს) ქართლ-კახეთის სამეფომ წამოიწყო ახალი ტიპის საფასის ემისია, ქარიმ-ხანის ინვოკაციით. საყურადღებოა, რომ თავის საფასეზე ქარიმ-ხანის ინვოკაციის მითითება დაიწყეს მეზობელმა სახანოებმაც — განჯის (ჰ. 1174-1177, 1179, 1181, „1189") და შირვანის (ჰ. 1177-1179, ასევე „1170"), ასევე, ირავანის[172] (სურ. III.1). ამასთანავე, ძალიან საყურადღებოა, რომ, სტივენ ალბუმის მიხედვით, განჯამ ქარიმ-ხანი უკვე ჰ. 1174 წელს (1760/1) სცნო.[173]

ქარიმ-ხანსა და ირაკლი II-ს შორის გარკვეული კონსენსუსის მიღწევა როგორც ჩანს, ნამდვილად 1763 წლით თარიღდება; და ქარიმ-ხანის ინვოკაციით ირაკლი II-ის მიერ საკუთარ სამეფოში საფასის გამოშვებაც, ანუ, ფაქტიურად, ქარიმ-ხანისადმი *სიქეს* უფლების დელეგირება, ან კონსენსუსის შემადგენელი ნაწილიც და, იმავდროულად, დეკლარირების საშუალებაც იყო.

როგორც დავინახეთ, ომან ხერხეულიძემ ქარიმ-ხანთან ირაკლი II-ის შეთანხმების აღწერისას განსაკუთრებით გამოჰყო ერევნის სახანო და მისგან ხარკის მიღების უფლება, რომელიც, თითქოს, გორჯესთანის ვალის გადაეცა. მართალია, რომ ერევნის სახანო ქართლ-კახეთის სამეფოს უშუალოდ ემეზობლებოდა, და, (შერეული) მოსახლეობის სიმპათიებიდან გამომდინარე ქართული სახელმწიფოს მიზიდულობის სფეროში იმყოფებოდა. მაგრამ, ეს ტერიტორიაც ირაკლი II-ისა და ქარიმ-ხანის ცილობის ობიექტად, მათ ურთიერთობაში დაძაბულობის მიზეზად იქცა.

როგორც ჩანს, ირაკლი II-ისა და ქარიმ-ხანის ურთიერთობა ერევნის სახ-

გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, 59. თეიმურაზ ბატონიშვილის ვერსიაშიც იგივეა. იქვე, 78.

172 Album, *Checklist of Islamic Coins. Third Edition*, 297-298, A2943, A2945. იმავე ტიპის ირავანის მონეტა აქამდე, ჩანს, გამოუქვეყნებელი იყო.

173 იქვე, 297, A2943.

ანოს გამო ჯერ კიდევ რუსეთის იმერიასა და ოსმალეთს შორის დაწყებულ ომამდე, 1767 წელს დაიძაბა. კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ენზელიში მყოფი რუსეთის იმპერიის კონსულის, ბოგოლიუბოვის მოხსენებაში, რომელიც 1770 წლის 28 მაისს დაიწერა, გადმოცემულია შემდეგი *ჭორებიც* („слухи") ირაკლი II-ის შესახებ:

"[...] как его владение сближаются с областною [sic] Эреванскою в Армении и город Эривань как и вся сия провинция наполнена несравненно природными старожилами, нежель персиянами; хоть оная от начала персицкого владения и по ныме управляется подвластным персицкому векилю ханом, с доставлением оному податей, но грузинской владетель Ираклий по вступлении в правительство Грузиею, оказав во многих случаях по соседству и по христианству гражданам и народу эреванскому защиту от персицких наглостей, паче же от разбойнических в том краю зборищей, вместе того, что Керем хан, по общему его удалению от принятия должных мер, ко отвращению случающихся и в подвластных ему местах замешательств, ничего не делает, кроме получения с народа податей, то сами эриванские армяне охотно прибегают к владетелю Ираклию, и не отказывают ему в денгах по его иногда требованиям; сие же натурально возбуждая против него зависть в векиле и вообще персицкую, заставляет однако сносить эриванского хана, и сколько там персиян находится, по не состоянию без векильского содействия ему владетеля противится, а он Ираклий зная персицкую в той стороне слабость в третьем году [1767 წელს? — ი.ფ.] и формально потребовал через нарочно посланных с устрашиванием и получил до тридцати тысяч рублев денег из сей области, чем подал о себе мнение, что будто он намерен сию область отрешить от векиля хотя и силою; так что векил хотя и скрыл его досаду и намерений простым ответом на уведомление о том к хану эриванскому, чтоб он всеми силами Ираклию противился; однако же все зная сего хана малосилие, полагали потому что неминеумо дойдет до военного дела у векиля с Ираклием. В минувшем же 1769 году, хотя и слышно было о возобновленном от Ираклия о денгах требований, но получил ли он оные, и на чем сие дело осталось, по ныне ничего не слышится. [...]"[174]

გარდა ამისა, ბოგოლიუბოვის შემოთავაზება იყო, ირაკლი II-სთვის შთაეგონებინათ, მორიდებოდა სახანოების მიმართულებით, განსაკუთრებით კი, ერევნისა და დარუბანდის სახანოების მიმართ აქტიური პოლიტიკის გატარებას და სახანოებს შორის ურთიერთობებში პირდაპირ ჩარევას, რათა ვაქილი არ გაეღიზიანებინა („[...] внушить ему Ираклию чтоб он в нераздражение векиля [...]").[175]

---

174 იასე ცინცაძე, „XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან", *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 32 (1955), №5, 138-140.

ომან ხერხეულიძის მიხედვით, 1749 წლიდან „იყო ერევანი მოხარკეობასა ქვეშე მეფეთასა, ვიდრე მოსვლადმდე საქართველოსა შინა ყაჯარი მაჰმად-ხანისასა, გარნა ვერცხა მან მოშალა სრულიად ერევნისა სამსახური საქართველოისადმი". ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, 49.

175 ცინცაძე, „XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან", №5, 140.

ირაკლი II-ისა და ქარიმ-ხანის ურთიერთობის შემდეგი საკვანძო მომენტი, როგორც ჩანს, 1768-1774 წლების რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის გაჩაღებულ ომს ემთხვევა. ამ ომში ირაკლი II-მ, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის მხარე დაიკავა; მან გზა გაუხსნა ქართლ-კახეთის სამეფოში რუსულ საექსპედიციო კორპუსს და ომში, სოლომონ I-თან ერთად, თავადაც ჩაება.[176]

თუმცა, ირაკლი II-ის ამგვარი მოქმედებით დაირღვა ქართველი მონარქისა და მისი, თუნდაც, ნომინალური, სიუზერენის, ქარიმ-ხანის ურთიერთობის ფორმატი. ირაკლი II ხომ, თუნდაც მხოლოდ მოჩვენებით, კვლავინდებურად ირანის ხელქვეითი იყო, ადგილობრივი ვალი, ქარიმ-ხანს კი იმ დროს ოსმალეთთან მშვიდობა ჰქონდა. ერთ კვანძად ჩაიხლართა რუსეთის იმპერიის, ირაკლი II-ის, ოსმალეთის იმპერიისა და ქარიმ-ხანის ინტერესები და მოქმედებები.

ჩვენი ნაშრომის თემისთვის მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოვიყვანთ ფრაგმენტებს იასე ცინცაძის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი საბუთის ტექსტიდან; საუბარია ირაკლი II-ის რუსეთის იმპერიაში გაგზავნილი ელჩის „ზეპირ მოსახსენებელ დავალებათა ნუსხაზე" (1769, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის ომის მეორე წელი). ირაკლი II იუწყებოდა, რომ „სიყრმითგან" რუსეთის ხელმწიფის საფარველსა და მოწყალებაზე ოცნებობდა,[177] შემდეგ კი საქმეზე გადავიდა და, „ოდეს და სპარსეთზედ ლაშქრობას ინებებენ", რუსეთის იმპერიას ამ საქმეში თავისი სამსახური შესთავაზა:

> „ქ: თუ რომ მისის დიდებულების ნება იქნება, იდეს და სპარსეთზედ ლაშქრობას ინებებენ, მაშინ ღთითა და მისის დიდ-ბის ბედნიერების საფარველითა და ძალითა, იმაზედაც სამსახურები ჩვენგან შეიძლება, მაგრამ მისს ბრწყინვალებას ვეზირს მოხსენებით მოვაგონებთ."[178]

ირაკლი II რომ ნომინალურად ქარიმ-ხანის ქვეშევრდომად ითვლებოდა, ბუნებრივია, არაფერს ნიშნავდა; Realpolitik-ის მიმდევარი ქართველი მონარქისთვის მთავარი, რასაკვირველია, საკუთარი და თავისი სამეფოს ინტერესები იყო. მაგრამ, გაკვირვებას იწვევს ირაკლი II-ის საგარეოპოლიტიკური ქმედებების არა ეთიკური მხარე, არამედ, ალოგიკურობა, საზოგადოდ, დიპლომატიური მოუქნელობა, — უკვე ოსმალეთთან ომში ჩაბმულ რუსეთის იმპერიას

176 გიორგი პაიჭაძე, ქველი ჩხატარაიშვილი, „1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე* (ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე) (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 648-663.

177 „ქ. მისის ღრაფობის ბრწყინვალების პირველისა მინისტრისა ზეპირ მოსახსენებელი სიტყვანი ესენი არიან: ქ: პირველად ჩემი სიყრმითგან დიდად სასურველი ეს იყო რომელსაც ჰამბავს და ჴმას დღეს საჩინოთ ვისმენთ, რომ რუსეთის დიდებულის ჴელმწიფის საფარველი და მოწყალება ვითარიც დღეს გვესმის ამგვარად დაგვფარებოდა და მოველით რომელიც რომ მოწყალება და დაპირებული გვაქვს მალე აღგვისრულდეს. ჩვენც ასე თავდადებულნი ვართ მისი დიდებულის სამსახურისათვის, რომ, რომელიც გარჯა შეგვიძლია უნამეტნავესად სურვილით გავირჯებით." ცინცაძე, „XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან", №1, 132.

178 იქვე, №1, 132.

მან ირანის წინააღმდეგ მოქმედება, ანუ, ახალი მტრის გაჩენა შესთავაზა.[179] რა საკვირველია, რომ რუსეთის იმპერია ამ შემოთავაზებით არ დაინტერესდა.[180]

179 საზოგადოდ, ჩვენი აზრით, ირაკლი II-ეს საგარეო პოლიტიკას ერთგვარი, ... *ეშმაკობა* ახასიათებდა; ოლგა მარკოვას განმარტებით: „მაკიაველისტური ხასიათი ჰქონდა"; Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*, 135. ირაკლი II მუდმივად ცდილობდა რუსეთის იმპერია თუ ძლიერების სხვა ცენტრი საკუთარ ინტერესებში გამოეყენებინა — იასე ცინცაძის მოსწრებული სიტყვებით, „ქართლ-კახეთის მეფეს თურქეთშიაც და ირანშიაც საკუთარი ანგარიშები ჰქონდა და ამ მიმართულებით გეგმების განაღდებას რუსეთის სამსახურად გასაღებას ცდილობდა". ცინცაძე, „XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან", 127. მაგრამ, საკმაოდ მოუხერხებლად მოქმედებდა — ირაკლი II-ზე ნაკლები მოხერხებულობა არც დიდი იმპერიების თავკაცებს ჰქონდათ: როგორც ნიკიტა პანინი გრაფ ტოტლებენს წერდა — „Теперь главнейшая нужда, чтобы грузинцы нам в войне помогали таким образом, чтоб, по видимому обращаясь, они в том мнили исполнять повеления своих владетелей, а сии равным образом оказываемую нам услугу своему усердию и собственному побуждению причитать, но в самом деле все то производилось здешним руководстом и просвещением, - коротко сказать: была бы душа здешняя, а тело грузинское." Цагарели (под редакцией), *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Том 1, с 1768 по 1774 год. С картой Закавказья 1771 года*, 155-156. ირაკლი II სხვის გამოყენებას ცდილობდა, მაგრამ უფრო ისე გამოდიოდა, რომ მას იყენებდნენ — ეშმაკობაში რუსებმა აჯობეს და სათავისო საქმე გააკეთებინეს.

180 ირაკლი II-ის მამასა და უფროს თანამეფეს, თეიმურაზ II-ს, უფრო მოხერხებულ დიპლომატად თვლიან ხოლმე. მაგრამ, ანალოგიურ შთაბეჭდილებას ტოვებს თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში 1760-1762 წლებში. შვიდწლიან ომში ჩაბმულ რუსეთის იმპერიას სხვა ფრონტზე აქტიურობის და, მით უფრო, ბრძოლის არც თავი ჰქონდა და არც სურვილი — არც ოსმალეთის გაღიზიანება აძლევდა ხელს (იასე ცინცაძე, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში", *საისტორიო მოამბე*, 17-18 (1964), 154-157; Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*, 130), და, საფიქრებელია, არც ირანის საქმეებში შეტოპვა. რა გასაკვირია, რომ თეიმურაზ II-ს დედაქალაქში კარგა ხანს არ ატარებდნენ, სხვადასხვა საბაბით აყოვნებდნენ; დაჟინებით არწმუნებდნენ, გამობრუნებულიყო; თეიმურაზ II მხოლოდ მრავალი თვის შემდეგ მიიღეს და, ბოლოს, სათხოვარზე მაინც უარი უთხრეს. ცინცაძე, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში", 161; Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*, 130-131. ევროპა-აზიაში ძალთა ბალანსისა და თანადროული პოლიტიკური სიტუაციის უცოდინრობითა თუ გაუთვალისწინებლობით, რუსეთისგან უარყოფითი სიგნალების იგნორირებით, რუსეთში თეიმურაზ II-ის ელჩობა ქართული დიპლომატიის აშკარა სისუსტესა და არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს. ცინცაძე, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში", 161; დუმბაძე, „ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII ს. 60-იან წლებში", 629. საზოგადოდ, საკვირველია, რატომ ფიქრობდნენ თეიმურაზ II-ისა და ირაკლი II, რომ რუსეთის იმპერია ირანის საქმეებში აქტიური ჩარევით, ტახტზე შაჰროხის აყვანით დაინტერესდებოდა, შვიდწლიანი ომში რომც არ ყოფილიყო ჩართულიყო.

რასაკვირველია, ელჩობას სხვა მიზნებიც ჰქონდა. ცინცაძე, "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში", 152-270; გიორგი პაიჭაძე, "ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს-ის 50-60-იან წლებში", *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. II* (თბილისი: მეცნიერება, 1973), 49-

გარდა ამისა, ირაკლი II, ასევე, ურჩევდა რუსეთის ხელისუფლებას, ეცადა — რეგიონის მაჰმადიანი მმართველები (ირანის ზეგავლენის სფეროში) დაემშვიდებინა, რომ საქართველოში ოსმალებთან საომრად რუსული ჯარის დაგეგმილი შემოსვლა თავის საწინააღმდეგო მოქმედებად არ ჩაეთვალათ.[181] ეს რჩევა, რუსულმა ხელისუფლებამ, ჩანს, გაითვალისწინა და შეასრულა.[182]

ჩვენთვის ისიც არის საინტერესო, რომ გიუმუშხანედან მადანჩების ჩამოსახლებით ირაკლი II არ დაკმაყოფილდა, და, იმავე წერილში, სთავაზობდა რუსულ ხელისუფლებას, ოსმალეთის წინააღმდეგ მომავალ საექსპედიციო კორპუსთან ერთად „მადნების კარგი ოსტატებიც" გამოეგზავნა.[183]

აღსანიშნავია, რომ ირაკლი II ფრთხილობდა, და რუსეთის ხელისუფლებისთვის ქარიმ-ხანის საწინააღმდეგო მოქმედების შეთავაზების პარალელურად, ცდილობდა, ქარიმ-ხანთან მაინც კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინა.

დაახლოებით ამ დროით თარიღდება ვაქილისთვის *საჩუქრად* 60 თუ 63 რჩეული ქართველი მეომრის გაგზავნა;[184] ქარიმ-ხანს ამ რაზმის გამოგზავნა დიდად ეამა; თავის პირად გვარდიად აქცია, დიდი ჯამაგირი დაუწესა, ვერცხლით დამშვენებული იარაღი და გამორჩეული სამოსი უბოძა.[185] საზოგადოდ, რუსეთის იმპერიის საარქივო დოკუმენტის მიხედვით, ვაქილის ჯარში ქართველები მრავლად იყვნენ.[186]

რაც მთავარია, დადგენილია, რომ ირაკლი II-მ რუსული საექსპედიციო კორპუსის შემოსვლის შესახებ ქარიმ-ხანს საგანგებოდ აცნობა; ქარიმ-ხანთან ჩასული ირაკლი II-ის რწმუნებული, ვინმე ასლან-ბეგი, ზუსტად 15 დღით დაასწრებს ოსმალეთის უზენაესი ვაზირისგან, ხალილ-ფაშასგან წერილის მიღებას, რომელშიც ოსმალო დიდმოხელე ჩივის ქარიმ-ხანის „ურჩი ქვეშევრ-

---

93. თუმცა, ამ მხრივაც ელჩობა მრავალ კითხვას ბადებს. ამ საკითხს, შესაძლოა, სხვა ნაშრომში დავუბრუნდეთ. იხ. ასევე ვალერიან მაჭარაძე, *მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. II* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968).

181 „ჩვენ გვგონია, რომ მისის დიდებულების ბრძანებით გამორჩეულიც ექნებათ ეს საქმე და ჰერანში ვინც ჩინებულნი არიან იმათი ასეთი რიგი კაცი წიგნი და სიტყვა ებრძანოთ, რომ იმათ თავიანთ თავზედ არა იფიქრონ რა და დაწყნარებულის გულით იყვნენ, ეს მოგონება და მოხსენება ჩემმან გულმან ასე დაინახა, რომ ამ მოხსენებისათვის თანამდებობა გვქონდა და ყოვლითურთ ნება მისის დიდებულებისა არს." ცინცაძე, „XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან", №1, 132.

182 იქვე, 125-126, №2-5, 132-140.

183 „ღვთის ნებით, როდესაც ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის ძალი ჩვენს ქვეყანაში მოვა ეს საქმე დიდად საჴმარი არის, რომ რამდენიმე მადნების კარგი ოსტატები თან მოყვესთ, რომ ყოველს ალაგს საქართველოებში მრავალი რიგი მადნები არის მრავალს ალაგს, და უქმად არის რომ არვის უმუშავნიათ წარმართთ შიშისაგან და არც ცდილან იმის გამოჩენას. მაგრამ მე დიაღ ვეცადე და ოსტატი ვერ ვიშოვნე და ვგონებ, რომ მისის დიდებულების აქეთ სამსახურში მრავალს საქმეში გამოსაყენებელი იყოს, მაგრამ კიდევ ნება მათი არის." იქვე, №1, 132.

184 ამგვარად, ეს მეომრები ლეკებისგან და სხვა გარეშე მტრისგან საქართველოს დაცვის საქმეს გამოაკლდნენ. დანაკლისი დემოგრაფიულიც იქნებოდა.

185 Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*, 142-143.

186 იქვე, 142.

დომის" მტრულ მოქმედებებზე; ეს ჩანს იმ წერილიდან, რომელიც ქარიმ-ხანმა ირაკლი II-ს 1770 წელს გაუგზავნა (ცნობილია სპარსული ორიგინალის რუსული თარგმანი).[187]

ქარიმ-ხანმა საგანგებოდ მიაწოდა ირაკლი II-ს თავის წერილში ინფორმაცია, თუ რა მისწერა ხალილ-ფაშამ, და თავად ვაქილმაც რა უპასუხა, ხალილ-ფაშასთან ირაკლი II-ის მოქმედება რითი გაამართლა: ქარიმ-ხანმა, ერთი მხრივ, რუსული ჯარის შემოყვანა სოლომონ I-ს გადააბრალა; მეორე მხრივ კი, თავად ირაკლი II-ის მოქმედებაც გაამართლა, როგორც რეაქცია ოსმალეთის ტერიტორიიდან ყარსელი ქურთების შემოსევებზე.[188]

> "[...] И при засвидетельствовании нашего высокого благоволения, ведомо да будет, что письмо каково ты о своем состоянии, и вкратце о всех случившихся в ваших пределах пограничных произшествиях с протчими обстоятельствами чрез поверенного своего высокопочтенного Аслан Бека отправленного к нашему высокому присудствию с верным нашим рабом Летфали ханом послано, до нашего пресветлого зрения дошло; о чем и помянутый Аслан бек словесно нам представил, который также притом уверил нас и о твоей, высокостепенной особливой к нам искренности и преданности, но что подлежит до известию, поданного нам в письме твоем и донесенного на словах от высокопочтенного Аслан бека о прибытии россиян и о приходе их чрез Грузию на помощь к башачехскому валию к милитинскому владетелю, то спустя пятнадцать дней после приезда к нам означенного Аслан бека получили мы от высокомочного, высокопревосходительного, высокоповеренного и высоковелительного превечной Османской Порты верховного везиря Хелиль паши письмо, коим уведомляет он, что вы высокопочтенный сообщась и соединяясь с рассианами, по согласию с ними, не токмо на границах турецкой империи причинил великое возмущение, с пограблением имений тамошних подданных, но некоторые местечки привел там и в разорение; а как де между обоими высокими дворами учреждены границы и утверждены оные мирными трактатами, кои по сие время так чисто хранятся что нискоторой стороны нималейшой причины к нарушению того не подано, а продолжается доброе согласие; следовательно де вышеоглавленной поступок отнюдь несходственнен есть с пограничным издревле постановлением и с заключенным трактатом [...]"[189]

ოსმალეთის მარცხი ქარიმ-ხანს, შესაძლოა, სიამოვნებდა კიდევაც („მეფე ერეკლე ასეთი რამ ბრძანდება, რომ ხვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლაო").[190] ამასთანავე, ქართლ-კახეთის სამეფოში რუსული კორპუსის შემოსვლა მას, ბუნებრივია, არ აწყობდა, ვინაიდან, გაჩნდა საშიშროება, რომ გორჯესთანის ვალისა და მისი საგამგებლო ქვეყნის ისედაც მეტწილად მოჩვენებითი მორჩილება საერთოდ გაქარწყლებულიყო. ამიტომ, ხალილ-ფაშასთან

187 ცინცაძე, „XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან", 127-128, №6, 140-142.

188 იქვე, 128-129, №6, 141.

189 იქვე, №6, 140-141.

190 იქვე, 124-125, სქოლიო 4.

ირაკლი II-ს, თითქოს, ამართლებს (ჩვენ არ ვიცით, სინამდვილეში რა უპასუხა ქარიმ-ხანმა ხალილ-ფაშას[191]), მაგრამ, ირაკლი II-ს კი მოუწოდებს, რუსებთან კავშირი მოშალოს და ქართლ-კახეთის გავლით გადაადგილება აღუკვეთოს (ოსმალეთის ქვეშევრდომებისგან თავდასხმების შემთხვევაში კი მას მოახსენოს და პასუხს დაელოდოს):

> “[...] надлежит и тебе высокостепенному, союз твой с российскими пресеч, проход им чрез Кахет и Карталинскую область, и пребывание в тамошних краях воспрепятствовать и тем соблюсти с пограничными турецкими подданными твердо узаконенные о границах постановления, коим в противность отнюдь ничего нечинить. Ежели с стороны турецких подданных произошли к вашим какие наглости и грабительства о том о всем обстоятельно имееш доносить нам, и ожидать на то нашего повеления. За сим можеш писать к нам почасту о состоянии тамошнего края и о всяких надобностях [...]”[192]

კაპიტან იაზიკოვის 1770 წლის დეკემბერში შედგენილი მოხსენების მიხედვით, (იმავე წლის) 3 ნოემბერს ირაკლი II-სთან ჩამოვიდა ქარიმ-ხანის მოციქული, რომელშიც ვაქილი ქართლ-კახეთის მეფეს *სულთნის სახელით* სთხოვდა რუსეთის იმპერიის ჯარები თავის მიწებში არ შემოეშვა, ხოლო შემოსულები კი გაეგდო:

> “3 Ноября приехалъ к царю Ираклию отъ персицкова Керимъ-хана посланникъ з грамотой, кою царь ко мне для сведения прислалъ, которой главное содержание в томъ, что онъ проситъ царя Ираклия отъ имени султана, чтобъ онъ нашихъ войскъ к себе в землю не впускалъ, а которые и есть, чтобъ выгналъ, а для точности царь Ираклий мне сказалъ, что онъ подлинную оную грамоту къ ея в. пошлетъ. При свиданье моемъ с царемъ просилъ я ево, чтобъ онъ в ответе Керимъ-хану написалъ, что какъ Персия издревле имела всегда войну с турками и турецкая Порта многими персицкими провинциями владела, но Шахъ-Надиръ оное возвратилъ, а по смерти Шахъ-Надира турки вторично отняли все у персиянъ, ониже не могли противитца по притчине между усобной войны, вразсуждении сего, а более, чтобъ ему усилитца на своемъ престоле, не хочетъ ли онъ ползоватца симъ случаемъ, когда турки в такой растройке, великое множество ихъ войска нашими побито, а осталное ихъ войско занято со стороны Дуная и морей, иттить противъ турковъ, чемъ онъ можетъ приобрести благоволение к нему нашей монархини. Для удостоверения ево далъ я реэстръ всемъ городамъ, которые нашими войсками какъ в море, такъ и другихъ местахъ взяты. Все оное царь в грамоте к нему велелъ написать.”[193]

ირაკლი II-მ, ჩანს, იაზიკოვის რჩევა-მითითება პირნათლად შეასრულა.

---

191 იქვე, 128-129.

192 იქვე, №6, 142.

193 Цагарели (под редакцией), *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Том 1, с 1768 по 1774 год. С картой Закавказья 1771 года*, 174, №81.

გვაქვს ჰ. 1184[194] წლის 6 შა'აბანით (1770[195] წლის 25 ნოემბერი) დათარიღებული, ირაკლი II-ის ქარიმ-ხანთან გაგზავნილი წერილის ტექსტი (თარგმანი სპარსული ორიგინალიდან რუსულად).[196] საინტერესოა, ირაკლი II თავს როგორ იმართლებს, როგორ ხსნის ოსმალეთის წინააღმდეგ ომში რუსეთის იმპერიის მხარეს მოქმედებას, რუსული ჯარის შემოყვანასა და მხარდაჭერას, ისევე როგორც შემდეგ მის არ-გაყვანას:

- ახალციხის ფაშების ხელშეწყობით ქართლ-კახეთზე გამუდმებული თავდასხმები სახელმწიფოს დიდ ზიანს აყენებს;
- რუსი ხელმწიფის ჯარების გაყრა ირაკლი II-ს ვერ ხელეწიფება;
- რუსეთის ხელისუფლება ათავისუფლებს, ინახავს და აბრუნებს ლეკებისა და თურქების მიერ სამეფოს დატყვევებულ მაცხოვრებლებს;
- რუსეთის ხელისუფლება აკავებს ჩერქეზებს, ყაბარდოელებს და სხვა მთიელებს საქართველოზე თავდასხმისაგან;
- ირაკლი II ახსენებს ქარიმ-ხანს რუსეთის იმპერიის ირანისადმი კეთილგანწყობას, ადრე ირანის დაპყრობილი პროვინციების დათმობის ჩათვლითაც;

გარდა ამისა, ირაკლი II-მ რუსების მიერ ოსმალებისთვის ახლად წართმეული ქალაქები და მხარეებიც ჩამოთვალა, და ურჩია ქარიმ-ხანს, ოსმალეთის იმპერიისთვის თავადაც შეეტია.[197]

საყურადღებოა, რომ ირაკლი II თავის თავს, როგორც ჩანს, ერთგვარი ირონიულობის უფლებასაც კი აძლევს, რომელიც, ჩვენი აზრით, რუსულ თარგმანშიც კი ჩანს:

> "[...] по отправлении к высокому и пресветлому вашему двору высокостепенного Летфали хана с высокопочтенным Аслан беком не удостоясь я и поныне, чему многое уже прошло время, получить от высокого вашего лица милостивого писания, чему многое уже прошло время, а потому и не имея о приезде их к вашему высочеству известия, пришел в робость, опасался что несоизволились (отчего боже сохрани) прогневаться на меня; я ж наблюдая что мое к вашему высочеству преданность и усердие (sic) не преминул бы о всех здешних обстоятельствах подробно донесть вашему священнейшему высочеству, но за появившееся по посещению божию здесь пред нескольким временем моровою язвою, и забывшими между тем упражнениями моими в неоднократных поисках и победах над дагестанцами и эхшекинцами не мог той моей должности исполнить а принужден был остаться в молчании, которое наконец решилось тем, что по божью милосердию и высоким вашим щастием моровое поветрие миновалось и я получа при том от дел своих некоторую

194 რუსულ თარგმანში 1174 წელია, რაც აშკარა შეცდომაა. ცინცაძე, „XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან", 146, სქოლიიო 1.

195 და არა 1171, როგორც ეს გამომცემელთანაა. იქვე, №7, 142, 146, სქოლიიო 1.

196 იქვე, №7, 142-146.

197 იქვე, №7, 143, 145-146.

свободу, за потребно нашел отправить ныне к победоносному вашему стремяни высокопочтенного Ибрагим бека, нам издревле верного и с ним описание о всех здешних происхождениях, кои состоят в том, что подлежит о похода моего на Эхшекке и до других предприятия [...]"[198]

ქართლ-კახეთის მეფეს თავი, თითქოს, ქარიმ-ხანის ყურმოჭრილ მონად გამოჰყავს, მაგრამ, ამასთანავე, უცხადებს, რომ არაფერს სწერდა, ვინაიდან შავი ჭირის ეპიდემიის გამო, ასევე დაღესტნელებსა და ახალციხელებზე გამარჯვევებით დაკავებულს, ამისთვის არ ეცალა (sic); ახლა კი, შავი ჭირი რომ დასრულდა, ცოტა მოიცალა და მისწერა კიდევაც; შემდეგ კი ირაკლი II აგრძელებს თავისი სამხედრო პოტენციალის რეკლამირებას, ვრცლად აღწერს ასპინძის ბრძოლას და ტრაბახობს ამ გამარჯვებით.[199]

1771 წელს გამოგზავნილ კიდევ ერთ წერილში (ცნობილია სპარსული დედნის ქართული თარგმანი) ქარიმ-ხანი ირაკლი II-ს კვლავ იგივე ქმედებისკენ მოუწოდებს:

[ოსმალეთის იმპერიიდან მოწერილ წერილზე:] „მე ღთის წყალობის იმედის მქონებელმან კაცმან იმ წიგნის პასუხი ასე მივწერე, რომ ჩვენგან ერთი განცხადებული წიგნი მიეწერა ერეკლეს, რომ რუსების ავფხანაგობიდამ ჴელი აიღოს და აღარ მოვიდეს და მე ღთის წყალობის მქონებელმან და შეწევნის მთხოვნმა საქართველოს ქვეყანა ქართლი და კახეთი ჰერანის ქვეყნის მოჰთაბართაგან ვიცი და იმ მაღალ ალაგიანს ჩვენის მაღლისა და ალმატებულის კარის იასაულის მაჰმად-რიზაბეგის პირით ვაცნობე, რომ ოსმალთ ალაგის დავისაგან და ოსმალთა მაღალთა მაღლის მტრობისაგან ჴელი აიღოს და იმათის ქვეყნების სათარეშოდ და სამტეროდ აღარ დაიძრას და რუსთ კრებულს და ჯარს აღარ შეერთდეს, ამ გვარი საქმეებისაგან გაფრთხილდეს და გაეკრძალოს, საზღურების კანონის სიმტკიცეზედ თვალი ეჭიროს."[200]

წერილს ქარიმ-ხანი მრავლისმთქმელად ამთავრებს:

„აწ შენ, მაღალ ალაგიანსა მაგას, რამდენიმე მიზეზები მოგედვა და ამ სიტყვებზედ ზურგი მიგეყუდებინა, თუ რომ ჰერანელთ სარწმუნოთაგან შენი თავი არ იცი იმ მაღლისა და ალმატებულის ჴელმწიფეთ-ჴელმწიფისა და დოვლათთ დოვლათის პირ და პირ ომი და ბრძოლა შეგიძლია შენს და საქართველოში მყოფთ ხეირად, თუ რომ ურუმთ მტერობას და შებრძოლებას ხეირად და სარგებლად ხედავ შენ იცი ყოვლის მხრიდამ. შენვე იცი შენი შეძლება და აფალიც და შენის ქვეყნის აფალიც და ისე იქ."[201]

საბოლოო ჯამში, ქარიმ-ხანთან მიმოწერამ შედეგი, აშკარად, ვერ გამოიღო; მისი დამშვიდება-მოტყუება ირაკლი II-მ ვერ შეძლო. მოთმინების

198 იქვე, №7, 143.
199 იქვე, №7, 143-145.
200 იქვე, №8, 147.
201 იქვე, №8, 147-148.

ფიალა, ცხადია, თავად ირაკლი II-მ გადაავსო, როდესაც უფრო მომგებიანად ჩათვალა ზურგი შეექცია ქარიმ-ხანისა და ირანისთვის, და რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესულიყო.[202] 1771-1772 წლების ზამთარში იანვარს სანქტ-პეტერბურგში გაგზავნილ ელჩობას ლევან ბატონიშვილი და ანტონ I გაუძღვნენ. რუსებმა საელჩო ასტრახანში 1 წლით დააყოვნეს და, ბოლოს, სანქტ-პეტერბურგში მხოლოდ 12 ადამიანი გაატარეს.[203] 1771 წლის 30 ოქტომბრით დათარიღებულ საბუთში ირაკლი II ვასალიტეტს სთავაზობდა;[204] 1773 წლის 31 დეკემბერს ეკატერინე II-მ უარი უთხრა.[205] ელჩები საქართველოში 1774 წელს დაბრუნდნენ.[206]

ვაქილმა, რომელთანაც „მეშურნენი მეფის ირაკლისა" იმყოფებოდნენ (ქართლელ ბაგრატიონთა დასი?), და რომელსაც თბილისიდან ინფორმაციას, საფიქრებელია, ჯაშუშები აწვდიდნენ, 1772 (?) წელს ჯარები შეკრიბა და, ქართლ-კახეთის სამეფოზე ლაშქრობის (რეალურ, თუ მოჩვენებით?) სამზადისში თაბრიზს ჩავიდა (რუსული საექსპედიციო კორპუსი ქართლ-კახეთის სამეფოდან ამ დროისთვის, ჩანს, უკვე გასული იყო, 1772 წლის ზაფხულში):

> „ხოლო დროსა ამას განძლიერდა ქარიმ-ხან და ჰსცნა მეფის ირაკლისაგან რუსეთის იმპერიისა საფარველს ქვეშე შესვლა. განძვინდა ამისთვის,[207] ვინადგან იყვნენ მრავალნი მეშურნენი მეფის ირაკლისა ქარიმ-ხანისა თანა, რომლისათვის შეჰკრიბნა ჯარნი ერანელნი და მოვიდა თავრიზს. და ჰსცნა რა მეფემან ირაკლი მომავლობა ქარიმ-ხანისა, არა მცირედ მწუხარე იქმნა, ვინადგან იმედეულმან რუსეთისა მფარველობისამან არა რიდა ბრძოლად ხვანთქრისა და არცაღა ჰმორჩილებდა მოადგილესა ყაენისასა და ამჟამად დაშორვებულ იყო მფარველობა და მხედრობა რუსეთისა. [...]"[208]

202 საბედისწერო 1783 წლის ერთგვარი მოთელვა გამოუვიდა.

203 Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*, 140.

204 იქვე, 140; პაიჭაძე, ჩხატარაიშვილი, „1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო", 660-661.

205 Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*, 140-141.

206 პაიჭაძე, ჩხატარაიშვილი, „1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო", 661.

207 ომან ხერხეულიძის ნაშრომის B ნუსხებში ქარიმ-ხანის თაბრიზში მოსვლის ამბავი სხვანაირადაა გადმოცემული, ირაკლი II-ს საწინააღმდეგოდ გამოლაშქრების მიზეზი განსხვავებულად არის ჩამოყალიბებული: „[...] ამასვე წელსა შეასმინეს ქარიმხანს, რომელი იყო სპარსეთსა გამგებელი ძლიერი ესრედ ვითა იმპერატრიცა ეკატარინას სთხოვს ძალსა რათა დაიპყრას სრული ადირბეჟანი და ამად დიდად განძვინდა იგი საქართველოსა ზედა. შემოკრიბნა ჯარები სპარსეთისა და მოვიდა თავრიზს." ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, 65.

გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ომან ხერხეულიძის თხზულების ამ ვარიანტში ვხვდებით ერთგვარ ანარეკლს ირაკლი II-ის 1769 წლის თუ, შესაძლოა, ასევე უფრო გვიანდელი მოწოდებებისა, რუსეთის იმპერიას ირანისთვის შეეტია, ქართლ-კახეთის სამეფოს დახმარებით.

208 იქვე, 65.

თეიმურაზ ბატონიშვილის ვერსიაში ქარიმ-ხანის წყრომის მიზეზი უფრო ზოგადია; საზოგადოდ — ირაკლი II-ის „რუსთა თანა ლაპარაკი":

„ჟამსა ამას განძლიერდა ფრიად განმგებელი სპარსეთისა ქარიმ-ხან. სცნა მეფისა ირაკლისაგან რუსთა თანა ლაპარაკი, ერთობა და ჯარის გარდმოყვანა, (რომელიც ზემორე ითქვა) გაწყრა ფრიად ამაზედ, მიზეზითა ამით უფროს, რომელ მას ჟამად რომელნიმე გვამნი იყვნენ მემშურნენი მეფისა ერეკლესნი ქარიმ-ხანთან და მათ ბეზღებით განაძვინეს. შემოიკრიბნა უმრავლესნი სპანი სპარსეთისანი, მოვიდა თავრიზს. სცნა რა მეფემან ირაკლი მომავლობა ქარიმ-ხანისა თუმცა მწუხარე იქმნა არა მცირედ, ვინადგან იმედეულმან შეწევნისაგან რუსეთისა კარისა არა რიდა ბრძოლად ხონთქრისა და არცაღა მორჩილებად მოადგილესა ყაენისასა მიხვდა. [...]"[209]

ქარიმ-ხანის დაშოშმინება ირაკლი II-მ მხოლოდ საგანგებო დიპლომატიური მისიის გაგზავნით მოახერხა; ჩვენთვის უცნობია, რა ფასად:

„გარნა გამბედავმან და გამოცდილმან ირაკლი წარგზავნა ორნი სანდომნი გუამნი, კარისკაცნი თვისნი, თავადი ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო მდივანბეგი და თავადი თარხნიშვილი ზაზა ყორიასაულბაში დესპანად და აცნობა ყოველივე ერთგულება და მხნეობა თვისი, თუ ვითარ ჰბრძოდა ოსმალთა და აქვნდა ოსმალთაგან შეწუხებაი. ხოლო მივიდნენ რა ესე წარგზავნილნი თავადნი თავრიზს ქარიმ-ხანთან, რ(ომელიც)ა მზად იყო წარმოსავლელად და ბრძოლად მეფის ირაკლისად, მაშინ მისრულთა ამათ თავადთა მრავლითა ლაპარაკითა და ღონისძიებითა, ვითარცა აქვნდათ დაბარება მეფისა ირაკლისაგან, ეგრეთ მოამშვიდეს ქარიმ-ხან, რომელ უკუნ-იქცა თავრიზით და განერა მეორესა მძლავრსა მეფე ირაკლი. გარნა ვერა დაამშვიდა ალსიხის ფაშა სულეიმან და ჰბრძოდა მარადის ლეკის ჯარითა ქართლსა [...]"[210]

როგორც ვხედავთ, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ომში ჩაბმამ და საგარეოპოლიტიკურმა რყევებმა ირაკლი II-ს კარგი არაფერი მოუტანა.

ირაკლი II-ისა და ახალციხის ფაშის დაპირისპირება გაგრძელდა, გარდამავალი წარმატებით. ომან ხერხეულიძეს დარღვეული აქვს მოვლენების ქრონოლოგია და იქვე ახტალის საბადოს ამუშავებაზე წერს.[211] საინტერესოა, რომ ომან ხერხეულიძის თხზულების B ნუსხების მიხედვით, საომარ მოქმედე-

209 იქვე, 87.

210 იქვე, 65-66.

B ნუსხების მიხედვით, „ხოლო ოდეს მივიდნენ განრისხებულსა მას ქარიმ-ხანსა თანა, შეევედრნენ რათა დასტკბეს გული მისი საქართველოსა ზედა, რამეთუ არა რაიმე შეცოდება აქვს მეფესა მის თანა თვინიერ თანადგომისა და მოაგონეს ყოველი ერთგულება მეფისა მის ირაკლისა, რაოდენი ექმნა ერანისათვის და ესრეთითა ვედრებითა დააცხრეს გულისწყრომა მისი, რომელი უკუნვე აქციესცა თავრიზით ერანს.". იქვე, 66.

ბევრად უფრო ვრცელი ვერსია თეიმურაზ ბატონიშვილის ნუსხაშია. იქვე, 87-88.

211 იქვე, 66.

ბათა ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ირაკლი II-ის მიერ სამთამადნო წარმოების ამუშავება იყო:

> „ხოლო სულეიმან ფაშამან ჰსცნა რა ფრიად მეფემან ჰპოვა ირაკლიმ ქვეყანასა თვისსა მადანი, ამისთვის არა მცირედ შესწუხნა ფაშა სულეიმან და შემოიკრიბნა სრულისა საათაბაგოისა სპანი და მიუხდა ქართლს [...]"[212]

სამარი მოქმედებებით ზარალი ადგებოდა არა მარტო ქართლს (და კახეთს), არამედ ოსმალო სულთნის სამფლობელოებსაც. ამ ზიანის გაზვიადება ახალციხის ფაშასაც აწყობდა, და სტამბოლში შესაბამის მოხსენებებსაც აგზავნიდა. ყოველივე იმით დამთავრდა, რომ სულთანმა ვაქილს მისწერა:

> „კვალადცა არა დასცხრებოდა ფაშა აღსიხისა სულეიმან და მარადის აბეზღებდა ხონთქართან მეფეს ირაკლის, რომლისა გამო სარგებლობდა ძლიერად ხაზინის მოტანითა და აგრეთვე საქართველოს რბევითაცა. გარნა დარწმუნებული იყო ხვანთქარი, რომელ ფრიად შეაწუხა მამულნი მისნი და ამისთვის წარავლინა ელჩი თ(ვი)სი ხვანთქარმან ერანის მეპატრონის ქარიმ-ხანისა თანა და შეუთვალა: „თუცა ჩვენსა და თქვენსა შორის არს მშვიდობა, რამეთუ ზავ გვიყოფიეს, გარნა ეგრეთცა აღგიშვია ერთი ლომი, რომელ არს საქართველოს ვალი, რ(ომე)ლი აოხრებს მარადის სამფლობელოსა ჩემსა და ამის გამო იხარჯვის ჩემგან არა მცირედი ხაზინანი, რომლისათვის მაქვს განცხადება მეგობრობისადმი თქვენისა, რათა დააყენოთ იგი ესევითარისა მძლავრებისაგან". ხოლო მსმენელი ამისი ქარიმ-ხან ეტყოდა ვეზირთა თვისთა და ადრიბეჟანისათა ხანებთა, რ(ომე)ლნიცა აბეზღებდენ მეფესა ირაკლის: „შეხედეთ მეფესა ირაკლის, ახლა მე ის როგორ არ უნდა მიყვარდესო რაც ჩემთვის უმსახურია, იმას გარდა ეს უმეტესი ჩემი დიდება არის, რომელ ხონთქარი დააჩოქა და ჩემთან აჩივლებსო, ამისთანა კაცი ერანის ხელმწიფისაგან დიდად პატივსაცემელი არისო, რომლისათვის განუცხადა სიყვარული და მოსწერა წიგნი ქარიმ-ხანმან მეფესა ირაკლის და წარმოუგზავნა ხრმალი და ცხენი ოქროსა იარაღითა აღკაზმული."[213]

აღსანიშნავია, რომ 1775-1776 წლებში ქარიმ-ხანმა ბასრაზე შეტევით თავად წამოიწყო ომი ოსმალეთის წინააღმდეგ, და 1776 წელს ბასრა აიღო კიდევაც.

ირაკლი II-მ კი სწორედ 1776 წელი შეარჩია ოსმალეთთან შესათანხმებლად. მისი ელჩი სტამბოლში 1776 წელს ჩავიდა.[214] აღსანიშნავია, რომ ომან

---

212 იქვე.

213 იქვე, 67-68.
თეიმურაზ ბატონიშვილის ვერსია პრაქტიკულად, იდენტურია. იქვე, 89-90.

214 ზაფხულში? Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*, 155; თუ დეკემბერში? მამია დუმბაძე, „ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე.* (ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე) (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 679-681; ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, 68-69.

ხერხეულიძე ირაკლი II-ის მიერ ქარიმ-ხანისგან საჩუქრად იარაღისა და ოქრო-კაზმული ცხენის მიღების შემდეგ სწორედ ირაკლი II-ს ოსმალო სულთანთან შეთანხმებაზე გადადის;[215] თუმცა, გვეეჭვება, რომ ამ ორ ფაქტს შორის რაიმე კავშირი ყოფილიყო, და რომ ირაკლი II-ს ზავი ვაქილის შეგონებით დაედოს, როგორც ეს ისტორიოგრაფიაში არის ნავარაუდევი.[216] ირაკლი II-ის ელჩმა სტამბოლი 1777 წლის 20 იანვარს დატოვა (?[217]). სხვა ცნობით, ირაკლი II-ის კიდევ ერთი (ანუ, მეორე) ელჩობა სტამბოლში 1777 წლის 17 აგვისტოს ჩავიდა.[218] იესე ბარათაშვილის მემუარებში „გურგინასა და ხონთქრის კაცის" ჩამოსვლა 1778 წლის 23 მაისით თარიღდება.[219] სავარაუდოდ, მეორე ელჩობიდან დაბრუნების თარიღია მოცემული.

სამწუხაროდ, ოსმალეთთან ირაკლი II-ის 1776-1778 წლების შეთანხმებაზე ძალიან ცოტა რამ ვიცით; ხელშეკრულების ტექსტი უცნობია.[220] ომან ხერხეულიძის თხზულებით თუ ვიმსჯელებთ,[221] ანტიირანული ხასიათი მას არ ჰქონდა.[222] აქედან გამომდინარე, რთულია იმის თქმა, ქარიმ-ხანი, რომელსაც ოსმალეთისგან ბასრა ჰქონდა ახალი წართმეული, მას როგორ შეხვდებოდა. სავარაუდოდ, უარყოფითად. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი II, მაინც, ამჯობინებდა ქარიმ-ხანის მიმართ გარკვეული ლოიალობა გამოეხატა; კერძოდ, (1777 წელს?) არ გამოატარა თურქებთან (თრაბზონის ფაშასთან) მიმავალი ლეკების რაზმი, და, მეორე მხრივ, უარი თქვა მისი სამფლობელოებით ქარიმ-ხანის წინააღმდეგ ორ თურქ ფაშას გაელაშქრა.[223]

მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ 1770-იანი წლების დასასრულისკენ ირაკლი II-ის ურთიერთობა ქარიმ-ხანთან დაიძაბა. რუსული საბუთებით, 1778

---

215 იქვე, 68.

216 Бутков, *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, П.Г. Буткова. Часть первая*, 289; David Lang, *The Last Years of the Georgian Monarchy. 1658-1832* (New York: Columbia University, 1957), 178; „ომან ხერხეულიძის აზრით, ეს შეთანხმება ოსმალეთთან თითქოს ქერიმ-ხანის ინიციატივითაც კი მოხდა". დუმბაძე, „ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე", 680.

217 Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*, 155.

218 იქვე, 155-156.

219 იესე ბარათაშვილი, *იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი*, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვეთი 28 (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950), 86; დუმბაძე, „ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე", 681.

220 Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*, 156; დუმბაძე, „ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე", 679-681.

221 ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, 68-69.
თეიმურაზ ბატონიშვილის ვერსია პრაქტიკულად, იდენტურია. იქვე, 90-92.

222 ისე კი, ომან ხერხეულიძის ნაშრომი, ყოველ შემთხვევაში, იმ სახით, რა სახითაც ჩვენამდე მოაღწია, *ყოვლისმომცველი*, ცხადია არ არის; საკმარისი იქნება, თუნდაც, იმის აღნიშვნა, რომ მასში *თეიმურაზ II-ის გარდაცვალების* ხსენებაც კი არ არის.

223 Маркова, *Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке*, 156.

წელს ქარიმ-ხანმა შეახსენა ირაკლი II-ს მისი დაქვემდებარებული მდგომარეობა და ხელახლა ხარკის გადახდა მოსთხოვა.[224] გენერალ იაკობის 1778 წლის 11 სექტემბრით დათარიღებული პატაკის მიხედვით, ქარიმ-ხანმა საჩუქრები გაუგზავნა ყარაკაიტაკის უცმის, და მოუწოდა, სხვა ლეკებთან ერთად ქართლ-კახეთის სამეფოზე გაელაშქრა, ტახტზე ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელი, რუსეთის იმპერიიდან წამოსული ალექსანდრე ბაქარის ძე[225] დაესვათ.[226] ბუტკოვის მიხედვით, ქარიმ-ხანმა ირაკლი II-ის საწინააღმდეგო დიპლომატიური საქმიანობა დაღესტანში 1777 წელს გააჩაღა, სამხედრო მოქმედება კი 1778 წლისთვის იგეგმებოდა: მასში, ლეკების გარდა, მონაწილეობა უნდა მიეღოთ გილიანის ხანსაც, და ზენდების ლაშქარსაც, ზაქი-ხან ზენდის მეთაურობით.[227] თუმცა, მალევე ქარიმ-ხანი გარდაიცვალა და ამისგან არაფერი გამოვიდა.[228]

ქარიმ-ხანი 1779 წელს, 1 მარტს გარდაიცვალა. ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ 1779 წლის აგვისტოში ირაკლი II-მ ერევნის სახანო დალაშქრა; 1780 წელს კიდევ ერთხელ მოუწია ამის გაკეთება.[229] მამია დუმბაძე ვარაუდობდა, რომ ირაკლი II ამ სახანოს უშუალოდ შემოერთებასაც გეგმავდა,[230] რაც სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება. სამხრეთი მიმართულებით წარმატებული ექსპანსიის იმედი, ირაკლი II-ს, ჩვენი ვარაუდით, ქარიმ-ხანის სიკვდილმა და ირანში დაწყებულმა აშლილობამ მისცა.

*

შევაჯამოთ. რეგიონის პოლიტიკურ სარბიელზე ირაკლი II-ისა და ქარიმ-ხანის ურთიერთქმედება თავსდება დროის შუალედში 1760, უფრო კი, 1762-1763 წლიდან ვიდრე ქარიმ-ხანის გარდაცვალებამდე 1779 წელს.

---

224 იქვე, 156.

225 რომელიც შირაზში 1766 წლიდან იმყოფებოდა. Петр Бутков, *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, П.Г. Буткова. Часть вторая* (Санктпетербург, 1869), 114.

226 *Акты собранные Кавказской археографической коммиссией. Том I*, Под редакцией Адольфа Берже (Тифлис: Типография Главного управления Наместника кавказского, 1866), 91, Выписка из Кабардинских дел, в Коллегии иностранных дел находящихся, от 1762-го по 1779-й год.

227 Бутков, *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, П.Г. Буткова. Часть вторая*, 115.

228 *Акты собранные Кавказской археографической коммиссией. Том I*, Под редакцией Адольфа Берже, 91, Выписка из Кабардинских дел, в Коллегии иностранных дел находящихся, от 1762-го по 1779-й год.; Бутков, *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, П.Г. Буткова. Часть вторая*, 115.

229 იქვე, 73-75; დუმბაძე, „ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე", 681-683. ომან ხერხეულიძე ორივე ლაშქრობას 1780 წლის ქვეშ ათავსებს. ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, 69-71. თეიმურაზ ბატონიშვილი კი მხოლოდ 1779 წლის ამბებს მოგვითხრობს. თეიმურაზ ბაგრატიონი, *ახალი ისტორია*, 57-58.

230 დუმბაძე, „ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე", 681-683.

უკვე 1760 წელს ქარიმ-ხანი გადაიქცა ქართლ-კახეთის სამეფოსთვის საგულისხმო საგარეოპოლიტიკურ და სამხედრო ფაქტორად. 1762-1763 წლებში ორივე მონარქმა კონფრონტაციას მორიგება ამჯობინა: მათ მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ირაკლი II ცნობდა ვაქილის უზენაესობას, სანაცვლოდ კი ქარიმ-ხანი ურიგდებოდა თავისი *ვალის* განსაკუთრებულ სტატუსს არაქსის ჩრდილოეთით.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფოს დამოკიდებულება ზენდების მართულ ირანზე, ბუნებრივია, არ იყო იმდენად ღრმა, როგორც ახალი დროის კლასიკურ პერიოდში, სეფიანთა ხანაში; თუმცა, ვერ დავეთანხმებით სამამულო ისტორიოგრაფიაში, თითქოს, მიღებულ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ირაკლი II ქარიმ-ხანზე არათუ ნომინალურად იყო დამოკიდებული, არამედ, საერთოდ, ლამის, მასთან თანასწორუფლებიანობით სარგებლობდა. მოვიყვანთ ციტატას *საქართველოს ისტორიის ნარკვევებიდან*:

> „ერეკლეს მიერ ქერიმ-ხანის ვასალობის აღიარება ამ დროს მხოლოდ ფორმალური ხასიათისა იყო და მის დამოუკიდებლობას არაფრით არ ზღუდავდა. ქერიმ ხანთან ერეკლეს შეთანხმება არსებითად ორი თანაბარი მხარის ზავს წარმოადგენდა და იმის დადასტურება იყო, რომ ირანის გამგებელი ქართლ-კახეთში ვერ გაბატონდა."[231]

ლოვარდ ტუხაშვილთან ვკითხულობთ:

> „ქერიმ-ხანის უპირატესობის აღიარება არ ნიშნავს ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობის დაკარგვას. იმ ფაქტს, რომ ერეკლე II კვლავ აღიარებდა თავს ირანის ვასალად, არავითარი რეალური მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჯერ ერთი, ეს იყო წმინდა წყლის ფიქცია. ამავე დროს შაჰის ვასალობა სრულიად არ ნიშნავდა ქერიმ-ხანისადმი მორჩილებას. შაჰის ვასალობა ზოგადი, არაფრისმთქმელი ცნება გახდა და ფაქტიურ მდგომარეობას არ ასახავდა. თვით ქერიმ-ხანიც ასეთი ზოგადი, რეალურად არარსებული შაჰის მოადგილე, ვექილი იყო."[232]

აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება გაგვაჩნია: ირაკლი II-ის დამოკიდებულება არ იყო „ფიქცია", არ იყო ნომინალური; თანასწორობაზე ხომ საუბარიც ზედმეტია — ქარიმ-ხანთან ურთიერთობის ფორმატი გულისხმობდა ირაკლი II-ის მიერ თავისი შიდა თუ საგარეო პოლიტიკის რეალურ მოდიფიცირებას და, ყოველ შემთხვევაში, ვაქილის ფაქტორის მუდმივად გათვალისწინებას. ამაში ვგულისხმობთ, თუნდაც, ირაკლი II-ის ხაზგასმულად არათანასწორუფლებიან, დაქვემდებარებულ სტატუსს ქარიმ-ხანთან

---

231 დუმბაძე, „ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII ს. 60-იან წლებში", 632. იგივეს იმეორებს ლუიზა შენგელიაც. ლუიზა შენგელია, „ირან-საქართველოს ურთიერთობა XVIII ს-ის 40-60-იან წლებში", *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, ტ. V (2008), 192-193.

232 ტუხაშვილი, *რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი)*, 78-79, განსაკუთრებით, სქოლიო 10.

მიმოწერაში; საკუთარ საფასეზე ქარიმ-ხანის ინვოკაციის მოთავსებას (რაც, ფაქტიურად, ქვეშევრდომობის საჯაროდ განცხადებას წარმოადგენდა), და ამის გაკეთების საჭიროებას; ქარიმ-ხანთან ქართველი მეომრების გაგზავნას; საგარეოპოლიტიკური კურსის ქარიმ-ხანთან შეთანხმებას, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი, რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით, საგანგებოდ მოქმედების აუცილებლობას (დიპლომატიური გზით სიუზერენის დაშოშმინების საჭიროება, სამხედრო კონფრონტაციისთვის მზადყოფნა).

უფრო რთული სათქმელია, სანაცვლოდ თუ რას იღებდა ირაკლი II, ან, სხვანაირი ფორმულირებით, რისი დათმობა დასჭირდა ქარიმ-ხანს; ისტორიოგრაფიაში ესოდენ პოპულარული, ომან ხერხეულიძისეული „და მოსწერა სხვათაცა ხანთა ადრიბეჟანისათა მორჩილება მეფის ირაკლისა”[233] ფაქტადაც რომ მივიღოთ (წყარო, მაინც, ნარატიულია), არეზის ჩრდილოეთით ირაკლი II-ის დომინირება, მაინც, ერთგვარ პირობითობას წარმოადგენდა: ქარიმ-ხანი რეალურად ხომ თავადაც სრულად ვერ აკონტროლებდა ირაკლი II-ისადმი „დათმობილ” ხანებს; ვაქილისგან „მოწერა” რომ ერთი იყო და ადგილობრივ მმართველთა რეალური ქმედება, — სულ სხვა, ეს ირაკლი II-ს თავადაც შესანიშნავად მოეხსენებოდა; და, რაღა თქმა უნდა, ირაკლი II და მისი ქართლ-კახეთი თავისი ძლიერების ზენიტშიც კი არ წარმოადგენდა ისეთ ძალას, თუნდაც რეგიონის მასშტაბით, რომ აბსოლუტურად ყველა ხანი უპირობოდ დამორჩილებოდა; პირიქით, ნუხის, ყარაბაღის, კუბის მმართველები ტოლს არ უდებდნენ ირაკლი II-ს და რეგიონში არა ნაკლებ საგულისხმო ძალას წარმოადგენდნენ; ხუნძეთზე უკვე აღარაფერს ვიტყვით, რომლის ხანსაც გორჯესთანის ამპარტავანი ვალი (და არა მარტო) ხარკს უხდიდა. როგორც ჩანს, უფრო რეალური იყო ირაკლი II-ისთვის ერევნის სახანოს გადაბარება (სახანოსგან ფინანსური სარგებლის მიღება, და არა მასზე უშუალო პოლიტიკური კონტროლი), თუმცა, როგორც დავინახეთ, ეს დათმობაც ქარიმ-ხანს ბოლომდე ვერ ემეტებოდა. ერთადერთი, რაც ირაკლი II-ს უზრუნველყოფილი ჰქონდა, იყო რეალური (განსხვავებით სეფიანური, და, თუნდაც, ავშარული პერიოდებისგან) შინაგანი ავტონომია; თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ქარიმ-ხანზე დამოკიდებულებამ დაღი დაასვა ირაკლი II-ის ფულად პოლიტიკას; რამდენადაც დამოუკიდებლად არ უნდა ეგრძნო თავი შიდა პოლიტიკის გატარებაში, *სიქეს* უფლების მოპოვება ირაკლი II-მ მაინც ვერ შეძლო, ვერ გაბედა.

ზემოთ აღწერილი ფორმატით ურთიერთობა ორივე მხარისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა. ირაკლი II შედარებითი ავტონომიით სარგებლობდა და გარკვეული სივრცეც კი რჩებოდა საგარეოპოლიტიკური ავანტიურებისათვის, ქარიმ-ხანს კი, რომლის მდგომარეობაც თავად ირანში მთლად მყარი არ იყო, მაინც, სიმშვიდე ერჩივნა, და, აუცილებლობა თუ არ იყო, სამხედრო კონფლიქტს ერიდებოდა ხოლმე.[234]

და, მაინც, ზემოთ ჩამოყალიბებული modus vivendi საკმაოდ მყიფე იყო და მისი შენარჩუნებაც გაძნელდა. ოტო ფონ ბისმარკი რომ მოვიშველიოთ,

233 ომან ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, 59.

234 ქართლ-კახეთთან როგორც ნადერის, ასევე ქარიმ-ხანის ურთიერთობას ამ დინასტების პიროვნული თვისებებიც განსაზღვრავდა.

„პოლიტიკა შესაძლებელის მეცნიერებაა" ("Die Politik ist die Lehre vom Möglichen"). კონიუნქტურის ცვლილების შემთხვევაში, წარმოებს ურთიერთობის ხელახალი ფორმატირება. ეს განსაკუთრებით ირაკლი II-ის დინამიკურ საგარეო პოლიტიკას ახასიათებდა — მუდამ ცდილობდა ახალი შესაძლებლობები შეძლებისდაგვარად გამოყენებინა და status quo თავის სასარგებლოდ შეეცვალა. მაგრამ, ირაკლი II-ის ლავირება ხან რუსეთის, ხან კი ოსმალეთის იმპერიის მიმართულებით, ანუ, შესაბამისად, ირანის გავლენის სფეროდან, ქარიმ-ხანისთვის წითელი ხაზის გადაკვეთას ნიშნავდა. უშუალო სამხედრო კონფრონტაციის, ქარიმ-ხან ზენდის შემოსევის საშიშროება რამდენიმეჯერ დამდგარა. ბოლოს, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ქარიმ-ხანი ლეკებს შემოსაჭრელად აქეზებდა და ქართლ-კახეთის ტახტზე ალტერნატიულ პრეტენდენტს ამზადებდა.

*

მოვიყვანთ * და, ქარიმ* ინვოკაციისა და შიიტური რელიგიური ფორმულის მატარებელი მონეტების მოკლე აღწერილობასაც. ეს მით უფრო აქტუალურია, რომ ახალაღმოჩენილი ეგზემპლარები იძლევა შესაძლებლობას შევავსოთ და დავაზუსტოთ, შევასწოროთ კიდევაც ადრინდელი წარმოდგენები ამ ჯგუფის თბილური მონეტების შესახებ.

ჰიჯრის 1177 (1763/4), 1178 (1764/5)[235] და 1179 (1765/6) წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს (თბილისის) ზარაფხანა ჭრიდა 'აბბასისა (აბაზი) და შაჰის (შაური) (სურ. III.2) ნომინალის მონეტებს;[236] ასევე, როგორც ირკვევა, მაჰმუდის. დათარიღებულის გარდა, არსებობს მონეტები, რომლებიც, როგორც ჩანს, დაუთარიღებელია (ქვეყნდება პირველად?) (სურ. III.3-5).

სხვადასხვა ნომინალის და სხვადასხვანაირად დათარიღებული მონეტების სამონეტო ტიპი მეტ-ნაკლებად მიმსგავსებულია:[237]

**შუბლი**: ცენტრში, მონეტის მოჭრის ადგილისა და თარიღის მაუწყებელი არაბული ფორმულა:

[თარიღი ჰიჯრით] ضرب تفلیس

*მოჭრილია თბილისში [თარიღი ჰიჯრით]*

ასევე, ქარიმ-ხან ზენდის ინვოკაცია, მისი საფასისთვის დამახასიათებელი ორლესული არაბული ფორმულა

یا کریم

*ჰოი, ქარიმ / ჰოი, მოწყალეო*[238]

წერტილები ჯგუფებად და მცენარეული მოტივის ელემენტები.

გარედან ამა თუ იმ ტიპის არშია: ჩვეულებრივი (წრეხაზი, წერტილები,

235 კირკ ბენეტის სკეპტიციზმი ორივე, ჰ. 1177 და 1178 წლებით დათარიღებული მონეტების არსებობის მიმართ უსაფუძვლოა. Bennett, *A Catalog of Georgian Coins*, 271. შეად. Пахомов, *Монеты Грузии*, 235-236, Табл. XVI, №142, 145.

236 Пахомов, *Монеты Грузии*, 235-236.

237 იქვე, 235-236, №142-145; Bennett, *A Catalog of Georgian Coins*, 270-271.

238 ალლაჰის ერთ-ერთი ეპითეტი.

წრეხაზი) — ჰ. 1178 და 1179 წწ., ასევე, უთარიღო მონეტებზე; კლაკნილი მრგვალი კარტუში, რომლის ირგვლივაც თავისუფალი სივრცეა, შემდეგ დამატებით ჩვეულებრივი არშიაა — ჰ. 1177 წლის შაურზე; წრეხაზი, სივრცე, წრეხაზი — ჰ. 1179 ალტერნატიული ქვეტიპის მონეტაზე (რომელზედაც თარიღიც ამ სივრცეშია მოთავსებული).

**ზურგი**: არაბული შიიტური ფორმულა:

لا اله الا الله محمد رسول الله على ولى الله

*არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა, ʻალი თანაშემწეა ალლაჰისა*

ირგვლივ ჩვეულებრივი (წრეხაზი, წერტილები, წრეხაზი) არშია.

აღსანიშნავია, რომ ჰ. 1177 და 1178 წლის მონეტებზე შუბლის ზედწერილები ნასხის კალიგრაფიული სტილითაა შესრულებული, დაუთარიღებელ და ჰ. 1179 წლით დათარიღებულ მონეტებზე კი — ნასთალიქით. ზურგის ლეგენდები ყველა შემთხვევაში ნასხით არის შესრულებული.

ამ მონეტების წონითი სტანდარტი აქამდე, ფაქტობრივად, არ გამოკვლეულა, თუ არ ჩავთვლით ევგენი პახომოვის ცოტა ბუნდოვან შენიშვნას, რომ „საფუძველი კვლავინდებურად ნადერის ʻაბბასია, მაგრამ მასის უმნიშვნელო შესუსტებით, 4.50-4.55 გრამამდე 4.6-ის მაგიერ".[239] კირკ ბენეტი კი თვლის, რომ ʻაბბასის წონაა "probably about 3.80 g (3.81-4.55 g)" / "probably about 3.80 g (3.79 g)"; თუმცა, იქვე წერს, რომ ზოგიერთი ეგზემპლარი მოიჭრა ʻაბბასის წინარე, 4.61-გრამიანი წონითი სტანდარტის მიხედვით.[240] ეს საკითხი, ბუნებრივია, საგანგებო დამატებით კვლევას საჭიროებს.

სამწუხაროდ, ევგენი პახომოვს თავის ნაშრომში მის მიერ აღწერილი ეგზემპლარების წონა არა აქვს მითითებული. ჩვენთვის (შესასწავლად) ხელმისაწვდომი ცალების მიხედვით კი შემდეგი სურათი იკვეთება:

- ჰ. 1177 წლის აბაზიანის[241] წონა უცნობია;
- ჰ. 1177 წლის შაჰის[242] წონა უცნობია;
- ჰ. 1178 წლის აბაზიანის[243] წონა 3.73 გრამია; კიდევ ერთი, გახვრეტილი ეგზემპლარის[244] წონა (გახვრეტამ თარიღის ბოლო ციფრი შეიწირა, მაგრამ ვიზუალურად ჰ. 1178 წლისას ემსგავსება), ასევე, 3.73 გრამია;
- ჰ. 1178 წლის შაჰის[245] წონა 0.95 გრამია (სურ. III.2)

239 "Основой по-прежнему служит надировский аббаси, но с небольшим ослаблением веса, до 4,50-4,55 вместо 4,6 grm". Пахомов, *Монеты Грузии*, 235.

240 Bennett, *A Catalog of Georgian Coins*, 270-271.

241 Пахомов, *Монеты Грузии*, 235.

242 იქვე, 235, Табл. XVI, №145.

243 იქვე, 235, Табл. XVI, №142; Zeno Oriental Coins Database <http://www.zeno.ru/>, №34790, accessed 30 April 2023; Bennett, *A Catalog of Georgian Coins*, 271, №803.

244 გ.გ.-ს კერძო კოლექციიდან.

245 დ.ფ.-ს კერძო კოლექციიდან.

- ჰ. 1179 წლის ერთი აბაზიანის[246] წონა 3.79 გრამია;
- ჰ. 1179 წლის შაჰის[247] წონა 0.96 გრამია;
- დაუთარიღებელი, გახვრეტილი აბაზიანის[248] წონა 3.77 გრამია (სურ. III.3);
- ორი დაუთარიღებელი მაჰმუდის[249] წონა არის შესაბამისად 1.62 და 1.96 გრამი (სურ. III.4);
- დაუთარიღებელი შაჰის[250] წონა არის 0.97 გრამი (სურ. III.5).



სურ. III.2. ქართლ-კახეთის სამეფო, ქარიმ-ხანის ინვოკაციით, თბილისი, შაური, ჰ. 1178 წ.



სურ. III.3. ქართლ-კახეთის სამეფო, ქარიმ-ხანის ინვოკაციით, თბილისი, აბაზი, დაუთარიღებელი



სურ. III.4. ქართლ-კახეთის სამეფო, ქარიმ-ხანის ინვოკაციით, თბილისი, უზალთუნი, დაუთარიღებელი



სურ. III.5. ქართლ-კახეთის სამეფო, ქარიმ-ხანის ინვოკაციით, თბილისი, შაური, დაუთარიღებელი

სამწუხაროდ, დაკვირვებათა რიცხვი არ არის ძალიან მაღალი; არ გვაქვს მონაცემები ჰ. 1177 წლის მონეტებისთვის; მაგრამ, არსებული მასალით, მაინც, ვფიქრობთ, შესაძლებელია მტკიცება, რომ **ჰ. 1177-1179 წლების თბილური მონეტები იჭრებოდა წინანდელთან შედარებით შემცირებული წონითი სტანდარტით — 1 თუმანი = 1000 მუხუდოს (ხუთდანგიანი / 3.84-გრამიანი აბაზი, 1.92-გრამიანი მაჰმუდი, 0.96-გრამიანი შაური)**.

ჰ. 1177-1179 წლებში თბილისის ზარაფხანას, რასაკვირველია, კვლავინ-

246 Пахомов, *Монеты Грузии*, 235; Zeno Oriental Coins Database <http://www.zeno.ru/>, №25882, accessed 30 April 2023; Bennett, *A Catalog of Georgian Coins*, 271, №805.

247 გ.გ.-ს კერძო კოლექციიდან.

248 ნ.ა.-ს კერძო კოლექციიდან.

249 გ.გ.-ს და ნ.ა.-ს კერძო კოლექციებიდან.

250 ნ.ა.-ს კერძო კოლექციიდან.

დებურად ირაკლი II აკონტროლებდა, მაგრამ ქარიმ-ხანის ინვოკაციით საფასის ემისიის დაწყება ცალსახად მიუთითებს სიუზერენად ზანდი ვაქილის აღიარებაზე.

ხოლო სამი სხვადასხვა თარილით საფასის უწყვეტი ემისია, ჩვენი აზრით, ახტალისა (და დამბლუღის) საბადოებიდან მიღებული ვერცხლის უწყვეტი შემოდინებით აიხსნება.

*

უკვე ჰ. 1179 წელს კი ქართლ-კახეთის ადმინისტრაციამ შეძლო საკუთარი, უნიკალური, მეტ-ნაკლებად ნაციონალური ტიპის სამონეტო ტიპის გამომუშავება — დაიწყო სირმა თეთრის ემისია. მას შემდგომ თავებში განვიხილავთ.

# თავი IV. სამონეტო ლითონის მოპოვება

სირმა თეთრის გენეზის შესწავლისას გვერდს ვერ ავუვლით ამ ვერცხლის მონეტების გამოსაშვებად აუცილებელი სამონეტო ლითონის მოპოვების საკითხსაც.

საზოგადოდ, სახელმწიფოს, ემიტენტის ფულადი პოლიტიკა (მონეტარული ფულის ეპოქაში) მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამა თუ იმ (პოტენციურად) სამონეტო ლითონის ხელმისაწვდომობაზე. საქართველოში (ისევე როგორც იმდროინდელი სამყაროს უმეტეს ნაწილში) მონეტის მოსაჭრელად იყენებდნენ სამ ტრადიციულ ლითონს: სპილენძს, ვერცხლს, ოქროს.

როგორც შემდეგ თავში დავინახავთ, სირმა თეთრი ირაკლი II-ის მიერ ჩატარებული რეფორმის ფარგლებში გაჩნდა. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ რეფორმის ფარგლებში გადახალისდა არა მარტო ვერცხლის, არამედ, ასევე, სპილენძისა და ოქროს საფასეც. აქედან გამომდინარე, გარდუვალი ხდება, განვიხილოთ ქართლ-კახეთის სამეფოში სამივე ლითონის ხელმისაწვდომობის საკითხი.

წინამდებარე თავი სწორედ ქართლ-კახეთში საფასის მოსაჭრელად აუცილებელი სამონეტო ლითონების მოპოვების საკითხს ეძღვნება. უფრო მეტიც, ვერცხლის ხელმისაწვდომობა წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს არა მარტო სირმა ვერცხლის გაჩენის, არამედ ემისიის გაგრძელების კონტექსტშიც.

როგორც დავინახავთ (vide infra, თავი V, VII), ჰ. 1179 წელს (1765/6) გაჩენილი სირმა თეთრი თითქმის უწყვეტად, ჰ. 1213 წლის (1798/9) ჩათვლით მაინც იჭრებოდა. თუ გავითვალისწინებთ დღემდე შემონახული ეგზემპლარების რაოდენობას (როგორც კერძო, ასევე საჯარო კოლექციებში სირმა მონეტები, განსაკუთრებით, სირმა აბაზიანები, დიდი რაოდენობითაა), ემისია საკმაოდ მასშტაბური იყო. ბუნებრივია, ათწლეულების განმავლობაში ვერცხლის მონეტის მასობრივად გამოშვება ვერცხლის უწყვეტად შემოდინების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

უპრიანია, დავსვათ შეკითხვა, სირმა საფასის შემოღების უშუალოდ წინარე პერიოდში რამე ხომ არ შეიცვალა ქართლ-კახეთისა თუ რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში? გაიზარდა თუ შემცირდა ვერცხლის (და სხვა სამონეტო ლითონების) ხელმისაწვდომობა? და თუ ის შეიცვალა, — რის ხარჯზე? პასუხი ცალსახაა: სწორედ 1760-იან წლებში ქართლ-კახეთის (ეკონომიკურ) ისტორიაში ვხვდებით ფულადი პოლიტიკის კუთხით უაღრესად მნიშვნელოვან ფენომენს — სახელმწიფოსა და თავისი ფინანსური გაჭირვების გათვალისწინებით,[251] შემოსავლის გაზრდით დაინტერესებულმა ირაკლი II-მ (რომელიც, როგორც დავინახავთ, ეკონომიკურ საკითხებში ჩაღრმავებას არ ერიდებოდა) ქართლ-კახეთის სამთამადნო წარმოება ააღორძინა — სხვადასხვა მადნის

251 თაბუაშვილი, *ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის*, 116-117; შეად. ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 96-101.

მოპოვებასა და მისგან ლითონის გამოდნობას ვგულისხმობთ. დავესესხებით ომან ხერხეულიძეს:

> "გარნა ეგრეთცა სიმხნითა თვისითა ვერცა რომელმან მძლავრმან დაიმორჩილა ირაკლი მეფე პყრობადცა თავისუფლებისაგან და მარადის ჰბრძოდა ოსმალთა და ლეკთა. ვინაიდგან ჰბრძოდა მძლავრი ვინმე ხელმწიფე და არა აქვნდა პირდაპირ ძალი, არცა ჯარითა და არცა ხაზინითა და თვინიერ სიმხნისა კიდე არა რაი აქვნდა პირისპირი თანასწორება: მაშინ ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსი და ვეცხლისა, რომელმანცა იპოვა სომხეთის მამულსა შორის ალტალას, რომელ-არს მამულობით თავადთა სომხითისა მელიქისა და მოიყვანნა საბერძნეთით ბერძენნი მცირედნი. გამომდნობელნი ოქროსა და ვეცხლისა მიწისანი. ვითარცა დაიწყო მადნისა მის მუშაკობა. ისარგებლა მით ფრიად [...]"[252]

საინტერესოა თეიმურაზ ბატონიშვილის ვერსიაც:

> "[...] და მარადის ბრძოლა ოსმალთა და ლეკთა, რომელიცა დაუცადებლად ჰყოფდენ ხდომათა ადგილთა სხვათა და სხვათა საქართველოსათა და ვინადგან არა აქვნდა საკმაოდ ხაზინა და არცა შეწევნა ვისგანმე.
>
> მაშინ ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა მოიძია მამულსა თვისსა ქანნი, ესე იგი მიწა ოქროისა, ვერცხლისა და რვალისა, და სხვათა, რომელმანცა ჰპოვა ქანი ოქროსა და ვეცხლისა ახტალას და გარემოთა სომხითსა ქართლისასა მამულსა შინა თავადთა მელიქიშვილებისათა და რომელნიმე სამეფოთა მამულთა შინა. მოიყვანნა საბერძნეთით ბერძენნი მრავალნი, დაასახლა ახტალას სამეფოსა ადგილსა შინსა საქართველოსა სომხითისასა და ესე ბერძენნი ყოველნივე იყვნეს ხელოვნებითა მეტალთა ოქროსა და ვეცხლისა გამამდნობელნი და ვითარცა იწყეს მუშაობა მადნისა, ფრიად მრავალი სარგებლობა მისცა ხაზინასა მეფისასა ამა მადნებისა ძებნასა შინა და მუშაობისა ჟამსა ჩამოვიდა თვით სულეიმან ფაშა ახალციხისა დიდი ჯარით და მოადგა ქარელის ციხესა."[253]

როგორც ჩანს, უფრო ზუსტ და დაწვრილებით ცნობებს იძლევა ვინმე ანასტასი ხაჯიფოტოვი, ბერძენი მადანჩების უხუცესი; მისი სიტყვების პერიფრაზი, ისევე როგორც ციტატა მისი ნათქვამიდან (რთული სათქმელია, რამდენად ზუსტი), მოყვანილია თბილისში გამოცემულ (პირველ) რუსულ გაზეთში — *Тифлисские ведомости* (შემდეგ, *Тифлисские ведомости. Отделение литературное*). ანასტასი ხაჯიფოტოვი იყო ძე თეოდორე ხაჯიფოტოვისა, გადმოცემით, გადმოსახლებულ ბერძენთა წინამძღოლისა. ანასტასის მიხედვით, ირაკლი II-მ ბერძენი მადანჩები გიუმუშხანედან მოიწვია, ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი ცნობილი, ქართული ეთნიკური არეალის ფარგლებში მდებარე, ვერცხლის მწარმოებელი სამთამადნო ცენტრიდან[254] (სადაც ოსმალური

252 ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, 66.

253 იქვე, 89.

254 З-в. [Зубарев Дмитрий?], "Алвертский медный завод. Уста Баши Греческий. Его

ზარაფხანაც მოქმედებდა[255]). ბერძნები ჯერ უარს ამბობდნენ გადასახლებაზე, ვინაიდან ერიდებოდნენ შესაძლო საფრთხეებს, და ერჩივნათ დარჩენილიყვნენ ძლიერ და თვითმყოფად, თუნდაც, უცხო რჯულის სახელმწიფოში, ვიდრე სუსტ სამეფოში გადასახლებულიყვნენ, რომელიც თავის საზღვრებსაც ვერ იცავდა —

> "Они опасались подвергнуться тем бедствиям, которые безпрестанно угрожали природным жителям Грузии, и предпочитали находиться в земле иноверного, но сильного и самобытного государства, чем доверять себя покровительству слабого царства, бессильного защитить даже собственные пределы."[256]

თუმცა, ქართველმა მეფემ ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოში ჩასული ერთი ბერძენი მოთაფლა, ახტალა დააზვერვინა, და შემდეგ კი, მისი დახმარებით და მრავალი დაპირებით, ნელ-ნელა სხვა ბერძნებიც "გამოიტყუა":[257]

> "В Грузию прибыл по своим делам Грек, родственник моего отца, весьма уважаемый находящимися в Турции рудопромышленниками. Царь призвал его к себе, обласкал его, сделал ему самые лестные обещания для тех из его соотечественников, которые согласятся переселиться в Грузию; изложил ему сколь обильные источники представят неразведанные еще места в подвластных ему землях, и для первого опыта предложил ему Ахтальские окрестности, которые как известно по преданию, в древние времена содержали богатую серебренную руду. Наконец Царь заключил свое приглашение, сделав Греку порядочный порядок и дав ему денег, дабы уделить тем из его соотечественников, которых ему удасться уговорить к переселению. Грек прельщенный лестным обращением и дарами Царя и осмотрев Ахтальскую руду, отправился обратно в Турцию. Оттуда ему удалось выманить небольшое количество рудопромышленников, которые начали свое производство против Ахтальского монастыря, на другой стороне оврага. Первые опыты их были довольно успешны. Некоторые из них, бродя по окрестностям в надежде новых приисков, открыли на том месте где существует ныне Алвертский завод, богатую медную руду. Переселившиеся Гре-

история (Отрывок из путешествия по за-Кавказск. провинц.)", *Тифлисские ведомости*, 58 (1830).

255 ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით*, 94-98; Paghava, Novák, "Georgian Coins in the Collection of the National Museum-Náprstek Museum in Prague", *Annals of the Náprstek Museum*, 34 / 2 (2013): 58-59; ირაკლი ფაღავა, "ქართული ზარაფხანები (წინასწარი ანალიზი)", Irakli Paghava, "Georgian Mint Centers (Preliminary Analysis)", *საერთაშორისო კონფერენცია აღმოსავლეთი და დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული, ისტორიული ურთიერთობები. International Conference East and West: Linguistic, Cultural, Historical Interactions. კონფერენცია ეძღვნება აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის 90-ე წლისთავს. The Conference is dedicated to the 90th anniversary of Academician Thomas V. Gamkrelidze. 2019 წლის 12-15 დეკემბერი. December 12-15, 2019* (თბილისი, 2019), 110-112.

256 Павел Санковский, "Вечер на Алвертском заводе", *Тифлисские ведомости. Отделение литературное*, 1 (1832), 6.

257 იქვე, 6-7.

ки тотчас сообщили о своих успехах оставшимся в Турции соотечественникам, которые выбежали оттуда в значительном количестве, под предводительством отца моего, Федора Хаджифотова. С того времени началась деятельная обработка руд в Грузии. Сперва основан был Ахтальский завод, а потом в 1770 году Лялварский[258] или как ныне его называют Алвертский и Шамблугский медные заводы. Последний находится в стороне, на половине дороги между Алвертским и Ахтальским заводами.

Скоро заводы сии пришли в цветущее состояние…"[259]

საბოლოო ჯამში, ოსმალეთი ფარულად ("тайным образом") დატოვეს და ქართლ-კახეთში გადმოსახლდა 2,000 სული, როგორც უკვე აღინიშნა, თეოდორე ხაჯიფოტოვის მეთაურობით:[260]

"Алвертский медный завод основан Грузинским Царем Ираклием посредством Греков, вызванных им в 1763-м году, из местечка Гумишхана (серебреный завод), лежащего между Арзрумом и Трапезонтом. Греки сии, по приглашению Царя Ираклия, тайным образом в числе 2 т душ обоего пола прибыли в Грузию под предводительством Еминчи Феодора Хаджифотова и основали сперва Ахтальский и Тамбулутский серебреные заводы, а потом, в 1770-м году и Аллавердский и Шамлугский медные заводы."[261]

როგორც ვხედავთ, ახტალის ვერხლის სადნობი ქარხანა 1763 წელს (ჰ. 1176/7) დაარსდა.

გაურკვევლობაა იმასთან დაკავშირებით, 1763 წელს დაარსებული მეორე, დამბლუღის ქარხანა ვერცხლსადნობი იყო თუ სპილენძსადნობი. ანასტასი ხაჯიფოტოვი ცალსახად წერს "Ахтальский и Тамбулутский серебреные заводы". სტეფანე გულიშამბაროვის ცნობარშიც ერთგან მითითებულია "В первые годы на ахтальском и дамблудском серебряных заводах",[262] სხვა ადგილას კი, თბილისის გუბერნიაში სპილენძის მოპოვების ისტორიის განხილვისას, იგივე ავტორი წერს, რომ "Анатолийские греки, в количестве 2,000 душ, основали в 1763 году дамблудский, а затем, через семь лет, алвердский и шамблугский медиплавильные заводы."[263] სპირიდონ ესაძე ქართლ-კახეთის სამეფოში სამთამადნო წარმოების აღორძინებას რომ აღწერს, დამბლუღის ქარხანას საერთოდ არ ახსენებს;[264] დერმიშა გოგოლაძე კი უთითებს, რომ სპილენძსადნობი იყო, მაგრამ

258 "Название сие происходит от горы, на коей основан завод и которая наименована Лялвар, потому что в оной находили Лалы."

259 იქვე.

260 З-в. [Зубарев Дмитрий?], "Алвертский медный завод. Уста Баши Греческий. Его история (Отрывок из путешествия по за-Кавказск. провинц.)".

261 იქვე.

262 Степан Гулишамбаров, *Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии* (Тифлис, 1887), 172.

263 იქვე, 175.

264 Эсадзе, *Очерк истории горного дела на Кавказе*, 13-14.

წყაროდ გულიშამბაროვის მეორე ცნობას ეყრდნობა[265] (ამრიგად, მისი მოწმობა მეორადია და დამოუკიდებელ მნიშვნელობას მოკლებულია). როგორც ჩანს, დამბლუღის ქარხანამ მუშაობა ჯერ კიდევ 1801 წლის ანექსიამდე შეწყვიტა, და, იქ მუშაობა აღარ განახლებულა; შესაძლოა, ამან განაპირობა გაურკვევლობა, იქ თუ რა ლითონს ადნობდნენ.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ **დამბლუღის ქარხანა ვერცხლსადნობი იყო** და არა სპილენძსადნობი. ამ დასკვნის გაკეთებისას ვეყრდნობით ყველაზე აუთენტიკურ პირველწყაროს, ანასტასი ხაჯიფოტოვის მოწმობას, რომელიც ცალსახად მიუთითებს, რომ ჯერ დაარსეს ახტალისა და "ტამბულუტის" / დამბლუღის ვერცხლსადნობი ქარხნები, ხოლო სპილენძსადნობი ქარხნები ალავერდსა და შამბლუღში კი მხოლოდ 1770 წელს აამოქმედეს;[266] სხვა "ინტერვიუში" კი ანასტასი ხაჯიფოტოვი, მართალია, საერთოდ არ ახსენებს დამბლუღს, მაგრამ, ჩამოსული ბერძენი მადანჩების მიერ, ახალი საბადოების ძიებაში ალავერდის მხარეში სიახლის — სპილენძის მდიდარი მადნის აღმოჩენას გვიყვება (და იქ წარმოების დაწყებას 1770 წელს აღნიშნავს).[267] კოვალენსკის, 1802 წლით დათარიღებულ წერილში ასევე მოიხსენიება *დამბლუღის ვერცხლსადნობი ქარხანა*:

> "помещики Ахтальского серебряного завода суть кн. Меликовы, Дамблугского серебряного же кн. Орбелиановы и Альвертского медеплавильного кн. Аргутовы [...]"[268]

1802 წლის 27 აგვისტოს გრაფ მუსინ-პუშკინისადმი მიწოდებულ პატაკში ანტონ ბორზუნოვი წერს, რომ დამბლუღის საბადო ყურადღების ღირსი არ არის, ვინაიდან მადანში ვერცხლის შემცველობა დაბალია, და მოპოვებაც გაძნელებული იქნებოდა:

> "[...] ездил я осматривать Дамблугский рудник; кн. Томаз Орбелианов с тридцатью вооруженных своих татар показывал мне окрестность оного, о котором я честь имею донести в. с., что при первых заведениях наших не заслуживает он дальнего внимания; правда, что лесов в окрестности оного очень довольно, дорога при малой поправке может быть очень хорошая, так что от Тифлиса до самого рудника можно будет проехать на подводках, воды можно собрать для действия четырех печей при самом руднике, а в двенадцати верстах от оного можно выстроить завод, какой угодно и на самом прекраснейшем месте, но руды, во-первых, лежат на самом горизонте речки, следственно, никак нельзя надеяться, чтоб при течении вод в горных работах, не сделало излишних затруднений; а во-вторых, и то, что содержание серебра в рудах весьма низко; - разве время и обстоятельства позволят сделать большую разведку и открыть

265 გოგოლაძე, *სამთამადნო, სამთო - საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII - XIX სს)*, 10.

266 З-в. [Зубарев Дмитрий?], "Алвертский медный завод. Уста Баши Греческий. Его история (Отрывок из путешествия по за-Кавказск. провинц.)".

267 Павел Санковский, "Вечер на Алвертском заводе", 6-7.

268 Гулишамбаров, *Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии*, 173.

чрез оную руд гораздо выше, как как нынешние лежат при почве самой высокой горы, и свойство их подает повод надеяться, что оным лежать должно вверху горы несравненно богатее [...]”[269]

შამბლუღისა და ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნები კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1770 წელს (ჰ. 1183/4) ამუშავდა.[270]

აღსანიშნავია, რომ შამბლუღში მცირე რაოდენობით ვერცხლსაც მოიპოვებდნენ, სტეფანე გულიშამბაროვის მიხედვით (პირველწყარო მითითებული არა აქვს), მაგრამ, ამ მხრივ, მადანი ჯერ კიდევ 1806 წელს გამოიფიტა:

“В шамблугском медном руднике находили гнездами серебряную и свинцовую руду с содержанием в пуде 2 1/3 зол. серебра и 2 ¾ ф. свинца, но гнезда эти были истощены еще в 1806 г.”[271]

ფაქტია, რომ ქართლ-კახეთის სამთამადნო ინდუსტრიის აღორძინება ზუსტად ემთხვევა ქარიმ-ხანის ინვოკაციით მონეტის გამოშვებას; ვგულისხმობთ როგორც ჰ. 1177-1179 წლების მონეტებს შიიტური ფორმულით, ასევე ჰ. 1179-1213 წლების სირმა თეთრს.

ამასთანავე, ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ესოდენ მნიშვნელოვანი ინდუსტრიული კლასტერის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.[272] თავის დროზე, ბერძნები, როგორც დავინახეთ, ფრთხილოდნენ და უარს ამბობდნენ ქართლ-კახეთში გადასახლებაზე, — ეშინოდათ, რომ მათი უშიშროება ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. ბერძენთა შიში გამართლდა: მრავალი მათგანი (მადანჩების ოჯახის წევრების ჩათვლით) მტრის მოქმედებას ემსხვერპლა, ჯერ 1785 წელის ომარ-ხანის, შემდეგ კი, 1795 წელს, აღა მაჰმად-ხანის შემოსევებს:

“В 1785 году Омар-хан Аварский, делавший опустошительные набеги на Грузию, явился 20-го сентября со всеми своими силами перед укреплениями Ах-

269 Панаит Акритас, Шалва Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)* (Тбилиси: Издательство грузинского филиала АН СССР, 1936), №50, 110-111.

270 З-в. [Зубарев Дмитрий?], “Алвертский медный завод. Уста Баши Греческий. Его история (Отрывок из путешествия по за-Кавказск. провинц.)”; Павел Санковский, “Вечер на Алвертском заводе”, 6-7.

271 Гулишамбаров, *Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии*, 173.

272 აღსანიშნავია, რომ საბადოებისა და ლითონსადნობი ქარხნების უსაფრთხოების დაცვა რუსეთის იმპერიასაც კი უჭირდა; ასე, მაგალითად, 1805 წელს „მომთაბარე თათრებმა" ორ გუშაგ კაზაკს იარაღი და ტანსაცმელი წაართვეს და ისინი ქვედა საცვლის ამარა გამოუშვეს. Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г)*, №146, 246. 1802 წლისთვის გრაფ მუსინ-პუშკინს აუცილებლად მიაჩნდა მცველთა რაზმი გაეძლიერებინათ 2-დან 3 როტამდე, კაზაკების რაოდენობა კი 250 კაცამდე. იქვე, №48, 109. იმავე წელს ალექსანდრე I ბრძანებდა მცველთა რაოდენობა გაეზარდათ, ყველაზე ცოტა, 1 ბატალიონამდე და კაზაკთა 1 პოლკამდე. იქვე, №49, 110. 1805 წელს სამთო ქარხნების დასაცავად 2 პატარა ქვემეხიც კი იყო გამოყოფილი. იქვე, №129, 232.

тальского монастыря. Устрашенные рудопромышленники частью разбежались по горам, частию заперлись в монастыре и защищались. Но Омар-хан овладев монастырем перебил многих, других взял в плен. Разорив рудные промыслы, опустошив и разграбив монастырь, сей предводитель хищников направил путь свой к Ахалцыху. […]

В 1795 году при нападении на Грузию Аги-Магомет-Хана оба завода были вновь разорены. Из Греческих рудопромышленников 700 душ было убито, а 836 увлечено в плен."[273]

ბუნებრივია, ლითონსადნობი "ქარხნების" აოხრებასა და მადანჩების ფიზიკურ განადგურებას არ შეეძლო ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო წარმოებაზე მავნედ არ ემოქმედა. ანასტასი ხაჯიფოტოვი პირდაპირ მიუთითებდა, თუნდაც ომარ-ხანის შემოსევის შედეგად წარმადობის მკვეთრად შემცირებასა და წარმოების შეჩერებაზედაც კი.[274] როგორც ჩანს, არა ნაკლები ზიანის მომტანი აღმოჩნდა აღა მაჰმად-ხანის შემოსევაც.[275]

ახტალასა და ალავერდს წარმოების ორგანიზაციის თაობაზე ძალიან მნიშვნელოვანი ანტონ ბორზუნოვის პატაკი გრაფ მუსინ-პუშკინის სახელზე; ბორზუნოვი ამ შემთხვევაში ეყრდნობა როგორც მადანჩების, ასევე წარმოებაში ჩართული ადგილობრივი მემამულეების, სოლომონ მელიქიშვილისა და ზაქარია არღუთაშვილის მოწმობებს.[276] ამ ოფიციალური საბუთის მიხედვითაც, ზიანი დიდი იყო; ომარ-ხანის შემოსევის დროს ალავერდის წარმოებაზე მომუშავე მადანჩებმაც ახტალის მონასტერს შეაფარეს თავი:

---

273 Павел Санковский, "Вечер на Алвертском заводе", 7-8. Cf. З-в. [Зубарев Дмитрий?], "Алвертский медный завод. Уста Баши Греческий. Его история (Отрывок из путешествия по за-Кавказск. провинц.)".

ხელისუფლების უუნარობას, სახელმწიფოს მოსახლეობა ფიზიკურად დაეცვა, თუნდაც, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტზე, კარგად ასურათებს ანასტასი ხაჯიფოტოვისა და მისი ოჯახის თავგადასავალი. 1830 წელს მიცემული ინტერვიუს (თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ) თანახმად, 1795 წელს დაატყვევეს თავად ანასტასიც და მისი ოჯახიც, კერძოდ, ქართველი ცოლი, და ორი მცირეწლოვანი ქალიშვილი, სამი წლის ბარბარე და რამდენიმე თვის ეფემია. თავად ანასტასი განჯელ ჯავათ-ხანს ერგო, რომლისგანაც მალევე გამოიქცა (1796 წელს ქართველთა ჯარმა გაანთავისუფლა?), ცოლი და ქალიშვილები კი სპარს დიდებულთან, ვინმე 'ალი-ყული-ხანთან მოხვდნენ. ანასტასის ცოლი 'ალი-ყული-ხანს მოეწონა და თავის ხასად აქცია, მასთან 7 წელი უცხოვრია. ამ ქალის გამოსყიდვა ანასტასიმ მხოლოდ 'ალი-ყული-ხანის გარდაცვალების შემდეგ მოახერხა, 1000 რუბლად ვერცხლით. ქალიშვილები კი, ანასტასის ცნობით, მაჰმადიანებად გაზარდეს; უფროსის ბედი არ იცოდა, უმცროსი კი 'ალი-ყული-ხანის დისშვილს თუ ძმისშვილს მიათხოვეს, და მას მამასთან მიმოწერა მაინც ჰქონდა. იქვე; Павел Санковский, "Вечер на Алвертском заводе", 8. ისე კი, უცნაურად გვეჩვენება, ჩვილობაში დატყვევებულმა და მაჰმადიანობაში გაზრდილმა მამასთან რატომ, როგორ, და რა ენაზე აღადგინა ურთიერთობა.

274 З-в. [Зубарев Дмитрий?], "Алвертский медный завод. Уста Баши Греческий. Его история (Отрывок из путешествия по за-Кавказск. провинц.)"; Павел Санковский, "Вечер на Алвертском заводе", 8.

275 იქვე.

276 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №45, 103.

”Нашествие Омарханово заставило их удалиться отсюда в Ахтальский завод, в котором надеялись они по крепости замка спасти себя от его пленения, но, будучи не в состоянии противиться его многолюдству более 30-и часов, были частью убиты и частью увезены в плен. Вместе с сим получили и заводы сии как Ахтальский, так и здешний Альвертский, совершенную остановку, и последний из них начал возобновляться уже тогда, как греки, частью спасшиеся бегством, частью выкупившие себя из плена, и частью вышедшие вново из Анатолии, собрались вместо Ахтальского в здешний и начали время от времени работу усиливать [...]”[277]

განჯის სახანოდან, მონობიდან გამოქცეული ანასტასი ხაჯიფოტოვი ახტალაში დაბრუნდა და მამის გარდაცვალების შემდეგ სამთამადნო წარმოებას სათავეში ჩაუდგა (ყოველ შემთხვევაში, თავის თავზე ასე ყვებოდა), მაგრამ ვერცხლის გამოსავალი იმ დროისთვის უკვე ბევრად ნაკლები იყო:

”по смерти отца своего вступил в управление заводами, возобновил их действия, хотя уже в значительно уменьшенном виде, - так, что Царь Георгий доход свой с сих заводов отдавал на откуп за 12 т. руб. серебром в год.”[278]

12 ათასი რუბლი, დიდი ალბათობით, შეგვიძლია გავაიგივოთ 12 ათას მინალთუნთან, ანუ, 60 ათას აბაზთან. აბაზის ნორმატიული წონის (3.072 გ) გათვალისწინებით, საუბარია 184 კგ წონის ვერცხლის საფასეზე. თუმცა, ამ ცნობის მიხედვით XVIII საუკუნის დასასრულის ახტალაში ვერცხლის წარმოების მასშტაბზე ვერ ვიმსჯელებთ — იჯარით გაიცემოდა, ჩანს, არა მარტო ვერცხლის, არამედ, ასევე, სპილენძის მოპოვებაც (რაც შეეხება ოქროს, დიდი ალბათობით, მას ისევ მთლიანად მეფე ისაკუთრებდა; სხვათა შორის, ოქროს შაურს, როგორც ვიცით, გიორგი XII-ც ჭრიდა[279]). როგორც ჩანს, საუკუნის ბოლოს, ახტალაში წარმოება მინიმუმამდე იყო დასული, თუმცა, გრძელდებოდა.[280] 12 ათასის მოგებას კი გიორგი XII-ს იჯარით ალავერდის საწარმოს გაცემა აძლევდა.

სპირიდონ ესაძეს საკმაოდ ვრცლად (თუმცა, ცოტა არათანმიმდევრულად) აქვს დახასიათებული ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო ინდუსტრიის მდგომარეობა სახელმწიფოს არსებობის ბოლო წლებში (სამწუხაროდ, პირველწყარო მითითებული არ არის). ესაძის ნაშრომის მიხედვით, 12 ათასად იჯარით გაიცა სპილენძსადნობი საწარმოები, და არა ახტალა:

“При таких неблагоприятных условиях, не смотря на богатство руд, греки принуждены были оставить Ахтальские рудники. Раззорение ахтальского завода, учиненное в 1785 году Омар-ханом аварским, ограбившаго и разогнавшаго боль-

277 იქვე, №45, 95.

278 З-в. [Зубарев Дмитрий?], “Алвертский медный завод. Уста Баши Греческий. Его история (Отрывок из путешествия по за-Кавказск. провинц.)”.

279 Paghava, “The Minting of Gold Shauris in Eighteenth Century Georgia: Monetary Evidence”, 15-17; ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, “ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)”, 259-261.

280 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №14, 25-26.

шую часть греков, довершило упадок серебрянаго промысла в Грузии, так что, по успокоении от нашествия, в Ахтале оставалось рудопромышленников лишь 12 семейств, а в бытность в 1799 году графа Мусина-Пушкина в Грузии ахтальский завод почти уже не действовал и из 800 греческих семей, поселившихся при царе Ираклие в Ахтале и Дамблюте, осталось в первом едва 30 семей в самом бедственном состоянии, да и те занимались проплавкой серебряных руд в прежних выработках с целью, по мнению графа Мусина-Пушкина, удостоверить его, "что добыча металла сего в Грузии еще существует или, по крайней мере, возобновляется". На ахтальском заводе добывалось в самом цветущем его состоянии, перед разорением его Омар-ханом, от 60 до 100 пудов серебра в год при 1000 человек рабочих. После ухода персов, царь Георгий прекратил субсидии грекам и серебряное производство прекратилось. Разсеянные ханом Омаром греки перешли частью в Борчалинский округ, частью в Кахетию, оставя рудный промысел и, лишь по успокоение, вернулись обратно, перейдя на соседний альвяртский завод на медное дело. Альвяртский медиплавильный завод, избытком руд своих дававший возможность употреблять более легкие способы производства горных и заводских при нем работ и, при том, избегнувший бедствий войны, продолжал довольно успешно, хотя весьма неправильно и "с нарочитым успехом", действовать и кормить не малое число бывших при нем грузин и армян. Греки, грузины и армяне, селившиеся при заводах, не имея достаточнаго богатства чтобы самим заведывать и распоряжаться всеми нужными для заводскаго успеха частями, довели эти заводы до того, что отданы были царем Георгием на откуп двум армянам, которые платя царю за разработку медных рудников не более 12 тыс. руб., сами получали до 60 тыс., притесняя работавших на заводах промышленников."[281]

გამოდის, რომ თავდაპირველად გადმოსახლებულთაგან ახტალას დარჩა საწყისი ციფრის მხოლოდ 3.75% (დამბლუღში დარჩენილთა რაოდენობა კი უცნობია; შესაძლოა, სულაც, არავინ). ეს ციფრი ძალიან თვალსაჩინოდ ასურათებს XVIII საუკუნის ბოლოსკენ ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო წარმოების დაკნინებას.

1801 წლის საბუთის მიხედვით, ბერძენი მადანჩებისა და მოიჯარის (დასახელებული არ არის) მოწმობით, მეფეს ალავერდის საწარმოს იჯარის ანგარიშში წელიწადში 12,000 რუბლს ვერცხლით უხდიდნენ.[282]

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამთამადნო წარმოებას ბერძენი მადანჩები ძალიან პრიმიტიული ტექნოლოგიით ეწეოდნენ. ამაზე მიუთითებენ გერმანელი დამკვირვებლები.

იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მიხედვით:

"So schlecht die Berg- und Hüttenwerke auch verwaltet werden, bringen sie doch, da nichts an sie gewendet wird und die meiste Arbeit unentgeltlich geschieht, dem Schaze etwas ein".[283]

281 Эсадзе, *Очерк истории горного дела на Кавказе*, 16-17.

282 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №14, 24.

283 გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა

“საბადოებსა და მეტალურგიულ ქარხნებსაც, როგორადაც ცუდები ისინი არ უნდა იყვნენ, მოაქვთ აგრეთვე გარკვეული შემოსავალი, რადგან მათზე არაფერი იხარჯება და სამუშაოს მეტი წილი სრულდება აუნაზღაურებლად”.[284]

იაკობ რაინეგსმა წარმოების ტექნოლოგიური დონე კიდევ უფრო მწვავედ გააკრიტიკა:

“დიდი უცოდინრობით დამუშავებულმა ახტალის საბადომ 1780 წელს მისცა 60 000 მანეთი ვერცხლით, 3200 მანეთი ოქროთი.”[285]

ქართლ-კახეთის სამეფოში სამთამადნო წარმოების ტექნოლოგიური პრიმიტიულობა, რაც მის წარმადობას არსებითად ზღუდავდა, — საგანგებოდ აქამდეც აღნიშნულა,[286] რუსი მოხელეების დიდი რაოდენობით დატოვებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე.[287]

სხვათა შორის, აღნიშვნის ღირსია (რაც თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მივიწყებას მიეცა) ირაკლი II-ის მიერ დაარსებული სამთამადნო წარმოების, ყოველ შემთხვევაში, იმ სახით, რა სახითაც მოქმედებდა, — უკიდურესად მავნე ზეგავლენა საქართველოს ეკოლოგიაზე.[288] 1802 წლის 4 აგვისტოს გრაფ მუსინ-პუშკინის სახელზე სამთო ოფიცრის, ობერ-გიტენ-ფერვალტერ[289] ანტონ ბორზუნოვის მიერ დაწერილ პატაკში ეს უკანასკნელი მსჯელობს ბერძენ „მთა-მრეწველთა” მუშაობისა და ალავერდისა და ახტალის ლითონსადნობ ქარხნებში წარმოების ორგანიზაციის შესახებ; ამასთანავე, პირდაპირ მიუთითებს ბერძნების მიერ ხის ნახშირის მოპოვებისას არცთუ მრავალრიცხოვანი ტყეების მტაცებლურ განადგურებაზე. მისი თქმით, ხის ნახშირის მისაღებად მხოლოდ ტოტებს გამოწვავდნენ ხოლმე, გაჩეხილი ხეების ტანსა და კუნძებს კი ხელუხლებლად ტოვებდნენ, დასალპობად; იმ ტოტებსაც კი არასწორედ გამოწვავდნენ, რის გამოც შესაძლებელზე 4-5-ჯერ ნაკლებ ხის ნახშირს იღებდნენ.[290]

დაურთო გ. გელაშვილმა), 232.

284 იქვე, 233.

285 იაკობ რაინეგსი, *მოგზაურობა საქართველოში.* გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა (თბილისი: არტანუჯი, 2002), 184.

286 Г. Григорян, “Горно-заводская промышленность Грузии периода от 70-х годов XVIII века до завоевания Закавказья Россией (1829 г.)”. Вводная статья. *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)* (Тбилиси АН СССР, Грузинский филиал, 1936), XLIII-XLIX.

287 მაგალითად, Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №28, 49-52; №44, 77-82; №65, 135-137.

288 ფაღავა, ”ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო და საფასის წარმოების ზოგიერთი საკითხი ქართული და რუსული საბუთების მიხედვით”, 158.

289 IX კლასის წოდება რუსეთის იმპერიის სამთო უწყებაში.

290 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности*

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ გარდა ეკოლოგიური გარემოს გაჩანაგებისა, ამგვარი ბარბაროსულ-მტაცებლური მიდგომა ქართლ-კახეთის სამეფოს ინდუსტრიულ ბაზასაც აკნინებდა; ტყეების გაჩანაგების შედეგად ადგილობრივად აღარ რჩებოდა ხის ნახშირის გამოსაწვავად აუცილებელი მერქანი (საზოგადოდ, ლითონის გამოსადნობად ხის ნახშირისა და არა ქვანახშირის გამოყენება ქართლ-კახეთის სამთამადნო წარმოების სერიოზულ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს).

სათანადოდ მოწყობის შემთხვევაში, ქართლ-კახეთის სამთამადნო ინდუსტრიის წარმადობა, რასაკვირველია, გაიზრდებოდა; თუმცა, როგორი პრიმიტიულიც არ უნდა ყოფილიყო, წარმოება სამონეტო მეტალებს მაინც საკმარისი რაოდენობით იძლეოდა.

*

ბუნებრივია, იბადება შეკითხვა: როგორი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო წარმოების წარმადობა?

ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსა და, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი ისტორიის საკვლევადაც — სამთამადნო წარმოებიდან ყოველწლიურად რა ოდენობის (მასის) ოქროს, ვერცხლსა და სპილენძს იღებდა ქართლ-კახეთის ეკონომიკა, და ქართლ-კახეთის ხელისუფლება?

მოპოვებული ლითონის შესახებ მონაცემები მხოლოდ მიახლოებითია. ასე, მაგალითად, პრაქტიკულად არ გვაქვს მონაცემები დამბლუღისა და შამბლუღის ქარხნიდან წლიურად მიღებული ვერცხლისა და სპილენძის თაობაზე, ვინაიდან, აპოლონ თაბუაშვილის სამართლიანი შენიშვნით, რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიის დროისთვის მათ უკვე შეწყვეტილი ჰქონდათ მოქმედება (1795 წლის შემოსევის შემდეგ); ამიტომ მათზე ინფორმაცია რუს მოხელეებს აღარ / ველარ შეუგროვებიათ — ქართული დოკუმენტაციის სიმწირის პირობებში კი რუსების მიერ შეკრებილი ცნობები ხშირად ერთადერთი თუ ძირითადი პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს.[291]

პირველ რიგში, ვეცდებით, მიახლოებით მაინც, დავადგინოთ მოპოვებული ვერცხლისა და ოქროს რაოდენობა; მათი წყარო ერთი და იგივე იყო — ახტალის მადანი, ამიტომ, უპრიანი იქნებოდა მათი გამოსავალი ერთიანობაში შეგვესწავლა. შემდეგ კი, სპილენძის წარმოების წარმადობაზე გადავალთ.

ანასტასი ხაჯიფოტოვის მოწმობით, ახტალაში მოპოვებული ვერცხლის რაოდენობა არ იყო სტაბილური: წლიურად უფრო ხშირად 200 ლიტრა ვერცხლი, ზოგჯერ კი 150, ან, პირიქით, 300 ლიტრაც კი; ერთ რეკორდულ წელს 408 ლიტრაც კი მიუღიათ:[292]

> “Скоро заводы сии пришли в цветущее состояние, до того, что Ахтальский в один год дал 408 литр, или 91 пуд и 23 фунт. чистого серебра. Но не всякий год

*Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №44, 80-81.

291 თაბუაშვილი, *ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის*, 75.

292 Павел Санковский, “Вечер на Алвертском заводе”, 7.

был ровен: в иной получалось только 300, чаще же 200, а иногда не более 150 литр серебра."[293]

უკვე XIX საუკუნის დასაწყისში რუსული ადმინისტრაციისთვის სოლომონ მელიქიშვილისა და ბერძენი მადანჩების (ბოლიქრონ ჩერქეზოვისა და იოან ემინ-ოღლუს) მიერ მიწოდებული ცნობით, ყოველწლიურად გამოადნობდნენ 300-დან 460 ლიტრამდე ვერცხლს:

"В самое лучшее состояние завода до разорения Омар-хана, когда от 700 до 1000 человек греков при заводе и руднике работали, и когда из 17 печей 10 месяцев беспрерывно действовали от 7 до 10 плавиленных печей, тогда серебра выплавлялось при здешнем заводе от 300 до 460 литров, из коих каждая равняется российским 8-ми фунтам, что составит от 60 до 92 пудов, а после разорения, с уменьшением людей, постепенно уменьшалась и выплавка серебра. Особливо же действие заводское пришло в упадок тогда, как царь не приказал выдавать на содержание денег, греки перешли и поселились в медный завод, и здесь осталось только до 26 человек."[294]

სხვაგან მოყვანილია ციფრები რუსულ მასის ერთეულებში:

"В первые годы серебра добывалось на обоих заводах по 40, 60 и один год добыто было 81 пуд 16 фунтов, меди по 5 т., 10 т. и 15 т. пуд."[295]

ვერცხლის მოპოვების საქმეს ომარ-ხანის შემოსევამ, რასაკვირველია, უმძიმესი დარტყმა მიაყენა, — წარმოება, დროებით მაინც, საერთოდ შეწყდა:

"После сего нещастного события разработка руд в течении двух лет оставалась совершенно без действия. В январе месяце 1787 года Царь послал отца моего, для возобновления работы на Ахтальском заводе. Действие рудных промыслов с того времени возобновилось, но шло уже не так удачно как прежде."[296]

წარმოების ასე გვიან აღდგენის მიზეზი კვლავ საგარეო საფრთხე იყო; ამასთანავე, ვერცხლის წარმოება შემცირდა დაახლოებით 4-ჯერ:

"Омар Хан 20-го Сентября взял Ахтальский завод, разрушил селения и великолепный Греческий [sic — ი.ფ.] монастырь при оном сооружении, - жителей же увлек в плен и разпродал в Ахалцыхском пашалыке.-По удалении Омар Хана Царь Ираклий тотчас озаботился восстановить заводы,- некоторых Греков выкупил из плена, другие нашли случай сами бежать — и действия рудокопов снова начались.-По наступлении лета, в 1786 году, Греки, страшась новых

293 იქვე.

294 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №45, 85-86.

295 З-в. [Зубарев Дмитрий?], "Алвертский медный завод. Уста Баши Греческий. Его история (Отрывок из путешествия по за-Кавказск. провинц.)".

296 Павел Санковский, "Вечер на Алвертском заводе", 8.

нападений Омар Хана, остававшегося еще в Ахалцыхе удалились в Тифлис, и оставались там до тех пор, пока Омар Хан отъездом своим в Дагестан, успокоил всех обитателей Грузии;- и Греки снова явились на заводах.-Недостаток в рудопромышленниках, большею частью истребленных Омар Ханом, был причиною, что действия заводов значительно уменьшились, так что серебра добывалось ежегодно от 10 до 15 пуд, а меди от 5 до 6 т. пуд."[297]

ეს ინფორმაცია გარკვეულწილად დასტურდება ქართლ-კახეთის სამეფოს *ოფიციალური* საბუთითაც; საუბარი გვაქვს ე.წ. *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნზე.* ვინაიდან ოქრო ოქროიანი ვერცხლიდან მოიპოვებოდა,[298] მასში შენახული ცნობებით შესაძლებელია მსჯელობა სწორედ (ოქროიანი) ვერცხლის მოპოვებაზედაც. საბუთი 1790 წელს უნდა იყოს დაწერილი,[299] და 1780-იანი წლების მდგომარეობას ასახავს. ამ *წიგნის* თანახმად, წარმოება შეწყდა 1785 წლის 25 აგვისტოს, და განახლდა მხოლოდ 1786 წლის აგვისტოში (ანუ, ორ წელზე ბევრად ნაკლებ დროში).

"ქ(ორონი)კ(ონ)ს უოგ, მარიამობის კე-დამ ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ, მარიამობის დამდექამდენ მადანი [sic — ი.ფ.] აღარ უმუშავნია, მამცდარი ყოფილა."[300]

ანასტასი ხაჯიფოტოვის მიხედვით, ომარ-ხანის შემოსევის შემდეგ მადანჩების ფიზიკურად ამოწყვეტის შემდეგ, ახტალის წარმადობა მკვეთრად შემცირდა, წლიურ 70-80 ლიტრამდე, მხოლოდ ერთხელ 120 ლიტრამდე მიუღიათ:[301]

"Ахтальская руда давала не более как от 70 до 80 литр. Раз только получено до 120 литр серебра."[302]

*ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნის* მიხედვით კი, 1782 წლის 10 მარტიდან 1787 წლის "დეკენბერის გასულამდენ" სულ აღრიცხულია შემოსული „ოქროიანი ვერცხლის ჯამი ლიტრა ტზ, დრამიც ფნბ";[303] ანუ, დაახლოე-

297 З-в. [Зубарев Дмитрий?], "Алвертский медный завод. Уста Баши Греческий. Его история (Отрывок из путешествия по за-Кавказск. провинц.)".

298 ოქრო-ვერცხლის შენადნობს ეწოდება *ოქროიანი ვერცხლი*, თუ მასში შემავალი ვერცხლის ღირებულება აღემატება ოქროს ღირებულებას; და *ვერცხლიანი ოქრო*, თუ ნაკლებია.

299 ნიკო ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)* (თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1955), 87.

300 იქვე.

301 Павел Санковский, "Вечер на Алвертском заводе", 8.

302 იქვე.

303 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა,*

ბით 5 წელიწადისა და 296 დღის განმავლობაში[304] მიიღეს ვერცხლის მხოლოდ 307 ლიტრა და 552 დრამი. გასათვალისწინებელია, რომ სწორედ ამ წლებზე მოდის ომარ-ხანის შემოსევა.

ეჭვიც არ გვეპარება, რომ აღა მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ წარმადობა კიდევ შემცირდებოდა.

ზემოთ მოყვანილ ცნობებში მოპოვებული (ოქროიანი) ვერცხლის მასა მითითებულია იმდროინდელ ქართულ წონით ერთეულებში, ძირითადად, ლიტრაში. გასარკვევია, თუ რას უდრიდა ზემოთ მოყვანილი ციფრები მეტრულ სისტემაში? ამისთვის უნდა დავადგინოთ ლიტრას (ასევე, მისხლისა და დრამას) მნიშვნელობა.

*

იოჰან ანტონ გიულდენშთედთის მიხედვით, ლიტრა უდრიდა 720 მისხალს (ან,რუსულიწონითისისტემით,—8¾ფუნტს/გირვანქას);მისხალიკი70გრანს,ან, 1 დრაქმასა და 10 გრანს:

"1 Litra wiegt 4 Tschareki, nach Rußischem Gewicht 8 ¾ Pfund.
1 Batman is mit Litra gleich.
1 Tschareki wiegt 5 Stiel.
1 Stili 36 Misgal oder 5 ¼ Unzen.
1 Misgal 70 Gran oder 1 Drachma und 10 Gran."[305]

"1 ლიტრა იწონის 4 ჩარექს, რუსული წონითი სისტემით 8 ¾ ფუნტს.
1 ბათმანი ლიტრას ტოლია.
1 ჩარექი იწონის 5 სტილს.
1 სტილი 36 მისხალს ან 5 ¼ უნციას.
1 მისხალი 70 გრანს ან 1 დრაქმასა და 10 გრანს."[306]

როგორც ჩანს, მასის ერთეულები *ბრიტანული სააფთიაქო სისტემის* მიხედვით აქვს მითითებული, რომელშიც 1 გრანი = 0.0648 გრამს, ხოლო 1 დრაქმა = 3.888 გრამს. ამის გათვალისწინებით, ორივე დაანგარიშებით 1 მისხ-

---

*სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 86.

304 ადრეული ნაშრომის შესაბამის მონაკვეთში მსჯელობაში შეცდომა გვაქვს დაშვებული, რომელსაც ახლა, წინამდებარე პუბლიკაციით ვასწორებთ. ფაღავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო და საფასის წარმოების ზოგიერთი საკითხი ქართული და რუსული საბუთების მიხედვით", 159.

305 გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 236. ცნობა გამოყენებულია გოჩა ჯაფარიძის მიერ. გოჩა ჯაფარიძე, *ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.)* (თბილისი: მეცნიერება, 1973), 59. ოღონდ, პატივცემულ მკვლევართან მითითებულია გიულდენშთედთის ნაშრომის ის გვერდები, რომელშიც საუბარია წონის ერთეულებზე *იმერეთის სამეფოში*.

306 თარგმანი ჩვენია. იხ. ასევე გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 237.

ლის მასა = 4.536 გრამს. ეს ციფრი უახლოვდება "ერაყულ, კანონიკურ სავაჭრო მისკალს", რომლის მასაც 4.46 გ იყო.[307] თუმცა, XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში მიღებული იყო ირანული მისხალი, რომელიც ჯერ კიდევ სეფიანთა პერიოდში იქნებოდა შემოსული.[308] გოჩა ჯაფარიძე მას 4.6 გრამის ტოლ ერთეულად მიიჩნევდა;[309] ეს ციფრიც შეიძლება დავაზუსტოთ, — ირანული მისხალი მეტრულ სისტემაში უდრიდა 4.608 გრამს.[310] გიულდენშტედტის 4.536-გრამიანი მისხალი ასევე და იგივენაირად ახლოსაა 4.608-გრამიან ირანულ მისხალთანაც (რომელიც, უფრო 71 გრანს უდრიდა, და არა 70-ს[311]). ეჭვიც არ გვეპარება, რომ გიულდენშტედტი სწორედ ირანულ მისხალს გულისხმობდა (= 4.608 გრამის ტოლს), უბრალოდ, პატარა უზუსტობა მოუვიდა.[312]

აქედან გამომდინარე, 1 ლიტრას მასა, 720 მისხალთან ტოლობიდან გამომდინარე, უნდა ყოფილიყო 720 x 4.608 = 3,317.76 გრამი. ხოლო 8 ¾ რუსულ ფუნტთან (409.536 გ) ტოლობიდან გამომდინარე, უნდა ყოფილიყო 8 ¾ x 409.536 = 3,583.44 გრამი. რომელი ციფრი უფრო სწორია?[313] ვფიქრობთ, რეალობას უფრო პირველი უნდა შეესაბამებოდეს: ქართლ-კახეთში მიღებული ლიტრა უფრო ზუსტად იქნებოდა განსაზღვრული ადგილობრივ, მისხალზე დაფუძნებულ წონით სისტემაში, და არა უცხოურში, რუსულ ფუნტზე დაფუძნებულში; მით უფრო, რომ, საეჭვოა, ლიტრა რუსულ ფუნტებში ასე აკურატულად გადაითვლებოდეს — ზუსტად 8 ¾ რუსულ ფუნტს უტოლდებოდეს.

აღსანიშნავია, რომ 1800-იანი წლების რუსულ საბუთებში ლიტრა უპირატესად 8 რუსულ ფუნტთან არის გატოლებული (მაგალითად, ანტონ ბორზუნოვის 1802 წლის პატაკში).[314] რუსული ფუნტი = 0.4095 კგ, ანუ, ლიტრას მასა

---

307 ჯაფარიძე, *ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.)*, 34-36.

308 ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 222-223.

309 ჯაფარიძე, *ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.)*, 40-48.

310 Hushang Farahbakhsh, *Iranian Hammered Coinage, 2nd ed.* (Berlin, 2007), 119.

311 იქვე.

312 საზოგადოდ, მისი მეტროლოგიური მონაცემები ყოველთვის გადამოწმებას საჭიროებენ. ასე, მაგალითად, სირმა აბაზის წონად მითითებულია 50 გრანი. გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 232-235. ეს კი 3.24 გრამს უდრის. ჩვენ კი ვიცით, რომ სირმა აბაზის წონა უდრიდა 4 დანგს, ანუ, 3.072 გრამს.

313 გოჩა ჯაფარიძე შესაძლებლად თვლიდა ლიტრას წონა დაედგინა 720 მისხლისა და 8¾ რუსული ფუნტის მეტრულ მონაცემებს შორის საშუალოს გამოთვლის გზით. ჯაფარიძე, *ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.)*, 59. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ეს მიდგომა სადისკუსიოდ გვეჩვენება: ლიტრას წონა, საფიქრებელია, სწორად იქნებოდა გამოხატული ან ქართულ-სპარსულ მისხალში, ან რუსულ ფუნტში; ან ერთი უნდა იყოს მართალი, ან, მეორე, მაგრამ, არა მათი საშუალო.

314 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №45, 86.

გამოდის 8 x 0.4095 = 3,276 გ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ აბსოლუტურად განსხვავებული სისტემების ორი წონითი ერთეული ერთმანეთში ასე მოსახერხებლად და ზუსტად გადაითვლებოდეს — 1:8.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ბევრად უფრო ზუსტია გიულდენშტედტის ცნობა, რომელშიც ლიტრას მასა გამოთვლილია *ადგილობრივი* წონითი ერთეულების საფუძველზე (ოღონდ, უზუსტობა მოსდის უმცირესი წონითი ერთეულის მასის განმარტებაში).

ამრიგად, ვეყრდნობით რა გიულდენშტედტს, ვთვლით, რომ **ქართლ-კახეთის სამეფოში, 1770-იანი წლების დასაწყისში (და, სავარაუდოდ, XVIII საუკუნის დასასრულამდე), ლიტრას მასა მეტრული სისტემით უდრიდა 3,317.76 გრამს**.

ქვემოთ გამოთვლებისას დაგვჭირდება, და აქვე გავიმეორებთ, რომ მასის ერთეული *მისხალი უდრიდა 4.608 გრამს.*

რაც შეეხება *დრამას*, საზოგადოდ, დამაჯერებელი გვეჩვენებოდა გოჩა ჯაფარიძის მსჯელობა,[315] რომლის თანახმადაც ქართლ-კახეთის სამეფოში დრამას მასა შეესაბამებოდა 4 დანგს, ანუ, 3.07 გრამს (დაზუსტებით, დავამატებით, 3.072 გრამს) (რაც შეესაბამება სირმა აბაზის ნორმატიულ მასასაც).[316] თუმცა, როგორც ჩანს დოკუმენტური მასალით, დრამას მასა განსხვავებული იყო.

*ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნით*, რომელიც 1780-იანი წლების ქართლ-კახეთის სამეფოს რეალიებს ასახავს, დრამის (დრამას) წონა აბსოლუტურად განსხვავებული გამოდის. უკვე საბუთის პირველ გამომცემელს, ნიკო ბერძენიშვილს, შენიშნული ჰქონდა, რომ ამ უმნიშვნელოვანესი საბუთით, რომელიც, სხვათა შორის, კერძო პირის დაწერილი კი არ არის, არ-

---

315 ჯაფარიძე, *ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.)*, 32-48.

316 საყურადღებოა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი ანსხვავებს *მისხალსა* და *მიტყალს*: "ექვსი დანგი ერთი დრამია, ანუ დრამა არის (დრამა და მისხალი ერთი არის), დრამ ნახევარი (ესე იგი ერთი დრამი და ნახევარი), ერთი მიტყალი არის." თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 45. ისეთი წონითი ერთეული, როგორიცაა *ცხრადანგიანი მიტყალი*, სხვაგან არ შეგხვედრია. *მისხალი* და *მიტყალი* კი, ფაქტიურად, ერთი და იგივე ერთეულებია, ოღონდ, შესაბამისად, სპარსული და არაბული ფონეტიკის დაცვით გადმოცემული. ბატონიშვილთან, როგორც ჩანს, შეცდომა არის გაპარული, მნიშვნელოვანწილად, სულხან-საბას ლექსიკონის ზეგავლენით, სადაც ასევე, შეცდომით, დრამა 6 დანგთან არის გატოლებული, დრამნახევარი კი მიტყალს უდრის. თეიმურაზ ბაგრატიონს კარგად ეცოდინებოდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში იყენებდნენ ექვსდანგიან მისხალს; აქედან გამომდინარე, რახან ორივე 6 დანგს უდრიდა, მისხალი დრამას გაუტოლა; და რახან იცოდა, რომ მიტყალი ერთ-ნახევარ დრამას უდრიდა, მიიღო, ჩვენი აზრით, რეალურად არარსებული, მისხალ-ნახევრის ტოლი მიტყალი.

თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მოყვანილი ცნობები, თავისი წყაროთმცოდნეობითი ღირებულების მიუხედავად, რომ კრიტიკულ განხილვას საჭიროებს და ყოველთვის სინამდვილეს არ შეესაბამება, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოში ოქროს მონეტა არ გამოუშვიათ, ეს კი სიმართლეს არ შეესაბამება. ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 200-272.

ამედ სახელმწიფო დოკუმენტაციის ნაწილია,

1 მისხალი = 1.42 დრამას[317]

ეს კი იმას ნიშნავს, რომ დრამა = მისხალი (4.608 გ) : 1.42 = 3.245 გ.

ამ ოფიციალურ საბუთში წარმოდგენილი თანაფარდობა მისხალსა და დრამას შორის ჩვენ დამოუკიდებლადაც გადავამოწმეთ. კერძოდ, გავითვალისწინეთ 1785, 1788, 1789 და 1790 წლების მონაცემები, სადაც გამოსული ოქროს რაოდენობა მითითებულია ერთდროულად დრამასა და მისხალში. მისხალი თუ რამდენს იწონიდა, ჩვენი აზრით, დადგენილია; აქედან გამომდინარე, დასაშვებად მიგვაჩნია გამოვითვალოთ დრამას წონა მისხალთა მითითებული რაოდენობის საფუძველზე. თავად საბუთის შესაბამის ფრაგმენტებს ქვემოთ მოვიყვანთ, აქ კი საკმარისი იქნება მხოლოდ ციფრებისა და მისხალ-დრამას ფარდობის საფუძველზე გამოთვლილი დრამას მნიშვნელობების მოყვანა:

- 1785 წლის (ქორონიკონს უოგ) 3.5 თვის განმავლობაში (10 მაისიდან აგვისტოს 25 რიცხვამდე) ოქრო გამოვიდა დრამი 613.5, ან, სხვა ერთეულში, მისხალი 429.25 (x 4.608 = 1,977.984);[318] აქედან კი გამომდინარეობს **დრამას წონა 3.224 გ** (1,977.984 გ : 613.5);
- 1788 წლის (ქორონიკონი უოვ) განმავლობაში ოქრო გამოვიდა დრამი 1,211.5, ან, სხვა ერთეულში, მისხალი 848.75 (x 4.608 = 3,911.04 გ);[319] აქედან კი გამომდინარეობს **დრამას წონა 3.228 გ** (3,911.04 გ : 1,211.5);
- 1789 წლის (ქორონიკონი უოზ) განმავლობაში ოქრო გამოვიდა დრამი 1129.75, ან, სხვა ერთეულში, მისხალი 790.75 (x 4.608 = 3,642.62 გ);[320] აქედან კი გამომდინარეობს **დრამას წონა 3.225 გ** (3,642.62 გ : 1129.75);
- 1790 წლის (ქორონიკონი უოჱ) განმავლობაში ოქრო გამოვიდა დრამი 1,603.25, ან, სხვა ერთეულში, მისხალი 1,122.5 (x 4.608 = 5,172.48 გ),[321] აქედან კი გამომდინარეობს **დრამას წონა 3.226 გ** (5,172.48 გ : 1,603.25).

შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნის* ავტორი ოპერირებს მასის ერთეულით, რომელსაც ჰქვია *"დრამი" (დრამა), და 3.224-3.228 გრამს უდრის;* **პირობითად, და დამრგვალებით, ამ დრამას 3.23 გრამის ტოლად ჩავთვლით**.

ქვემოთ, ყველა გამოთვლაში, რომელიც *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნის* მონაცემებს ეყრდნობა, დრამას მასას სწორედ ასე ვანგარიშობთ.

*

მაშასადამე, *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნს* რომ დავუბრუნდეთ, 1782 წლის 10 მარტიდან 1787 წლის დეკემბრამდე თუ დეკემ-

317 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 85, სქოლიო 1.

318 იქვე, 85.

319 იქვე, 89-90.

320 იქვე, 90.

321 იქვე.

ბრის ჩათვლით (5 წელიწადისა და 296 დღის განმავლობაში) ახტალაში მიღებულ იქნა 307 ლიტრა და 552 დრამა, ანუ, მეტრული სისტემით, 1,020,335.28 გ, ე.ი. ტონაზე ოდნავ მეტი (ოქროიანი) ვერცხლი. ეს ციფრი კი შეესაბამება საშუალო წლიურ წარმადობას მხოლოდ 175,605 გ (**175.6 კგ**), ანუ, 52.9 ლიტრა.

რასაკვირველია, ეს ციფრი, როგორც აღვნიშნეთ, საშუალო მაჩვენებელს წარმოადგენს: სინამდვილეში, ომარ-ხანის შემოსევამდე ვერცხლს შედარებით დიდი რაოდენობით მოიპოვებდნენ, შემოსევის შემდეგ დაახლოებით 12 თვის განმავლობაში მოპოვებული ვერცხლის რაოდენობა ნულს გაუტოლდა (როდესაც ზარაფხანა "მამცდარი ყოფილა"), შემდგომ წლებში კი ადრინდელზე, როგორც ჩანს, საგრძნობლად ნაკლები იყო.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილი ცნობების მიხედვით, წლიური წარმადობა საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობდა — 0-დან ან 53-დან 300-460 (?) ლიტრამდე (300 და, განსაკუთრებით, 460, მაინც, გადამეტებულ ციფრებად გვეჩვენება, და, უფრო, გამონაკლისად თუ ჩაითვლება).

რასაკვირველია, ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში საუბარია ოქრონარევ ვერცხლზე. ოქროს გამოყოფის შემდეგ, ხალასი ვერცხლი, ბუნებრივია, ამაზე რამდენადმე ნაკლები გამოვიდოდა.

როგორც ჩანს, ზუსტი ცნობები 1788 (ქართული ქორონიკონის უოვ) 1789 (უოზ) და 1790 (უოჩ) წლებში ქართლ-კახეთში მიღებული *ხალასი* ვერცხლის შესახებ შემოგვინახა *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნმა*. ეს საბუთი უკიდურესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან, XIX საუკუნეში ჩაწერილი ცნობებისგან და გვიანდელი რუსული დოკუმენტებისგან განსხვავებით წარმოადგენს *ადგილობრივ, თანადროულ, და ოფიციალურ მოწმობას*, სახელმწიფო საბუთს. მოვიყვანთ შესაბამისი ფრაგმენტის ტექსტს:

"ფბი[322]θ[323] ქ(ორონი)კ(ონ)ს უოვ, ამ იანვრიდამ ამავ წლის მაისის ი-ამდენ, რომ იქნება დ თვე და ი დღე, ამ ოთხს თვეში და ათს დღეში რაც მადნიდამ ოქროიანი ვერცხლი მოსულა, იქიდამ უოქრო ვერცხლი გამოსულა ლიტრა კვ და დრამი შკბ, რომ ნასყიდა თავლიდრის თავლი არის. ოქრო გამოსულა დრამი ღიჩ, რომ იქნება მისხალი.

ტმვθ ქ(ორონი)კ(ონ)ს უოვ, მაისის ია-დამ ამავ წლის დეკემბრის გასულამდენ იქნება ზ თვე და კ დღე, იორის ემინობაში ამ შვიდს თვეს და ოცს დღეში რაც მადნიდამ ოქროიანი ვერცხლი მოსულა, იქიდამ უოქრო ვერცხლი რომ გამოსულა ლიტრა იჩ და დრამი შ$_{ი}$, ეს ნასყიდა თავლიდრის თავლი არის. ოქრო გამოსულა დრამი უჟდ$_{ი}$, იქნება მისხალი.

ღჟი+[324]θ ქ(ორონი)კ(ონ)ს უოზ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოჩ, ამ იანვრამდენ იქნება ა

322 აქ და შემდგომ გამოყენებული აღნიშვნა „ი" ნახევარს ნიშნავს. ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 210, სქოლიო 37.

323 ეს უკანასკნელი სიმბოლო (შუაზე გადახაზული წრე) მისხალს აღნიშნავს. ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 85, სქოლიო 1.

324 აქ და შემდგომ გამოყენებული აღნიშვნა „+" აღნიშნავს მისხლის მეოთხედს ან, უფრო, მეექვსედს, ანუ, 1 დანგს. ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, "ქართლ-

წელიწადი, ამ ერთს წელიწადს რაც მადნიდამ ოქროიანი ვერცხლი მოსულა, იქიდამ ხალასი ვერცხლი გამოსულა ლიტრა მე და დრამი რკგ+, ეს იზმირელი იორის თავლი არის, რომ ემინი ეს ყოფილა. ოქრო გამოსულა დრამი ჩრკთ ο+, იქნება მისხალი.

ჩოაο+θ ქ(ორონი)კ(ონ)ს უოჱ, ამ იანვრიდამ მოკიდებული იმავ წლის ნუენბერს კე-ამდენ იქნება ი თვე და კე დღე. ამ ათს თვესა და კე დღესა რაც მადნიდამ ოქროიანი ვერცხლი მოსულა, იქიდამ ხალასი ვერცხლი გამოსულა ლიტრა ნდ და დრამი ულზ, ეს ვერცხლი შაქარა უზბაშიშვილის თავლი არის. ოქრო გამოსულა დრამი ჩფლა, რომ იქნება მისხალი.

[...]

ნο+ ქ(ორონი)კ(ონ)ს უოჱ, ამ წლის საჰაკას ანგარიში ზემოთ რომ სწერია, ნუენბერს კე-ამდენ დაგვეწერა. ამ წელიწადს აკლდა იანვრამდენ ლე დღე. ამ დღეებში რაც ვერცხლი მოსულიყო, ამ წლის ვერცხლთან შაქაროას თავლი არის და რაც იმ ვერცხლიდამ ოქრო გამოსულა, საჰაკას თავლი შეიქნება, რომ ამ ლე დღეში მოსულა ხალასი ვერცხლი ლიტრა ბ, დრამი ქკο+, ამ ვერცხლისა ოქრო გამოსულა დრამი ობ+, ეს იქნება მისხალი.

ჩულვ+θ ქ. იქნა ზმეოთი [ზემოთი — ი.ფ.] ორსავ კალმის ოქროს ჯამი, რომ საჰაკას თავლი შეიქნა მისხალი. ზემოთ რომ შაქაროას თავლი სწერია, ქვემოთაც რომ ვერცხლი დაიწერა, ორსავე ვერცხლების ჯამი აქ ერთათ გამოვიტანეთ, რომ შაქარას ქ(ორონი)კ(ონ)ს უოჱ, ამ წლის თავლია ვერცხლი ლიტრა ნზ, დრამი ნზο+."[325]

ამ საბუთის შესაბამისი ფრაგმენტებიდან შესაძლებელია გამოითვალოს ამა თუ იმ წელს რამდენი გამოვიდა ხალასი ვერცხლი, ოქრო, და, მიახლოებით მაინც, ოქროიანი ვერცხლი.

სიმარტივისთვის, ციფრებს თოთოეული ლითონისთვის ცალ-ცალკე მოვიყვანთ და გამოვითვლით.

დავიწყებთ მოპოვებული *ხალასი ვერცხლის* რაოდენობის გამოთვლით:

- 1788 წლის (ქორონიკონი უოვ) განმავლობაში, ახტალის "მადნიდამ" "უოქრო ვერცხლი" გამოსულა ჯერ, პირველი 4 თვისა და 10 დღის განმავლობაში ლიტრა კვ (26) და დრამი შკბ (922), შემდეგ კი, დარჩენილი 7 თვისა და 20 დღის პერიოდში რატომლაც, მხოლოდ ლიტრა იჱ (18) და დრამი შο (900.5). მთელი წლის განმავლობაში, მაშასადამე, გამოვიდა ხალასი ვერცხლი 44 ლიტრა და 1,822.5 დრამი, ანუ, სულ 145,981.44 გ

კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 210, სქოლიო 37. თუმცა, სხვაობა მისხლის მეოთხედსა და მეექვსედს შორის იმდენად მცირეა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო ინდუსტრიის წარმადობისას გამოთვლისას არსებითი მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს. სიმარტივისთვის ამ ნიშანს მისხლის მეოთხედად მივიჩნევთ.

325 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 89-90, 92.

+ 5,886.675 გ = 151,868.115 გ (**დაახლოებით 152 კგ**)

- 1789 წელს "ხალასი ვერცხლი" გამოსულა ლიტრა მე (45) და დრამა რკგ+ (223.25), ანუ, სულ, 149,299.2 გ + 721.0975 გ = 150,020.2975 გ (**დაახლოებით 150 კგ**);
- 1790 წელს ხალასი ვერცხლი გამოსულა ჯერ, პირველი 10 თვისა და 25 დღის განმავლობაში ლიტრა ნდ (54) და დრამი ულზ (437), ხოლო დარჩენილი 35 დღის განმავლობაში კი ლიტრა ბ (2), დრამი ქკo+ (620.75). მთელი წლის განმავლობაში, მაშასადამე, გამოვიდა ხალასი ვერცხლი 56 ლიტრა და 1057.75 დრამა, ანუ, სულ 185,794.56 გ + 3,416.5325 გ = 189,211.0925 გ (**თითქმის 190 კგ**); თავად საბუთში შეჯამების შედეგად მიღებულია რამდენადმე განსხვავებული ციფრები, კერძოდ, 57 ლიტრა და 57.75 დრამი, ანუ, სულ 189,112.32 გ + 186.5325 გ = 189,298.8525 გ[326] (**თითქმის 190 კგ**).

ვერცხლის პარალელურად წარმოებდა ოქროს გამოდნობაც (მადანი შეიცავდა როგორც ვერცხლს, ასევე, მინარევის სახით, ოქროსაც). შესაბამისად, ახტალის საბადოდან მიღებული ოქრო-ნარევი ვერცხლიდან დამატებით ოქროსაც გამოყოფდნენ. სოლომონ მელიქიშვილი პირდაპირ მიუთითებს (ოქროიანი) ვერცხლიდან ოქროს მიღებაზე:

"все золото, выжимаемое из этого, принадлежит царю".[327]

*ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნის მიხედვით* შესაძლებელია რამდენიმე წლის განმავლობაში მოპოვებული ოქროს რაოდენობის გამოთვლაც:

- 1788 წლის (ქორონიკონი უოვ) განმავლობაში, ოქრო გამოვიდა ჯერ დრამი ღიჱ (718), ანუ, საბუთის მიხედვით, მისხალი ფბ+o (502.75), შემდეგ კი დრამი უჟდ, (494.5) ანუ, საბუთის მიხედვით, მისხალი ტმვ (346). მთელი წლის განმავლობაში, მაშასადამე, გამოვიდა ოქრო დრამი 1,211.5, ანუ, საბუთის მიხედვით, მისხალი 848.75; (x 4.608) = 3,911.04 გ (**თითქმის 4 კგ**);
- 1789 წელს ოქრო გამოსულა დრამი ჩრკთo+ (1129.75), ანუ, საბუთის მიხედვით, მისხალი ღჟo+ (790.75); (x 4.608) = 3,642.62 გ (**3.64 კგ**);
- 1790 წელს ოქრო გამოსულა დრამი ჩფლა (1531), ანუ, მისხალი ჩოაo+ (1071.75), შემდეგ კი დრამი ობ+ (72.25), ანუ მისხალი ნo+ (50.75). მთელი წლის განმავლობაში, მაშასადამე, გამოვიდა ოქრო დრამი 1,603.25, ანუ, საბუთის მიხედვით, მისხალი 1,122.5; (x 4.608) = 5,172.48 გ (**თითქმის 5.2 კგ**); ამასთანავე, თავად საბუთის შემდგენელს მიწერილი აქვს "ქ. იქნა ზმეოთი [ზემოთი — ი.ფ.] ორსავ კალმის ოქროს ჯამი, რომ საჰაკას თავლი შეიქნა მისხალი" ჩულვ+, ანუ, 1436.25 გ

326 სხვაობა შეადგენს 189,298.8525 - 189,211.0925 = 87.76 გრამს (28.57 სირმა აბაზი). რთული სათქმელია, ეს სხვაობა რამ განაპირობა, — საბუთის შემდგენელს მოუვიდა შეცდომა, თუ ლიტრასა და დრამას მნიშვნელობა რამდენადმე მაინც განსხვავდება იმ ციფრებისგან, რომლებიც ჩვენ გამოვითვალეთ და რომლებითაც ვისარგებლეთ.

327 *Акты собранные Кавказской археографической коммиссией. Том I*, Под редакцией Адольфа Берже, 516, №623, примечание.

დიაგრამა 1. ახტალაში ვერცხლისა და ოქროს წარმოება (კგ) (1763-1801)



(sic); (x 4.608) = 6,618.24 გ (**6.6 კგ**). ამხელა სხვაობა (1.4 კგ) სრულიად გაუგებარია. არ გამოვრიცხავთ, რომ გადამწერს, გამომცემელეს ან ტექსტის ამკრეფს შეცდომაც ჰქონდეს დაშვებული. წინა წლებში ოქროს გამოსავლის მიხედვით, **წლიური 5.2 კგ** უფრო სწორ ციფრად გვეჩვენება.

*ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნის* მიხედვით, შესაძლებელია მსჯელობა ოქროს გამოსავალზე წინა წლებშიც:

> "... ი ამდენი, რომ იქ(ნება) ე თვე, ამ ხუთს თვეში რომ ბერძენი იორი ემინ-ბაშათ ყოფილა, ამის დროს რაც ვერცხლი მოსულა, ნასყიდას თავლი არის და რაც ოქრო გამოსულა, საჰაკას თავლი არის, რომ იქნა ოქროს ჯამი დრამი ქბო. იქნება.
>
> უკთ+θ ქ(ორონი)კ(ონ)ს უოგ, მაისის ი-დამ მარიამობის კე-მდენ, რომ იქნება სამი თვე ნახევარი, ამ გი-ში ჰაჯი-სტეფანა და თეზაფჩი თევდორე ყოფილან მადან-ემინი, ამათ დროს რაც ვერცხლი მოსულა, ნასყიდას თავლი არის, რაც ოქრო გამოსულა, საჰაკას მიბარებია, რომ არის დრამი ქიგ. θ იქნება."[328]

*ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნის* ამ ფრაგმენტიდან გამომდინარეობს, რომ, ქორონიკონის უოგ (473) წინა წელს, ანუ, 1784 წელს ქრისტეშობით, ამ წლის 5 თვის განმავლობაში, მიღებულ იქნა დრამი ქბო (602.5) ოქრო, ანუ (დრამას 3.23 გრამის მასის ერთეულად მივიჩნევთ), 1,946.075 გ. ამ ციფრის 12 თვეზე ექსტრაპოლირებით (1784 წლის განმავლობაში ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო ინდუსტრიას სერიოზული საგარეო საფრთხე ხომ ერთხელაც არ დამუქრებია) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1784 წელს მიღებული ოქროს რაოდენობა უდრიდა *დაახლოებით* 4,670.58 გ (**4.67 კგ**).

1785 წლის 3.5 თვის განმავლობაში (10 მაისიდან აგვისტოს 25 რიცხვამდე) მიღებულ იქნა ოქრო ქიგ (613.5) დრამა, ანუ, საბუთის მიხედვით, მისხალი უკთ+ (429.25); (x 4.608) = 1,977.984 გ (**თითქმის 2 კგ**). ასეთი წარმადობით, იმ წელს მიღებული იქნებოდა (ექსტრაპოლირებით) (რეკორდული?) 6.78 კგ ოქრო, მაგრამ, ამ წლის სექტემბერში ქართლ-კახეთის სამეფოს ომარ-ხანი შეესია და, როგორც აღვნიშნეთ, წარმოება შეწყდა.

სხვათა შორის, შესაძლებელია, გამოვითვალოთ, მიახლოებით მაინც, ახტალაში ხალასი ვერცხლის გამოსავალიც, დროის იმავე პერიოდში მოპოვებული ოქროს რაოდენობის მიხედვით. ამისთვის უნდა გავითვალისწინოთ *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნის* მონაცემები 1788-1790 წლებში ხალასი ვერცხლისა და ოქროს გამოსავლის შესახებ (vide supra). ამ მონაცემებით, შესაძლებელია *მიახლოებითი* თანაფარდობის დადგენა, — ოქროიანი ვერცხლიდან ოქროს ამა თუ იმ რაოდენობით გამოყოფის პარალელურად რამდენ ხალას ვერცხლს იღებდნენ. რასაკვირველია, ციფრი ვერ იქნებოდა სტაბილური, ვინაიდან სხვადასხვა ძარღვში მოპოვებული მადნიდან გამოდნობილ ოქროიან ვერცხლში ოქროს შემადგენლობაც ცვალებადი იქნებოდა; თუმცა, გარკვეული დასკვნების გაკეთება მაინც

328 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 85.

შესაძლებელი ხდება. კერძოდ, *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნში* გვაქვს შემდეგი თანაფარდობები:

1788 წელი: ხალასი ვერცხლი გამოვიდა 151,868.115 გ, ოქრო კი 3,911.04 გ; გამოსული ოქრო-ვერცხლის თანაფარდობა შეადგენს 1:38.83;

1789 წელი: ხალასი ვერცხლი გამოვიდა 150,020.2975 გ, ოქრო კი 3,642.62 გ; გამოსული ოქრო-ვერცხლის თანაფარდობა შეადგენს 1:41.18;

1790 წელი: ხალასი ვერცხლი გამოვიდა 189,211.0925 გ, ოქრო კი 5,172.48 გ; გამოსული ოქრო-ვერცხლის თანაფარდობა შეადგენს 1:36.58.

სულ კი გამოვიდა 491,099.505 გ ხალასი ვერცხლი და 12,726.14 გ ოქრო, ანუ, **გამოსული ოქრო-ვერცხლის მასის საშუალო თანაფარდობა არის 1:38.86**.

ამ მონაცემის გამოყენებით, მიახლოებით მაინც, ხერხდება 1784 და 1785 წლებში გამოსული ხალასი ვერცხლის რაოდენობის გამოთვლაც — ჩვენთვის ხომ ცნობილია ამ დროს მოპოვებული ოქროს რაოდენობა:

1784 წელი: საორიენტაციოდ, 4,670.58 გ x 38.86 = 181,498.74 გ (**მიახლოებით, 181.5 კგ**);

1785 წელი (მხოლოდ 3.5 თვის განმავლობაში): 1,977.984 გ x 38.86 = 76,864.46 გ (**76.9 კგ**).

ჩვენთვის მთავარია, თუ რა რაოდენობით იწარმოებოდა მონეტის მოსაჭრელად ვარგისი, *ხალასი* ლითონი — ოქრო იქნებოდა თუ ვერცხლი. ბუნებრივია, *ხალასში* იგულისხმება გაწმენდილი იმ დროისთვის ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის შესაძლებლობების ფარგლებში. გარდა ამისა (იხ. თავი VIII), საქართველოში ნამდვილად წარმოებდა ვერცხლის მონეტების ლეგირება; უცნობია, წარმოებდა თუ არა ოქროს მონეტების, კერძოდ, თუნდაც, ოქროს სირმა შაურის ლეგირება). ლეგირება გულისხმობს მონეტის მოჭრას არა სუფთა ლითონისგან, არამედ შენადნობისგან, რომლის შემადგენლობაშიც გარკვეული რაოდენობით არაკეთილშობილი / არაძვირფასი ლითონის მინარევიც არის, ლიგატურა. ამ გარემოების გათვალისწინებით, რთული სათქმელია, რა ხარისხით წარმოებდა ლითონის გაწმენდა; იყო თუ არა გაწმენდის მიზანი ლითონის შეძლებისდაგვარად სრულად გაწმენდა. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მონეტის მოსაჭრელად განკუთვნილი შენადნობის სინჯს როგორ ადაბლებდნენ, საწყისი შენადნობის მხოლოდ ნაწილობრივ გაწმენდით, თუ, უფრო, ლიგატურის დამატებით?

XIX საუკუნეში რუსული ბიუროკრატიული აპარატის მიერ შეგროვებულ ცნობებში (ბერძენი მადანჩების მოგონებებში) ოქროიანი ვერცხლის ჯამური რაოდენობაა ხოლმე მითითებული.

*ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნის* მიხედვით კი რამდენიმე წლისთვის მაინც, საფიქრებელია, დოკუმენტური სიზუსტით მოხერხდა მოპოვებული (ხალასი) ვერცხლისა და ოქროს რაოდენობის დადგენა. იხ. დიაგრამა 1; შეად. ცხრილი 2-ს.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, უბრალოდ, გამოყოფილი უოქრო ვერცხლისა და ოქროს მასის შეჯამებით შეუძლებელია ოქროიანი ოქროს მასის ზუსტად გამოთვლა. ოქროიანი ვერცხლის გაწმენდისას საერთო მასას აკლდებოდა არაძვირფასი მინარევების ნაწილი, და, ნაწილობრივ მაინც, *ნაწვის*

სახით (პიროტექნიკური პროცესების ფარგლებში) იკარგებოდა ძვირფასი ლითონებიც. *ნაწვი* არის მონეტის წარმოებასა და ოქრომჭედლობაში მიღებული ტექნიკური ტერმინი, რომლითაც აღინიშნება მონეტებისა თუ მედლების მოჭრის პროცესში ძვირფასი ლითონის რაოდენობის შემცირება ლითონის ცხელი დამუშავების შემთხვევაში (დნობა-ჩამოსხმა), როდესაც ძვირფასი ლითონი იწვის ან იშხეფება, გადადის ტიგელისა თუ ყალიბის კედლებში, გამავალ აირებში; ცივი დამუშავებისას (ზედაპირის გაწმენდა, იუსტირება) ძვირფასი ლითონი ასევე იკარგება, რასაც ქართულად უკვე *ხენჯი* ეწოდება. ცხელი დამუშავებისას ნაწვის სახით დაკარგული ვერცხლის / ვერცხლის შენადნობის პროცენტული წილი დამოკიდებული იყო შენადნობის სინჯზე, და მისი უკუპროპორციული იყო: ასე, მაგალითად, მაღალი სინჯის ვერცხლის შემთხვევაში დანაკარგი დაახლოებით 1-1.6%-ის ფარგლებში მერყეობდა; ხოლო ტალერული ვერცხლის შემთხვევაში კი 11-13%-საც კი აღწევდა;[329] სხვა მონაცემებით, 6-25%-ს ტალერის შენადნობის სინჯისდა მიხედვით.[330] გასათვალისწინებელია ოქროიანი ვერცხლიდან ოქროს გარდა სხვა მინარევების მოცილებაც.

ახტალაში (და დამბლუღში) მიღებული ოქროიანი ვერცხლის შემადგენლობა შეიძლება შემდეგი ფორმულის სახით წარმოვადგინოთ:

$$M_{\text{ოქროიანი ვერცხლი}} = M_{\text{უოქრო ვერცხლი}} + M_{\text{ოქრო}} + M_{\text{მინარევები/ნაწვი}}$$

$M_{\text{მინარევები/ნაწვი}}$ უცნობ ცვლადს წარმოადგენს. თუმცა, აქვე გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ მისი მნიშვნელობა ძალიან მაღალი არ უნდა ყოფილიყო.

ვეცდებით ახტალაში მოპოვებული ოქროიანი ვერცხლისთვის გამოვითვალოთ ზემოთ მოყვანილი ფორმულის ყველა ცვლადი.

ამისთვის დავეყრდნობით სხვადასხვა პირველწყაროს, რომელთა დახმარებითაც მეტ-ნაკლები სიზუსტით, საორიენტაციოდ მაინც, ხერხდება ოქროიან ვერცხლში ($M_{\text{ოქროიანი ვერცხლი}}$) ხალასი ოქროსა ($M_{\text{ოქრო}}$) და ხალასი ვერცხლის ($M_{\text{უოქრო ვერცხლი}}$) პროცენტული შემადგენლობის გამოთვლა; დარჩენილი ციფრი კი უკვე მინარევისა თუ გაწმენდისას (ნაწვის სახით) დანაკარგის ტოლი იქნება ($M_{\text{მინარევები/ნაწვი}}$).

*პირველ ეტაპზე*, ვცადოთ, გავარკვიოთ, თუ როგორი იყო ოქროიან ვერცხლში *ვერცხლის* შემცველობა. ამაში დაგვეხმარება სოლომონ მელიქოვის / მელიქიშვილის 1801 წლის 29 მაისს კნორრინგის სახელზე ქართულად დაწერილი მოხსენების რუსული თარგმანი (ქართული დედანი, ჩანს, დაკარგულია):

> “От в. пр. мне приказано обьяснить, как и на какие части делится серебро, добываемое из рудника, - почему так да доложится вам когда на монетном дворе

329 Валентин Янин, “Новые материалы о Новгородском денежном дворе при Михаиле Федоровиче.”, Валентин Янин, *Денежно-весовые системы домонгольской Руси и очерки истории денежной системы средневекового Новгорода* (Москва: Языки славянских культур, 2009), 386.

330 Мельникова, *Русские монеты от Ивана Грозного до Петра Первого: история русской денежной системы с 1533 по 1682 год*, 34.

ცხრილი 2. ახტალაში წლიურად მოპოვებული ძვირფასი ლითონის საორიენტაციო რაოდენობა

| ახტალაში მოპოვებული სამონეტო ლითონები: | მოპოვებული ძვირფასი ლითონის საორიენტაციო რაოდენობა (ლიტრა / კგ) (= საფასის მოჭრის პოტენციალი) | | |
|---|---|---|---|
| | **ომარ-ხანის შემოსევამდე** | **ომარ-ხანის შემოსევიდან ალა მაჰმად-ხანის შემოსევამდე** | **ალა მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ** |
| **ხალასი ვერცხლი** | 195 ლიტრა (646.9 კგ) (= 210.3 ათ. სირმა აბაზი) | 71.25 ლიტრა (236.4 კგ) (= 76.9 ათ. სირმა აბაზი) | > ? |
| **ხალასი ოქრო** | 5.0 ლიტრა (16.6 კგ) (= 21.6 ათ. ოქროს შაური) | 1.83 ლიტრა (6.1 კგ) (= 7.9 ათ. ოქროს შაური) | > ? |

чеканится 1 литра (9[331] фунт) серебра, то из сего количества выходит 211 руб 20 коп за тем все золото, выжимаемое из этого, принадлежит царю, да из серебра ему же уделяется, насчет монетнаго двора, 51 руб 20 коп, да 160 руб следуют откупщикам рудника (მადანჩი)."[332]

რამდენადმე ბუნდოვანია, — სოლომონ მელიქიშვილი გულისხმობდა 1 ლიტრა *ოქროიან*, თუ *ხალას* ვერცხლს? მის მოწმობაში არ არის ცალსახად განმარტებული, ოქრო მიიღებოდა იმავე (ოქრონარევი ვერცხლის) ლიტრა-

331 აშკარა შეცდომაა. 1802 წლის ბორზუნოვის პატაკში 1 ლიტრა გატოლებულია 8 რუსულ ფუნტთან (Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №45, 86), რაც რეალობასთან უფრო ახლო ჩანს.

332 *Акты собранные Кавказской археографической коммиссией. Том I*, Под редакцией Адольфа Берже, 516, №623, примечание.

სოლომონ მელიქიშვილის ცნობებს ეყრდნობა 1802 წელს ბორზუნოვის მიერ გრაფ მუსინ-პუშკინის სახელზე შედგენილი პატაკიც. Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №45, 84-88.

დან, თუ ლიტრა გულისხმობდა უკვე ხალას (ოქროსგან გაწმენდილ) ვერცხლს? სავსებით შესაძლებელია, და ამის სასარგებლოდ არგუმენტაციას შესაბამის თავში მოვიყვანთ (თავი VIII), რომ ოქროიანი ვერცხლიდან როგორც ვერცხლის, ასევე ოქროს გამოყოფა არა ახტალაში, არამედ თბილისის ზარაფხანაში წარმოებდა. მაინც, ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ საუბარია ოქროიან და გაუწმენდავ ვერცხლზე; ამას გვაფიქრებს ფრაზა "за тем все золото, выжимаемое из этого"; "из этого" უნდა გულისხმობდეს სწორედ იმავე ლიტრას, რომლისგანაც იჭრება 211.2 რუბლის ღირებულების ვერცხლის საფასე.

რუსული 20 კაპიკი (ვერცხლით) დიდი ალბათობით, შეიძლება, ქართლ-კახეთის სირმა აბაზიანს გავუტოლოთ[333] — თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვით,

> "Ⴡ. ხუთი აბაზი ანუ ხუთი თეთრი — ერთი რუბლი არის ანუ ერთი მონეთა (მინალთუნი ეს არის, მონეთასათვის დაურქმევიათ ოსმალობის ჟამსა). ქართულად ზუზა ეწოდება რუბლსა, და დიდრაქმა (ზუზა სწორედ საკუთარი ქართული სახელია, დიდრახმა ებრაული უნდა იყოს და ბერძულიც).
>
> Ⴈ. ათი მონეთა ანუ ათი მინალთუნი ერთი თუმანი არის, ანუ ერთი იმპერიალი (თუმან სპარსული სახელი არის)." [334]

> "ხუთი აბაზი ერთს რუბლად ითვლებოდა ანუ ერთს მინალთუნადა და ათი რუბლი ერთს თუმნად ანუ ერთს იმპერიალად ითვლებოდა."[335]

მაშასადამე, 1 ლიტრა (3,317.76 გ) ოქროიანი (და მინარევიანი) ვერცხლიდან გამოდიოდა 1056 სირმა აბაზი.

თუ გავითვალისწინებთ სირმა აბაზის ნორმატიულ წონას 3.072 გ, 1056 სირმა აბაზის მოსაჭრელად დაიხარჯებოდა 3,244.032 გ ვერცხლი, ხოლო თუ გავითვალისწინებთ სირმა თეთრის სინჯს (97.4%, იხ. თავი VIII) — **1056 სირმა აბაზის მოსაჭრელად დაიხარჯებოდა 3,159.687 გ ვერცხლი**, ანუ, **ოქროიანი და მინარევიანი ვერცხლის საერთო რაოდენობის 95.24% ($M_{\text{უოქრო ვერცხლი}}$).**

*მეორე ეტაპზე*, გავარკვიოთ, ხელმისაწვდომი პირველწყაროების, კერძოდ, რუსული საბუთების მიხედვით, თუ როგორი იყო ოქროიან ვერცხლში *ხალასი ოქროს* შემცველობა.

ანასტასი ხაჯიფოტოვის მიხედვით, თითოეული ლიტრა (ოქროიანი) ვერცხლიდან მიიღებოდა 45 *მისხალ* ოქრომდე (ბუნებრივია, იმდროინდელი ტექნოლოგიის შეზღუდულობის გათვალისწინებით; თანამედროვე წარმოებაში, უეჭველია, მეტის მიღება იქნებოდა შესაძლებელი):

> "С каждой литры серебра отделялось до 45 золотников золота."[336]

---

333 გუგუშვილი, *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში*, 59.

334 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 41.

335 იქვე, 42.

336 Павел Санковский, "Вечер на Алвертском заводе", 7.

*ზოლოტნიკის* მიღებული თარგმანი *მისხალია*. მაგრამ, რუსული *ზოლოტნიკი* უდრიდა 4.266 გრამს;[337] ქართულ-სპარსული მისხალი კი 4.608 გრამს.[338] თუ ანასტასი ხაჯიფოტოვი 4.266-გრამიან მასის ერთეულს გულისხმობდა, მაშინ თითოეული ლიტრადან (3,317.76 გ) გამოდიოდა 45 x 4.266 = 191.97 გ ოქრო, ანუ, მოპოვებული ოქროიანი ვერცხლის საერთო მასის 5.79%; ხოლო თუ 4.608-გრამიან ერთეულს, მაშინ, 45 x 4.608 = 207.36 გ ოქრო, ანუ, მოპოვებული ოქროიანი ვერცხლის საერთო მასის 6.25%. პირადად ჩვენ უფრო იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ იგულისხმებოდა ქართული მისხალი (4.608-გრამიანი), და, ამრიგად, ოქროს ხვედრითი წილი მოპოვებული ოქროიანი ვერცხლის 6.25%-ს უდრიდა (მასით).

თუმცა, საკითხავია, რამდენად ადეკვატურია ხაჯიფოტოვის მიერ დასახელებული ციფრები. 5.79 და 6.25%, ორივე მაჩვენებელი, ჩვენი მოსაზრებით, საკმაოდ მაღალია. ზემოთ განვიხილეთ *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნის* მონაცემები 1788-1790 წლებში გამოსული *ხალასი* ვერცხლისა და ოქროს რაოდენობაზე; დავადგინეთ, რომ გამოსული ოქრო-ვერცხლის მასის თანაფარდობა იყო მიახლოებით 1:38.86. ეს კი გვავარაუდებინებს, რომ ოქრო შეადგენდა ოქროიანი ვერცხლის მასის დაახლოებით 2.5%-ს (1X + 38.86X = 100%; X = 2.5%), — ეს იმ შემთხვევაში, თუ პირობითად დავუშვებთ, რომ ოქროიან ვერცხლში სხვა მინარევი არ იყო; მისი არსებობის გათვალისწინებით პროცენტი, ბუნებრივია, ნაკლები გამოდის. ამ ეტაპზე აჯობებს შევთანხმდეთ, რომ, ქართული ოფიციალური პირველწყაროს მიხედვით, **ხალასი ოქროსა და ხალასი ვერცხლის ჯამური მასიდან ($M_{უოქრო\ ვერცხლი}$ + $M_{ოქრო}$), 2.5% მოდიოდა ოქროზე.**

XIX საუკუნის დასაწყისის რუსულ საბუთებში ბევრად უფრო დაბალი ციფრებია მითითებული.

ასე, მაგალითად, 1801 წელს გრაფი მუსინ-პუშკინი რუსეთის იმპერიის ბერგ-კოლეგიაში წარდგენილ ახსნა-განმარტებით მოხსენებაში, ბერძენ მადანჩებზე დაყრდნობით, მიუთითებს, რომ ოქროიან ვერცხლში ოქროს შემცველობა *ჩვეულებრივ* ნაკლები იყო, და უდრიდა ყოველ ლიტრაში 18-26 მისხალს (ჩვენი აზრით აქ მაინც სპარსულ-ქართული მისხალი იგულისხმება, 4.608-გრამიანი, მით უფრო რომ გამოყენებული *ლიტრაც* მასის ადგილობრივი ერთეულია; თუმცა, ციფრები წყვილად მოგვაქვს, რუსული ზოლოტნიკისთვის და სპარსულ-ქართული მისხლისთვის), ანუ, მასის პროცენტებში, 2.31-2.50-დან 2.29-3.61-მდე, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი, როდესაც ლიტრა 45 ან 60 მისხალს შეიცავდა, მასის 5.79-6.25, ან 7.71-8.33%-ს:

> "На одной печке разделяют 50 пуд. серебряного свинца, из коего, по разному содержанию руд, выходит, как выше сказано, от одной литры до 10, 12 и 16 грузинских фунтов золотистого серебра, обыкновенно от 18 до 26 золотников золота в литре или 8 грузинских фунтах[339] содержащего.

337 Владимир Зварич, *Нумизматический словарь* (Львов: Вища Школа, 1975), 63.

338 ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 222-223.

339 გრაფი მუსინ-პუშკინის ტერმინოლოგია არამკაფიოა; ხან *ლიტრას* ცნებას იყენებს, ხანაც ე.წ. "ქართულ გირვანქას", რომელიც, მის მიხედვით, ლიტრას 1/8-

Есть, однако же, такие руды, по показаниям тех же греков и самого царя, которые от 45 до 60 золотн. золота в литре серебра содержат, а при Казахах и Абульмульхе от 100 до 120 золотников золота в том же весе серебра."[340]

1802 წლის საბუთში "Правила горных работ рудопромышленников-греков" მითითებულია, რომ 1 ლიტრა საშუალოდ ("по общей сложности") ოქროს 24 მისხალს შეიცავს;[341] ანუ, მასის 3.33%.

კიდევ ერთ რუსულ საბუთში უკვე ექსკლუზიურად რუსული მასის ერთეულებია გამოყენებული; ვგულისხმობთ 1802 წლის 9 აგვისტოს ობერ-გიტენ-ფერვალტერ ბორზუნოვის პატაკს გრაფ მუსინ-პუშკინის სახელზე, რომელიც ეხება ახტალისა და ალავერდის ლითონსადნობ ქარხნებში ჩასატარებელ ღონისძიებებს (საბუთს თან ახლავს რამდენიმე დანართი, რომელშიც თავმოყრილია ცნობები აღნიშნულ ქარხნებში წარმოების ორგანიზაციის შესახებ, ფინანსური გეგმის ჩათვლით):

"Доход царя:

Полагая, что золота содержалось в выплавленном серебре в каждом фунте по 3 золотника, а в 92 пудах 2 пуда 35 фун. или 11.040 золотн., которое царь продавал по 5 руб. зол., всего составится на

55.200 [Руб.]"[342]

"Ежели проплавиленные 120 тыс. пуд. руды содержанием будут в 2 ½ зол., то за выключкою по ¼ зол. на шлаки и по ¼ же зол. на угар при разделении, обжоге и извлечении на горну так, как считается в Колыванских заводах, выплавится только от каждого пуда по 2 зол, что составится из всего количества серебра с золотом 62 пуда 20 фун., и ежели в каждом фунте выплавленного серебра содержаться будет золота по 3 зол, так как оного содержалось в выплавиленном недавно греками серебре, то во всем количестве наберется 1 пуд 38 фун. 12 зол. которого по грузинским ценам, полагая по 4 руб. зол., составится на

30.000 [Руб.].

За исключением золота, серебра останется 60 пуд. 21 ф. 84 зол. …"[343]

ვინაიდან 1 რუსული გირვანქა (ფუნტი) 96 ზოლოტნიკს შეიცავდა, გამოდის, რომ ბორზუნოვი ოქრონარევ ვერცხლში ოქროს ხვედრით წილს საერთო მასის 3.125%-ად მიიჩნევდა.

1833 წელს კი, სტეფანე გულიშამბაროვის თანახმად, თავად Челокаев-მა

ს შეადგენს. საზოგადოდ, რუსი ავტორები ქართულ ლიტრას უპირატესწილად 8 რუსულ გირვანქას უტოლებდნენ.

340 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №14, 26.

341 იქვე, №69, 147.

342 იქვე, №45, Приложение 2: Примерное исчисление расходов во время лучшего состояния выплавки серебра при Ахтальском заводе, 89.

343 იქვე, №45, Приложение 3: Примерное исчисление суммы, потребной на годовое содержание Ахтальского завода и рудника, сделанное июля 25-го дня 1802-го года в Альверте, 92-93.

(ჩოლოყაშვილმა?) დაადგინა, რომ ახტალის ქარხანაში მიღებულ (ოქროიან) ვერცხლში ოქროს შემცველობა შეესაბამებოდა 2.75 ზოლოტნიკს 1 გირვანქა-ში / ფუნტში; ეს კი შეესაბამება 2.86%-ს:

> “в серебре же, полученном на ахтальском заводе, было вполне констатировано присутствие золота в количестве 2¾ золотн. на 1 ф. серебра.”[344]

ამრიგად, მიახლოებით მაინც, ხერხდება ოქროიან ვერცხლში ოქროს პროცენტული წილის დადგენა; რასაკვირველია, მოპოვებული ოქროს ზუსტი ოდენობის დადგენა ვერ ხერხდება; უეჭველია, რომ მიიღებოდა რა ოქრონარევი ვერცხლიდან, მისი რაოდენობა მერყეობდა, ვინაიდან დამოკიდებული იყო, ერთი მხრივ, მიღებული ოქრონარევი ვერცხლის რაოდენობაზე; მეორე მხრივ კი, მადნის ამა თუ იმ ძარღვში, და, შესაბამისად, იქიდან მოპოვებულ ოქროიან ვერცხლში ოქროს შემცველობაზე. როგორც ჩანს, **მოპოვებულ ოქრონარევ ვერცხლში ოქროს შემადგენლობა მერყეობდა 2.31-8.33%-ის ფარგლებში** (ზემოთ მოყვანილიდან კიდურა რიცხვები რომ ავიღოთ).

გარდა ამისა, *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნის* მიხედვით უკვე გამოთვლილი გვაქვს, რომ გამოსული ოქრო-ვერცხლის მასის (მინარევების გარეშე) თანაფარდობა არის 1:38.86. რახან ზემოთ უკვე გამოვითვალეთ, რომ ვერცხლი შეადგენს ოქროიანი და მინარევიანი ვერცხლის საერთო რაოდენობის 95.24%; მაშინ, ოქროს შემადგენლობა უდრის 95.24 : 38.86 = 2.45%-ს ($M_{\text{ოქრო}}$). სხვანაირი დაანგარიშებით, თუ გავიხსენებთ, რომ ხალასი ოქროსა და ხალასი ვერცხლის ჯამური მასიდან ($M_{\text{უოქრო ვერცხლი}} + M_{\text{ოქრო}}$), 2.5% მოდიოდა ოქროზე, მაშინ, ოქროს შემადგენლობა უნდა იყოს 2.5 x 100 : (2.5 + 95.24) = 2.56%-ს ($M_{\text{ოქრო}}$).

$M_{\text{მინარევები/ნაწვი}}$ მაჩვენებლის გამოთვლა უკვე ადვილია:

$$M_{\text{მინარევები/ნაწვი}} = M_{\text{ოქროიანი ვერცხლი}} - M_{\text{უოქრო ვერცხლი}} - M_{\text{ოქრო}}$$

$$M_{\text{მინარევები/ნაწვი}} = 100 — 95.24 — 2.45 \text{ (ან, 2.56)} = 2.31 \text{ (ან, 2.20)}\%$$

ოქროს გამოყოფის შემდეგ ნაწვზე და მინარევების მოცილებაზე ($M_{\text{მინარევე-ბი/ნაწვი}}$) დარჩენილი მასის კიდევ 2.20-2.31%-ის დაკარგვა სავსებით რეალურად გვეჩვენება.

რასაკვირველია, ჩვენი ციფრები გარკვეულწილად ჰიპოთეტური და საორიენტაციოა. მაგრამ, მაინც, ვფიქრობთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ქართლ-კახეთის სამეფოში (1765/6 წლის შემდგომ; ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნის დასასრულისთვის) ყოველი მოპოვებული (ოქროიანი) ვერცხლის 1 ლიტრა ნაწილდებოდა შემდეგნაირად:**

- **ნაწვი / მინარევების მოცილება — 2.20-2.31%;**
- **გამოყოფილი ოქრო — 2.44-2.56%;**
- **გამოყოფილი ვერცხლი — 95.24%.**

---

344 Гулишамбаров, *Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии*, 169.

*

ახტალის ოქროიანი ვერცხლის შემადგენლობის დადგენის შემდეგ, უკვე შეგვიძლია მეტ-ნაკლები სიზუსტის პრეტენზიით ვიმსჯელოთ ახტალაში მოპოვებული ოქრო-ვერცხლის რაოდენობაზე.

სოლომონ მელიქიშვილის, ანასტასი ხაჯიფოტოვისა და სხვა ბერძენი მადანჩების მოწმობით, ომარ-ხანის შემოსევამდე ყოველწლიურად იღებდნენ 300-408/460 ლიტრას; სხვა ცნობით, უმეტესწილად 150-300 ლიტრას, უფრო ხშირად კი 200 ლიტრას.

ომარ-ხანის შემოსევის შემდეგ წარმოება შემცირდა 3-4-ჯერ, ან, ყოველ შემთხვევაში, 70-120 ლიტრამდე, უფრო კი იღებდნენ 70-80 ლიტრას.

ოქროიანი ვერხლი რომ ხალას ვერცხლში გადავიყვანოთ, მითითებული ციფრები 0.9524-ზე უნდა გავამრავლოთ, ან, უბრალოდ, დაახლოებით 5% მოვაკლოთ. გამოდის, რომ შემოსევამდე ყველაზე ხშირად იღებდნენ *ხალას ვერცხლს* დაახლოებით 195 ლიტრას, შემოსევის შემდეგ კი უფრო 66.5-76.0 ლიტრას, ან, საშუალო რომ ავიღოთ, 71.25 ლიტრას.

დოკუმენტურად, *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნის* მიხედვით ომარ-ხანის შემოსევის წინარე ერთი წლისთვის (1784) დასტურდება მხოლოდ 51.5 ლიტრა (sic); შემდგომი პერიოდისთვის კი — 45-57 ლიტრა. რთული სათქმელია, რა ხდებოდა 1784 წელს, და რატომ არის სხვაობა წარმოებაში ჩართულ პირთა გვიანდელ მოგონებებსა და თითქმის თანადროულ ოფიციალურ საბუთს შორის, თუნდაც ერთადერთ წელთან მიმართებაში.

*ხალას ოქროს* რაც შეეხება, კოეფიციენტზე (38.86) გაყოფით ვიღებთ წარმადობას — შემოსევამდე უხშირესად დაახლოებით 5.02 ლიტრა (16.66 კგ), შემოსევის შემდეგ კი უფრო 1.83 ლიტრა (6.07 კგ).

დოკუმენტურად კი, *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნის* მიხედვით, ომარ-ხანის შემოსევის წინარე ერთი წლისთვის (1784) დასტურდება მხოლოდ 4.67 კგ (sic); შემდგომი პერიოდისთვის კი — 3.64-5.2 კგ. უცნობია, სხვაობა თუ რამ განაპირობა.

ჩვენს ვარაუდს ახტალაში მიღებული ოქრო-ვერცხლის რაოდენობის თაობაზე ცხრილის სახით ჩამოვაყალიბებთ. იხ. ცხრილი 2. რასაკვირველია, მითითებული ციფრები საორიენტაციო ხასიათისაა.

მაინც, გვაკვირვებს ომარ-ხანის შემოსევის შემდგომი პერიოდისთვის მოპოვებული ხალასი ვერცხლის საკმაოდ მოკრძალებული რაოდენობა (45-57 ლიტრა), რომელიც საკმარისი იქნებოდა მხოლოდ 50-63 ათასი სირმა აბაზის მოსაჭრელად. არადა, ემპირიულად, 1784 წლის შემდგომი (ჰ. 1200-1201 წწ.) სირმა აბაზიანები უფრო ხშირად გვხდება, ვიდრე, დავუშვათ, 1827-1833 წლების ქართულ-რუსული ორაბაზიანები, რომელთა ტირაჟი 200-338 ათასის ფარგლებში მერყეობდა,[345] და ემისიაც უფრო გვიანდელია. რასაკვირველია, სირმა თეთრის მოსაჭრელად არა მარტო ახტალის ვერცხლს გადაამუშავებდნენ; შესაძლოა, ასევე დამბლულიდან და სხვა წყაროებიდან მიღებულსაც.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ შეგვიძლია მსჯელობა მხოლოდ ახტალის საბადოსა და ლითონსადნობი ქარხნის წარმადობაზე. არ გვაქვს არავითარი

345 Василий Узденииков, *Обьем чеканки российских монет на отечественных и зарубежных монетных дворах. 1700-1917* (Москва: Малая Медведица, 1995), 105.

ცნობა, თუ რამდენ ოქროიან (?) ვერცხლს იძლეოდა დამბლულის ვერცხლსადნობი ქარხანა.

გადავიდეთ *სპილენძზე.*
ისევ და ისევ, ანასტასი ხაჯიფოტოვის მიხედვით,

> "В первые годы добывалось [...] меди по 5 т., 10 т. и 15 т. пуд."[346]
> "Скоро заводы сии пришли в цветущее состояние [...] На медных заводах добывалось до 5, 10 и 15 тысяч пудов меди."[347]

ომარ-ხანის ლაშქრობამ სპილენძის წარმოებასაც უმძიმესი დარტყმა მიაყენა. სპილენძის წარმოება შემცირდა დაახლოებით 2-2.5-ჯერ (ვერცხლის, დაახლოებით 4-ჯერ, vide supra):

> „Недостаток в рудопромышленниках, большею частью истребленных Омар Ханом, был причиною, что действия заводов значительно уменьшились, так что серебра добывалось ежегодно от 10 до 15 пуд, а меди от 5 до 6 т. пуд."[348]

XVIII საუკუნის დასასრულისკენ, მიუხედავად აღა მაჰმად-ხანის შემოსევისა, სპილენძის წარმოება, როგორც ჩანს, გაიზარდა (მადანჩების მნიშვნელოვანი ნაწილი ახტალიდან ალავერდში გადავიდა). 1801 წელს, გრაფი მუსინ-პუშკინი რუსეთის იმპერიის ბერგ-კოლეგიაში წარდგენილ ახსნა-განმარტებით წერილში, სადაც ალავერდის სპილენძსადნობი წარმოების მოწყობასა და თბილისში ზარაფხანის ხელახლა გახსნას შეეხო, ბერძენი მადანჩების მოწმობაზე დაყრდნობით, ალავერდში სპილენძის წარმოებას შემდეგნაირად აღწერდა:

*"Примерное исчисление*
*О предполагаемом производстве Альвертского медеплавильного завода, существующего в Грузии, основывающееся на показаниях тамо работающих людей.*

| | |
|---|---|
| При вышереченном заводе обрабатывается ныне два рудника, из коих в год полагается добыть руды примерно | 200,000 |
| Для добычи оных полагается, по мере нынешней работы (70) 100 человек, считая, что они вырабатывают в сутки 800 пуд., а в 250 суток вышепоказанные 200,000 пуд. | |
| … | |
| Из 200.000 пуд. руды выходит черной меди до | 15,000 п. |
| Для очистки черной меди имеются 2 печи; при каждой находится 6 чел. итого | 12 чел. |

346 З-в. [Зубарев Дмитрий?], "Алвертский медный завод. Уста Баши Греческий. Его история (Отрывок из путешествия по за-Кавказск. провинц.)".

347 Павел Санковский, "Вечер на Алвертском заводе", 7

348 З-в. [Зубарев Дмитрий?], "Алвертский медный завод. Уста Баши Греческий. Его история (Отрывок из путешествия по за-Кавказск. провинц.)".

…

Из 15,000 пуд. черной меди выходит чистой меди до 12,000 п."[349]

როგორც ჩანს, წარმადობა გაიზარდა სუფთა სპილენძის დაახლოებით 12 ათას ფუთამდე, ანუ, 196,560 კილოგრამამდე, თითქმის 200 ტონამდე.

სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ალავერდი სპილენძის ძირითად წყაროს წარმოადგენდა, და რომ შამბლუღის სპილენძსადნობი ქარხნიდან გაცილებით ნაკლები სპილენძი შემოდიოდა. საზოგადოდ, პირველწყაროებში შამბლუღი ნაკლებად ჩანს.

რეგიონისა და ეპოქისთვის მოხსენიებული ციფრები ძალიან არსებითი იყო. მოპოვებული და ბაზრისთვის მოწოდებული სპილენძი არათუ სავსებით აკმაყოფილებდა ქართლ-კახეთის სამეფოს შინაგან მოთხოვნილებას, არამედ, ამ მოწოდებამ წარმოშვა მოთხოვნაც — კერძოდ, ხელი შეუწყო ხელოსნობის ისეთი დარგის განვითარებას, როგორიც მელითონეობა-მესპილენძეობა იყო. მასობრივად დაიწყეს სპილენძის ჭურჭლის დამზადება, რომელიც ფართოდ გავრცელდა კიდევაც:

"Из оной стали выделывать посуду, которая вошла во всеобщее употребление в Грузии."[350]

საყურადღებოა, რომ სპილენძი ქართლ-კახეთის სამეფოს ექსპორტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საგნადაც იქცა:[351]

"Для посылки в Персию выковывают в год до 1,000 батманов."[352]

"При очищении описанным образом в горнах меди разливают оную или в большие четырехугольные или в маленькие круглые штуки, из коих первые продаются некованные, а последние отдают для расковки в круглые листы особым мастерам и платят от 40 до 50 копеек за каждый батман, снабдив при том своим углем. Некованную медь продают откупщики в Тифлисе, в Эривани, в Таврисе, Кашанах, в Тиране, а иногда и на турецкой границе, от 3½ , до 4-х руб. батман, кованную же от 4 ½ до 5 руб. и более, особливо уходит она дороже тогда, когда променивают ее на товары.

349 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №14, 31.

350 Павел Санковский, "Вечер на Алвертском заводе", 7.

351 Paghava, Lobzhanidze, Turkia, "Countermarking of Copper Coins in Late 18th Century Georgia", 41; ფაღავა, "სპილენძის ღირებულება ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის მიწურულს ისტორიული საბუთების მიხედვით (თანადროული სპილენძის საფასის თვითღირებულების საკითხისთვის)", 231-233; Paghava, "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti", 248-249.

352 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №14, 24.

[...]

Поелику чистая медь по обьявлению подрядчиков продается как в Тифлисе равно и в персидских городах в Эривани, Таврисе, Кашанах, в Тиране, а иногда и на турецкой границе, за исключением провоза, некованная не ниже, как то 7 до 8 руб. пуд, а кованная до 10 руб. и более, то вообще положить можно, что оная продана быть может по 7½ руб."[353]

თუმცა, სპილენძის მონეტის მოსაჭრელადაც მისი გამოყენება ეჭვს არ იწვევს; საყურადღებოა, რომ რუსული ხელისუფლებაც ალავერდში მოპოვებული სპილენძის გასაღების ერთ-ერთ საშუალებად ზარაფხანის ამოქმედებასა და იქ სპილენძის ფულის მოჭრას მოიაზრებდა. თუ ერეკლეს სპილენძის ბისტის (ორთავიანი არწივის გამოსახულებით) მასას, დამრგვალებით, დაახლოებით 18 გრამის ტოლად ჩავთვლით,[354] ალავერდში მოპოვებული სპილენძიდან XVIII საუკუნის დასასრულისთვის ყოველწლიურად შესაძლებელი იქნებოდა 10 მილიონ 920 ათასზე მეტი მონეტის მოჭრა. რასაკვირველია, ეს აბსოლუტურად წარმოუდგენელი, წარმოსახვითი ციფრია; იჭრებოდა გაცილებით ნაკლები (საკრედიტო ფულის ესეთ რაოდენობას ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკა, საფიქრებელია, ვერ გაუძლებდა), შესაძლოა, ასჯერაც და კიდევ უფრო ნაკლები, და მოპოვებული სპილენძი (მნიშვნელოვანწილად) სხვა მიზნებს ხმარდებოდა.

თუმცა, ვფიქრობთ, ალავერდის (და, ასევე, დამბლუღის) მაღაროსა და ქარხნის ამუშავების შემდეგ ხელისუფლების განკარგულებაში რეგულარულად სპილენძის დიდი რაოდენობით გადასვლა დამატებითი სტიმული იქნებოდა ადმინისტრაციისთვის, ეცადა, რუსეთის იმპერიისა (და, რაც შეიძლება ქართლ-კახეთის მესვეურთათვის უცნობი ყოფილიყო, შვედეთის) მსგავსად, გაეზარდა სპილენძის საფასის ხვედრითი წილი სახელმწიფოს ეკონომიკაში.

*

განვიხილოთ, თუ როგორ ნაწილდებოდა და რას ხმარდებოდა მოპოვებული ვერცხლის, ოქროსა და სპილენძის ზემოთ აღნიშნული მასა.

*ვერცხლის* განაწილების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამეფო კარსა და წარმოებაში მომუშავე ბერძნებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ყოველი ლიტრა ვერცხლიდან გამოსული „211 რუბლისა და 20 კაპიკის" ვერცხლის (სირმა) მონეტები ნაწილდებოდა შემდეგნაირად: მეფეს ერგებოდა 51 რუბლი და 20 კაპიკი, ანუ, საერთო თანხის 24.24%, ბერძენ მადანჩებს კი 160 რუბლი, ანუ, შესაბამისად, 75.76%;[355] ამ ინფორმაციის წყაროა სოლომონ მელიქოვის / მელიქიშვილის 1801 წლის 29 მაისს კნორრინგ-

353 ანტონ ბორზუნოვის პატაკიდან. იქვე, №45, 99, 101.

354 Пахомов, *Монеты Грузии*, 276; Пахомов, *Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII в.в.*, 102-103.

355 შეად. გოგოლაძე, *სამთამადნო, სამთო - საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII - XIX სს)*, 10.

ის სახელზე ქართულად დაწერილი მოხსენების რუსული თარგმანი (ქართული დედანი, ჩანს, დაკარგულია), — კიდევ ერთხელ მოვიყვანთ მის ტექსტს:

> “От в. пр. мне приказано обьяснить, как и на какие части делится серебро, добываемое из рудника, - почему так да доложится вам когда на монетном дворе чеканится 1 литра (9[356] фунт) серебра, то из сего количества выходит 211 руб 20 коп за тем все золото, выжимаемое из этого, принадлежит царю, да из серебра ему же уделяется, насчет монетнаго двора, 51 руб 20 коп, да 160 руб следуют откупщикам рудника (მადანჩი).”[357]

სავსებით ნათელია, რომ *მთელი* მოპოვებული ვერცხლი ზარაფხანას გადაეცემოდა, ნაღდი საფასის მოსაჭრელად; როგორც მეფე, ასევე ბერძენი მადანჩები თავის წილს უკვე მოპოვებული ვერხლის საფასედ ქცევის შემდეგ, ვერცხლის საფასის, კერძოდ, სირმა მონეტების სახით იღებდნენ.[358] მადანჩების კუთვნილი ვერცხლის საფასედ (საფიქრებელია, გარკვეული საზღაურის გამორთმევის სანაცვლოდ) მოჭრის ვალდებულება, რასაკვირველია, გაშუალებულად მაინც, ზრდიდა ირაკლი II-ის, თუნდაც იჯარით გაცემული ზარაფხანისგან მიღებულ მოგებას. უდიდესი ალბათობით, სირმა თეთრად გარდაიქმნებოდა ახტალაში მოპოვებული ვერცხლის პრაქტიკულად 100%.

ბუნებრივია, ვერცხლის ნაწილი შეიძლება სახელოსნო წარმოებასაც მოეხმარა (ოქრომჭედლებს), მაგრამ, ვერცხლის წყარო, ხელოსნებისთვის, ვფიქრობთ, მაინც ვერცხლის სირმა აბაზების გადადნობა იქნებოდა (იხ. ასევე თავი VIII) — ეს გარემოება ზარაფხანიდან ხელისუფლების დამატებით შემოსავალს უზრუნველყოფდა.

რასაკვირველია, ღია ჭედვის სისტემის არსებობის პირობებში (vide infra, თავი VIII) ზარაფხანაში შეიძლება ალტერნატიული წყაროდან მიღებული ვერცხლიც მიეტანათ. თუმცა, მეტი წილი, მაინც, ალბათ, ახტალის (ასევე, დამბლულის?) ნაწარმზე მოდიოდა.

---

356 აშკარა შეცდომაა. 1802 წლის ბორზუნოვის პატაკში 1 ლიტრა გატოლებულია 8 რუსულ ფუნტთან (Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №45, 86), რაც რეალობასთან უფრო ახლო ჩანს.

357 *Акты собранные Кавказской археографической коммиссией. Том I*, Под редакцией Адольфа Берже, 516, №623, примечание.

358 სახელმწიფოს ფინანსური გართულებებიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ მადანჩებისთვის ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს ქვეშ მყოფი ზარაფხანიდან ვერცხლის მონეტების გადაცემა, ზოგჯერ მაინც, იგვიანებდა. თუმცა, ბორზუნოვის მიხედვით, მეფის თავლიდარი ადგილზევე რჩებოდა და მზად იყოს ბერძენი მადანჩებისთვის ვერცხლის ანგარიშში თეთრი წინსწრებით მიეცა: “при заводе всегда находился от царя казначей, который, по требованию греков, на счет серебра выдавал им вперед деньги”. Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №45, 85. თუმცა, მეორე მხრივ, სპირიდონ ესაძის მიხედვით, “…неверность и медленность в платежах со стороны царя за привозимые греками металы отохотила большую часть оных от продолжение промысла своего.” Эсадзе, *Очерк истории горного дела на Кавказе* (Тифлис, 1903), 16. სამწუხაროდ, ინფორმაციის წყარო მითითებული არ არის.

ეჭვს არ იწვევს, რომ ახტალის საბადოს ამუშავებამ ქართლ-კახეთის ეკონომიკა ვერცხლის (ადგილობრივი მასშტაბით) ძალიან დიდი რაოდენობით უზრუნველყო. ეს კი უბიძგებდა ხელისუფლებას, ეს დიდი რაოდენობით შემოსული ძვირფასი ლითონი რაც შეიძლება ეფექტურად გამოყენებინა — მათ შორის, საფასედ გადაქცევის, საზოგადოდ, რაც შეიძლება მეტი რაოდენობის საფასის გამოშვების გზითაც. მოპოვებული ვერცხლის მონეტიზაციის ყველაზე ადვილი გზა (მოქმედი ზარაფხანის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში) ხომ ამ ლითონისგან პირდაპირ მონეტის მოჭრა იქნებოდა. ასე, მაგალითად, 200 ლიტრა, ანუ, 663,552 გრამი ოქროიანი ვერცხლისგან მოხერხდებოდა 205,718 სირმა აბაზის მოჭრა (მათი სინჯის გათვალისწინებით, vide infra), წარმოებაში ვერცხლის დანაკარგებს თუ არ ჩავთვლით; იმ პირობით, რომ აბაზის მასა 4 დანგი იქნებოდა; იგივე სინჯის, დავუშვათ, 5 დანგის მასის აბაზი კი 165,574 მოვიდოდა; ექვსდანგიანი — 137,145. უეჭველია, რომ სწორედ ახტალიდან წამოსულმა ვერცხლის უწყვეტმა ნაკადმა განაპირობა თბილისის ზარაფხანის პრაქტიკულად უწყვეტი მუშაობა: წინა პერიოდის შედარებით სპორადული ემისიებისგან განსხვავებით, როდესაც ვერცხლის მონეტები (სხვათა შორის, განსხვავებით სეფიანური პერიოდიდან) წლიდან წლამდე საკმაო შუალედებით იჭრებოდა, ქარიმ-ხანის ინვოკაციის მატარებელი მონეტები ჰ. 1177-1213 წლების პერიოდში თითქმის ყოველწლიურად იჭრებოდა.

*ოქროს* რაც შეეხება, სოლომონ მელიქიშვილის მიხედვით, მოპოვებული ლითონის მთელი რაოდენობა მეფის საკუთრებას წარმოადგენდა.

როგორც დავინახეთ, დოკუმენტურად ფიქსირდება ყოველწლიურად დაახლოებით 4 კგ ოქროს მიღება. წინა წლებში, ომარ-ხანის ლაშქრობამდე, ეს რიცხვი კიდევ უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო (იხ. ცხრილი 2). როგორც წარსულში უკვე ვაჩვენეთ, ამ რაოდენობიდან შესაძლებელი იქნებოდა ყოველწლიურად საკმაოდ დიდი რაოდენობით (დაახლოებით, 5.2 ათასი) ოქროს შაურის მოჭრა; სინამდვილეში კი, (თუნდაც, ნაკლული) საბუთებით სულ, *წლების განმავლობაში* ფიქსირდება მხოლოდ 282-332 ოქროს შაურის გამოშვება.[359] როგორც ჩანს, ოქროს შაურის მოსაჭრელად წლიურად იხარჯებოდა მიღებული ოქროს მხოლოდ 0.12-10.53%; საშუალო მაჩვენებელი 1783-1785, და 1789 წლებისთვის შეადგენს 2.37%.[360] ოქროს უმეტესი ნაწილი სულ სხვა მიზნებს ხმარდებოდა,[361] ან, მეფე მას, სულაც, ჰყიდიდა (მისხალს 25 აბაზად?).[362]

მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ახტალაში მოპოვებული ოქრო რომ არა, ქართლ-კახეთის ოქროს შაური შეიძლება სულაც არ გაჩენილიყო.

მართალია, სირმა თეთრის ემისიასთან უშუალო კავშირი არ ჰქონდა, მა-

359 ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 229-231.

360 იქვე, 232.

361 იქვე, 233-234.

362 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №45, Приложение 2: Примерное исчисление расходов во время лучшего состояния выплавки серебра при Ахтальском заводе, 89.

გრამ, ვინაიდან ირაკლი II-ის ფულადი პოლიტიკის ნაწილი იყო, საჭიროდ მივიჩნევთ შევეხოთ მოპოვებული *სპილენძის* განაწილების საკითხსაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველწლიურად მოპოვებული სუფთა სპილენძის რაოდენობა შეადგენდა, რუსული მასის ერთეულები რომ ვიხმაროთ, 5-15 ათას ფუთს (გაურკვეველია, საუბარია სუფთა, თუ შავ სპილენძზე); ომარ-ხანის შემოსევის შემდეგ სპილენძის წარმოება არსებითად შემცირდა, საუკუნის დასასრულისკენ კი, მიუხედავად აღა მაჰმად-ხანის შემოსევისა, კვლავ გაიზარდა (როგორც ჩანს, ალავერდის მაღაროს უფრო ინტენსიურად დამუშავების წყალობით), სუფთა სპილენძის 12 ათას ფუთამდე, ანუ, წლიურად, თითქმის 200 ტონამდე.

ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ ამ რაოდენობიდან 12% (ანუ, 24 ტონამდე) უშუალოდ მეფის განკარგულებაში გადადიოდა;[363] თუმცა, ამ ციფრის სისწორე ეჭვს ბადებს. დერმიშა გოგოლაძე სპირიდონ ესაძეს ეყრდნობა, რომელსაც უწერია:

> "Все добываемое греками за свой счет количество меди на алвердском заводе оставалось в их пользу, за что греки должны были доставлять царю 10% добываемой ими меди и 2% за рабочих , коих царь им доставлял"[364]

პირველწყარო ესაძესთან მითითებული არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, მკვლევარი დაეყრდნო ანასტასი ხაჯიფოტოვის მოწმობას; მაგრამ, ხაჯიფოტოვის ცნობაში საუბარია სპილენძის განაწილებაზე უკვე 1801 წლის ანექსიის შემდგომ, უფრო მეტიც, 1816 წლის შემდგომ:

> "В 1816 году действия серебреных заводов прекратились. По обнародовании же в сем году Февраля 3-го дня правил и прав, накоих горное производство в грузии учреждено, Аллавердский завод снова поступил в разпоряжение Греков и им предоставлено право добывать и плавить руду медную и серебренную, с платежем в казну 1/10[365] части добытой меди и по два процента со всего количества выплавленной меди за рабочих, коих по положению следовало давать Грекам из Армян Борчалинской и Казахской дистанции по 155 человек, с получением установленного платежа."[366]

ასე თუ ისე, უეჭველია, რომ სპილენძის ის რაოდენობა, რომელიც ქართველი მონარქის ხელში გადადიოდა, სავსებით აკმაყოფილებდა და ბევრად აღემატებოდა კიდევაც მოთხოვნილებას შავი ფულის მოსაჭრელად აუცილებელ ლითონზე; თუ გავითვალისწინებთ სამეფოს მასშტაბსა და მოსახლეობას,

363 Эсадзе, *Очерк истории горного дела на Кавказе*, 15-16; გოგოლაძე, *სამთამადნო, სამთო - საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII - XIX სს)*, 11.

364 Эсадзе, *Очерк истории горного дела на Кавказе*, 15-16.

365 დედანში წილადი ძალიან გაურკვევლად არის დაბეჭდილი.

366 З-в. [Зубарев Дмитрий?], "Алвертский медный завод. Уста Баши Греческий. Его история (Отрывок из путешествия по за-Кавказск. провинц.)".

დიდი რაოდენობით სპილენძის, ანუ, საკრედიტო საფასის მოჭრა შეუძლებელიც იქნებოდა.[367]

***

ქართლ-კახეთის სამეფოში სამთამადნო ინდუსტრიის განვითარებამ ზეგავლენა იქონია ამ ქართული სახელმწიფოს სამონეტო ემისიებზედაც: აქტუალური გახდა ქართლ-კახეთის საფასის გადახალისების საკითხი.

367 Paghava, "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti", 248-249.

# თავი V. ერეკლე II-ის სამონეტო რეფორმა

სირმა თეთრი გაჩნდა ერეკლე II-ის მიერ, უკვე თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდგომ ჩატარებული სამონეტო რეფორმის ფარგლებში.[368]

ამასთანავე, აღნიშნული რეფორმა არ დაიყვანებოდა მხოლოდ ახალი ტიპის ვერცხლის საფასის გამოშვებამდე. გადახალისდა სპილენძის ფულის სისტემაც. შესაძლოა, იმავე დროს შემოღებულ იქნა ახალი ტიპის ოქროს საფასეც. წინამდებარე ნაშრომი ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ბოლო მესამედის დროინდელ *ვერცხლის* საფასეს ეძღვნება; მაგრამ, მაინც, უადგილო არ იქნება, და, რეფორმის მნიშვნელობისა და არსის სრულად აღსაქმელად აუცილებელიც კია, — განვიხილოთ რეფორმის ფარგლებში არა მარტო *ვერცხლის*, არამედ, ასევე, *სპილენძისა* და *ოქროს* საფასის განახლებაც.

ტერმინი *რეფორმა*, რომელიც მომდინარეობს ლათინური reformo-დან (*გარდავქმნი*), შესაძლებელია ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო ტიპის ნებისმიერ ტრანსფორმაციას მივუსადაგოთ.

სეფიანთა და პოსტსეფიანურ ირანსა და მეზობელ მხარეებში, შესაბამისი მონეტარული ტრადიციების მატარებელ სახელმწიფოებში, სპილენძის საფასის გამოშვება, ტრადიციულად, ადგილობრივი მმართველის პრეროგატივას წარმოადგენდა (შესაბამისად, თბილისის ზარაფხანას ქართლის, შემდგომში, ქართლ-კახეთის მეფე აკონტროლებდა[369]). ქართველი მონარქებიც სარგებლობდნენ ამ უფლებით და სპილენძის საფასის ტიპს პერიოდულად ცვლიდნენ. ვერცხლში მოსაჭრელი სამონეტო ტიპი, ასევე, პერიოდულად, იცვლებოდა ირანელი ნომინალური თუ რეალური სიუზერენის შეცვლისა ან, მის მიერ ჩატარებული სამონეტო რეფორმის შედეგად. თეორიულად, თბილისის ზარაფხანის პროდუქციის იერსახის ყოველ შეცვლას, შესაძლებელია რეფორმა ვუწოდოთ.

ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ისტორიითაც რომ შემოვიფარგლოთ, რეფორმა შეიძლება ვუწოდოთ, მაგალითად, ჰიჯრის 1162 წლის (1748/9) მოვლენებსაც, როდესაც თბილისის ზარაფხანამ სპილენძის მონეტების ახალი ტიპი გამოუშვა, — ლომის გამოსახულებითა და თეიმურაზის სახელით (ქართლის / ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის საფასეზე ისევ მოთავსდა ქართველი მონარქის სახელი) (სურ. V.1); იმავდროულად, ყოველ შემთხვევაში, ჰიჯრის იმავე წელს, თბილისის ზარაფხანამ, ასევე, დაიწყო იბრაჰიმ ავშარის სახელით ვერცხლის საფასის გამოშვებაც (vide supra) (სურ. II.1).[370] ორივე ტიპის საფასის ემისია შეიძლება ირანიდან თეიმურაზ II-ის დაბრუნებას უკავშირდებოდეს, სწორედ 1149 წლის მარტში;[371] ხოლო იმავე 1162

368 ფაღავა, „ერეკლე II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა", 343-370.

369 Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)*, 26-27, 29-32.

370 Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 213-214.

371 მამია დუმბაძე, „ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბატონობისა-

წლით დათიღებული და ნადერ-შაჰის სახელის მატარებელი, ანუ, სიკვდილშემდგომი რუფია / ნადერი კი თეიმურაზის ჩამოსვლამდე მოჭრილიყო, როგორც ერთგვარი დიპლომატიური სვლა (განჯის სახანოშიც კარგა ხანს უშვებდნენ ნადერ-შაჰის სიკვდილშემდგომ მონეტებს).[372]



სურ. V.1. ქართლ-კახეთის სამეფო, თეიმურაზ II, თბილისი, ნახევარი ბისტი, ჰ. 1162 წ.[373]

ჰიჯრის 1166 წელს (1752/3) ქართლ-კახეთის სპილენძის საფასე კიდევ ერთხელ ძირეულად იცვლება (სურ. V.2): ემიტენტად მითითებულია უკვე არა მარტო ქართლის მეფე — თეიმურაზ II, არამედ მისი ძეც და მემკვიდრეც, ჯერჯერობით, ნომინალურად, მხოლოდ კახეთის მეფე ირაკლი II-ც. მონეტის, როგორც ოფიციალური დოკუმენტის, სტატუსის გათვალისწინებით, de jure დეკლარირებულია სამეფოების de facto უკვე მომხდარი თუ მიმდინარე გაერთიანება და, ასევე, ირაკლი II-ის მემკვიდრეობითი უფლებები როგორც კახეთზე, ასევე ქართლზე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ასევე იკონოგრაფიაც[374] — ახალ სამონეტო ტიპზე გამოსახულია მტაცებელი ფრინველის მიერ მეორე ფრინველის კორტნის სცენა, რომელიც, საფიქრებელია, ქალაქ თბილისის დაარსების ცნობილი ლეგენდის ასახვის უძველესი (ცნობაში მოყვანილი)

---

გან", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე* (ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე) (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 612.

372 Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 215.

373 Zeno Oriental Coins Database <http://www.zeno.ru/>, №10321, accessed 30 April 2023.

374 რომელიც თავისი ჰერალდიკური მნიშვნელობითა და ღირებულებით სრულიად გამორჩეულია. წინარე დროისთვის მსგავსი სემანტიკური დატვირთულობის მქონე სამონეტო ტიპებიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ მხოლოდ ნოეს კიდობნის გამოსახვა ვახტანგ VI-ის ფულებზე. ფაღავა, "ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე", 91-92; Paghava, "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti", 252.

შემთხვევაა;[375] გრძელდება და უფრო ინტენსიურიც ხდება სამამულო სამონეტო ჰერალდიკური სისტემის შემუშავების პროცესი.[376]

ამრიგად, ამგვარი ინკლუზიური მიდგომის შემთხვევაში, აღმოჩნდება, რომ (თუნდაც, შედარებით ნაკლები მასშტაბის) სამონეტო „რეფორმა" ქართლ-კახეთში არაერთხელ განუხორციელებიათ.

მაგრამ, უფრო ისტორიულად მიგვაჩნია, ეს ტერმინი უფრო ვიწრო მნიშვ-



სურ. V.2. ქართლ-კახეთის სამეფო, თეიმურაზ II და ერეკლე II, თბილისი, ნახევარი ბისტი, ჰ. 1168 წ.

ნელობით ვიხმაროთ, და *რეფორმა* მხოლოდ შედარებით მასშტაბურ გარდაქმნას ვუწოდოთ. ასეთ, თავისი მასშტაბებით ძალიან ღრმა და მრავალმხრივ რეფორმად კი მივიჩნევთ ირაკლი II-ის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს ყველანაირი საფასის ძირეულ გადახალისებას, და რომელიც 1765/6-1768/9 წლების შუალედში განხორციელდა — ჰიჯრის 1179-1182 წლებით თარიღდება.

სამწუხაროდ, ამ რეფორმის ჩაფიქრება-დაგეგმვისა, ან, თუნდაც, განხორციელების ამსახველ რაიმე ოფიციალურ საბუთს ჩვენამდე არ მოუღწევია. იძულებულნი ვართ, ვისარგებლოთ და ვიმსჯელოთ ექსკლუზიურად სამონეტო მასალით.

საბედნიეროდ, ქრონოლოგიურ მინიშნებებს თავად საფასე იძლევა, რომელიც ჰიჯრის წლებით არის დათარიღებული; — ქართლ-კახეთის მონეტებზე თარიღი ამ დროს აღინიშნებოდა ჯერ კიდევ მხოლოდ ისლამური წელთაღრიცხვით, და არა ქრისტეშობიდან.

რატომ ვთვლით, რომ ჰიჯრის 1179-1182 წლებში განხორციელებულ ღო-

375 იდეის ავტორი გიორგი ლობჟანიძეა.

376 ირაკლი ფაღავა, „XVII-XIX სს. თბილისის სპილენძის მონეტების იკონოგრაფიის ჰერალდიკური ასპექტები", *თბილისი და თანამედროვე საქალაქო ჰერალდიკა. კონფერენციის თეზისები. წყალტუბო, 12-14 მაისი, 2017* (2017), 10-12; ფაღავა, "ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე", 93-94; Paghava, "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti", 252.

ნისძიებათა ერთობლიობა იმსახურებს *რეფორმის* სახელს? ჰიჯრის 1179 წელს კვლავ განხორციელდა, ერთსა და იმავე დროს, როგორც სპილენძის, ასევე ვერცხლის (შესაძლოა, ასევე, ოქროს) საფასის ტრანსფორმაცია; როგორც ჩანს, სახელმწიფოსა და მონარქისთვის მაქსიმალური სარგებლის მოტანის მიზნით. ამასთანავე, სარგებელი, აშკარად, არ ითვალისწინებდა მხოლოდ ფინანსურ მოგებას; ჩანაფიქრი უფრო ღრმა იყო, და ასახავდა ამ ქართული სახელმწიფოს მმართველი ელიტის მიზანსწრაფვას, შეემუშავებინა თუ დაეხვეწა ისეთი ეროვნული ინსტიტუტები, როგორიც ეროვნული საფასე და სახელმწიფო ჰერალდიკური სიმბოლიკაა. ამასთანავე, ჰ. 1179 წელს შემოღებული ცვლილებები მასშტაბური და მრავალგვარი იყო. სწორედ ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს, ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობას სამონეტო რეფორმა ვუწოდოთ. იმასაც კი არ გამოვრიცხავთ, რომ თავად ირაკლი II მათ *რეფორმად* არც კი განიხილავდა, არამედ, სავსებით შესაძლებელია, უბრალოდ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი დარგის ოპტიმიზაციისკენ მიმართულ მორიგ ღონისძიებად მიიჩნევდა; თუმცა, ჩვენი აზრით, თანამედროვე ისტორიოგრაფიული თვალთახედვით, განხორციელებული, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ნამდვილად იმსახურებს, *რეფორმა* ვუწოდოთ.

განვიხილოთ რეფორმის არსი, მისი ყველა კომპონენტის ჩათვლით.

რეფორმის ერთ-ერთი განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სპილენძის საფასის გადახალისება; სწორედ ჰ. 1179 წლით არის დათარიღებული, და ამ დროით (1765/6) უნდა დათარიღდეს ახალი, მეტად თავისებური სამონეტო ტიპის შემოღება (სურ. V.3):



სურ. V.3. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, ნახევარი ბისტი, ჰ. 1179 წ.[377]

**შუბლი**: სხვადასხვა (ორნაირი) ფორმის კარტუშში მოთავსებულია ირაკლის სახელი ასომთავრული ასოებით (ნაწილობრივ მონოგრამას ქმნიან):

ႨႰႠႩႪႨ

*ირაკლი*

ირგვლივ რკალია. სეგმენტებში კი ორნამენტებია და მოჭრის ადგილისა და დროის აღმნიშვნელი ფორმულა, არაბულად; ან, მოჭრის ადგილისა და

377 Zeno Oriental Coins Database <http://www.zeno.ru/>, №92847, accessed 30 April 2023.

დროის აღმნიშვნელი ფორმულა ჰორიზონტალურ ხაზს ქვემოთაა:

ضرب تفليس ١١٧٩

*მოჭრილია თბილისში 1179*

ირგვლივ კომპლექსური რკალია (ორი წრეხაზი, მათ შორის კი ორნამენტია).

**ზურგი**: ბაგრატიონთა გერბი (გვირგვინი, სასწორი, სფერო, სკიპტრა, მახვილი); ირგვლივ კომპლექსური რკალია (ორი წრეხაზი, მათ შორის კი ორნამენტია).

სპილენძში ამ ახალი სამონეტო ტიპის შემოღება ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი პოლიტიკის არსებითად შეცვლის მაუწყებელია:[378]

შეიცვალა სამონეტო **იკონოგრაფია**: პირველად ქართულ მონეტაზე გაჩნდა ბაგრატიონთა, ანუ, მმართველი დინასტიის გერბი. ქართლ-კახეთის სამეფო აბსოლუტურ მონარქიას წარმოადგენდა, მმართველი დინასტიის *საკუთრებას*. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ბაგრატიონთა გერბის გამოსახვა, ამ შემთხვევაში, სახელმწიფო გერბის გამოსახვის ტოლფას მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.[379] ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სამონეტო ტიპით ქართლ-კახეთის სამეფოსა და, საზოგადოდ, ისტორიულმა ქართულმა ნუმიზმატიკურმა ჰერალდიკამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია — არც იქამდე და, რამდენადაც არ უნდა იყოს საკვირველი, არც მას შემდეგ (თანამედროვე ქართულ მონეტებს თუ არ ჩავთვლით), გერბის გამოსახულება ქართულ მონეტებზე არ მოუთავსებიათ.

შეიცვალა ფულის **ეპიგრაფიკული გაფორმება**: მმართველი მონარქის სახელი გადმოცემულია სრულად, თუმცა, ნაწილობრივ, ზოგიერთი გრაფემის შეწიაღებით; და არა დაქარაგმებით,[380] როგორც წინამორბედების მონეტებზე (ვახტანგ VI-დან მოყოლებული); უფრო მეტიც, ირაკლი II-ის (შემდგომში, იგივენაირად იწერებოდა გიორგი XII-ც) სახელი გადმოცემულია არა მხედრული, როგორც წინამორბედების მონეტებზე (ვახტანგ VI-დან მოყოლებული), არამედ, მთავრული ასოებით (ႨႰႠႩႪႨ). ჩვენი აზრით, ეს გარემოება მიუთითებს ხელისუფლების სურვილზე, ემიტენტი მონარქი რაც შეიძლება უფრო მაღალფარდოვნად და პომპეზურად წარმოეჩინათ.[381]

შეიცვალა **მონეტის დიზაინი**: გამყოფი ჰორიზონტალური ხაზის გავლებითა და ქართველი მონარქის სახელის საკმაოდ რთულ კარტუშში მოთავსებით

378 ფაღავა, "ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე", 94-95.

379 Пахомов, *Монеты Грузии*, 262; ფაღავა, "ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე", 94-95; Paghava, "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti", 252.

380 Gabashvili, "Rendering the Name of Heraclius II (Numismatic Evidence)", 18-20.

381 ფაღავა, "ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე", 94-95; Paghava, "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti", 252.

ამ ემისიის ქართლ-კახეთის სპილენძის მონეტებმა კიდევ უფრო მეტად დაკარგეს ვიზუალურ-ტიპოლოგიური მსგავსება ირანულ ქალაქურ შავ ფულთან.

შემოღებულ იქნა ახალი ნომინალები: თუ აქამდე ქართლის სამეფოში სპილენძში ტრადიციულად ძირითადად მხოლოდ ორი ნომინალი იჭრებოდა - ½ ბისტი (2 ფული) და ¼ ბისტი (ფული) (ბისტისა და ბისტის მერვედის მოჭრის ფაქტები უკიდურეს გამონაკლისს წარმოადგენდა, და საგანგებო კვლევასა და განხილვას საჭიროებს), ახლა ირაკლი II-ის ადმინისტრაციამ ახალი სამონეტო ტიპი ხუთ ნომინალად გამოუშვა: ნახევარი ფული, ფული, ორი ფული, (სპილენძის) ბისტი, (სპილენძის) შაური.[382] ამ ღონისძიების მიზანი სამგვარი უნდა ყოფილიყო (თუმცა, რთული სათქმელია, იმდროინდელ ქართულ ადმინისტრაციას ყველა ასპექტი თუ რამდენად ჰქონდა გააზრებული):

1) შედარებით წვრილი აღებ-მიცემობისთვის განკუთვნილი სპილენძის ხურდა ფულით, პირველ რიგში, სამეფოს უმსხვილესი ურბანული ცენტრის, თბილისის მოსახლეობის უზრუნველყოფა;

2) არაძვირფასი ლითონის (სპილენძის) შედარებით მსხვილი ნომინალების - ბისტისა, და, განსაკუთრებით, შაურის (რომელიც, რეგიონში, ტრადიციულად, ყოველთვის ვერცხლში იჭრებოდა) გამოშვებით მიმოქცევაში მყოფი ფულადი მასის გაზრდა;

3) სპილენძის საფასის დიდი რაოდენობით გამოშვების გზით ხაზინის შემოსავლის შეძლებისდაგვარად გაზრდა — დადგენილი გვაქვს, რომ ქართლ-კახეთის სპილენძის ფულში შემავალი სპილენძის ღირებულება შეადგენდა მონეტის ნომინალური ღირებულების 35-50%-ს; გამოვთქვით მოსაზრება, რომ დანარჩენი (ზარაფხანის საქმიანობასთან დაკავშირებული) ხარჯები მინიმალური იყო, და სპილენძის ფულის თვითღირებულება ძირითადად სწორედ სამონეტო ლითონის - სპილენძის ღირებულებით განისაზღვრებოდა; აქედან გამომდინარე კი სპილენძის საფასის გამოშვება გულისხმობდა წარმოებაში (ძირითადად, სამონეტო ლითონში) ინვესტირებულ თანხაზე — 100%, ეგება, 150%-იანი მოგების ნახვას.[383] სხვათა შორის, რაც უფრო დიდი (დიდი მასის) იყო ნომინალი, მით მეტი მოგების მომტანი უნდა ყოფილიყო. სწორედ ეს იქნებოდა დიდწონიანი სპილენძის მონეტების გამოშვების ერთ-ერთი ძირითადი მოტივი.

ახალგამოშვებული სამონეტო ტიპი, უპირველეს ყოვლისა, ახლებური დიზაინის, იკონოგრაფიისა და ზედწერილების დამწერლობისა და შინაარსის ძალით, ასევე, ახალი ემისიის ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით, უკვე ცალსახად აღარ წარმოადგენდა (ირანულ, თუ ირანული ყაიდის) ქალაქურ შავ ფულს; ის ეროვნული ქართული სახელმწიფოს, სუვერენული თუ სუვერენიტეტისკენ მიმართული ქართლ-კახეთის სამეფოს ვალუტად გარდაიქცა. თუ ადრინდელი ქალაქური ფულუსები შედარებით წვრილი აღებ-მიცემობის სფეროს ემსახურებოდა და სეფიანური ან პოსტსეფიანური ირანის პროვინციისა თუ მსხვილი პროვინციული ურბანული ცენტრის ადგილობრივი

382 Пахомов, *Монеты Грузии*, 261-262; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 151-152.

383 Paghava, "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti", 248-249.

მმართველისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა,[384] ეს ახალი სპილენძის მონეტები სუვერენული ქართული სახელმწიფოს მონარქისთვის უფრო ფართო სპექტრის მიზნების მისაღწევად განკუთვნილ ინსტრუმენტად იქცა. სხვათა შორის, მსგავსი ტენდენცია მეზობელ სახელმწიფოებშიც, მაგალითად, განჯის, ყარაბაღისა და ნუხის სახანოებშიც აღინიშნებოდა.[385]

ამასთანავე, სპილენძის ახალი სამონეტო ტიპის შემოღება ასევე შეესაბამებოდა ქართლის მეფეების ტრადიციულ ფულად პოლიტიკას, და მის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ახალი სამონეტო ტიპის შემოღება, ფაქტობრივად, წარმოადგენდა კლასიკურ renovatio monetae-ს; კარგად არის ცნობილი, რომ ქალაქური შავის ფულის სამონეტო ტიპი სეფიანთა ირანში (ავშარიანთა და ზენდების მმართველობის პერიოდშიც?) პერიოდულად იცვლებოდა; ამასთანავე, ძველი ტიპის მონეტები უფასურდებოდა თუ უქმდებოდა; ეს ყოველივე ადგილობრივი ადმინისტრაციისთვის არსებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა;[386] თინათინ ქუთელიას დაკვირვებით, ქართლელ ბაგრატიონთა თბილისური სპილენძის ფული ვალიდურობას მომდევნო ზეობებშიც ინარჩუნებდა; ამ ფაქტს ავტორი სხვადასხვა სამონეტო ტიპის მონეტების ერთსა და იმავე განძებში კომბინირებით ადასტურებს, და ხსნის ქართული ადმინისტრაციის სურვილით — ქართულწარწერიანი ფულის ავტორიტეტისთვის მყარი საფუძველი მიეცა.[387] თუმცა, ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა კახური შტოს მიერ გაერთიანების შემდეგ, ეს წესი, ჩვენი აზრით, დავიწყებას მიეცა — ყოველ შემთხვევაში, არ ვიცნობთ თეიმურაზ II-ის, ირაკლი II-ისა თუ გიორგი XII-ის დროინდელ განძებს, რომელშიც მათივე, მაგრამ სხვადასხვა ტიპის სპილენძის მონეტა იქნებოდა გაერთიანებული.[388] ვვარაუდობთ, რომ სპილენძის მონეტის renovatio ირაკლი II-სთვის კვლავ შემოსავლის არსებით წყაროდ იქცა. ასე რომ, ჰიჯრის 1179 წლის რეფორმას ეს მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა. რასაკვირველია, ამ პარამეტრით, ჰიჯრის 1179 წლის გარდაქმნა არ განსხვავდებოდა წინარე თუ გვიანდელი გარდაქმნებისგან, თუმცა კი, ცხადია, უფრო მრავალმხრივი იყო — ზემოთ განხილული **სპილენძის საფასის** ემისია ირაკლი II-ის მიერ განხორციელებული სამონეტო რეფორმის მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტი იყო.

---

384 ქუთელია, *ირანული სპილენძის ფულის კატალოგი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მიხედვით)*, 6-7; Matthee, Floor, Clawson, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars*, 27-30.

385 Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 208-211.

386 ქუთელია, *ირანული სპილენძის ფულის კატალოგი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მიხედვით)*, 6-7; Matthee, Floor, Clawson, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars*, 27-30.

387 Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)*, 101-106.

პირადად ჩვენ, რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება გვაქვს, რომლის გამოქვეყნებასაც ცალკე ნაშრომის სახით ვაპირებთ.

388 ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ე.წ. გორის უეზდის განძი. Кебуладзе, "Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным", 96-97, #2. თუმცა, განძი დიდი რაოდენობით რუსულ მონეტებს შეიცავს, და ატიპურია; ის უფრო გამონაკლისს წარმოადგენს და საგანგებო განხილვა ესაჭიროება.

რეფორმირება განიცადა **ვერცხლის საფასემაც**. გარდაქმნა ამ შემთხვევაშიც საკმაოდ მასშტაბური და მრავალგვარი აღმოჩნდა. ვგულისხმობთ კარგად ცნობილ *სირმა თეთრს*, ე.წ. (დავით კაპანაძის ტერმინოლოგიით) „ბაგრატიონთა ვერცხლს"; კერძოდ, ამ ახლებური ვერცხლის საფასის შემოღებას.

უპრიანი იქნება აღვნიშნოთ, რომ დღეისთვის უკვე დადგენილად უნდა ჩაითვალოს — პირველი სირმა ვერცხლი (სირმა აბაზები) მოიჭრა არა ჰიჯრის 1166 წელს (1752/3), არამედ სწორედ 1179 წელს (1765/6);[389] იხ. ჩვენი ნაშრომის თავი VII.

პირველ რიგში განვიხილოთ ტერმინოლოგია. როგორ უნდა აღინიშნოს ქართული მონეტების ეს მნიშვნელოვანი ჯგუფი?

დავით კაპანაძე ცდილობდა დაენერგა ტერმინი „ბაგრატიონთა ვერცხლი"; პატივცემული მკვლევარი ამ ტერმინს „ლიტერატურაში მიღებულ დასახელებად" მოიხსენიებს (რუსულ გამოცემაში: 'новый монетный тип настолько оригинален, что за ним установился в специальной литературе термин "багратидское серебро"'), თუმცა, ამ ლიტერატურას არსად უთითებს.[390] ამგვარი ტერმინი ჩვენთვის ცნობილ პირველწყაროებში თუ სამეცნიერო ლიტერატურაში, ჯერჯერობით მაინც, არ შეგვხვედრია. აქედან გამომდინარე, მისი ისტორიულობა სათუოა და მას შეგნებულად არ ვიყენებთ.

უფრო მართებულად მიგვაჩნია ვისარგებლოთ ხალხის მიერ (?) ამ ქართული საფასისთვის შერქმეული მეტსახელით — *სირმა (ზირმა)*; შემორჩენილი კერძო საბუთებით, ამ განსაზღვრებას აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ძალიან აქტიურად იყენებდა, თუმცა, არა ექსკლუზიურად — ეს, მაინც, როგორც ჩანს, არ იყო ოფიციალური ტერმინი;[391] მოვიყვანთ იმ აღნიშვნების ჩამონათვალს (ანბანური რიგით), რომელიც თანადროულ საბუთებში შეგვხვედრია:[392]

*აბაზის თეთრი*
*ახალი აბაზი*
*ახალი*[393] *ზარაფხანის თეთრი*

---

389 Turkia, Paghava, "The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH "1166" and Its Dating", 28-32.

390 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 100-101; Капанадзе, Грузинская нумизматика, 130-131; კაპანაძე, *წარსულის მაცნეები*, 131-133; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 158-160.

391 საპირისპიროდ ჩვენი ადრინდელი მოსაზრებისა. Paghava, Bebia, "A Group of Unusual Sirma Abazis: Die Analysis", 6, footnote 9.

392 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 57-59, 66-67, 70, 72, 79-80, 84-85, 87-88, 92, 97-98, 104-107, 109-116, 119, 141; საბუთები №89,91, 92. 102-103, 109, 111, 119, 122-123, 129-130, 137, 145-147, 157-158, 160-161, 165, 167, 170, 173-177, 180-181. 194-195.

393 ეპითეტი „ახალი" ამ და მსგავს შემთხვევებში უდგება არა *ქალაქს* (vide infra) და არა *ზარაფხანას*, არამედ რეფორმის შედეგად პირველად გამოშვებული, ახლებური ტიპისა და განსხვავებული (!), შემცირებული წონის მონეტებს.

საპირისპიროდ ამისა, მაგალითად, ერთ-ერთ, 1790 წლით დათარიღებულ

*ახალი ზარაფხანის თეთრი ოთხი დანგიანი*
*ახალი ზარაფხანის ოთხ-დანგიანი თეთრი*
*ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი სირმა აბაზი*
*ახალი ზარაფხანის ოთხ/ი დანგიანი სირმა თეთრი*
*ახალი ზარაფხანის სირმა აბაზი*
*ახალი ქალაქის ზარაფხანის ოთხი-დანგიანი თეთრი*
*ახალი ქალაქის ზარაფხანის სირმა თეთრი*
*ახალი ქალაქის თეთრი*
*ახალი ქალაქის ოთხ დანგიანი სირმა აბაზის თეთრი*
*ზარაფხანის აბაზი*
*ოთხ დანგიანი სირმა ზარაფხანის თეთრი*
*სირმა ქალაქის ზარაფხანის ოთხი-დანგიანი აბაზი*
*ტფილისის სირმა*[394] *ვერცხლის თეთრი*
*ქალაქის ახალი ოთხი დანგიანი სირმა აბაზი*
*ქალაქის ზარაფხანის აბაზი*
*ქალაქის ზარაფხანის ახალი თეთრი*
*ქალაქის ზარაფხანის ოთხი დანგიანი თეთრი*
*ქალაქის ზარაფხანის ოთხ/ი დანგიანი სირმა აბაზი*
*ქალაქის ზარაფხანის რაიჭი*[395] *თეთრი*
*ქალაქის ზარაფხანის რაიჯი*[396] *თეთრი*
*ქალაქის ზარაფხანის რიჯი*[397] *თეთრი*
*ქალაქის ზარაფხანის სირმა აბაზი ოთხ დანგიანი*
*ქალაქის ზარაფხანის სირმა ოთხ დანგიანი აბაზი*
*ქალაქის თეთრი*
*ქალაქის თეთრი ოთხი დანგიანი სირმა აბაზი*
*ქალაქის ოთხი დანგიანი ზირმა*[398] *აბაზი ზარაფხანისა*
*ქალაქის ოთხ/ი დანგიანი სირმა აბაზი*
*ქალაქის რიჯი სირმა ოთხი-დანგიანი აბაზი*
*ქალაქის სირმა აბაზი*
*ქალაქის სირმა აბაზი ოთხ/ი დანგიანი*

როგორც ვხედავთ, საკმაოდ ხშირად ამ ახლებური საფასის ასაღნიშნად

საბუთში მოიხსენიება „თექვსმეტი მარჩილი ძველი თეთრი". იქვე, 85, №125.

394 ეპითეტი *ტფილისის* გვაფიქრებს, ხომ არ არის საუბარი 1804-1834 წლებში რუსული ადმინისტრაციის მიერ თბილისის განახლებულ ზარაფხანაში გამოშვებულ ვერცხლის მონეტებზე, ზედწერილით „ტფილისი" (თავად საბუთიც 1808 წლით თარიღდება); თუმცა, იქვე *სირმა* არის მოხსენიებული, ასე რომ, საუბარი მაინც ქართლ-კახეთის მონეტებზე უნდა იყოს: 1804-1834 წლების მონეტებს შედარებით დაბალი სინჯი ჰქონდათ, და *სირმად* არ მოიხსენებდნენ.

395 vide infra *რიჯი*.

396 vide infra *რიჯი*.

397 *რაიჭი, რაიჯი* და *რიჯი* ჩვენი აზრით, ერთი და იგივეა. სამივე ტერმინის მნიშვნელობას ქვემოთ განვიხილავთ; იხ. თავი IX.

398 იქვე, 105, №158. ამ შემთხვევაში ორთოგრაფიული შეცდომაა, ან, უფრო ტერმინის ფონეტიკურ სახესხვაობა.

გამოიყენებოდა ტერმინი *სირმა*. მისი გამოყენება, სავარაუდოდ, მონეტების ნამდვილად მაღალი სინჯის (იხ. ასევე ქვემოთ, თავი VIII) ანარეკლია; თუმცა, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ თბილისის ზარაფხანის სამონეტო ნაწარმი წინარე პერიოდშიც მაღალი სინჯით გამოირჩეოდა;[399] არადა, წინარე მონეტებს ამ ეპითეტით, რამდენადაც ვიცით, არასდროს მოიხსენიებდნენ. განსხვავება, იქნებ, იმაშია, რომ, სირმა თეთრის სახით, მოსახლეობამ საზოგადოებაში მაღალი სინჯის ვერცხლის საკმაოდ სტაბილური და მასიური შემოდინება იხილა. ისიც არ არის გამორიცხული, რომ ტერმინი, როგორც ამას ქვემოთ განვმარტავთ, ქართლ-კახეთში ოსმალობის შემდეგ შემოვიდა.

რას ნიშნავდა სიტყვა სირმა, რომელიც თანამედროვე ქართულ ენაში, ყოველ შემთხვევაში, ზეპირსიტყვიერებაში, ჩანს, მეტწილად მაინც, მივიწყებულია, და, დღეისთვის, უფრო ნუმიზმატებმა თუ იციან?

სულხან-საბა ორბელიანის *ლექსიკონი ქართულის* 1993 წლის გამოცემის მიხედვით, „სირმა სხვათა ენაა, ქართულად ოქროს-თმა ჰქვიან".[400] C რედაქციაში აღნიშნულია, რომ ტერმინი როგორც ოქროს, ასევე ვერცხლის თმას ნიშნავს, და რომ ის სპარსული წარმოშობისაა:

> „ოქროს-თმა ეწოდების ოქრო გინა ვეცხლი გააწვლილონ, ვითარცა თმა, რომელსა სპარსნი *სირმას* უწოდებენ. ხოლო რა ოქროს-თმა განსტკიცოს და იქმნას ბრტყელ, რომელსა სპარსნი *მუყაიშს* უჴმობენ, ეწოდების *სხეპლა*; და *სხეპლა* რა ძაფთა შეასთო, ეწოდების *ოქრომკედი*, ხოლო უკეთუ ოქროს-თმა ძაფსა შეასთო ეწოდების *ზეზი*."[401]

იოსებ გრიშაშვილის *ქალაქური ლექსიკონის* მიხედვით, „სირმა — ხალასი ვერცხლიდან გაკეთებული ძაფი".[402]

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი* კი იმეორებს სულხან-საბას განმარტებას „ოქროს თმა", და აზუსტებს: „ოქროს ან ვერცხლის ძაფი — ოქრომკედი"; მოყვანილია მაგალითები ლიტერატურიდან.[403]

*სირმა* წარმოშობით[404] ბერძნული სიტყვაა (ბიზანტიის იმპერიის დროინდელი ბერძნული იგულისხმება). ქართულში ეს სიტყვა, სავარაუდოდ, აღმოსავლური ენების მეშვეობით არის შემოსული. ბიზანტიურ ბერძნულში σύρμα ნიშნავს *გაწელილს*, *გაჭიმულს* (*ოქროს ან ვერცხლის თმა*?) (σύρω — *წევა*, *გაჭიმვა*, *გაწელვა*, და სუფიქსი -μα). სიტყვა გადავიდა არაბულში (მნიშვნელო-

399 არეშიძე, *ქართული მონეტების ქიმიური შედგენილობა*, 119; კაპანაძე, „ქართული ფულის სინჯადობა", 574.

400 სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული. II* (თბილისი: მერანი, 1993), 94.

401 სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული. I* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1966), 605-606.

402 იოსებ გრიშაშვილი, *ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა)* (თბილისი: სამშობლო, 1997), 185.

403 *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. VI*, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960), 1062-1063.

404 მის გარკვევაში გაწეული დახმარებისთვის გულითად მადლობას მოვახსენებთ თამარ დემეტრაშვილსა და ზვიად ცხვედიანს.

ბით *ვერცხლის ნაჭერი, ძაფი, მავთული*), იქიდან კი, ოსმალურ თურქულში, ფორმით صرمه ან صيرمه; შემდეგ ეს ტერმინი, საფიქრებელია, თურქულის დახმარებით, გადავიდა ისეთ ენებშიც, როგორიცაა ალბანური, ბულგარულ-მაკედონური, რუმინული, სერბო-ხორვატიული, სომხური, და, ქართული.[405]

არ არის გამორიცხული, რომ ქართულ ენაში, ან, ყოველ შემთხვევაში თბილისის ზარაფხანაში მიღებულ ტერმინოლოგიაში ეს სიტყვა ოსმალობის (1723-1735 წწ) პერიოდში გადმოვიდა.

*ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში* კი შემდეგი, ვრცელი განმარტებაა (ავტორები: მარინა ბოკუჩავა, ელდარ ნადირაძე):[406]

> „96%[407] ვერცხლი რომელსაც ნივთების გრეხილი შემკულობისთვის ხმარობდნენ. იგი შემდეგნაირად მზადდებოდა: გამდნარ სირმა ვერცხლს რიჯაში ჩაასხამდნენ. მერე ზინდანზე ჩაქუჩით დანაყავდნენ, სიგრძეზე გაწევდნენ და ჰადიდში // ადიდში გაატარებდნენ. ადიდში გატარება იწყება დიდი ნახვრეტიდან და თანდათანობით გადადიან უფრო წვრილებში, რისი მეშვეობითაც საბოლოოდ მიიღებენ სასურველი სისქის მავთულს. სირმის გამოსაწევად ხმარობენ ქალიფთინს (იხ.).[408] მავთულებს წყვილად შეაერთებენ და დაგრეხენ. შემდეგ ცეცხლზე//გამოალბობენ და დაჭრიან სასურველი ზომების მიხედვით და მიადუღებენ ნამზადის სასურველ ადგილებში"[409]

მოხსენიებული *ადიდა* იმავე ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად:[410]

> „ადიდა/ჰადიდა — საოქრომჭედლო ხელსაწყო, მავთულის გასაწვრილებელი ბრტყელი ლითონის ნაჭერი, რომელიც დახვრეტილია სხვადასხვა ზომაზე. ნახვრეტები მიყოლებით თანდათან იზრდება. ყველაზე დიდი ზომის ნახვრეტში ატარებენ მსხვილ მავთულს. შემდეგ თანდათანობით უფრო მომცროებში „გაწურავენ" და იღებენ ნებისმიერი სისქის მავთულს.

405 Edward William Lane, An Arabic-English Lexicon: In Eight Parts, Part 4 (Beirut, 1968), 1684;
"σύρμα", *in: Wiktionary,* <https://en.wiktionary.org/wiki/σύρμα>, accessed 1 May, 2023;
"صرمه", *in: Wiktionary,* <https://en.wiktionary.org/wiki/صرمه>, accessed 1 May, 2023.

406 *ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი*, პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. ელდარ ნადირაძე (თბილისი: მერიდიანი, 2011), 392, 395.

407 სავარაუდოდ, უბრალოდ, მაღალი სინჯის, ელასტიკური ვერცხლი (ვერცხლის შენადნობი) იგულისხმება.

408 "ქალაფთონი // ყალიფთანი — ბრტყელპირა მარწუხი, რომლის მეშვეობით ადიდას (იხ.) ნახვრეტში შესულ მავთულს გამოსწევენ და „გაწურავენ". მისი ბრტყელი პირის მეშვეობით მავთულის გაუწყვეტლად გამოღება ნახვრეტიდან უფრო იოლია." იქვე, 442.

409 სიტყვის იქვე მოყვანილი მეორე მნიშვნელობა ქვითხუროობას ეხება, და ნუმიზმატიკასთან კავშირში არ უნდა იყოს.

410 ლიტერატურად მითითებულია „ლ. სოსელია, მესხეთის ოქრომჭედლობის შესწავლისათვის, კრებ. მესხეთ-ჯავახეთი, 1979." იქვე, 21.

მავთულის გამოზიდვა ნახვრეტებიდან ხდებოდა ბრტყელპირიანი გაზის მეშვეობით.”

ადიდა წარმოადგენდა ხელსაწყოს, რომელსაც ზარაფხანაშიც იყენებდნენ (მე-4 ამქარში);[411] ხოლო ადიდას დახმარებით მიღებული სირმისგან კი შემდეგ მონეტებს ჭრიდნენ.

*სირმა თეთრის* ასაღნიშნად გამოყენებული ტერმინი *სირმა*, ერთი მხრივ, ხაზს უსვამდა ვერცხლის (შენადნობის) მაღალ სინჯს; მეორე მხრივ კი, გამოვთქვამთ ვარაუდს, უშუალოდ სამონეტო წარმოებიდან ნასესხებ ტერმინს წარმოადგენდა.

*

რეფორმის ფარგლებში დაიწყო ოთხი სხვადასხვა ნომინალის მონეტების გამოშვება: *აბაზ-ნახევარი (ნახევარი მარჩილი), აბაზი, უზალთუნი (ორი შაური, მაჰმუდი), შაური* (წინა წლებში ქარიმ-ხანის ინვოკაციით თბილისში იჭრებოდა *აბაზი, უზალთუნი, შაური*). ამასთანავე, ახალი საფასის ეს ოთხი ნომინალი სამ სამონეტო ტიპად იჭრებოდა. უკნინესი ნომინალების, — უზალთუნისა და შაურის — სამონეტო ტიპი იდენტური იყო და, შესაბამისი წონის მონეტები, ჩანს, ერთი და იმავე სიქებითაც იჭრებოდა.[412]

მოვიყვანთ სამონეტო ტიპების აღწერილობას. დავიწყებთ აბაზის სამონეტო ტიპის აღწერით, ვინიდან, სულ პირველი, როგორც ჩანს, სწორედ ამ ნომინალის სირმა მონეტები მოიჭრა (იხ. ასევე თავი VII).

*აბაზის* სამონეტო ტიპი (სურ. V.4):[413]



სურ. V.4. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. 1179 წ.

**შუბლი**: ცენტრში, ფიგურულ კარტუშში, მონეტის მოჭრის ადგილისა და თარიღის მაუწყებელი არაბული ფორმულა:

411 ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)”, 523.

412 Пахомов, *Монеты Грузии*, 239.

413 იქვე, 238-239.

[თარიღი ჰიჯრით] ضرب تفليس
*მოჭრილია თბილისში [თარიღი ჰიჯრით]*

წერტილები ჯგუფებად და მცენარეული მოტივის ელემენტები.

გარედან კომპლექსური არშია, რომელშიც 12 საათზე ჩასმულია პატარა ფიგურული კარტუში ქარიმ-ხან ზენდის ინვოკაციით, მისი საფასისთვის დამახასიათებელი ორლესული არაბული ფორმულით

يا كريم
*ჰოი, ქარიმ / ჰოი, მოწყალეო*

თავად კომპლექსური არშია შედგება ორ ხაზოვან რკალს შორის მოქცეული ა) სამწერტილებისგან (ადრეულ აბაზიანებზე, ჰიჯრის 1193 წლის აბაზიანების ნაწილის ჩათვლით), ან, ბ) მრავალწერტილისგან (ჰიჯრის 1193 წლიდან, თუმცა, არა ექსკლუზიურად; ზოგჯერ გვხვდება სამწერტილისგან შემდგარი კომპლექსური რკალიც).

**ზურგი**: არაბული ფორმულა რამდენიმე სტრიქონად, ციტატა ყურანიდან (ყურანი, I, i) –

الحمد لله رب العالمين
*ქება ალლაჰს, უფალს სამყაროთა*

წერტილების გროვები და მცენარეული მოტივის ელემენტები.

ირგვლივ კომპლექსური არშია (ორ ხაზოვან რკალს შორის მოქცეული წერტილები).

*1½ აბაზის* სამონეტო ტიპი (სურ. V.5):[414]



სურ. V.5. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, სირმა აბაზ-ნახევარი, ჰ. 1182 წ.

**შუბლი**: ცენტრში, მონეტის მოჭრის ადგილისა და თარიღის მაუწყებელი არაბული ფორმულა:

[თარიღი ჰიჯრით] ضرب تفليس
*მოჭრილია თბილისში [თარიღი ჰიჯრით]*

414 იქვე, 238.

წერტილები ჯგუფებად და მცენარეული მოტივის ელემენტები.

ჩასმულია წრიულ რკალში.

ირგვლივ კომპლექსური არშია, რომელიც ამ ნომინალის მონეტებზე შედგება ორ ხაზოვან რკალს შორის მოთავსებული ჯვრების ჯაჭვისგან; 12 საათზე აქაც ჩასმულია პატარა ფიგურულ კარტუშში მოთავსებული ქარიმ-ხან ზენდის ინვოკაცია არაბულად

يا كريم

*ჰოი, ქარიმ / ჰოი, მოწყალეო*

**ზურგი**: არაბული ფორმულა რამდენიმე სტრიქონად, ციტატა ყურანიდან (ყურანი, I, i) –

الحمد لله رب العالمين

*ქება ალლაჰს, უფალს სამყაროთა*

წერტილების გროვები და მცენარეული მოტივის ელემენტები.

ირგვლივ კომპლექსური არშია (ორ ხაზოვან რკალს შორის მოქცეული წერტილები).

*½ და ¼ აბაზის, ანუ, შესაბამისად, უზალთუნისა (მუჰამმადის / მაჰმუდის), და შაურის* სამონეტო ტიპი[415] (სურ. V.6):



სურ. V.6. ქართლ-კახეთის სამეფო, ირეკლი II, თბილისი, სირმა შაური, ჰ. 1182 წ.

**შუბლი**: ცენტრში, ფიგურულ კარტუშში ქარიმ-ხანის ინვოკაცია

يا كريم

*ჰოი, ქარიმ / ჰოი, მოწყალეო*

წერტილები ჯგუფებად და მცენარეული მოტივის ელემენტები.

ირგვლივ ხაზოვანი (?) რკალი.

**ზურგი**: მონეტის მოჭრის ადგილისა და თარიღის მაუწყებელი არაბული ფორმულა:

ضرب تفليس [თარიღი ჰიჯრით]

*მოჭრილია თბილისში [თარიღი ჰიჯრით]*

415 იქვე, 239.

წერტილები ჯგუფებად და მცენარეული მოტივის ელემენტები.

ირგვლივ კომპლექსური არშია (ორ ხაზოვან რკალს შორის მოქცეული წერტილები).

აღსანიშნავია, რომ ერთნახევარი და ერთი აბაზის ნომინალის მონეტებზე შუბლის ზედწერილები ნასხის კალიგრაფიული სტილითაა შესრულებული, ხოლო უზალთუნისა და შაურის ზურგზე კი — ნასთალიქით. მეორე მხარეს ლეგენდები ნასთალიქით არის შესრულებული.

ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ როგორც უზალთუნის, ასევე შაურის დიამეტრი მეტწილად ერთნაირია.[416] სინამდვილეში, ჩვენი დაკვირვებით, შაურის მოსაჭრელი სამონეტო ნამზადები არა მარტო უფრო მსუბუქი, არამედ, რაც ლოგიკურია, საკმაოდ ხშირად, უფრო პატარაც იყო. აქედან გამომდინარე, გარკვეული სარწმუნოობით, უზალთუნისა და შაურის ერთმანეთისგან გარჩევა, ზოგჯერ მაინც, მონეტის ზომითაც შეიძლება, და არა მარტო მასით. ამ გარემოებაზე იმიტომ გავჩერდით, რომ მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმის გასააზრებლად, XVIII საუკუნის უკანასკნელი მესამედის ქართლ-კახეთის სამეფოში ანგარიშსწორება თუ როგორ წარმოებდა.

საზოგადოდ კი, როგორც უკვე აღინიშნა, ძალიან დიდია ალბათობა, რომ როგორც უზალთუნების, ასევე შაურების მოსაჭრელად ერთი და იგივე სიქები გამოეყენებინათ.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სპილენძის საფასისგან განსხვავებით, ვერცხლის საფასის რეფორმირება ორ ეტაპად ჩატარდა; დღეისთვის ცნობილი ფაქტებით, ანუ, ხელმისაწვდომი სამონეტო მასალით თუ ვიმსჯელებთ, რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტი — ნომინალთა სისტემის გაფართოება, და ახალი ნომინალის — აბაზნახევრიანის (ექვსშაურიანის) შემოღება, ასევე, ამ ახალი სამონეტო ტიპის მცირე ნომინალების (უზალთუნისა და შაურის) გამოშვება, განხორციელდა არა მაშინვე, ჰიჯრის 1179 წელს (1765/6), არამედ სამი წლის შემდგომ, ჰიჯრის 1182 წელს (1768/9) (იხ. ასევე ქვემოთ, თავი VII). ფსიქოლოგიურად, ეს თანმიმდევრობა გასაგებია — შაჰ ʻაბბას I-იდან მოყოლებული, ʻაბბასი / აბაზი ვერცხლის საფასის სტანდარტულ ნომინალს წარმოადგენდა; არ არის გასაკვირი, რომ ვერცხლის საფასის რეფორმირება პირველ რიგში სწორედ ამ ნომინალით დაიწყო, უკვე ჰიჯრის 1179 წელს.

ვერცხლის საფასის ამ ახალი სამონეტო ტიპის (ეტაპობრივად) შემოღებით ქართლ-კახეთის სამონეტო დარგში რამდენიმე სიახლე დაინერგა.

სპილენძის ფულის მსგავსად, შემოღებულ იქნა ახალი, უნიკალური სამონეტო ტიპი. ამ ტიპის უნიკალურობა გამოიხატება მონეტების ერთ-ერთი მხარის, კერძოდ, ზურგის, გაფორმებაში: ქართლ-კახეთის სამეფოს, წინარე პერიოდის, შაჰროხის, თუ, თუნდაც, ქარიმ-ხან ზენდის სახელის მატარებელი მონეტებისგან განსხვავებით, სტანდარტული შიიტური რელიგიური ფორმულა მსხვილ ნომინალებზე (აბაზსა და აბაზ-ნახევარზე) შეცვალა ციტატამ ყურანიდან (ყურანი, I, i) — *ქება ალლაჰს / ღმერთს, უფალს სამყაროთა*; ანუ, ციტატამ, რომელშიც არ არის მოციქულ მუჰამმადის სახელი, და, აქედან გა-

416 Капанадзе, Грузинская нумизматика, 130.

ცხრილი 3. თბილური ვერცხლის მონეტები XVIII საუკუნეში:
წონითი სტანდარტი და ნომინალთა სისტემა

| ტიპი: | წონითი სტანდარტი: | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თუმანი = 1925 მუხუდოს (აბაზი = 9.625 დანგს / 7.39 გ) | თუმანი = 1800 მუხუდ. (აბაზი = 9 დანგს / 6.91 გ) | თუმანი = 1400 მუხუდ. (აბაზი = 7 დანგს / 5.37 გ) | თუმანი = 1200 მუხუდ. (აბაზი = 6 დანგს / 4.61 გ) | თუმანი = 1000 მუხუდ. (აბაზი = 5 დანგს / 3.84 გ) | თუმანი = 800 მუხუდ. (აბაზი = 4 დანგს / 3.07 გ) |
| **სულთან ჰუსეინ I სეფიანი** | | | | | | |
| A | Φ Ꝅ ሕ Ꮜ | | | | | |
| B | | Φ Ꝅ ሕ Ꮜ Ч | | | | |
| C | | | Ꝅ ሕ Ꮜ | | | |
| **ოსმალობა (1723-1735)** | | | | | | |
| **აჰმედ III** | | | Ꝅ ሕ Ꮜ | | | |
| **მაჰმუდ I** | | | Ꝅ ሕ Ꮜ | | | |
| **'აბბას III სეფიანი (ნადერ-შაჰის ტიკინა)** | | | | | | |
| | | | Ꝅ Ꮜ | | | |
| **ნადერ-შაჰ ავშარიანი** | | | | | | |
| A | | | Ꝅ | | | |
| B | | | Ꝅ ሕ Ꮜ | Ꝅ ሕ Ꮜ | | |
| C | | | | 6Ꮜ Ꝅ ሕ Ꮜ | | |
| D | | | | Ћ | | |
| **შაჰროხი, I ზეობა** | | | | | | |
| | | | | | | |
| **იბრაჰიმი, ჰ. 1162 წ.** | | | | | | |
| A | | | | 3Ꝅ Ꝅ | | |
| B | | | | Ꝅ | | |
| D | | | | Ꮜ | | |
| **შაჰროხი, II ზეობა** | | | | | | |
| B1 | | | | Ꝅ ሕ Ꮜ | | |
| **შაჰროხი, III ზეობა** | | | | | | |
| B1 | | | | Ꝅ | | |
| **ქარიმ-ხან ზენდი** | | | | | | |
| | | | | | Ꝅ ሕ Ꮜ | |
| **სირმა თეთრი (ქარიმ-ხან ზენდის ინვოკაციით)** | | | | | | |
| **ა** | | | | | | 6Ꮜ |
| **ბ** | | | | | | Ꝅ |
| **გ** | | | | | | ሕ Ꮜ |

ნომინალები პირობითად აღნიშნულია როგორც 3Ꝅ = სამაბაზიანი; Ћ = ნადერი (რუფია, 10 შაჰი); 6Ꮜ = ექვსშაჰიანი / აბაზნახევრიანი; Φ — ფანჯშაჰი (5 შაჰი); Ꝅ = 'აბბასი / აბაზი (ონლუქი); ሕ = მაჰმუდი / უზალთუნი (ბეშლიქი); Ꮜ = შაჰი / შაური (იარიმ ბეშლიქი); Ч = ბისტი.

სირმა თეთრის გარდა, სამონეტო ტიპები მითითებულია სტივენ ალბუმის მიხედვით.

მომდინარე, ასე თუ ისე, მისაღები უნდა ყოფილიყო არა მარტო მაჰმადიანებ-ისთვის, არამედ ქრისტიანებისთვისაც;[417] წვრილ ნომინალებს კი (ისლამური) რელიგიური ფორმულა საერთოდ მოაცილეს, — ქარიმ-ხანის ინვოკაციას თუ არ ჩავთვლით (ამ გადაწყვეტილებას უდავო პრაქტიკული სარგებელიც ჰქონდა — პატარა ნამზადზე რამდენიმე სტრიქონად რაიმე გრძელი ფორმულის ამოჭრა აქაქისთვის ძალიან შრომატევადი საქმე იქნებოდა). გარდა ამისა, უმსხვილესი ნომინალის მონეტებზე გაჩნდა ჯვრის მოტივიც, ან, ყოველ შემთხვევაში, ჯვრისმაგვარი ორნამენტი (თუმცა, ამ პარამეტრით ამ ნომინალის თბილური მონეტები არ იყო უნიკალური; დიზაინის ამ ელემენტს ქვემოთ კიდევ მივუბრუნდებით).

უცვლელი დარჩა ზედწერილების ენა და დამწერლობა — არაბული. ასევე, დათარიღებაც არაბული[418] ციფრებით — უკლებლივ ყველა მონეტა, უიშვიათესი გამონაკლისების გარდა,[419] დათარიღებულია. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ისლამური სამონეტო დარგისთვის დამახასიათებელი ეს ჯანსაღი ტრადიცია თბილისის ზარაფხანაშიც იყო დანერგილი და ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის პერიოდშიც არ განელებულა.[420]

შემცირდა წონითი სტანდარტი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ (თავი III), რომ უკვე ჰიჯრის 1177 წლისთვის (1763/4) გვიანავშარული ექვსდანგიანი ‘აბბასიდან / აბაზიდან თბილისის ზარაფხანა, როგორც ჩანს, გადავიდა ხუთდანგიანი ‘აბბასის / აბაზის გამოშვებაზე; რეფორმის ფარგლებში კი წონითი სტანდარტი კვლავ შემცირდა, 1 თუმანში = 800 მუხუდომდე და აბაზის მასა 4 დანგს გაუტოლდა (**ექვსდანგიანი 4.608-გრამიანი აბაზ-ნახევარი; ოთხდანგიანი 3.072-გრამიანი აბაზი; ორდანგიანი 1.536-გრამიანი უზალთუნი, ერთდანგიანი 0.768-გრამიანი შაური**). იხ. ცხრილი 3.

ძვირფასი ლითონისგან დამზადებული ახალი საფასის მასას რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გასაკვირი არ უნდა იყოს. მოსახლეობა რომ ამ გარემოებას ამჩნევდა და ითვალისწინებდა კიდევაც, დასტურდება თანადროული ქართული კერძო საბუთებით, რომელიც, შეიძლება ითქვას, აჭრელებულია *ახალი, ოთხდანგიანი აბაზის* ხსენებით[421] (იხ. ასევე ჩამონათვალი ზემოთ).

გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ სამონეტო ტიპის დიზაინის შეცვლის ერთ-ერთი მოტივი შეიძლება სწორედ ისიც ყოფილიყო, (არაბულის უმეტესწილად უცოდინარი) მოსახლეობისთვის ეუწყებინათ, რომ ახალი მონეტები *განსხვავებულია* (ნაკლები მასისაა).

დიზაინის შეცვლაში (ვგულისხმობთ ჰიჯრის 1177-1179 წლებით დათარიღებული მონეტების 1179-1213 წლებით დათარიღებული ვერცხლის მონეტებით ჩანაცვლებისას) ვგულისხმობთ რამდენიმე გარემოებას:

---

417 Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*, 108-109.

418 ასე ვთქვათ, არაბულ-არაბული, და არა ევროპულ-არაბული.

419 ევგენი პახომოვი უთითებს სხვადასხვა კოლექციაში შესულ ჩვეულებრივი ტიპის სირმა აბაზიანებს, ოღონდ, თარიღის გარეშე. Пахомов, *Монеты Грузии*, 249.

420 ეს გარემოება (მონეტების ზუსტად დათარიღება) ძალიან აადვილებს მკვლევრის მუშაობას.

421 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 44-160.

- ორიგინალური კარტუშის შემოღებას (მსგავსი რეგიონისა და ეპოქის სხვა მონეტებზე არ შეგხვედრია);
- ზედწერილების შინაარსის შეცვლას (შიიტური რელიგიური ფორმულის ამოღებას და უფრო ნეიტრალური ყურანული ფორმულით ჩანაცვლებას);
- შესაძლოა, ასევე, (ბუნებრივია, წონითი სტანდართის შემცირების პარალელურად და შედეგად) მონეტების *დაპატარავებას* (დიამეტრისა თუ სისქის შემცირებას).

XVIII საუკუნის თბილისის ზარაფხანის მიერ ზოგად-ირანული სამონეტო სისტემისა თუ ტრადიციის ფარგლებში გამოშვებული ვერცხლის საფასის შესახებ ცნობები შეჯამებული გვაქვს ცალკე ცხრილის სახით; ნაჩვენები გვაქვს წონითი სტანდარტის დაკნინების ეტაპები (ცხრილი 3).

აღსანიშნავია, ასევე, რომ სპილენძის საფასის მსგავსად, (ეტაპობრივად) გაფართოვდა ნომინალთა სისტემა: თუ აქამდე ძირითადად იჭრებოდა აბაზის, ½ და ¼ აბაზის ღირებულების მონეტები, ახლა ხელახლა შემოიღეს ისეთი შედარებით უჩვეულო ნომინალი, როგორიცაა - 1½ აბაზი. აქამდე ის იჭრებოდა ნადერ-შაჰის ზეობის დასაწყისში, ვგულისხმობთ ჰ. 1150-1152 წლებით (1737/8-1739/40) დათარიღებულ ექვსშაჰიანებს.[422] საყურადღებოა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში (იბრაჰიმ ავშარიანის სახელით) იჭრებოდა მსხვილი, სამაბაზიანი ნომინალიც (13.83 გ).[423] რეფორმის ფარგლებში კი ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოეჭრა განახევრებული ნომინალი, ოღონდ, შემცირებული ნორმატიული მასით. სამაბაზიანი ნომინალის გამოშვება კი, უცნობი მიზეზით, აღარ განუახლებიათ.

სამონეტო რეფორმა ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, თბილური ვერცხლის მონეტის წონითი სტანდარტის დაკნინებას, მეორე მხრივ კი, მეზობელ სამონეტო სისტემებთან კავშირის შენარჩუნებას. ჩვენი აზრით, სწორედ რეგიონის სხვადასხვა ემიტენტის მიერ სხვადასხვა წონითი სისტემის (წონითი სტანდარტის) მიხედვით გამოშვებული საფასის ურთიერთგადათვლის გასაადვილებლად, და, ამგვარად, ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობის მიზნით — ხელახლა შემოღებულ იქნა ისეთი არატრადიციული ნომინალი, როგორც აბაზნახევრიანი, მასით 6 დანგი (ოთხდანგიანი აბაზიანის მოჭრის გაგრძელების პარალელურად).

საზოგადოდ, ქარიმ-ხან ზენდისა და მისი (იმავე დინასტიის წარმომადგენელი) მემკვიდრეების საფასე დღემდე ვერ ჩაითვლება კომპლექსურად შესწავლილად; სხვათა შორის, არ არის ბოლომდე გააზრებული ზენდების სამონეტო სისტემაც (თუ სისტემები), დანერგილი წონითი სტანდარტების ჩათვლით. ფულად-სამონეტო სისტემის ფრაგმენტირებულობას, უდავოდ, ამ პერიოდში ირანის პოლიტიკური და თანმდევი ეკონომიკური დეზინტეგრაცია განაპირობებდა. სტივენ ალბუმს აღნიშნული აქვს, რომ C ტიპის მონეტები (მასით 4.61 გ, ანუ, 6 დანგი) იჭრებოდა ჰ. 1173-1193 წლების შუალედში; მაგრამ, მათი ღირებულება ჰიჯრის 1181 წლამდე შეადგენდა 4 შაჰის (= 1 'აბბასის), შემდეგ

---

422 ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 526.

423 იქვე, 527.



სურ. V.7. თაბრიზის სახანო, თაბრიზი, ‘აბბასი, ჰ. 1181 წ.



სურ. V.8. თაბრიზის სახანო, თაბრიზი, ‘აბბასი, ჰ. 1182 წ.

კი, ეტაპობრივად, განხორციელდა მათი გადაფასება, ჯერ 5 შაჰიდ (ჰიჯრის 1181-1190 წლებში), შემდეგ კი, 6 შაჰიდ (ჰიჯრის 1190-1193 წლებში).[424] ჩვენთვის ცნობილია ქარიმ-ხანის კუპლეტის მატარებელი C ტიპის მონეტები, მოჭრილი თაბრიზში (თაბრიზის სახანოში), ჰიჯრის 1181, 1182 და 1185 წლებში (სურ. V.7-8); მათი ნორმატიული მასა, როგორც ჩანს, 4.61 გრამს უტოლდებოდა (საშუალო მასა, გამოთვლილი რამდენიმე ეგზემპლარის მიხედვით, 4.52 გრამს შეესაბამება);[425]

ასევე, ვიცნობთ ნახჭევნის (ნახჭევნის სახანოს), როგორც ჩანს, საკმაოდ იშვიათ, ჰიჯრის 1181 წლით დათარიღებულ მონეტასაც (სურ. V.9), რომელიც, ეტყობა, უფრო დაბალი წონითი სტანდარტის მიხედვით მოიჭრა (?); ჩვენთვის ცნობილი, არცთუ დეფექტური და არც, მაინცდამაინც, ძალიან გაცვეთილი ეგზემპლარის მასა მხოლოდ 4.12 გრამია.[426]

ჩვენი აზრით, თაბრიზის, ნახჭევანისა და თბილისის მონეტებს შორის კავშირი სახეზეა, რაც, შესაბამისი ემისიების კოორდინირებულად განხორციელებაზე მეტყველებს (sic). ამ მოსაზრებას, ჩვენი აზრით, ადასტურებს (ნაწილობრივ) საზიარო დიზაინი, თაბრიზისა და თბილისის შემთხვევაში იდენტური წონითი სტანდარტის მიხედვით გამოშვება: სამივე ზარაფხანის ნაწარმზე იმ მხარეს, სადაც ქარიმ-ხანის კუპლეტი, მოჭრის ადგილი და თარიღია მითითებული, წრიული დეკორი უჩვეულოა და წარმოადგენს ჯვრის გამოსახულებებისგან შედგენილ ჯაჭვს;[427] თაბრიზისა და ნახჭევნის მონეტებზე მეორე მხარეს ქარიმ-ხან ზენდის სტანდარტული კუპლეტია;[428] თბილისური და, აშკარად, თაბრიზული მონეტებიც ექვსდანგიანია (ნორმატიული მასით 4.608 გ).



სურ. V.9. ნახჭევნის სახანო, ნახჭევანი, ‘აბბასი, ჰ. 1181 წ.

424 Album, *Checklist of Islamic Coins. Third Edition*, 289, #2800.

425 Paghava, Turkia, “The Cross Motive on Tiflis, Ganja, Nakhjawan and Tabriz Coins Minted in AH 1181-1190”, 18-19, Figs. 7-10.

426 იქვე, 18-19, Fig. 6.

427 იქვე, 17.

428 იქვე, 17.

ჩვენი აზრით, ექვსდანგიანი აბაზნახევრიანის გამოშვებით ირაკლი II-ის ადმინისტრაციამ შექმნა ნომინალი, რომლის მეშვეობითაც ადვილად შეიძლებოდა ძველი, ხუთდანგიანი აბაზის (ჰიჯრის 1177-1179 წლები) მაგიერ მოჭრილი ახალი, დაკნინებული მასის (ოთხდანგიანი) ქართული ვერცხლის საფასის გადაანგარიშება თაბრიზის სახანოს (რეგიონის მსხვილი ეკონომიკური ცენტრის) ექვსდანგიან საფასეზე (მისი ნომინალური ღირებულებისდა — 4, 5 თუ 6 შაჰი? — მიუხედავად; საერთაშორისო გარიგებებში, ანგარიშსწორების საფუძველი მონეტის ლითონური ღირებულება იქნებოდა, და არა პირობითი ნომინალი). ამგვარი, იდენტური მასის ნომინალების გაჩენა, ხელს შეუწყობდა ვაჭრობას თაბრიზთან და, საზოგადოდ, სამხრეთის მიმართულებით; მეორე მხრივ კი — არ დაარღვევდა სახელმწიფოს შიგნით დაკნინებული წონითი სტანდარტის მიხედვით ახლებური საფასის გამოშვების პრინციპს.

ისიც არ არის გამორიცხული, ქართლ-კახეთის სამეფოში ვიზუალურად და მეტროლოგიურად მიმსგავსებული საფასის გამოშვება თაბრიზის ხანთან შეთანხმების შედეგად კი მოხდა, არამედ, უბრალოდ, მიბაძვით განხორციელდა.

ჩვენი აზრით, იმავდროულად, ანუ ჰ. 1179 წელსვე წვრილი ნომინალების — უზალთუნისა და შაურის არგამოშვება, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ გამოშვებაზე უარის თქმა (თუ ამ დებულებას ოდესმე მომავალში ახალაღმოჩენილი სამონეტო მასალა არ უარყოფს), განაპირობა ხელისუფლების იმედმა, რომ მოახერხებდა მოსახლეობისთვის მოეხვია იგივე ნომინალური ღირებულების მონეტები, მაგრამ ტრადიციისდა საწინააღმდეგოდ, გამოშვებული სპილენძში და არა ვერცხლში; საკრედიტო მონეტის გამოშვება ხომ ხაზინას განსაკუთრებულად დიდ მოგებას მოუტანდა (ვერცხლის ზოდებისა თუ ჭურჭლის მონეტად გარდაქმნა კი ზარაფხანისთვის, სავარაუდოდ, მხოლოდ დაახლოებით 2%-ზე ნაკლები მოგების მომტანი იქნებოდა; თუმცა, გასათვალისწინებელია ვერცხლის უფრო მაღალი ღირებულებაც — იხ. თავი VIII).

რასაკვირველია, ზემოთ გამოთქმული მოსაზრება უფრო *ჰიპოთეზას* წარმოადგენს; თუმცა, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებელს. იმავე ჰიპოთეზის ფარგლებში გამოვთქვამთ *ვარაუდს*, რომ უზალთუნისა და შაურის (ხელახლა?) გამოშვება ჰიჯრის 1182 წლიდან (?) შეიძლება ყოფილიყო სპილენძის შაურის წარუმატებლობის, უფრო სწორედ, ამ წარუმატებლობის გააზრების შედეგი.

მოვლენებს გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ, იმდენად რეფორმის არსსა თუ არა, რეფორმის წარმატებულობაზე მაინც, მეტყველებს ის ფაქტი, რომ რეფორმის ფარგლებში შემუშავებული (პირველ რიგში, სირმა აბაზის) სამონეტო ტიპისა და მიღებული წონითი სტანდარტის (ოთხდანგიანი აბაზი) მიხედვით ვერცხლის საფასის მოჭრა ყოველგვარი ცვლილების გარეშე (ტექნოლოგიურ და დიზაინის უმნიშვნელო ცვლილებას თუ არ ჩავთვლით) გაგრძელდა არათუ ირაკლი II-ის ზეობის, არამედ, საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის პრაქტიკულად დასასრულამდე; ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი სირმა აბაზი ჰიჯრის 1213 წლით (1798/9) არის დათარიღებული (იხ. თავი VII), და უკვე გიორგი XII-ის ემისიას წარმოადგენს. ამ სამონეტო ტიპის მიხედვით აბაზის ემისია უწყვეტად, უცვლელი წონითი სტანდარტით, 33 წლის, ანუ, ზუსტად საუკუნის მესამედის განმავლობაში გრძელდებოდა.

რაც შეეხება **ოქროს** საფასეს, არ გვაქვს პირდაპირი მონაცემები, რომ ჰი-

ჯრის 1179-1182 წლების რეფორმა ოქროს საფასის რეფორმირებასაც ითვალისწინებდა. თუმცა, აღნიშნული რეფორმა, პირდაპირ თუ არა, გაშუალებულად მაინც, ოქროს საფასესაც შეეხო.

საუბარია სირმა ტიპის შაურებზე, მაგრამ მოჭრილზე ოქროსა და არა ვერცხლში. ოქროს შაურისა და ვერცხლის სირმა შაურისა თუ უზალთუნის სამონეტო ტიპი იდენტური იყო. ამ სირმა ტიპის ოქროს შაურებს, ვფიქრობთ, *სირმა თეთრის* ანალოგიით, შეიძლება *სირმა ოქრო* ვუწოდოთ. მართალია, წყაროებში მითითებულია განსხვავებული ტერმინი — *ოქროს შაური*. თუმცა, ვფიქრობთ, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ტერმინი (*სირმა ოქრო*) ამ საფასის ბუნებას კარგად გამოხატავს (მაღალი სინჯის, თანაც *სირმა ვერცხლის* ტიპის *ოქროს* საფასე), და, ამრიგად, საკმაოდ მოსახერხებელია. გზადაგზა მასაც გამოვიყენებთ.

სირმა ვერცხლის ტიპის ქართული ოქროს შაურები პირველად საბუთებში 1783 წლისთვის გამოვლინდა, თანაც ორგან:

1783 წლით დათარიღებულ საბუთში:

> „სურგუნაშვილო სააკ! ჩვენთვის ექვსი ოქროს შაური გამოგზავნე, რომ ექვსივე ერთი მისხალი მოვიდეს და ამ ბარათს ბატონის მოანგარიშეები ანგარიშში ჩაგიგდებენ";[429]

1790 წლის *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნში*,[430] სადაც *უოა* წლისთვის (ქართული ქორონიკონის 471 წელი, = 1783) მითითებულია:

> „ქ. მირიან ბატონიშვილს დაუხარჯავს თავისის ბარათით ვ ოქროს შაური, მისხალი ყოფილა, ნუენბერს ივ".[431]

ამრიგად, 1783 წელი ოქროს შაურის გამოშვების დაწყებისთვის არის terminus post quem non; terminus ante quem non კი არის, საფიქრებელია, იმავე ტიპის სირმა ვერცხლის შაურების გამოშვების პირველი წელი — მაინც, ნაკლებ მოსალოდნელად გვეჩვენება, რომ სირმა ტიპი ჯერ ოქროში გაჩენილიყო, და მხოლოდ ამის შემდგომ ვერცხლში მოექრათ. არის ალბათობა იმისა, რომ ოქროს შაურის გამოშვება ვერცხლის შაურის სინქრონულად დაიწყო. როგორც უკვე ვახსენეთ, სირმა ვერცხლის ემისიის დაწყება ჰიჯრის 1179 წლით თარიღდება; ანუ, ქრისტეშობიდან 1765/6 წლით; ხოლო სირმა შაურისა თუ უზალთუნის დიზაინის მონეტა პირველად (?) ჰიჯრის 1182 წელს გაჩნდა (1768/9). ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოქროს შაურის პირველად გამოშვება ასევე 1765/6, ან, უფრო, 1768/9-1783 წლების შუალედით უნდა

429 საქ. ცენტრარქივი, ძველ სიგელთა საცავი, საბუთი 1255; დამოწმებულია პაატა გუგუშვილის ნაშრომის მიხედვით. გუგუშვილი, „ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ა.-კავკასიაში მე-19 საუკუნეში", 33, სქოლიო 5.

430 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 85-100.

431 იქვე, 87.

დავათარიღოთ.[432] ოქროს შაურის გამოშვება უფრო გვიანაც რომ დაეწყოთ, ტიპოლოგიური (მეტროლოგიური და ზედწერილების შინაარსის მხრივ) კავშირი და იდენტობაც ქართულ სირმა ოქროს და სირმა ვერცხლის შაურებს შორის უდავოა. შესაბამისად, ოქროს შაურის ემისიაც 1765/6 (ჰ. 1179) წლის რეფორმის ნაყოფია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რეფორმის სხვა კომპონენტებზე უფრო გვიანდელია.

ოქროში ამ ახალი სამონეტო ტიპის (ოქროს შაურის) შემოღებით ქართლ-კახეთის სამონეტო დარგში რამდენიმე სიახლე შემოვიდა:

ვერცხლის საფასის მსგავსად, ოქროს საფასეც მოიჭრა ახალი, უნიკალური, სირმა სამონეტო ტიპის მიხედვით (ისლამური რელიგიური ფორმულის სრული ელიმინაციით);

ოქროს საფასის წონითი სტანდარტი გაუტოლდა ვერცხლისას: როგორც ოქროს, ასევე ვერცხლის შაურები იჭრებოდა წონით 1 დანგი;[433] შესაძლოა, ერთი და იმავე სიქებითაც;[434] ეს გარემოება, საფიქრებელია, გაადვილებდა ოქროსა და ვერცხლის მონეტის ურთიერგადაცვლას — მათი გაცვლითი კურსი დამოკიდებული იქნებოდა მხოლოდ ვერცხლისა და ოქროს, როგორც ძვირფასი ლითონების თანაფარდობაზე (ქართლ-კახეთის სამეფოში: 15:1[435]); ვერცხლისა და ოქროს მონეტების მასის მაჩვენებლები აღარ იქნებოდა გასათვალისწინებელი (ვინაიდან, ერთმანეთის იდენტური გახდა).

ოქროს შაურის ირაკლი II-ის ზეობაში დაწყებული ემისია გაგრძელდა გიორგი XII-ის მეფობის წლებშიც, ანუ, პრაქტიკულად, ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის სულ ბოლომდე. ყველაზე გვიანდელი (და ერთადერთი, შემონახული?) ჩვენთვის ცნობილი ოქროს შაური სწორედ ჰიჯრის 1213 წლით (1798/9) არის დათარიღებული (უკანასკნელი სირმა ვერცხლიც ჰ. 1213 წლით არის დათარიღებული; სირმა თეთრის გამოშვების ქრონოლოგიისთვის იხ. თავი VII), და, ამრიგად, გიორგი XII-ის ემისიას წარმოადგენს. ამ სამონეტო ტიპის მიხედვით ოქროს შაურის ემისია წარმოებდა ყველაზე ცოტა 1783 წლიდან, 1798/9 წლის ჩათვლით, ან, სულაც, 1765/6, თუ, უფრო, 1768/9 წლიდან; ანუ, შესაბამისად, 15, ან, სულაც, 30 თუ 33 წლის განმავლობაში.

*

ბუნებრივია, სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის ეკონომიკური ცხოვრების ყველა დარგის ოპტიმიზაციის მიზნით, კერძოდ, სამონეტო მეურნეობის მოსაწესრიგებლად, — ამა თუ იმ ღონისძიების გატარება უდროო არასდროს იქნებოდა. მაგრამ, მაინც, მიზანშეწონილია, დავფიქრდეთ, ქართლ-კახეთის სამეფოსა თუ რეგიონის ისტორიაში 1765/6 წელს ან წინა პერიოდში რაიმე სპეციფიკური ახალი ფაქტორი ხომ არ ამოქმედდა; ისეთი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას მოახდენდა ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ან, მით უფრო, ფულად პოლიტიკაზე, და, ამგვარად, შეიძლება, პოტენციურად, სამონეტო რეფორმა

432 შეად. ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 226-229.

433 იქვე, 221-223.

434 იქვე, 254-261.

435 იქვე, 224-225.

განეპირობებინა?

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ რეფორმის ჩატარებამდე სულ რაღაც ორი წლით ადრე ირაკლი II-მ აალორძინა ქართული სამთამადნო წარმოება: 1763 წელს გიუმუშხანედან ჩამოსულმა ბერძენმა მადანჩხებმა ახტალას (ასევე, როგორც ჩანს, დამბლუღში) (ოქროიანი) ვერცხლის მოპოვება დაიწყეს — ირაკლი II-ის განკარგულებაში აღმოჩნდა ვერცხლის (და ოქროს) მოპოვების მნიშვნელოვანი ცენტრი. თბილისის ზარაფხანის გავლით სამეფოს ეკონომიკაში ვერცხლის შემოდინება თითქმის უწყვეტად წარმოებდა. ვფიქრობთ, რომ სწორედ ახტალის (და დამბლუღის?) ვერცხლმა განაპირობა, ჯერ, 1763/4 წლიდან (ჰ. 1177 წელს), უწყვეტად, სამი წლის განმავლობაში, თბილისში ქარიმ-ხანის ინვოკაციითა და შიიტური ფორმულით ვერცხლის საფასის გამოშვება; შემდეგ კი, 1765/6 წლიდან (ჰ. 1179 წ.), პრაქტიკულად, XVIII საუკუნის დასრულებამდე, უკვე სირმა თეთრის თითქმის უწყვეტი ემისიები.

ვერცხლის საფასის მოსაჭრელად ძვირფასი ლითონის ხელმისაწვდომობა, თავისთავად, სულაც არ მოითხოვდა რეფორმის ჩატარებას. თუმცა, მაინც, შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ მრავალი მომავალი წლის განმავლობაში დიდი რაოდენობით ვერცხლის — მონეტად გარდაქმნის პერსპექტივა ხელისუფლებისთვის ერთგვარ გამოწვევად იქცა, — *როგორი* უნდა ყოფილიყო ეს დიდი რაოდენობით მოსაჭრელი ვერცხლის მონეტები?

ვერ გამოვრიცხავთ, რომ *სირმა თეთრი*, იმ სახით, რა სახითაც მოიჭრა, წარმოშვა წონითი სტანდარტის შეცვლის აუცილებლობამ თუ გადაწყვეტილებამ. უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ *სირმა ვერცხლი* ახალი, ოთხდანგიანი წონითი სტანდარტით იჭრებოდა. წონითი სტანდარტის შეცვლა, როგორც წესი, ყოველთვის საფასის იერის შეცვლასაც გულისხმობდა. სწორედ ეს გაკეთდა. თავისი არსით, რას წარმოადგენდა *სირმა თეთრი*, რა საფასეა ეს? ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, რა განასხვავებს მას წინმდევი, ჰ. 1177-1179 წლების ვერცხლისაგან? განსხვავებული დიზაინი, ანუ, (ორიგინალური) კარტუშის შემოღება და ზედწერილების შეცვლა, ასევე, შემცირებული მასა — სირმა თეთრის *ორიგინალურობას* სწორედ ეს მახასიათებლები განაპირობებენ; და სწორედ ისინი განასხვავებენ სირმა ვერცხლს ქარიმის ინვოკაციის მატარებელი უფრო ადრეული საფასისგან.

მაგრამ, იბადება კითხვა, რატომ შეიცვალა სამონეტო ლეგენდაც? ჩვეულებრივ, სამონეტო ზედწერილებს ტახტზე ახალი მმართველის ასვლის გამო გამოცვლიდნენ ხოლმე. მაგრამ, როგორც ჰ. 1177-1179, ასევე ჰ. 1179-1213 წწ. ჯგუფის მონეტებზე ერთი და იგივე სიუზერენის — ქარიმ-ხან ზენდის ინვოკაციაა. მაშ, რატომ მიიღო ქართლ-კახეთის ადმინისტრაციამ გადაწყვეტილება, ლეგენდა შეეცვალა? მოსახლეობისთვის წონითი სტანდარტის შეცვლის საუწყებლად ხომ, საფიქრებელია, კარტუშის შემოღებაც იქნებოდა საკმარისი.

*სირმა თეთრის*, როგორც ასეთის, გაჩენის ძალიან მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო მმართველი ელიტის, თავად მონარქისა თუ ადმინისტრაციის ჩათვლით, შეცვლილი ცნობიერება — გაჩენილი თუ გამძაფრებული მოთხოვნილება, საფასე უფრო ეროვნული გაეხადათ, ანუ, მისი ქართველიზაციის ხარისხი გაეზარდათ, და მისთვის უფრო სახელმწიფო ვალუტის იერიც მიეცათ, — თუნდაც, ისლამური საფასისთვის დამახასიათებელი გარეგნული ნიშნების ნაწილობრივ მაინც ელიმინაციის ხარჯზე.

ვფიქრობთ, არ ვცდებით, ანაქრონიზმს არ ვუშვებთ, როდესაც XVIII საუკუნის 60-იანი წლების ქართველობას ამგვარ აზროვნებას მივაწერთ. ფაქტია, რომ სწორედ სირმა აბაზის გაჩენის პირველ წელსვე, ჰიჯრის 1179 წელს (1765/6) ჩატარებული რეფორმის ფარგლებში, მეტ-ნაკლებად სინქრონულად, ძირეულად შეიცვალა *სპილენძის* ფულის იკონოგრაფიაც და ეპიგრაფიკაც; მან, აშკარად, მნიშვნელოვანწილად დაკარგა ქალაქური შავი ფულის იერი, და სახელმწიფო საფასედ იქცა, სახელმწიფო / მმართველი დინასტიის სიმბოლიკით — ხელისუფლების მიზანი რომ მხოლოდ renovatio monetae, და, ამ გზით, დამატებითი შემოსავლის მიღება ყოფილიყო, დიზაინის *ამგვარად* შეცვლა არც იქნებოდა საჭირო.[436] ჰიჯრის 1179 წელს (1765/6) *ვერცხლის* საფასის უბრალოდ სამონეტო ტიპის შესაცვლელად, თუნდაც, მოსახლეობისთვის წონითი სტანდარტის შემცირების საუწყებლად, საკმარისი იქნებოდა დიზაინი ნაკლებ კარდინალურადაც შეეცვალათ; დავუშვათ, მხოლოდ ახლებური კარტუში შემოეღოთ (რომელსაც ვხედავთ სირმა თეთრზე), მაგრამ შიიტური რელიგიური ფორმულა უცვლელად დაეტოვებინათ.

ფაქტია, რომ ჰ. 1179 / 1765/6 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლებამ თავისი საფასის იერი ძირეულად შეცვალა. ამასთანავე, ეს ცვლილებები არ იყო მხოლოდ ფუნქციური (მოსახლეობისთვის სამონეტო ტიპის შეცვლის მაუწყებელი) და პრაგმატული (პრაგმატულობაში ამ შემთხვევაში ექსკლუზიურად ფინანსურ მოგებაზე ორიენტაციას თუ ახალი ეკონიმიკური პარადიგმის გათვალისწინებას ვგულისხმობთ). აშკარაა, რომ ხელისუფლებას გაუჩნდა ასევე არამატერიალური *მოტივაცია*, სახელმწიფო ვალუტა *ვიზუალურად, თვალში საცემად* შეეცვალა. შეტანილი ცვლილებების ბუნება გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ხელისუფლების მიმართულობაზე: ვერცხლის (და, ოქროს) საფასეზე შიიტური რელიგიური ფორმულის სრულად ამოღება, ან, შეცვლა ყურანული, მაგრამ ქრისტიანთათვისაც მისაღები ფორმულით; ნაწილობრივ, ჯვრის მოტივის შემოღება (?); სპილენძის ფულზე მმართველი დინასტიის (de facto სახელმწიფო) გერბის გამოსახვა; მმართველი მონარქის სახელის პომპეზურად — ქართულ ენაზე, დაქარაგმების გარეშე — სრულად, და, მთავრული ასოებით აღნიშვნა.

ამგვარი მოტივაციის გაჩენა, ამ მიმართულებით ხელისუფლების იდეოლოგიური ევოლუცია, ვფიქრობთ, შეიძლება *შიდაპოლიტიკური* თუ, ასე ვთქვათ, შიდაკულტურული კონიუნქტურის ცვლილებად აღვიქვათ (საინტერესოა, რომ სწორედ 1765 წლის დეკემბერში მარცხით დასრულდა ე.წ. პაატა ბატონიშვილის შეთქმულება; საყურადღებოა შეთქმულების მონაწილეთა ვინაობა და ირაკლი II-ის მიერ შერჩეული საჯარო და „სამართლის" გზა მათ დასასჯელად[437]).

რასაკვირველია, თეორიულად, კიდევ ერთ წინაპირობად უნდა ჩაითვალოს მიმდინარე *საგარეოპოლიტიკური* კონიუნქტურა — ჰქონდა თუ არა ხელისუფლებას *შესაძლებლობა* თავისი საფასე *ამგვარად* შეეცვალა? იქნებ, აჯობებს,

436 სწორედ იმიტომ ვუთმობთ ესოდენ დიდ ყურადღებას ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის საფასეს, კერძოდ, ჰ. 1179 წლის რეფორმის შედეგად შექმნილს, რომ სპილენძის ფულის რეფორმის სრულყოფილად გააზრების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სირმა თეთრის ფენომენის გააზრებაც.

437 ტუხაშვილი, *რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი)*, 75-128.

საკითხი სხვანაირად დავაყენოთ: უსაფრთხო თუ იყო საფასის გარდაქმნა ქართველიზაცია-დეისლამიზაციისა და ქართველი მონარქის მეტად წარმოჩენის მიმართულებით, — ქართლ-კახეთის სამეფოს გეოპოლიტიკური, და, თუნდაც, უბრალოდ, სამხედრო მოწყვლადობის გათვალისწინებით (ოსმალეთი და ახალციხის ფაშა; ლეკიანობა და ხუნძეთის სახანოს აგრესია; კავკასიის სახანოები; ავშარიანები, ზენდები, შემდეგ, ყაჯარები; რუსეთის იმპერია[438]).

დასმულ კითხვაზე პასუხი დადებითია. ირაკლი II-ს ჰქონდა შესაძლებლობა თავისი საფასე შეეცვალა იმნაირად, რანაირადაც შეცვალა, ანუ, საკმაო სიფრთხილითა და მორიდებულობით. ძვირფასი ლითონის საფასეზე (სირმა თეთრი, სირმა ოქრო), სადაც, ისლამურ სამყაროში გაბატონებული ტრადიციის მიხედვით, საკუთარი სახელის მოთავსება სუვერენიტეტის საჯაროდ გამოცხადების ტოლფასი იქნებოდა, *გორჯესთანის ვალის* თავისი სახელი არც კი მოუთავსებია; დატოვა ორლესული გამონათქვამი, რომელსაც ქარიმ-ხან ზენდი თავადაც ათავსებდა საკუთარ საფასეზე (და სხვას ამაზე მეტს ვერ მოსთხოვდა). ამით ირაკლი II-მ თავიდან აიცილა ურთიერთობის გაუარესება, და, შესაძლოა, ღია კონფრონტაციაც ირანის ლიდერთან (რომელმაც ირანი თითქმის სეფიანთა სახელმწიფოს ფარგლებში აღადგინა, ხორასნის გარდა — ქართლიც და კახეთიც ხომ სეფიანთა „მემკვიდრეობას" წარმოადგენდა). (შიიტური) რელიგიური ფორმულის მოცილება კი დანაშაულებრივ აქტად ვერ ჩაითვლებოდა — ქართლ-კახეთის სირმა საფასეზე ხომ მაინც ყურანული ფორმულა გამოისახა, მისაღები როგორც შიიტების, ასევე სუნიტებისთვისაც. რაც შეეხება სპილენძის ფულს, რომლის ვიზუალური მხარეც შეუდარებლად უფრო კარდინალურად შეიცვალა და რომელმაც აშკარა ეროვნული ტრანსფორმაცია განიცადა — ამ შემთხვევაში ქართველ მონარქს ხელ-ფეხი არ ჰქონდა შეკრული: სპილენძის საფასე, ქართლ-კახეთის სამეფოსა და კავკასიურ სახანოებში ნელ-ნელა კი ევოლუციონირებდა ადგილობრივი ქალაქური შავი ფულიდან პროტოსახელმწიფო და სახელმწიფო სპილენძის საკრედიტო ფულამდე,[439] მაგრამ, საზოგადოებრივ ცნობიერებაში, მაინც, საფიქრებელია, მეორე- თუ მესამეხარისხოვან საფასეს წარმოადგენდა; მასზე საკუთარი სახელის მოთავსება და (რეალური თუ ამგვარი პრეტენზიის მქონე) სიუზერენის სახელის მოუთავსებლობა *სიქეს* უფლების მითვისებას არ წარმოადგენდა, და, შესაბამისად, დასჯადიც არ იყო.

*

რეფორმის განხილვისას, ბუნებრივია, უნდა გავითვალისწინოთ რეფორმის როგორც ხარვეზები, ასევე მისი წარმატებულობის ხარისხი.

კვლავ დავიწყოთ **სპილენძის** საფასით, რომელიც სირმა თეთრის ისტორიული ფენომენის გასაანალიზებლად ესოდენ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

წარუმატებელი აღმოჩნა ფინანსური თვალსაზრისით პოტენციურად ისეთი მომგებიანი, დიდწონიანი ნომინალების შემოღება, როგორიც სპილენძის

438 ამ უკანასკნელის მხრიდან სამხედრო საფრთხე, მიუხედავად ტოტლებენის ქმედებებისა, ეტყობა, სრულად გააზრებული ირაკლი II-ს არ ჰქონდა.

439 Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 208-210.

ბისტი და სპილენძის შაური იყო. განსხვავებით რუსეთის იმპერიისგან, სადაც ხელისუფლებამ მოახერხა მოსახლეობისთვის თავს მოეხვია მძიმე წონის სპილენძის ხუთკაპიკიანები, ირაკლი II-მ ამის გაკეთება ვერ შეძლო: ამ ნომინალის მონეტები (განსხვავებით რუსული ხუთკაპიკიანებისგან) უდიდეს იშვიათობას წარმოადგენს — ცნობაში დღემდე მოყვანილია სპილენძის შაურის ორად-ორი ცალი, ბისტი კი უნიკალურია;[440] გარდა ამისა, ჩვენთვის უცნობია ამგვარი მონეტების პოვნის ერთი შემთხვევაც კი. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ სამონეტო მიმოქცევაში ამ ორი მსხვილი ნომინალის სპილენძის მონეტები ნაკლებად (პრაქტიკულად არ?) მონაწილეობდა; გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ, ფულადმა ბაზარმა, სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსახლეობამ — ესოდენ *აფასებული არაძვირფასი ლითონის მონეტა* უბრალოდ არ იგუა (განსაკუთრებით, სპილენძის შაური); გამოგვითქვამს ვარაუდი, რომ, განსხვავებით რუსეთის იმპერიისგან, ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლებას ნაკლები რესურსი გააჩნდა, არასაკმარისად ძლიერი რეპრესიული აპარატი, რომ თავისი მოსახლეობისთვის საკრედიტო, სპილენძის, მაგრამ, მკვეთრად აფასებული მონეტა ძალით მოეხვია; ამას სახელმწიფოს მასშტაბიც არ შეუწყობდა ხელს (პატარა სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემა მეზობლებისგან ნაკლებად იზოლირებული იქნებოდა და, შესაბამისად, ფულად ეკონომიკაზე ზემოქმედების არაეკონომიკური მეთოდები, საფიქრებელია, ნაკლებ ეფექტურად იმუშავებდნენ). ასე თუ ისე, ქართლ-კახეთის სამეფოს მსხვილი ნომინალის სპილენძის მონეტების ტეზავრაციის შემთხვევები ჩვენთვის უცნობია (ცნობილია რუსული ხუთკაპიკიანების შეგნებული ტეზავრაციის ერთადერთი ფაქტი;[441] ყველა სხვა შემთხვევა[442] ცალკეულ აღმოჩენას წარმოადგენს და, თეორიულად, შეიძლება ვაჭრის, მოგზაურისა თუ რუსი სამხედროს შემთხვევითი დანაკარგი იყოს, რომელიც არ ადასტურებს ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მსხვილი ნომინალის სპილენძის მონეტების, როგორც *ლეგალური* საფასის, მიმოქცევას).

მიუხედავად თვალსაჩინო ჰერალდიკური ინოვაციისა — ბაგრატიონთა გერბის გამოსახვისა, და ქართველი მონარქის სახელის უფრო პომპეზურად (სრულად, და ასომთავრული ასოებით) წარმოჩენისა — ირაკლი II-ის ხელისუფლებამ მაინც სრულად ვერ დააღწია „ირანული" (უფრო სწორად, ირანული ყაიდის) ქალაქური შავი ფულის ტრადიციის მარწუხებს და ვერ დაასრულა სამონეტო ტიპის ქართველიზაცია: მონეტის მოჭრის ადგილი *თბილისი* კვლავინდებურად არაბული ასოებით აღინიშნებოდა — تفليس. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ სპილენძის მონეტა, სეფიანთა პერიოდშიც კი, ადგი-

440 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 152.

441 Кебуладзе, "Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным", 96-97, #2.

საყურადღებოა სახანოების ტერიტორიაზე რუსული ხუთკაპიკიანების განძების გავრცელებაც, ყოველ შემთხვევაში, ბაქოს სახანოს სანაპიროსთან. Елена Синицина, *Денежное обращение Азербайджана (Гянджинского, Карабахского, Шемахинского, Бакинского, Дербентского, Кубинского ханств) во втор. пол. XVIII - перв. четв. XIX в.*, Автореферат кандидатской диссертации (Баку, 1992), 107-110, 113, 120-121, #16-17.

442 Кебуладзе, "Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным", 97-99, #3, 6-7, 17, 19, 21-23.

ლობრივი ადმინისტრაციის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა[443] და, მით უფრო XVIII საუკუნის II ნახევარში, სავარაუდოდ, არ იქნებოდა არანაირი წინაღობა (ძვირფასი ლითონის საფასისგან განსხვავებით) მოჭრის ადგილიც ქართულად აღნიშნულიყო (მით უფრო, რომ იქვე ქართულად ქართველი მონარქის სახელი იყო მითითებული). მაგრამ, ირაკლი II-ის ადმინისტრაციას ეს არ გაუკეთებია — ზარაფხანის სახელი ქართულად მხოლოდ ჰიჯრის 1215 წლის მონეტაზე დაიწერა, თუნდაც დაქარაგმებით, უკვე ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემის ჟამს: „ტფლს".[444] ასევე, დათარიღებაც, კვლავინდებურად მაჰმადიანური წესით, ჰიჯრით გაგრძელდა — ანუ, მივიწყებას მიეცა უკვე ვახტანგ VI-ის სპილენძის საფასეზე გამოჩენილი თარიღი ქრისტეშობით — „1708" და „1709";[445] თარიღი ქრისტეშობით ქართლ-კახეთის სპილენძის ფულზე მხოლოდ მოგვიანებით გამოჩნდება.

ფაქტია, ასევე, რომ ირაკლი II-ის ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა, ჰერალდიკური კუთხით ესოდენ მომგებიანი სამონეტო ტიპი შეენარჩუნებინა. ასევე, ვერ მოახერხა შეენარჩუნებინა 1765/6 წელს მიღებული წონითი სტანდარტიც. ჰიჯრის 1179 წელს (1765/6) მიღებული სამონეტო ტიპი ათიოდ წელიწადში, კერძოდ, ჰიჯრის 1190 წელს (1776/7), უკვე შეიცვალა განსხვავებულით, თევზის, — საფიქრებელია, იესო ქრისტეს სიმბოლოს, — გამოსახულებით[446] (სურ. V.10). აღსანიშნავია, რომ, იკონოგრაფიის გარდა, შეიცვალა წონითი სტანდარტიც: ჰიჯრის 1179 წელს მოჭრილი ნახევარბისტიანი (8.0-8.75 გ), ფული (4.0-4.15) და ნახევარი ფული (2.0-2.25) ჩანაცვლდა უჩვეულო მასის, შესაბამისად 11.0-12.5, 5.5-6.25 და დაახლოებით 3.0 გრამის მასის მქონე ნომინალებით.[447] რთული სათქმელია, ამ შემთხვევაში წონითი სტანდარტი გაიზარდა თუ შემცირდა, ანუ, აღნიშნული მასის მონეტები წარმოადგენდა მსუბუქწონიან ბისტს, ნახევარბისტსა და ფულს, თუ მძიმეწონიან ნახევარბისტს, ფულსა



სურ. V.10. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, ჰ. 1190 წ.



სურ. V.11. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, ბისტი, ჰ. 1201 წ.

443 ქუთელია, *ირანული სპილენძის ფულის კატალოგი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მიხედვით)*, 6-7; Matthee, Floor, Clawson, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars*, 27-30.

444 Пахомов, *Монеты Грузии*, 269.

445 ფაღავა, "ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე", 92.

446 იქვე, 95.

447 Пахомов, *Монеты Грузии*, 274; Пахомов, *Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII в.в.*, 101-109.

და ნახევარ ფულს?[448] გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში წონითი სტანდარტი შემცირდა, მოგების მაქსიმალიზაციის მიზნით;[449] მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ ის, პირიქით, გაიზარდა, სპილენძის ბისტისა და სპილენძის შაურის წარუმატებლობის გათვალისწინებით, და სპილენძის სიუხვის პირობებში. აღსანიშნავია, რომ ჰიჯრის 1201 წლისთვის (1786/7) წონითი სტანდარტი კვლავ შეიცვალა, რასაც, ბუნებრივია, თან ახლდა იკონოგრაფიული ტიპის კიდევ ერთხელ შეცვლა (სურ. V.11) — და ნახევარი ბისტის მასა გაუტოლდა 8.5-9.0 გრამს.[450]

ანუ, განსხვავებით სირმა ვერცხლის საფასისგან (და ოქროს შაურებისგან, თუმცა, ამ უკანასკნელთა როლი ქვეყნის ეკონომიკაში შეზღუდული იყო), ვერ მოხერხდა სპილენძის საფასის იკონოგრაფიული და მეტროლოგიური სტაბილურობის შენარჩუნება (განსაკუთრებით უდღეური აღმოჩნდა შემოღებული ჰერალდიკური ინოვაცია); არადა, ეს სტაბილურობა, არ არის გამორიცხული, გაამყარებდა ქართლ-კახეთის სპილენძის ვალუტას, მისცემდა ხელისუფლებას საშუალებას, ის მეტი რაოდენობით გამოეშვა, და ამით მეტი მოგება ენახა, ვიდრე პერიოდულად renovatio-ს ჩატარებით.

მიუხედავად ამ მოსაზრებებისა, სირმა თეთრთან ერთად ახლებული ჰერალდიკური დატვირთვის მქონე სპილენძის ფულის შემოღება, ისევე როგორც ნომინალთა სისტემის გადახალისება-გაფართოების მცდელობა, — ორივე ქართლ-კახეთის სამეფოს ნუმიზმატიკური ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპად წარმოგვიდგება. ეკონომიკური პოლიტიკისა თუ ეროვნული / სახელმწიფო იდეოლოგიის შემუშავების მხრივ, ჰ. 1179 წლის სპილენძის მონეტების ემისია, ჩვენი აზრით, პროგრესულ ქმედებას წარმოადგენდა.

გადავიდეთ **ვერცხლის** საფასეზე.

სირმა ვერცხლის ისტორიას რომ გადავავლოთ თვალი, ეკონომიკური თვალსაზრისით ის უკიდურესად წარმატებული აღმოჩნდა — 1765/6 წელს შემოღებული საფასე პატიოსნად ემსახურებოდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოსა და მის მოსახელობას სამეფოს არსებობის დასასრულამდე. უფრო მეტიც, ადგილობრივი ეკონომიკის სამსახურში სირმა თეთრი XIX საუკუნეშიც იდგა (იხ. თავი IX).

მეორე მხრივ, სირმა ვერცხლის შემთხვევაში, ირაკლი II-ისა და, შემდგომში, გიორგი XII-ის ადმინისტრაციამ დაკარგა უნიკალური შესაძლებლობა, საჯაროდ ხაზი გაესვა ეროვნული სუვერენიტეტისთვის და უფრო ნაციონალური ხასიათის საფასე გამოეშვა — ჯვრისა თუ სხვა ქრისტიანული სიმბოლიკით / იკონოგრაფიით თუ არა, (ნაწილობრივ) ქართულენოვანი ლეგენდით მაინც, საკუთარი სახელის (თუნდაც ქარიმ-ხან ზენდის მოხსენიების პარალელურად) მითითებით. გასაგებია, რომ ზემოთ უკვე განმარტებული სეფიანური და პოსტსეფიანური ტრადიციის (ძვირფასი ლითონის საფასეზე მიეთითებო-

448 Пахомов, *Монеты Грузии*, 274.

449 Paghava, "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti", 250-251.

450 Пахомов, *Монеты Грузии*, 276; Пахомов, *Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII в.в.*, 101-109.

და მხოლოდ ირანელი სიუზერენის სახელი[451]) გათვალისწინებით, ქარიმ-ხან ზენდის სახელის მაგიერ, ან, თუნდაც, პარალელურად, საკუთარი სახელის მითითება, ისევე როგორც ქრისტიანული თუ ქართული ვიზუალური ელემენტების შემოტანა — ქარიმ-ხანის სერიოზული გამოწვევა შეიძლება ყოფილიყო, იქნებ ერთგვარი casus belli-ც კი. ამის გათვალისწინებით, ვერცხლის საფასისთვის ამგვარი ახალი სამონეტო ტიპის შერჩევა ირაკლი II-ის დიპლომატიის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. თუმცა, საყურადღებოა, რომ ქარიმ-ხან ზენდის სახელის მითითება გაგრძელდა შემდგომშიც, ქარიმ-ხანისგან საფრთხის გაქრობის შემდეგაც, საერთოდ, ქარიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი XII-ის ზეობაშიც კი. ყაჯართა მიერ ზენდების დამხობის შემდეგ ქარიმ-ხანის სახელის აღნიშვნას საგარეოპოლიტიკური მნიშვნელობა ვეღარ ექნებოდა (ანდა, პირიქით, ყაჯარებისადმი ერთგვარი ოპოზიციის დეკლარაციად შეიძლება აღქმულიყო). გარდა ამისა, შესაძლოა, უფრო ძლიერი აღმოჩნდა საფასის ტიპის უცვლელად დატოვების, ქარიმ-ხანის სახელის მითითების ჩათვლით, სურვილი: სირმა აბაზის სამონეტო ტიპის, — რომელიც რეგიონში დამსახურებული პატივისცემით სარგებლობდა, — ერთგვარი იმობილიზაციის მიზნით (type immobilisé-ს შენარჩუნება). ასე თუ ისე, თავისი სამეფოს წამყვანი საფასის მეტად გაეროვნულება ქართლ-კახეთის სამეფოს მონარქებმა ვერ მოახერხეს.

რამდენიმე სიტყვით **ოქროს** საფასესაც დავახასიათებთ.

ვერცხლის შაურის იდენტური ოქროს შაურების მიმართ შეიძლება აბსოლუტურად იგივე მოსაზრება გამოითქვას - ქართლ-კახეთის ხელისუფლებამ ვერ გამოიყენა შესაძლოა მის განკარგულებაში არსებული საშუალება, ოქროს საფასის ქართველიზაციით საკუთარი და ეროვნული სუვერენიტეტის ცხადი დეკლარირება მოეხდინა; ან, ეროვნული გზავნილი წარმოედგინა. მართალია, მცირე ტირაჟით მოჭრილი ეს ოქროს შაურები სახელმწიფოს ფულად მიმოქცევაში შეზღუდულ როლს თამაშობდნენ, და, მნიშვნელოვანწილად, არაეკონომიკური დანიშნულება ჰქონდათ: დონატიური, დეკორატიული, საკოლექციო — არ არის გამორიცხული, უფრო საკარისკაცო ყოფის ნაწილს წარმოადგენ.[452] თუმცა, მასმედიის საშუალების ფუნქციას მაინც ინარჩუნებდნენ. ან, შეიძენდნენ, იმ პირობით, რომ ისინი უფრო არსებითი ტირაჟებით გამოეშვათ.

არ შეიძლება არ გამოვთქვათ გაკვირვება, რომ რეფორმის ფარგლებში ჩაფიქრებული თუ არა, რეფორმის (სირმა თეთრის შემოღების) შედეგად ჩასახული სირმა ოქროს შაური ესოდენ მიზერული ტირაჟებით იჭრებოდა (შემონახულ წყაროებში სულ ფიქსირდება მხოლოდ 332 ეგზემპლარამდე), რასაც მოპოვებული ძვირფასი ლითონის საშუალოდ მხოლოდ 0.12-10.53% ხმარდებოდა.[453] ამ გარემოებას თავისი მიზეზები ჰქონდა და, რასაკვირველია, ოქროს

451 Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)*, 26.

452 ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 238-254, 262; Пагава, "Судьба золотых шаури грузинских царей Иракли II и Гиорги XII (опыт историко-антропологического исследования", 142-147, 171, 192.

453 ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 229-237.

შაურის შეზღუდულ ფუნქციურ დანიშნულებას უკავშირდებოდა.[454] და, მაინც, გავიმეორებთ ჩვენს წინა ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებას —

> „ოქროს მიმართაც სამონეტო რეგალიის განხორციელება და ახტალის მადნიდან ყოველწლიურად თუნდაც შეზღუდული რაოდენობით შემოსული ოქროს მასობრივად მონეტად გადაქცევას მაინც შეეძლო ქართლ-კახეთის მეფეებისთვის გარკვეული მოგების მოტანა: თეორიულად რომ ვიმსჯელოთ, სამონეტო რეგალიის განხორციელების — ძვირფასი ლითონის მონეტად გარდაქმნის — შემთხვევაში, მიღებული პროდუქტის, საფასის ღირებულება აღემატებოდა მოხმარებული ძვირფასი ლითონის ღირებულებას, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ მონეტიზირებული ძვირფასი ლითონი უკვე მზა საფასეს წარმოადგენს".[455]

ოქროს ხელმისაწვდომი რესურსი უფრო სრულად და მომგებიანად რომ აეთვისებინათ, დავუშვათ, ორიენტალური, ან, უფრო, ევროპული, კერძოდ, დუკატური ტიპის ოქროს საფასის გამოშვებით, — ქართლ-კახეთის სამეფო, შესაძლოა, მეტ მოგებას ნახავდა; თუმცა, მიიღეს გადაწყვეტილება, ოქროს უმეტესი ნაწილი ნაკეთობებზე დაეხარჯათ.[456] თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვით, ის ამ დანიშნულებით მთლიანადაც კი იხარჯებოდა:

> „რაც ოქრო საქართველოს მადნებიდამ შემოდიოდა, იმას ჩვენი მეფეები არ აჭრევინებდენ, ამისთჳს რომ რაც დასჭირდებოდათ, თავიანთჳს იარაღათ ქალისა თუ კაცისას აკეთებინებდენ თავიანთ სახლეულებასაც ახმარებდენ და ვინც წყალობის ღირსნი იყვნენ, იმათაც უბოძებდნენ. ეკლესიის ნივთებსაც აკეთებდენ."[457]

სინამდვილეში, მცირედი მაინც მონეტის მოსაჭრელად იხარჯებოდა, — ხმარდებოდა *სირმა ოქროს* გამოშვებას, თუნდაც მიზერული ტირაჟებით.[458] სირმა ოქროს შაური, მართალია, უკიდურესად საინტერესო ნუმიზმატიკური მოვლენაა საქართველოს ისტორიაში, მაგრამ, მისი ეკონომიკური როლი, ასევე, მიზერული იყო.[459]

---

454 იქვე, 235-254.

455 იქვე, 234.

456 იქვე, 235-236.

457 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 42.

458 ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 229-234.

459 იქვე, 236-254.

# თავი VI. ტიპოლოგიური კვლევა

ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის კვლევის გაგრძელება, ჩვენი აზრით, რამდენიმე მიმართულებით იქნებოდა შესაძლებელი (იქნებ, ჩვენც მოგვიხერხდეს, რამდენიმე წელიწადში მაინც, ამ თემას დავუბრუნდეთ), რაც, იმედი გვაქვს, დამატებით საინტერესო მონაცემებს მოგვცემს.

ერთ-ერთი მიმართულება გულისხმობს სირმა თეთრის მიმოქცევის გაღრმავებულად კვლევას, პირველ რიგში, იმ სამონეტო კომპლექსების მოშველიებით, რომელიც, შესაძლოა, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუზეუმებში ინახება, და, ჯერჯერობით მაინც, გამოუქვეყნებელია.

მეორე მიმართულება კი ეფუძნება სიქების ანალიზს (die analysis). გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმული გვაქვს; ამ მეთოდით რამდენიმე საკითხის გარკვევაც მოვახერხეთ[460] (vide infra, იხ. ასევე თავი VII), თუმცა, სირმა თეთრის ყველა ნომინალი, ან, თუნდაც, სირმა აბაზიანები, ერთიანობაში ჯერ არ შესწავლილა. ვგულისხმობთ იმას, რომ დღემდე არ გვაქვს სირმა თეთრის სიქების კორპუსი (die corpus). ესეც მომავლის საქმედ რჩება.

თუმცა, მოსამზადებელი სამუშაოს სახით, გავაგრძელებთ ადრეც დაწყებულ მუშაობას სირმა თეთრის ტიპოლოგიაზე.

*

საგანგებო ყურადღების ღირსია რამდენიმე სირმა აბაზიანი საკმაოდ უცნაური დიზაინით.[461] ეს მონეტები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს. განვიხილავთ თითოეულ მათგანს, შემდეგ კი წარმოვადგენთ ანალიზის შედეგებს.

I ჯგუფი წარმოდგენილია ორი ეგზემპლარით. სურ. VI.1-2. მასა შესაბამისად 2.99 და 2.89 გ, კვეთა 19-19.4 და 20-20.2 მმ, სიქების თანაფარდობა 1:30 და 8 სთ.

მონეტების მასა მცირედით თუ ჩამორჩება ნორმატიულ 3.072 გრამს, ანუ, პრაქტიკულად ნორმალურია, და სავსებით მისაღებია რამდენადმე გაცვეთილი მონეტისთვის. ზურგის არაბული ზედწერილის კალიგრაფიაც შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს.

ყურადღებას იპყრობს შუბლზე გამოსახული ფიგურული კარტუშის თავისებური ფორმა, წაწვეტებულობა: მოგვყავს ჩვეულებრივი (სურ. VI.3) და წაწვეტებული (სურ. VI.4) კარტუშის სქემატური გამოსახულებები; *თბილისის* დაწერილობას ანომალურს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ, გრაფემები უჩვეულოდ მსხვილია; საყურადღებოა თარიღიც, ან, ყოველ შემთხვევაში, სავარაუდოდ, თარიღის აღმნიშვნელი *ორი* ციფრი: ٢١. საზოგადოდ, სირმა თეთრზე, თარიღს, როგორც წესი, ოთხივე ციფრით უთითებდნენ; მხოლოდ ნულის აღმნიშვნელ

460 Paghava, Bebia, “A Group of Unusual Sirma Abazis: Die Analysis”, 6-12; Turkia, Paghava, “The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH “1166” and Its Dating”, 28-32.

461 Paghava, Bebia, “A Group of Unusual Sirma Abazis: Die Analysis”, 8-11.

წერტილს თუ გამოტოვებდნენ ხოლმე.[462]

ორივე მონეტა შუბლის ერთი და იმავე, და ზურგის განსხვავებული სიქებით არის მოჭრილი.



სურ. VI.1. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, „უცნაური" სირმა აბაზი, ჰ. „21" წ.



სურ. VI.2. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, „უცნაური" სირმა აბაზი, ჰ. „21" წ.

II ჯგუფი, ასევე, წარმოდგენილია ორი ეგზემპლარით. სურ. VI.6-7. მასა შესაბამისად 3.12 და 3.03 გ, კვეთა 19.9-20.1 და 18.6-20.2 მმ, სიქების თანაფარდობა 3:30 და 9 სთ.

მონეტების მასა სავსებით ნორმალურია, ის კი არა, პირველ ეგზემპლარი მძიმეწონიანიც კია. ზურგის არაბული ზედწერილის კალიგრაფიაც ნორმალურია.

ყურადღებას იპყრობს შუბლზე გამოსახული კარტუშის თავისებური ფორმა, რომელსაც, ახასიათებს, ერთი მხრივ, განსაკუთრებულად დაწვრილებული წვეტები, (I ჯგუფის მონეტების კარტუშის მსგავსად), მეორე მხრივ კი,

462 შეად. Пахомов, *Монеты Грузии*, 239-249.



სურ. VI.3. ცენტრალური კარტუში სირმა აბაზის შუბლზე; ჩვეულებრივი ვარიანტი



სურ. VI.4. ცენტრალური კარტუში I ჯგუფის „უცნაური" სირმა აბაზის შუბლზე — წაწვეტებული ვარიანტი



სურ. VI.5. ცენტრალური კარტუში II ჯგუფის „უცნაური" სირმა აბაზის შუბლზე — შეტრიალებული ვარიანტი

წვეტების არარსებობა 9 და 3 სთ-ზე; თბილისის დაწერილობას ანომალურს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ გრაფემები უჩვეულოდ მსხვილია (ასევე, დიდი მსგავსებაა I ჯგუფის მონეტებზე ქალაქის დაწერილობასთან). რაც მთავარია,



სურ. VI.6. ქართლ-კახეთის სამეფო, ერეკლე II, თბილისი, „უცნაური" სირმა აბაზი, ინვოკაციით მარცხნივ



სურ. VI.7. ქართლ-კახეთის სამეფო, ერეკლე II, თბილისი, „უცნაური" სირმა აბაზი, ინვოკაციით მარცხნივ

ელიფსოიდური პატარა კარტუში ფორმულით *ჰოი, ქარიმ* განთავსებულია არა 12 სთ-ზე, როგორც წესი და რიგია, არამედ დაახლოებით 9-9:15 სთ-ზე (sic)

(ფაქტიურად, კარტუში ინვოკაციასთან ერთად 90 გრადუსით მარცხნივ არის შეტრიალებული, სურ. VI.5). მოჭრის ადგილის დასახელების ქვეშ მითითებული თარიღი საკმაოდ უცნაურია: თითქოს, ჩანს, მინიატურული ١ და ٢, რომელთაც მოჰყვებათ წერტილი (٠ / *ნული*, თუ დიაკრიტიკული წერტილი, თუ, სულაც, დეკორატიული ელემენტი), და ძალიან წვრილად დაწერილი სიმბოლო, შეტეხილი მარჯვენა შვერილით, რომელიც *შვიდიანს* (٧) მოგვაგონებს.

ორივე მონეტა შუბლის ერთი და იმავე, და ზურგის განსხვავებული სიქებით არის მოჭრილი.

III ჯგუფი ერთი ეგზემპლარით არის წარმოდგენილი. სურ. VI.8. მასა 3.04 გ, კვეთა 19.2 მმ, სიქების თანაფარდობა 11 სთ.

მონეტის მასა სავსებით ნორმალურია. ზურგის არაბული ზედწერილის კალიგრაფია რამდენადმე გაკრულია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ასევე, სავსებით ნორმალურია.



სურ. VI.8. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, „უცნაური" სირმა აბაზი, ორთოგრაფიული შეცდომით

ყურადღებას იპყრობს შუბლზე გამოსახული კარტუშის თავისებური ფორმა, რომელიც, ერთი მხრივ, წაწვეტებულია (I და II ჯგუფის მონეტების კარტუშის მსგავსად), მეორე მხრივ კი, საზოგადოდ, გამოირჩევა მომრგვალებული ნაწილების სიმწირით. *თბილისი* შეცდომით წერია (sic), როგორც تفلس და არა تفليس, ანუ, გრძელი ხმოვნის გარეშე; XVIII საუკუნეში მიღებული იყო *თბილისი* ბოლო გრძელი ხმოვნით დაეწერათ; მის გარეშე ზოგჯერ ილხანური პერიოდის მონეტებზე იწერებოდა. პირვანდელ პუბლიკაციაში მითითებულია, რომ 395 მონეტიდან *თბილისის* ამგვარად დაწერა მხოლოდ ამ მონეტაზე დაფიქსირდა, და, ამგვარად, უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენდა.[463] აღსანიშნავია, რომ ამ მონეტაზედაც ქალაქის სახელი შედარებით მსხვილად წერია, ისევე როგორც I და II ჯგუფის აბაზიანებზე. მოჭრის ადგილის დასახელების ქვეშ მითითებული თარიღი საკმაოდ უცნაურია: თითქოს, ჩანს, მინიატურული ١ და ٢.

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ჯგუფის ხუთივე მონეტა ვიზუალურად კარ-

463 Paghava, Bebia, "A Group of Unusual Sirma Abazis: Die Analysis", 9.

გი ვერცხლისგან მოჭრილის შთაბეჭდილებას ტოვებს. სამწუხაროდ, ლაბორატორიული ანალიზის გაკეთება ვერ მოხერხდა. ყველა მონეტის ზედაპირი ორივე მრიდან დეკორატიული წერტილებითა და მცენარეული ელემენტებით არის დაფარული, როგორც ეს, საზოგადოდ, მიღებული იყო სირმა თეთრზე. მასა ყველა შემთხვევაში ნორმალურია, ისევე როგორც ზომა. კალიგრაფიაც სავსებით მისაღებია. ორთოგრაფიის მხრივ საყურადღებოა მხოლოდ შეცდომა *თბილისში* III ჯგუფის მონეტაზე.

ამრიგად, ერთი შეხედვით, ეს მონეტები თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ჩვეულებრივი აბაზიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ. მეტროლოგიურადაც, ანუ მასით (სინჯითაც?) სრულფასოვანი მონეტებია. დარწმუნებულნი ვართ, მიმოქცევაში ჩართვა არ გაუჭირდებოდათ, და ჩვეულებრივი სირმა საფასის სტატუსითაც სარგებლობდნენ. თუმცა, უფრო სკრუპულოზური შესწავლით თვალში საცემი ხდება ზემოთ ჩამოთვლილი ანომალური ნიშნები.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დგება საკითხი — ეს მონეტები ქართლ-კახეთის სამეფოს ოფიციალურ საფასეს, თბილისის ზარაფხანის ნაწარმს წარმოადგენენ, თუ მინაბაძებია?



სურ. VI.9. განჯის სახანო, ქარიმ-ხანის ინვოკაციით, განჯა, ʻაბბასი, ჰ. 1188 წ.[464]

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცნობილია განჯის სახანოს ვერცხლის მონეტები, სადაც კარტუში ფორმულით *ჰოი, ქარიმ* ასევე ადგილგადანაცვლებულია, და 12 სთ-ზე აღარაა — მარცხნივ, გვერდზე არის მოქცეული (სურ. VI.9).[465] ვიცნობთ ჰ. 1183, 1187 და 1188 წლების ამგვარ მონეტებს.[466] ამ მონეტების სინჯი უცნობია, თუმცა, de visu, კარგი ვერცხლისგან მოჭრილის შთაბეჭდილებას ტოვებენ; წონა კი, მეტწილად, ნორმალურია: 3.70 (სურ. VI.9), 3.69, 3.15 გ. (ნორმატივი — 3.8 გ?[467]). ვფიქრობთ, მიმოქცევაში ჩართვა არ გაუჭირდებოდათ. ჩვენი აზრით, ნაკლები ალბათობაა, რომ მინაბაძს წარმოადგენდნენ.

დოკუმენტაციის არარსებობის გათვალისწინებით, აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას იძულებულნი ვართ მხოლოდ თავად მონეტების ანალიზით შემოვ-

464 Zeno Oriental Coins Database <http://www.zeno.ru/>, №36277, accessed 30 April 2023.

465 იქვე, 9.

466 იქვე, 9, footnote 30.

467 Album, *Checklist of Islamic Coins. Third Edition*, 297, A2944.

სქემა 1. I, II, და III ჯგუფის უჩვეულო სირმა აბაზიანების სიქის კავშირები





სურ. VI.10. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. 1203 წ.



სურ. VI.11. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. "121" წ.



სურ. VI.12. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. 1211 თუ „121" წ.



სურ. VI.13. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. 1211 წ.



სურ. VI.14. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. 1211 წ.

იფარგლოთ. ჩატარდა ამ მონეტების სიქების ანალიზი (შესწავლილია 367 სირმა აბაზიანი), რომელმაც აჩვენა, რომ I და II ჯგუფის აბაზიანები კავშირშია როგორც ერთმანეთთან, ასევე ჩვეულებრივ, სტანდარტულ სირმა აბაზიანებთან, რომელთა წარმომავლობაც (თბილისის ზარაფხანაში დამზადება) ეჭვს არ იწვევს.[468] იხ. სქემა 1[469] (სიქას წარმოადგენს მისი ანაბეჭდის გამოსახულება; იმ შემთხვევაში, თუ ჩვენთვის ხელმისაწვდომია ერთი და იმავე სიქით მოჭრილი ერთზე მეტი მონეტა, სიქა წარმოდგენილია უკეთ შემონახული ანაბეჭდით).

ამ სქემაზე კარგად ჩანს, რომ I და II ჯგუფის მონეტები უკავშირდება ერთმანეთს ზურგის ერთი სიქის მეშვეობით; იმავე ზურგის სიქით I და II ჯგუფის მონეტები უკავშირდება ასევე ჰ. 1203 წელს მოჭრილ სტანდარტულ აბაზიანს (სურ. VI.10). II ჯგუფის მეორე მონეტის მოსაჭრელად გამოყენებული ზურგის მეორე სიქით კი II ჯგუფის მონეტები უკავშირდება ჰ. „121" (*1201, 1210* თუ *1211*?) და 1211 წლებით დათარიღებულ აბაზიანებს (რომელიც მოჭრილია შუბლის სხვადასხვა სიქით, თარიღის ნაირ-ნაირი განლაგებით) (სურ. VI.11-14).

468 Paghava, Bebia, "A Group of Unusual Sirma Abazis: Die Analysis", 10-2.

469 იქვე, 11.

ამგვარად, სარწმუნოდ დასტურდება, რომ I და II ჯგუფის მონეტები და *სტანდარტული* სირმა აბაზიანები იჭრებოდა საზიარო სიქებით, ანუ, ერთსა და იმავე ზარაფხანაში. ეს ქართლ-კახეთის სამეფოს თბილისის ზარაფხანა უნდა ყოფილიყო. აი III ჯგუფის ერთადერთი მონეტისთვის კი სხვა აბაზიანებთან სიქის კავშირის მოძებნა, ჯერჯერობით მაინც, ვერ მოხერხდა. ამიტომ, ამ მონეტას თბილისის ზარაფხანას გადაჭრით ვერ მივაკუთვნებთ. თუმცა, ვფიქრობთ, თუ გავითვალისწინებთ მის, აშკარად, მაღალ სინჯს, სრულწონიანობას, მსგავსებას I და II ჯგუფის მონეტებთან, — ისიც, დიდი ალბათობით, თბილისის ზარაფხანის მოჭრილი უნდა იყოს.

როდის მოიჭრა I, II და III ჯგუფის მონეტები? გამოვთქვამდით რამდენიმე მოსაზრებას.[470]

სამივე ჯგუფის აბაზიანების შუბლზე წრიული რკალი შედგება წერტილებისგან, და არა სამწერტილებისგან, რაც დამახასიათებელია ჰ. 1193-1213 წლებში მოჭრილი სირმებისთვის, და იქამდე არ გვხდება.[471] დიამეტრითაც ეს მონეტები უფრო გვიანდელი უნდა იყოს (ადრეულები, ჩვეულებრივი, უფრო თხელია, მაგრამ მეტი დიამეტრი აქვთ, გვიანდელების კვეთა კი ნაკლებია, მაგრამ უფრო „ბუთხუზები" არიან).

შუბლის წაწვეტებული კარტუში, შესაძლოა, ხელოსნის სტილის გამომხატველი იყოს. ვინაიდან დამტკიცებულია, რომ I და II ჯგუფის მონეტები მაინც თბილისის ზარაფხანაშია მოჭრილი, იბადება შეკითხვა, ხომ არ გხვდება ანალოგიური ან მიმსგავსებული კარტუშის მქონე აბაზიანები, ოღონდ, დათარიღებული? საკმაოდ წაწვეტებულია კარტუში ჰიჯრის 1201, 1203 და 1207 წლებით დათარიღებულ აბაზიანებზე (სურ. VI.10, VI.15-16). ხომ არ მიუთითებენ ეს თარიღები ჩვენთვის საინტერესო „წვეტიანი" ხელოსნის საქმიანობის წლებზე?

I ჯგუფის მონეტებზე თარიღის ციფრები გამორჩეულად დიდი და სქელია, და მოგვაგონებს ციფრებს ჰ. 1201 და 1203 წლებით დათარიღებულ აბაზიანებზე (სურ. VI.10, VI.15).



სურ. VI.15. ქართლ-კახეთის სამეფო, ერეკლე II, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. 1201 წ.



სურ. VI.16. ქართლ-კახეთის სამეფო, ერეკლე II, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. 1207 წ.

ზურგის სიქით I და II ჯგუფის მონეტები კავშირშია ჰ. 1203 წლის აბაზიანთან; ზურგის მეორე სიქით II ჯგუფის მონეტები კავშირშია ჰიჯრის 1201, ან 1210, ან 1211 წლის, და ჰიჯრის 1211 წლის მონეტებთან. შესაბამისი ზურგის სიქების ამოსაჭრელად terminus post quem non არის ჰ. 1203 და 1201, ან 1210, ან

470 იქვე, 10.

471 Пахомов, *Монеты Грузии*, 239, примечание 1; Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VIII*, 32.

1211 წელი. შესაბამისად, ამ ზურგის სიქებით I და II ჯგუფის მონეტების მოჭრა შესაძლებელი იქნებოდა ან მითითებული თარიღების შემდეგ, ან, საფიქრებელია, არც თუ დიდი ხნით ადრე (წინააღმდეგ შემთხვევაში, საკმაო ალბათობით, სხვა აბაზიანებსაც ვნახავდით, სადაც შესაბამისი ზურგის სიქა უფრო ადრეული თარიღის მატარებელ შუბლის სიქასთან იქნებოდა შეწყვილებული).

თავად მონეტები, თითქოს, დათარიღებულია, ოღონდ, უცნაურად. I და III ჯგუფის მონეტებზე ხომ არ იგულისხმება თარიღი „12" (ციფრები ადგილგადანაცვლებულია I ჯგუფის მონეტებზე?), რაც შეიძლება ჰ. 1200 წელს გულისხმობდეს? ევგენი პახომოვი უთითებს სირმა აბაზიანების არსებობას თარიღებით ჰ. „12" და „120", და მათ ჰ. 1200 წლად მიიჩნევს.[472] II ჯგუფის მონეტებზე V-ის მაგვარი ელემენტი, ჩვენი აზრით, უბრალოდ დეკორატიული დანიშნულებისაა და ციფრს არ წარმოადგენს (მაინც, *შვიდიანად* რომ ჩავთვალოთ, გამოვა, რომ II ჯგუფის მონეტები ჰიჯრის 1207 წლით არის დათარიღებული).

ამ არგუმენტების ერთობლიობაში გაანალიზებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ უკლებლივ სამივე ჯგუფის მონეტები მოიჭრა თბილისის ზარაფხანაში, და ქართლ-კახეთის სამეფოს ოფიციალურ ემისიას წარმოადგენდა. რაც შეეხება მათ მოჭრის დროს, სავარაუდოდ, ყველა ჰ. 1200-იან წლებში მოიჭრა, ჰ. 1200 (I და III, შესაძლოა, ასევე, მეტი ალბათობით, II ჯგუფის მონეტები) ან 1207 წელს (ნაკლები ალბათობით, II ჯგუფის მონეტები).

*

ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად თავისებური სირმა შაური, რომელიც გამოირჩევა არასტანდარტული არშიებით — კარტუშის მაგიერ, ქარიმ-ხანის ინვოკაცია შუბლზე ერთი რკალითა და სამწერტილებით არის გარშემორტყმული; ზურგზედაც დამატებითი გარეთა ხაზოვანი რკალია? წონა 0.61 გ, კვეთა 15-17 მმ, სიქების თანაფარდობა 11.30 სთ-ზე (სურ. VI.17). სამწუხაროდ, თარიღი ამ მონეტაზე იკითხება მხოლოდ ნაწილობრივ: ჰ. 11...

სრულიად უჩვეულო დიზაინი გვაეჭვებს, ეს შაური თბილისის ზარაფხანაში მოიჭრა, თუ მინაბაძია? თუ გავითვალისწინებთ რომ მონეტა გახვრეტილი-



სურ. VI.17. ქართლ-კახეთის სამეფო? ირაკლი II, თბილისი, სირმა შაური, ჰ. 11... წ.

472 Пахомов, *Монеты Грузии*, 245, таб. XIX, 28a-c.

ცაა და შემოტეხილიც, ვფიქრობთ მისი წონა *თავდაპირველად* უახლოვდებოდა ნორმატიულს (0.768 გ). მონეტის შენადნობი კარგი ვერცხლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ორივე მხარის ველების გაფორმება საკმაოდ აუთენტიკურის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ გარემოებების გათვალისწინებით, უფრო იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ წინამდებარე მონეტა უფრო თბილისის ზარაფხანის რატომღაც გამორჩეულ ნაწარმს წარმოადგენს, და არა მინაბაძს. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს არის ევგენი პახომოვის მიერ მიერ აღწერილი ჰ. 1189 წლით დათარიღებული მონეტა (დიზაინის აღწერა ემთხვევა).[473]

ვიცნობთ ასევე სირმა შაურს, დათარიღებულს ჰ. 1190 ან 1195 წლით, რომელიც ცალ მხარეზე რამდენიმე პატარა ვარსკვლავის / ფიფქის გამოსახულების არსებობით გამოირჩევა.

*

წლების წინ შევიმუშავეთ სირმა თეთრის სიქების იდენტიფიცირების ახლებური სისტემა, როგორც მოსამზადებელი სამუშაო სიქების სამომავლო



სურ. VI. ტაბულა-XIX. სირმა მონეტებზე თარიღის განლაგების ვარიანტები (ევგენი პახომოვის მიხედვით)

473 იქვე, 242, таб. XIX, 12a.



სურ. VI.18. სირმა აბაზი, ჰ. 1190 წ. (თარიღის განლაგების ახალი ვარიანტი), 2.99 გ



სურ. VI.19. სირმა აბაზი, ჰ. 1191 წ. (თარიღის განლაგების ახალი ვარიანტი), 3.02 გ



სურ. VI.20. სირმა აბაზი, ჰ. 1192 წ. (თარიღის განლაგების ახალი ვარიანტი), 2.90 გ



სურ. VI.21. სირმა აბაზი, ჰ. 1196 წ. (თარიღის განლაგების ახალი ვარიანტი), 2.91 გ



სურ. VI.22. სირმა აბაზი, ჰ. 1203 წ. (თარიღის განლაგების ახალი ვარიანტი), 2.97 გ



სურ. VI.23. სირმა აბაზი, ჰ. 1204 წ. (თარიღის განლაგების ახალი ვარიანტი), 2.94 გ



სურ. VI.24. სირმა აბაზი, ჰ. 1205 წ. (თარიღის განლაგების ახალი ვარიანტი), 3.05 გ



სურ. VI.25. სირმა აბაზი, ჰ. 1206 წ. (თარიღის განლაგების ახალი ვარიანტი), 2.77 გ



სურ. VI.26. სირმა აბაზი, ჰ. 1208 წ. (თარიღის განლაგების ახალი ვარიანტი), 2.92 გ

ანალიზისთვის.[474] თუმცა, შემუშავებული სისტემა, თავისი სიზუსტის მიუხედავად, საკმაოდ ტლანქი და მოუხერხებელი აღმოჩნდა.[475] სირმა მონეტების სიქების კორპუსის შედგენა, ჯერაც, სამომავლო საქმედ რჩება, და სიქების რეგისტრაციის სისტემაც შესამუშავებელ-დასახვეწი იქნება.

იქამდე კი, დღესაც გვიწევს ვისარგებლოთ ევგენი პახომოვის მიერ შემოღებული ტაბულით, რომელშიც ავტორმა სხვადასხვა წლის სირმებზე თარიღის ადგილმდებარეობის ვარიანტები აღნიშნა[476] (სურ. VI.ტაბულა-XIX). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მონეტები თარიღის იდენტური ადგილმდებარეობა-განაწილებით, როგორც ჩანს, ზოგჯერ მაინც, სხვადასხვა სიქით არის მოჭრილი. გარდა ამისა, სრულიად შეუმუშავებელი რჩება ზურგის სიქების კლასიფიკაციის თუ არა, აღრიცხვის პრინციპები მაინც.

დღეისთვის შესაძლებელია უკვე — თარიღის ადგილმდებარეობით — ევგენი პახომოვისთვის უცნობი აბაზიანის შუბლის სიქის ახალი ვარიანტების გამოყოფაც. შენიშნული გვაქვს რამდენიმე სირმა აბაზიანი თარიღის ისეთი ადგილმდებარეობა-განაწილებით, რომელიც ევგენი პახომოვს აღრიცხული არ ჰქონდა.[477]

მოვიყვანთ ამ მონეტების გამოსახულებებს (სურ. VI.18-26).

ჰიჯრის 1208 წლის აბაზიანზე[478] (სურ. VI.26), მართალია, თარიღი ისეა განლაგებული, როგორც ევგენი პახომოვთანაა,[479] მაგრამ არშია წერტილებისგან შედგება, და არა სამწერტილებისგან.

ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში მოვიძიეთ ჰ. 1190, 1204, და 1207 წლებით დათარიღებული კიდევ სამი, აქამდე გამოუქვეყნებელი ვარიანტი.[480]

*

აღნიშვნის ღირსია, რომ ზოგიერთ, ჰ. 1201 წლით დათარიღებულ მონეტაზე ზურგის გაფორმება არასტანდარტულია: ყურანული ფორმულა გარშემორტყმულია არა ჩვეულებრივი არშიით, არამედ ხაზოვანი რკალით, რომლის

474 Paghava, "Variation in the Composition and Arrangement of Dates on Sirma Coins: Approach to Die Analysis", 13-15.

475 Cf. Bennett, *A Catalog of Georgian Coins*, 302.

476 Пахомов, *Монеты Грузии*, таб. XIX, 1a-47a.

477 Paghava, "Variation in the Composition and Arrangement of Dates on Sirma Coins: Approach to Die Analysis", 15-16, Figs. 2-10.

478 იქვე, 16.

479 Пахомов, *Монеты Грузии*, 247, таб. XIX, 40b.

480 Paghava, "Variation in the Composition and Arrangement of Dates on Sirma Coins: Approach to Die Analysis", 16.



სურ. VI.27. სირმა აბაზი, ჰ. 1201 წ. (ზურგის არასტანდარტული დიზაინით), 2.93 გ



სურ. VI.28. სირმა აბაზი, ჰ. 1201 წ. (ზურგის არასტანდარტული დიზაინით), 3.00 გ

გარეთაც ჯერ თავისუფალი სივრცეა, შემდეგ კი ხაზოვანი რკალი ან კომპლექსური არშია.[481]

საინტერესოა, რომ ზურგის ასეთ, ყველაზე ცოტა, ორ სიქას ვიცნობთ (სურ. VI.27-28).

481 Пахомов, *Монеты Грузии*, 245, примечание 2.

# თავი VII. ემისიის ქრონოლოგია

სირმა თეთრის ფენომენის ანალიზისთვის აუცილებელია მისი ისტორიულ კონტექსტში მოთავსება. ეს კი, ბუნებრივია, გულისხმობს სირმა თეთრის ქრონოლოგიის შესწავლას, ისტორიულ მოვლენებთან შესაძლო კავშირის გამოვლენას.

*

უმნიშვნელოვანესი საკითხია, თუ როდიდან დაიწყო სირმა თეთრის ემისია. ზემოთ (თავი V) უკვე აღვნიშნეთ, რომ ჰიჯრის 1179 წელს (1765/6), მაგრამ ამ თარიღს დასაბუთება ესაჭიროება.

გასათვალისწინებელია, რომ არსებობს ე.წ. ჰიჯრის „1166" წლით (ჰ. 1166 = 1752/3) დათარიღებული სირმა აბაზიანებიც, რომელთა არსებობაც, თითქოს, ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ სირმა ვერცხლი პირველად ირაკლი II-ის მიერ ჰ. 1179-1182 წლებში ჩატარებული რეფორმის ფარგლებში გაჩნდა (იხ. თავი V). ჰ. 1166 წლით დათარიღებული სირმა აბაზის (სურ. VII.1) პრობლემის გადაჭრას მიეძღვნა სევერიანე თურქიასა და ირაკლი ფაღავას საგანგებოდ დაწერილი ერთობლივი ნაშრომი;[482] ავტორთა მსჯელობას, შეკვეცილი სახით, აქაც მოვიყვანთ.



სურ. VII.1. ქართლ-კახეთის სამეფო, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. „1166" წ., 3.08 გ

2008 წელს გამოქვეყნებული კვლევაში ავტორებმა სიქების ანალიზის მეთოდს მიმართეს.

საკვლევ მასალას კი წარმოადგენდა 367 სირმა მონეტა, სირმა აბაზი, სხვადასხვა საჯარო თუ კერძო კოლექციიდან, ასევე, სხვადასხვა ნაბეჭდი ნაშ-

482 Turkia, Paghava, "The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH "1166" and Its Dating", 28-32.

რომიდან.[483] ავტორებმა ასევე გაითვალისწინეს ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის საფასის ეპიგრაფიკული თავისებურებებიც. ანალიზის ფარგლებში ყურადღება დაეთმო, ასევე, ქარიმ-ხან ზენდის ურთიერთობას ქართლ-კახეთის სამეფოსა და მის მონარქებთან.

ვიქტორ ლანგლუას[484] მიხედვით, „1166" წლით დათარიღებული მონეტები ნამდვილად ჰიჯრის 1166 (1752/3) წელს მოიჭრა; მკვლევარი პაპუნა ორბელიანის ცნობასაც კი იმოწმებდა, რომელშიც XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი თეიმურაზ II-ისა და ირაკლი II-ის მიერ მონეტის მოჭრაზე წერდა:

> „გამოიტანეს მეფეთა ჩვენთა თვისსა სალაროთი ოქროსა და ვერცხლის იარაღი, მისცეს ზარაფხანაში, მოაჭრევინეს ფლური და თეთრი და აძლევდნენ ჯარსა, ცდილობდნენ კიდევ შეყრას ჯარისასა"[485]

ზუსტი თარიღი პირველწყაროში მითითებული არ არის; თუმცა, მოვლენები ქრონოლოგიურად არის მოთხრობილი, და, კონტექსტის მიხედვით, მონეტები 1752-1753 წლებში უნდა მოეჭრათ.[486] როგორც ვხედავთ, სახეზეა დამთხვევა ნარატიულ პირველწყაროსა და სამონეტო მასალას შორის:

> "La Chronique de Papouna Orbélian parle des monnaies d'or et d'argent que Theimouraz et Éréklé firent frapper aves des vases d'or et d'argent tirés de leurs trésors, pour solder les troupes qu'ils réunissaient. Le chroniquer indique l'année 1752 comme étant celle de la fabrication de ces monnaies; or l'année 1166 de l'hégire correspond à l'année de l'ère chrétienne qui commença le 28 octobre 1752. Les témoignages historiques se trouvent donc ici parfaitement d'accord avec les monuments numismatiques."[487]

ვიქტორ ლანგლუას მოსაზრება გაიზიარა დეივიდ ლენგმაც, რომელმაც ამ თარიღის მატარებელი სირმა აბაზის მოჭრა თეიმურაზ II-ს მიაწერა, რომლის

---

483 Пахомов, *Монеты Грузии*, таб. XVI, №146-160; კაპანაძე, *წარსულის მაცნეები*, ტაბულები, №121; Капанадзе, Грузинская нумизматика, Таблица XV, №189; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), ტაბულა XIX, №232; Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*, Plate XIII, ##2-4, 6, XIV, #5; ქებულაძე, „ფხოველის განძი", ტაბულა I, №1; Stephen Album, *Sylloge of Islamic Coins in the Ashmolean. Volume 9. Iran after the Mongol Invasion* (Ashmolean Museum Oxford, 2001), Plate 32, ##652A-652D, Plate 33, ##652E-652F; Tobias Mayer (bearbeitet von. Mit Beiträgen von Stefan Heideman und Gert Rispling), *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas in Orientalischen Münzkabinett Jena* (Wiesbaden: Harrasowitz, 2005), 131, ##1117-1142; Zeno Oriental Coins Database <http://www.zeno.ru/>, accessed 20 September 2008; სხვადასხვა კერძო კოლექცია.

484 Langlois, *Essai de Classification des Suites Monétaires de la Géorgie, depuis l'Antiquité jusqu'à nos Jours*, 117-118.

485 პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა,196.

486 ფალავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 516-517.

487 Langlois, *Essai de Classification des Suites Monétaires de la Géorgie, depuis l'Antiquité jusqu'à nos Jours*, 117-118.

ზეობაზედაც (1744-1762) მოდის კიდევაც ჰიჯრის 1166 წელი (1752/3); მეცნიერმა პირდაპირ მიუთითა, რომ სირმა საფასისთვის დამახასიათებელი სამონეტო ტიპი სწორედ თეიმურაზ II-მ შეიმუშავა:

> "In general, the silver coinage was modeled on the type evolved by T'eimuraz II in 1752".[488]

იმავე აზრს იზიარებდა დავით კაპანაძეც.[489]

მოხსენებულ ავტორთაგან განსხვავებით, ევგენი პახომოვი კი იცნობდა „1166" წლით დათარიღებულ აბაზიანებს, მაგრამ, არ იყო დარწმუნებული, რომ თარიღი მათზე სწორედ იყო მითითებული, და „გამონაკლისს" უწოდებდა;[490] სირმა საფასის ემისიის საწყისად ევგენი პახომოვი აშკარად ჰ. 1179 წელს[491] მიიჩნევდა, ვინაიდან, სწორედ ამ თარიღიდან იწყებს ცნობილი სახესხვაობების დეტალურ აღწერას.[492]

სტივენ ალბუმმა კი, თავის დროზე, გამოთქვა მოსაზრება, რომ, სინამდვილეში, „1166" წარმოადგენს *1199-ს* (ჰ. 1199 = 1784/5), სადაც ცხრიანების თავები ზევიდან შეუკრავია.[493]

სევერიანე თურქიასა და ირაკლი ფაღავას აზრით, რომელსაც დღესაც სრულად ვიზიარებთ, აბსოლუტურად შეუძლებელია, რომ „1166"-აბაზიანები

---

488 Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*, 109-110.

489 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 100; Капанадзе, Грузинская нумизматика, 130; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 159.

490 Пахомов, *Монеты Грузии*, 237-238. ევგენი პახომოვის დაკვირვებით, ყველა მის მიერ ნანახი ეგზემპლარი (თარიღიანი მხარის? — ი.ფ.) ერთი და იგივე სიქით იყო მოჭრილი. Пахомов, *Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа. Выпуск II*, 58, №537. თუმცა, ვიქტორ ლანგლუას ვერსიასაც ითვალისწინებდა. Пахомов, *Монеты Грузии*, 260.

491 განმაცვიფრებელია, რომ დავით კაპანაძე, რომელიც ევგენი პახომოვს პირადადაც იცნობდა და, ასევე, იცნობდა როგორც ევგენი პახომოვის, ასევე დეივიდ ლენგის წიგნებს (ამ უკანასკნელში ასევე აღწერილია ჰ. 1179 წლის აბაზიანი ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების კოლექციიდან), მაინც წერდა ჰ. 1166 წლიდან 1181 წლამდე სირმა აბაზიანების არგამოშვების შესახებ. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 100; Капанадзе, Грузинская нумизматика, 130; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 159.

492 Пахомов, *Монеты Грузии*, 237-239.

ევგენი პახომოვს გამოქვეყნებული აქვს მონეტა, რომელსაც ავტორი „ნახევარაბაზს" უწოდებს, თუმცა კი, წონად მითითებული აქვს 0.75 გ, რაც უფრო სირმა შაურის წონას შეესაბამება; მონეტა სახელმწიფო ერმიტაჟის კოლექციაში ინახება. ავტორის აზრით, ეს უნდა იყოს ჰიბრიდი, მოჭრილი ჰ. 1179 წელს შემდგომ პერიოდში შუბლის ძველი სიქით, თარიღით 1177. იქვე, 238. სამწუხაროდ, ამ მონეტის გამოსახულება ავტორს გამოქვეყნებული არ აქვს, რაც მოგვცემდა საშუალებას ამ საკითხში გავრკვეულიყავით (ჰ. 1177 წლის მონეტის შუბლი სირმა ტიპის არ უნდა იყოს).

493 Stephen Album, *A Checklist of Islamic Coins. Second Edition* (1998), 140, #2975. ნაშრომის შემდგომ გამოცემაში ავტორმა უკვე გაითავლისწინა სევერიანე თურქიასა და ირაკლი ფაღავას მოსაზრება. Album, *Checklist of Islamic Coins. Third Edition*, 299-300, footnote 740.

ჰიჯრის 1166 წელს ყოფილიყოს მოჭრილი, და ეს ვერსია ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარვყოთ. არგუმენტაციას შედარებით დეტალურად განვიხილავთ.

დავიწყებთ იმ გარემოების აღნიშვნით, რომ **ისტორიული კონტექსტი**[494] პრაქტიკულად გამორიცხავს ჰიჯრის 1166 წლისთვის (1752/3) ქარიმ-ხანისადმი ქართლ-კახეთის სამეფოს დაქვემდებარებას.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ჰიჯრის 1166 წლისთვის (1752/3) არეზის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებზე ქარიმ-ხან ზენდის ძალაუფლება ჯერ კიდევ არ ვრცელდებოდა, არ იგრძნობოდა. ირანის სახელმწიფოს *ჩრდილოეთს* აკონტროლებდნენ ქარიმ-ხანის მოწინააღმდეგეები: მოჰამედ ჰასან-ხან ყაჯარი, აზატ-ხან ავღანი, შემდგომში — ფათალი-ხან ავშარი. ძალთა თანაფარდობა მუდმივად იცვლებოდა; ასე რომ, ქარიმ-ხანის სახელით მონეტის სპორადული მოჭრა მაინც შესაძლებელია, თუმცა, ამ პერიოდის არეზს ჩრდილოეთში ქარიმ-ხანის უზენაესობის ცნობის ფაქტი ჩვენთვის აბსოლუტურად უცნობია — ქარიმ-ხანის მდგომარეობა მყარი არ იყო, და მას, ხშირად, შეტევის მაგიერ, თავად უწევდა თავდაცვაზე გადასვლა; ზოგჯერ ისფაჰანსა და შირაზსაც კი კარგავდა.[495] ჰიჯრის 1165 წელს, ანუ, 1751 თუ 1752 წელს[496], ქარიმ-ხანი დამარცხდა, როდესაც ასტარაბადში მოჰამედ ჰასან-ხან ყაჯარი ჰყავდა ალყაშემორტყმული.[497] 1753-1755 წლებში ქარიმ-ხანს არც აზატ-ხან ავშართან გაუადვილდა ბრძოლა; მართალია, საბოლოო ჯამში, გაიმარჯვა, მაგრამ გაჭირვებით; აზატ-ხანმა არეზის სამხრეთით ძალაუფლების შენარჩუნებაც კი მოახერხა, და მხოლოდ 1757 წელს ყაჯარებთან ბრძოლაში დამარცხდა.[498] ასტარაბადის მარცხისა და აზატ-ხანთან ბრძოლის პერიოდში ქარიმ-ხან ზენდი ტერიტორიას არეზის ჩრიდლოეთით აშკარად ვერ გააკონტროლებდა. თავად აზატ-ხანს რაც შეეხება, ის კი ცდილობდა არეზის ჩრდილოეთით ფეხის მოკიდებას, მაგრამ ქართველებმა ერევნის ალყაზე ხელი აალებინეს და, შემდეგ, 1751 წელს, ყირხბულახის ბრძოლაში დაამარცხეს; 1752 წელს შაქის ხანის მიერ ქართველთა ხელმეორედ დამარცხების შემდეგ კონფრონტაცია განახლდა; მაგრამ, საბოლოო ჯამში, პოზიციები არეზის ჩრდილოეთით აზატ-ხანმა მაინც, ჩანს, დათმო, ეს ტერიტორია ქართლ-კახეთის გავლენის სფეროდ სცნო და ქართველ მეფეებთან კავშირი ამჯობინა — ცოლად მოიყვანა თეიმურაზის დისშვილი, 1750-იანი წლების დასაწყისში.[499] *მიუხედავად იმისა, 1752-1755*

494 Turkia, Paghava, "The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH "1166" and Its Dating", 29.

495 Perry, "Karim Khan Zand"; შარაშენიძე, *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში*, 25; შენგელია, *ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს*, 75.

496 დამაჯერებლად გვეჩვენება ზურაბ შარაშენიძის არგუმენტაცია უფრო გვიანდელი თარიღის სასარგებლოდ. შარაშენიძე, *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში*, 22, სქოლიო 20.

497 იქვე; Perry, "Karim Khan Zand"; შენგელია, *ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს*, 77-78.

498 Perry, "Karim Khan Zand"; Perry, *Karim Khan Zand*, 31-37; შენგელია, *ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს*, 72-75; შარაშენიძე, *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში*, 25-29.

499 იქვე, 20-21, 42; დუმბაძე, „ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბა-

*წლების პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფო აზატ-ხანის მოკავშირე იყო თუ არა, წარმოუდგენლად გვეჩვენება, ქართველ მონარქებს თავის საფასეზე ქარიმ-ხანის სახელი მიეთითებინათ.*

ზემოთ (იხ. თავი III) უკვე ვაჩვენეთ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ ჰორიზონტზე ქარიმ-ხან მხოლოდ 1760-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა.

გასათვალისწინებელია **ნუმიზმატიკური კონტექსტიც**.[500]

*სიქეს* უფლების სიუზერენისადმი დათმობის ვალდებულებიდან გამომდინარე, თანადროული საფასე ობიექტურად ასახავდა ისტორიულ რეალიებს — ამა თუ იმ ზარაფხანაში მოჭრილ მონეტებზე მითითებული სახელი ადასტურებს შესაბამისი ქალაქის (ოლქის) რეალურ თუ, ყველაზე ცოტა, ნომინალურ დამოკიდებულებას მითითებულ პირზე. თბილისის შემთხვევაში ვიცნობთ შაჰროხ ავშარიანის სახელით გამოშვებულ საფასეს, თარიღებით ჰიჯრის 1162-1165 (1748/9-1751/2), და, შემდეგ, ჰიჯრის 1169-1170 (1755/6-1756/7) (სურ. VII.2).[501]



სურ. VII.2. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, შაჰროხ ავშარის სახელით, თბილისი, აბაზი, ჰ. 1163 წ.

(სავარაუდოდ) 1752-1153 წლისთვის კი გვაქვს პაპუნა ორბელიანის ცნობა ქართველ მეფეთა მიერ ვერცხლის (და ოქროს) მონეტის მოჭრის შესახებ,[502] მაგრამ, ვისი სახელით, პირველწყაროში აღნიშნული არ არის. შაჰროხის სახელის მითითება, რომელსაც კავკასიის რეგიონში არანაირი რეალური ძალაუფლება არ გააჩნდა, ერთგვარი ლეგიტიმისტური პრინციპის დაცვით უნდა აიხსნებოდეს — 1750-იან წლებში საგარეო პოლიტიკაში თეიმურაზ II და ირაკლი II ხომ სწორედ ავშარიანთა დინასტიის „კანონიერი" წარმომადგენლის / მონარქის მხარდაჭერას ამჯობინებდნენ:[503] თავად ქართველი მეფისა თუ მეფეების

---

ტონობისაგან", 621-622, 624-625; Lang, *The Last Years of the Georgian Monarchy. 1658-1832*, 149, 153; პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 208-209.

500 Turkia, Paghava, "The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH "1166" and Its Dating", 29-30.

501 Пахомов, *Монеты Грузии*, 234-235; ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 529; Bennett, *A Catalog of Georgian Coins*, 269-270.

502 პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 196.

503 ტუხაშვილი, *რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი)*, 22-27.

სახელის მითითება *ვერცხლის* საფასეზე არ შეიძლებოდა; ამიტომ *სიქე* გადაულოცეს *კანონიერ* ავშარიან დინასტს, რომელიც შორს იყო, ირანში ჰეგემონიის სხვა მაძიებელთაგან განსხვავებით, რომელთაგან ზოგი ჯერ ნამეტანი შორს იყო (ქარიმ-ხან ზენდი), ზოგი კი არ იყო იმდენად ძლევამოსილი, რომ ქართველ მეფეებს მისდამი მორჩილების დეკლარირება ეფიქრათ.

1763 წლისთვის კი მდგომარეობა შეიცვალა. თავისი ზეგავლენის არეალის გაფართოებით დაკავებული ქარიმ-ხან ზენდი ქართულ ინტერესთა სფეროს საზღვრებს მიუახლოვდა (იხ. თავი III); ჩანს, კომპრომისული შეთანხმების საფუძველზე, ირაკლი II-მ თბილისის ზარაფხანის ნაწარმზე პირველად მოათავსა ინვოკაცია *ყა ქარიმ* და გააგრძელა შიიტური რელიგიური ფორმულის გამოსახვა; ეს მონეტები ჰიჯრის 1177-1179 წლებით არის დათარიღებული (1763/4-1765/6)[504], ან, დაუთარიღებელია (იხ. თავი III, სურ. III.2-5). იმავე, ჰიჯრის 1179 წლისთვის (1765/6) კი გვაქვს უკვე პირველი სირმა მონეტა, კვლავინდებურად *ყა ქარიმ* ფორმულით, მაგრამ განსხვავებული დიზაინით და შიიტური რელიგიური ფორმულის გარეშე — მის სანაცვლოდ შინაარსობრივად ქრისტიანთათვისაც მისაღები ყურანული ფრაზით (იმდენად, რამდენადაც მასში მოციქული მუჰამმადი აღარ მოიხსენიებოდა) (სურ. V.4).

უკვე ჰიჯრის 1166 წელს სირმა ტიპის მონეტის მოჭრა, შიიტური რელიგიური ფორმულის გარეშე და ინვოკაციით *ყა ქარიმ* — სრულად გაუგებარი და კონტექსტიდან ამოვარდნილი მოვლენა იქნებოდა.

მეტროლოგიური მონაცემები, ასევე, ადასტურებს, რომ „1166" წლის მონეტა, სინამდვილეში, ჰიჯრის 1166 წელს ვერ მოიჭრებოდა. საქმე იმაშია, რომ შაჰროხის თბილისური მონეტები იჭრებოდა წონითი სტანდარტით *1 თუმანი = 1200 მუხუდოს*, აბაზის ნორმატიული მასით 4.61 გ.[505] ჰიჯრის 1177-1179 წლების ქარიმის სახელის მატარებელი მონეტები შიიტური რელიგიური ფორმულით, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, უფრო მსუბუქია (იხ. თავი III): მათი წონითი სტანდარტი ნაკლებია (*1 თუმანი = 1000 მუხუდოს*) და აბაზისთვის 3.84 გრამს უდრის.[506] აი, სირმა აბაზიანები კი, როგორც ჰიჯრის 1179, ასევე, მომდევნო წლებში კიდევ უფრო მსუბუქი წონითი სტანდარტის მიხედვით გამოუშვეს — *1 თუმანი = 800 მუხუდოს*, ოთხდანგიანი აბაზიანის ნორმატიული მასით 3.072 გ. [ჰიჯრის] „1166" წელსაც მოჭრილი აბაზიანები აშკარად იმავე სტანდარტითაა გამოშვებული (ვიცით ორი ეგზემპლარის მასა: 3.08 და 3.02 გ[507]). იხ. ცხრილი 3. ვფიქრობთ, ეს ძლიერი არგუმენტია, რომელიც გამორიცხავს ჰიჯრის 1166 წელს სირმა აბაზის გამოშვებას.

ასევე, პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ ინვოკაცია *ყა ქარიმ* თბილისურ მონეტებზე უკვე ჰიჯრის 1166 წელს გაჩენილიყო, ვინაიდან საქართველოს ფარგლებს გარეთაც, უშუალოდ ქარიმ-ხანისთვის დაქვემდებარებულ ქალაქებში მოჭრილ მონეტებზე ის პირველად გაჩნდა, როგორც ჩანს, მხოლოდ

---

504 Пахомов, *Монеты Грузии*, 235-236.

505 ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 529.

506 აღარ ვიზიარებთ წინა ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეს მონეტები იმავე წონითი სტანდარტით იჭრებოდა. Turkia, Paghava, "The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH "1166" and Its Dating", 29-30.

507 იქვე, 28, Fig. 7-8.

ჰიჯრის 1172 (1758/9) თუ 1173 წელს (1760/1), ანუ, 6-7 წლით უფრო გვიან.[508]

ჰიჯრის 1166 წელს ამ მონეტების გაჩენის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, ასევე, მათი **დიზაინი და ზედწერილების ეპიგრაფიკა**.

უკვე ევგენი პახომოვმა აღნიშნა, რომ ამ ეპოქაში ექვსიანები, ჩვეულებრივ, მარჯვნივ გადახრილად იწერებოდა; „1166" წლის აბაზიანის შემთხვევაში კი ისინი ვერტიკალურად არის ორიენტირებული.[509]

სირმა აბაზიანებზე, იმ მხარეს, სადაც მოჭრის ადგილი და ინვოკაციაა, კარტუშის გარეთ ორი ხაზოვანი რკალია, რომელთა შორის ან სამწერტილებია — ჰიჯრის 1179-1193 წლებით დათარიღებულ მონეტებზე, ზოგჯერ, მოგვიანებითაც; ან, უპირატესად წერტილები (გამონაკლისის სახით, ზოგჯერ გვხდება სამწერტილებიც), ჰიჯრის 1193 წლიდან.[510] ასევე, ჩვენი დაკვირვებით, ადრეული აბაზიანები (ჰ. 1184 წლის ჩათვლით) ხშირად უფრო დიდი დიამეტრის და თხელია, გვიანდელები — პირიქით. ჰიჯრის „1166" წლის აბაზიანებზე წერტილებია, თავად მონეტები კი შედარებით სქელია და ნაკლები დიამეტრისაა; ეს, დიდი ალბათობით, მიუთითებს ჰიჯრის 1193 წლის (1779/80) შემდგომ პერიოდზე, როგორც ამ მონეტების გაჩენის დროზე.

*

უკვე ვახსენეთ სტივენ ალბუმის ჰიპოთეზა, რომ „1166" არის *1199* (=1784/5) თავლიად დატოვებული ცხრიანებით. „1166"-ის „6"-ები ერთმანეთისგან განსხვავდებიან; ხომ არ არის თავლიად დატოვებული მხოლოდ პირველი *9*, მას კი დაუყირავებლად დაწერილი *6* მოჰყვება? მაშინ თარიღი გამოვიდოდა ჰიჯრის *1196* წ. (1781/2) (ჰიჯრის 1169 წ. ბუნებრივია, მიუღებელია). შესადარებლად იხ. ჰ. 1196 წლის აბაზიანის გამოსახულება (სურ. VI.21).

ვცადეთ, ჩაგვეტარებინა სიქების ანალიზიც. იხ. სქემა 2 (აქაც, სიქას წარმოადგენს მისი ანაბეჭდის გამოსახულება; იმ შემთხვევაში, თუ ჩვენთვის ხელმისაწვდომია ერთი და იმავე სიქით მოჭრილი ერთზე მეტი მონეტა, სიქა წარმოდგენილია უკეთ შემონახული ანაბეჭდით).

ყველა ჩვენთვის ცნობილი და „1166" წლით დათარიღებული აბაზიანი ერთი და იმავე შუბლის სიქით არის მოჭრილი (რაც, თავისთავად, ზრდის იმის ალბათობას, რომ ამ *თარიღის* მატარებელი სიქის ამოჭრა, უბრალოდ, შემთხვევითი ანომალიაა), და ზურგის ორი განსხვავებული სიქით. 367 აბაზიანის შესწავლის შედეგად ორივე ზურგისთვის მოძიებულია[511] სიქის ბმულები; „1166" წლის აბაზიანები მოჭრილია იმავე ზურგის სიქებით, რომელიც გამოიყენეს შუბლზე ჰ. 1201, 1210 (ან, 1215, რაც ნაკლებად არის მოსალოდნელი, vide infra), 1211, და 1213 თარიღების მატარებელი აბაზიანების მოსაჭრელად (სურ. VI.15, VII.3-6) (სქემა 2). (დაუთარიღებელი) ზურგის სიქა, მიახლოებით მაინც, თარიღდება იმ

508 Album, *Sylloge of Islamic Coins in the Ashmolean. Volume 9. Iran after the Mongol Invasion*, xx; Album, *Checklist of Islamic Coins. Third Edition*, 288, footnote 715.

509 Пахомов, *Монеты Грузии*, 237-238.

510 იქვე, 239, примечания 1-2; Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VIII*, 32.

511 Turkia, Paghava, "The Start of Sirma Coinage: The Sirma Abazi of AH "1166" and Its Dating", 30-32.

სქემა 2. ჰ. “1166” წლით დათარიღებული აბაზიანების სიქის კავშირები





სურ. VII.3. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. 1210 წ.



სურ. VII.4. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. 1211 წ.



სურ. VII.5. ქართლ-კახეთის სამეფო, გიორგი XII, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. 1213 წ.



სურ. VII.6. ქართლ-კახეთის სამეფო, გიორგი XII, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. 1213 წ.

(დათარიღებული) უადრესი შუბლის სიქით, რომელთანაც ის შეწყვილებულია. ამ ლოგიკით, „1166" წლის აბაზიანების ზურგის მოსაჭრელად გამოყენებული სიქის დამზადების terminus post quem non არის ჰ. 1201, თუ, მაინც, 1210 წელი, და თავად შესაბამისი ზურგის სიქაც ამაზე ბევრად ადრეული დროით არ უნდა დათარიღდეს. ყოველ შემთხვევაში, აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რომ შესაბამისი ზურგის სიქა ჰიჯრის 1166 წელს დაემზადებინათ, გამოეყენებინათ „1166" წლის აბაზიანის მოსაჭრელად, შემდეგ, გადაედოთ, შეენახათ 35-36 წლით, და, ხელახლა, მხოლოდ ჰიჯრის 1201 წელს გამოეყენებინათ; წინა წლებში კი არ გამოეყენებინათ, რასაც ირიბად ადასტურებს ამ სიქის კარგი შენახულობა, რაზედაც შესაბამისი აბაზიანების ზურგზე დატანილი ანაბეჭდის ხარისხით ვმსჯელობთ; რა აზრი ექნებოდა დაუთარიღებელი ზურგის სიქის ამდენი ხნის განმავლობაში გამოუყენებლობას?

რადგან „1166"-აბაზის მოსაჭრელად გამოყენებული უადრესი ზურგის სიქა ჰიჯრის 1201 წელზე ბევრად უფრო ადრე ვერ ამოიჭრებოდა, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ „1166" მართლაც *1199*-ს აღნიშნავს?

მეორე მხრივ, ყურადღებას იპყრობს ციფრების ١ და ٢ მოყვანილობა ჰ. „1201" წლით დათარიღებულ აბაზიანზე (სურ. VI.15). ორივე ჩვეულებრივზე (ანუ, იმაზე, რასაც ვხედავთ ხოლმე სირმა აბაზიანებზე) საკმაოდ წაგრძელებულია, და წააგავს ციფრებს ქართლ-კახეთის სამეფოს თანადროულ *სპილენძის* მონეტებზე ორთავიანი და ერთთავიანი არწივის გამოსახულებით (შეად. სურ. V.11, VII.7 და, განსაკუთრებით, სურ. VII.8) — ცნობილია ვარიანტები ١٢٠١٠, ٠٢٠١, ٠٢٠١, და, ასევე, ١ / ٢٠١٠, ١ / ١٢١٠; მაგრამ, ქრისტეშობიდან ათვლილი თარილითა და იკონოგრაფიით (ორთავიანი არწივი ცალთავიანით არის შეცვლილი)



სურ. VII.7. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, ბისტი, 1796 / ჰ. “2010” წ.



სურ. VII.8. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, ბისტი, 1796 / ჰ. 1201 წ.

თუ ვიმსჯელებთ, ყველა სპილენძის მონეტა ცალთავიანი არწივის გამოსახულებით 1796 წელს არის მოჭრილი, და ციფრების ზემოთ მოყვანილი კომბინაციები აღნიშნავს ჰ. 1210 წელს (1795/6), და არა 1201 წელს (1786/7).[512] ვერ გამოვრიცხავთ, რომ სირმა აბაზიანზედაც ამ შემთხვევაში, იმავე (?) ხელოსნის მიერ შესრულებული თარიღი უნდა წავიკითხოთ როგორც 1210 და არა 1201. გამოდის, რომ ჰ. „1166” წლით დათარიღებული აბაზიანი სიქით ებმევა ჰიჯრის 1210 (ასევე, 1215?), 1211, 1213 წლების აბაზიანებს. ჰიჯრის 1199 თუ 1196 წლების ვერსია ნაკლებ სარწმუნო ხდება.

იქნებ „1166” *1122-ს* ნიშნავს, სარკისებურად შეტრიალებული და ადგილგადანაცვლებული ორიანებით? თეორიულად, *1122* შეიძლება აღნიშნავდეს *1212*-საც. მაგრამ ოთხი ციფრის წინ, დამატებით პატარა რგოლი შეიმჩნევა — 0 თუ 5? მაშინ თარიღი იქცევა *01166*-ად, ან, *01122*-ად, ან *51122*-ად (*1200, 1201, 1202, 1205, 1210, 1215?*).

ასე თუ ისე, ჰიჯრის 1166 წელს სირმა აბაზის გამოშვება ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოირიცხოს. ჰიჯრის „1166” წლით დათარიღებული მონეტა, სინამდვილეში, ჰიჯრის 1190-იანი წლების მეორე ნახევარში, ან, სულაც, ჰიჯრის 1200 წლებში — 1210-იანი წლების დასაწყისშია მოჭრილი.

ამასთანავე, სიქის ბმულების არსებობის გათვალისწინებით, ამ წლით დათარიღებული მონეტა თბილისის ზარაფხანის ნაწარმს, ანუ, ქართლ-კახეთის სამეფოს ოფიციალურად გამოშვებულ საფასეს წარმოადგენს.

დავასკვნით, რომ ევგენი პახომოვი სავსებით მართალი იყო, როდესაც სირმა თეთრის გაჩენას ჰიჯრის 1179 წლით ათარიღებდა (1765/6).[513]

უკანასკნელი სირმა თეთრი კი ჰიჯრის 1213 წლით არის დათარიღებული (1798/9) (სურ. VII.5-6). ევგენი პახომოვი უარყოფდა ჰიჯრის 1214 წლის სირმა თეთრის არსებობას:

> “Абазов, чеканенных после 1213 года, пока не найдено: среди экземпляров 1213 года, встречаются нередко такие, на которых последняя цифра даты - ٣ - писана немного неясно и иногда похожа на искаженное ٤ но я ни разу не встречал несомненного ٤ и потому все подобные начертания отношу к 1213 а не 1214 году.”[514]

512 Пахомов, *Монеты Грузии*, 267-268.

513 იქვე, 237-239.

514 იქვე, 249.

პირადად ჩვენც, ასეულობით სირმა აბაზის გადათვალიერების მიუხედავად, არასდროს შეგვხვედრია სირმა მონეტა, რომელზედაც ბოლო ციფრი ცალსახა ოთხიანი (٤) იქნებოდა, ასე რომ, ჰიჯრის 1214 წლის სირმა თეთრის არსებობას ჩვენც უარვყოფთ.

ჰიჯრის 1214 წლის სირმა თეთრის არსებობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ჰ. 1215 წლით დათარიღებული მონეტების არარსებობაც. ამ შემთხვევაშიც, ვიზიარებთ ევგენი პახომოვის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ის აბაზიანები სადაც თარიღად აღნიშნულია ١٢١٥ (მაგალითად, სურ. VII.3) უნდა დათარიღდეს ჰიჯრის 1210 და არა 1215 წლით:

> "в ту эпоху ٥ часто ставилось на монете вместо ٠, означающей ноль, тогда как цифра 5 почти никогда не писалась в виде кружка такой правильной формы. С другой стороны, весьма вероятно, что чеканка серебра прекратилась не позже 1214 года, вследствие расстройства всех отраслей управления царством к концу жизни Гиоргия XII. До сих пор не найдено монет 1214 и 1215 гг. с бесспорными датами. Поэтому вариант, b, я предпочитаю не отделять от абазов 1210 года. ... я считаю невероятным значительный выпуск абазов в 1215 году, а между тем, абазы с датой ١٢١٠ очень обыкновенны и были чеканены очевидно в массе; поэтому я предпочитаю отнести эти абазы к 1210 году."[515]

სირმა თეთრზე ნულს ნამდვილად ხშირად რგოლი აღნიშნავდა, და არა წერტილი: იხ. ჰ. 1201 (1210?) და 1203 წლებით დათარიღებული აბაზიანები (სურ. VI.10, VI.15). რგოლი საკმაოდ მოზრდილიც იყო, მაგალითად, ჰ. 1201 წლით დათარიღებულ მონეტებზე (სურ. VI.27-28); განსაკუთრებით კი ერთ, ჰ. 1206 წლით დათაღირებულ სიქაზე (თარიღი, ამ მონეტაზე, ბუნებრივია 1206 უნდა იყოს, „1256" ვერ იქნებოდა (სურ. VI.25). ძალიან საინტერესოა ჰ. 1205 წლით დათარიღებული მონეტა, რომელზედაც *ნული* პატარა რგოლით არის გადმოცემული, *ხუთიანი* კი დიდი რგოლით (სურ. VI.24).

ჰიჯრის 1215 წელზე (დაიწყო 1800 წლის 25 მაისს, დასრულდა 1801 წლის 13 მაისს) უფრო გვიან სირმა თეთრი, ალბათ, ვერ მოიჭრებოდა, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ 1801 წელს ანექსიის გამო: არ არის შემონახული არცერთი დოკუმენტი რუსული ადმინისტრაციის მიერ სირმა თეთრის მოჭრის თაობაზე — ესეც, ირიბად, მაგრამ ადასტურებს, რომ სირმა ვერცხლის გამოშვება უფრო ადრე შეწყდა; თუმცა კი, ცნობილია უნიკალური სპილენძის მონეტა ფარშევანგის გამოსახულებითა და თარიღით „1215", რომელზედაც მოჭრის ადგილი მითითებულია როგორც „ტფლს", თარიღი კი, — როგორც ١٢١٥.[516] ამ მონეტის უნიკალურობა გვაფიქრებს, რომ ამ სამონეტო ტიპის მონეტები ძალიან მცირე ტირაჟით მოიჭრა. მეორე მხრივ კი, ამ უნიკალურ ეგზემპლარს, თითქოს, ეტყობა ცვეთის ნიშნები, ანუ, საფიქრებელია, მაინც, მიმოიქცეოდა.

515 იქვე, 248, 250.

516 Баратаев, *Нумизматические факты Грузинского царства*, Разряд IV, таб. II, #13, 3-4; Langlois, *Essai de Classification des Suites Monétaires de la Géorgie, depuis l'Antiquité jusqu'à nos Jours*, 127-128, Pl. IX, #10; Пахомов, *Монеты Грузии*, 269, Капанадзе, "Комментарии", 346, К стр. 269, Табл. Г, №54.

მაშასადამე, სირმა თეთრის ემისიის ქრონოლოგიური საზღვრებია ჰ. 1179 (1765/6) — 1213 (1798/) წლები.

თუმცა, სირმა თეთრის ემისია უწყვეტი არ ყოფილა. ყველა ნომინალი ყველა წელს არ იჭრებოდა: ასე, მაგალითად, ჰიჯრის 1179 წლისთვის ცნობილია მხოლოდ აბაზიანები, ხოლო ჰიჯრის 1213 წლისთვის აბაზიანები, უზალთუნები და შაურები (სურ. VII.9).



სურ. VII.9. ქართლ-კახეთის სამეფო, გიორგი XII, თბილისი, სირმა უზალთუნი, ჰ. 1213 წ

ზოგიერთ წელს კი, რამდენადაც დღეისთვის ცნობილი სამონეტო მასალით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, სირმა თეთრი საერთოდ არ მოჭრილა. ჰ. 1180 წლის (1766/7; რეფორმის მომდევნო წლის საფასე!) სირმა თეთრი, როგორც ჩანს, ძალიან იშვიათია: პირველად დეივიდ ლენგმა მიუთითა ჰ. 1180 წლით დათარიღებული ეგზემპლარის არსებობაზე (მიუნხენის სახელმწიფო მიუნც-კაბინეტში);[517] მოგვიანებით, დავით კაპანაძემაც აღნიშნა საქართველოს ისტორიის მუზეუმის ფონდებში ევგენი პახომოვის კოლექციიდან შემოსული ამ თარიღის მატარებელი ორი ეგზემპლარის არსებობა;[518] სამწუხაროდ, გამოსახულება არ გაგვაჩნია, და ვერც თავად მონეტების პირადად გაცნობა მოვახერხეთ; არადა, არცერთი ავტორი არ აზუსტებს თუ რა ნომინალის მონეტებზეა საუბარი. არ ვიცნობთ ჰ. 1181 (1767/8), 1188 (1774/5) და 1212 (1797/8) წლების მონეტებს. ჰ. 1181 და 1188 წლების სირმების არსებობა არც ევგენი პახომოვსა აქვს აღნიშნული;[519] მაგრამ, ის ჩამოთვლის 1212 წლის აბაზიანებს; მართალია, აღნიშნავს მათ იშვიათობას.[520] დეივიდ ლენგმაც ახსენა მიუნხენის სახელმწიფო მიუნც-კაბინეტში ჰ. 1212 წლით დათარიღებული სირმა მონეტების არსებობა.[521] თუმცა, პირადად ჩვენ, სხვადასხვა ნომინალის ათასამდე სირმა მონეტის გადათვალიერების მიუხედავად, ერთი ეგზემპლარიც არ შეგვხვედრია, რომელზედაც უცილობლად „1212" (١٢١٢) იქნებოდა აღნიშნული. შეგვხვედრია სირმა აბაზიანები, რომელიც, ჩვენი აზრით, ჰ. 1211 ან „121" (1201 თუ 1210?) წლით არის დათარიღებული; ბოლო ციფრი ან ზევიდან გაპობილი ერთიანია (მარჯვენა დაბოლოება უმნიშვნელოდ მარჯვნივ არის გადახრილი, და, ორიანს მოგვაგონებს), ან, ეს სულაც ციფრი არ არის და მცენარეული დეკორატიული ელემენტის ნაწილია. შედარება წინარე ერთიანთან და ორიანთან ადასტურებს, რომ თარიღის ბოლო ციფრი, ორიანი ვერ იქნება, და, შესაძლოა, არც ერთიანი იყოს (სურ. VI.12, VII.10). გამოვთქვამთ ეჭვს, — ჰ. 1212 წელს მოჭრილად სწორედ ეს მონეტები ხომ არ ჩაითვალა? სხვათა შორის, ორივე სიქების ერთი და იგივე წყვილითაა მოჭრილი.

517 Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*, 111.

518 Капанадзе, "Комментарии", 342, К стр. 239.

519 Пахомов, *Монеты Грузии*, 239, 241.

520 იქვე, 249-250.

521 Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*, 111.



სურ. VII.10. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი,
სირმა აბაზი, ჰ. 1211 თუ „121" წ.

სირმა თეთრის სხვადასხვა ნომინალის მონეტების ემისიის ქრონოლოგია ვიზუალიზებული გვაქვს საგანგებო დიაგრამაზე (დიაგრამა 2).

დღეისთვის ხელმისაწვდომი მონაცემებით შესაძლებელი ხდება გარკვეული დასკვნების გამოტანა.

სირმა თეთრის ემისია დაიწყო სირმა აბაზიანების მოჭრით. პირველი ორი წლის განმავლობაში წარმოებდა მხოლოდ აბაზიანების მოჭრა (არ არის გამორიცხული, რომ ჰიჯრის 1181 წელსაც გაგრძელდა, უბრალოდ შესაბამისი ეგზემპლარები ჯერ აღმოჩენილი არ არის); აბაზიანების გამოშვება, *სხვა ნომინალებთან ერთად*, განახლდა (თუ გაგრძელდა) ჰიჯრის 1182 წლიდან, და გრძელდებოდა ჰიჯრის 1184 წლის ჩათვლით. შემდეგ, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ თუ ზარაფხანის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, *შეეწყვიტა* აბაზიანების გამოშვება, და ძირითად ნომინალად აბაზნახევრიანი მონეტები მოეჭრა. ჰიჯრის 1188 წელს, რატომღაც, შეწყდა (?) ყველა ნომინალის სირმა თეთრის მოჭრა, ხოლო ჰიჯრის 1189 წლიდან კი, უკვე, ფაქტიურად, უწყვეტად, ჰიჯრის 1213 წლამდე (ვვარაუდობთ, მხოლოდ ჰიჯრის 1212 წლის გამოკლებით), გაგრძელდა აბაზიანების, როგორც ძირითადი ნომინალის გამოშვება. აბაზნახევრიანების გამოშვება კი, პირიქით, ჰიჯრის 1190 წელს სამუდამოდ შეწყვიტეს.

აბაზნახევრიანი ნომინალი პირველად (ხელმისაწვდომი მასალით) ჰიჯრის 1182 წელს (1768/9) გაჩნდა; იჭრებოდა ასევე ჰიჯრის 1184-1187 წლებში (1770/1-1773/4), და, შესაძლოა, ძირითად ნომინალადაც კი მოიაზრებოდა. შემდეგ, მოიჭრა ისევ მხოლოდ ჰიჯრის 1190 წელს (1776/7), რის შემდეგაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ნომინალის ემისია შეწყდა. აბაზნახევრიანი ნომინალი საკმაო იშვიათობას წარმოადგენს, ასე რომ, მომავალმა აღმოჩენებმა შეიძლება სურათი შეცვალოს — შეიძლება გამოჩნდეს ახალი, დღეისთვის უცნობი წლების მონეტები.

მცირე ნომინალების — შაურისა და უზალთუნის ემისია, როგორც ჩანს, დაიწყო ჰიჯრის 1182 წელს, და, წყვეტილად (?), გაგრძელდა ჰიჯრის 1213 წლის ჩათვლით. თითქოს, იჭრებოდა ხან ორივე ნომინალი, ხან ერთ-ერთი, და ხანაც არცერთი. თუმცა, მცირე ნომინალების იშვიათობის გათვალისწინებით, ხე-

დიაგრამა 2.  სირმა თეთრის ემისიის ქრონოლოგია ჰ. წლების მიხედვით



ლმისწავდომი ინფორმაცია, სავსებით შესაძლებელია, არასრულია, ასე რომ, მომავალი აღმოჩენების წყალობით, შეიძლება დაზუსტდეს.

აღნიშვნის ღირსია, ასევე, ის ფაქტი, რომ ყველა წლის ყველა ნომინალი არ გვხდება თანაბარი სიხშირით, რაც, ჩვენი აზრით, ირიბად, მაგრამ საკმაოდ სარწმუნოდ მიუთითებს ამ სხვადასხვა წლისა და ნომინალის მონეტების სხვადასხვა ტირაჟით გამოშვებაზე.

სხვადასხვა წლის სირმების იშვიათობის დასადგენად სასურველია ძირითადი და ხელმისაწვდომი საჯარო და კერძო კოლექციების აღრიცხვა და დამუშავება, ასევე განძების ანალიზი. ეს ძალიან მასშტაბური ამოცანაა. ამ ეტაპზე დავეყრდნობით მხოლოდ სამი განძის — ლალაქენდის, ბოლნისისა და მანავის, — შემადგენლობის ანალიზსა და ჩვენს პირად გამოცდილებას.

ლალაქენდის, ბოლნისისა და მანავის განძები დაწვრილებით ქვემოთ არის განხილული, სირმა თეთრის მიმოქცევისა და ეკონომიკური როლისადმი მიძღვნილ თავში. აქ აღარ განვმეორდებით. აღვნიშნავთ უბრალოდ, რომ მათი შემადგენლობა (დიაგრამები 5-6), თითქოს, მიუთითებს ჰიჯრის 1194/1196-1201/1202 წლების სირმა აბაზიანების შედარებით იშვიათობაზე; და, პირიქით, ძალიან მაღალია ჰიჯრის 1211 წლით დათარიღებული აბაზების სიხშირე (45.45% ბოლნისის განძში; 42.46% ლალაქენდის განძში).

ემპირიულად კი, ძალიან იშვიათია ჰიჯრის „1166", 1179, 1180, და 1198 წლების აბაზიანები, ისევე როგორც ის უცნაური აბაზიანები (I, II, და III ჯგუფის), რომელიც წინა თავში გვაქვს განხილული. შედარებით იშვიათია ჰიჯრის 1189, 1200, 1201, 1210 წლების აბაზიანებიც. ჰიჯრის 1212 წლის აბაზიანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასდროს გვინახავს და მის არსებობას, ამ ეტაპზე მაინც, გამოვრიცხავთ. საკმაოდ ხშირია ჰიჯრის 1182-1184, 1207 წლების აბაზიანები. ძალიან ხშირია, როგორც ვახსენეთ, ჰიჯრის 1211 წლით დათარიღებული აბაზიანები; ოღონდ, საუბარია მხოლოდ 43e (ევგენი პახომოვის მიხედვით,[522] იხ. სურ. VI.ტაბულა-XIX, VII.4, VII.14) სახესხვაობის მონეტებზე.

სხვადასხვა წლების აბაზიანების სიხშირესა და იშვიათობაზე მსჯელობისას შეგნებულად თავს ვიკავებთ (გარდა ჰიჯრის 1211 წლის აბაზიანების შემთხვევისა) თარიღის ადგილმდებარეობით განსხვავებული ვარიანტების სიხშირის განხილვისგან. ეს მომავლის საქმეა, *ყველა* ხელმისაწვდომი სირმა მონეტისა თუ, ყველაზე ცოტა, აბაზიანის სიქების ანალიზის შემდგომ გასაკათებელი.

უკლებლივ ყველა აბაზნახევრიანი მონეტა იშვიათია. არადა, ერთხანობას, არ არის გამორიცხული, ეს ნომინალი ძირითადი იყო. მიზეზი უცნობია.

პატარა ნომინალიც მონეტებიც — შაურები და უზალთუნები, ასევე, უკლებლივ ყველა, იშვიათია. თუმცა, თითქოს, შედარებით ნაკლებად იშვიათია ამ ნომინალის ჰიჯრის 1182 წლის მონეტები.

*

სხვადასხვა თარიღის მატარებელი და სხვადასხვა ნომინალის სირმა მონეტის დღევანდელი იშვიათობის ხარისხის დადგენას, ჩვენი აზრით, საგულისხმო ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს: ამა თუ იმ ნომინალის / თარიღის

522 Пахомов, *Монеты Грузии*, 248, таб. XIX, 43e.

მქონე მონეტის დღევანდელი სიხშირე გარკვეულ კორელაციაშია თავდაპირველ სიხშირესთან; სხვანაირად რომ ვთქვათ, შემორჩენილი ეგზემპლარების საერთო რიცხვი, ყველა სხვა პირობის იდენტობის შემთხვევაში, მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს თავდაპირველად მოჭრილი მონეტების რაოდენობას, ანუ, ტირაჟს.[523] ვერ ვხედავთ რაიმე გარემოებას, რომელიც იმოქმედებდა ამა თუ იმ თარიღის მატარებელი თუ ნომინალის მქონე მონეტის *სელექტიურად გადარჩენის* (ანუ, ჩვენამდე მოღწევის) ალბათობაზე. საკმარისია გვახსოვდეს, ისიც, უფრო ხანმოკლე დაგროვების სამონეტო კომპლექსების განხილვისას, რომ გვიანდელი მონეტები მათში უპირატესად იქნება წარმოდგენილი, და, შედარებით ძველი მონეტების იშვიათობა არ ნიშნავს მათ, დანამდვილებით, ნაკლები რაოდენობით გამოშვებას, ან, ნაკლები ინტენსიურობით მიმოქცევას (იხ. ბოლნისისა და ლალაქენდის განძები, შეად. მანავის განძთან. vide infra; ასევე დიაგრამები 5-6). კოლექციებში უსისტემოდ შემოსული მონეტებზე ეს წესი ნაკლებად ვრცელდება (თუმცა, საჯარო თუ კერძო კოლექციებშიც წარმოდგენილი მონეტები ხშირად ამა თუ იმ განძიდანაა, ასე რომ გვიანდელი მონეტების სიხშირე შეიძლება, მაინც, არაპროპორციულად მაღალი იყოს; მით უფრო, რომ, ჩვენი დაკვირვებით — იხ. თავი IX — სირმა თეთრის შემცველი განძები მეტწილად გვიანდელ, XVIII საუკუნის ბოლოთი დათარიღებულ კომპლექსებს წარმოადგენს). ბუნებრივია, გასათვალისწინებელია ამა თუ იმ ერთობლიობაში დაკვირვებათა რაოდენობასაც.

რა მნიშვნელობა აქვს სირმა მონეტების თავდაპირველი ტირაჟების დადგენას? გარდა იმისა, რომ ესეც, თავისთავად, საგულისხმო ისტორიული ფაქტია? ამა თუ იმ წელს გამოშვებული სირმა თეთრის ტირაჟი, შესაძლოა, ამა თუ იმ ისტორიული მოვლენით იყოს განპირობებული, და, შესაბამისად, ამ ისტორიულ მოვლენის შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდეს. ანუ, სირმა თეთრის ემისიის ინტენსიურობის დადგენა თუ დადგენასთან მიახლოება მაინც, — მოგვცემს ინფორმაციას ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის ისეთ ელემენტებზე, როგორიცაა სამთამადნო წარმოება, ზარაფხანის მუშაობა, საგარეო საფრთხეები, სახელმწიფო აპარატის მუშაობა კრიზისულ სიტუაციებში.

წლების განმავლობაში სხვადასხვა ნომინალის სირმა მონეტების განსხვავებული ინტენსიურობით გამოშვება, შესაძლოა, ხელისუფლებისა თუ ზარაფხანის ადმინისტრაციის სამონეტო პოლიტიკის ცვლილებებითაც აიხსნებოდეს; — ხელმისაწავდომი ძვირფასი ლითონის უპირატესად ამა თუ იმ ნომინალის მონეტების მოსაჭრელად გახარჯვით. მაგალითად კვლავ მოვი-

---

523 ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ შემორჩენილი მონეტების რიცხვის მიხედვით შეუძლებელია მსჯელობა თავდაპირველი ემისიის მასშტაბზე. Иван Джавахов (Иванэ Джавахишвили), “Рецензия на книгу: “Е.А. Пахомов, “Монеты Грузии.” Часть I (домонгольский период), Зап. Нумизм. отд. Имп. Русск. Археол. Общества. IV вып. I тома, 129 страниц (СПб., 1910)”, თავდაპირველად დაიბეჭდა კრებულში *Христианский восток. Т. 1*, 111-121. Спб., 1912, *ივანე ჯავახიშვილი, თხზულებები თორმეტ ტომად, ტომი IX* (თბილისი: მეცნიერება, 1996), 677. ამ მოსაზრებას, ბუნებრივია, ვერ გავიზიარებთ. უეჭველია, რომ, დავუშვათ, რუსუდანის წესიერი ჭედვის სპილენძის მონეტები ბევრად მეტი რაოდენობითაა გამოშვებული, ვიდრე, XI საუკუნის ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტები — შემორჩენილი ცალების რაოდენობით, *მიახლოებით* მაინც, ნამდვილად შესაძლებელია ემისიის ინტენსიურობაზე მსჯელობა.

ყვანთ ჯერ აბაზიანების, შემდეგ, აბაზნახევრიანების, და, ისევ, აბაზიანების ძირითად ნომინალად წარმოებას.

მაგრამ, სხვადასხვა წლებში მონეტების განსხვავებული ინტენსიურობით გამოშვება, თანადროულ ისტორიულ მოვლენებთანაც კორელირებს. რასაკვირველია, ისტორიულ მოვლენასა და მოჭრილი სირმების რაოდენობას შორის შემაკავშირებელ-გადამცემი რგოლის ფუნქციას ასრულებდა ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო ინდუსტრიის ცვალებადი წარმადობა; კერძოდ, ვერცხლის სხვადასხვა ოდენობით წარმოება (ვთვლით, რომ მოპოვებული ვერცხლი პრაქტიკულად სრულად ზარაფხანაში იგზავნებოდა და საფასედ გარდაიქმნებოდა — vide supra, იხ. თავი IV და V).

ზემოთ (იხ. თავი IV) უკვე გამოთვლილი გვაქვს ზოგიერთ წელს გამოსული ხალასი ვერცხლის მასა. დიაგრამა 1. თუმცა, ამა თუ იმ კალენდარულ წელს მოპოვებული ხალასი ვერცხლის მიხედვით ჰიჯრის ამა თუ იმ წლით დათარიღებული სირმა თეთრის ემისიის ინტენსიურობაზე მსჯელობა მხოლოდ საორიენტაციოდ თუ შეიძლება. ჰიჯრის წელი ხომ ზუსტად არ ემთხვევა წელიწადს ქართული ქორონიკონით / ქრისტეშობიდან, და, უხშირესად, ორ მომიჯნავე წელზე ნაწილდება; გასათვალისწინებელია ისიც, რომ გარკვეული რაოდენობის სირმა თეთრი, შესაძლოა, სხვა წყაროდან (არა ახტალიდან) მიღებული ვერცხლისგანაც იჭრებოდა.

ამასთანავე, როდესაც ვმსჯელობთ სირმა თეთრის ემისიის ინტენსიურობაზე საგარეო ფაქტორების ზეგავლენაზე, რასაკვირველია, გასათვალისწინებელია, რომ გამოდნობილი ვერხლის რაოდენობა, საფიქრებელია, იცვლებოდა ყოველგვარი გარე ფაქტორის ზემოქმედების გარეშედაც; უბრალოდ იმიტომ, რომ მადანიც სხვადასხვა რაოდენობით მოიპოვებოდა.

და, მაინც, ვეცდებით, თუნდაც არსებული მონაცემების საფუძველზე, გამოშვებული სირმა მონეტების (აბაზიანების) ტირაჟის ცვალებადობა ცნობილ ისტორიულ მოვლენებს მივუსადაგოთ.

შევეხებით სირმა თეთრის ემისიის ქრონოლოგიური სკალის რამდენიმე წერტილს.

ჰ. 1181 (1767/8) და 1188 (1774/5) წლებში სირმა თეთრის ემისიის შეწყვეტის მიზეზები ჩვენთვის, ამ ეტაპზე მაინც, გაუგებარია.

ჰ. 1200 (დაიწყო 1785 წლის 4 ნოემბერს და დასრულდა 1786 წლის 23 ოქტომბერს) და 1201 (1786/7) წლების მონეტების (იჭრებოდა მხოლოდ აბაზიანები?) იშვიათობა ადვილად აიხსნება ომარ-ხანის 1785 წლის სექტემბრის შემოსევის შედეგებით, როდესაც ახტალის ვერცხლის წარმოება ძლიერ დაზარალდა და, დაახლოებით ერთი წლით, შეწყდა კიდევაც. საზოგადოდ, ჰ. 1200 თუ 1201 წლით (?) დათარიღებული აბაზიანები ხშირად *არასტანდარტული* დიზაინით გამოირჩევა.

ჰ. 1210 (დაიწყო 1795 წლის 18 ივლისს და დასრულდა 1796 წლის 7 ივლისს) წლის მონეტების (იჭრებოდა, ასევე, მხოლოდ აბაზიანები?) იშვიათობა შეიძლება აიხსნებოდეს უკვე ალა მაჰმად-ხანის 1795 წლის სექტემბრის შემოსევის შედეგებით, როდესაც ახტალას ვერცხლის წარმოება კიდევ ერთხელ გაპარტახდა.

მეორე მხრივ კი, ჰ. 1211 (1796/7) წლის მონეტების, პირდაპირ ვთქვათ, სიუხვე, ხომ არ აიხსნება აღდგენითი სამუშაოების დასაფინანსებლად ნაღდ

ფულზე მომატებული მოთხოვნილებით, რომლის დასაკმაყოფილებლადაც ხელისუფლებამ თუ მოსახლეობამ ზარაფხანაში საფასის მოსაჭრელად დიდი რაოდენობით გადანახული ვერცხლი (ჭურჭლის სახით?) მიიტანა?

ჰ. 1212 (დაიწყო 1797 წლის 26 ივნისს და დასრულდა 1798 წლის 14 ივნისს) წლის სირმა თეთრის არარსებობა (?), ირაკლი II-ის გარდაცვალებას (1798 წლის 11 იანვარი) ხომ არ უნდა დავუკავშიროთ, ისევე, როგორც, საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ბოლო წლებში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის მრავალი დარგის მოშლას?

ჰ. 1213 (დაიწყო 1798 წლის 15 ივნისს და დასრულდა 1799 წლის 4 ივნისს) წლის საკმაოდ უხვი ემისიები უკვე, ცალსახად, გიორგი XII-ის ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობას განეკუთვნება. როგორც ჩანს, ახალი მონარქის ზეობაში ზარაფხანას მუშაობა უფრო ინტენსიური გახდა. ეს, ინტენსიურობა, ბუნებრივია, ეკონომიკურ აღმავლობას არ უნდა გავუტოლოთ. შესაძლოა, უბრალოდ გაიზარდა მოსახლეობისა თუ ხელისუფლების მოთხოვნილება ფულის ნიშნებზე; შეიძლება გავიხსენოთ პლატონ იოსელიანის ცნობა, რომლის თანახმადაც ლეკის ჯარისთვის ჯამაგირის გასასტუმრებლად გიორგი XII-ს ვერცხლის ჭურჭლის გადადნობაც მოუწია.

ჰ. 1214 (დაიწყო 1799 წლის 5 ივნისს და დასრულდა 1800 წლის 24 მაისს) და 1215 (დაიწყო 1800 წლის 25 მაისს და დასრულდა 1801 წლის 13 მაისს) წლების სირმა თეთრის არარსებობა — ევგენი პახომოვის მოსაზრებას[524] გავიზიარებთ, იგივენაირად, ანუ, ანექსიის წინა წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის მოშლით შეიძლება აიხსნებოდეს (თუნდაც, ახტალასა და დამბლუღს წარმოების შეწყვეტით).

***

რასაკვირველია, ზემოთ მოყვანილი მსჯელობა მხოლოდ და მხოლოდ წინასწარი ხასიათისაა, უფრო, პრობლემის დაყენებაა. სამომავლო კვლევის კუთხით საინტერესოდ გვეჩვენება ასევე თარიღის განლაგების მიხედვით სხვადასხვა ვარიანტების სიხშირის დადგენა და, საზოგადოდ, სირმა აბაზიანების სიქების ანალიზის ჩატარება. თუმცა, ეს მომავლის საქმედ რჩება. იმედი გვაქვს, რომ, შემდგომში, თუნდაც სიქების ანალიზით, მოხერხდება სხვადასხვა წლისა და ნომინალის მონეტების ფარდობითი ტირაჟების დადგენა. თბილისის ზარაფხანის მუშაობის ინტენსიურობა პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების ქრონოლოგიასთან უნდა შეჯერდეს.

524 Пахомов, *Монеты Грузии*, 249-250.

# თავი VIII. ზარაფხანა

სირმა თეთრის ისტორიული ფენომენის გააზრება მხოლოდ სირმა მონეტების შესწავლის გზით არასრულფასოვანი იქნებოდა; მიზანშეწონილია, გავერკვიოთ ქართლ-კახეთის სამეფოს ერთადერთი — თბილისის ზარაფხანის მოწყობის, მართვისა და მუშაობის თავისებურებებში.

მნიშვნელოვნად გვეჩვენება ფულადი ემისიების ამ ქართული ცენტრის მოქმედების ყველა ასპექტი: ზარაფხანის მართვის წესი თუ ზარაფხანიდან მიღებული მოგება; ზარაფხანის ფიზიკური ადგილმდებარეობა; მასში მომუშავე პერსონალი და მისი ანაზღაურების სისტემა; საფასის დასამზადებლად აუცილებელი ლითონების მიღებისა და, თავად საფასის დამზადების ტექნიკა; რა წყაროდან და რა პრინციპით მარაგდებოდა ზარაფხანა საფასის გამოსაშვებად საჭირო სამონეტო ლითონებით (სპილენძით, ოქროთი და, პირველ რიგში, ვერცხლით). წინამდებარე თავი, შეძლებისდაგვარად, სწორედ ამ საკითხების გარკვევას ეთმობა.

*

როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოს ზარაფხანა იჯარით გაიცემოდა.[525] გვაქვს რამდენიმე ცნობა, რომელშიც საუბარია ზარაფხანის სწორედ იჯარით გაცემაზე:

კაპიტან იაზიკოვის 1770 წლის ცნობა ირაკლი II-ის მიერ თბილისის ზარაფხანის წლიურ 30,000 რუბლად[526] იჯარით გაცემის შესახებ:[527]

> “В Тифлисе есть монетный двор, за которой откупщик армянин платит царю 30000 рублей”

ამ შემთხვევაში, ტერმინი „სომეხი” დიდი ალბათობით აღნიშნავს არა ეთნიკურად სომეხ საქმოსანს, არამედ გრიგორიანული მრწამსის, ქართველ თუ ქართული წარმოშობის თბილისის მკვიდრს.

გარდა ამისა, მოგვყავს რამდენიმე საბუთი,[528] რომელშიც ასევე საუბარია

525 კაკაბაძე, „საფასის ისტორიისთვის საქართველოში”, 30; ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 39-40.

526 სიზუსტისთვის, შეგნებულად არ ვიყენებთ ქართული შესატყვისს *მანეთი* (რომელიც მომდინარეობს რუსულ რუბლიანებზე მოთავსებული წარწერიდან *Монета Рубль*), არამედ, ზუსტად ვიმეორებთ ორიგინალურ ტერმინს.

527 Цагарели (под редакцией), *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Том 1, с 1768 по 1774 год. С картой Закавказья 1771 года*, 187.

528 თუ არა ვცდებით, საბუთები ორიგინალის ენაზე და სრული სახით პირვე ლად ქვეყნდება, თუმცა, ისტორიოგრაფიისთვის ადრეც იყო ცნობილი. Дмитрий Пурцеладзе (Сост.), *Грузинские крестьянские грамоты, крепостные и судебные*

ზარაფხანის იჯარით გაცემაზე და მოიჯარეთა შორის ურთიერთობაზე.

ვიყენებთ შემდეგ პირობით ნიშნებს: ( ) — მითითებული ქარაგმის გახსნა; { } — დამწერის მიერ უნებლიეთ გამოტოვებული ან ქარაგმის ნიშნის გარეშე დაქარაგმებული ადგილების აღდგენა; < > — ზედმეტი, ან არასწორი ფრაგმენტი; [ ] — ბეჭდისა ან ხელრთვის აღნიშვნა. პუნქტუაცია და ტექსტის დაყოფა ჩვენია (ორიგინალში მხოლოდ თვის რიცხვის აღმნიშვნელი ასოები არის გამოყოფილი). √ — პირობითად აღნიშნავს *ქანს*.[529]

ეს საბუთები, როგორც ჩანს, საქმოსანთა ერთი და იგივე ჯგუფის დანატოვარია (მოქმედი პირნი მეტწილად მეორდებიან); თუმცა კი, ქრონოლოგიურად, ყველაზე ცოტა დროის ექვსწლიან შუალედს ეხება (1792-1797).

დათარიღებულებიდან ქრონოლოგიურად უადრესია 1792 წლის 9 თებერვალს შედგენილი *წიგნი*:

> „ესე წიგნი მოგეცით მე მელიქიანთ შაქარას შვილმა გასპარამ შენ, <ყ>{ღ}ანბარა{ა}ნთ პაპას.
>
> ასე რომ ჩვენ ზარაფხანა ავიღევით იჯარით ხუთას თუმნათ რომ იქნება ამის ნახევარი √სნ[530] ამდენი. ამის ხ{ე}ირში და შარში ჩემი ამხანაგი ხარ. რამდენიც დაფარულად ამხანაგიც მყავს ამათთან სწორეთ წილი უნდა აიღო შენ პაპამ.
>
> დაიწერა თებერვლის თ, ქ(რონი)კ(ონ)ს უპ [ხელჩართული]"[531]

როგორც ვხედავთ, ამ ცნობით ზარაფხანა (ხელისუფლებისგან) 500 თუმნად (ანუ, 25 ათას [სირმა] აბაზად) იჯარით აღებული აქვს ვინმე მელიქიანთ შაქარას შვილ გასპარას, ამხანაგობის მეორე წევრი კი, 50%-იანი წილით, ვინმე ღანბარაანთ პაპაა. ძალიან საინტერესოა, რომ გასპარას *დაფარული* ამხანაგებიც ჰყავდა; ვინ იმალებოდა გასპარას უკან, უცნობია; თავად ფაქტი კი საინტერესოა XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს ბიზნეს-გარემოს შესასწავლად.

კიდევ ორი საბუთი 1797 წლით არის დათარიღებული:

---

*акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ: (Материалы для истории древ. Грузии)* (Тифлис: Тип. Гл. упр. главноначальствующего гражд. частью на Кавказе, 1882), 66; გულჩინა აკოფაშვილი, „ვაჭრობის, მრეწველობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე* (ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე) (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 552.

სამწუხაროდ, დღეისთვის, ეს საბუთები, როგორც ჩანს, მხოლოდ XIX საუკუნის გადმონაწერის სახით შემორჩა; მიუხედავად ამისა, მათი აუთენტიკურობა ეჭვს არ იწვევს; თუმცა კი, არ არის გამორიცხული გადმოწერისას შეცდომები გაპარულიყო.

529 „სარიცხვოს წერილებსა განწესება ასე არის: ყოველს თვთოეული სტრიქონის დასაწყისშია ქანი დაუჯდება ამისთვის, რომ წერილი და ანგარიში ერთმანეთში არ აირიოს.". თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 43.

530 = 250 [თუმანი].

531 საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1450, დავთ. №24, საბ. №75.

„ესე წიგნი დავდევით მე, მელიქია{ნ}თ შაქარას შვილი გასპარამ და შადინა{ან}თ აბელამ და შენ, ღაბარა{ა}ნთ პაპასა.

ასე რომე შენ, პაპა<ს>{მ} ზარაფხან{ა} აიღევით იჯარითა ოთხას ოცდახუთ თუმნათ, ჩვენ, სამთავე, ამხანაგ{ა}თ შევეყ{ა}რენით. ღმერთ(მა) ნუ ქნას ზიანი და სარგებელი სულ საერთოთ არის. ეს არის ჩვენი პირობა იანვ{ა}რს{ა} კთ, ქ(რონი)კ(ონ)ს უპე [ადგილი ბეჭდისა].

მე, აბელა<მ> ამისი ყაბული ვარ [აბელ]„[532]

ეს საბუთი 1797 წლის 29 იანვარს არის შედგენილი: ზარაფხანა კვლავ იჯარით არის გაცემული, ოღონდ უკვე ნაკლებ თანხად — 425 თუმნად (ანუ, 21,250 [სირმა] აბაზად) (რაც ზარაფხანიდან ნაკლები მოგების მოლოდინზე მიუთითებს); საბუთიდან არ ჩანს, ამ თანხად ზარაფხანა იჯარით იმავე 1797 წელს არის გაცემული, თუ უფრო ადრე, 1792-1797 წლების შუალედში. 1797 წლისთვის ზარაფხანა უკვე, ძირითადად, ღანბარაანთ პაპას ხელში იყო, მასთან ამხანაგობაში კი შედიან, კვლავ, მელიქიანთ შაქარას შვილი გასპარა, და, ახალი პირი — შადინაანთ აბელა. სამივე, როგორც ჩანს, თანაბარ წილს ეუფლება (⅓).

მეორე საბუთი 1797 წლის 21 იანვარს, ანუ, წინანდელზე 8 დღით ადრე არის გაცემული:

„ესე წიგნი მოგეცით მე, მელიქიანთ შაქარას შ<ა>ვილი გასპ{ა}რამ და შადინა{ან}თ აბელამა შენ, სიოა{ნ}თ[533] პაპასა.

ასე რომე ზარაფხან{ას} ვიღებდით ჩვენ ორთავე და შენ ჩვენ{ი} გული შეაჯერე და ჩვენ ზ{ა}რ{ა}ფხანიდამე ხელი ავიღეთ და თუ ჩვენ მაში გავერიოთ, უნდა შენ ათი თუმანი ხალ{ა}თის გ{ა}რდ{ა}[534] მოგცეთ, და თუ არ გავერივოთ, შენ უნდა ხ{ა}ლათის გ(ა)რდა ათი თუმანი შენ უნდა მოგ{ვ}ცე, თუ იჯარა შენს ხელში დარჩეს. ეს არის ჩვენი პირობა ღ(მრ)თის წინაშე.

დ{აი}წერა იანვრის კა, ქ(რონი)კ(ონ)ს უპე. [გასპარი]

თუ სამას ოცდაათ{ს?} ოც თუმანზედ მეტი მოუმატო ათი <ათი> თუმნის შენ უნდა მოგცე ხალათის გარდა [გასპარი] [აბელი]”[535]

ამ საბუთში იგივე პირნი მოქმედებენ. თითქოს, გასპარა და აბელა ზარაფხ-

---

532 იქვე, ფ. 1450, დავთ. №24, საბ. №76.

დიმიტრი ფურცელაძეს გამოქვეყნებული ჰქონდა ამ საბუთის თავისუფალი თარგმანი რუსულ ენაზე: “Мы, Гаспар Меликов и Абел Шудинов заключили сие условие с папа Габаровым в том, что мы взяли в арендное содержание монетный двор твой, при соучастии твоем, за 4250 руб., мы все трое сделались товарищами и барыши и потери должны быть общие.” Пурцеладзе (Сост.), *Грузинские крестьянские грамоты, крепостные и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ : (Материалы для истории древ. Грузии)*, 66.

533 8 დღით უფრო გვიან გაცემულ *წიგნში*, ისევე, როგორც, სხვა საბუთებში ჩანს ვინმე *ღანბარაანთ პაპა*. დიდი ალბათობით გადამწერს შეცდომა აქვს დაშვებული; თუმცა „სიოათ” იმდენად გარკვევით წერია, რომ გადავწყვიტეთ უცვლელი სახით დაგვეტოვებინა.

534 თუ, „გ{ი}რ{აო}დ”?

535 საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1450, დავთ. №24, საბ. №73.

ანაზე ხელს იღებენ (?), და ჩაურევლობის პირობასაც დებენ. თუმცა, საბუთის შინაარსი ბუნდოვანი რჩება. კერძოდ, ყურადღებას იპყრობს ამ კონტექსტში სიტყვა *ხალათის* გამოყენება; მისი მნიშვნელობა გაურკვეველი რჩება.[536] როგორც ჩანს, მოქმედ პირებს შორის ერთგვარი შეუთანხმებლობაა. თუმცა, ასე თუ ისე, 8 დღეში ისინი რიგდებიან და ამხანაგობას ქმნიან ზარაფხანის ერთობლივად ექსპლუატაციის მიზნით.

იმავე, 1797 წლის 5 მარტით, ანუ, წინანდელზე 1 თვითა და 6 დღით გვიანდელი რიცხვით დათარიღებულია კიდევ ერთი საბუთი, რომელშიც მოიხსენიება *ზარაფხანის ბარათები*, რომლებიც *დასახსნელი* ხდება:

> „შენ, პაპ{ა}ს, დაგისხნია ზარაფხან{ი}ს ბარ{ა}თები. სულ ჯამი შეიქნა ექვსი თუმანი და ორი მინალთუნი. ეს თეთრ{ი} ზარაფხან{ი}ს ვეჯუბიდა{ნ} უნდა მოგეცეს.
>
> მარტის ე, ქ(რონი)კ(ონ)ს უპე. [ხელჩართული]
>
> კიდე მოგეცი შენ, პაპას ბარ{ა}თები <ე>{ო}ცდა ექვსი მინალთუნი და ათი შაურ{ი} [ხელჩართული]"[537]

როგორც ჩანს, *ზარაფხანის ბარათების დახსნა* გულისხმობს გარკვეული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას (სახელმწიფოს, თუ კერძო პირის/თა მიმართ?).

ძალიან საინტერესოა რომ ქართლ-კახეთის სამეფოს პერიოდისთვისაც დასტურდება ტერმინ *(ზარაფხანის) ვეჯუბის* გამოყენება, რაც გულისხმობს ვერცხლის (ასევე, სხვა ლითონების?) მონეტად გარდაქმნისათვის ზარაფხანისადმი გადასახდელ საკომისიოს (არაბული واجيب — *სავალდებულო*).

მომდევნო საბუთი იმავე, 1797 წლის 27 აპრილით არის დათარიღებელი. მასშიც მოიხსენიება *ბარათები*, *ხალათი*, *ვეჯუბი*:

> „ღაზარა{ა}ნთ პაპ{ა}ს უნდა მივცე ხალ{ა}თ{ი}ს და ბ{ა}რ{ა}თებისა თორმეტი თუმანი. რაც ვერცხლი მოვიდეს ნახევარი ვეჯუბი გია{ნ}გარიშო, ნახევარი მე, ანტონმ{ა} ავიღო, მინამ ეს თორმეტი თუმანი შეგ{ი}სრულო.
>
> აპრილს კზ, ქ(რონი)კ(ონ)ს უპე [ანტონ]
>
> √ან̃[538] პაპ{ა}ს მივე ამ თორმეტი თუმან{ი}ს თანხაში თოთხმეტი მინალთუნი
>
> √აჯ[539] კიდევ მივე თვრამეტი მინალთუნი."[540]

---

536 იოსებ გრიშაშვილის ქალაქური ლექსიკონის მიხედვით, „ხალათი — სახსოვარი. შეგირდს რომ ასწავლიან და გაასტატებენ, მაშინ შეგირდი ოსტატისთვის იხდის ხალათს, ან თუ ქალი გაათხოვე, დედას სიძემ უნდა მისცეს ხალათი, ე.ი. სახსოვრად, საჩუქრად ოქროული ნივთი ან სხვა რამ." გრიშაშვილი, *ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა)*, 284.

537 საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1450, დავთ. №24, საბ. №77.

538 1 თუმანი (=10 მინალთუნს) და 4,000 დინარი (=4 მინალთუნს), ე.ი. 14 მინალთუნი.

539 1 თუმანი (=10 მინალთუნს) და 8,000 დინარი (=8 მინალთუნს), ე.ი. 18 მინალთუნი.

540 იქვე, ფ. 1450, დავთ. №24, საბ. №74.

ჩნდება ახალი მოქმედი პირი, ვინმე *ანტონი*, რომელსაც, როგორც ჩანს, ასევე ხელი მიუწვდება ზარაფხანის შემოსავალზე — *ვეჯუბზე*, ანუ, თავად ზარაფხანაზედაც.

ჩვენი აზრით, ეს საბუთები საკმაოდ ღირებული წყაროა ქართლ-კახეთის სამეფოში ფულის გამოშვების ისტორიისა და ორგანიზაციის შესასწავლად.

გამოვლინდა რამდენიმე კერძო პირი, საქმოსანი, რომელიც 1790-იან წლებში სახელმწიფოსგან ზარაფხანას იჯარით იღებს, ხან 425, ხან კი 500 თუმნად, და ცდილობს ამ თანხაზე მეტი მოგება მოიპოვოს. ესენია მელიქიანთ შაქარას შვილი გასპარა, შადინაანთ აბელა, ღანბარაანთ პაპა, ვინმე ანტონი. აღნიშნული პირები, საფიქრებელია, ქალაქელი ხალხია; ერთმანეთთან (საქმიან) ურთიერთობაში ქართული ენითა და დამწერლობით სარგებლობენ, ქართულ ეთნოკულტურულ წრეს განეკუთვნებიან.

ქართლ-კახეთის სამეფოსა და საქართველოს ეკონომიკური ისტორიის თვალსაზრისით, აღსანიშნავია ზარაფხანის იჯარით *რამდენიმე საქმოსნიგან შემდგარი ამხანაგობის* მიერ აღების ფაქტი. ამასთანავე, ზოგჯერ ის პირი, ვისაც ზარაფხანა იჯარით ოფიციალურად აქვს აღებული, სინამდვილეში, მხოლოდ *რამდენიმე დაფარული საქმოსნისგან შემდგარი ამხანაგობის* საჯარო წარმომადგენელია.

ტერმინოლოგიური კუთხით, როგორც ჩანს, არაფერი შეცვლილა; ისევე როგორც ვახტანგ VI-ის დროს, ნედლი ლითონის (ყოველ შემთხვევაში, ვერცხლის) საფასედ გარდაქმნისგან ზარაფხანის შემოსავალი ემყარება *ვეჯუბს*, საკომისიო გადასახადს.

ზარაფხანის ფინანსური ანგარიშგება, ნაწილობრივ მაინც, ემყარება ე.წ. *ზარაფხანის ბარათებს*. გამოიყენება *ხალათის* ცნებაც, ოღონდ, მისი მნიშვნელობა გაურკვეველი რჩება.

ვფიქრობთ, 1770, 1792 და 1797 წლების ცნობები შესაძლებელია განვავრცოთ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის მთელს პერიოდზე; დავასკვნით, რომ, დიდი ალბათობით, ქართლ-კახეთის სამეფოს ზარაფხანა ყოველთვის იჯარით გაიცემოდა და მას მოიჯარეები განაგებდნენ.

ზარაფხანის იჯარით გაცემის ფაქტი არ გულისხმობს, რომ მეფეს / სამეფო ხელისუფლებას სრულად ჰქონდა დაკარგული კონტროლი ზარაფხანის მუშაობაზე. უეჭველია, რომ ძირითად გადაწყვეტილებებს გამოსაშვები მონეტების სინჯის, მასისა და დიზაინის / ზედწერილების შინაარსის თაობაზე სწორედ მეფის ადმინისტრაცია იღებდა. მოიჯარეების მოვალეობას კი უფრო ზარაფხანის ყოველდღიური მუშაობის ორგანიზება-წარმართვა იქნებოდა.

ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში მეფე სამუშაო პროცესში პირადად და უშუალოდაც ერეოდა და განკარგავდა ზარაფხანის მუშაობას; ყოველ შემთხვევაში, ზარაფხანას საგანგებო დაკვეთას აძლევდა — საფიქრებელია, უსასყიდლოდ, თავისთვის ოქროს მონეტას აჭრევინებდა. ასე, მაგალითად, მანუჩარ თუმანიშვილი, მეფის მდივანი,[541] უეჭველია, მონარქის დავალებით მოქმედი, წერს დაუთარიღებელ დოკუმენტში:

---

541 პაატა გუგუშვილი მას მდივნად თვლიდა. გუგუშვილი, „ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ა.-კავკასიაში მე-19 საუკუნეში“, 33ყ როგორც ჩანს, ეს არის მანუჩარ გორჯასპის ძე თუმანიშვილი, XVIII საუკუნის II ნახევრის ცნო-

„ნასყიდა თავლადარს ასლანას აწონილი შვიდი მისხალი ოქრო გაუგზავნე ხალასი ოქროს შაურების მოსაჭრელად. ოცდათვრამეტი შაური გამოეგზავნა; ესეც ასლანს ავაწონინე: შვიდს მისხალს აკლდა ნახევარი მისხალი და ხუთი მუხუდო“.[542]

*

საგანგებოდ შევეხებოდით ზარაფხანის იჯარით გაცემის შემოსავლიანობის საკითხს.[543]

ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ფართოდ გამოიყენება კაპიტან იაზიკოვის ცნობა, რომლის საფუძველზედაც კეთდება დასკვნა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ბიუჯეტში ზარაფხანის იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი ძალიან არსებითი იყო.[544] ჩვენი აზრით, კაპიტან იაზიკოვის ცნობა სანდო არ უნდა იყოს და კრიტიკულ განხილვას საჭიროებს.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ ამ ციფრის სისწორე ჯერ კიდევ სარგის კაკაბაძეს ეეჭვებოდა;[545] თუმცა, მის არგუმენტაციას ვერ გავიზიარებთ.[546]

ზარაფხანის იჯარით 30,000 რუბლად აღება (იაზიკოვის მიხედვით) ნიშნავს, რომ მოიჯარეს ჰქონდა საშუალება თუ იმედი ამაზე მეტი მოგებაც მიეღო. გარდა ამისა, მოიჯარეს უნდა გაესტუმრებინა ზარაფხანის საოპერაციო ხარჯებიც, დავუშვათ, პერსონალის ანაზღაურება, საწვავი, და სხვ. აქედან

---

ბილი მოხელე და საქმოსანი. გულჩინა აკოფაშვილი, „მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს. მეორე ნახევარი XIX ს. დამდეგი)“, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1966), 405-411.

542 საქ. მუზეუმი, წ.-კ. გამავრც. საზ. ხელნაწ. კოლექცია, №5238. დამოწმებულია პაატა გუგუშვილის ნაშრომის მიხედვით. გუგუშვილი, „ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ა.-კავკასიაში მე-19 საუკუნეში“, 33, სქოლიო 4.

543 Cf. ფალავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო და საფასის წარმოების ზოგიერთი საკითხი ქართული და რუსული საბუთების მიხედვით", 157-158.

544 ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 39-40; თაბუაშვილი, *ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის*, 83-84, 112-113.

545 კაკაბაძე, „საფასის ისტორიისთვის საქართველოში“, 30.

546 სოლომონ მელიქიშვილის მოწმობის (ჩვენ მას დაწვრილებით სხვაგან არაერთგზის განვიხილავთ) საფუძველზე მკვლევარმა მართებულად დაასკვნა, რომ „მეფის სალაროს“ სასარგებლოდ ყოველი ლიტრა ვერცხლიდან მოჭრილი 211 მანეთისა და 20 კაპიკისგან მეფეს შემოსდიოდა 24.2%; მაგრამ, შემდეგ, ავტორმა ზარაფხანის იჯარით გაცემისგან (პირველწყაროში ასეა) მიღებული შემოსავალი (30 ათ. მანეთი) რატომღაც ჩათვალა იმ თანხად, რომელსაც იღებდა მეფე თავისი წილი ვერცხლის მონეტად გარდაქმნისაგან; ამის საფუძველზე კი დაასკვნა, რომ „ამ დროს ტფილისში წელიწადში იჭრებოდა თითქოს 123.9 ათ. მანეთის ღირებულების საფასე“; თუმცა, ეს ციფრი „გარდამეტებულად“ ჩათვალა. რასაკვირველია, აქ შეცდომაა გაპარული: ზარაფხანის იჯარით გაცემისგან მიღებული შემოსავალი მეტ-ნაკლებად შეესაბამება, ან, რამდენადმე ნაკლებია იმ მოგებაზე, რომელსაც იღებს მოიჯარე; მაგრამ მოიჯარის მოგება სულაც არ უდრის ზარაფხანაში მოჭრილი საფასის ოდენობას, არამედ მის მხოლოდ შედარებით უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს; პროცენტს, რომელსაც ზარაფხანა ართმევს იმას, ვისაც მოსაჭრელად ვერცხლი აქვს მოტანილი (*ვეჯუბი*).

გამომდინარე მოიჯარის მოგება აღემატებოდა, ან, ყველაზე ცოტა, უდრიდა 30,000 რუბლს + საოპერაციო ხარჯებს (წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარე ზარალს ნახავდა).

ზარაფხანის მოიჯარის შემოსავალი შედგებოდა ორი თუ სამი კომპონენტისგან:

1) ოქროს საფასის წარმოება;
2) ვერცხლის საფასის წარმოება;
3) სპილენძის საფასის წარმოება;

ოქროს საფასეს ქართლ-კახეთის სამეფოში, როგორც ჩანს, მინიმალური ტირაჟებით უშვებდნენ.[547] გარდა ამისა, როგორც ზემოთ, წინა ნაკვეთში ვაჩვენეთ, ის მონარქის საგანგებო დაკვეთით იჭრებოდა, სავსებით შესაძლებელია, საკომისიოს გადახდის გარეშე. აღნიშნულის საფუძველზე ვთვლით, რომ ოქროს საფასის მოჭრიდან ზარაფხანასა და მის მოიჯარეებს მოგება საერთოდ ვერ ექნებოდათ, ან ის მინიმალური იქნებოდა.

ვერცხლის (ჭურჭლის ჩათვლით) მონეტად გარდაქმნისგან მიღებული მოგება, ანუ, ამ ოპერაციაზე დაწესებული საკომისიო, ძალიან მაღალიც ვერ იქნებოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა მსურველი თუ არა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც, ვერცხლს ამ, ანუ, თბილისის ზარაფხანაში აღარ მიიტანდა (და ამჯობინებდა მონეტის მოსაჭრელად სხვა ზარაფხანისადმი მიებარებინა). გვაქვს თუ არა საშუალება, მიახლოებით მაინც დავადგინოთ, თუ რას უდრიდა ეს საკომისიო? იძულებულნი ვართ, ანალოგიას მივმართოთ და მას დავეყრდნოთ: ნახევარი საუკუნის წინ, სეფიანთა პერიოდში, XVIII საუკუნის I მეოთხედში, მოწოდებული ვერცხლისგან მონეტის მოსაჭრელი საკომისიო 2-2.5%-ის ფარგლებში მერყეობდა; თუმცა, ქართლის მეფეს ნებისმიერად შეეძლო ის შეეცვალა კიდევაც. ვახტანგ VI-ის დასტურლამალმა შემდეგი ცნობა შემოგვინახა:

> „ამისი ვეჯუბი დასტურლამა უწინ ყოფილა ორი ათას მისხალზედ ექვსი მინალთუნი და ახლა ვართმევთ ხუთს მინალთუნს."[548]

1707-1709 წლებში შედგენილი[549] დასტურლამალი, ბუნებრივია, ასახავს ვერცხლის საფასის მოჭრის რეალიებს სულთან ჰუსეინ I-ის I წონითი სტანდარტის მოქმედების (ჰ. 1105-1123 / 1693/4-1711/2 წლები) პირობებში: თუმანი = 1925 მუხუდოს (აბაზი = 9.625 დანგს / 7.39 გ).[550] შესაბამისად, 1 მისხალი გამოდნობილი ვერცხლიდან მოიჭრებოდა 0.62 აბაზი; 2 ათასიდან, შესაბამისად, 1,240 აბაზი, ანუ, 248 მინალთუნი; უწინდელი, 6 მინალთუნის ვეჯუბი გულისხმობდა

547 Cf. ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 229-237.

548 *ქართული სამართლის ძეგლები. 1. ჴელმწიფის კარის გარიგება. 2. დასტურლამალი*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970), 535.

549 იქვე, 215-216.

550 Album, *Checklist of Islamic Coins. Third Edition*, 281.

საკომისიოს სახით შემოსული ვერცხლის 2.42%-ის გადახდას, ახალი წესით კი, ეს ციფრი 2.02%-მდე შემცირდა. თინათინ ქუთელიას მიერ მოწოდებული გაანგარიშებით (1 მისხალი ვერცხლი 2.5 შაურის მოჭრას ხმარდებოდა, შესაბამისად, 2,000 მისხალი 5000 შაურს, ანუ, 250 მინალთუნს იძლეოდა), მიიღება უკეთ დამრგვალებული ციფრი — 2.0%.[551] საფიქრებელია, ზარაფხანაშიც ანგარიში იგივენაირად წარმოებდა.

რასაკვირველია, მოიჯარის / ზარაფხანის მოგება გადამუშავებული ვერცხლის 2%-ზე ნაკლები იქნებოდა, ვინაიდან გასასტუმრებელი იყო საოპერაციო ხარჯებიც (პერსონალის ანაზღაურება, საწვავის ღირებულება, და სხვ.).

როგორც ჩანს, სეფიანთა პერიოდში ადგილობრივ მმართველს, ყოველ შემთხვევაში, გორჯესთანის ვალის, ჰქონდა საშუალება, — ჩარეულიყო ზარაფხანის მუშაობაში და ვერცხლის მონეტად მოჭრის საკომისიო თვითნებურად შეეცვალა. სხვათა შორის, ვეჯუბის ქართლის მეფის მიერ დამოუკიდებლად შეცვლის ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თბილისის ზარაფხანას ადგილობრივი ქართველი მონარქი აკონტროლებდა.[552]

თუმცა, ვეჯუბს არსებითად ის მაინც ვერ შეცვლიდა: საკომისიოს შემცირებისას, ზარაფხანა ვერცხლის მონეტის მოჭრისგან მოგებას ველარ ნახავდა; ზედმეტად გაზრდის შემთხვევაში კი, როგორც უკვე ვახსენეთ, *ამ* ზარაფხანაში ვერცხლს მონეტის მოსაჭრელად აღარ მიიტანდნენ.

წამიერად წარმოვიდგინოთ, რომ მოიჯარე მთელ მოგებას ვერცხლის საფასის მოჭრისგან იღებდა.

უკვე განვმარტეთ, რომ თუ იჯარის სახით მოიჯარე 30,000 რუბლს იხდიდა, ე.ი. მისი მოგება ≥ 30,000 რუბლს + საოპერაციო ხარჯებს. სიმარტივისათვის, მაინც, წარმოვიდგინოთ, რომ მოგება მხოლოდ 30,000 რუბლს შეადგენდა (სინამდვილეში, მეტი უნდა ყოფილიყო), და რომ საოპერაციო ხარჯები არ იყო გასასტუმრებელი, და, დავუშვათ, 2%-იანი საკომისიო მთლიანად მოგებას წარმოადგენდა: მაშინ, 2%-იანი საკომისიოს არსებობის გათვალისწინებით, გამოდის, რომ 1770 წლისთვის თბილისის ზარაფხანა ყოველწლიურად გადაამუშავებდა ყველაზე ცოტა, 30,000 x 50 = 1,500,000 რუბლის ტოლფას ვერცხლს, ანუ, 27 ტონა ვერცხლს (sic): 1762-1796 წწ. რუბლის ნორმატიული მასა უდრიდა 24 გრამს; რუბლიანები (ზოლოტნიკური სისტემის მიხედვით) 72-ე სინჯის ვერცხლში იჭრებოდა, ანუ, სუფთა ლითონის 18 გრამს შეიცავდნენ;[553] შესაბამისად, 1,500,000 რუბლი = 27,000,000 გრამ ვერცხლს; 27 ტონა ვერცხლიდან კი 8,789,062.5 ცალი (თითქმის 9 მილიონი) ოთხდანგიანი აბაზის (ნორმატიული მასით 3.072 გ) მოჭრა იქნებოდა შესაძლებელი; ბუნებრივია, თუ ჩავთვლით, რომ სირმა აბაზი სუფთა ვერცხლისგან შედგებოდა (100% სინჯი). ან, მოიჭრებოდა 9,024,064.2 ცალი, 9 მილიონზე მეტი, — თუ გავითვალისწინებით სირმას 97.4%-ის ტოლ სინჯს. თუ იაზიკოვის 30,000 რუბლი 30,000 მინალთუნად უნდა გავიგოთ, მაშინ, მაინც, საუბარი იქნება 22,960,000 გ, ანუ,

551 Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)*, 31.

552 იქვე, 26-32.

553 Василий Уздеников, *Монеты России. 1700-1917* (Москва: Финансы и статистика, 1985), 412, 415.

22 ტონაზე მეტ ვერცხლზე; სხვა სიტყვებით — 7,500,000, ე.ი. 7.5 მილიონ ცალ სირმა აბაზზე. რომც გავითვალისწინოთ ჰიჯრის 1181-1184 წლების სირმა აბაზიანების შედარებითი სიხშირე, ასეთი მასშტაბის წარმოება წარმოუდგენელია: ახტალიდან ყოველწლიურად მიღებული ვერცხლის რაოდენობა ხომ ხშირად 200 კილოგრამსაც ვერ აღწევდა (დიაგრამა 1).[554]

ასევე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მოიჯარეს ამხელა (≥ 30,000 რუბლზე + საოპერაციო ხარჯებზე) მოგება სპილენძის მონეტის მოჭრისგან ენახა. ძვირფასი ლითონის, ანუ, ვერცხლის საფასისგან განსხვავებით, ქართლ-კახეთის სპილენძის საფასე საკრედიტო მონეტას წარმოადგენდა; მისი (წარმოების) თვითღირებულება არ აღემატებოდა მოჭრილი მონეტის ნომინალური ღირებულების 1/3-ს, ნაკლებს თუ არა.[555] სპილენძის საფასის მოჭრით *თუნდაც მხოლოდ* 20,000 (და არა 30,000) რუბლის მოსაგებად, აუცილებელი იქნებოდა *ყოველწლიურად* 30,000 რუბლის ღირებულების სპილენძის საფასის წარმოება. 30,000 რუბლი = 540,000 გ ვერცხლს („რუბლში" ე.წ. *ახალ რუბლს* ვგულისხმობთ, რომლის ემისიაც 1761 წელს დაიწყო, და რომელშიც ვერცხლის შემადგენლობა 18.00 გრამს უდრიდა[556]) = 180,481 სირმა აბაზს (სინჯით 97.4%) = 1 მილიონ 800 ათასზე მეტ ბისტს (ქართლ-კახეთის სამეფოს სტანდარტული სპილენძის ნომინალი, აბაზის 1/10). ხოლო თუ 30,000 მინალთუნს ვიანგარიშებთ, 1 მილიონ 500 ათას ბისტს მივიღებთ. ვფიქრობთ, ეს ციფრიც აშკარად გადამეტებულია - ბაზარი საკრედიტო ფულის ამხელა მასას ვერ აიტანდა — საკრედიტო სპილენძის ფულის შეუზღუდავად გამოშვების გზით სამონეტო რეგალიის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, დაიწყებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის ფულის გაყალბება (შესაძლობა, გაყალბებულის იმპორტიც კი).[557]

ჩვენი გამოთვლებით, ქართლ-კახეთის სამეფოს არ გააჩნდა საკმარისი რესურსი და პოტენციალი, იმდენი ვერცხლის თუ სპილენძის საფასე გამოეშვა, რომ ზარაფხანის იჯარისგან მიღებული შემოსავალი 30,000 რუბლზე თუ მინალთუნზე (+საოპერაციო ხარჯებზე) მეტი ყოფილიყო. ამრიგად, კაპიტან იაზიკოვის ცნობაში დასახელებული ციფრი აბსოლუტურად არარეალურად გვეჩვენება. ამ მხრივ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში პირველწ-

---

554 ფაღავა, „ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა", 358; ფაღავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო და საფასის წარმოების ზოგიერთი საკითხი ქართული და რუსული საბუთების მიხედვით", 158-159.

555 Paghava, "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti", 248-249.

556 Узденников, *Монеты России. 1700-1917*, 412, 415.

557 რასაც კარგად გვისურათებს XVIII საუკუნის რუსეთის იმპერიის ეკონომიკური ისტორია. Василий Узденников, "История чеканки и обращения медных пятаков 1723-1730 гг.", Василий Узденников, *Монеты России XVIII - начала XX века. Очерки по нумизматике*, под редакцией доктора исторических наук А. С. Мельниковой (Москва: Мир отечества, 1994), 20-21, 27-28; Cf. ირაკლი ფაღავა, „კვლავ უწესო ჭედვის ქართული და კავკასიური მონეტების ღირებულებაზე და რუსუდანის ფულად რეფორმაზე" / Irakli Paghava "Once Again, on the Value of the Irregularly Struck Georgian and Caucasian Coins and Rusudan's Monetary Reform", *Scientia*, #1 (2020), 45, 69-70.

ყარო ნარატიულია, და არა დოკუმენტური, და, თავისთავადაც, აბსოლუტური ნდობით არ უნდა სარგებლობდეს.

ჩვენი აზრით, რეალობასთან ბევრად უფრო ახლო უნდა იყოს 1792 და 1797 წლების *დოკუმენტური* ცნობები ზარაფხანის იჯარით 500 თუ 425 თუმნად გაცემის შესახებ, და სწორედ მათ უნდა დავეყრდნოთ.

საფიქრებელია, 1770 წლისთვის ქართლ-კახეთის ეკონომიკური ცხოვრება (და პოლიტიკური ინსტიტუტები) ჯერ არ იქნებოდა ისე დეგრადირებული, როგორც საუკუნის ბოლოს; თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ჰიჯრის 1213 წლით (1798/9) დათარიღებული სირმა ვერცხლის და სპილენძის მონეტები საკმაოდ ხშირია; მათი გამოშვება სწორედ 1797 წლის შეთანხმების საფუძველზე ხომ არ დაიწყო (წილში კიდევ ორი მოიჯარის შემოსვლისა და ამხანაგობის ამოქმედების შემდეგ?). ფაქტია, გიორგი XII-ის ზეობის ამ პერიოდში თბილისის ზარაფხანა ჯერ კიდევ აქტიურად მუშაობდა. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ, გარკვეული სიფრთხილით, ხსენებული ციფრის ექსტრაპოლირება უფრო ადრინდელ პერიოდზედაც შეიძლება.

ჩვენი აზრით, თბილისის ზარაფხანის იჯარით გაცემისგან მიღებული შემოსავალი 500 თუმანზე, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, 25 ათ. სირმა აბაზზე ბევრად მეტი არ უნდა ყოფილიყო (76.8 კგ ვერცხლის საფასე).

ეს კი, სხვათა შორის, მნიშვნელოვანი მონაცემია ქართლ-კახეთის სამეფოს ბიუჯეტის მასშტაბსა და სტრუქტურაზე მსჯელობისთვის.[558]

აქვე მოვიყვანთ ზარაფხანის მოიჯარის ჰიპოთეტურ ბიუჯეტს, 1792 წლის ციფრზე (500 თუმანი) დაყრდნობით. 500 თუმნად ზარაფხანის იჯარით აღების შემთხვევაში, მოიჯარეს, ყველაზე ცოტა 500 თუმნის მოგება უნდა ენახა (რომ არ ეზარალა). სიმარტივისთვის უგულებელვყოთ ოპერაციული ხარჯები. ჰიპოთეტურად, დავუშვათ, რომ მითითებული თანხის 5%-ს მოიჯარე მოიგებდა ვერცხლის საფასის მოჭრით, 95%-ს კი სპილენძის ფულის მოჭრით. 2%-იანი ვეჯუბის შემთხვევაში, 25 თუმნის მოსაგებად ზარაფხანას წელიწადში უნდა გამოეშვა 1,250 თუმნის ვერცხლის საფასე, ანუ, 97.4%-იანი სინჯისა და 3.072 გრამი წონის (სუფთა ვერცხლის შემცველობა 2.992 გ) 62,500 აბაზი (რაზედაც დაიხარჯებოდა 187,000 გ, ანუ, 187 კგ ვერცხლი). ხოლო შავი ფულის მოჭრით კი 475 თუმნის მოგების მისაღებად აუცილებელი იქნებოდა 1.5-ჯერ მეტი ღირებულების, ანუ, 712.5 თუმნის სპილენძის მონეტის მოჭრა; 18-გრამიან ბისტებზე რომ გადავთვალოთ, აუცილებელი იქნებოდა სულ 356,250 ცალი ბისტის გამოშვება (უშვებდნენ უფრო წვრილ ნომინალებსაც, ამიტომ მოჭრილი სპილენძის მონეტების ჯამური რაოდენობა 400-500 ათასი იქნებოდა). თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართლ-კახეთის მოსახლეობა რამდენიმე ასეულ ათას სულს მოითვლიდა, ჩვენი აზრით, მიღებული ციფრები მეტ-ნაკლებად რეალურია.

მაინც, გვაფიქრებს სპილენძის მონეტების რაოდენობა. რამდენად გაუძლებდა არცთუ ხალხმრავალი ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკა ასეთი რაოდენობის საკრედიტო ფულის შემოდინებას?

ხომ არ შეიძლება, ასევე, დავუშვათ შემდეგი ჰიპოთეზა: ქართლ-კახეთის

558 Cf. თაბუაშვილი, *ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის*, 83-84, 112-113.

სამეფოს სპილენძის ფულის სხვადასხვა სამონეტო ტიპზე მითითებული თარიღი წარმოადგენდა არა ინიციალურ, სამონეტო ტიპის მიღების აღმნიშვნელ თარიღს,[559] არამედ ყველა ამ თარიღის მატარებელი მონეტის მოჭრის რეალურ თარიღს; სპილენძის მონეტები ყოველწლიურად კი არ იჭრებოდა, არამედ, მხოლოდ მითითებულ (ჰიჯრის) წლებში; ახალი სამონეტო ტიპის გამოშვება გულისხმობდა (როგორც ეს ირანული ქალაქური შავი ფულისთვის იყო ტრადიციულად მიღებული) წინარე ფულების გაუქმებას (თუ დადამღული არ იყო!), რაც ზრდიდა ხელისუფლების მოგებას, და, ამასთანავე, იცავდა ეკონომიკას საკრედიტო ფულით ზე-გაჯერებისგან; ზარაფხანის იჯარით გაცემის ხელშეკრულებაში წინასწარ განისაზღვრებოდა, თუ რამდენი სპილენძის ფული უნდა გამოეშვათ (რაც ზარაფხანის მოგების ძირითად წყაროს წარმოადგენდა).

*

ზარაფხანის ფინანსური კონტროლისა თუ ექსპლუატაციის თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა ერთი 1781 წლის საბუთი, გამოქვეყნებული ნიკო ბერძენიშვილის მიერ; გამომცემელმა ის შემდეგნაირად დაასათაურა: „მოხელეების სარგოს ანგარიშის წიგნი".[560] საბუთი ორი ძმის შედგენილია, მათი სახელები არ ჩანს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი, სხვა პირებთან ერთად, არა მარტო „ბატონის ბრძანებით" მოქმედებენ (მარილს ჰყიდიან, რისთვისაც გასამრსჯელოს წლების დაგვიანებით თუ იღებენ), მის მოხელეებად გვევლინებიან, არამედ, ზოგჯერ მაინც, იჯარით იღებენ, მაგალითად, მარილის სყიდვას, და დამოუკიდებლად მოქმედებენ, სხვა საქმოსნებთან[561] „ამხანაკობაში". ამ საბუთით იმიტომ დავინტერესდით, რომ ამ ორმა ძმამ მადანემინობაც გასწია, რის სანაცვლოდაც 1777 (ქორონიკონი უჲე) და 1778 წლებში (ქორონიკონი უჲვ) *ზარაფხანიდან სარგო მიიღეს* — 4.45 თუმნის ოდენობით (1780 წლიდან კი სარგოს უკვე სხვა წყაროდან იღებენ; 1779 წლის მდგომარეობა საბუთში ასახული არ არის):

> „ჩვენი და თაყუას-შვილის ანგარიში, რასაც მოსაცემს არის, ამას ქვეით სწერია და რაც მოცემული ექნება, იმის, ჩვეულებისამებრ, ბარათი ექნება ჩვენი.
>
> √ითჭ ქ. ბატონის ბძანებით, მარილის მომტანისაგან ერთს ლიტრას მარილს ორშაურათ ჰყიდულობდა და საბატონოთ ერთს ლიტრას აბა(ზა)თ ჰყიდდა, რამთენს წელიწადს ასე ჰყიდა, რომ მოხელებ(ს) ჯერ სარგო არ აგველო; მას უკა(ნ) ერთიანად ბატონმა თაყუაშვილზე მოცემის ბძანება ინება. იმისი ჩვენ წილათ გვერგო, რომ უნდა მოგვცეს.

559 როგორც ამას ევგენი პახომოვი ფიქრობდა. Пахомов, *Монеты Грузии*, 251.

560 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 67.

561 ერთ-ერთ ესეთ საქმოსნად ნახსენებია „მელიქის-შვილი შაქარა". ვფიქრობთ, ეს არის 1792 და 1797 წლების საბუთებში (vide supra) მოხსენიებული „მელიქიანთ შაქარას შვილი გასპარას" მამა.

√მ ქ. მასუკან ბატონმა თავისთვის მარილის სყიდვა არ ინება და იჯარით გაცემა ინება. თაყუასშვილმა იჯარით აიღო. ამაში ამხანაკობა ასე იყო: ორი წილი თავისთვის და თავის ხეჩატურასათვის, ორი წილი ჩვენ ორის ძმისათვის და ერთი წილი მელიქის-შვილის შაქარასი. ამის ანგარიში რომ ვნახეთ, თვითოს ოცთუმნამდინ გვერგო. ორის ძმის წილი იქნება.

√დჭ ქ. იჯარით აღებულის მარილის ჩვენი წილი სარგო.
ქ. იმავ იჯარისა ჩვენი წილნახევარ შაშართლამო.

√დწფ ქ(ორონი)კ(ონ)ს უჲე, ამ წელს მადანემინობაში ზარაფხანის ჩვენი წილი სარგო.

√დწფ ქ(ორონი)კ(ონ)ს უჲვ, ამ წელს მადანემინობაში ზარაფხანის ჩვენი წილი სარგო.

√გჭქკე ქ(ორონი)კ(ონ)ს უჲჱ, ამ წლის ქალაქის მახთისა ჩვენი სარგო.
ქ. ამ წლის ქალაქის მალის სარგო.
ქ. ამ წლის ქალაქის დანიმის სარგო.

[...]”[562]

*

ფიზიკურად სად წარმოებდა ქართლ-კახეთის საფასის წარმოება? თბილისის ზარაფხანის ადგილმდებარეობა ცნობილია (მის ურბანულ კონტექსტს ისტორიული საბუთებისა და რუკების მიხედვით სწავლობდა მამისა ბერძნიშვილი[563]). (ქართლის სამეფოს) ზარაფხანა ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე, რამდენადაც უცნაური არ უნდა იღოს, აღნიშნული არ არის (რუკა 1).

თუმცა, თბილისის ზარაფხანა მითითებულია ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის თანადროულ რუკებზე, რომლებიც რუსმა ოფიცრებმა მოამზადეს. ესენია

- 1782 წელს უცნობი პირის მიერ შედგენილი თბილისის გეგმა (რუკა 2);[564]
- ალექსანდრე სტეფანეს ძე პიშჩევიჩის მიერ 1785 წელს შედგენილი გეგმა (რუკა 3), რომელიც ძალიან ემსგავსება (იმეორებს?) 1782 წლის გეგმას, — ემთხვევა სხვადასხვა ობიექტის აღმნიშვნელი ციფრები და კვარტლების მოყვანილობაც კი (პიშჩევიჩის გეგმა ნაკლები დახელოვნებულობით არის შესრულებული);[565]
- კაპიტან ჩუიკოს მიერ 1800 წელს შედგენილი რუკა (რუკა 4).[566]

562 იქვე.

563 მამისა ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში* (თბილისი: მეცნიერება, 1965), 32-34, 73.

564 ЦГВИА, Фонд ВУА, №22656; *თბილისის ისტორია. ტომი I. თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე*, რედაქტორები მამია დუმბაძე, ვიქტორ გუჩუა (თბილისი: მეცნიერება, 1990), 461, სქოლიო 1.

565 “План г. Тифлиса в 1785 г.”, *Записки Императорского Одесского Общества Истории и Древностей*, Т. XXIV (1902), Смесь, 19-22, Илл.; *თბილისის ისტორია. ტომი I. თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე*, რედაქტორები მამია დუმბაძე, ვიქტორ გუჩუა, 461-463, ტაბულა 59.

566 ЦГВИА Фонд ВУА №22660, ციტირებულია მამისა ბერძნიშვილის ნაშრომის მიხედვით. ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, 80-87, ორი სურათი.

რუკა 1. თბილისის გეგმა, შედგენილი ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს (ქრომოლი-
თოგრაფია)



რუკა 2. თბილისის გეგმა, 1782 წლის (ЦГВИА, Фонд ВУА, 22656)



გასათვალისწინებელია, ასევე, უშუალოდ ანექსიის შემდგომ,

- 1802 წელს უცნობი პირის მიერ შედგენილი თბილისის გეგმა (რუკა 5),[567] — ძალიან ემსგავსება ჩუიკოს გეგმას (ცოტა უფრო სქემატურია).

ოთხივე გეგმა საკმაოდ ზუსტია,[568] და ერთმანეთს მეტ-ნაკლებად ემთხვევა. 1782 და 1785 წლის რუკებზე ზარაფხანა მონიშნულია 47-ე ნომრით, 1800 წლის რუკაზე კი 69-ე ნომრით. სამივე გეგმაზე ზარაფხანის ადგილმდებარეობა იდენტურია. 1802 წლის გეგმაზე კი, ზუსტად იმავე ადგილას, 26-ე ნომრით აღნიშნულია სასინჯი სახლი (პალატა) — “Пробирной дом по части Горной”. ამ გეგმის მოწმობა ძალიან მნიშვნელოვანია, — გვაძლევს საშუალებას გავარკ-

567 <https://commons.wikimedia.org/wiki/File:Plan—of—Tbilisi—1802.gif>, accessed 22 April 2023.

568 პიშჩევიჩისა და ჩუიკოს გეგმების სიზუსტე უკვე აღინიშნა. ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, 3-4.

რუკა 3. თბილისის გეგმა, შედგენილი ალექსანდრე პიშჩევიჩის მიერ 1785 წელს




ვიოთ ქართლ-კახეთის მეფეთა ზარაფხანის შენობის ბედი და დანიშნულება 1801 წლიდან (ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია რუსეთის იმპერიის მიერ), ვიდრე 1804 წლამდე (როდესაც, რუსულმა ხელისუფლებამ ზარაფხანა და სასინჯი პალატა ხელახლა გახსნა, როსტომ მეფის აბანოებში).

ქართლ-კახეთის სამეფოს ზარაფხანა მდებარეობდა ქვემო (ციხის?) უბანში,[569] ციხის, იგივე ქვემო, იგივე თათრის მოედნის (მეიდნის),[570] თანამედროვე ვახტანგ გორგასლის მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთით; მას ეკავა ტერიტორია მტკვრის პირას, დაახლოებით თანამედროვე ევროპის მოედნის მოპირდაპირე მხარეს.

თანამედროვე მეტეხის ხიდი მტკვრის ყველაზე ვიწრო ადგილას მდებარეობს; რუკების თანახმად, ადრეც ხიდი დაახლოებით იმავე ადგილას იყო გადებული. დღეისთვის, მტკვარი ამ ვიწრობში შესვლამდე მარტო მარცხნივ, აღმოსავლეთის მხარეს, რიყისკენ ფართოვდება; ადრე კი ორივე მხარეს ფართოვდებოდა. ვიწრობში შესვლამდე მტკვარი ორ ძირითად ნაკადად მიედინებოდა; მტკვრის ტოტები გვერდს შემოუვლიდნენ ერთ (ჩუიკოს 1800 წლის და 1802 წლის გეგმების მიხედვით, რუკა 8-9), ან, ორ (1782 წლის და პიშჩევიჩის

569 იქვე, 26-38.

570 იქვე, 31.

რუკა 4. თბილისის გეგმა, შედგენილი კაპიტან ჩუიკოს მიერ 1800 წელს




1785 წლის გეგმების მიხედვით, რუკა 6-7) კუნძულს (შესაძლოა, უფრო, თავთხელს). ზარაფხანა მდებარეობდა სწორედ ვიწრობში შესვლამდე მტკვრის, ნაწილობრივ, მტკვრის მარჯვენა ტოტის მარჯვენა მხარეს.

ზემოთ მითითებულ ადგილას ზარაფხანა ჩანს უკვე, ყველაზე ცოტა, 1678 წლიდან, ის ნახსენებია ნორაშნის ხუცესის ტერ-მიკირტიჩასაგან მანველასა და მისი შვილებისადმი, ისაია, ალადა და ოჰანეზასადმი მიცემულ ნასყიდობის წიგნში:

რუკა 5. თბილისის გეგმა, 1802 წლის (ამოტრიალებული)



„დაგვეჭირა და მოგყიდე ზარაფხანასთან ციხის კერძო ორის სახლის ალაგი და ერთი სახლი და ზაქარას აშენებული ქერსხანის ალაგიც. ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. აღარა დარჩა რა ჩვენი შენზედა ძმობისა და მოყრობის მეტი. თუ ვინმე მოდავე და მოპირპასუხე გამოჩნდეს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ.

არის სამზღვარი მისი: ერთგნით გვერდი ზარაფხანის ფასულხანის კედელი, უკნით ბასილას სახლის კედელი, ერთი გვერდი ზეითი სახლების გზა, წინ თავისი კარგი და შემოსავალ-გასავალი."[571]

571 *დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის* XVI-XIX *სს. წ. 1.* შეადგ. ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძენიშვილმა, რედ. ნ. ბერძენიშვილი (თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1962), 31, №27; ბერძენიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე* XVIII *საუკუნეში*, 33.

რუკა 6. 1782 წლის გეგმის ფრაგმენტი, რომელზედაც აღნიშნულია ზარაფხანა (№47)



აქედან გამომდინარე, ძალიან უცნაურია, რომ ვახუშტიმ თავის რუკაზე 1735 წელს ეს უმნიშვნელოვანესი ობიექტი არ აღნიშნა (რუკა 1).

XX საუკუნეში მტკვრის მარჯვენა ტოტი გაავსეს, და აღნიშნული კუნძული თუ კუნძულები მარჯვენა ნაპირს შეუერთდა. ამჟამად იქ თბილისის მარჯვენა სანაპირო (გზა) გადის — ნაწილობრივ მტკვრის შევსებული მარჯვენა ტოტის თავზე, ნაწილობრივ კი ზარაფხანის თავზე. თანამედროვე რუკასთან შედარებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ზარაფხანა მდებარეობდა მარჯვენა სანაპიროს დაახლოებით იმ ადგილას, რომლის თავზედაც ეხლა ევროპის მოედნიდან ნარიყალისკენ გადებული საბაგირო გადის (სურ. VIII.1). აღნიშნულ ადგილას ოდესმე არქეოლოგიური გათხრების ჩატარება თუ მოხერხდებოდა, გარკვეული ალბათობით, საინტერესო შედეგებს მოგვცემდა.

1710 წლისთვის ისაია მანველას შვილს მოუწია ნორაშნის ხუცისგან ნაყიდი ქონების მოლა გიორგისა და მისი შვილისთვის, მაჰმად ჰუსეინასთვის მიყიდვა:

„ასე რომე მამის ჩემის მანველას ვალი დაგურჩა მდივანი ხოსინასი და

რუკა 7. 1785 წლის გეგმის ფრაგმენტი, რომელზედაც აღნიშნულია ზარაფხანა (№47)




ხოსინა მდივანმა დამაჭერვინა. ღონე არსითა მქონდა. დიდის ხვეწნითა შემოგეხვეწე და მოგყიდე მამის ჩემისაგან ნასყიდი მეიდნის პირად ძველი ზარაბხანის გვერდითა ზენალანთ მელიქის სახლის ალაგი ეზოთა, მისის შესავალ-გასავლითა, თავისი კარითა. ზემო მხარი უკანითა ბასილას სახლის კედელი, ერთი მხარი ძველი ზარაბხანა რომ იყო, ზენალაანთ ააშენეს, იმ სახლის კედელი. ერთი მხარი ციხისკენ, შაჰრამდის, ბასილას კარგს გაიტანს, იმის მიდგამდინ, შაჰრას პირამდინ. ქვეითი მხარი ზარბხანის კარზედ რომ ნეხვი ჰყრია, იმის კერძათ. იმ გვერდზედ კარი გაიღების."[572]

1768 წლისთვის ზარაფხანა ისევ მოიხსენიება. ცნობა უკვე უშუალოდ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროინდელია. დოკუმენტურადაც დასტურდება ზარაფხანის არსებობა იმავე უბანში. ნასყიდობის სიგელში საუბარია "ქვემო მეიდნის უბანში" მდებარე დუქნის (ნახევრის) გაყიდვაზე; დუქნის ადგილმდებარეობა შემდეგნაირად არის დაზუსტებული:

"და არის ქვემო მეიდნის დუქნის ნიშანი და სამძღვარი: ერთი გვერდი ისევ იმ დუქნის ნახევარი; რომ ჩემი მაზლიანთია იმისი კედელი; და მეორე გვერდი ტერ-ფარსიელას ქალის დუქნის კედელი; და მესამე უკანა გვერდი ზარაფხანისკენ კედელი; და მეოთხე წინ ბაზარი."[573]

მაშასადამე, ეს დუქანი მეიდანსა და ზარაფხანას შორის იყო მოქცეული, რაც ადასტურებს ზარაფხანის არსებობას მეიდნის სიახლოვეს.

572 *დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის XVI-XIX სს. წ. 1*, 79-80, №70; ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, 33.

573 *დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის XVI-XIX სს. წ. 1*, 318-320, 259.

ამასთანავე, ზარაფხანის შენობა შიდა ციხის გალავანთან მდებარეობდა. მამისა ბერძნიშვილმა შენიშნა (რუკა 1), რომ

> „ვახუშტის გეგმით, იმ ადგილს, სადაც ზარაფხანაა საგულვებელი, ჩრდ. დასავლეთიდან ციხის კედელი ემიჯნება. ეს ის კედელია, რომელიც, ამ გეგმით, ქალაქს მდინარის მხრიდან არტყია. შემდეგში ეს კედელი აღარა ჩანს."[574]

აღნიშნული კედელი 1747 წელს, ყიზილბაშებისგან ნარიყალას განთავისუფლების შემდეგ, ირაკლი II-მ მოშალა;[575] პაპუნა ორბელიანის მიხედვით,

> „ბძანა მეფემან და აღილეს გალავანი ქალაქისა, რომელი იყო ციხესა და ქალაქსა შუა და გააერთნეს ციხე და ქალაქი თბილისისა."[576]

საინტერესოა, რომ ვახუშტის გეგმაზე ვიწრობში შესვლამდე მდინარის კალაპოტს დაახლოებით თანამედროვე მოყვანილობა აქვს — მარჯვენა მხარეს არ ფართოვდება (რუკა 1). ვინაიდან ვახუშტის გეგმაზე ზარაფხანა დატანილი არ არის, დანარჩენ რუკებთან შეჯერება გაძნელებულია.

ლოგიკურია, რომ ისეთი სტრატეგიული ობიექტი, როგორიც ზარაფხანა იყო, სადაც დიდი ხნის განმავლობაში სეფიანური, შემდეგ კი ოსმალური და ავშარული საფასე იჭრებოდა,[577] *ციხის უბანში* იქნებოდა მოწყობილი, *თათრის მოედნის* მიმდებარე ტერიტორიაზე;[578] იქ, სადაც, შარდენის თქმით, (XVII საუკუნეში მაინც) სპარსული გარნიზონი და სპარსელი (საფიქრებელია, საზოგადოდ, მაჰმადიანი) მაცხოვრებლები სახლობდნენ[579] (როგორც ჩანს, ჟან შარდენის ზეპირი აღწერილობისა თუ წინასწარი მონახაზის მიხედვით გიჲომ ჟოზეფ გრელოს მიერ შესრულებულ ნახატზე ზემოთ მოხსენიებული კედელი

574 ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, 33.

575 *თბილისის ისტორია. ტომი I. თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე*, 245, 321.

576 პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 173.

577 ფაღავა, „1578: თბილისში სეფიანური საფასის მოჭრა და საქართველოში ლალა მუსტაფა ფაშას შემოჭრა", 324-332; Кутелия, *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)*, 25-47; ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით*, 122-126; ფაღავა, „ოსმალური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობა ახალი ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით", 133-139; ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 516-529; ჭანიშვილი, „ნადირ შაჰის ახალი საფასე", 352-357.

578 *თბილისის ისტორია. ტომი I. თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე*, 245.

579 ჟან შარდენი, *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, ფრანგულიდან თარგმნეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს მზია მგალობლიშვილმა და გიორგი სანიკიძემ (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1918), 313.

კარგად ჩანს[580]). ანუ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზარაფხანა გალავნის შიგნით მდებარეობდა, კედლის შესაბამისი ფრაგმენტის სამხრეთით. ამ მოსაზრებას, თითქოს, ეწინააღმდეგება ერთი 1720 წლით დათარიღებული საბუთი, რომლის მიხედვითაც „ზარაფხანასთან ციხისაგან რომ გზა ჩაივლის".[581] თუმცა, დიდია ალბათობა, *ციხეში* ამ შემთხვევაში ნარიყალა იგულისხმებოდეს, და არა ქვემო / ციხის უბანი მთლიანად.


სურ. VIII.1. მარჯვენა სანაპიროს მონაკვეთი, სადაც ქართლ-კახეთის სამეფოს ზარაფხანა მდებარეობდა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მითითებულ ადგილას ზარაფხანა უკვე 1678 წლისთვის ჩანს.[582] გამოვთქვამთ ჰიპოთეზას, რომ ზარაფხანა ადრეც იმავე ადგილას მდებარეობდა. შესაძლოა, X-XI საუკუნეებშიც კი. შემდეგ არგუმენტს მოვიყვანთ: XVII-XVIII საუკუნეების ზარაფხანის გვერდით, მისგან სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთით, მეიდნის მიმართულებით, საკმაოდ ახლოს, მდებარეობდა თბილისის, ალბათ, უდიდესი, შაჰ ისმა‘ილის მიზგითი.[583] აღნიშნული მიზგითი 1951 წელს, საბჭოთა პერიოდში ააფეთქეს (რაიონის რეკონსტრუქციაც, ჩანს, იმ წლებში ჩატარდა). 1953 წელს კი, მეჩეთის ნანგრევების გაწმენდისას იპოვეს ‘ალი ბ. ჯა‘ფარის, X-XI საუკუნეების თბილისის ჯა‘ფარიანი ამირას რამდენიმე ასეული მონეტისგან შემდგარი განძი.[584] ეს მონეტები ნიადაგში (?), რასაკვირველია, XVI საუკუნეში იმ მიზგითის აგებამდე მოხვდებოდა. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ზარაფხანა, ტრადიციულად, დაახლოებით ერთსა და იმავე ადგილას რჩებოდა, და იმ ადგილას ‘ალი ბ. ჯა‘ფარის მონეტების კომპლექსის ფორმირებაც ზარაფხანის საქმიანობას უკავშირდებოდეს.

ზარაფხანის სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, ხიდისა და ხსენებული მიზგითის მიმართულებით მდებარეობდა ე.წ. სარიმაჯის უბანი.[585] არ არის გამორ-

580 იქვე, 14-16, ილუსტრაცია „თბილისი".

581 საქ. ც. ა. ფ. 1450. დავთ. №6-7. დამოწმებულია მამისა ბერძნიშვილის ნაშრომის მიხედვით. ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, 33, სქოლიო 117.

582 *დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის XVI-XIX სს. წ. 1*, 31, №27; ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, 33.

583 *თბილისის ისტორია. ტომი I. თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე*, 215.

584 Давид Капанадзе, "Клад монет начала XI в. тбилисского эмира ‘Алӣ ибн Джа‘фара", *Эпиграфика Востока*, XIV (1961), 71.

585 ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, 33-34.

რუკა 8. 1800 წლის გეგმის ფრაგმენტი, რომელზედაც აღნიშნულია ზარაფხანა (№69)




იცხული, უღლის დამამზადებელ ხელოსანთა უბანი ყოფილიყო, ვინაიდან, მამისა ბერძნიშვილის გადმოცემით, ვლადიმერ ფუთურიძეს *სარიმაჯ* განუმარტავს როგორც *უღელი* (جامرس)[586] (?). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ახალ სპარსულში ამ ცნებისთვის გვაქვს სიტყვა *იუღ* (یوغ). იქვე, დუქნების გარდა, ვინმე იედიგერის შვილის სასახლეც იყო.[587] თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ რუკების ზარაფხანის ადგილმდებარეობის ამსახველ ფრაგმენტებსაც (რუკა 6-9).

ზარაფხანიდან ჩრდილოეთისკენ, სანაპიროს გაყოლებაზე, როგორც ჩანს, დუქნები მდგარა, რომელთაც მეორე მხრიდან „სიონისკენ გალავნის კედელი" ესაზღვრებოდა[588] (სიონის ეზოს გალავანი თუ ქალაქის გალავანი? მამისა ბერ-

586 იქვე, 34.

587 იქვე, 34.

588 *დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის XVI-XIX სს. წ. 1*, 319, №259; ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, 33.

რუკა 9. 1802 წლის გეგმის ფრაგმენტი, რომელზედაც აღნიშნულია სასინჯი სახლი (№26)



ძნიშვილი თვლიდა, რომ საუბარი იყო სიონის გალავანზე, რომელიც თავად სიონის ეკლესიის სამხრეთი კედლიდან საკმაოდ იყო დაშორებული, და რომ მის შიგნით სახლებიც და ბაღიც კი იგულისხმება[589]).

საბუთები, თითქოს, იძლევა საშუალებას, ზარაფხანის მიმდებარე ყველა ქუჩის სახელი გავარკვიოთ.[590] ამაში განსაკუთრებით გვეხმარება 1816 წლის საბუთი, რომელიც მეიდანზე (თათრის ბაზარზე) გაყიდული სახლების და დუქნების ზღვარს ავლებს:

> „აღმოსავლეთის მხარეს სარიმაჯის ქუჩა, დასავლეთით ზარაფხანის კედლის ქუჩის სისწრივ, ჩრდილოეთით ზარაფხანის ქუჩა, სამხრეთით ბაზარი."[591]

589 იქვე.

590 იქვე, 33-34.

591 საქ. ც. ა. ფ. 1450. დავთარი 42, №40. ციტირებულია მამისა ბერძნიშვილის ნაშრომის მიხედვით. იქვე, 34.

სამივე ქუჩა კარგად ჩანს 1800 და 1802 წლის რუკებზე (რუკა 8-9). ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილ ცნობაში იგულისხმება სამკუთხა ფორმის უბანი უშუალოდ ზარაფხანის (ჩუიკოს რუკაზე №69, რუკა 8; 1802 წლის რუკაზე №26) სამხრეთით, დაუნომრავი.

მის ჩრდილოეთით, მასსა და ზარაფხანას შორის, *ზარაფხანის კედლის ქუჩა* იყო, დასავლეთის მხრიდან უვლიდა და ჩრდილოეთის მიმართულებით, ზარაფხანისკენ მიემართებოდა *ზარაფხანის ქუჩა*, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან კი *სარიმაჯის ქუჩა*, რომელსაც ამ უბანს სარიმაჯის უბნისგან გამოყოფდა.

ზარაფხანა, ჩანს, სწორედ ამ სამ ქუჩაზე გადიოდა. ზარაფხანიდან მეიდანზე გასვლა შეიძლებოდა როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიმავალი *ზარაფხანის ქუჩით*, ასევე სამხრეთ-დასავლეთისკენ მიმავალი *სარიმაჯის ქუჩით.*

მეოთხე მხრიდან კი ზარაფხანა მტკვარზე გადიოდა; იქვე, მტკვრის პირზე („მეტეხის ხიდის უბეში" [592] — მეტეხის ხიდის ბურჯთან?) როგორც ჩანს, ზარაფხანის შესასვლელთან (კართან) (რომელიც სარიმაჯის ქუჩაზე გადიოდა?), სანეხვე (საფიქრებელია, საზოგადოდ, სანაგვე) იყო მოწყობილი: „ზარაბხანის კარზედ რომ ნეხვი ჰყრია".[593] სავარაუდოდ, მდინარეში წყლის დონის მატებისას, ის ადგილი, ნაწილობრივ მაინც, ბუნებრივად იწმინდებოდა.

აი, ამ შენობასა და გარემოში წარმოებდა ქართლ-კახეთის სამეფოს საფასის, სირმა თეთრის ჩათვლით, წარმოება.

*

სამწუხაროდ, პრაქტიკულად არ გვაქვს ცნობები იმ ადამიანებზე, ვინც ზარაფხანას უშუალოდ განაგებდა და მონეტის მოჭრაში პირადად იყო ჩართული.

სირმა თეთრის (და ქართლ-კახეთის სამეფოს სხვა მონეტების) სიქების ანალიზით მომავალში შესაძლოა მოხერხდეს სხვადასხვა (ანონიმური) ხელოსნის ხელის ამოცნობა (1765/6-1798/9 წლამდე შუალედში ყველა სიქა მხოლოდ ერთი ადამიანის მოჭრილი არ უნდა იყოს), და მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიის დადგენაც.

იქამდე კი დოკუმენტურ მასალას უნდა დავჯერდეთ. თუმცა, ისიც ძალიან მწირია. საბუთებში ჩანს ერთადერთი ისტორიული პირი, რომელიც თბილისის ზარაფხანას შეიძლება დავუკავშიროთ. ესაა ვინმე იასე ნაზაროვი (ჩვენი ვარაუდით — ნაზარიშვილი ან ნაზრიშვილი). ეს ადამიანი თბილისის ზარაფხანაში ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის მეფეთა, ირაკლი II-ისა და გიორგი XII-ის ზეობაში მუშაობდა; საფიქრებელია, უკვე გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ, ჰ. 1215 წლით / დათარიღებული სპილენძის მონეტის ემისიის საქმეშიც მონაწილეობდა. 1804 წელს თბილისის ზარაფხანის ხელახლა გახსნისას იასე ნაზაროვი რუსულმა ადმინისტრაციამ კვლავ დაასაქმა:

---

592 იქვე, 73.

593 *დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის XVI-XIX სს. წ. 1*, 80, №70; ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, 73.

“а для привлечения возможно большего количества серебра, открыта на Монетном дворе покупка его от приносителей, ценой до 26 коп. за грузинский золотник[594] (в котором было 104 доли русских), и для удобства в сношениях определен на службу монетный мастер бывших царей Яссе-Назаров.”[595]

ყურადღება მივაქციეთ 1808 წლის 15 ივნისით დათარიღებულ, თბილისის ზარაფხანის გამგებლის, კარპინსკის პატაკს, რომელსაც თან ახლავს წერილი ოსტატ იასე ნაზაროვზედაც:

„Будучи всегдашним свидетелем отличнейших трудов служащего в монетном дворе мастера Яссе Назарова и уверившись совершенно, что он за таковые же труды при покойных грузинских царях получал несравненно более, нежели ныне, долгом поставляю представить сей экспедиции об нем записку и покорнейше просить не оставить его своим представительством у высшего начальства. Г.-ф. Карпинский.

Приложение

Записка о мастере Яссе Назарове

Во времена покойных грузинских царей был он главным управителем и мастером монетного двора в Тифлисе, получал за сие определенную часть из доходов, монетным производством приобретаемых. Звание сие в роде их было наследственное. По присоединении же Грузии к России упразднен монетный двор, с которым он лишился и места своего и доходов, и тем приведен в крайнее разорение. Покойный гр. Мусин-Пушкин, главноуправляющий здесь горною частью, обнадеживаниями в монаршей милости не допустил его принести в свое время покорнейшей о сем просьбе высшему начальству, что продолжалось до 1804 года, в котором монетный двор открыт, и гр. принял его в службу и представил в шихтмейстеры 14-го класса, с жалованием по 300 руб. в год с.; но за приключившеюся смертью графа не последовало на сие высочайшего утверждения. С 1805 года несет он настоящую службу и получает жалованья 210 руб. 52 коп. в год с., что весьма недостаточно для его содержания и далеко от выгод, которыми он пользовался при своих царях. Трудами его, искусством и усердием при покупке и очистке турецкой монеты единственно содержится монетный двор в теперешнем действии. Г.-ф. Карпинский.”[596]

„ცხონებული ქართველი მეფეების დროს იგი თბილისში არსებული ზარაფხანის მთავარი გამგებელი და ოსტატი იყო, რის სანაცვლოდაც ზარაფხანის მეშვეობით მიღებული შემოსავლის ნაწილს იღებდა. ეს

594 ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ვეჯუბის მაჩვენებელი ძალიან მაღალი გამოდის. ქართლ-კახეთის სამეფოშიც ვეჯუბი 2%-ზე მეტი ხომ არ იყო? რახან მადანჩების ვერცხლს მაინც, *აუცილებლად*, ზარაფხანა უნდა გაევლო?

595 Павел фон Винклер, “Чеканка монет для Грузии (1804-1833 гг.)”, *Из истории монетного дела в России* (Санкт-Петербург, 1898), 291.

596 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №225, 308-309.

წოდება მათ გვარში მემკვიდრეობითი იყო. რუსეთთან საქართველოს [ქართლ-კახეთის - ი.ფ.] მიერთების შემდგომ კი ზარაფხანა გაუქმდა, ამასთან დაკარგა მან თავისი ადგილიც და შემოსავალიც, რის გამოც უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა.

ცხონებული გრაფი მუსინ-პუშკინი, აქაური სამთო საქმის მთავარმმართებელი, მონარქის წყალობის იმედის მიცემებით არ მიუშვა თავის დროზე ამის თაობაზე უმაღლესი უფროსობისთვის უმორჩილესი თხოვნით მიემართა, რაც 1804 წლამდე გრძელდებოდა, როდესაც გაიხსნა ზარაფხანა, და გრაფმა [მუსინ-პუშკინმა - ი.ფ.] სამსახურში მიიღო და მე-14 კლასის შიხთმაისთერად განაწესა, ანაზღაურებით 300 რუბლი ვერცხლით წელიწადში; მაგრამ, გრაფი გარდაიცვალა რა, ამაზე უმაღლესი დასტური არ გაცემულა. 1805 წლიდან ეწევა ის მიმდინარე სამსახურს და იღებს ანაზღაურებას წელიწადში 210 რუბლსა და 52 კაპიკს ვერცხლით, რაც ფრიად არასაკმარისია თავის შესანახად და ახლოს ვერ მიდის იმ მოგებასთან, რომლითაც თავისი მეფეების დროს სარგებლობდა. ზარაფხანა დღევანდელ მოქმედებას ინარჩუნებს მხოლოდ მისი შრომით, ხელობითა და სიბეჯითით თურქული მონეტის შეძენისა და გაწმენდისას".[597]

ცნობა მრავალი მხრით არის საყურადღებო. სხვათა შორის, ის იძლევა საშუალებას რეტროგრადულად ვიმსჯელოთ 1801 წლამდე არსებულ მდგომარეობაზედაც, და რამდენიმე დასკვნაც გამოვიტანოთ:

- თბილისის ზარაფხანას განაგებდა ნაზაროვის (ნაზარიშვილის / ნაზრიშვილის?) გვარის წარმომადგენელთა, ყველაზე ცოტა, ორი თაობა — თავად იასე, და მისი ახლო ნათესავი (მამა?); ამ ოჯახის სარგოს სწორედ ზარაფხანა წარმოადგენდა;
- მათი ანაზღაურება წარმოებდა არა ცენტრალიზებულად, ქართლ-კახეთის სამეფოს საერთო ბიუჯეტიდან, არამედ დეცენტრალიზებულად — სარგოს იღებდნენ უშუალოდ ზარაფხანის შემოსავლიდან;
- ქართლ-კახეთის სამეფოში ზარაფხანის გამგებლის წლიური შემოსავალი აღემატებოდა 210.5 რუბლს?

1821 წლის 16 მაისის კარპინსკის კიდევ ერთი პატაკის მიხედვით, წინარე პერიოდში სხვებთან ერთად გარდაცვალა ასევე „мастер Е. Назаров".[598] სავარაუდოდ, საუბარია სწორედ იასე ნაზაროვზე (*Ессей* იგივე *იასეა*?).

*

ირაკლი II-ის მიერ ჩატარებული რეფორმის შემდგომ, თბილისის ზარაფხანის ნაწარმის უმნიშვნელოვანეს სახეობას წარმოადგენდნენ ვერცხლის მონეტები — სირმა თეთრი; მცირე რაოდენობით კი ოქროს შაურებსაც უშვებდნენ. ორივეს მოსაჭრელად ოქროსა და ვერცხლის ძირითად წყაროს ახტალაში მოპოვებული ოქროიანი ვერცხლი წარმოადგენდა.

გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ სირმა ვერცხლისა და სირმა ოქროს მოსაჭ-

597 თარგმანი ჩვენია.

598 იქვე, №420, 551.

რელად ოქროიანი ვერცხლის დაყოფა ხალას ვერცხლად და ოქროდ წარმოებ-და არა ახტალაში, არამედ უკვე თბილისში, ზარაფხანაში. ასეთ შთაბეჭდილე-ბას ტოვებს ახტალაში წარმოების უფროსის, თავად სოლომონ მელიქიშვილის (თარიღდება 1801 წლის 29 მაისით) მოწმობა — კიდევ ერთხელ მოვიყვანთ მის ტექსტს:

> "… да доложится вам когда на монетном дворе чеканится 1 литра (9 фунт) серебра, то из сего количества выходит 211 руб 20 коп за тем все золото, вы-жимаемое из этого, принадлежит царю, да из серебра ему же уделяется, на-счет монетнаго двора, 51 руб 20 коп, да 160 руб следуют откупщикам рудника (მადანჩი)."[599]

მართალია, პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ, „ოქროს გამოწურვის" ზარაფხანაში ვერცხლიდან ვერცხლის საფასის მოჭრის კონტექსტში ხსენება, თითქოს, ამას უნდა გულისხმობდეს.

საფიქრებელია, თბილისში ოქროს გამოყოფის შემთხვევაში უფრო გაად-ვილდებოდა ამ ძვირფასი (და კომპაქტური) ლითონის სათანადოდ აღრიცხვა, ბოროტმოქმედების აღსაკვეთად, რომ მეფეს ოქროს მცირედი რაოდენობაც არ დაჰკლებოდა.

მნიშვნელოვანია, რომ ვახტანგ VI-ის მიხედვით, იმ მჟავას, რომელიც გამოიყენებოდა ოქრიანი ვერცხლიდან ოქროს (და, შესაბამისად, ხალასი ვერცხლის) მისაღებად, სწორედ რომ *ზარაფხანის თეზაბი* ეწოდებოდა. რაკი შესაბამისი მჟავა *ზარაფხანის* იყო, ე.ი. მისი გამოყენებაც, საფიქრებელია, ზარაფხანაში წარმოებდა. ეს საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვნად გვეჩვენება, და მას საკმაო ყურადღებას დავუთმობთ.

საზოგადოდ, XVIII საუკუნეში აფინაჟის (ფრანგ. affinage, affiner = გაწმენ-და) თუ რაფინირების (გერმ. raffinieren, ფრანგ. raffiner = სრულყოფა, გაწმენდა), ანუ, სხვადასხვა ძვირფასი ლითონის განცალკევების, გაწმენდის რამდენიმე მეთოდი არსებოდა.[600]

გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ თბილისის ზარაფხანაში გამოიყენებოდა ე.წ. *სველი მეთოდი*, ანუ, ოქროსა და ვერცხლის ერთმანეთისგან დაშორება აზოტმჟავის გამოყენებით: თავდაპირველად, საწყის შენადნობს მინარევებს ტყვიასთან ერთად კუპელირებით აცილებდნენ. მინარევებისგან გაწმენდილ ოქროიან ვერცხლს ჯერ თხელ ფირფიტებად გამოკვერავდნენ, შემდეგ კი პატ-არა ნაკუწებად დაჭრიდნენ. ოქროს გამოყოფა ეფუძნებოდა ვერცხლისა და დარჩენილი მინარევების აზოტმჟავაში გახსნის ფაქტს. ოქრო რჩებოდა გაუხ-სნელი ნალექის სახით. ვერცხლს კი ხსნარიდან სპილენძითა ან რკინით გამო-ლექავდნენ.[601]

მეთოდის ტექნოლოგიური აღწერილობა მოვიყვანეთ XVIII საუკუნის რუ-სეთის იმპერიაში დანერგილი პრაქტიკის გათვალისწინებითაც; თუმცა, ზოგა-

---

599 *Акты собранные Кавказской археографической коммиссией. Том I*, Под редакцией Адольфа Берже, 516, №623, примечание.

600 Александр Девочкин, "Аффинаж на российских монетных дворах", *Золотой Червонец*, 4 (41) (2017), 53-57.

601 იქვე, 55.

დი ტექნოლოგიური პრინციპი საქართველოშიც იგივე იქნებოდა. საზოგადოდ, გამოიყენებოდა სხვა მეთოდებიც[602] (მაგალითად, ეწ. მშრალი მეთოდი, იგივე შლატერის კომბინირებული მეთოდი[603]). მიუხედავად ამისა, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ თბილისის ზარაფხანაში სველ მეთოდს მიმართავდნენ ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ეს მეთოდი გამოიყენებოდა ქართლის სამეფოში XVIII საუკუნის I მეოთხედში / ნახევარში, რასაც ადასტურებს ვახტანგ VI-ის ნაშრომი *წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის შეკრებული მეფისა ვახტანგისგან.* რამდენიმე ეტაპად, სპარსეთში, საქართველოსა და, ბოლოს, რუსეთში 1719-1737 წლებში შექმნილ ამ თხზულებაში[604] მოცემულია *ზარაფხანის თეზაბის*[605] რამდენიმე რეცეპტი:

„31. მეორე თეზაბი ზარაფხანისა. ამ თეზაბს ოქრომჭედელიც ხმარობს

მოიტანე ერთი წონა გვარჯილა, სამი წონა თეთრი შაბი, ერთმანეთში გარიე, ამბუხით გამოხადე. ზარაფხანის თეზაბი იქნება. ამას ეს სჭირს, ოქროს ვერცხლს დაადნობს, დაფერილს ოქროს გაარჩევს. ბევრს სხვაში გამოიყენება."[606]

გამომცემლები, რაულ ჩაგუნავა და ელიზა მარქარაშვილი ამ მჟავის რეცეპტის კომენტირებისას სამართლიანად შენიშნავენ, რომ

„ზარაფხანაში მისი საშუალებით ოქროს გამოჰყოფენ ამ მეტალის შემცველი ვერცხლიდან (ეს თეზაბი მხოლოდ ვერცხლს ხსნის და ამ ხსნარისაგან გაუხსნელი მყარი ოქროსაგან [ოქროს — ი.ფ.] დაცილება პრობლემას არ წარმოადგენს)."[607]

სხვა ადგილას:

„ოქროს შემცველი ვერცხლიდან ოქროს გამოსაყოფად ზარაფხანებში იყენებდნენ ძალზე მაღალი სისუფთავის აზოტმჟავას, რომელის ხსნის

602 იქვე, 55-63

603 იქვე, 57.

604 ვახტანგ VI, *წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის შეკრებული მეფისა ვახტანგისგან*, ჩაგუნავა რაული, მარქარაშვილი ელიზა, *პირველი ქართული წიგნი ქიმიაში* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013), 249.

605 ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „თეზაფ-ი" განმარტებულია როგორც „[სპარსული თჷზჵბ]. ქიმ. აზოტმჟავისა და მარილმჟავის ნარევი (რომელშიც ოქრო იხსნება). სინონ. საუბ. ქძაფი". *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. IV*, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955), 362. როგორც დავინახავთ, ამ ტერმინით უბრალოდ აზოტმჟავასაც ალნიშნავდნენ, ზოგჯერ გოგირდმჟავასთან ნარევში. ეს ტერმინი ნებისმიერ მჟავას, ან მჟავების ნარევს ხომ არ ალნიშნავდა?

606 ვახტანგ VI, *წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის შეკრებული მეფისა ვახტანგისგან*, ჩაგუნავა რაული, მარქარაშვილი ელიზა, *პირველი ქართული წიგნი ქიმიაში*, 58-59.

607 იქვე, 59.

ვერცხლს. მიღებული ვერცხლის ნიტრატის ხსნარიდან ოქროს მყარ ფხვნილს ფილტრაციით აცალკევებდნენ."[608]

ვახტანგ VI-ს კიდევ ერთი რეცეპტი აქვს მოწოდებული:

„94. ზარაფხანის თეზაბი.

ქ. მოიტანე ან მწვანე არჯასპი, ან მართალი არჯასპი. და(ნა)ყენ წმინდათ, ან ცეცხლზე გა(ა)ხმე, რომ ნამი არ ჰქონდეს, ან მზეში, ორასი ფლურის წონა. ასი ფლურის წონა დახალასებული გვარჯილა, რომ ორი წილი არჯასპი იყოს, ერთი წილი გვარჯილა, ერთმანეთში გალესე. წმინდათ დანაყე, ჩაყარე, ამბუხით გამოხადე. ჯერ ნელი ცეცხლი მისცენ, მერმე მოუმატონ. რა თეზაბმან დენა გა(ა)თაოს და კარგ(ათ) გამოვიდეს, რა გაცივდეს, არაყი ოთხ წილად გაყავ. სამი წილი ერთად შეყარე. ამ ერთ წილში ფლურის წონა წმინდა ვერცხლი ჩა(ა)გდე. ნელს ცეცხლზე დადგი. რა ვერცხლი გადნეს, გარდმოიღე და ის სამი წილიც შიგ ჩაასხი. რძესავით გახდება. მერმე დადგი, დაწმდეს. რა დაწმდეს სულ ნელა გარდმოსწურე შეინახე. თეზაბი იქნება. რაც ვერცხლი რძესავით ძირს დარჩეს, ცეცხლზე დადგი, გა(ა)შრევ, გა(ა)დნევ. ვერცხლი ისევ ვერცხლი იქნება.

თუ გინდოდეს უფრო ძალიანი იყოს, კდ [24] მისხალს ამ თეზაბში ვ [6] მისხალი ნიშადური ჩაყარე, ან ცეცხლზედ გამხმარი მარილი, რომ ეს თეზაბი ოქროს ვერცხლს და(ა)დნობს.

მოიტანე ჯივა, თეზაბში ჩა(ა)გდე, რა ერთიც გინდა, და(ა)ცალე, რომ გადნეს. მერმე ამ ჯივის წონა გოგირდი ჩაყარე. არაყი გამოხადე. ეს თეზაბი ძალიანი იქნება და სინგური ყელში ამოვა და მიეკვრის. მაგრამ ცეცხლი სანამდი არაყი გამოდიოდეს, მას უკანაც ბევრ ხანს უნდა."[609]

გამომცემელთა შენიშვნით, ამ რეცეპტით მიღებულ აზოტმჟავაში გოგირდმჟავას მინარევიც იქნებოდა, რაც ტექნოლოგიურ პროცესს შეაფერხებდა —

„აზოტმჟავაში გოგირდმჟავას თუ მარილმჟავას მინარევის არსებობისას ეს მჟავებიც ხსნის ვერცხლს, მხოლოდ მყარი სულფატის თუ ქლორიდის წარმოქმნით. ვინაიდან ფილტრაციის შედეგად ნალექში ოქროსთან ერთად ეს მარილებიც რჩება, აღნიშნული მეტალების დაყოფის პროცედურა სრულყოფილი ვერ იქნება.".[610]

საზოგადოდ, კომენტარში პროცესის ქიმიური ანალიზი დაწვრილებითაა გადმოცემული.[611] საყურადღებოა ზემოთ აღწერილ, რუსეთის იმპერიის ზარაფხანებში დანერგილ ტექნოლოგიასთან სრული თანხვედრა.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI იცნობდა ასევე ვერცხლის მინარევისგან ოქროს გაწმენდის მეთოდსაც (სამეფო წყლის, — Aqua Regia — მომზადების რეცეპტი):

---

608 იქვე, 103.

609 იქვე, 102-103.

610 იქვე, 103.

611 იქვე, 103-104.

„254. ოქროს გამდნობი თეზაბი ასეა

კარგს თეზაბს მეოთხედი წილი ნიშადური დანაყე და შიგ ჩააყარე. ხში-რად შესდღვიბე და თბილს სილაზედ დადგი და გადნება. ამას ფრანგულად აკორეისის ეტყვიან, რ(ომე)ლ არს წყალი სამეფო. ეს წყალი ოქროს შესჭამს და ვერცხლს არა".[612]

სხვაგან ვახტანგ VI იყენებს ლათინურის ზუსტად შესატყვის ტერმინს *თეზაბი ბრძნული, თეზაბთ ჴელმწიფე*:

„95. *თეზაბი ბრძნული, თეზაბთ ჴელმწიფე*

მოიტანე გვარჯილა ხალასი იბ [12] მისხალი. ამისი წონა ნიშადური ერთ-მანეთში გარიე. თეზაბი გამოხადე და პირი მიწით დაუჭირე ყოველგან. არაყი რომ არ გაცივებულიყოს იმოდენივ წმინდად დანაყილი გვარჯილა და ნიშადური იმ თეზაბში მაშინვე ჩაყარე, რომ თეზაბი არ გაციებულიყოს. მერმე ესე(ე)ბი ყველა იმ ნახადზე და(ა)სხი. დიაღ ძალიან(ი) თეზაბი გამოვა, რომ მეორედ გამოხდი."[613]

თავისი თხზულების საძიებელში ვახტანგ VI „ზარაფხანის თეზაბად" უთითებს სწორედ 94-ე და 95-ე რეცეპტებს.[614]

ის გარემოება, რომ 31-ე და 94-ე მჟავებს[615] ვახტანგ VI *ზარაფხანის თეზ-აბის* სახელით აღნიშნავს, ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ მათ იყენებდნენ სამონეტო წარმოებაში; საფიქრებელია, საქართველოში, ვინაიდან შესაბამისი რეცეპტები თხზულების „ირანულ" და „ქართულ" ნაწილშია შესული, და არა „რუსულში"[616] (ამ მჟავებს, აშკარად, ჯერ კიდევ მაშინ იყენებდნენ, როდესაც თბილისის ზარაფხანა ოქროს მონეტებს არ ჭრიდა; უბრალოდ, ვერცხლიდან უფრო ძვირადღირებული ლითონის, ოქროს გამოსაყოფად).

ვფიქრობთ, საკმაოდ დიდია ალბათობა, რომ ქართლისა და კახეთის სამე-ფოების გაერთიანების შემდეგ იმავე ტექნოლოგიით ემუშავათ, და აზოტმ-ჟავით დამუშავების სველი მეთოდი ახტალაში მოპოვებული ოქროიანი ვერცხ-ლისგან ოქროს განცალკევებისათვის იყენებდნენ.

*

საგანგებო ყურადღების ღირსია სირმა თეთრის, ანუ, სირმა მონეტების დამზადების ტექნიკაც.

სამწუხაროდ, ამ საკითხზე რაიმე ოფიციალურ საბუთს არ ვიცნობთ.

---

612 იქვე, 229.

613 იქვე, 104.

614 იქვე, 32.

615 ვახტანგ VI-ს ჩაწერილი აქვს ასევე „ოქროს ვერცხლიდან გამოღების" რეცეპ-ტიც; მაგრამ, ამ შემთხვევაში საუბარია „ძველი მოოქროვილი ნივთებიდან ოქროს უტილიზაციის წესზე". იქვე, 186.

616 იქვე, 249.

გვაქვს გარკვეული მეტ-ნაკლებად ოფიციალური დოკუმენტები, სადაც მოიხსენიება მართალია *ოქროს*, მაგრამ, მაინც, მონეტის *მოჭრა*:

გვაქვს დაუთარიღებელი დოკუმენტი, რომელშიც მანუჩარ თუმანიშვილი გასცემს განკარგულებას:

> „ნასყიდა თავლადარს ასლანას აწონილი შვიდი მისხალი ოქრო გაუგზავნე ხალასი ოქროს შაურების მოსაჭრელად. “[617]

დაახლოებით 1790 წელს შედგენილ *ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნში*[618] **უოზ** წლისთვის (ქართული ქორონიკონის 477 წელი, იგივე 1789) ვკითხულობთ:

> „ჲ$_{+}$ [60.25]    ქ. მარტის თ მის უმაღლესობას მირთმევია ოქრო მისხალი ნ$_{+}$; ამას გარდა შაურებათაც მოჭრილა სანავრუზოთ მისხალი ი; იქნება მისხალი“.[619]

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში საუბარია მონეტის *მოჭრაზე*, და არა ჩამოსხმის გზით დამზადებაზე.

პაპუნა ორბელიანიც ორგზის მონეტის „მოჭრას” მოიხსენიებს.[620]

თავად ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტების შესწავლითაც ცხადი ხდება, რომ ისინი სიქების ზემოქმედებითაა დამზადებული.

საზოგადოდ, საქართველო საფასის დამზადების მრავალათასწლიანი ტრადიციის მქონე ქვეყანა იყო,[621] სადაც მონეტა ყოველთვის *იჭრებოდა* ხოლმე (*ჩამოსხმის* მეთოდით ჩვენში ყალბ მონეტებს თუ ამზადებდნენ). თუმცა, მაინც, აუცილებლად ჩავთვალეთ დაგვეზუსტებინა ეს საკითხი და შესაბამისი საბუთები მოგვეყვანა.

ქართლ-კახეთის მონეტების მოჭრის ტექნოლოგიის თაობაზე ორი ძირითადი წყარო გვაქვს:

- თავად მონეტები და მათი გარეგნული ნიშნები;
- ვახტანგ VI-ის მიერ 1707-1709 წლებში შედგენილი დასტურლამალი;[622]

---

617 საქ. მუზეუმი, წ.-კ. გამავრც. საზ. ხელნაწ. კოლექცია, №5238. დამოწმებულია პაატა გუგუშვილის ნაშრომის მიხედვით. გუგუშვილი, „ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ა.-კავკასიაში მე-19 საუკუნეში”, 33, სქოლიო 4.

618 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 85-100, საბუთი 67.

619 იქვე, 91.

620 პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 154, 196.

621 უძველესი ქართული მონეტის, კოლხური თეთრის ემისიების დაწყება, როგორც ჩანს, ქრისტეშობამდე VI საუკუნის შუახნით — V საუკუნის შუახნით თარიღდება. Георгий Дундуа, *Нумизматика античной Грузии* (Тбилиси: Мецниереба, 1987), 14-16.

622 *ქართული სამართლის ძეგლები. 1. ჴელმწიფის კარის გარიგება.*

— ჩვენი აზრით, ამ XVIII საუკუნის დასაწყისში შედგენილ სამართლის ძეგლში ასახული მდგომარეობის ექსტრაპოლირება შესაძლებელია XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედზედაც;

- იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ცნობა ქართლ-კახეთის სამეფოში მონეტის მოჭრის შესახებ.[623]

ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტების, სირმა თეთრის ჩათვლით, შესწავლისას თვალში საცემია მათი, ასე ვთქვათ, არარეგულარობა, უნიფორმულობის არარსებობა. თავისი მოყვანილობით ისინი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან, შედარებით უწესოა.[624] თუმცა, სირმა მონეტების შემთხვევაში, წონითი სტანდარტი, როგორც ჩანს, საკმაოდ მკაცრად არის დაცული (საკითხი მაინც, საგანგებო კვლევას საჭიროებს), — რაც მონეტის დამზადებისას (შესაბამის ამქარში) იუსტირების (Justierung) სტადიის არსებობასა[625] და ეფექტურობაზე მიუთითებს. სირმა თეთრის იუსტირებას ადასტურებს იოჰან ანტონ გიულდენშტედტი; ქართველებზე (ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლებაზე) საუბრისას გერმანელი დამკვირვებელი აღნიშნავს, რომ:

> “Sie haben auch nicht die Vortheile des Münzens, sondern wiegen jedes Stück ab und schneiden soviel davon ab als nöthig ist es zu rechter Schwere zubringen.”[626]

> „ისინი ვერც მონეტის [მასის სტანდარტულობის? — ი.ფ.] უპირატესობით სარგებლობენ, არამედ ყოველ ცალს სწონიან და იმდენს აჭრიან, როგორც საჭიროა, სწორ წონაზე რომ დაიყვანონ.”[627]

რასაკავირველია, უდავოა, რომ ქართლ-კახეთის მონეტები ხელით, ჩაქუჩით არის ნაჭედი, და არა ნამზადზე მექანიკური უროს დარტყმით დამზადებული: მონეტის მოსაჭრელად ორ სიქას იყენებდნენ, რომელთაგან ერთი (ტექნიკური თვალსაზრისით — შუბლის სიქა) გრდემლში იყო ჩამაგრებული; ამ ქვედა სიქაზე სამონეტო ნამზადს ათავსებდნენ, შემდეგ კი ზევიდან ზედა (ტექნიკური თვალსაზრისით — ზურგის) სიქას ადებდნენ, რომელსაც ჩაქუჩს, უროს ურტყავდნენ;

---

2. *დასტურლამალი*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, 533-535.

623 გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 236.

624 რასაკვირველია, აქ არ არის საუბარი *უწესო ჭედვაზე*, რომელიც XII-XIII საუკუნეების საქართველოს სამეფოში იყო მიღებული. Пахомов, *Монеты Грузии*, 75; ფაღავა, „კვლავ უწესო ჭედვის ქართული და კავკასიური მონეტების ღირებულებაზე და რუსუდანის ფულად რეფორმაზე” / Paghava “Once Again, on the Value of the Irregularly Struck Georgian and Caucasian Coins and Rusudan’s Monetary Reform”, 34-82.

625 ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)”, 524.

626 გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 236.

627 თარგმანი ჩვენია. შეად. გია გელაშვილის თარგმანს. იქვე, 237.

ამასთანავე, სიქების ანაბეჭდების სამონეტო ნამზადზე დატანისთვის აუცილებელ ენერგიას უროსმცემლის კუნთების დაძაბვა უზრუნველყოფდა.

დარტყმა საკმარისად ძლიერი უნდა ყოფილიყო, რომ სამონეტო ნამზადის ზედა ზედაპირს ზედა სიქის ანაბეჭდი დასტყობოდა, ქვედა ზედაპირს კი — ქვედა სიქის ანაბეჭდი (ზევიდან ზემოქმედების მომენტში სამონეტო ნამზადის ქვედა სიქაში შეჭყლეტის გამო). ეს პროცესი თბილისის ზარაფხანაში სრულყოფილად წარმოებდა ხოლმე — ჩვეულებრივ, სიქის ანაბეჭდი ფარავს მონეტების მთლიან ზედაპირს, განსაკუთრებით, მსხვილი ნომინალების შემთხვევაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამონეტო ნამზადიც თაბარი სისქის იყო და ზედა სიქასაც ნამზადს 90-გრადუსიანი კუთხით ადებდნენ. საყურადღებოა, რომ თბილისის ზარაფხანაში ამ შედარებით პრიმიტიული ტექნიკით საკმაოდ ხარისხიანად ხერხდებოდა ისეთი შედარებით დიდი დიამეტრის მონეტების მოჭრაც, როგორიც აბაზნახევრიანები იყო; ანუ, უროს დარტყმით საკმაოდ დიდი ენერგია მიიღებოდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სირმა თეთრის მოჭრის ტექნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, საკმაოდ ხშირი იყო ცალი სიქის ნაწილობრივი აცდენა, რის გამოც სიქის ანაბეჭდი ნამზადზე ზოგჯერ რამდენადმე ექს-ცენტრულად დაიტანებოდა ხოლმე.

ზარაფხანაში დასაქმებული, სიქების ამოჭრაზე მომუშავე ხელოსნების, *აქაქების* კვალიფიკაცია მაღალი იყო (თითქოს, კალიგრაფიისა და აბაზიანების შუბლის კარტუშის ინდივიდუალობიდან გამომდინარე, შესაძლებელია რამდენიმე განსხვავებული ხელის გარჩევა. მომავალში სიქების ანალიზმა, შესაძლოა, გაარკვიოს ეს საკითხი).

სირმა მონეტებზე ზედწერილები და გრაფიკული ელემენტები საკმაოდ აკურატულად არის შესრულებული, ცვალებადი რელიეფურობითაც; საერთო დიზაინიც ძალიან ჰარმონიული და მოხდენილია. განსაკუთრებით თვალწარმტაცია თავისუფალი ადგილების შევსება წერტილებითი და მცენარეული მოტივებით (მათ საგანგებო, საკონტროლო ნიშნების, privy mark-ის დანიშნულებაც ხომ არ ჰქონდათ?). საზოგადოდ, თავისი კომპოზიციით, კალიგრაფიით, დეკორატიულობით, დიზაინის ელემენტებისა და ზედწერილების ცვალებადი რელიეფურობით, დამზადების ხარისხით, ზოგადი ჰარმონიულობით, — სირმა თეთრი ისლამური ნუმიზმატიკური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს მიეკუთვნება. ზედწერილების უცხო გრაფიკით და ენაზე შესრულების მიუხედავად, წარმომავლობისა და ისტორიული როლის გათვალისწინებით, სირმა თეთრი, ჩვენი აზრით, ქართული ნუმიზმატიკური ხელოვნების შედევრიცაა (სურ. VIII.2-3).

სტაბილურად მაღალი სინჯისა და ლაზათიანად შესრულებული ზედწერილების მქონე; რამდენადმე უწესო ნამზადებზე, მაგრამ, მაინც, აკურატულად ნაჭედი; საზოგადოდ, ვიზუალურად ლამაზად გაფორმებული სირმა მონეტები გამოირჩევა მეზობელი სახანოების სამონეტო ნაწარმის მეტი ნაწილისგან, და რეგიონისა და ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე მომხიბვლელ საფასედ უნდა ჩაითვალოს. ეს კი, უდავოდ, გაზრდიდა ამ ქართული მონეტების პოპულარობას. ამრიგად, ჩვენი აზრით, სირმა თეთრის გარეგნულ მომხიბვლელობაზე ზრუნვას ეკონომიკური ეფექტიც ექნებოდა.

თუმცა, არამანქანური გზით, ხელით ნაჭედი მონეტები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნიფორმული ვერ იქნებოდა; ამიტომ, ევროპულ, მანქანური ჭე-

სურ. VIII.2. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, სირმა აბაზ-ნახევარი, ჰ. 1182 წ.



სურ. VIII.3. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, სირმა აბაზი, ჰ. 1201 წ.



დვის მონეტებს დაჩვეული ადამიანის თვალთახედვით, ისინი ძალიან უხარისხოს (არამდგრადი მასისა და ღირებულების საფასის) შთაბეჭდილებასაც კი ტოვებდნენ. ასე, მაგალითად, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მოღვაწე რუსი საქმოსნისა და მოხელის, გრაფ მუსინ-პუშკინის აზრით,

> “[…] на представление Ваше о битье здесь абазов, для поддержания курса червонцев, честь имею сим ответствовать, поелику весьма неприлично под державою Российскою с таковой неверностью в весе и достоинстве монету выбивать, как доселе известные абазы выбивалися, то и почел я за нужное устроить новые машины для битья монеты на лучших правилах […]”[628]

ზემოთ განხილული, შედარებით უჩვეულო სირმა აბაზიანები (იხ. თავი VI), როგორც ჩანს, თბილისის ზარაფხანის ნაწარმს წარმოადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიქების სამუშაო ზედაპირის დიზაინზე კონტროლი ყოველთვის მკაცრი არ იყო.

სამონეტო ნამზადზე სიქების ზემოქმედება ჩვეულებრივ, მონეტის დამზადების ბოლო სტადიას წარმოადგენდა. იქამდე კი მრავალი სხვა ეტაპი იყო გასავლელი. მონეტის მოჭრის ტექნიკა სტადიების მიხედვით შესწავლილი გვაქვს ძირითადად, სეფიანთა პერიოდის პირველწყაროების მიხედვით;[629] პირველ რიგში, 1707-1709 წლებში ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი ქართული დასტურლამალისა,[630] და 1725 წლის სპარსული თაზქირათ ალ-მულუქის[631] მიხედვით. შესაძლებლად ჩავთვალეთ ჩვენს მიერ რეკონსტრუირებული იმდროინდელი ტექნოლოგიური პროცესის პროეცირება ავშარიანთა პერიოდზედაც.[632] ქართლ-კახეთის სამეფოს ადრეული მონეტები სწორედ ავშარული ტიპისაა (იხ. ასევე თავი II); შემდგომი, ქარიმ-ხან ზენდის ინვოკაციის მატარებელი საფასე კი უკვე სირმა თეთრსაც მოიცავს (იხ. თავი III, V). სირმა თეთრი, ტექნოლოგიურად, ავშარიანთა სახელით მოჭრილი საფასისგან არაფრით განსხვავდება. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ სირმა თეთრიც სეფიანური პერიოდის დროინდელი ტექნოლოგიით იჭრებოდა. მკითხველს შესაბამის ნაშრომის[633] გაცნობას ვთავაზობთ.

---

628 *Акты собранные Кавказской археографической коммиссией. Том I*, Под редакцией Адольфа Берже, 522-523, №634.

629 ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 520-525.

630 *ქართული სამართლის ძეგლები. 1. ჴელმწიფის კარის გარიგება. 2. დასტურლამალი*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, 533-535.

631 *Tadhkirat Al-Muluk. A Manual of Safavid Administration*, Translated and Explained by V. Minorsky) (1943. University Press, Cambridge, 1980), 58-61.

632 ფაღავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)", 520-521.

633 იქვე, 520-525.
მომავალში ვაპირებთ აღნიშნულ საკითხს კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ.

*

საინტერესოდ გვეჩვენება საკითხი, შეჭიდული იყო თუ არა სირმა თეთრის მოსაჭრელად გამოყენებული სიქები — შეკავშირებული იყო ერთმანეთთან, თუ არა. ამის გარკვევა შეიძლება მოხერხდეს შესწავლით, სიქების თანაფარდობა სტაბილური იყო თუ არა. ფორმალური კვლევა ამ მიმართულებით არ ჩაგვიტარებია,[634] თუმცა, ემპირიულად, სიქების თანაფარდობა სირმა თეთრის შემთხვევაში არ არის ფიქსირებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ მონეტების მოსაჭრელი სიქები შეჭიდული არ იყო.

*

რა შენადნობისგან, რამდენად მაღალი სინჯის ვერცხლისგან იჭრებოდა სირმა თეთრი?

ვიზუალურად, სირმა მონეტები ძალიან კარგი სინჯის ვერცხლის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ხალხის მიერ ამ ქართული საფასისთვის შერქმეული მეტსახელიც — *სირმა (ზირმა)* (vide supra) — იგივეს ადასტურებს.

ამასთანავე, კარგად არის ცნობილი იოჰან ანტონ გიულდენშტედტისა და სტეფანე ბურნაშევის ცნობები; ეს ორი უცხოელი თვლიდა,[635] რომ ქართველებმა (ქართლ-კახეთის სამეფოში) ლითონების ლეგირება არ იცოდნენ.

სტეფანე ბურნაშევი:

> “Из золота и серебра мастерства плохи и без искуства, не умеют они смешивать оное с другими металлами”[636]

> „ოქროსა და ვერცხლისგან [ნაკეთობათა შექმნაში] ხელობით არ ვარგიან და დახელოვნებულნი არ არიან; არ იციან სხვა ლითონებთან მისი შერევა.”[637]

---

634 Cf. ირაკლი ფაღავა, „ჯავახთ უფლის მონეტები — კომპლექსური ანალიზი”. *საისტორიო კრებული,* ტომი 1 (2011), 318-319; ირაკლი ფაღავა, როლანდ სპანდერაშვილი, გიორგი გოგავა, დავით მიქელაძე, ევგენი ჭანიშვილი, თეიმურაზ გაბრიაძე, „რუსუდან მეფის ვერცხლის ემისია (მასალა კორპუსისთვის, მოჭრის ადგილი, მემორიალური ბუნება, მიმოქცევა, დადამლვა, შენადნობის შემადგენლობა)”, *საისტორიო კრებული*, ტომი 6 (2017), 220-221.

635 ასე მიიჩნევდა, მაგალითად, ნიკოლოზ ქოიავა. ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 34-35.

636 Степан Бурнашев, *“Картина Грузии или Описание Политическаго состояния Царств Карталинскаго и Кахетинскаго сделанное пребывающим при Его Высочестве Царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче Полковником и Кавалером Бурнашевым в Тифлисе в 1786”*, სტეფან ბურნაშევი, *კავკასია XVIII საუკუნის II ნახევარში. პოლკ. სტეფან ბურნაშევის სამი ნაშრომი კავკასიის შესახებ*, რუსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ (თბილისი: არტანუჯი, 2020), 160.

637 თარგმანი ჩვენია. შეად. სტეფან ბურნაშევი, *კავკასია XVIII საუკუნის II ნახევარში. პოლკ. სტეფან ბურნაშევის სამი ნაშრომი კავკასიის შესახებ*, რუსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ (თბილისი: არტანუჯი, 2020), 32.

იოჰან ანტონ გიულდენშტედტიც, პრაქტიკულად, იგივეს წერს:

> "Alle angeführten Silbermünzen läßt der Zaar Heraklius von sehr guten, löthigen Silber schlagen"[638]

ნიკოლოზ ქოიავამ „von sehr guten, löthigen Silber" თარგმნა როგორც „ძალიან კარგ, მორჩილული [? — ი.ფ.] ვერცხლიდან";[639] გია გელაშვილმა კი როგორც „ძალიან კარგი ჭედადი ვერცხლიდან".[640] თეორიულად შეიძლება ისიც დაგვეშვა, რომ „löthig" *ლოტურს* აღნიშნავდა; თუ ამ სიტყვის წინ ციფრია გამორჩენილი, *X-ლოტიანს*; — არსებობდა ვერცხლის სინჯის განსაზღვრის გერმანული სისტემა, რომელშიც სუფთა ვერცხლი შეესაბამებოდა 16 ლოტს.[641] თავდაპირველად ისიც ვიფიქრეთ, რომ არსებობდა გამოთქმა *ლოტური ვერცხლი*, მაღალი სინჯადობის, სუფთა (16-ლოტიანი სინჯი) ვერცხლის მნიშვნელობით; ან, პირიქით, ასე, შესაძლოა, წინასწარ დაგეგმილი და განსაზღვრული სინჯის მქონე ვერცხლის შენადნობს აღნიშნავდნენ. ძმები გრიმების ლექსიკონში კი ამ სიტყვისთვის მოყვანილია მნიშვნელობა (სხვათა შორის): *სწორი / სრული მასის მქონე; შეურეველი* („das rechte gewicht habend; namentlich in der formel *löthiges gold*, gold welches vollwichtig, unvermischt ist").[642]

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის შესაბამის ფრაზას ვთარგმნიდით როგორც

> „ყველა ნახსენები ვერცხლის ფულები იჭრება მეფე ერეკლეს ბრძანებით ძალიან კარგი, შეურეველი ვერცხლიდან"

სხვაგან კი იოჰან გიულდენშტედტი პირდაპირ მიუთითებს:

> "Die Perser und Georgianer wissen noch nicht edle Metalle gehörig zu legiren, und münzen sie daher fein aus."[643]

> „სპარსელებმა და ქართველებმა კეთილშობილი ლითონების სათანა-

638 გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 234-235.

639 ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 34.

640 გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 235.

641 Зварич, *Нумизматический словарь*, 83.

642 „löthig", *in: Deutsches Wörterbuch von Jacob Grimm und Wilhelm Grimm, Erstbearbeitung (1854–1960), digitalisierte Version im Digitalen Wörterbuch der deutschen Sprache.*
<https://www.dwds.de/wb/dwb/l%C3%B6thig>, abgerufen am 03.04.2023.

643 გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 236.

დოდ ლეგირება ჯერ კიდევ არ იციან, ამიტომაც მათ მონეტად წმინდა სახით ჭრიან."[644]

როგორც ბურნაშევი, ასევე გიულდენშტედტი ცდებიან. ნიკოლოზ ქოიავას სარწმუნოდ აქვს ნაჩვენები, რომ ქართველებმა იცოდნენ თავისი ვერცხლის საფასასის მოსაჭრელად განკუთვნილი ძვირფასი ლითონის შენადნობის ხელოვნური ლეგირება,[645] — ვახტანგ VI-ის დასტურლამალში პირდაპირ არის მითითებული:

„[...] ერთი სიკილა, რომე თოთხმეტი შაურია. [...] ოთხასი სიკილა ერთს ყურსად უნდა ჩავიდეს ცეცხლში. ამისგან გამოვა ცეცხლიდან თამამ აიარი ვერცხლი ორი ათას სამასი"; [მისხალი][646]

გავიმეორებთ, რომ დასტურლამალის შედგენის დროს (1707-1709) სეფიანთა სახელმწიფოში, ქართლის სამეფოს ჩათვლით, ვერცხლის საფასე იჭრებოდა სულთან ჰუსეინ I-ის I წონითი სტანდარტის მიხედვით (1 თუმანი = 1925 მუხუდოს; 7.39-გრამიანი 'აბბასი). ვეთანხმებით ნიკოლოზ ქოიავას, რომ შაური დასტურლამალში ამ შემთხვევაში წონითი ერთეულის მნიშვნელობით არის ნახმარი,[647] და უდრიდა 7.39 გრამის მეოთხედს, ანუ, 1.8475 გრამს; ანუ, 4.608 გრამიანი მისხლის 0.41-ედ ნაწილს, დამრგვალებით, 0.4-ს (ნიკოლოზ ქოიავაც, გამოთვლების მოყვანის გარეშე, შაურს 0.4 მისხლის ტოლად მიიჩნევდა[648]). 400 სიკილა, შესაბამისად, მოგვცემდა 2,240 მისხალს (400 x 14 x 0.4 = 2,240), მაშინ როდესაც *დადგენილი სინჯის, თამამ აიარი* (تمام عیار) ვერცხლი ცეცხლიდან უნდა გამოსულიყო 2,300. გასაგებია, რომ 2,300 - 2,240 = 60 მისხალი წარმოადგენდა *დამატებულ* ლიგატურას; მიღებული შენადნობის სინჯი კი შეადგენდა 2,240 / 2,300 x 100 = 97.4%-ს.[649] სინამდვილეში, შესაძლოა, რამდენადმე ნაკლებს, ვინაიდან, უცნობია, ის „ოთხასი სიკილა" ვერცხლი, აბსოლუტურად გასუფთავებულ, 100%-იანი სინჯის ვერცხლს წარმოადგენდა, თუ არა. სავარაუდოდ, არა, ვინაიდან, იმდროინდელი ტექნოლოგიით აბსოლუტურად სუფთა ლითონის მიღება, საფიქრებელია, შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ, ეს ციფრი მაინც ვალიდურია, ვინაიდან *დაგეგმილ* სინჯს წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, მონეტის წარმოებისთვის გამოყენებულია არა სუფთა (ყოველ შემთხვევაში, იმდროინდელი ტექნოლოგიის ეფექტურობის ფარგლებში მაქსიმალურად გასუფთავებული ვერცხლი), არამედ, სწორედ რომ შეგნებულად, ხელოვნურად ლეგირებული შენადნობი.

თბილისის ზარაფხანაში წარმოებული ვერცხლის მონეტების სინჯი, მარ-

644 თარგმანი ჩვენია. შეად. გია გელაშვილის თარგმანს. იქვე, 237.

645 ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 36.

646 *ქართული სამართლის ძეგლები. 1. ჴელმწიფის კარის გარიგება. 2. დასტურლამალი*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, 533-534.

647 ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 36.

648 იქვე, 36.

649 იქვე, 36.

თალია, XVIII საუკუნის I დეკადისთვის დგინდება; მაგრამ, ვფიქრობთ, დასაშვებია გამოთვლილი ციფრის პროეცირება XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედზედაც. XVI-XIX საუკუნეების ირანისა და მისი სამონეტო საქმის ზეგავლენის სფეროში შემავალ ქვეყნებში, საზოგადოდ, მაღალი სინჯის მონეტების გამოშვების ტრადიცია არსებობდა.[650]

გარეგანი ნიშნების გარდა, სირმა თეთრის მაღალ სინჯს ადასტურებს რუსული ოფიციალური საბუთები და პუბლიკაციებიც, გამოქვეყნებული უკვე XIX საუკუნეში (სირმა მონეტების სინჯი ლაბორატორიული კვლევით არის დადგენილი).

ასე, მაგალითად, 1830 წელს სანქტ-პეტერბურგში შეისწავლეს სამხრეთ კავკასიაში მიმოქცევაში მყოფი სხვადასხვა სახანოს, ოსმალეთის იმპერიისა და ირანის ოქროსა და ვერცხლის მონეტების სინჯი. ქართლ-კახეთის სამეფოს XIX საუკუნემდე მოჭრილი სირმა აბაზებისთვის სინჯად (ზოლოტნიკურ სისტემაში) მითითებულია ერთგან 93⅓, მეორეგან კი 94,[651] რაც, შესაბამისად 97.2 და 97.9%-იან სინჯს უდრის.

1845 წელს რუსეთის იმპერიის საფასესთან „აზიური" მონეტების შედარებისას გამოვლინდა, რომ სირმა აბაზის, ორშაურისა და შაურის სინჯი (ზოლოტნიკურ სისტემაში) იყო, შესაბამისად, 93⅔, 93⅓, და 94,[652] ანუ, 97.6, 97.2, და 97.9%. ვვარაუდობთ, რომ სირმა თეთრის ყველა ნომინალის *დაგეგმილი* სინჯი ერთნაირი იქნებოდა; რაც, რასაკვირველია, არ გამორიცხავს სინჯის გარკვეულ ფარგლებში მერყეობას (*სინჯის რემედიუმი*). გარდა ამისა, მითითებული მცირე სხვაობა კვლევის მეთოდის არასრულყოფილებითა და მონაცემების სტატისტიკური დაუმუშავებლობით უნდა აიხსნებოდეს.

შესაძლოა, სწორედ ამ პუბლიკაციების გათვალისწინებით ევგენი პახომოვიც (წყაროს მიუთითებლად) სირმა ვერცხლის სინჯად მიუთითებდა (ზოლოტნიკური სისტემით) „92-დან 93-მდე" („от 92 до 93").[653]

ვიცნობთ ორ XX საუკუნის ნაშრომსაც, სადაც სირმა თეთრის ლითონური შემადგენლობა ექსპერიმენტული გზით არის შესწავლილი (მართალია, დაკვირვებათა რიცხვი პირველ სერიაში სულ ოთხია და, მეორე სერიაში კი, — სამი, მაგრამ, შედეგები, მაინც, საკმაოდ თვალსაჩინოა, და ზემოთ მოყვანილ ციფრებს მეტ-ნაკლებად შეესაბამება).

თინათინ არეშიძის საკანდიდატო დისერტაციაში წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის მუზეუმის დუბლეტური ფონდიდან მიღებული 4 სირმა აბაზის (ჰიჯრის 1183, 1195, 1205, 1211 წლების) ლაბორატორიული კვლევის შედეგები; ყველა ძალიან მაღალი სინჯის ვერცხლის შენადნობისგან ყოფილა მოჭრილი; დესტრუქციული მეთოდით[654] დადგინდა სინჯი, შესაბამისად, 96.16, 94.58, 94.24 და 98.40%;[655] საშუალო შეადგენს 95.85%-ს. დავით კაპანაძის სტატიაში გამოქვეყნებულია 3 სირმა აბაზის (ჰიჯრის 1183, 1192, 1207 წლების)

650 Matthee, Floor, Clawson, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars*, 34-35.

651 გუგუშვილი, „ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ა.-კავკასიაში მე-19 საუკუნეში", 76.

652 იქვე, 84.

653 Пахомов, *Монеты Грузии*, 271.

654 არეშიძე, *ქართული მონეტების ქიმიური შედგენილობა*, 81-101.

655 იქვე, 80-81, 118-119.

შესწავლის შედეგები (საყურადღებოა ავტორის მეცნიერული თავგანწირვა — მონეტები მან საკუთარი კოლექციიდან გაიმეტა[656]) — ორი აბაზიანი ძალიან მაღალი სინჯის ვერცხლის შენადნობისგან ყოფილა მოჭრილი; ჰიჯრის 1183 და 1207 წლებით დათარიღებული აბაზიანების სინჯმა შეადგინა, შესაბამისად, 97.60 და 96.00%.[657] ჰიჯრის 1192 წლით დათარიღებული მონეტის სინჯი კი საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა — 72.00%. თავად დავით კაპანაძემ ამ წლის სირმა აბაზიანის დაბალი სინჯი შემდეგნაირად ახსნა:

> „შედარებით დაბალი სინჯადობა საქართველოს მთავრობის დროებით ღონისძიებას ე.წ. ფულის გაუარესებას (порча монеты) უნდა მივაწეროთ, რაც, ალბათ, გამოწვეული იქნებოდა ფინანსიური დაბრკოლებით (გადაუდებელი ხარჯები, სახელმწიფო ვალების ან დაქირავებული ჯარის გასტუმრება და სხვა ამის მსგავსი)."[658]

ავტორის აზრი გასაგებია: საჭიროების შემთხვევაში, თანხაზე *cito citissimo* მოთხოვნილების გაჩენისას და მისი სხვა წყაროდან მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, ამგვარი, ფაქტობრივად, სახელმწიფო ფალსიფიკატის გამოშვებით ნამდვილად შეიძლებოდა არსებითი მოგების ნახვა: 97.4%-იანი სინჯის მაგიერ, „სირმა" თეთრის 72.00% სინჯით გამოშვება, ხელისუფლებას 35.4%-იან მოგებას მისცემდა (72%-იანი სინჯით 35.4%-ით მეტი აბაზიანის გამოშვება იქნებოდა შესაძლებელი, — 3.072 x 0.974 x 100 / 72 = 4.16, რაც 35.4%-ით მეტია 3.072 გრამზე, სირმა აბაზის ნორმატიულ მასაზე). რასაკვირველია, ეს აქტი უფრო ერთჯერადი თუ იქნებოდა. ხელისუფლებას მონეტა ამგვარად, სისტემატიურად რომ გაეფუჭებინა, მოსახლეობა ადრე თუ გვიან მიუხვდებოდა, და სირმა აბაზის კურსიც დაეცემოდა.

თუმცა, ირანულ-ქართული სამონეტო ტრადიციების, ისევე როგორც სირმა ვერცხლის კარგი რეპუტაციისა და, ემპირიულად, ჩვენს მიერ (ასეულობით) შესწავლილი უკლებლივ ყველა მონეტის *ვიზუალურად* მაღალი სინჯისა, მაინც ეჭვს შევიტანდით დავით კაპანაძის მიერ მიღებულ შედეგში; კვლევისას რაიმე შემთხვევითობას, ცდომილებას ხომ არ ჰქონდა ადგილი? რამდენად ღირს ერთადერთი დაკვირვების შედეგის განზოგადება?

მაინც, ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ, ერთობლიობაში, სირმა თეთრი ძალიან მაღალი სინჯის საფასეს წარმოადგენდა, მთელი თავისი არსებობის განმავლობაში.

სხვათა შორის, თვალში საცემია ექსპერიმენტული გზით, XIX და XX საუკუნეში მიღებული ციფრების შესაბამისობა დასტურლამალის ცნობასთან. როგორც ჩანს, თბილისის ზარაფხანის ვერცხლის ნაწარმი მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში მაღალ, და, სტაბილურად მაღალ სინჯს ინარჩუნებდა. ვფიქრობთ, გამართლებული იქნება, **სირმა თეთრის დაგეგმილ, ნორმატიულ სინჯად ჩავთვალოთ დასტურლამალის მიხედვით გამოთვლილი (და ექსპერიმენტებით დადასტურებული) ციფრი - 97.4%.**

656 ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 36-37, კაპანაძე, „ქართული ფულის სინჯადობა", 573.

657 იქვე, 573-574.

658 იქვე, 574, სქოლიო 1.

გამოვთქვამთ რამდენიმე მოსაზრებას სირმა თეთრის *სამონეტო რიგის* შესახებადაც.

სირმა თეთრის წონითი სტანდარტი დადგენილია (იხ. თავი V, ცხრილი 3): თუმანი = 800 მუხუდოს; აბაზი = 4 დანგს = 3.072 გრამს. მაგრამ, *წონითი სტანდარტი* და *სამონეტო რიგი* არ არის ერთმანეთის ტოლფასი ცნებები. წონითი სტანდარტი განსაზღვრავს, თუ რას უნდა უდრიდეს, იდეალურ შემთხვევაში, ამა თუ იმ (ნომინალური) ღირებულების მქონე მონეტის მასა. *სამონეტო რიგი* (*Münzfuß*) კი გულისხმობს იმის დადგენას, (სამონეტო) ლითონის განსაზღვრული წონითი ერთეულიდან თუ რამდენი (ერთი და იგივე ღირებულების, მაგრამ, არა მასის) მონეტის მოჭრაა გათვალისწინებული.

რომელიმე ფულად-მონეტარული ერთეულის, დავუშვათ, სირმა აბაზიანის რეალური მასა მეტწილად ზუსტად *არ* უდრის წონითი სტანდარტით გათვალისწინებულ ციფრს; მონეტის რეალური მასა არ წარმოადგენს სამონეტო რიგით გათვალისწინებული წონითი ერთეულის მონეტების ნორმატიულ რაოდენობაზე განაყოფს; მონეტის რეალური მასა მერყეობს, და ხშირად არ შეესაბამება არც წონით სტანდარტს, და არც ხსენებულ განაყოფს. ნორმატივისგან ეს გადახრა შეიძლება აიხსნებოდეს მიმოქცევაში ნამყოფი მონეტის გაცვეთილობით; ბოროტმოქმედთა მიერ მისთვის ძვირფასი ლითონის მოკლებით, შემოჭრისა თუ დახეხვის გზით (*clipping, sweating*); მაგრამ, ასევე, მონეტის დამზადების / მოჭრის პროცესის ტექნოლოგიური გაუმართაობით; შესაძლოა, ზარაფხანის პერსონალის / ადმინისტრაციის არაკეთილსინდისიერებით. არსებობს *სამონეტო რიგის მიხედვით მოჭრილი* მონეტების წონის ნორმატივისგან *დასაშვები* გადახრის ცნებაც — მონეტის *წონითი რემედიუმი* (არსებობს *სინჯის რემედიუმიც*); ამასთანავე, *წონითი რემედიუმის ფარგლებში* განსხვავებული ინდივიდუალური მასის მონეტების შესაბამისი რაოდენობის ჯამური მასა სამონეტო რიგით გათვალისწინებულს უნდა შეესაბამებოდეს. წონითი რემედიუმი შედარებით ვიწრო იყო მონეტის al pezzo, და ფართო — al marco წესით დამზადების შემთხვევაში.

ამრიგად, მონეტის წონითი სტანდარტის პარალელურად, სამონეტო რიგიდან გამომდინარე, არსებობდა მონეტის წონითი რემედიუმიც. აღრიცხვისა და ემისიის დაგეგმვის აუცილებლობიდან გამომდინარე, ზარაფხანა (და ხელისუფლება) ითვალისწინებდა ხელმისაწვდომი სამონეტო ლითონის მასას, და რა ოდენობის საფასეს (ანუ, მონეტას) მიიღებდა მისი მოჭრის შემდეგ; სხვანაირად რომ ვთქვათ, ადმინისტრაციას აინტერესებდა, ამა თუ იმ ლითონის თუ რამდენი წონითი ერთეული იყო ხელმისაწვდომი მონეტის მოსაჭრელად, და მისგან რეალურად რამდენი მონეტა მოიჭრებოდა. აქედან გამომდინარე, საფასის მომხმარებლისთვის / მკვლევრისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონეტის მასას, თუ რა წონითი სტანდარტის მიხედვით მოიჭრა; ზარაფხანის ადმინისტრაცია კი პარალელურად დამტკიცებული სამონეტო რიგითაც ხელმძღვანელობდა, მით უფრო იმ პერიოდში და რეგიონში, როდესაც და სადაც ცალკეული მონეტების მასის უნიფიცირება არასრულყოფილი ტექნოლოგიის მიზეზით გაძნელებული იქნებოდა.

რა სამონეტო რიგით სარგებლობდა თბილისის ზარაფხანა სირმა თეთრის გამოშვებისას? ამ თვალსაზრისითაც ძალიან ძვირფასია სოლომონ მელიქიშვილის (1801 წლის 29 მაისის) მოწმობა, რომელსაც ერთხელაც მოვიყვანთ:

"… да доложится вам когда на монетном дворе чеканится 1 литра (9 фунт) серебра, то из сего количества выходит 211 руб 20 коп за тем все золото, выжимаемое из этого, принадлежит царю, да из серебра ему же уделяется, насчет монетнаго двора, 51 руб 20 коп, да 160 руб следуют откупщикам рудника (მადანჩი)."[659]

აღნიშნული ცნობის საფუძველზე, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ **ქართლ-კახეთის სამეფოში საფასის (ყოველ შემთხვევაში, ვერცხლის საფასის) გამოშვებისას საბაზისო წონით ერთეულს *ლიტრა* წარმოადგენდა**. სამონეტო რიგი კი, სამეფოს არსებობის უკანასკნელ წლებში მაინც, შეადგენდა 211 რუბლსა (= 100 კაპიკს) და 20 კაპიკს 1 ლიტრადან. ვინაიდან *რუბლს მინალთუნთან ვაიგივებთ* (იხ. თავი III), გამოვა, რომ **ქართლ-კახეთის სამეფოში (1765/6 წლის შემდგომ; ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნის დასასრულისთვის) მიღებული სამონეტო რიგი შეადგენდა 1056 სირმა აბაზს 1 ლიტრა (ოქროიანი?) ვერცხლიდან**.

*

სირმა თეთრის მოსაჭრელად, ბუნებრივია, სიქები გამოიყენებოდა. ჩვენამდე ერთსაც არ მოუღწევია. ამიტომ, რთული სათქმელია, რა მასალისგან მზადდებოდა და რამხელა, ან, როგორი იყო.

ასევე, ჯერჯერობით, გადაჭრით ვერ ვამბობთ, სირმა თეთრის მოსაჭრელად გამოყენებული რომელი სიქა უნდა ჩაითვალოს შუბლის, და რომელი — ზურგის სიქად. შინაარსობრივად, მონეტის მთავარ, ანუ, შუბლის მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, სადაც ათავსებდნენ ორლესულ გამონათქვამს *ქარიმის* მოხსენიებით (დასაწყისში მაინც, ქარიმ-ხან ზენდი ქართლ-კახეთის სამეფოს სიუზერენს წარმოადგენდა). მაგრამ, *ტექნიკური თვალსაზრისით*, რომელი სიქა იყო შუბლის და რომელი ზურგის? ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ გრდემლში ჩამაგრებული იყო ის სიქა, რომელზედაც ყურანული ფორმულა იყო ამოჭრილი. მოვიყვანთ ჩვენს არგუმენტაციასაც:

სირმა თეთრის მოსაჭრელად გამოყენებული სიქები თანდათანობით გამოდიოდნენ მწყობრიდან და, საფიქრებელია, უნდა განადგურებულიყვნენ. საზოგადოდ, ჩვეულებრივ, სირმა მონეტები საკმაოდ კარგი, დაუზიანებელი სიქებითაა მოჭრილი. შესწავლილ მონეტებზე სიქის გაბზარვისა ან ამომტვრევის შემთხვევებს ნაკლებად ვხვდებით. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დაზიანებულ სიქას აღარ ამუშავებდნენ. თუმცა, უცნობია, თითოეული სიქა რამდენი მონეტის დამზადებას ყოფნიდა: რიცხვი განსხვავებული იქნებოდა შუბლისა და ზურგის სიქებისთვის, რომლებიც სხვადასხვა სისწრაფით იცვითებოდა და ზიანდებოდა. ყოველწლიურად რამდენიმე შუბლის სიქა მზადდებოდა, ინვოკაციით *ya, ქარიმ*. როგორც ჩანს, ისინი შედარებით მალე გამოდიოდა მწყობრიდან; ამას მოწმობს ერთი და იმავე თარიღის მატარებელი მონეტები (ე.ი., სიქები), სადაც თარიღის ციფრები ზედაპირზე სხვადასხვანაირად არის განაწილებული; აქედან გამომდინარეობს, რომ ერთი და იმავე წლის განმავლობაში შუბლის რამდენიმე სიქის დამზადება იყო საჭირო. რაც შეეხება ზურგის სიქებს, ჯერჯერო-

659 *Акты собранные Кавказской археографической коммиссией. Том I*, Под редакцией Адольфа Берже, 516, №623, примечание.

ბით უცნობია, შუბლის სიქებზე მეტი თუ ნაკლები რაოდენობით მზადდებოდა. ემპირიულად, სიქების ანალიზის ფარგლებში, თითქოს, რჩება შთაბეჭდილება, რომ ერთმანეთთან სიქის კავშირებით მეტი შუბლის, ვიდრე ზურგის სიქა არის შეერთებული. პრინციპში, ეს ლოგიკურიცაა. იმ სიქით მუშაობა, რომელსაც თარიღი არ ჰქონდა აღნიშნული, მომდევნო წელსაც შეძლებდნენ (ხოლო დათარიღებული სიქები კი, შესაბამისი წლის გასვლის მერე, ძველდებოდა). ასე რომ ტექნოლოგიური თვალსაზრისით, უფრო ლოგიკური იქნებოდა, გრდემლის (შუბლის) სიქად გამოეყენებინებიათ სიქა ყურანული ფორმულით (რომელსაც, შინაარსობრივად, ზურგის სიქად მივიჩნევთ); — გრდემლის სიქა ხომ უფრო დიდ ხანს გაძლებდა. ვფიქრობთ, რომ წარწერებიც და დიზაინიც ყურანული ფორმულის მატარებელ სიქაზე უფრო ვრცელი და რთული ამოსაჭრელი იქნებოდა; ეს კიდევ ერთი არგუმენტი იქნებოდა, — ეგეთი ნაკეთობა დაეზოგათ და გრდემლის სიქად გამოეყენებინათ.

უცნობია, აგრძელებდნენ მომდევნო წელს წინა წლით დათარიღებული სიქით მუშაობას, სანამ გაფუჭდებოდა, თუ აღნიშნული წლის დასრულებისთანავე აგდებდნენ? ან, ეგება, პარალელურად, დიდი შეკვეთის შემთხვევაში, წინა წლის სიქითაც მუშაობდნენ და ახლითაც? ვიცნობთ იშვიათ ჰიბრიდულ მონეტებს, რომლებიც, შეცდომით, მოჭრილია ორი ზურგის, ან ორი შუბლის სიქით. საყურადღებოა სირმა უზალთუნი, რომელზედაც ცალი მხარე მოჭრილია უზალთუნ-შაურის ჰიჯრის 1182 წლით დათარიღებული (ზურგის) სიქით, მეორე მხარე კი — აბაზიანის ჰიჯრის 1184 წლით დათარიღებული (შუბლის) სიქით (სურ. VIII.4). რასაკვირველია, აქ, უბრალოდ, უყურადღებობის შედეგია; თუმცა, საფიქრებელია, ან დათარიღებულ სიქას მომდევნო წლებშიც ამუშავებდნენ, თუნდაც, ანაქრონისტულად, ანდა, მისი უტილიზაცია იგვიანებდა ხოლმე, რაც განაპირობებდა კიდევაც — უყურადღებობით მსგავსი შეცდომების დაშვებას. ევგენი პახომოვმა ასევე მიუთითა სახელმწიფო ერმიტაჟში ჰიბრიდული შაურის არსებობაზე, რომელიც მოჭრილია ჰ. 1190 წლით დათარიღებული აბაზისა და უზალთუნ-შაურის სიქებით.[660]



სურ. VIII.4. ქართლ-კახეთის სამეფო, ირაკლი II, თბილისი, ჰიბრიდული სირმა უზალთუნი, მოჭრილი ჰ. 1182 წ. უზალთუნ-შაურისა და ჰ. 1184 წ. აბაზის სიქებით, 1.52 გ

660 Пахомов, *Монеты Грузии*, 242.



სურ. VIII.5. ქართლ-კახეთის სამეფო, ჰიბრიდული სირმა უზალთუნი, მოჭრილი უზალთუნ-შაურისა და აბაზის სიქებით, 1.34 გ (გახვრეტილი)



სურ. VIII.6. ქართლ-კახეთის სამეფო, ჰიბრიდული სირმა შაური, მოჭრილი უზალთუნ-შაურისა და აბაზის სიქებით, 0.85 გ

ცნობილია, ასევე, ჰიბრიდული მონეტები, მოჭრილი აბაზის ზურგისა და უზალთუნ-შაურის შუბლის სიქებით (სურ. VIII.5-6).[661]

შეგხვდა, ასევე, მონეტა, რომელიც, მისი წონიდან გამომდინარე (3.00 გ), როგორც ჩანს, აბაზს წარმოადგენს; მაგრამ, მის მოსაჭრელად გამოიყენეს ჰ. 1187 წლით დათარიღებული *აბაზნახევრიანის* შუბლის სიქა (სურ. VIII.7).

გამოვაქვეყნებთ, ასევე, ჰ. 1184 წლით დათარიღებულ აბაზნახევრიან მონეტას (სურ. VIII.8), რომლის ზურგის მოსაჭრელადაც, როგორც ჩანს, აბაზიანის ზურგის სიქაა გამოყენებული (აბაზ-ნახევრის ნომინალის მონეტების მოსაჭრელად განკუთვნილი ზურგის სიქები უფრო დიდი დიამეტრის იყო? შეად. სურ. V.5).

ქართლ-კახეთის სამეფოს ზარაფხანაში შენახული სიქების ნაწილი მაინც, როგორ ჩანს, თავად სამეფოსთან ერთად, რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციას ჩაუვარდა ხელში. სწორედ ამ სიქებით მოიჭრა სირმა აბაზისა და ერთთავიანი არწივის გამოსახულებიანი ბისტის სიქებით მოჭრილი ე.წ. ერეკლეს „ჩერვონეცი", რომელიც როგორც დავამტკიცეთ, რუსულ „ნოვოდელს" წარმოადგენს.[662]

*

დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის პერიოდში (1744-1801), ან, თუნდაც, სირმა თეთრის გამოშვების პერიოდში (1765/6-1798/9) თბილისის ზარაფხანაში საფასის ჭედვა ბლოკირებული იყო თუ თავისუფალი. ანუ, ნებისმიერ მსურველს შეეძლო, მოეტანა სამონეტო ლითონი, რომ ის ზარაფხანის მუშაკებს საფასედ გარდაექმნათ (*თავისუფალი ჭედვა*), თუ ეს პროცესი, *ბლოკირებული* იყო და ამის გაკეთების პრეროგატივა მხოლოდ ხელისუფლებას გააჩნდა?

ირანში — და ქართლ-კახეთის სამეფო ხომ, ნუმიზმატიკური ტრადიციის თვალსაზრისით, ირანის მემკვიდრე იყო — ძვირფასი ლითონის, ყოველ შემთხ-

---

661 იქვე, 249.

662 Paghava, "The Yellow Metal Coins Ascribed to Erekle II and the Fate of Georgian Dies of the 17th-18th Century", 33-37.



სურ. VIII.7. ქართლ-კახეთის სამეფო, ჰიბრიდული სირმა აბაზი, მოჭრილი დათარიღებული (ჰ. 1187 წ.) აბაზ-ნახევრის შუბლის სიქით, 3.00 გ (მირჩილვის კვალი)



სურ. VIII.8. ქართლ-კახეთის სამეფო, ჰიბრიდული სირმა აბაზ-ნახევარი, მოჭრილი აბაზ-ნახევრისა და აბაზის სიქებით, 4.33 გ

ვევაში, ვერცხლის საფასის წარმოებაში თავისუფალი ჭედვა იყო მიღებული.[663] სეფიანური სამონეტო ტრადიციების მიმდევარ ქართლ-კახეთის სამეფოს თბილისის ზარაფხანაში იგივე წესი იქნებოდა დამკვიდრებული.

ამას დოკუმენტურად ადასტურებს რუსული ოფიციალური საბუთი, კერძოდ, გენერალ-მაიორ ლაზარევის 1801 წლის 6 მარტით დათარიღებული პატაკი:

> “Делание царских монет состояло прежде в таком положении, что всякой кто имеет серебро и хочет оное переделать в монету может сие исполнить, заплатя некоторую часть из серебра, коя и поступает в число государственных доходов.”[664]

„მეფის საფასის დამზადება ადრე იმდაგვარად წარმოებდა, რომ ყველას, ვისაც ვერცხლი აქვს და სურს მისი საფასედ გადაკეთება, შეუძლია

663 Rudi Matthee, “Mint Consolidation and the Worsening of the Late Safavid Coinage: The Mint of Huwayza”, *Journal of the Economic and Social History of the Orient*, Volume 44, Number 4 (2001), 509-511, 513, 518-519, maps 1-3; Matthee, Floor, Clawson, *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars*, 51-55.

664 *Акты собранные Кавказской археографической коммиссией. Том I*, Под редакцией Адольфа Берже, 516, №623.

ამის შესრულება, ვერცხლის ნაწილის გადახდით, რომელიც სახელმწიფო შემოსავლებს ემატება".[665]

ამ ცნობას სათანადო ყურადღება მიაქციეს პაველ ფონ ვინქლერმა, პაატა გუგუშვილმა, ნიკოლოზ ქოიავამ, — და მართებული დასკვნაც გამოიტანეს.[666] ამასთანავე, ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკური ცხოვრების გააზრებისათვის ამ ფაქტის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ უყურადღებოდ მისი დატოვება, მაინც, მიუღებლად ჩავთვალეთ.

სხვათა შორის, ლაზარევის ცნობას ეხმიანება 1802 წლის ივნისში შედგენილი, კოვალენსკის პატაკი თბილისში ვერცხლის მონეტის ჭედვის აუცილებლობის შესახებ (რუსეთის იმპერიის ადმინისტრაცია ემზადებოდა თბილისის ზარაფხანის ხელახლა ასამუშავებლად, სადაც, შემდგომში, 1804-1834 წლებში ე.წ. ქართულ-რუსული მონეტები მოიჭრა); ამ საბუთში ავტორს მოჰყავს გრაფ მუსინ-პუშკინის აზრი, რომ „ქართული აბაზიანების" მოჭრა მოხერხდებოდა, და მხარს დაუჭერდა ჩერვონცების დაცემულ გაცვლით კურსს - „ამ საქმეზე თავისი ვერცხლის [ზარაფხანაში — ი.ფ.] მიცემის მსურველთა სიმრავლის" გათვალისწინებით:

"ген.-л. Кноррингу

Т. с. гр. Мусин-Пушкин, объясняясь со мною, по поводу оскудения в земле здешней серебряной монеты, на которую голландские червонцы с трудом размениваются, теперь по 2 р. 65 к., предлагает, что битье здесь грузинских абазов, впредь пока последует всевысочайшее на учреждение монетного двора соизволение, могло-бы иметь место, и что по множеству имеющих желание отдавать свое серебро на таковое дело способ сей был бы весьма достаточным поддержать на первый раз курс червонцев, ныне чувствительно упадающий"[667]

გარდა ამისა, გვაქვს შემდეგი ცნობაც გრაფ მუსინ-პუშკინის მოხსენებიდან:

"почел я за нужное устроить новые машины для битья монеты на лучших правилах, и коль скоро оныя можно будет употребить в действие, не оставлю уведомить Ваше Превосходительство и просить буду о публиковании, дабы желающие из своего серебра делать абазы явилися в то время ко мне"[668]

---

665 თარგმანი ჩვენია.

666 фон Винклер, "Чеканка монет для Грузии (1804-1833 гг.)", 286; გუგუშვილი, „ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ა.-კავკასიაში მე-19 საუკუნეში", 30-31; ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 40.

667 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №23, 45.

668 *Акты собранные Кавказской археографической коммиссией. Том I*, Под редакцией Адольфа Берже, 523, №634.

აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ თავისუფალი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ვერცხლის საფასის მოჭრა, სპილენძის შავი ფულის წარმოება კი ბლოკირებული დარჩებოდა, მისი დიდი მომგებიანობისა და მონეტის გამოშვებაზე ეკონომიკური ლიმიტის არსებობიდან გამომდინარე (საკრედიტო სპილენძის ფულით ბაზრის ზეგაჯერება რომ არ მომხდარიყო).[669]

*

საიდან შემოდიოდა ზარაფხანაში ვერცხლი, თავისუფალი ჭედვის სისტემის პირობებში?

რასაკვირველია, ძვირფასი ლითონის ძირითადი, და წამყვანი წყაროც სამეფოში (ახტალაში, შესაძლოა, ასევე, დამბლუღში) მოპოვებული მადნიდან ვერცხლის გამოდნობა იყო. შესაბამისად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სირმა მონეტების ტირაჟის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო წარმოების წარმადობა იყო (რომელიც, მრავალი მიზეზით, დროთა განმავლობაში მერყეობდა; იხ. თავი IV).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი მოპოვებული ძვირფასი ლითონი, უდიდესი ალბათობით, საფასის მოსაჭრელად ზარაფხანას გადაეცემოდა.

გარდა ამისა, ვინაიდან ვერცხლის საფასის გამოშვება ბლოკირებული არ იყო, მონეტის მოსაჭრელად ზარაფხანაში ვერცხლის მიტანა ნებისმიერ კერძო პირსაც შეეძლო. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება ურთიერთდამოკიდებულება სირმა თეთრს, საზოგადოდ, ვერცხლის საფასესა და ვერცხლის ჭურჭელს შორის.

შემონახული ცნობებით, (გადაუდებელი) ფინანსური საჭიროების შემთხვევაში ქართლ-კახეთის მონარქები მათ განკარგულებაში არსებულ ვერცხლის ჭურჭელს ზარაფხანას მიაბარებდნენ ხოლმე, — საფასედ გადასაკეთებლად.[670]

განმეორებით მოვიყვანთ ციტატას პაპუნა ორბელიანის თხზულებიდან, რომელშიც თეიმურაზ II და ირაკლი II იგულისხმებიან:

> „გამოიტანეს მეფეთა ჩვენთა თვისსა სალაროთი ოქროსა და ვერცხლის იარაღი, მისცეს ზარაფხანაში, მოაჭრევინეს ფლური და თეთრი და აძლევდენ ჯარსა, ცდილობდენ კვლავ შეყრას ჯარისასა".[671]

პლატონ იოსელიანის მიხედვით კი, იგივეს გაკეთება გიორგი XII-საც მოუწია:

> „ლეკთა გამო, რომელნიცა, თხოულობდენ ჯამაგირსა, მეფემან უბოძა ვერცხლის ბადიეები და ვეცხლის კოკები და აქედამ მოაჭრევინა 700 თუმანი".[672]

---

669 Paghava, "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti", 248-249.

670 ფაღავა, „ნუმიზმატიკური და სფრაგისტიკული ცნობები პლატონ იოსელიანის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა" (იესე ოსეს შვილის ბეჭდების განხილვითურთ)", 78-80, სქოლიო 62.

671 პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, კრიტიკული გამოცემა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 196.

672 ფაღავა, „ნუმიზმატიკური და სფრაგისტიკული ცნობები პლატონ იოსელია-

700 თუმანი შეესაბამება აბაზის ღირებულების 35,000 მონეტას.[673] საფიქრებელია, მოიჭრებოდა ჰ. 1213 წლით დათარიღებული სირმა აბაზიანები.

ერთ-ერთი მოხსენების ფარგლებში[674] გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ, მხატვრული თვალსაზრისით ძალიან უბრალო ვერცხლის თასები, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოში, როგორც ჩანს, მასობრივად მზადდებოდა, ერთგვარ საქონელ-ფულს წარმოადგენდა — თავისუფალი კაპიტალის საჭიროების შემთხვევაში, მფლობელს მიჰქონდა ისინი ზარაფხანაში (სადაც, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ვერხლის საფასის მოჭრა ბლოკირებული არ იყო). ამის გაკეთება კერძო პირებსაც შეეძლოთ, არა მარტო მონარქს.

ისიც ვივარაუდეთ, რომ ხსენებული ვერცხლის ჭურჭლისთვის ნედლეულის წყარო სწორედ ახტალის საბადო იყო, ახტალაში მოპოვებული ვერცხლისგან თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლის მონეტები.[675] მოვიძიეთ ცნობა, რომელიც ადასტურებს ამ მოსაზრებას; 1818 წლის 7 იანვარს გენერალ ერმოლოვისადმი მიმართულ წარდგინებაში, სამთო საქმეთა უფროსი, ეიხფელდი, ეხება რა საქართველოში სამთო წარმოებისა და საფასის მოჭრის საკითხებსაც, მიუთითებს შემდეგს:

> “[…] в вид взять должно, что качество их на первый раз было соображено с тою монетою, которая при царях здесь имела обращение, чтобы не сделать вдруг слишком приметного переворота в обыкновениях народа и с изделиями ремесленников, которые делывались всегда из абазного серебра”[676]

> „[...] გასათვალისწინებელია, რომ მათი [1804 წლიდან რუსების მიერ თბილისის ახალ ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლის აბაზიანების - ი.ფ.] ხარისხი [სინჯი - ი.ფ.] თავდაპირველად შეუფარდეს იმ მონეტას [სირმა ვერცხლს - ი.ფ.], რომელიც აქ [ქართლ-კახეთის - ი.ფ.] მეფეების დროის მიმოიქცეოდა, რომ თავიდან აეცილებინათ უცებ ნამეტანი თვალში საცემი გარდაქმნა ხალხის ჩვეულებებსა და ხელოსანთა ნაკეთობებში, რომელიც ყოველთვის აბაზის ვერცხლისგან მზადდებოდა”[677]

იმასაც დავამატებთ, რომ ვერცხლის ჭურჭელზე საკმაოდ ხშირია მასის აღნიშვნაც, რაც ამ ვერცხლის ნაკეთობების ძალიან მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს; ჩვენი აზრით, პატრონი ყოველთვის ითვალისწინებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, საკმაოდ ადვილად შეეძლო ამგვარი (ვერცხლის) ნაკეთობის ნაღდ ფულად გარდაქმნა; თუნდაც, იმ შემთხვევაში, თუ *მცირე* რაოდენობით მიტანილ ვერცხლს ერთბაშად არ გადაადნობდნენ, არამედ დააგროვებდნენ საკმარისი რაოდენობის ძვირფას ლითონს, ოპერაცი-

---

ნის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა” (იესე ოსეს შვილის ბეჭდების განხილვითურთ)”, 78-80.

673 იქვე, 79.

674 იქვე, 78-80, სქოლიო 62.

675 იქვე.

676 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №375, 480-485.

677 თარგმანი ჩვენია.

ული ხარჯების ხვედრითი წილი რომ შემცირებულიყო და ვერცხლის საფასის გამოშვება რენტაბელური გამხდარიყო.

საყურადღებოა, რომ ვერცხლის ჭურჭლის წარმოებისთვის ძვირფასი ლითონის წყაროდ დასახელებულია არა საზოგადოდ ვერცხლის მონეტები, არამედ, მაინცდამაინც, ვერცხლის აბაზიანები — უსათუოდ, ყველაზე გავრცელებული ნომინალი.[678]

678 Paghava, "Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)", 15.

# თავი IX. მიმოქცევა და ეკონომიკური როლი

სირმა თეთრის ისტორიული მნიშვნელობის შესაფასებლად აუცილებელია შევისწავლოთ, თუ რა როლს თამაშობდა ეს საფასე ქართლ-კახეთის სამეფოსა და რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, შესასწავლია ამ ქართული საფასის მიმოქცევა.

სირმა თეთრის მიმოქცევის კერძო თუ საზოგადო საკითხებს ისტორიოგრაფიაში, ტრადიციულად, საკმაო ყურადღება ექცეოდა. როგორც უკვე I თავში გვქონდა აღნიშნული, ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თეიმურაზ ბატონიშვილის, ევგენი პახომოვის, პაატა გუგუშვილისა და რევაზ ქებულაძის ნაშრომები.[679] ბოლოდროინდელი აღმოჩენები გამოქვეყნებულია ირაკლი ფაღავას მიერ.[680] ჩამოყალიბებულია სირმა თეთრის შემცველი განძების კლასიფიკაციაც,[681] რომელიც იძლევა შესაძლებლობას, ქართლ-კახეთის

---

679 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 41-42; Пахомов, *Монетные клады Азербайджана и Закавказья, Труды общества обследования и изучения Азербайджана, выпуск 3*, 71, №231; Пахомов, *Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа. Выпуск II*, 58, №537; Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск III*, 64, №917, 64-65, №918; Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск IV*, 77, №1209, 79, №1216-1217; Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск V*, 43-44, №1496, 44-45, №1498; Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VII*, 83, №1856, 88, №1868; Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VIII*, 27-32, №2022, 34, №2043, 36, №2066, 52, К вып. I,229, К вып. I,231; Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск IX*, 104, №2147; გუგუშვილი, *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში*, 29-42, 60-91; ქებულაძე, „სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში", 757-760; Кебуладзе, "Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным", #14, 99; ქებულაძე, „ფხოველის განძი", 104-22.

680 Paghava, "Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)", 13-15; ფაღავა, "სირმა მონეტების განძი ბოლნისის მიდამოებიდან" / Paghava, "A Hoard of Sirma Coins from the Vicinities of Bolnisi", 63-65; ფაღავა, „ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონეტების კავკასიაში მიმოქცევის თაობაზე (სირმა აბაზების შემცველი ორი განძი მანავიდან და კოჯრიდან) / Paghava, "New Data on the Circulation of Silver Coins of the Kingdom of Kartl-Kakheti in Caucasus (Two Hoards Comprising Sirma Abazis from Manavi and Kojori)", 94, 206; ფაღავა, „ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა მონეტების მიმოქცევის შესასწავლად", 248-259; ირაკლი ფაღავა, „სირმა აბაზის შემცველი ორი შერეული განძი კოჯრიდან და ყარაბაღიდან".

681 Paghava, "Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)", 13-15; ფაღავა, "ქა-

სამეფოს ნუმიზმატიკურ და ეკონომიკურ ისტორიას ახლებურად შევხედოთ.

საკვლევი მასალის თვალსაზრისით, სირმა ტიპის საფასის მიმოქცევაზე ინფორმაციის პირველწყაროები სამგვარია:[682]

1) მონაცემები ცალკეული მონეტებისა თუ მონეტების შემცველი განძების შესახებ (რამდენიმე არტეფაქტისგან შემდგარი კომპლექსები შეიძლება იყოს ექსკლუზიურად სამონეტო, ან, შერეული, — სამონეტო-ნივთიანი) (ინფორმაციის წყაროა არქეოლოგიური გათხრები ან შემთხვევითი აღმოჩენები);

2) ამა თუ იმ ტიპის ოფიციალური, ანუ, სახელმწიფო, საბუთი (ქართული; თუ, დავუშვათ, 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ ჩამოსულ რუს მოხელეთა ოფიციალური ანგარიშები, ანუ, რუსული); ან, კერძო პირთა შორის გარიგების ამსახველი დოკუმენტები; სამწუხაროდ, ჩვენამდე არცთუ ბევრს მოუღწევია (ქართლ-კახეთის შემთხვევაში ოფიციალური დოკუმენტაცია მეტწილად, ჩანს, დაიღუპა; საბედნიეროდ, კერძო საბუთები მაინც შემოგვრჩა);

3) ნარატიული წყაროები (უცხო მოგზაურთა თუ ქართველთა დღიურები / მემუარები; თანამედროვეთა ისტორიული ხასიათის ნაშრომები).

როგორც კვლევამ აჩვენა,[683] სირმა თეთრის შემთხვევაში ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო სწორედ ცალკეული სირმა მონეტებისა და სირმა მონეტების შემცველი განძების აღმოჩენებია. წინამდებარე ნაშრომშიც მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ პირველწყაროს ვეყრდნობით.

თუმცა, აუცილებლად გასათვალისწინებელია, ასევე, შემორჩენილი დოკუმენტაციაც, კერძოდ, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს, ასევე რუსეთის იმპერიის დროინდელი საბუთები, სადაც საინტერესო ცნობები გვხდება სირმა თეთრის მიმოქცევაზე არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოში თუ მის ტერიტორიაზე 1801 წლის შემდგომ, არამედ მთელს რეგიონში.

განსაკუთრებულად ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა იოჰან გიულდენშტედტმა.

მეთოდოლოგიური კუთხით აღსანიშნავია, რომ ისეთი საკვლევი მასალა, როგორც სირმა მონეტებისა და სირმა განძების აღმოჩენის ფაქტები, — ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა:[684] ცალკეული მონეტებისა თუ სამონეტო კომპლექსების განაწილებისა და შემადგენლობის მიხედვით შესაძლებელია მსჯელობა სირმა თეთრის როგორც ქრონოლოგიურ, ასევე გეოგრაფიულ გავრცელებაზე. სამონეტო კომპლექსების აღმოჩენები, ცალკეული მონეტების აღმოჩენებთან შედარებით, მეტ ინფორმაციას გვაწვდის, ვინაიდან სამონეტო კომპლექსებს (ცალკე აღმოჩენებისგან განსხვავებით) გეოგრაფიულის გარდა ქრონოლოგიური განზომილებაც გააჩნიათ — განძების შინაგანი სტრუქტურა იძლევა საშუალებას მათი ტეზავრაცია საკმაოდ ზუსტად დათა-

რთლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის შემცველი სამონეტო კომპლექსების მეტა-ანალიზი" / Paghava, "Meta-Analysis of Monetary Complexes Comprising Sirma Tetri of the Kingdom of Kartl-Kakheti", 39-76.

682 იქვე.

683 იქვე.

684 იქვე.

რიღდეს; რასაკვირველია, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს პოვნის (თუნდაც, მიახლოებითი) ადგილიც.

მოვიყვანთ ცნობებს სირმა მონეტების ცალკეული აღმოჩენების შესახებ (თუ ინფორმაციის წყარო არ არის საგანგებოდ აღნიშნული, ე.ი. ის დაფიქსირდა პირადად ჩვენს მიერ რეგიონის ანტიკვარულ-ნუმიზმატიკური ბაზრის მონიტორინგის პროცესში):

1. 2010-იანი წლების I ნახევარში, ისტორიული თბილისის სიახლოვეს, თანამედროვე თბილისის ზღვასთან, შემთხვევით ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1208 წელი;
2. 2009 წელს თბილისის ტერიტორიაზე მტკვრის კალაპოტში ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1213 წელი;
3. 2010-იანი წლების I ნახევარში, თბილისის ტერიტორიაზე მტკვრის კალაპოტში ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1197 წელი;
4. 2010-იანი წლების I ნახევარში, თბილისის ტერიტორიაზე მტკვრის კალაპოტში ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1210 წელი;
5. 2010-იანი წლების I ნახევარში, ისტორიული თბილისის სიახლოვეს, თანამედროვე თბილისის შემოგარენში, შემთხვევით ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1207 წელი;
6. 2010-იანი წლების I ნახევარში, შიდა ქართლის ტერიტორიაზე, შემთხვევით ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1211 წელი (თარიღის განლაგებით ჩვეულებრივი, უხშირესი ვარიანტი);
7. 2010-იანი წლების I ნახევარში, ხაშურთან, შიდა ქართლის ტერიტორიაზე, შემთხვევით ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1211 წელი (თარიღის განლაგებით ჩვეულებრივი, უხშირესი ვარიანტი);
8. 2010-იანი წლების I ნახევარში, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე შემთხვევით ნაპოვნია სირმა ტიპის მონეტა, რომელიც დათარიღებულია ჰ. 1187 წლით, *მოჭრილია აბაზ-ნახევრის სიქებით, მაგრამ მასით აბაზს შეესაბამება* (მასა ზუსტად 3.00 გ) (სურ. VIII.7). როგორც ჩანს, სირმა აბაზიანის მოსაჭრელად განზრახ თუ შეგნებულად აბაზნახევრიანის სიქები გამოიყენეს (იხ. ასევე თავი VIII);
9. 2016 წელს, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე შემთხვევით ნაპოვნია სირმა აბაზი (მასით მხოლოდ 2.74 გ), დათარიღებული ჰ. 1210 წლით;
10. 2021 წელს, ქვემო ქართლისა და კახეთის საზღვარზე შემთხვევით ნაპოვნია სირმა აბაზი, დათარიღებული ჰ. 1206 წლით;
11. 1937 წელს სოფ. ზემო ალვანში, თელავის რაიონში, ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1213 წელი;[685]
12. 1952 წელს, ადორისციხის ნანგრევებზე, ყვარლის რაიონში, ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1211 წელი;[686]
13. 2010-იანი წლების I ნახევარში, საინგილოში (როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებს გარეთ) ნაპოვნია სირმა აბაზი, გახვრეტილი, თარიღით ჰ. 1195 წელი;

685 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск IV*, 79, №1217.

686 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VIII*, 34, №2043.

14. 2016 წელს, საინგილოში (როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებს გარეთ) ნაპოვნია სირმა შაური, მასით 0.68 გ, თარიღით ჰ. 1193 წელი;
15. 2015 წელს საინგილოში (როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებს გარეთ) ნაპოვნია სირმა აბაზი, გახვრეტილი, თარიღით „121" (ჰ. 1201 თუ 1210 წელი?);
16. 2010-იანი წლების II ნახევარში, საინგილოში (როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებს გარეთ), ნაპოვნია *განჯაში მოჭრილი სირმა ტიპის აბაზიანი* (მასა 2.56 გ), I ტიპის, თარიღით „121", რაც ჰ. 1201 წელს უნდა აღნიშნავდეს (იხ. თავი X);
17. დაახლოებით 1889 წელს, ზაქათალის რაიონში („Близ с. Кавахголь"), საინგილოში, ნაპოვნია ორი „XVIII ს-ის ქართული ვერცხლის აბაზი", როგორც ჩანს, სირმა აბაზი. თარიღები მითითებული არ არის;[687]
18. 2010-იანი წლების I ნახევარში, სომხეთის რესპუბლიკაში, სანაინის მონასტრის სიახლოვეს (ისტორიული ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე), ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1206 წელი;
19. 2000-იანი წლების I ნახევარში სომხეთის რესპუბლიკის (ისტორიული ერევნის სახანოს) ტერიტორიაზე ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1192 წელი;
20. 1957 წელს, შემახის რაიონში (ისტორიული შემახის სახანოს ტერიტორიაზე) ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1206 წელი (თარიღი *თბილისის* ქვეშ, ნული რგოლით არის აღნიშნული);[688]
21. 1947 წელს ძაუჯიკაუში (ოსეთში), ძველი ციხის ნანგრევების ადგილს ნაპოვნია სირმა აბაზი, თარიღით ჰ. 1210 წელი (როგორც ჩანს, ჩვეულებრივი ვარიანტი, თარიღის განლაგებით *თბილისის* დაბოლოების ქვეშ);[689]
22. 2000-იანი წლების ბოლოს აზერბაიჯანიდან გასაყიდად ჩამოიტანეს თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე (დაუზუსტებელ ადგილას) ნაპოვნი სირმა აბაზი, თარიღით, ჰ 1205 წელი.

საზოგადოდ კი, სირმა მონეტებს, პირველ რიგში, სირმა აბაზიანებს, მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პოულობენ (ეჭვიც არ გვეპარება, რომ ამგვარი ფაქტების მხოლოდ ნაწილის, ან, იქნებ, სულაც, *მცირე* ნაწილის რეგისტრირება თუ მოვახერხეთ). აქედან გამომდინარე, ზემოთ ჩამოთვლილი სიის საფუძველზე ქართლ-კახეთის სამეფოსა თუ მიმდებარე სახელმწიფოების რაიმე კონკრეტულ რეგიონში სირმა აბაზის უპირატესად თუ ნაკლებ ინტენსიურად მიმოქცევის შესახებ დასკვნის გაკეთება არ იქნებოდა გამართლებული (*შერჩევის მიკერძოება* — selection bias).

687 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VII*, 83, №1856.

688 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск IX*, 104, №2147.

689 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск V*, 44-45, №1498.

სირმა თეთრის მიმოქცევის უფრო ნატიფი ანალიზის საშუალებას იძლევა, როგორც უკვე ვახსენეთ, სირმა თეთრის შემცველი სამონეტო თუ შერეული განძები. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ამგვარი კომპლექსების *მეტა-ანალიზი* ისტორიული კვლევის მძლავრ ინსტრუმენტს წარმოადგენს.[690] 2021 წლისთვის ცნობაში მოყვანილი 13 სამონეტო / შერეული კომპლექსის შესწავლის საფუძველზე შემუშავდა სირმა თეთრის შემცველი განძების კლასიფიკაცია.[691] ლიტერატურისა თუ სამონეტო მასალის დამუშავების შედეგად გამოვლენილი დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე მოხერხდა აღნიშნული კლასიფიკაციის დახვეწა და განვრცობა.[692] დღეისთვის კი, უკვე, ჯამში, ცნობილი გახდა და წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ სულ 27 რელევანტურ სამონეტო კომპლექსს.

ჯერ მოგვყავს კომპლექსების კლასიფიკაციის პრინციპები, შემდეგ კი მათი აღწერილობა, რომელსაც თან სდევს დაწვრილებითი ანალიზი.

კლასიფიკაცია დაეფუძნა სამონეტო / შერეული კომპლექსების ორ პარამეტრს: გეოგრაფიულს (აღმოჩენის, თუნდაც, მიახლოებითი ადგილი), და ქრონოლოგიურს (ტეზავრაციის დრო, განსაზღვრული ტრადიციულად, ყველაზე ახალგაზრდა მონეტით და განძში შემდგომი პერიოდის გავრცელებული მონეტების არარსებობით), თანადროული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით. სულ გამოვყავით სირმა თეთრის შემცველი სამონეტო თუ შერეული კომპლექსების ოთხი ჯგუფი.[693]

I ჯგუფი აერთიანებს კომპლექსებს, რომელიც, ერთი მხრივ, აღმოჩენილია ისტორიული ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე (ბუნებრივია, ვგულისხმობთ ტერიტორიას ქართლ-კახეთის სამეფოს იმდროინდელ საზღვრებში, და არა საქართველოს სახელმწიფოს თანამედროვე პოლიტიკურ საზღვრებში[694]); მეორე მხრივ კი, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, 1801 წლამდე დროით თარიღდება, ვინაიდან მათში შემავალი ყველაზე ახალგაზრდა მონეტა XVIII საუკუნეს არ სცილდება, XIX საუკუნის მონეტები კი წარმოდგენილი არ არის. ამრიგად, ამ ჯგუფის განძები ასახავს, და გვისურათებს ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო მიმოქცევას.

690 Paghava, “Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K’akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)”, 13-15; ფაღავა, ”ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის შემცველი სამონეტო კომპლექსების მეტა-ანალიზი” / Paghava, “Meta-Analysis of Monetary Complexes Comprising Sirma Tetri of the Kingdom of Kartl-Kakheti”, 39-76.

691 Paghava, “Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K’akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)”, 13-15.

692 ფაღავა, ”ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის შემცველი სამონეტო კომპლექსების მეტა-ანალიზი” / Paghava, “Meta-Analysis of Monetary Complexes Comprising Sirma Tetri of the Kingdom of Kartl-Kakheti”, 39-76.

693 იქვე.

694 საზოგადოდ, სამონეტო აღმოჩენების კარტოგრაფირების და ანალიზის დროს აუცილებელია თანადროული და არა თანამედროვე პოლიტიკური საზღვრების მითითება და გათვალისწინება; რაც საბჭოთა პერიოდის სამამულო ნუმიზმატიკურ ისტორიოგრაფიაში არ იყო მიღებული.

II ჯგუფი აერთიანებს კომპლექსებს, რომელიც აღმოჩენილია სამხრეთ-კავკასიური სახანოების, ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე (თანამედროვე პოლიტიკური საზღვრები ამ შემთხვევაშიც იგნორირებულია); კომპლექსების ფორმირებისა და ტეზავრაციის ქრონოლოგიის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი განძის შემთხვევაში ყველაზე ახალგაზრდა მონეტა XVIII საუკუნეს არ სცილდება, XIX საუკუნის მონეტები არ არის; ზოგიერთ განძში კი შედის XIX საუკუნის მონეტებიც. ამ კრიტერიუმით, ამ ჯგუფის განძები დაყოფილია ორ ქვეჯგუფად, IIა და IIბ, რომლებიც ასახავს და გვისურათებს სამონეტო მიმოქცევას სახანოებში შესაბამისად, 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიამდე, და მის შემდეგ, როდესაც რუსებს — ირაკლი II-ის პოლიტიკის შედეგადაც — უკვე გადაელახათ დიდი კავკასიონის ბარიერი და მის სამხრეთით მკვიდრდებოდნენ, მაგრამ სახანოების ანექსია და ამიერკავკასიიდან ირანის გაყრა ჯერ დასრულებული არ ჰქონდათ.

III ჯგუფი აერთიანებს კომპლექსებს, რომელიც, ერთი მხრივ, აღმოჩენილია *ყოფილი* ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიულ ტერიტორიაზე (იმდროინდელ საზღვრებში); მეორე მხრივ კი, ტეზავრირებულია, და, ნაწილობრივ მაინც, ფორმირებულია უკვე 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიის შემდგომ, — ვინაიდან ეს სამონეტო თუ შერეული კომპლექსები სირმა თეთრთან ერთად შეიცავს ასევე XIX საუკუნის მონეტებს, და, ამრიგად, სწორედ XIX საუკუნეშია ტეზავრირებული. ამ ჯგუფის განძები ასახავს, და გვისურათებს აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევას ქართლ-კახეთის სამეფოს 1801 წელს ანექსიის შემდგომ.

IV ჯგუფი აერთიანებს კომპლექსებს, რომელიც ნაპოვნია დასავლეთ საქართველოში, და, შესაბამისად, აქაურ სამონეტო მიმოქცევას ასახავს; ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ეს ჯგუფი (განსხვავებით II ჯგუფისგან) არ გვაქვს დაყოფილი ქვეჯგუფებად ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით — განძების ფორმირებისა და ტეზავრაციის დროისდა მიხედვით. საქმე იმაშია, რომ ეს ჯგუფი, ჯერჯერობით მაინც, წარმოდგენილია მხოლოდ სამი განძით, რომელთაგან ერთი 1801 წლამდე დროით თარიღდება; მეორე — პერიოდით რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიიდან იმერეთის სამეფოს დაპყრობამდე 1810 წელს; მესამე კი — უკვე 1820-იანი ან 1830-იანი წლებით. შესაბამისად, ამ განძებით შესაძლებელია მსჯელობა დასავლეთ საქართველოში სამონეტო მიმოქცევაზე დროის სხვადასხვა პერიოდში. თუმცა, თითო განძისთვის ცალკე ქვეჯგუფების გამოყოფა ამ ეტაპზე მაინც, მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ. ამას გავაკეთებთ, თუ მომავალში დამატებითი განძებიც გამოჩნდება.

დღეისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციით, ცნობაში მოყვანილი სამონეტო კომპლექსების შედარებითი სიმწირის გათვალისწინებით, მაინც, სამწუხაროდ, შედარებით გაძნელებულია XVIII და XIX საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის თავისებურებების გამოვლენა, მისი დიფერენცირებულად შესწავლა. ამგვარი კვლევა მომავლის საქმედ რჩება.

მოგვყავს თავად სამონეტო თუ შერეული კომპლექსების აღწერილობა[695] (ჯგუფების მიხედვით, გამჭოლი ნუმერაციით):

---

695 მრავალი კომპლექსის შემთხვევაში ხელმისაწვდომი ინფორმაცია ამით შემოიფარგლება კიდევაც; მართალია, ზოგიერთი განძის შემთხვევაში აღრიცხული

I ჯგუფი: ამ ჯგუფში გაერთიანებულია 14 განძი. მოვიყვანთ მათ აღწერილობას:

1. ლალაქენდის (1897): უცნობი რაოდენობის მონეტები (საფიქრებელია, ექსკლუზიურად სირმა აბაზები), განძიდან აღირიცხა მხოლოდ 73 სირმა აბაზიანი (საფიქრებელია, რანდომული პრინციპით), შემდეგი თარიღებით: ჰ. 1182 (2 ც.), 1183, 1184 (2 ც.), 1192 (2 ც.), 1193 (3 ც.), 1194 (2 ც.), 1195, 1196, 1197, 1199, 1201 (9 ც.?[696]), 1205 (3 ც.), 1206 (2 ც.), 1207 (6 ც.), 1209 (2 ც.), 1210, 1211 (31 ც.), „1212"; წაშლილი თარიღით (2 ც.) (ჰ. 1213 წ. მონეტა არ დაფიქსირდა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ განძის შემადგენლობა მხოლოდ ნაწილობრივ გახდა ჩვენთვის ცნობილი);[697] განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო; ყურადღებას იპყრობს 1211 წლის აბაზიანების სიხშირე (საერთო რაოდენობის 42.46%);

2. გორის უეზდის (1906): ირაკლი II-ის დაახლოებით 60 აბაზი, და 5 ფუთზე მეტი სპილენძის მონეტა, აქედან რუსეთის იმპერიის ხუთკაპიკიანები (1760-, 1770-, 1780-იანი წლების), ასევე, როგორც ჩანს, ეკატერინე II-ის ორკაპიკიანებიც, და ირაკლი II-ის სპილენძის ბისტები და ნახევარბისტები, ძირითადად ერთთავიანი არწივის გამოსახულებით (1796), მაგრამ, მცირე რაოდენობით, ორთავიანი არწივის გამოსახულებითაც (თარიღების სხვადასხვა კომბინაციით) (სარწმუნოდ გვეჩვენება რევაზ ქებულაძის მოსაზრება, რომ საქართველოს ისტორიის მუზეუმში 1963 წელს შემოსული მონეტები იმავე განძის ნაწილს წარმოადგენდა);[698] განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო;

3. ჭიკაანის (1927): >100 სირმა აბაზი; ყველაზე ხანდაზმული თარიღით ჰ. 1182 თუ 1184 წ., ახალგაზრდა თარიღით ჰ. 1213 წ. (1798/9) (1 მონეტის თარიღი

---

გვაქვს მეტი ინფორმაცია, კერძოდ, გვაქვს მონეტების გამოსახულებებიც, მაგრამ, ამ ზოგადი ხასიათის ნაშრომის ფარგლებში მათი რეპროდუცირება მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ.

საენციკლოპედიო სტატიაში რევაზ ქებულაძე მიუთითებდა ასევე სირმა თეთრის „საქართველოში" ნაპოვნი შემდეგი განძების შესახებ: სიმონიანთხევის, ალის, მუხათის, თბილისის. რევაზი ქებულაძე, „სირმა-აბაზი", *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 9. სამეურვეო-ტიხტიხი* (თბილისი, 1985), 388. სამწუხაროდ, ამ განძების შესახებ რაიმე ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა.

696 ორიგინალში წერია „1201 (6 (3)". Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VIII*, 52, К вып. I,231. მონეტების საერთო რაოდენობა მითითებულია 73-ის ტოლად; ყველა დანარჩენი მონეტის ჯამური რაოდენობა 64-ს უდრის; როგორც ჩანს, ჰ. 1201 წლით დათარიღებული მონეტების რაოდენობა იყო 9 (?) = 73-64. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ თარიღის მატარებელი მონეტები საკმაოდ იშვიათია, და უცნაურია, რომ ამ განძში ამდენი იყო. არ გამოვრიცხავთ, რომ ტექსტში შეცდომა იყოს გაპარული.

697 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и Закавказья*, 71, №231; Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VIII*, 52, К вып. I,231.

698 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и Закавказья*, 71, №230; Кебуладзе, "Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным", №2, 96-97.

ჰ. „1166" წ. იყო);[699] განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო;

4. უპასპორტო I (2004): >100 სირმა აბაზი (ჩვენი ჩანაწერების მიხედვით), ყველაზე ახალგაზრდა მონეტა ჰ. 1213 წლით იყო დათარიღებული;[700] განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო;

5. უპასპორტო II (2005): >100 სირმა აბაზი (ჩვენი ჩანაწერების მიხედვით; მიუხედავად ქრონოლოგიური სიახლოვისა, ეს ცალკე განძი იყო, და არა წინა განძის ფრაგმენტი), ყველაზე ახალგაზრდა მონეტა ჰიჯრის 1213 წლით იყო დათარიღებული;[701] განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო;

6. ბოლნისის (2010-იანი წწ.): ექსკლუზიურად სირმა თეთრი - 33 აბაზიანი (საერთო რაოდენობის 94.3%): ჰ. 1183 (გახვრეტილი), 1184, 119x, 1190, 1192, 1193, 1202, 1205, 1206, 1207 (6 ც.), 1208 (2 ც.), 1209, 1211 (15 ც.); 2 უზალთუნი (5.7%): თარიღი არ იკითხება, ჰიჯრის 1206 წ. ყურადღებას იპყრობს ჰიჯრის 1211 წლით დათარიღებული აბაზიანების სიხშირე (აბაზიანების საერთო რაოდენობის 45.45%). განძი საკმაოდ კომპაქტურია: ყველაზე ხანდაზმული მონეტაა ჰიჯრის 1183 წლის აბაზიანი, ყველაზე ახალგაზრდა - 1211 წლის აბაზიანები (1796/7). განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო;[702]

7. მანავის (2009): აღირიცხა 116 მონეტა (საერთო რაოდენობის 60%?), ყველა სირმა აბაზიანი: ჰ. 1182 (2 ც.); 1183 (6); 1184 (10); 1189 (1); 1190 (15); 1191 (8); 1192 (16); 1193 (20); 1194 (6); 1195 (5); 1203 (1); 1205 (1); 1206 (1); 1207 (6); 1208 (1); 1210 (1); 1211 (8); 1213 (1); თარიღი არ იკითხება (7). უგვიანესი მონეტა დათარიღებულია ჰიჯრის 1213 წ. (1798/9), XIX საუკუნის მონეტები განძში არ შედიოდა. შესაბამისად, განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო;[703]

8. კოჯრის II (2022): 36 სირმა ვერცხლის მონეტა - 35 სირმა აბაზი: ჰიჯრის 11xx: 1, 1182: 1; 1183: 1; 1184: 1; 1193: 2; 12xx: 2; 1202: 1; 1206: 1; 1207: 1; 121x: 1; 1211: 4; თარიღი არ იკითხება: 19; და 1 განჯის აბაზიანი, სირმა ტიპის,[704] ჰიჯრის 1204 ან, უფრო, 1205 წლის.[705] საყურადღებოა, რომ ყველა მონეტას მირჩილვის კვალი შერჩენოდა, ანუ, ტეზავრაციამდე რაღაც სამკაულს ამშვენებდა (2 სირმა აბაზის გარდა, დანარჩენ 24 მონეტაზე მირჩილვა თარიღის მხარესაა,

---

699 Пахомов, *Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа. Выпуск II*, 58, №537; Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск IV*, 79, №1216.

700 Paghava, "Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)", 13-15.

701 იქვე.

702 ფაღავა, "სირმა მონეტების განძი ბოლნისის მიდამოებიდან" / Paghava, "A Hoard of Sirma Coins from the Vicinities of Bolnisi", 63-65.

703 ფაღავა, „ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონეტების კავკასიაში მიმოქცევის თაობაზე (სირმა აბაზების შემცველი ორი განძი მანავიდან და კოჯრიდან) / Paghava, "New Data on the Circulation of Silver Coins of the Kingdom of Kartl-Kakheti in Caucasus (Two Hoards Comprising Sirma Abazis from Manavi and Kojori)", 94, 206.

704 Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 227-233.

705 შეად. იქვე, 228-229, Рис. 18, 23.

რაც მის წაკითხვას ხშირად შეუძლებელს ხდის). ყველაზე ახალგაზრდა მონეტა დათარიღებულია ჰიჯრის 1211 წლით (1796/7); განძი XIX საუკუნის მონეტებს არ შეიცავდა. შესაბამისად, ამ განძის ტეზავრაცია XVIII საუკუნის დასასრულს უნდა მომხდარიყო;[706]

9. დუშეთის (2005): ექსკლუზიურად სირმა თეთრი — 4 სირმა აბაზი: ჰ. 118x (სტილით ჰიჯრის 1182, 1183, ან 1184 / 1768-1771 1189), 1201 (1786/7), 1205 (1790/1) და 1207 (1792/3) (საერთო რაოდენობის 80%); და 1 სირმა უზალთუნი (საერთო რაოდენობის 20%): ჰიჯრის 1211 (1796/7). ყველაზე ახალგაზრდა მონეტა ჰიჯრის 1211 წლის აბაზია (1796/7); განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო. სავარაუდოდ, ეს არის ე.წ. ქისა, ანუ, მცირე ზომის განძი,[707] რომელიც წარმოადგენდა მფლობელის დღენიადაგ სახარჯად გამიზნულ ფულს, და არა მიზანმიმართულ დეპოზიტს;[708]

10. ქართლის უპასპორტო (2017?): 4 (თუ 5?) სირმა აბაზიანი: ჰიჯრის 1184 (1770/1), 1192 (1778/9), 1201 (1786/7) (2 ც.). ყველაზე ახალგაზრდა მონეტების მიხედვით ამ ქისის ტეზავრაცია 1780-იანი წლების დასასრულით ან 1790-იანი წლების დასაწყისით თარიღდება;[709]

11. უპასპორტო III (2010-იანი წწ.): ექსკლუზიურად სირმა თეთრი — 4 სირმა აბაზი: ჰ. 1202, 1210 და კიდევ ორი ეგზემპლარის თარიღები ჩვენთვის უცნობი დარჩა; სამონეტო კომპლექსი შემთხვევით ნაპოვნია დაუზუსტებელ ადგილას აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე;[710]

12. მთიანეთის I (2020?): კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში გვაჩვენეს გადმოცემით, საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში?), დაუზუსტებელ ადგილას შემთხვევით ნაპოვნი ვერცხლის მონეტებისა და ნივთების პატარა განძი. პოვნის ზუსტი ადგილი, გარემოებები და არქეოლოგიური კონტექსტი, სამწუხაროდ, უცნობია. ამ სამონეტო კომპლექსს პირობითად *მთიანეთის I განძს* ვუწოდებთ.

კომპლექსი შედგებოდა 23 ვერცხლის მონეტისგან (საერთო მასით 42.87 გ, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გახვრეტილი ან გაცვეთილი იყო) და ვერცხლის არტეფაქტებისგან (ვერცხლის ფირფიტის 4 ნატეხი, ვერცხლის სამკაულის 11 ელემენტი, ჯამური მასით 17.24 გ). განძში შემავალი ვერცხლის მონეტებისა და არტეფაქტების ჯამური მასაა 60.11 გ; აქედან მონეტებზე მოდიოდა მასის 71.3%, არტეფაქტებზე კი 28.7%. განძი ჩადებული ყოფილა წითელი თიხის უბრალო მოუჭიქავ ქოთანში.

---

706 ფაღავა, „ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონეტების კავკასიაში მიმოქცევის თაობაზე (სირმა აბაზების შემცველი ორი განძი მანავიდან და კოჯრიდან) / Paghava, "New Data on the Circulation of Silver Coins of the Kingdom of Kartl-Kakheti in Caucasus (Two Hoards Comprising Sirma Abazis from Manavi and Kojori)", 94, 206.

707 Cf. ირაკლი ფაღავა, "ქართველ მეფეთა XII-XIII საუკუნეების მონეტების *საფულე ქვემო ქართლიდან*", *ქართული ნუმიზმატიკური საზოგადოების მოამბე*, №1 (2020), 52-62.

708 ფაღავა, „ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა მონეტების მიმოქცევის შესასწავლად", 255-256.

709 იქვე, 256.

710 ქვეყნდება პირველად.

ამ შერეული განძის სამონეტო ნაწილი შედგებოდა რამდენიმე კომპონენტისგან:

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ე.წ. „დაკნინებული”, მაგრამ მძიმეწონიანი (sic) მონეტა (1.30 გ), ცალ მხარეს ოთხფეხა ცხოველის, მეორე მხარეს კი (ასომთავრული?) წარწერის ფრაგმენტებით. შესაბამისად, მონეტების ერთობლიობის 4.3% რაოდენობით და 3.0% მასით. მონეტა, შესაძლოა, აქამდე უცნობ ტიპსაც მიეკუთვნებოდეს; თუმცა, მეტროლოგიურად და იკონოგრაფიულად მსგავსი მონეტები გამოქვეყნებულია.[711]

ოსმალეთის იმპერიის მონეტები: მუსტაფა III-ის (1757-1774) ბილონის ფარა, გაყინული თარიღით ჰიჯრის 1171 და „81”, ისლამბულის ზარაფხანა (გახვრეტილი); და სელიმ III-ის (1789-1809) ბილონის ფარა, გაყინული თარიღით 1203 (მონეტის გაცვეთილობიდან გამომდინარე, სხვა თარიღი არ ეტყობოდა) (გახვრეტილი). სულ 2 მონეტა, ჯამური მასით 0.68 გ. შესაბამისად, მონეტების ერთობლიობის 8.7% რაოდენობით და 1.6% მასით.

რუსეთის იმპერიის მონეტები: ელისაბედის ხუთკაპიკიანი, თარიღით 1756 (გახვრეტილი); ეკატერინე II-ს 4 გრივენნიკი, თარიღებით 1174? (გახვრეტილი), 1783, 1794 (გახვრეტილი), 1796. სულ 5 მონეტა, ჯამური მასით 10.02 გ, ანუ, მონეტების ერთობლიობის 21.7% რაოდენობით და 23.4% მასით.

ქართლ-კახეთის სამეფოს შაური ავშარიანი მმართველის, შაჰროხის სახელით, თარიღით ჰიჯრის „116”[712] (მირჩილული ყურით), მასით 1.20 გ. შესაბამისად, მონეტების ერთობლიობის 4.3% რაოდენობით და 2.8% მასით.

ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა საფასე: 8 სირმა აბაზი, თარიღებით ჰიჯრის 1182 (1768/9) (3.00 გ), 1196 (1781/2) (3 ეგზემპლარი: 3.00 გ და 2 გახვრეტილი 2.88 და 2.89 გ), 1205 (1790/1) (3.11 გ), 1211 (1796/7) (2 ეგზემპლარი, აქედან 1 ნახვრეტით — შესაბამისად 3.03 გ და 2.76 გ), 12xx (ნახვრეტით, 2.55 გ); 3 სირმა უზალთუნი, თარიღებით ჰიჯრის 11xx (გახვრეტილი) (1.54 გ), 1213 (1798/9) (1.52 გ) და ერთი ჰიბრიდული ეგზემპლარი მოჭრილი სირმა უზალთუნის შუბლის სიქით (ინვოკაციით *ყა, ქარიმ*) და სირმა აბაზის ზურგის სიქით (ყურანული ფორმულით), და, ამგვარად, თარიღის გარეშე (გახვრეტილი) (1.32 გ); 3 სირმა შაური, უთარიღო (?) (გახვრეტილი) (0.73 გ), ჰიჯრის [121]3? (1798/9) (გახვრეტილი) (0.65 გ), და ერთი ჰიბრიდული ეგზემპლარი მოჭრილი სირმა უზალთუნის შუბლის სიქით (ინვოკაციით *ყა, ქარიმ*) და სირმა აბაზის ზურგის სიქით (ყურანული ფორმულით), და, ამგვარად, თარიღის გარეშე (0.66 გ). სულ 14 მონეტა, საერთო მასით 29.64 გ, ანუ, მონეტების ერთობლიობის 60.9% რაოდენობით და 69.2% მასით.

განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო;[713]

13. მთიანეთის II (2023?): 2023 წლის დასაწყისში გვაჩვენეს, გადმოცემით, საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში?), დაუზუსტებელ ადგილას შემთხვევით *ერთად* ნაპოვნი რამდენ-

711 Иракли Пагава, Роланд Спандерашвили, “Комплекс тяжеловесных грузинских монет позднефеодального времени из Квемо-Картли”, *Средневековая нумизматика Восточной Европы. Выпуск 7* (Москва, 2018), 354-361.

712 Пахомов, *Монеты Грузии*, 235.

713 ფაღავა, „ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა მონეტების მიმოქცევის შესასწავლად”, 256-258.

იმე ვერცხლის მონეტა. პოვნის ზუსტი ადგილი, გარემოებები და არქეოლოგიური კონტექსტი, სამწუხაროდ, უცნობია. ამ სამონეტო კომპლექსს პირობითად *მთიანეთის II განძს* ვუწოდებთ.[714]

კომპლექსი შედგებოდა 6 ვერცხლის მონეტისგან (საერთო მასით 5.09 გ, ამასთანავე, ექვსივე გახვრეტილი იყო). ექვსივე მონეტა სირმა თეთრს წარმოადგენდა, კერძოდ, მცირე ნომინალის მონეტებს, 1 უზალთუნს და 5 შაურს, შემდეგი თარიღებით: უზალთუნი - ჰიბრიდული ეგზემპლარი მოჭრილი სირმა უზალთუნის შუბლის სიქით (ინვოკაციით *ya, ქარიმ*) და სირმა აბაზის ზურგის სიქით (ყურანული ფორმულით), და, ამგვარად, თარიღის გარეშე (გახვრეტილი) (1.53 გ); შაურები — 119x (0.76 გ); ჰიბრიდული ეგზემპლარი მოჭრილი სირმა უზალთუნის შუბლის სიქით (ინვოკაციით *ya, ქარიმ*) და სირმა აბაზის ზურგის სიქით (ყურანული ფორმულით), და, ამგვარად, თარიღის გარეშე (0.81 გ); გაურკვეველი თარიღით (0.74 გ); [12?0]6 (0.63 გ); 1211 (0.62 გ).

ამ სამონეტო კომპლექსის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულისთვის არის სავარაუდო (ვინაიდან, რუსეთის იმპერიის მონეტები მასში არ შედის).

14. ფშაველის (1963): 3 სირმა აბაზი; XVIII ს. დასასრულის 3 ოსმალური მონეტა; რუსეთის იმპერიის 11 მონეტა: ელისაბედის გრივენნიკები (2 ეგზემპლარი: 1747, 1748); ეკატერინე II-ს გრივენნიკები (7 ეგზემპლარი: 1770 — 2, 1779, 1791, 1795 — 2, 1796); ეკატერინე II-ს 15-კაპიკიანი (1784); პავლე I-ის ხუთკაპიკიანი (სპილენძის? ვინაიდან, თარიღი მითითებულია როგორც 1796?) (მონეტების დეტალური აღწერილობა მოცემული არ არის).[715] განძის ტეზავრაცია, ჩვენი აზრით, XVIII საუკუნის დასასრულს უნდა მომხდარიყო.

II ჯგუფი: ამ ჯგუფში გაერთიანებულია 7 განძი; აქედან 5 განძი ტეზავრირებულია 1801 წლამდე და მიეკუთვნება IIა ქვეჯგუფს, 2 კი 1801 წლის შემდგომ და გაერთიანებულია IIბ ქვეჯგუფში.

IIა:

15. დარალაგიოზის (1934): ვერცხლის ნივთები, ვერცხლის მონეტების გადაკეთებით დამზადებული 33 ღილი, და 631 ვერცხლის მონეტა (აბსოლუტური უმრავლესობა გახვრეტილი ან მირჩილული ყუნწებით, საზოგადოდ, დეფექტური): მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ „თბილისური" (საფიქრებელია, სირმა) აბაზიანები, ყველაზე გვიანდელი თარიღით ჰიჯრის 1211 (1797/8) წელი, უმნიშვნელო რაოდენობით იმავე პერიოდის (ე.ი. სირმა) უზალთუნები; კიდევ ნაკლები რაოდენობით განჯის სახანოს ‘აბბასიანები, ჰოვეიზას მუჰამმადები, ავშარული და ანონიმური ირანული ვერცხლი, 1 რუსული გრივენნიკი (თარიღით 1796). განძის ტეზავრაცია XVIII საუკუნის დასასრულს უნდა მომხდარიყო;[716]

16. სოვეტაშენის (1938): 2 სირმა ნახევარმარჩილიანი (ჰიჯრის 1182 და 1184), 12 ერევნის ‘აბბასი (ჰიჯრის [11]81, 1185 — 2 ცალი, უთარიღო — 9 ცალი), 1 თაბრიზის ‘აბბასი (ჰიჯრის 1185); ყველაზე ხანდაზმული მონეტა და-

714 ქვეყნდება პირველად.

715 Кебуладзе, "Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным", 14.

716 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск III*, 64-65, №918.

თარიღებულია ჰიჯრის 1181 (1776/8) წლით, ახალგაზრდა კი - 1185 (1771/2) წლით; განძის ტეზავრაცია 1770-იან წლებში უნდა მომხდარიყო;[717]

17. ჩაჲქენდის (1953): მოკალური სპილენძის თასი და 1266 ვერცლის მონეტა, მათ შორის: სეფიანთა - 819 ც., ავშარიანთა - 2; შირვანის ‘აბბასის ნომინალის მონეტები — 79 ც., განჯის მონეტები - 295 ც., სირმა აბაზიანები - 71 ც.: ჰიჯრის 1182, 1183 (3 ც.), 1184 (7 ც.), 1189 (გახვრეტილი), 1190 (10 ც., აქედან 1 გახვრეტილი), 1191 (7 ც., აქედან 1 გახვრეტილი), 1192 (5 ც., აქედან 1 გახვრეტილი), 1193 (17 ც., აქედან 1 შემოჭრილია), 1194 (8 ც., აქედან 1 გახვრეტილია), 1195 (8 ც.), 1196 (4 ც.) განძის ყველაზე ხანდაზმული მონეტაა სეფიანთა შაჰი თარილით ჰიჯრის 1071 (1660/1) წელი, ახალგაზრდა - განჯის ‘აბბასი თარილით ჰიჯრის 1201 (1786/7) წელი;[718] განძის ტეზავრაცია 1780-იანი წლების ბოლოს უნდა მომხდარიყო;

18. ყარაბაღის I (2015): >400 განჯის, შირვანისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ‘აბბასი / აბაზიანი; სირმების წილია დაახლოებით 25%; ფოტოსურათების მიხედვით მოხერხდა მხოლოდ 14 ეგზემპლარის შესწავლა: ჰიჯრის 1183 წ. (1769/70), 1184 (1770/1) — 2 ც., 1190 (1776/7) — 3 ც., 1193 (1779/80) — 2 ც., 1194 (1780) — 4 ც., 1195 (1780/1) — 2 ც. გაურკვეველია, განძის ტეზავრაცია განხორციელდა 1801 წლის შემდეგ, თუ, 1801 წლამდე;[719] კომპლექსში რუსული მონეტები, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ შედიოდა; აქედან გამომდინარე, ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ განძი 1801 წლამდე დროით უნდა დათარიღდეს;

19. ერევნის II (2010-იანი წლების დასაწყისი): გაურკვეველი რაოდენობის ვერცხლის მონეტა; სომხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ერევანში ყოფნისას პირადად ნანახი გვაქვს ამ კომპლექსის 4 მონეტა (ყველა მირჩილვის კვალით, აშკარად მონისტოდან ჩამოხსნილი); მათ შორის 3 სირმა აბაზიანი: ჰიჯრის [120]7 (1792/3), [12]11 (1796/7), განურჩევადი თარილით; და 1 სირმა ტიპის განჯის აბაზიანი: ჰიჯრის 1205 (1790/1) წლის. ყველაზე ახალგაზრდაა ჰიჯრის [12]11 (1796/7) წლით დათარიღებული მონეტა, და სამონეტო კომპლექსიც, საფიქრებელია, XVIII საუკუნის ბოლოსთვის შედგა.[720]

IIბ:

20. ყარაბაღის II (2013): 102 მონეტა - 3 ვერ იდენტიფიცირდა (ლითონი უცნობია); 1 სპილენძისაა, ამხედრებული წმ. გიორგის გამოსახულებით (რუსეთის იმპერიის?), 98 (საერთო რაოდენობის 99%) ვერცხლის:[721]

---

717 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск IV*, 77, №1209.

718 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VIII*, 27-32, №2022.

719 ფაღავა, "სირმა აბაზის შემცველი ორი შერეული განძი კოჯრიდან და ყარაბაღიდან".

720 Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 228-230; ფაღავა, „ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა მონეტების მიმოქცევის შესასწავლად", 253.

721 Акопян, "Новые данные о монетных находках из Армении и прилегающих областей", 119, №20; ფაღავა, „ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა მონეტების მიმოქცევის შესასწავლად", 253-255.

- სეფიანთა სახელმწიფო: ჰოვეიზას 11 მონეტა[722] (თარიღებით ჰიჯრის 1088 / 1677/8, [1]08x, დანარჩენებზე თარიღი არ ჩანს; ამ უკანასკნელთა შორის ორს ყუნწები აქვს მირჩილული და რგოლით არის შეერთებული?); სულთან ჰუსეინ I-ის 5 მონეტა — თბილისის მართკუთხა მუჰამმადი, რომელსაც ყუნწი აქვს მირჩილული; თარიღი ზედ არ იკითხება; ჰიჯრის 1130 / 1717/8 წ. ნახიჭევნისა და თაბრიზის თითო ʻაბბასი; ჰიჯრის 1130-იანი წლების ირავანის მუჰამმადი; ʻაბბასი, რომლის მოჭრის ადგილი და წელი არ იკითხება; ტაჰმასბ II-ის 2 მონეტა — ჰიჯრის 1142 / 1729/30 ისფაჰანისა და თაბრიზის თითო ʻაბბასი). სულ 18 მონეტა (იდენტიფიცირებული ვერცხლის მონეტების 18.4%);
- ავშარიანთა სახელმწიფო: ნადერ-შაჰის სხვადასხვა ტიპის 2 ʻაბბასი (მათ შორის ერთი თბილისშია მოჭრილი — თარიღი არ იკითხება); ʻადილ-შაჰის 1 ʻაბბასი (მოჭრის ადგილი და წელი არ იკითხება) (3.1%);
- ოსმალეთის იმპერია (კავკასიაში განხორციელებული ემისია): მაჰმუდ I-ის განჯის ზარაფხანაში მოჭრილი მუჰამმადი / ბეშლიქი, რომელსაც ყუნწი აქვს მირჩილული (და რგოლით შეერთებულია ზევით ნახსენებ თბილურ მართკუთხა მუჰამმადისთან) (1.0%);
- XVIII საუკუნის II ნახევრის სახანოები და ქართლ-კახეთის სამეფო (სულ 70 მონეტა, 71.4%):
    - თაბრიზის სახანო: 2 ʻაბბასი (ჰიჯრის 1181 / 1767/8 და 1182 / 1768/9 წწ.) (2.0%);
    - შემახის სახანო: 9 ʻაბბასი[723] (ჰიჯრის 1181 / 1767/8, 1183 / 1769/70, 12xx წწ., დანარჩენებზე თარიღი არ იკითხება) (9.2%);
    - ყარაბაღის სახანო: სხვადასხვა ტიპის 46 მონეტა (თარიღი ბევრზე არ იკითხება; ყველაზე ადრეული დათარიღებულია ჰიჯრის 1209 წლით / 1794/5; გვიანდელი კი — 1223 წლით / 1808/9) (46.9%);
    - განჯის სახანო: სხვადასხვა ტიპის 10 ʻაბბასი (თარიღი ყველაზე არ იკითხება; ყველაზე ადრეული დათარიღებულია ჰიჯრის 1184 წლით / 1770/1; გვიანდელი კი — 1209 წლით / 1794/5; განძში შედის ასევე „1188" წლით დათარიღებული მონეტაც, რომლის თარიღიც მოიაზრება შეცდომად დაწერილ ჰიჯრის 1178 წლად / 1764/5)[724]) (10.2%);
    - შაქის სახანო: 2 ʻაბბასი (ჰიჯრის „3121", ე.ი. 1213 / 1798/9, და 1219 / 1804/5 წწ.) (2.0%);
    - ქართლ-კახეთის სამეფო: ჰიჯრის 1192 წ. (1778) სირმა აბაზი (1.0%);
- რუსეთის იმპერია: ელისაბედ II-ის ნახევარპოლტინნიკი (1756 წ., მირჩილული ყუნწებითა და მათზე მიერთებული რგოლებით); ეკატერ-

---

722 გამომქვეყნებელს ნომინალი მითითებული აქვს როგორც „ʻაბბასი", თუმცა, ამ ზარაფხანისთვის დამახასიათებელი იყო მეტად პოპულარული ½ ʻაბბასის ნომინალის მონეტების ემისია. ფაღავა, „ავშარიანთა დინასტიის საფასე კავკასიის ფულად მიმოქცევაში", 404. როგორც ჩანს, ნომინალი შეცდომითაა მითითებული.

723 გამომქვეყნებლის მიხედვით, სხვადასხვა ტიპის.

724 Album, *Checklist of Islamic Coins. Third Edition*, 297.

ინე II-ის 3 ცალი ოცკაპიკიანი (1767 წ., 178x წ.; მესამეზე თარიღი არ იკითხება), და 1 რუბლი (1775 წ.); პავლე I-ის რუბლი (1801 წ.). სულ 6 მონეტა (6.1%).

ყველაზე ხანდაზმული მონეტაა ჰოვეიზას ჰ. 1088 წლის (1677/8) მუჰამმადი (?); ყველაზე ახალგაზრდაა ყარაბაღის სახანოს ჰ. 1223 წლის (1808/9) მონეტა; განძის ტეზავრაციის terminus post quem არის XIX საუკუნის I დეკადის ბოლო;[725]

ეს სამონეტო კომპლექსი საკმაოდ საინტერესოა. კერძოდ, საყურადღებოა შემდეგი გარემოებები:

- სეფიანთა სახელმწიფოს სამონეტო ემისიების სიუხვე; სეფიანთა მონეტები 1810 წლისთვისაც რჩება კავკასიისა და, კერძოდ, ყარაბაღის სახანოს სამონეტო მიმოქცევაში და მის არსებით ნაწილსაც კი შეადგენს (18 მონეტა 98-დან, განძის ვერცხლის მონეტების 18.4%);
- XVIII საუკუნის II ნახევრის კავკასიური სახელმწიფოების, ანუ, სახანოებისა და ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტების როლი სახანოების, კერძოდ, ყოველ შემთხვევაში, ყარაბაღის სახანოს სამონეტო მიმოქცევაში (70/98-დან, 71.4%);
- ამ კომპლექსში ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა საფასის ძალიან დაბალი ხვედრითი წილი — მხოლოდ 1.0%;
- 1810 წლისთვის, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის ექსპანსიის მიუხედავად, რუსული საფასე ყარაბაღის სახანოში (საფიქრებელია, საზოგადოდ, სახანოებში) ჯერ კიდევ საკმაოდ მოკრძალებულ როლს თამაშობს — 6/98-დან, ანუ, მხოლოდ 6.1%. თუმცა, მონეტების, მათ შორის, ორი რუბლიანის, წონასრულობის გათვალისწინებით, რუსეთის იმპერიის საფასის ხვედრითი წილი, ბუნებრივია, უფრო მაღალია).

21. ერევნის I (2008): სომხეთის რესპუბლიკაში, დაუზუსტებელ ადგილას, აღმოაჩინეს 20 ვერცხლის მონეტა, აქედან 17 სირმა აბაზი (საერთო რაოდენობის 85%) (თარიღი ცნობილია მხოლოდ ერთი მათგანისთვის — ჰ. 1202 / 1787/8 წელი), 2 განჯის სახანოს ‘აბბასი, მათ შორის 1 დათარიღებული ჰ. 1202 წლით (1787/8) (10%), 1 ქართულ-რუსული 1819 წლის ორაბაზიანი (რუსული ადმინისტრაციის მიერ თბილისის ზარაფხანაში უკვე ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდგომ პერიოდში მოჭრილი) (5%); განძის ტეზავრაციის მიახლოებითი დრო 1810-იანი წლების დასასრული - 1820-იანი წლების დასაწყისია;[726] სამონეტო კომპლექსის ფორმირების ადგილი უცნობია, თუმცა, ქალაქ ერევანში მისი გამოჩენა გარკვეული ალბათობით ისტორიულ ერევნის სახანოს ტერიტორიაზე მიუთითებს. სამონეტო კომპლექსიც, საფიქრებელია, გარკვეულწილად მაინც, ერევნის სახანოს სამონეტო მიმოქცევას ასახავს. განძის ყველაზე

725 ფაღავა, „ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა მონეტების მიმოქცევის შესასწავლად”, 253-254.

726 Акопян, “Новые данные о монетных находках из Армении и прилегающих областей”, 120, №24; ფაღავა, „ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა მონეტების მიმოქცევის შესასწავლად”, 252.

გვიანდელი მონეტა 1819 წლის თბილური ორაბაზიანია (თუ ის, ცხადია, შემთხვევით მინარევს არ წარმოადგენს), რომელიც არის კიდევაც terminus ante quem non კომპლექსის ტეზავრაციისთვის.

III ჯგუფი: ამ ჯგუფში გაერთიანებულია 3 განძი:

22. ფხოველის (1955): 111 ვერცლის მონეტა, აქედან 8 სირმა აბაზი: ჰ. 1193, 1195, 1200, 1201, 1209, 1211 (3 ც.) წლების (წარმოდგენილი მონეტების 37.5%) ; 60 რუსული, 24 ქართულ-რუსული და 19 პოლონურ-რუსული ვერცხლის მონეტა; ყველაზე ხანდაზმულია ჰ. 1193 წლის (1779/80) სირმა აბაზი, ყველაზე ახალგაზრდა - 1842 წლის რუსული რუბლი. სირმა აბაზის ხვედრითი წილია მონეტების საერთო რაოდენობის 7.2%. განძის ტეზავრაცია უნდა მომხდარიყო 1840-იან წლებში (არა უადრეს 1842 წლისა);[727]

23. ფასანაურის (1970-იანი წწ.): 576 ვერცხლის მონეტა და 2 (ვერცხლისვე?) თასი. მონეტებია: ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა ვერცხლი - 9 ნახევარმარჩილიანი („1182-1192 ჰიჯრით (1768-1778)"), 136 აბაზიანი („1166-1213 ჰიჯრით (1752-1799)"), 4 უზალთუნი („1213 ჰიჯრით (1798-1799)"), 1 შაური (თარიღი არ იკითხება); ოსმალური - 1 ფარა (ინიციალური თარიღით ჰ. 1143); „ირანული" — 1 „აბაზიანი" (ჰ. 1209 წ. / 1794/5); ქართულ-რუსული - 13 აბაზიანი (1812-1833), 1 აბაზიანი (1812); პოლონურ-რუსული - 3 ორზლოტიანი (1835-1836), 20 ერთზლოტიანი (1835-1840), „1 ორმოცდაათგროშიანი (1816)" (გაუგებარია, თუ რა მონეტაზეა საუბარი; რამე შეცდომა ხომ არ არის გაპარული?[728] სამწუხაროდ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში შენახული განძის პირადად გაცნობა ვერ მოხერხდა); რუსული - 11 რუბლიანი (1764-1842), 1 პოლტინა (1818), 1 პოლუპოლტინნიკი (1786), 22 გრივენნიკი (1770-1795), 14 25-კაპიკიანი (1829-1858), 167 ოცკაპიკიანი (1784-1878), 32 15-კაპიკიანი (1788-1877), 138 ათკაპიკიანი (1813-1877). ყველაზე ხანდაზმული მონეტებია 1760-იან წლებში მოჭრილი სირმა აბაზები და 1760-იან წლებში მოჭრილი ეკატერინე II-ს რუბლიანები, ყველაზე ახალგაზრდა - 1878 წლის ალექსანდრე II-ის ოცკაპიკიანი. განძის ტეზავრაცია უნდა მომხდარიყო 1870-იანი წლების ბოლოს — 1880-იანი წლების დასაწყისში (1890-იანი წლებშიც კი, რევაზ ქებულაძის მიხედვით).[729] სირმა თეთრის ხვედრითი წილი (მონეტების საერთო რაოდენობიდან, თუმცა, არა ღირებულებისა ან მასიდან გამომდინარე) შეადგენს 26.0%-ს (sic);

24. კოჯრის I (2019): 1 სირმა აბაზი (ჰ. 1202 / 1787/8 წლის), ქართულ-რუსული 1805 წლის აბაზი (შევსებული ნახვრეტით) და 1816 წლის ორაბაზიანი; რუსეთის იმპერიის თეთრი ფული: 1826 წ. ოცკაპიკიანი, 1834 წ. 2 ც. ოცკაპიკიანი; რუსეთის იმპერიის შავი ფული: 1810-1830 წწ. ტიპის (თარიღი არ იკითხება) ორკაპიკიანი, 1830-1839 წწ. ტიპის (თარიღი არ იკითხება) 5- და ათკაპიკიანი, 1840 წ. ერთკაპიკიანი „ვერცხლით", 1841 წ. 2 ც. სამკაპიკიანი „ვერცხლით". ყველაზე ხანდაზმული მონეტა ჰ. 1202 წ. (1787/8) სირმა აბაზი, ყველაზე ახალ-

727 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VIII*, 36, №2066; Капанадзе, "Комментарии", 342, К стр. 250; ქებულაძე, „ფხოველის განძი", 104-122.

728 Cf. Уздеников, *Монеты России. 1700-1917*, 346.

729 ქებულაძე, „ფხოველის განძი", 121.

გაზრდა — 1841 წ. სამკაპიკიანები. საერთო ნომინალური ღირებულება 1 რუბლი / მანეთი, 64 კაპიკი. სირმა აბაზის ხვედრითი წილია მონეტების საერთო რაოდენობის 8.3% და საერთო ღირებულების 12.2%. განძის ტეზავრაცია უნდა მომხდარიყო 1840-იან წლებში;[730]

IV ჯგუფი წარმოდგენილია 3 განძით:

25. სოხუმის (1899): 10 სირმა აბაზი: ჰ. „1155" (ტიპოგრაფიული შეცდომა? იგულისხმებოდა 1185?), 1190, 1201, 1206, 1211, 1213, გაურკვეველი თარიღით (4 ც.); განჯის სახანოს 'აბბასიანები (22 ცალი!), ოსმალური, რუსული, და ქართულ-რუსული მონეტები (9 ორაბაზიანი, 4 აბაზიანი, მათ შორის ორი თარიღებით 1818 და 1828).[731] განძის ტეზავრაცია 1820-იანი წლების ბოლოს, ან, 1830-იან უნდა მომხდარიყო (ევგენი პახომოვის მიხედვით, XIX საუკუნის II მეოთხედში[732]);

26. ზარათის (1892): ქუთაისის რაიონის სოფ. ზარათში ეკლესიის აგებისას იპოვეს სპილენძის ქვაბი, რომელშიც ვერცხლის მონეტები იყო, საერთო მასით დაახლ. 8.74 კგ, ან, სხვა წყაროთი, 7.83 კგ. მონეტების აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენდა ოსმალურ საფასეს, კერძოდ, ფარას ნომინალის პატარა მონეტებს, მოჭრილს აჰმედ III-ის, მაჰმუდ I-ის, ოსმან III-ის, მუსტაფა III-ისა და აბდულ ჰამიდ I-ის სახელით. განძში შედიოდა მხოლოდ რამდენიმე ცალი ბეშლიქი, ონლუქი და ზოლოთა. ოსმალური მონეტების გარდა, განძში შედიოდა 3 პოლონური მონეტა (ნომინალი უცნობია); 1 დიდ კომნენოსთა დინასტიის ტრაპიზონის ასპრი (ევგენი პახომოვი არ გამორიცხავდა, რომ სინამდვილეში ეს [ქართული] მინაბაძი იყო; და 3 სირმა აბაზი, თარიღებით: ჰ. 1183, 1193 და 1195. ყველაზე ხანდაზმული მონეტაა ტრაპიზონის ასპრი თუ მისი მინაბაძი (ევგენი პახომოვი შესაძლებლად თვლის დაათარიღოს ის XVII საუკუნით), ყველაზე ახალგაზრდა კი — ჰ. 1195 წლის (1780/1) სირმა აბაზი, ან, აბდულ ჰამიდ I-ის (1773-1789) ოსმალური მონეტები. განძის ტეზავრაცია XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება;[733] სირმა აბაზის ხვედრითი წილი ამ განძში მინიმალურია (0.10 ან 0.11%);

27. მანდაეთის (1975): ჭიათურის რაიონის სოფელ მანდაეთში იპოვეს თიხის ჭურჭელი ვერცხლის მონეტებით. მონეტები მპოვნელებმა დაინაწილეს. მოხერხდა მხოლოდ 270 ცალის შეგროვება. ერთის გარდა, ყველა ოსმალური ყოფილა (მათ შორის 76 ცალი იმდენად გაცვეთილი და დაზიანებული, რომ მათი მიკუთვნება რომელიმე კონკრეტული სულთნისადმი გაჭირდა). რამდენადაც მოხერხდა განსაზღვრა, მონეტები გამოუშვეს შემდეგი სულთნების სახელით: აჰმედ III, მაჰმუდ I, ოსმან III, მუსტაფა III, აბდულ ჰამიდ I, სელიმ III. განძის გადარჩენილ ნაწილში შედიოდა ერთი ჰ. 1203 წლით (1788/9) და-

---

730 ფალავა, "სირმა აბაზის შემცველი ორი შერეული განძი კოჯრიდან და ყარაბაღიდან".

731 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VII*, 88, №1868.

732 იქვე.

733 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и Закавказья*, 70, №229; Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VIII*, 52, К вып. I,229;

თარიღებული სირმა აბაზიც.[734] ყველაზე გვიანდელი მონეტები სელიმ III-ის (ჰ. 1203-1222 / 1789-1807) მიერ უნდა იყოს მოჭრილი. განძის ტეზავრაცია XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზეა მოსალოდნელი, შესაძლოა, უფრო XIX საუკუნის I დეკადაში. რაოდენობრივად, სირმა თეთრის (აბაზის) ხვედრითი წილი ამ განძში არის მხოლოდ 0.37%.

*

რა დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი ზემოთ აღწერილი სირმა თეთრის შემცველი განძების შესწავლის საფუძველზე?

I ჯგუფის 14 განძი ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო მიმოქცევას ასახავს.

მათი შესწავლა ცხადყოფს,[735] რომ ირაკლი II-ის მიერ ჩატარებული რეფორმის შემდგომ ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე გაბატონდა ეროვნული ქართული საფასე — სირმა თეთრი, რომელიც ზემოთ აღწერილი რეფორმის ფარგლებში შეიქმნა.

უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი სისტემა ვერცხლის მონომეტალიზმს ეფუძნებოდა.[736] შეგვიძლია დავაზუსტოთ — **ირაკლი II-ის რეფორმის შემდგომ, ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონომეტალიზმი სირმა თეთრზე იყო აგებული**.

გამოვთქვამთ, ვარაუდს, რომ სირმა თეთრი წვრილი თუ საშუალო მასშტაბის ტრანსაქციებს უზრუნველყოფდა — ხელის ქირის გადახდა; მეტნაკლებად მსხვილი ყოფითი ხარჯები (თუნდაც, საკვებ პროდუქტებზე); თუმცა, ამასთანავე, სესხის აღება-გაცემაც. მაგალითები მრავლადაა თუნდაც ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოსულ დოკუმენტთა კრებულებში.[737]

მსხვილ ტრანსაქციებს, როგორც ჩანს, უფრო ოქროს მონეტები, პირველ რიგში, ჰოლანდიური დუკატები ემსახურებოდა.[738]

---

734 ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით*, 113-120.

735 ფაღავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის შემცველი სამონეტო კომპლექსების მეტა-ანალიზი" / Paghava, "Meta-Analysis of Monetary Complexes Comprising Sirma Tetri of the Kingdom of Kartl-Kakheti", 48-53.

736 ქოიავა, „საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში", 76-78; ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 11-12.

737 ნიკო ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსცა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი I (ხელფასი, ქირა, ფასები)* (თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1938); ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*; ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება).*

738 Paghava, "Economic Colonialism and National Aspirations: Monetary Circulation at the Periphery of Three Empires, Case Study of East-Georgian Kingdom of Kartl-Kakheti".

სპილენძის საფასის ეკონომიკური როლი, არ არის გამორიცხული, ორგვარი ყოფილიყო; ერთი მხრივ, ეჭვს არ იწვევს, რომ თეიმურაზ II-ის, ირაკლი II-სა და გიორგი XII-ის შავი ფული გამოიყენებოდა წვრილ აღებ-მიცემობაში, ხურდა ფულის სახით; მეორე მხრივ კი, შესაძლებელია, რომ ქართლ-კახეთის მონარქების მიერ შეგნებულად გატარებული ფულადი პოლიტიკის წყალობით მოსახლეობაში / სახელმწიფოში მომრავლებული შავი ფულით მსხვილი ტრანსაქციების ჩატარებაც გახდა შესაძლებელი — ამ მხრივ აღსანიშნავია გორის უჲეზდის განძი (vide supra), რომელშიც რუსეთის იმპერიის მსხვილ სპილენძის მონეტებთან ერთად დიდი რაოდენობით (რამდენიმე ასეული?) ირაკლი II-ის სხვადასხვა ტიპის ბისტებიც იყო თავმოყრილი (თუ, ეს განძი, მაინც, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების, შესაძლოა, სპილენძით, როგორც ლითონით, ვაჭრობის ამსახველ სამონეტო კომპლექსს წარმოადგენს და ქართლ-კახეთის სამეფოს *შიგნით* ფულად მიმოქცევას ნაკლებად ასახავს?[739]).

აღსანიშნავია, რომ 14-დან 10 განძი (გარდა ფშაველისა და მთიანეთის I განძებისა, მაგრამ გორის უჲეზდის განძის ვერცხლის კომპონენტის ჩათვლით) შედგება *ექსკლუზიურად* სირმა ვერცხლისგან (შემადგენლობის 100%) (მხოლოდ კოჯრის II განძში ერთადერთი ეგზემპლარი განჯაშია მოჭრილი, რაც საერთო რაოდენობის 2.8%-ს შეადგენს; მაგრამ ეს მონეტაც სირმა ტიპისაა, ანუ ვიზუალურად მიმსგავსებულია, მეტროლოგიურად კი იდენტურია) (ფშაველის, ასევე მთიანეთის I და II განძებს ქვემოთ ცალკე განვიხილავთ) (დიაგრამა 3).

ქართლ-კახეთის სამეფოში ძირითადი, ყოველ შემთხვევაში, სატეზავრაციო ნომინალი (ოთხიდან) აშკარად, იყო აბაზი (დიაგრამა 4). წარმოდგენილი სირმა თეთრის ნომინალების თანაფარდობის თვალსაზრისით გვაქვს ინფორმაცია 14-ვე განძზე. აქედან, შემთხვევათა უმრავლესობაში, სირმა თეთრი სწორედ აბაზის ნომინალით არის წარმოდგენილი; 14-ვე განძის მონაცემების შეჯერებით, გამოვითვალეთ ამ ნომინალის შეწონილი სიხშირე — (641 / სირმა მონეტების საერთო რაოდენობის 656 ეგზემპლარიდან) 97.71%. საზოგადოდ, მცირე ნომინალები, კერძოდ, უზალთუნი (7/656, შეწონილი სიხშირე 1.07%) და შაური (8/656, შეწონილი სიხშირე 1.22%) წარმოდგენილია მხოლოდ ბოლნისის, დუშეთის, მთიანეთის I და II განძებში; აქედან, ბოლნისის განძში მათი წილი მხოლოდ 5.7% (რაოდენობით; მასის მხრივ, კიდევ ნაკლები იქნება); მთიანეთის I განძში — ყველანაირი მონეტების საერთო რაოდენობის 26.1%, ხოლო სირმა მონეტების 42.9% (მასით, ბუნებრივია, ნაკლებია) — ამგვარი მაღალი სიხშირე აიხსნება განძის თავისებური ბუნებით; იხ. ქვემოთ); მთიანეთის II განძში შესასწავლად ხელმისაწვდომი მონეტების საერთო რაოდენობის 100% (ესეც ამ განძის სპეციფიკური ბუნებით უნდა აიხსნებოდეს, იხ. ქვემოთ); დუშეთის განძში კი მათი სიხშირეა 20%, მაგრამ, ეს იმიტომ, რომ აღნიშნული სამონეტო კომპლექსი, ჩვენი ვარაუდით, დაკარგულ ქისას წარმოადგენს, და არა დაგეგმილ დეპოზიტს — მიმოქცევაში გარკვეულ მონაწილეობას, ბუნებრივია, მცირე ნომინალებიც იღებდა, თუმცა, მთავარ როლს აბაზი ასრულებდა, ანუ, ჯერ კიდევ შაჰ ʻაბბას I დროიდან მოყოლებული,

739 იქვე.

ძირითადი ნომინალი. აღსანიშნავია, რომ მსხვილი ნომინალი ამ ჯგუფის განძებში საერთოდ არ გვხდება.

თუმცა, არ გვაქვს *იმ პერიოდის* განძები, როდესაც თბილისის ზარაფხანა უპირატესად აბაზნახევრიან ნომინალს უშვებდა. არადა, ერთხანობას, არ გამოვრიცხავთ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზედაც (და არა მარტო სამხრეთთან ვაჭრობაში) წამყვანი როლი აბაზნახევრიან ნომინალს ეთამაშა.

აბაზის დომინანტურ როლზე, სხვათა შორის, ცალსახად მიუთითებს იოჰან გიულდენშტედტი, რაც, ძალიან საინტერესოა, უკვე 1770-იანი წლების დასაწყისისთვის (ცნობა ნამდვილად სირმა თეთრს ეხება, გამომდინარე აღწერილი აბაზიანის არაბული ზედწერილიდან და თარიღიდან — ჰიჯრის 1183 წელი):

> "4. Abasi oder Abas, eine silbermünze 50 Gr. schwer, 4 Tschauri oder 20 Kop. an Werth mit der arabischen Inschrift: Alhamdu Lillohü rabbil alemin, d. i. der göttlichen Majestät, die Welt schuf, und auf der andern Seite: Sarbi Teflis; 1183 Sena, d. i. geschlagen in Teflis, im Jahr (der Hegira) 1183 oder unserer Rechnung 1770. Diese is die häufigste und fast einzige Münze im Gebiete des Zaars Heraklius."[740]

> „4. აბაზი — ვერცხლის ფულია, 50 გრანი წონით, უდრის 4 შაურს, ან 20 კაპიკს; აქვს არაბული წარწერა „ალაჰანმუ ლილლოჰუ რაბბილ ალემინ", ე.ი. „ღვთაებრივი უდიდებულესობა, რომელმაც შექმნა სამყარო", და მეორე მხარეს: „სარბი ტეფლის; 1183 სენა", ე.ი. „მოჭრილი თბილისში ჰიჯრით 1183 წელს", ანუ ჩვენებურად 1770 წელს. ეს არის ყველაზე გავრცელებული და თითქმის ერთადერთი ფული ერეკლე მეფის სამფლობელოში."[741]

რაც შეეხება წვრილ ნომინალებს, საინტერესოა, რომ ქართულ სირმა შაურზე მსჯელობისას თეიმურაზ ბატონიშვილი აღნიშნავდა მისი პროტოტიპის, სპარსული შაჰის („შაჲ") ნოვრუზზე დასარიგებლად მოჭრის ფაქტს:

> „ერთი შაური — ერთი დანგის წონა ვეცხლაკი არის *სპარსულად შაჲ ეწოდება. შაური იქიდამ დაურქმევიათ. სპარსელებს რომ ნოვრუზის დღე მოუვათ, ესე იგი ახალი წელიწადი მათი, მათინ ყეენები თითოს დანგის წონის ფულებს მოაჭრევინებენ ვეცხლისასა და ოქროსასა და თავიანთ ხალხს დაურიგებენ მათის დღესასწაულის მისალოცავათა. და იმ წონის ფული საქართველოში კეთდებოდა და ამისთვის უწოდებდენ შაურსა.*"[742]

როგორც ვხედავთ, თეიმურაზ ბატონიშვილი თავად არაფერს ამბობს იმაზე, *ქართლ-კახეთის სამეფოში* ამ ნომინალის მონეტებს რა მიზნით უშვებდნენ

740 გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 232, 234.

741 იქვე, 233, 235.

742 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 40-41.

დიაგრამა 3. სირმა თეთრის პროცენტული წილი (მონეტების რაოდენობით) ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი მიმოქცევის ამსახველ (I ჯგუფის) განძებში*




* — "?" მიუთითებს რომ განძის შემადგენლობა მხოლოდ საორიენტაციოდ არის ცნობილი

დიაგრამა 4. სირმა მონეტებში აბაზის პროცენტული წილი (მონეტების რაოდენობით) ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი მიმოქცევის ამსახველ (I ჯგუფის) განძებში



— როგორც დონატივს, სანოვრუზოდ დასარიგებლად, თუ, *მაინც*, მიმოქცევისთვის?

თუმცა კი, დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ შაურების *ერთ-ერთი ფუნქცია მაინც*, ნამდვილად დონატიური იყო — სანოვრუზოდ დარიგება. ამას ადასტურებს თანადროული საბუთები, რომელიც სწორედ სირმა თეთრის ემისიის პერიოდით თარიღდება და რომელშიც, უეჭველია, თბილისის ზარაფხანის ნაწარმი, სირმა ტიპის შაურები იგულისხმება:[743]

- მანუჩარ თუმანიშვილის ნივთების ნუსხაში (დათარიღებულია 1788 წლით) მოხსენიებულია „ვერცხლის ნავრუზის შაურები √აცფ"[744] (ე.ი. 12.5 მინალთუნი, ანუ, 250 ცალი);
- ირაკლი II-ის პირადი ქონების ნუსხაში (დათარიღებულია 1798 წლით) გვხდება „ერთს ქაღალდში შეხვეული ხუთის მინალთუნის ნოურუზის შაურები"[745] (ე.ი. 100 ცალი).

ფაქტია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილი ყველაზე კნინი ნომინალური ღირებულების სირმა მონეტები *ნავრუზის* თუ *ნოურუზის შაურის* სახელს ატარებდა; ანუ, მათი ნომინალური თუ აღიარებული დანიშნულება მაინც — *ნოვრუზზე დარიგება* იყო. თუმცა, ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ სირმა შაურები არ ერთვებოდა სამონეტო მიმოქცევაში და არ გააჩნდა ეკონომიკური ფუნქციაც. შესწავლილი მასალა ადასტურებს, რომ სირმა უზალთუნი და შაური იმსახურებდა ტეზავრაციას — იხ. ბოლნისის განძის შემადგენლობა, რომელიც არ არის ეთნოგრაფიულ-რელიგიური ხასიათის, განსხვავებით, სავარაუდოდ, მთიანეთის I და II განძებისგან. ამ უკანასკნელ კომპლექსებშიც მცირე ნომინალის სირმა თეთრის მოხვედრა, — მაინც, მიუთითებს, მის მიმოქცევაზე, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობაზე. დუშეთის კომპლექსიც ადასტურებს, რომ სირმა შაური, სირმა აბაზიანების მსგავსად, მოსახლეთა ქისებს ავსებდა. გარდა ამისა, შესაბამისი ფინანსური გაქანების მქონე პირები (ირაკლი II, მანუჩარ თუმანიშვილი) სირმა შაურებს დიდი რაოდენობით ინახავდნენ კიდევაც (საფიქრებელია, ნოვრუზის გასვლის შემდეგაც). სირმა შაურის ლითონური შემადგენლობის (ვერცხლი) გათვალისწინებით, ეს სავსებით ლოგიკურ ქმედებად გვესახება.

მაინც, ვფიქრობთ, თავდაპირველად, ნაწილობრივ თუ სრულად ნოვრუზზე დასარიგებლად რომც მოეჭრათ, შემდგომში სირმა შაურები მიმოქცევაში ერთვებოდნენ და, სირმა აბაზიანების მსგავსად, ანგარიშსწორების საშუალებას წარმოადგენდნენ. ჩვენი აზრით, სირმა შაურები (და უზალთუნები), პირველ ყოვლისა, თბილისსა და სხვა, ნაკლებ მსხვილ ურბანულ ცენტრებში ტრიალებდა, სადაც ყოველდღიურ ყოფაში მცირე ნომინალური ღირებულების მონეტების გამოყენება ტრადიციულად განსაკუთრებით მოსახერხებელი და სასურველი იქნებოდა.

743 ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 240-241.

744 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)*, 232, საბუთი №166.

745 იქვე, 278, საბუთი №188.

სირმა უზალთუნების ეკონომიკური ფუნქცია, — სამონეტო მიმოქცევის მომსახურება, — საფიქრებელია, კიდევ უფრო გამოკვეთილი იყო.

უკვე ხაზი გავუსვით იმ გარემოებას, რომ I ჯგუფის განძებში წამყვანი (რომ არ ვთქვათ, ერთადერთი) საფასეა სირმა თეთრი. საყურადღებო გამონაკლისს წარმოადგენს რუსული ვერცხლის მონეტების საკმაოდ საგულისხმო მინარევი მთიანეთის I და ფშაველის განძებში, კერძოდ, შესაბამისად, მონეტების საერთო რაოდენობის 21.7% და 62.5%. თუმცა, ყურადღებას იპყრობს ორივე შემთხვევაში წარმოდგენილი რუსული მონეტების მცირე ნომინალი. მცირეწონიანია სხვა მონეტებიც, მთიანეთის I განძში მაინც (ფშაველის განძში შემავალი 3 ოსმალური მონეტის ნომინალი ორიგინალურ პუბლიკაციაში მითითებული არ არის; თუმცა, გამოვთქვავთ ვარაუდს, რომ, მთიანეთის I განძის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც საუბარია აქჩე-ფარას რანგის მცირეწონიან და დაბალი სინჯის, ბილონის საფასეზე).

თავისი შემადგენლობით სრულიად გამორჩეულია მთიანეთის I განძი (ასევე, მთიანეთის II და ფშაველის). ამ სამონეტო კომპლექსსა და მის თავისებურებებს საგანგებო ყურადღებას დავუთმობთ.

განძის ყველაზე გვიანდელი მონეტებია ჰ. 1213 (1798/9) წლების სირმა უზალთუნი და შაური; XIX საუკუნის მონეტები განძში არ ჩანს. აქედან გამომდინარე, მისი ტეზავრაცია XVIII საუკუნის დასასრულისთვის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, XIX საუკუნის დასაწყისისთვის უნდა ვივარაუდოთ. ამრიგად, ეს განძი, თითქოს, XVIII საუკუნის II ნახევრის — უკანასკნელი მესამედის ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო მიმოქცევას უნდა ასახავდეს. შესაბამისად, ფორმალურად მაინც, ეს სამონეტო კომპლექსი მიეკუთვნება სირმა მონეტების შემცველი განძების I ჯგუფს.

თუმცა, რამდენიმე მახასიათებელი მკვეთრად გამიჯნავს ამ განძს ქართლ-კახეთის სამეფოს მიმოქცევის ამსახველი და სირმა ვერცხლის შემცველი სხვა განძებისგან:

- ქრონოლოგიური არაკომპაქტურობა: განძში შესულია გვიანფეოდალური საქართველოს ე.წ. „დაკნინებული" მონეტა, რომელიც, სავარაუდოდ, XV საუკუნით უნდა დათარიღდეს.[746] გარდა ამისა, განძში შესულია რუსული 1756 წლის ხუთკაპიკიანი და შაჰროხის თბილური შაური, მოჭრილი 1740-იანი წლების დასასრულს, თუ 1750-იან წლებში;
- ტიპოლოგიური არაერთგვაროვნება: როგორც დავინახეთ, ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე ტეზავრირებული განძები პრაქტიკულად ექსკლუზიურად სირმა ვერცხლისგან შედგება (სირმა ვერცხლის ხვედრითი წილი 100%). ამ განძში კი, მისი არტეფაქტული ნაწილი რომც უგულებელვყოთ, სირმა ვერცხლზე მოდის მონეტების ერთობლიობის მხოლოდ 60.9% რაოდენობით და 69.2% მასით;
- მაღალია პატარა ნომინალის სირმა მონეტების ხვედრითი წილი: 6/14-

746 Пагава, Спандерашвили, "Комплекс тяжеловесных грузинских монет позднефеодального времени из Квемо-Картли", 360.

დან, ანუ, 42.9% (მასით, ბუნებრივია, ნაკლებია — სამივე შაურის საერთო მასა არის 2.04 გ, სამივე უზალთუნის — 4.38 გ, რვა აბაზის კი 23.22 გ, ანუ, მასით, მცირე ნომინალის მონეტების ხვედრითი წილი შეადგენს მხოლოდ 21.7%-ს); აღსანიშნავია, რომ, როგორც ვაჩვენეთ, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე ტეზავრირებული განძები თითქმის ექსკლუზიურად სირმა აბაზებისგან შედგება, და არ შეიცავს სხვა ნომინალის სირმა ვერცხლს; საყურადღებოა ისიც, რომ განძის მონეტებს შორის ბევრია სხვა, მცირე მასის მონეტებიც — ოსმალური ფარები; დაკნინებული ქართული მონეტა; შაჰროხის თბილური შაური; რუსული ხუთკაპიკიანი, თუ, თუნდაც, გრივენნიკები;
- განძის მონეტების მნიშვნელოვანი ნაწილი გახვრეტილია: 11/23-დან, ანუ, 47.8% (მათ შორის 4 სირმა აბაზი 8-დან, რაც ამ ნომინალის მონეტებისთვის საკმაოდ უჩვეულო მოვლენაა); გარდა ამისა, კიდევ ერთ მონეტაზე ყურია მირჩილული (დამატებით, 4.3%). ამგვარად, მონეტების ნახევარზე მეტი (52.2%) ასე ვთქვათ, დეფექტურია, რაც სრულად არადამახასიათებელია ეპოქის განძებისთვის (გამონაკლისია კოჯრის II განძი, რომელიც მონისტოდან ჩამოხსნილი მონეტების ერთობლიობას წარმოადგენს).

აღნიშნულის საფუძველზე, ჩნდება ეჭვი, რომ ეს სამონეტო კომპლექსი მკვეთრად გამოირჩევა I ჯგუფის სხვა განძებისგან (შესაძლოა, მთიანეთის II და ფშაველის განძთან ერთად) თავისი ბუნებით და დანიშნულებით. ამ კომპლექსის განსხვავებულობის საფუძველზე, გამოვთქვამთ ჰიპოთეზას, რომ ეს არის ე.წ. რელიგიურ-ეთნოგრაფიული ხასიათის განძი,[747] ამა თუ იმ ტიპის სალოცავისადმი შეწირული სამონეტო კომპლექსი, რომელიც, ამასთანავე, შედარებით ხანგრძლივი დაგროვების განძს წარმოადგენს.

მთიანეთის II განძის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცი არის ხელმისაწვდომი. იმაშიც კი არ ვართ დარწმუნებულნი, რომ მისი შემადგენლობის შესახებ სრული ინფორმაცია გაგვაჩნია. თუმცა, ამ განძსაც ახასიათებს იგივე ორი თვისება, რაც მთიანეთის I განძს:

- ძალიან მაღალია პატარა ნომინალის სირმა მონეტების ხვედრითი წილი: ამ შემთხვევაში, 6/6-დან, ანუ, 100%;
- დეფექტური მონეტების მაღალი ხვედრითი წილი: განძის ყველა მონეტა (100%) გახვრეტილია.

საყურადღებოა, ასევე, რომ ეს განძიც საქართველოს იმავე რეგიონიდან მომდინარეობს.

ფშაველის განძიც იმავე ტიპის კომპლექსს უნდა წარმოადგენდეს. ამ შემთხვევაშიც, საყურადღებოა შემდეგი მახასიათებლები:

747 როგორც ჩანს, ანალოგიური კომპლექსები რეკომის სალოცავშიც წარმოიქმნა (ოსეთში) — მათაც მონეტების დეფექტურობა და მცირეწონიანობა ახასიათებთ. Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск IX*, 86-91, №2131, 102, №2137-2138. იხ. ასევე მაია პატარიძე, *სვანეთის ნუმიზმატიკური საგანძური* (თბილისი, 2020), 131-135.

- მაღალია პატარა ნომინალის, მცირე ზომისა და წონის მონეტების ხვედრითი წილი: მართალია, სირმა თეთრი აბაზიანებით არის წარმოდგენილი, ოსმალური მონეტების წონისა და ნომინალის შესახებ კი არაფერი ვიცით, მაგრამ, რუსული მონეტები ნამდვილად ესეთია — გრივენნიკები და 15-კაპიკიანი;
- ტიპოლოგიური არაერთგვაროვნება: სირმა ვერცხლის გარდა მასში დიდი რაოდენობითაა ოსმალური და რუსული მონეტები; მათ წილზე მოდის მონეტების საერთო რაოდენობის, შესაბამისად, 17.65 და 64.71% (სირმა აბაზების წილი მხოლოდ 17.65%-ია);

სამწუხაროდ, უცნობია, განძის მონეტები გახვრეტილი იყო თუ არა.

ასე თუ ისე, სამივე შემთხვევაში, შემადგენლობაში სირმა თეთრის არსებობისა და პოვნის ადგილიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ ამ კომპლექსების დაგროვება ქართლ-კახეთის სამეფოში წარმოებდა, და მათი შემადგენლობაც, კომპლექსების ბუნებისდა მიუხედავად, ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევას ასახავს.

ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, რომ 1784 წლიდან სანქტ-პეტერბურგის ზარაფხანაში დიდი რაოდენობით მოჭრილმა წვრილმა რუსულმა ვერცხლის ნომინალებმა[748] აქტიურად დაიწყეს ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო ბაზარზე შეღწევა; თუმცა, მცირე ნომინალის სირმა თეთრის მსგავსად, მათი სადეპოზიტო, ასე ვთქვათ, კანონიერი და გადანახვის ღირსი საფასის სტატუსი შეზღუდული იყო; მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოში მაინც მიმოიქცეოდნენ და შესაწირად ვარგის ობიექტსაც წარმოადგენდნენ.

გორის უეზდის განძში სხვა მოვლენას ვხედავთ, — სირმა თეთრთან ერთად განძი დიდი რაოდენობით რუსეთის იმპერიისა და ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის საფასეს შეიცავს (აი რუსეთის იმპერიის ვერცხლი კი ამ სამონეტო კომპლექსში არ ჩანს). ეს სამონეტო კომპლექსი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, მაგრამ, რაკი სპილენძის საფასის მიმოქცევას ამჟამად არ ვიკვლევთ, მას სხვა ნაშრომში მივუბრუნდებით.

I ჯგუფის განძებში აშკარად იკვეთება ქრონოლოგიურად მეტ-ნაკლებად სინქრონული, მაგრამ, თავისი ბუნებით განსხვავებული განძები, რომლებიც, სწორედ ამ კრიტერიუმით, მიზანშეწონილია სხვადასხვა ქვე-ჯგუფში გავაერთიანოთ:

ა) სტანდარტული ეკონომიკური დეპოზიტები (I ჯგუფის ყველა განძი, გარდა დუშეთის, ქართლის უპასპორტო, უპასპორტო III, მთიანეთის I და II, ასევე ფშაველის განძებისა). ამ კომპლექსების მფლობელს ჩაფიქრებული ჰქონდა, გადაენახა მეტ-ნაკლებად არსებითი თანხა; რომელიც შედგებოდა სირმა აბაზიანებისგან, ანუ, (ხელმისაწვდომი მონეტებიდან საგანგებოდ ამორჩეული?) ყველაზე გავრცელებული, წამყვანი, ლიკვიდური, შინაგანი ღირებულების მქონე (ძვირფასი ლითონის — ხალასი ვერცხლის) საფასისგან; მფლობელი

748 Узденников, *Обьем чеканки российских монет на отечественных и зарубежных монетных дворах. 1700-1917*, 41.

გეგმავდა შემდგომში განძის ამოღებას თანხის საჭიროებისამებრ მოხმარების მიზნით. ესენია შედარებით *ხანმოკლე დაგროვების სამონეტო კომპლექსები*, მთლიანად შედგენილი ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმის შემდგომ წლებში, და ასახავენ *ქართლ-კახეთის სამონეტო მიმოქცევას XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში*;

ბ) ქისები (დუშეთისა და ქართლის უპასპორტო განძები; შესაძლოა, ასევე, უპასპორტო III?). მოიცავს ამა თუ იმ მოსახლის (შემთხვევით დაკარგულ?) სადღენიადაგ სახარჯად გამიზნულ თანხას. მონეტები არ არის საგანგებოდ ამორჩეული, მათში გვხდება მცირე ნომინალებიც, რომელთაც, წვრილ ანგარიშ-გარიგებებში, მოსახლეობა, საფიქრებელია, ყოველდღიურად იყენებდა. ესენია ხანმოკლე, ან, ასე ვთქვათ, *ულტრახანმოკლე დაგროვების სამონეტო კომპლექსები*, რომლებიც, ბუნებრივია, *ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმის შემდგომი დროის ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო მიმოქცევის წამიერ ანაბეჭდს წარმოადგენენ*;

გ) ეთნოგრაფიულ-რელიგიური კომპლექსები (მთიულეთის I და II; შესაძლოა, ასევე, ფშაველის). გარკვეული ალბათობით, წარმოადგენდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან მხარეში რაიმე სალოცავისადმი (?), შესაძლოა, ხანგრძლივი დროის (ათწლეულების?) განმავლობაში შეწირული მონეტების ერთობლიობას. ჩანს, შესაწირად ვარგოდა თუნდაც მცირე ნომინალისა და მასის, ასევე, დეფექტური (მირჩილული ყუნწით, გახვრეტილი), ოღონდ, ძვირფასი ლითონის (ვერცხლის) მონეტა. იბადება კითხვა, მოსახლეობა, სწორედ ესეთს რატომ სწირავდა ხოლმე? თუკი ვერცხლის მონეტა თავის ლითონურ ღირებულებას მაინც ინარჩუნებდა, თავისი მდგომარეობისდა მიუხედავად, რატომ ამჯობინებდა მოსახლეობა სწორედ ესეთი შეეწირა? ჩვენი აზრით, თავისი ლითონური შემადგენლობის მიუხედავად, დეფექტური ვერცხლის საფასე მაინც, ნაკლებად ფასობდა. ანუ, ამგვარი მონეტის შეწირვა უფრო ეკონომიური იყო. ამასთანავე, საინტერესოა, რომ საკრალური მნიშვნელობა, მაინც, როგორც ჩანს, უფრო ძვირფასი ლითონის მონეტას ჰქონდა (და არა სპილენძის); შესაბამის განძებში ექსკლუზიურად ვერცხლის საფასეა. მიუხედავად ეთნოგრაფიულ-რელიგიური ბუნებისა, ამგვარი სამონეტო კომპლექსები, იმავდროულად, ეკონომიკური ისტორიის საყურადღებო ძეგლებიცაა. ისინი საკმაოდ *ხანგრძლივი დაგროვების სამონეტო კომპლექსებს* წარმოადგენენ, რომლებიც აერთიანებენ როგორც ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმის შემდგომ, ასევე რეფორმამდე კარგა ხნით ადრე თბილისში მოჭრილ თუ იმპორტირებულ მონეტებსაც, და ასახავენ *ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო მიმოქცევას შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში.*

*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განძების მეტა-ანალიზმა ცხადყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში წამყვან საფასეს სირმა თეთრი წარმოადგენდა. ამ ქართულ სახელმწიფოში გაბატონებული ვერცხლის მონომეტალიზმის პირობებში, სირმა მონეტები წარმოადგენდნენ

არა მარტო წამყვან ვერცხლის საფასეს, არამედ, საზოგადოდ, წამყვან საფასეს — ღირებულების საზომს, ანგარიშსწორებისა და დაგროვების საშუალებას.

მაგრამ, საკითხავი რჩება, ქარლ-კახეთის სამეფოს ფულადი ეკონომიკა ღია, თუ ეპიქორულ (დახურულ) სისტემას წარმოადგენდა? დაიშვებოდა თუ არა ადგილობრივ სამონეტო ბაზარზე უცხოური (ვერცხლის) საფასე, ასრულებდა თუ არა ის ფულის ტრადიციულ ფუნქციებს? განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ მას შინაგანი ღირებულება ახასიათებდა — ძვირფასი ლითონისგან შედგებოდა და არ წარმოადგენდა *fiat ფულს*. ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევაში (რომლის ამსახველიცაა განძები და, ნაკლები ხარისხით, ცალკეული მონეტების აღმოჩენებიც) სირმა მონეტების სიჭარბე და დომინირებაც კი, როგორ უნდა აიხსნას — მათი *ექსკლუზიური* სტატუსით (სამეფოს ტერიტორიაზე ერთადერთი დაკანონებული საფასე); თუ, ახტალაში (და დამბლულში?) მოპოვებული ვერცხლის მონეტად ინტენსიურად გარდაქმნის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი ბაზრის სწორედ სირმა ვერცხლით გაჯერებით, და, შესაბამისად, უცხოური ვერცხლის საფასის ხვედრითი წილის შემცირებით, მაგრამ, არა შიდა ბაზრიდან უცხოური ვერცხლის საფასის შეგნებულად განდევნით?

სამონეტო აღმოჩენები, თითქოს, ადასტურებს ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად თანადროული უცხოური ვერცხლის მონეტების მიმოქცევას. საუბარია, ზემოთ განხილული განძები რომც არ ჩავთვალოთ, ოსმალეთის;[749] რუსეთის იმპერიის;[750] სახანოების, კერძოდ, განჯის სახანოს[751] მონეტების აღმოჩენის შემთხვევებზე.

ამასთანავე, რამდენიმე პირველწყარო, როგორც ჩანს, მიუთითებს იმაზე, რომ XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში ქართლ-კახეთის სამეფოში ანგარიშსწორების სტანდარტულ, კანონიერ, საყოველთაოდ მიღებულ და ფიქსირებული ღირებულების მქონე საფასეს წარმოადგენდა *ექსკლუზიურად* სირმა თეთრი.

ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი (სამონეტო) ბაზრის დახურულობაზე მიუთითებს თავად ირაკლი II-ის 1770 წლის 3 ივნისის წერილი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლისადმი, ანტონ მოურავოვისადმი, რომელშიც ქართველი მონარქი იძლევა განმარტებას ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის იმპერიის მონეტების გაცვლით კურსზე:[752]

---

749 ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით*, 76-81, 112-113, 120-122.

750 Кебуладзе, "Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным", 96-99, #2-3, 6-7, 17, 19, 21-23.

751 Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 237-240.

752 ამ პირველწყაროს მიაქცია ყურადღება ნიკოლოზ ქოიავამაც, მაგრამ „ძველი" და „ახალი" რუსული რუბლების განსხვავებული სინჯადობა არ გაუთვალისწინებია; საზოგადოდ, გაანგარიშებული აქვს მხოლოდ იმპერიალის ფარდობა ადგილობრივ საფასესთან. ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 71-72.

„ბრწყინვალეო კნიაზო ანტონი მოურავოვ,
ჩემო კეთილ-სარწმუნო მეგობარო!

შენს ბრწყ. ჩვენთვის ეკითხა — მ. დიდ-ბის ოქრო და ვეცხლი როგორ იხარჯება გამომიცხადეო. ჩვენ ესე განვაცხადებთ შენს ბრწყინვალებისადმი: რომელიც იმპერიალი არის მ. დიდ. ის ერთ თუმნად იხარჯება დაუყოვნებლად; რომელიც ძველი რუბლი არის ის ექვს აბაზად აქაურს თეთრზედ, და ახალი რუბლი ხუთ აბაზ ერთ შაურად. ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ბძანებით ძალსაც მოვინდომებდით ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის სამსახურისათვის, რომ უნამეტნავესადაც გასულიყო ოქროც და ვეცხლიცა, მაგრამ რადგანაც გარეშემო მეზობლებში მეტად არ დაიხარჯება, ამისთვის ვაჭართ ზიანს გაუფრთხილდით, რომ ქვეყანას სავაჭრო არ მოაკლდეს.

შენის სიკეთის მარადის წადიერი
მეფე ქართლისა და კახეთისა
ირაკლი

წელსა ჩღო, ივნისის გ.”[753]

ამ წერილში სამი ფარდობა გვაქვს, ერთი ოქროს საფასისთვის, და ორი კი ვერცხლისთვის:

1 იმპერიალი = 1 თუმანი;
1 ძველი რუბლი = 6 აბაზი;
1 ახალი რუბლი = 5 აბაზი + 1 შაური.

1770 წლისთვის „იმპერიალში” უნდა იგულისხმებოდეს 1764-1796 წლების ოქროს, ნომინალურად 10 რუბლის ღირებულების მონეტა, საერთო ლიგატურული მასით 13.09 გ, და ოქროს შემადგენლობით 12.00 გ.[754] თუმანი კი, როგორც აღნიშნული გვაქვს, არის საანგარიშო ერთეული, 50 სირმა აბაზის ტოლი (3.072 გ, 97.4% სინჯის, = 4 შაურს). მაშასადამე, ამ შემთხვევაში,

12 გ ოქრო = 50 x 3.072 გ = 153.6 გ ვერცხლი,

თუ სირმა აბაზს ხალასი ვერცხლისგან მოჭრილად ჩავთვლით; მაგრამ, უფრო მართებული იქნებოდა გაგვეთვალისწინებინა სირმა აბაზის სინჯიც (რომელიც <100%): 97.4% (დადგენილი დასტურლამალის მიხედვით და ექსპერიმენტულად დადასტურებული; vide supra). მაშინ, გამოვა, რომ

12 გ ოქრო = 50 x 3.072 გ x 0.974 = 149.6 გ ვერცხლი.

აქედან კი გამომდინარეობს ოქრო ვერცხლის თანაფარდობა 1:12.47, დამრგვალებით, 1:12.5, რაც აშკარად ნაკლებია ქართლ-კახეთის სამეფოში საზოგადოდ, მიღებულ თანაფარდობაზე 1:14.67-15.[755] სახეზეა რუსულ იმპერიალზე ძალიან არსებითი *დიზაჟიოს* არსებობის ფაქტი: 15-16.9%.

---

753 Александр Цагарели (под редакцией), *Грамоты и другие исторические документы относящиеся к Грузии. Том II, Выпуск I. Грузинские тексты с 1768 по 1801 год* (Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук, 1898), 37; ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 71.

754 Узденников, *Монеты России. 1700-1917*, 410.

755 ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)”, 224-226.

1770 წლისთვის „ძველ" რუბლში უნდა იგულისხმებოდეს 1731-1761 წლების საბანკო მონეტა საერთო ლიგატურული მასით 25.85 გ, და ვერცხლის შემადგენლობით 20.73 გ;[756] „ახალ" რუბლში კი 1761-1796 წლების საბანკო მონეტა საერთო ლიგატურული მასით 24.00 გ, და ვერცხლის შემადგენლობით 18.00 გ.[757] მაშასადამე,

1 ძველი რუბლი (20.73 გ) = 6 აბაზი (x 3.072 გ x 0.974 = 17.95 გ);

1 ახალი რუბლი (18.00 გ) = 5.25 აბაზი (x 3.072 გ x 0.974 = 15.71 გ).

ორივე შემთხვევაში სახეზეა რუსეთის იმპერიის რუბლზე 1770 წელს ქართლ-კახეთის სამეფოში საკმაოდ არსებითი დიზაჟიოს არსებობის ფაქტი: ძველ რუბლზე 13.4%, ახალზე — 12.7%.

ორი წლის გასვლის შემდეგ, 1772 წელს, გიულდენშტედტის მიხედვით, თანაფარდობა რუსულ რუბლებსა და სირმა აბაზს შორის უკვე განსხვავებულია:

> "Rußische Imperiale, geor. Tumani werden gern genommen."[758]

> „რუსულ იმპერიალს, ქართულად „თუმანი", ხალისით იღებენ"[759]

> "Abasi oder Abas, eine silbermünze […] Diese is die häufigste und fast einzige Münze im Gebiete des Zaars Heraklius. Ihr eigentlicher Werth gegen Kupfermünze ist nur 20 Kop., man erhält aber für einen Katharinenrubel 5 ½ Abas und für einen Elisabeth- oder Annenrubel 6 ½ Abas."[760]

> „აბაზი — ვერცხლის ფულია [...] ეს არის ყველაზე გავრცელებული და თითქმის ერთადერთი ფული ერეკლე მეფის სამფლობელოში. მისი ნამდვილი (საკუთარი) ფასი, სპილენძის ფულთან შედარებით, არის მხოლოდ 20 კაპიკი; ეკატერინეს მანეთში იღებენ 5½ აბაზს, ხოლო ელისაბედის ან ანნას მანეთში — 6½ აბაზს."[761]

ამრიგად, კვლავ სამი ფარდობა გვაქვს, ერთი ოქროს საფასისთვის, და ორი კი ვერცხლისთვის:

1 იმპერიალი = 1 თუმანი (ყოველ შემთხვევაში, გიულდენშტედტის ცნობიდან შესაძლებელია ესეთი დასკვნის გამოტანა[762]); კვლავ ფიქსირდება იგივენაირი, მეტად საგულისხმო დიზაჟიო — 15-16.9% (რა გასაკვირია, რომ ამ ფასად ქართლ-კახეთში რუსულ ათ რუბლიან ოქროს მონეტას „დაუყოვნებლად"

---

756 Узденников, *Монеты России. 1700-1917*, 412, 415.

757 იქვე.

758 გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 236.

759 იქვე, 237.

760 იქვე, 232, 234.

761 იქვე, 233, 235.

762 ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 73.

და „ხალისით იღებდნენ").

1 ანნას ან ელისაბედის (ე.ი. ძველი) რუბლი (20.73 გ) = 6.5 აბაზი (x 3.072 გ x 0.974 = 19.45 გ);

1 ეკატერინეს (ე.ი. ახალი) რუბლი (18.00 გ) = 5.5 აბაზი (x 3.072 გ x 0.974 = 16.46 გ).

მაშასადამე, 1772 წელსაც, რუსეთის იმპერიის ორივე ტიპის რუბლზე ქართლ-კახეთის სამეფოში კვლავინდებურად აღინიშნება დიზაჟიო; თუმცა, აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინანდელთან შედარებით ის არსებითად შემცირებულია: ძველ რუბლზე მხოლოდ 6.2%, ახალზე — 8.6%.

კიდევ ორ წელიწადში, უკვე 1774 წელს, რუსული რუბლების კურსი კვლავ განსხვავებულია. მოვიშველიებთ ისეთ უკიდურესად საინტერესო დოკუმენტურ პირველწყაროს, როგორიცაა რუსეთის იმპერიის წარმომადგენლის, კაპიტან ლვოვის მოხსენება გრაფ ნიკიტა პანინის სახელზე, დათარიღებული 1774 წლის 28 თებერვლით.[763] მრავალ სხვა საკითხთან ერთად, თბილისში მყოფი ავტორი საუბრობს რუსული რუბლების კურსზედაც და ამ *კურსით მანიპულირებაზე*:

> "Хотя въ бытность здесь нашего войска много было употреблено старания въ разсуждении безъ убыточнаго нашихъ здесь денегъ обращенія въ сравненіи съ здешнею монетою, но совсемъ темъ, м. г., по тогдашнимъ здешнимъ противу насъ хитростямъ доведено было только до того, что старой нашъ рубль принимали здесь за сто пятнадцать, а новой за сто десять здешнихъ копеекъ; ныне же какъ здесь обнародовано, что бывшее предъ симъ о нашей монете запрещение уничтожено, и что оной свободной курсъ позволяется, то самыя теже наши рубли имеютъ предъ прежнимъ цену весьма превосходную, ибо старой рубль за сто тритцать, а новой за сто дватцать пять копеекъ на всякую здешнюю монету охотно промениваютъ; о семъ бывшемъ въ денгахъ насъ обмане я е. св. царю Ираклію пристойнымъ образомъ приметить не оставилъ."[764]

> „მართალია, ჩვენი ჯარის აქ ყოფნისას დიდი მცდელობა გავწიეთ რათა ჩვენს ფულს აქ ადგილობრივ მონეტასთან მიმართებაში უზარალოდ ეტრიალა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მოწყალეო ხელმწიფევ, მაშინდელი ჩვენს საწინააღმდეგოდ [მიმართული] ეშმაკობების გამოისობით, მხოლოდ ის მოხერხდა, რომ ჩვენს ძველ რუბლს აქ ას თხუთმეტ, ახალს კი ას ათ ადგილობრივ კაპიკად იღებდნენ; ამჟამად კი რაც გამოქვეყნდა, რომ აქამდე ჩვენს მონეტაზე არსებული აკრძალვა გაუქმდა, და მისი [გაცვლის] თავისუფალი კურსიც არის ნებადართული, ზუსტად იგივე ჩვენი რუბლები წინანდელზე დიდი აღმატებით ფასობს, ვინაიდან ხალისით ცვლიან ნებისმიერ აქაურ მონეტაზე ძველ რუბლს ას ოცდაათ, ახალს კი ას ოცდახუთ კაპიკად; უწინ, ფულში ამ ჩვენს მოტყუებაზე მისი უდიდებულესობა მეფე ირაკლისთვის წესიერად ხსენება არ გამომრჩენია."[765]

763 Цагарели (под редакцией), *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Том 1, с 1768 по 1774 год. С картой Закавказья 1771 года*, 401-405.

764 იქვე, 405.

765 თარგმანი ჩვენია.

რუსი აგენტის პატაკის ეს ფრაგმენტი მრავალმხრივ არის საინტერესო.

პირველ რიგში, ის შეიცავს ინფორმაციას რუსული რუბლების კურსზე *უწინ*, ქართლ-კახეთის სამეფოში (და, იმერეთის სამეფოში) რუსული საექსპედიციო კორპუსის მოქმედების პერიოდში (1769 წლის აგვისტო — 1772 წლის მაის-ივნისი[766]), და, იმჟამად, ანუ, 1774 წელს. „ადგილობრივ კაპიკებში", როგორც ჩანს, ადგილობრივი ვერცხლის ფული უნდა ვიგულისხმოთ, ანგარიშით 1 სირმა აბაზი (= 200 დინარს) = 20 „ადგილობრივ კაპიკს". ესეთ შემთხვევაში,

უწინ:

1 ძველი რუბლი (20.73 გ) = 5.75 აბაზი (x 3.072 გ x 0.974 = 17.20 გ)

1 ახალი რუბლი (18.00 გ) = 5.5 აბაზი (x 3.072 გ x 0.974 = 16.46 გ).

დიზაჟიო ძველ რუბლზე 17%, ახალზე — 8.6%. გაკვირვებას იწვევს ესეთი სხვაობა დიზაჟიოში ძველ და ახალ რუბლზე. არ არის გამორიცხული, ლვოვს რაღაც შეცდომა გაპარვოდა (ან, შეგნებულად გააზვიადა მდგომარეობა).

იმჟამად კი:

1 ძველი რუბლი (20.73 გ) = 6.5 აბაზი (x 3.072 გ x 0.974 = 19.45 გ);

1 ახალი რუბლი (18.00 გ) = 6.25 აბაზი (x 3.072 გ x 0.974 = 18.70 გ)

გამოდის, დიზაჟიო ძველ რუბლზე 6.2%, ახალზე კი უკვე ვლებულობთ *აჟიოს* — 3.9% (sic).

სამივე პირველწყაროში მოყვანილი ცნობები ცალკეც გვაქვს შეჯამებული (ცხრილი 4).

რა დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა ზემოთ განხილული პირველწყაროები?

ფაქტია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში უცხოური (კერძოდ, რუსეთის იმპერიის) საფასის კურსი არ იყო სტაბილური, ერთხელ და სამუდამოდ ფიქსირებული; არამედ, მერყეობდა კონიუნქტურისდა მიხედვით. კერძოდ, რუსეთის იმპერიის რუბლები ქართლ-კახეთის სამეფოში არსებითი დიზაჟიოთი ფასობდა. ამასთანავე, ეს დიზაჟიო მერყეობდა, საქართველოში რუსული საექსპედიციო კორპუსის მოქმედების პერიოდში (აგვისტო 1769 — მაის-ივნისი 1772) ის 13.4%-საც კი აღწევდა (17.0%-ს ლვოვის მიხედვით!), ხოლო შემდეგ, ეტაპობრივად, შემცირდა, 6.2-8.6%-მდე, ხოლო ახალი რუბლის შემთხვევაში კი, 1774 წლისთვის, ლვოვის მიხედვით, 3.9%-იანი აჟიოთითაც კი შეიცვალა.

რა იყო ამ მერყეობის მიზეზი? ნიკოლოზ ქოიავას მოსაზრებით, ძირითადი მიზეზი უნდა ყოფილიყო მიწოდება-მოთხოვნის ბალანსის ცვლილებები, ასევე, თბილისის ზარაფხანაში რუსული რუბლების ქართულ სირმა აბაზებად ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული ხარჯები:

> „კურსის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენდა მანეთების მიწოდება-მოთხოვნა, აგრეთვე დანაკარგი, რომელიც მოყვებოდა მანეთის გადაქცევას ნაციონალურ მონეტად. 1769 წლის ზაფხულის ბოლოს საქართველოში შემოვიდა რუსეთის ჯარი. უეჭველია, რომ ჯარს თან მოჰქონდა მანეთები. მანეთების მიწოდება ბაზარზე გაიზარდა. [...] 1772 წლის მაისში

766 პაიჭაძე, ჩხატარაიშვილი, „1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო", 652-658.

რუსეთის ჯარი გაწვეულ იქნა საქართველოდან, რაც ფაქტიურად შეამცირებდა მონეტების მიწოდებას ბაზარზე."[767]

ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებში შემოსული რუსული საექსპედიციო კორპუსის შემოსვლა-მოქმედების, და შემდეგ კი გასვლის პარალელურად, რუსული რუბლების (და იმპერიალების) შემოდინების ინტენსიურობის ცვლილება რომ კურსზე ზეგავლენას მოახდენდა, ეჭვს არ იწვევს. მაგრამ, როგორც ჩანს, წმინდა საბაზრო მექანიზმების გარდა, ადგილი ჰქონდა კურსის არაეკონომიკურ რეგულირებასაც — სახელმწიფოს მხრიდან: კაპიტანი ლვოვი პირდაპირ ადანაშაულებს ხელისუფლებას, ფაქტიურად, ირაკლი II-ს, „ფულში მოტყუებაში" („въ денгахъ насъ обмане"), კერძოდ, ადგილობრივად რაღაც რუსების საწინააღმდეგო "ეშმაკობებში" („здешнимъ противу насъ хитростямъ"), რამაც განაპირობა კიდევაც რუბლების უკიდურესად არახელსაყრელი კურსის არსებობა (ძალიან მაღალი დიზაჟიოთი). უფრო მეტიც, ლვოვი პირდაპირ წერს (ზემდგომისთვის გაგზავნილ ოფიციალურ მოხსენებაში), რომ რუბლების კურსი გამოსწორდა (ძველ რუბლებზე დიზაჟიო 17.0-დან 6.2%-მდე შემცირდა, ახალ რუბლებზე კი 8/6%-იანი დიზაჟიო 3.9%-იანი აჟიოთითაც კი შეიცვალა), მას შემდეგ, რაც „გამოქვეყნდა, რომ აქამდე ჩვენს მონეტაზე არსებული აკრძალვა გაუქმდა, და მისი [გაცვლის] თავისუფალი კურსიც არის ნებადართული" („какъ здесь обнародовано, что бывшее предъ симъ о нашей монете запрещение уничтожено, и что оной свободной курсъ позволяется"). ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში რუსული საექსპედიციო კორპუსის მოქმედების პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფოში მოქმედებდა რაღაც „აკრძალვა", რომელიც ზღუდავდა რუბლების (საზოგადოდ, რუსეთის იმპერიის საფასის?) თავისუფალ გაცვლას (ადგილობრივ საფასეზე). ამ შეზღუდვას სხვა ვერავინ შემოიღებდა, და შემდეგ გააუქმებდა, და, თან, ამის შესახებ ინფორმაციას გაავრცელებდა („გამოაქვეყნებდა"), თუ არა ადგილობრივი ხელისუფლება, ანუ, თავად ირაკლი II.

ამის გათვალისწინებით სულ სხვანაირად წარმოგვიდგება ირაკლი II-ის წერილი ანტონ მოურავოვისადმი (vide supra), რომელშიც მეფე თავს იმართლებს, განმარტავს, რომ ეკატერინე II-ის ხათრი კი აქვს, მაგრამ, მაინც, ერიდება თავის სახელმწიფოში რუსული მონეტების კურსის ძალით რეგულირებას („ბძანებით ძალსაც მოვინდომებდით ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის სამსახურისათვის"), ვინაიდან ისინი, მაინც, „მეზობლებში მეტად არ დაიხარჯება", ასე რომ, კურსის იძულებით შეცვლა (აწევა) „ვაჭართ ზიანს" მოუტანდა.

ნიკოლოზ ქოიავას აზრით,

„მეფე ერეკლე წერს, რომ მას შეეძლო სამსახური გაეწია რუსეთის მეფისათვის და დაეწესებინა იძულებითი და უფრო მაღალი კურსი, რათა აეწია რუსული ოქროსა და ვერცხლის მონეტების „ფასი", მაგრამ ამას იგი მიუღებლად სთვლის იმის გამო, რომ რუსულ ოქროსა და ვერცხლის მონეტებს მეტი ფასი არა აქვს მეზობელ ქვეყნებში. მეფე ერეკლეს ეშინია, რომ კურსის აწევა ზარალს მოუტანს ვაჭრებს და შეაფერხებს ვაჭრობას.

---

767 ქოიავა, *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში*, 72-73.

ცხრილი 4. ქართლ-კახეთის სამეფოში რუსული ოქრო-ვერცხლის მონეტების გაცვლითი კურსი 1769-1174 წლებში

| რუსული მონეტა (ძვირფასი ლითონის შემცველობის მითითებით) / კურსი | ირაკლი II-ის "აკრძალვის" მოქმედების პერიოდი | | | "აკრძალვის" გაუქმების შემდგომ |
|---|---|---|---|---|
| | 1770 | VIII/1769–V/VI/1772 | 1772 | 1774 |
| | ირაკლი II-ის ცნობა (წერილი მოურავოვს) | ლვოვის ცნობა | გიულდენშტედტის ცნობა | ლვოვის ცნობა |
| **იმპერიალი (12 გ Au)** | = 50 აბაზი (თუმანი) | | = 50 აბაზი (თუმანი) | |
| **დიზაჟიო:** | 15-16.9% | | 15-16.9% | |
| **ძველი რუბლი, 1731-1761 (20.73 გ Ar)** | = 6 აბაზი | = 5.75 აბაზი | = 6.5 აბაზი | = 6.5 აბაზი |
| **დიზაჟიო:** | 13.4% | 17.0% | 6.2% | 6.2% |
| **ახალი რუბლი, 1761-1796 (18.00 გ Ar)** | = 5.25 აბაზი | = 5.5 აბაზი | = 5.5 აბაზი | = 6.25 აბაზი |
| **დიზაჟიო:** | 12.7% | 8.6% | 8.6% | აჟიო: 3.9% |

> ამ წერილში მოჩანს სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ესმის, რომ სავალუტო პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის, საგარეო ვაჭრობისათვის. მეფე ერეკლე მფარველობს საგარეო ვაჭრობასა და ვაჭრებს."[768]

რევაზ ქებულაძე კი არ გამორიცხავდა რუსული რუბლების კურსის თაობაზე ქართულ და რუსულ ხელისუფლებას შორის რაღაც შეთანხმების არსებობასაც.[769]

სინამდვილეში კი, კაპიტან ლვოვის მოწმობის გათვალისწინებით, აშკარა ხდება, რომ ირაკლი II *თვალთმაქცობს*, საფიქრებელია, ეკონომიკური მოტივით, როდესაც წერს, რომ კურსის ძალით რეგულირებას ერიდება, ვაჭრებისთვის (ეკონომიკისთვის) ზიანის მოტანის შიშით; სინამდვილეში კი, პირიქით, აწესებს რეგულაციას, რომელიც ხელს უწყობს რუსულ რუბლებზე კურსის დაწევას (რაც რუსეთის იმპერიას, ბუნებრივია, არ აწყობს); შესაძლოა, კრძალავს

768 იქვე.

769 Кебуладзе, "Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным", 101-102.

მათ თავისუფალ მიმოქცევას (*მერკანტილიზმის* პოზიციებიდან, ძვირფასი ლითონის შემოდინება, თანაც, საბაზროზე ნაკლებ ფასად, სამეფოს ეკონომიკისთვის სასარგებლო მოვლენად უნდა აღქმულიყო; ზარაფხანის მუშაობის ინტენსიფიცირებაზე და ზარაფხანიდან მიღებული შემოსავლის გაზრდაზე რომ აღარაფერი ვთქვათ).

ეს ეპიზოდი ძალიან საინტერესოდ გვეჩვენება, ერთი მხრივ რუსეთის იმპერიასთან ირაკლი II-ის ურთიერთობის კუთხით (გამოყენებითი მიდგომა და დიპლომატიური ეშმაკობა); მეორე მხრივ კი, ქართველი მონარქის ეკონომიკურ აზროვნებაზე მსჯელობისათვის.

საყურადღებოა, რომ უცხოური ოქროს მონეტის, რუსული იმპერიალის ღირებულება ქართლ-კახეთის სამეფოს შიდა ბაზარზე 1770-1772 წლების შუალედში არ შეცვლილა (განსხვავებით ვერცხლის მონეტისგან), ისინი ერთნაირად ფასობდა, ძალიან არსებითი დიზაჟიოთი (15-16.9%). ამის მიზეზი გაურკვეველი რჩება: 1772 წელსაც ჯერ კიდევ ხომ არ მოქმედებდა ირაკლი II-ის „აკრძალვა"? თუ, ქართლ-კახეთის სამეფოში, ანუ, გაბატონებული ვერცხლის მონომეტალიზმის სახელმწიფოში, ოქროს საფასე ისედაც არსებითი დიზაჟიოთი ფასობდა? აღნიშვნის ღირსია, რომ დიზაჟიო რუსულ ოქროს მონეტაზე ქართლ-კახეთში ვერცხლის საფასეზე გადაცვლისას რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციას XIX საუკუნის დასაწყისშიც აწუხებდა, უკვე ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდგომ.[770]

ზემოთ აღნიშნული პირველწყაროების გარდა, ყურადღებას გავამახვილებდით ასევე ერთ განმარტებაზე, ეპითეტზე, რომელიც თანადროულ საბუთებში *სირმა აბაზს* ზოგჯერ თან ახლავს. ზემოთ, უკვე განხილული გვაქვს სირმა თეთრის ნაირნაირი აღნიშვნები, რომელიც გხვდება ქართლ-კახეთის სამეფოს დროინდელ საბუთებში (იხ. თავი V). აქედან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის საბუთები, სადაც, სირმა თეთრი მოხსენიებულია როგორც „რაიჭი", „რაიჯი", ან, „რიჯი", — *ქალაქის ზარაფხანის რაიჭი თეთრი*, *ქალაქის ზარაფხანის რაიჯი თეთრი*, *ქალაქის ზარაფხანის რიჯი თეთრი*, *ქალაქის რიჯი სირმა ოთხდანგიანი აბაზი*.[771] ეს, ან მსგავსი სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში ვერ ვიპოვეთ. მაგრამ, ნუმიზმატიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს იმდროინდელ ქართულ ენაში შემოსული (და, მას შემდეგ, ჩანს, ენიდან *გასული*) არაბულ-სპარსული სიტყვა رایج (*რაჲიჯ*), მნიშვნელობით *მიმდინარე, ვალიდური, საბაზრო*; რაც მთავარია, ეს სიტყვა აქტიურად გამოიყენებოდა სწორედ ფულად-სამონეტო კონტექსტში; კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობელი მუსლიმური (განჯის, კუბისა და შემახის) სახანოების ვერცხლის მონეტებს ხშირად დამღავდნენ; ამასთანავე, დამღას წარმოადგენდა სწორედ სიტყვა رایج

770 фон Винклер, "Чеканка монет для Грузии (1804-1833 гг.)", 288; Георгий Романов, "Русские монеты чеканенные для Грузии. 1804-1833", *Русские монеты, чеканенные для Пруссии 1759-1762, Грузии 1804-1833, Польши 1815-1833, Финляндии 1864-1890* (СПб., 1893), 4, #3-5; გუგუშვილი, *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში*, 7-14.

771 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)*, 58-59, 63, 73, 106.

(ქართლ-კახეთის სამეფოში კი უპირატესად სპილენძის მონეტებს დამღავდნენ, ოღონდ, დამღა წარმოადგენდა მმართველი მონარქის სახელის ინიციალს ან მონოგრამას).[772] ჩვენი აზრით, ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა ვერცხლის საფასის ეპითეტად გარკვეული ფონეტიკური სახესხვაობით იგივე ტერმინი გამოიყენებოდა, — „რაიჭი", „რაიჯი", ან, „რიჯი",[773] — იმის ასაღნიშნად, რომ შესაბამისი მონეტები ანგარიშსწორების ვალიდურ, კანონიერ საშუალებას წარმოადგენდნენ.

აქედან კი, ირიბად, მაგრამ, მაინც, თითქოს გამომდინარეობს, რომ *სხვა სახის* (ვერცხლის) საფასე ანგარიშსწორების კანონიერ საშუალებას *არ* წარმოადგენდა.

ზემოთ ჩამოყალიბებული ანალიზის საფუძველზე, დავასკვნით, რომ **ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი სისტემა ეპიქორული, ანუ, დახურული იყო**.

რასაკვირველია, ეს დახურულობა ფარდობითი იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე უცხოური ვერცხლის მონეტებიც შემოდიოდა. სხვა თუ არაფერი, ძვირფასი ლითონისგან დამზადებული არტეფაქტები, მით უფრო, მონეტიზებული ვერცხლი, გარკვეული შინაგანი ღირებულების მატარებელი იყო. ამრიგად, უცხოური ვერცხლის მონეტის შემოტანა არ იყო აკრძალული, მაგრამ ის შინაგან ღირებულებაზე ნაკლებად ფასობდა და ანგარიშსწორების კანონიერ საშუალებას არ წარმოადგენდა; აქედან გამომდინარე კი, ტეზავრაციის ღირს ობიექტად ნაკლებად განიხილებოდა.

*

ყურადღებას იპყრობს ჰიჯრის 1211 წლით (1796/7) დათარიღებული სირმა აბაზიანების სიხშირე. ზუსტი ციფრები მხოლოდ ზოგიერთი სამონეტო კომპლექსისთვის გვაქვს, მაგრამ ეს ციფრები შთამბეჭდავია. მაგალითად, ლალაქენდის განძში ამ თარიღს ატარებს 31 აბაზიანი 73-დან (რომელზედაც თარიღი იკითხება), ან, სულაც, 32 („1212" წელი იგივე *1211* ხომ არ არის? იხ. თავი VI); შესაბამისად, ყველაზე ცოტა, 42.46%; ბოლნისის განძში ამ თარიღს ატარებს აბაზიანთა 45.45%; (არადა, როგორც დავინახეთ, სირმა აბაზიანები იჭრებოდა, ჩვენს მიერ აგრეგირებული მონაცემებით, ჰ. 1179-1180, 1182-1184, 1190-1211, 1213 წლებში, ანუ, სულ 28 წლის განმავლობაში მაინც). ემპირიულადაც — კერძო თუ საჯარო კოლექციებში, ან, სულაც, მსოფლიო ანტიკვარულ ბაზარზე, ამ წლის აბაზიანები ძალიან ხშირია. რა არის ამ გარემოების მიზეზი? აღა მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდგომ ხელისუფლებისა და მოსახლეობის მხრიდან ვერცხლის დეპოზიტების მობილიზაციის აუცილებლობა ხომ არა? ბუნებრივია, ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა.

ხელმისაწვდომი მონაცემებით სხვადასხვა წელს მოჭრილი სირმა აბა-

772 Али Раджабли, *Нумизматика Азербайджана* (Баку: Элм, 1997), 164, 167; Paghava, Lobzhanidze, Turkia, "Countermarking of Copper Coins in Late 18th Century Georgia", 38-46; Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 225-226.

773 შესაბამისად, ეს სიტყვა შესატანია ძველი ქართული ენის ლექსიკონებში.

ზიანების სიხშირის გამოვლენა I ჯგუფის განძებში ხერხდება მხოლოდ ლალაქენდის, ბოლნისისა და მანავის კომპლექსების შემთხვევაში; ხოლო II ჯგუფიდან კი, ასევე, ჩაჲქენდის განძისთვის; შევისწავლეთ სხვადასხვა თარიღის მატარებელი თარიღიანი (იგნორირებულია ეგზემპლარები, რომლებზედაც თარიღი არ იკითხება) აბაზიანების (და არა სხვა ნომინალების) სიხშირე როგორც აბსოლუტურ ციფრებში, ასევე პროცენტებში (დიაგრამები 5-6). თვალში საცემი გახდა, რომ ამ ოთხი განძის სტრუქტურა განსხვავებულია. ლალაქენდისა და ბოლნისის განძები ტრადიციულია, დიაგრამა აშკარად გადახრილია გვიანდელი მონეტებისკენ, რაც ლოგიკურიცაა — ტრადიციულად მიიჩნევა, რომ ბოლოდროინდელი მონეტები განძში მეტად ილექება, ვიდრე შედარებით ადრინდელები, თუ, რასაკვირველია, საუბარია ხანმოკლე, და არა ხანგრძლივი დაგროვების კომპლექსზე (ოღონდ, ლალაქენდის განძის შემთხვევაში, გაკვირვებას იწვევს 1201 წლის პიკის არსებობა; ორიგინალურ პუბლიკაციაში, მართლაც, რაიმე შეცდომა ხომ არ არის გაპარული?).

ბოლნისის განძში ჰ. 1183-1184 და 1190-1193 წლებით დათარიღებულია ჯამში მხოლოდ 5 აბაზიანი / 15.6% (ე.წ. *ადრეული ჯგუფი*); ჰიჯრის 1202-1211 წლებით კი 27 (84.4%; *გვიანდელი ჯგუფი*).

მსგავსად ბოლნისისა, ლალაქენდის განძში ჰ. 1182-1184 და 1190-1193 წლებით დათარიღებულია 10 აბაზიანი / 13.7% (*ადრეული ჯგუფი*); განსხვავებით ბოლნისის განძისაგან, ამ ბევრად მეტი მონეტის შემცველ განძში ჩანს ჰ. 1194-1199 წლების მონეტებიც, რომელთაც, პირობითად, *შუალედურ ჯგუფს მივაკუთვნებთ* — სულ 6 აბაზიანი / 8.2%; შემდეგ კი გვაქვს ჰ. 1201 წლის მონეტების უცნაური პიკი — 9 ეგზემპლარი (არადა, ამ წლის აბაზიანები იშვიათობაა; რაიმე შეცდომა ხომ არაა საწყის გამოცემაში?) / 12.3%, და, ბოლოს ჰ. 1205-„1212" წლების *გვიანდელი ჯგუფი*, რომელშიც შედის 46 აბაზიანი / 63.0%. (თუ ჰ. 1201 წლის აბაზიანებს შევიტანთ *გვიანდელ ჯგუფში*, მაშინ მასში შევა 55 აბაზიანი / 75.3%).

მანავის განძში კი მდგომარეობა სარკისებურია (დიაგრამა 5-6), უფრო ადრეული მონეტებისკენ არის გადახრილი: ჰიჯრის 1182-1184 და 1189-1194 წლების *ადრეულ ჯგუფში* 89 აბაზიანია / 81.7%; ჰიჯრის 1203-1213 წლების *გვიანდელ ჯგუფში* კი მხოლოდ 20 / 18.3%. ამ განძის *ცნობილ* ნაწილში *შუალედური* წლებით დათარიღებული ერთი მონეტაც არაა.

მანავის განძი, თავისი შემადგენლობით, თითქოს, ორკომპონენტიანია: ძირითადი ნაწილი გადაინახა / დაიზოგა ჰიჯრის 1194 წლისთვის, შემდეგ კი დანაზოგს მცირე რაოდენობით დაემატა გვიანდელი მონეტებიც, უკვე XVIII საუკუნის დასასრულისკენ.

როგორც ბოლნისის, ასევე მანავის განძებში თვალსაჩინო ჩავარდნაა: ბოლნისის კომპლექსში საერთოდ არ არის ჰიჯრის 1194-1201 წლების, მანავის განძში კი ჰიჯრის 1196-1202 წლების აბაზიანები. ლალაქედნის განძშიც შუალედური ჯგუფი ყველაზე მცირერიცხოვანია — სულ მხოლოდ 6 აბაზიანი / 8.2% — უფრო მცირერიცხოვანი, ვიდრე ადრეული ჯგუფი (13.7%). ამ მხრივ, მსგავსება სამივე განძს შორის თვალში საცემია.

მანავის განძისთვის თუ ორკომპონენტიანობას ვვარაუდობთ, ბოლნისის და ლალაქენდის განძებზე ამას ვერ ვიტყვით. იმ დაშვებითაც, რომ მანავის შედარებით ხანგრძლივი დაგროვების განძის შევსება პაუზის შემდეგ დაიწყეს,

დიაგრამა 5. ბოლნისის, მანავის, ლალაქენდის (I ჯგუფი) და ჩაჲქენდის (II ჯგუფი) განძების თარიღიანი აბაზების განაწილება წლების მიხე-დვით (აბსოლუტურ ციფრებში)



დიაგრამა 6. ბოლნისის, მანავის, ლალაქენდის (I ჯგუფი) და ჩაჲქენდის (II ჯგუფი) განძების თარიღიანი აბაზების განაწილება წლების მიხედვით (%-ებში)



მაინც, გაუგებარი რჩება, რატომ არ შეავსეს ეს კომპლექსი 1202 წლამდე გამოშვებული მონეტებით, თუკი ისინი მიმოქცევაში იღებდნენ მონაწილეობას. ხსენებულ განძებში შესაბამისი წლების აბაზიანების არარსებობა ან შედარებითი იშვიათობა (ამ წლების აბაზიანები ემპირიულადაც, თითქოს, შედარებით იშვიათია) იმ დროს მათი ემისიის შეზღუდვით ხომ არ აიხსნება? რაც, თავის მხრივ, სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებს (მაგალითად, ომარ-ხანის 1785 წლის შემოსევას) და სამთამადნო ინდუსტრიის წარმადობის ფლუქტუაციებს ხომ არ უნდა დავუკავშიროთ?

სამწუხაროა, რომ არ გვაქვს მეტი ინფორმაცია სხვა მსგავსი სამონეტო კომპლექსებისთვის, რის გამოც შედარებითი ანალიზის გაღრმავება, ამ ეტაპზე მაინც, შეუძლებელია.

შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ჩაჲქენდის განძი, რომელიც უკვე II ჯგუფს მიეკუთვნება. მისი ტეზავრაცია, როგორც ჩანს, ლალაქენდის, ბოლნისისა და მანავის განძებთან შედარებით უფრო ადრე განხორციელდა. ყველაზე გვიანდელი სირმა აბაზი ჰ. 1196 წლით არის დათარიღებული. გვაქვს პიკი ჰ. 1193 წელზე; ანუ, ჰ. 1194-1196 წლების მონეტები განძში ნაკლები რაოდენობითაა, ვიდრე ჰ. 1193 წლის მონეტა. ხომ არ მიუთითებს ეს ჰ. 1193 წელს ზარაფხანის უფრო ინტენსიურ მუშაობაზე?

საყურადღებოა ასევე ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო მიმოქცევის ამსახველი განძების ტეზავრაციის დროც. შემადგენლობის ანალიზით ტეზავრაციის დრო დგინდება 14-დან 11 სამონეტო კომპლექსისთვის; იგნორირებული გვაქვს სამი ქისა (?) — დუშეთის, ქართლის უპასპორტო და უპასპორტო III კომპლექსები, რომლებშიც (სირმა) მონეტები ძალიან მცირე რაოდენობითაა და, ამრიგად, ეს კომპლექსები, არ წარმოადგენს საკმარისად რეპრეზენტატიულ, სტატისტიკურად სარწმუნო ამონარჩევს. თერთმეტივე კომპლექსის ტეზავრაცია მოხდა XVIII საუკუნის დასასრულს, დროის ძალიან მოკლე შუალედში 1796/7 ან 1797/8 წლიდან ვიდრე 1800-იანი წლების დასაწყისამდე — ამ სამონეტო კომპლექსებში ყველაზე ახალგაზრდა მონეტაა ჰიჯრის 1211 (1796/7) და 1213 (1798/9) წლების სირმა მონეტები (და, ზოგჯერ, ასევე, 1790-იანი წლების რუსული წვრილი ვერცხლი); XIX საუკუნის მონეტები კი ამ განძებში არ არის. რამ განაპირობა სირმა თეთრის შემცველი განძების ტეზავრაცია მაინცდამაინც XVIII საუკუნის დასასრულს? საზოგადოდ, განძის არსებობა, უფრო სწორედ, ჩვენამდე განძის მოღწევის ფაქტი მიუთითებს მისი პატრონის უეცარ, მოულოდნელ გარდაცვალებაზე, რის გამოც ვერც თვითონ და ვერც მისმა შთამომავლობამ ამ განძით ვერ ისარგებლეს. ომიანობა და მოსახლეობის მაღალი (და მოულოდნელი) სიკვდილობა კი ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობას ნამდვილად არ აკლდა (თუნდაც, ლეკიანობის გამო, მტრის უფრო მასშტაბურ შემოსევებზე რომ აღარაფერი ვთქვათ); მაშ, რატომ იმატებს (?) მოულოდნელი სიკვდილობა მაინცდამაინც საუკუნეების მიჯნაზე? შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ ეს გარემოება ამ ქართული სახელმწიფოს მოსახლეთა პირადი უსაფრთხოებისა თუ უსაფრთხოდ ყოფნის შეგრძნების მკვეთრად დაქვეითების მოწმობად — დავუშვათ, გიორგი XII-ის ზეობაში მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე გახდა, უსაფრთხოების შეგრძნება კიდევ უფრო შესუსტდა და მოსახლეობამაც სახსრების გადანახვა დაიწყო, მაგრამ ბევრმა თავისი დე-

პოზიტი ველარ ამოილო?

კოჯრის II განძის ყველა მონეტა მირჩილვის კვალს ატარებს (მსგავსი განძები სახანოების ტერიტორიაზედაც არის ცნობილი, და, უეჭველი, სახანოების ეკონომიკასაც ახასიათებს - იხ. ქვემოთ); სავარაუდოდ, ღილად იყო გადაკეთებული? ეს კომპლექსი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზეა ნაპოვნი და, სავარაუდოდ, იქვე არის ფორმირებული - სახანოებიდან რომ მომდინარეობდეს, ექსკლუზიურად სირმა ტიპის თბილისისა და განჯის (ერთადერთი ცალი) აბაზიანებისგან შემდგარი, სავარაუდოდ, არ იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ ორად-ორი მონეტის გარდა, ყველა შემთხვევაში მირჩილვა გაკეთებულია მონეტის იმ მხარეს, სადაც აღნიშნულია მოჭრის ადგილი და თარიღი (და ინვოკაცია), ხოლო მეორე მხარე კი, სადაც ყურანული (თუმცა, ქრისტიანთათვისაც მისაღები) ფორმულაა, ხელუხლებლად არის დატოვებული 34 მონეტაზე (საერთო რაოდენობის 94.4%). განაწილება იმდენად ცალსახაა, რომ შემთხვევითობა ვერ იქნებოდა. ან ხელოსანი ან მისი მუშტარი მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო, და ღილებიც (?) ყურანული ფორმულის გამოსაჩენად იყო გამიზნული. შესაძლოა, ამგვარი ნაკეთობები უფრო მაჰმადიანურ მოსახლეობაში იყო გავრცელებული. ამრიგად, ეს სამონეტო კომპლექსი მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიულ-კულტუროლოგიური თვალსაზრისითაც.

*

II ჯგუფის განძები ასახავს სამონეტო მიმოქცევას სამხრეთ-კავკასიური სახანოების ტერიტორიაზე. ამ ჯგუფის 7 განძის შესწავლამ აჩვენა,[774] რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობელ კავკასიურ სახანოებში (მათ რუსეთის იმპერიის ექსპანსიამ ქართლ-კახეთის სამეფოზე რამდენადმე უფრო გვიან მოუღო ბოლო) სირმა თეთრის როლი, *თითქოს*, ბევრად უფრო მოკრძალებული იყო. გვაქვს ციფრული მონაცემები, ან, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული წარმოდგენა 7-დან 6 სამონეტო კომპლექსისთვის (ერევნის II კომპლექსი ძალიან პატარაა, და, უდიდესი ალბათობით, მხოლოდ ფრაგმენტულად გახდა ცნობილი, ამიტომ მისი იგნორირება ვამჯობინეთ). ამ 6 სამონეტო კომპლექსში კი სირმა თეთრის ხვედრითი წილი მერყეობს საკმაოდ ფართო ფარგლებში: იდენტიფიცირებული ვერცხლის მონეტების საერთო რაოდენობის 0.98% (ყარაბაღის II განძი) — 85% (ერევნის I განძი) / „მნიშვნელოვანი რაოდენობით" (დარალაგიოზის განძი). თუმცა, ჩვეულებრივ, ის არცთუ ძალიან მაღალია: ჩაიქენდის განძი: 5.8%, სოვეტაშენის: 13.3%, ყარაბაღის I: 25%? (5 კომპლექსის მიხედვით — დარალაგიოზის განძის გარდა, რომლისთვისაც ციფრები არ გვაქვს — სირმა თეთრის / აბაზიანების შეწონილი სიხშირეა საერთო რაოდენობის 10.6%, ან, იგივე 10.6% სოვეტაშენის განძის გარეშე, რომელიც სხვა ნომინალის სირმა ვერცხლს შეიცავდა). რეალური ციფრი ბევრად უფრო დაბალი უნდა იყოს, ვინაიდან წინამდებარე ანალიზში არ არის გათვალისწინებული სახანოების მონეტების შემცველი ის მრავალრიცხოვანი განძები, რომლებშიც სირმა თეთრი არ შედიოდა.

---

774 ფაღავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის შემცველი სამონეტო კომპლექსების მეტა-ანალიზი" / Paghava, "Meta-Analysis of Monetary Complexes Comprising Sirma Tetri of the Kingdom of Kartl-Kakheti", 53-54.

როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებს მიღმა, კავკასიის სხვა რეგიონებში, ქართულ სირმა საფასეს აქტიურ კონკურენციას უწევდა სახანოების თეთრი (არეზის ჩრდილოეთით ყველაზე აქტიური და სტაბილური ემიტენტები: განჯისა და შირვანის, შემდგომში, ასევე, ნუხისა და ყარაბაღის სახანოები).

თუმცა, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ სახანოების ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძები ამ სახანოებში სირმა თეთრის გავრცელებასა და როლს ადეკვატურად არ ასახავს. ამაზე ირიბად მიუთითებს II ჯგუფის განძებში სირმა თეთრის ხვედრითი წილის ძალიან მაღალი მერყეობაც (IIა და IIბ ჯგუფის განძები ამ მხრივ ერთმანეთისგან, თითქოს, არ განსხვავდებიან), რაც ართულებს დასკვნების გამოტანას, ვინაიდან საშუალო არ არის ამონარჩევისთვის რეპრეზენტატიული (დიაგრამა 7).

ჩვენი აზრით, სახანოებში სირმა თეთრის მიმოქცევა არ იყო აკრძალული, მაგრამ, მაღალი სინჯის ვერცხლისგან დამზადებული სირმა აბაზიანები წარმოადგენდნენ ძვირფასი ლითონის, ანუ, საკუთარი საფასის საწარმოებლად აუცილებელი ნედლეულის ძირითად წყაროს — მათი უმრავლესობა გადადნობას ემსხვერპლა.

სხვათა შორის, როგორც ჩანს, მეზობელ სახანოებში გაედინებოდა არა მარტო სირმა ვერცხლი, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის ფულიც. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის მონეტა გადაჭედილი განჯის სახანოს მონეტად.[775] ეს გარემოება არც უნდა იყოს გასაკვირი, — ირაკლი II-ის მიერ შექმნილმა სამთამადნო ინდუსტრიამ ქართლ-კახეთის სამეფო ხომ რეგიონში არა მარტო ვერცხლის, არამედ, ასევე, სპილენძის უმნიშვნელოვანეს ექსპორტიორად აქცია.

სახანოებში სირმა თეთრის გავრცელების კუთხით, საგულისხმოა, რომ, დავით კაპანაძის აზრით, სირმა თეთრის მინაბაძები იჭრებოდა ნუხის სახანოში.[776] ცნობილია განჯის სახანოში მოჭრილი, სირმა თეთრის ტიპის ვერცხლის მონეტებიც.[777] ამ ტიპის მონეტებს საგანგებოდ შემდეგ თავში განვიხილავთ.

საყურადღებოა, რომ I ჯგუფის განძების მსგავსად, II ჯგუფის განძებშიც სირმა მონეტებიდან ცალსახად დომინირებს ნომინალი აბაზი; სოვეტაშენის განძს თუ არ ჩავთვლით, მისი ხვედრითი წილი უდრის 100%-ს (დიაგრამა 9).

მცირე ნომინალები კი სახანოების ტერიტორიაზე ტეზავრირებულ განძებში საერთოდ არ გვხვდება.

სამაგიეროდ (და აქ აშკარა სხვაობაა ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე ტეზავრირებულ განძებთან) გვაქვს სოვეტაშენის განძი, სადაც ორივე

775 Irakli Paghava, "New Data on the Copper Coinage of the Ganja Khanate (Lion Left Type of AH 1187; Restriking Georgian Copper Coins)", *Journal of Oriental Numismatic Society*, 228 (2016), 27-28.

776 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 100; Капанадзе, Грузинская нумизматика, 101; კაპანაძე, *წარსულის მაცნეები*, 132-133; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 159-160, ტაბ. XIX, №235; Капанадзе, "Комментарии", 341, К стр. 237.

777 Cf. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 100-101, ტაბ. XV, №191; Капанадзе, Грузинская нумизматика, 101, *Таб.* XV, №191; კაპანაძე, *წარსულის მაცნეები*, 133; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 159-160, ტაბ. XIX, №236-237; Капанадзе, "Комментарии", 341, К стр. 237.

სირმა მონეტა მსხვილი (*1½ აბაზის*) ნომინალისაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმის განხილვისას (vide supra), სავარაუდოდ, ეს იყო საგანგებო, ექვსდანგიანი გარდამავალი ნომინალი, ქართლ-კახეთის სამეფოს ოთხდანგიან აბაზსა და თაბრიზის სახანოს ექვსდანგიანი ʻაბბასის ნომინალის მონეტებს შორის; და მისი გამოშვება სამხრეთ მეზობლებთან, სამხრეთის მიმართულებით, ანუ, თაბრიზთან, ირანთან ვაჭრობის გასაადვილებლად განხორციელდა[778] (იხ. თავი V).

ამასთანავე, დანარჩენ განძებში სირმა აბაზის პრაქტიკულად უცილობელი დომინირება მიუთითებს ქართლ-კახეთის სამეფოს საერთაშორისო გარიგებებისთვის მაინც სწორედ ამ ნომინალის უპირატეს მნიშვნელობაზე. ყოველ შემთხვევაში, ჰიჯრის 1190 წლის (1776/7) შემდეგ, როდესაც შეწყდა აბაზნახევრიანი ნომინალის სირმა მონეტების გამოშვება, სირმა თეთრის ძირითადი საექსპორტო (ისევე როგორც სახელმწიფოს შიგნით სატრიალო) ნომინალი გახდა *აბაზი*.

აღსანიშნავია, რომ, ზემოთ განხილული და ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე ფორმირებული კოჯრის II განძის მსგავსად, ერევნის II სამონეტო კომპლექსის ოთხივე ეგზემპლარი, ასევე, მირჩილვის კვალს ატარებს; და, ამ სამონეტო კომპლექსის შეემთხვევაშიც, ოთხივე (100%) შემთხვევაში მხარე ყურანული ფორმულით ხელუხლებლად არის დატოვებული. ამ ფაქტს იმავე ინტერპრეტაციას მივცემდით, რაც კოჯრის II განძის შემთხვევაში (vide supra).

საზოგადოდ, დეფექტური მონეტების (ნახვრეტებით, მირჩილვის კვალითა და მირჩილული ყუნწებით) ტეზავრაცია არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვერცხლისგან დამზადებულ მონეტებს შინაგანი ღირებულება გააჩნდათ, რომელიც სწორედ მათი ძვირფასი ლითონისგან დამზადებით იყო განპირობებული. ძვირფასი ლითონის მონეტები, თუნდაც მონეტარული ფორმის ნაწილობრივ დაკარგვის შემთხვევაშიც კი (დეფექტებისა და მირჩილვის კვალის მიუხედავად), ერთგვარ ვერცხლის ზოდებს წარმოადგენდნენ, და შეეძლოთ საქონელ-ფულის ფუნქცია მაინც შეესრულებინათ, ფულის თუ არა.

*

III ჯგუფი მხოლოდ სამ განძს აერთიანებს, რომლებიც ასახავენ სამონეტო მიმოქცევას ქართლ-კახეთის, საზოგადოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. კვლევამ[779] აჩვენა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიისა და სირმა თეთრის ემისიის შეწყვეტის შემდეგ, რუსეთის იმპერიის მონეტების (პოლონურ-რუსულისა და ქართულ-რუსულის ჩათვლით) მომრავლების პარალელურად, სირმების როლი და წილი ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევაში დაკნინდა; ეს ბუნებრივიც იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სირმა საფასეს ეკონომიკური მნიშვნელობა სრულად ჯერ კიდევ ძალიან დიდი დროის განმავლობაში არ დაუკარგავს. 1840-იან წლებშიც კი ტეზავრირებულ ორ განძში

778 ფაღავა, „ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა", 354-355.

779 ფაღავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის შემცველი სამონეტო კომპლექსების მეტა-ანალიზი" / Paghava, "Meta-Analysis of Monetary Complexes Comprising Sirma Tetri of the Kingdom of Kartl-Kakheti", 54-55.

დიაგრამა 7. სირმა თეთრის პროცენტული წილი (მონეტების რაოდენობით) კავკასიური სახანოების ფულადი მიმოქცევის ამსახველ განძებში (II ჯგუფი)




დიაგრამა 8. სირმა თეთრის პროცენტული წილი (მონეტების რაოდენობით) 1801 წ. ანექსიის შემდგომ ქართლ-კახეთში ფულადი მიმოქცევის ამსახველ განძებში (III ჯგუფი)



დიაგრამა 9. I, II და III ჯგუფის განძებში შემავალი სირმა თეთრის განაწილება ნომინალების მიხედვით



(ფხოველისა და კოჯრის I) სირმა თეთრის ხვედრითი წილი (საერთო რაოდენობიდან) არის 7.2 და 8.3%; უფრო მეტიც - 1880-იანი წლების დასაწყისში ტეზავრირებულ ფასანაურის განძში ის უდრის 26.0%-ს (sic) (დიაგრამა 8).

განძები ძალიან კარგად კორელირებს ხელმისაწვდომ დოკუმენტებთან.

ფულად ბაზარზე სირმა თეთრის პერსისტირებას ადასტურებს 1851 და 1853 წლების ნასყიდობის ორი სიგელი, რომელთა მიხედვით, გარიგება წარმოებდა, სხვა საფასესთან ერთად, სირმა ვერცხლითაც. საბუთების შინაარსი გადმოცემულია რევაზ ქებულაძის პუბლიკაციებში:

> „პირველი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც შედგენილია 1851 წელს, სოფ. წინსოფლის მცხოვრებს, საბატონო ყმას, ოსიკ ხიხაძეს სოფ. ღოლელაურას მცხოვრებლებისაგან, აზნაურების გიგა და სპირიდონ წერეთლებისაგან შეუძენია ადგილ-მამული შვიდ თუმნად ქართული თეთრითა და სირმა-ვერცხლით. მეორე დოკუმენტში საუბარია იმავე ოსიკ ხიხაძის მიერ 1853 წელს სოფ. კოლბეურას მცხოვრებლებისაგან გრიგოლ და გიორგი მაჭარაშვილებისა და მათი ბიძაშვილის ნანია პეტრეს ძისაგან, ოცდაათ მანეთად ქალაქის (თბილისის) სირმა-ვერცხლით „საპარტახო" მამულის ყიდვის შესახებ."[780]

პაატა გუგუშვილმა მიაქცია ყურადღება რუსეთის იმპერიის ოფიციალურ საბუთებს, რომლებიც შეიცავს უკიდურესად მნიშვნელოვან ცნობებს ანექსირებული ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის საფასის მიმოქცევას შესახებ.[781] 1851 წლის ცნობით, თბილისის გუბერნიაში „ქართველ მეფეთა დროინდელი მონეტები" რჩებოდა მიმოქცევაში 48,750 რუბლამდე ოდენობით (ამას უნდა დაემატოს ისტორიულ საქართველოში, აღმოსავლეთ კახეთში, კერძოდ, ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქში მიმოქცევაში მყოფი 6,390 რუბლის მონეტებიც).[782] სულ, გამოდის 55,140 მანეთი; ანუ, თუ, პირობითად, ჩავთვლით, რომ ეს ფულადი მასა აბაზიანებისგან შედგებოდა (რაც სინამდვილესთან მიახლოებული უნდა იყოს), — 275,700 სირმა აბაზი (აბაზი 1801 წლის შემდგომ 20 კაპიკთან იყო გაიგივებული, რუბლი / მანეთი კი = 100 კაპიკს).

1840-იან წლებში და 1850-იანი წლების დასაწყისში რუსულმა ადმინისტრაციამ სცადა სირმა თეთრის ამოღება მიმოქცევიდან, მაგრამ, ფასანაურის განძი როგორც გვიჩვენებს, წარმატებას რუსებმა მხოლოდ ნაწილობრივ თუ მიაღწიეს.[783]

---

780 ქებულაძე, „სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში", 759; ქებულაძე, „ფხოველის განძი", 120. საქართველოს ნუმიზმატიკური ისტორიისათვის ამ უკიდურესად დიდი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტური მასალა რევაზ ქებულაძეს დავით კაპანაძემ მიაწოდა. ქებულაძე, „სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში", 759. ერთ-ერთი საბუთი თავის ნაშრომში დავით კაპანაძემაც მოიხსენია, ოღონდ, 1852 წლით დაათარიღა. Капанадзе, "Комментарии", 342, К стр. 250.

781 გუგუშვილი, *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში*, 86.

782 იქვე.

783 იქვე, 83-88; ქებულაძე, „სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში", 758-759.

ნომინალების განაწილების მხრივ ყურადღებას იპყრობს, რომ 1840-იანი წლების განძებში წარმოდგენილია მხოლოდ სირმა აბაზი (100%); ხოლო 1880-იანი წლების ფასანაურის განძში კი წარმოდგენილია ოთხივე ცნობილი ნომინალის მონეტები, მათ შორის 9 ცალი ნახევარმარჩილიანი (ფასანაურის განძის გარდა, ამ ნომინალის სირმა მონეტების ტეზავრაციის ერთადერთი შემთხვევა სოვეტაშენის განძია) (იხ. დიაგრამა 9). შესაძლოა, განძი ხანგრძლივი (საეკლესიო / სალოცავის კუთვნილი?) დაგროვების იყოს, და ტეზავრაციისთვის გადაარჩიეს როგორც შეწირული მცირე ნომინალის მონეტები, ასევე მსხვილწონიანი დიდი ნომინალის სირმები; საყურადღებოა, რომ ამ განძში, სირმა აბაზიანებთან ერთად, შედის ასევე ეკატერინე II-ს 1760-იანი წლების რუბლიანებიც (სამწუხაროდ, განძის აღმოჩენის გარემოებები და არქეოლოგიური კონტექსტი ჩვენთვის უცნობია).

საქართველოს აღმოსავლეთი პროვინციების ტერიტორიაზე სირმა თეთრის ასეთი გამოხატული პერსისტირების მიზეზს უნდა წარმოადგენდეს ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილი მონეტების რაოდენობა, და მაღალი სინჯი.

ადგილობრივი ეკონომიკისთვის სირმა თეთრის მნიშვნელობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ 1804 წელს რუსების მიერ თბილისში გახსნილი ზარაფხანის მიერ გამოშვებული ე.წ. ქართულ-რუსული მონეტების სინჯი და წონითი სტანდარტი სწორედ სირმა თეთრის მეტროლოგიის გათვალისწინებით შეარჩიეს (იხ. თავი X).[784]

*

IV ჯგუფი ჯერჯერობით მხოლოდ 3 განძს მოიცავს. თუმცა, მათი ისტორიული მნიშვნელობა, მაინც, საკმაოდ საგულისხმოა.[785]

ამასთანავე, ეს სამი სამონეტო კომპლექსი სხვადასხვა ეპოქის სამონეტო მიმოქცევას ასახავს: სოხუმის განძი — უკვე რუსების მიერ იმერეთის სამეფოს ანექსიის შემდგომ მდგომარეობას; ზარათის და მანდაეთის განძები კი — მდგომარეობას XVIII საუკუნის დასასრულის თუ XIX საუკუნის პირველი ათწლეულის ჯერ კიდევ ასე თუ ისე დამოუკიდებელ იმერეთის სამეფოში.

1899 წელს, საქართველოს ზღვისპირეთში, კერძოდ, ქალაქ სოხუმში აღმოჩენილი სამონეტო კომპლექსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1820-იანი წლების დასასრულს თუ 1830-იან წლებში უნდა იყოს ტეზავრირებული. სამწუხაროდ, მისი შემადგენლობა მხოლოდ ნაწილობრივ გახდა ცნობილი.

ყურადსაღებია საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშიც კი, ანუ ემისიის ცენტრიდან საკმაო დაშორებაზე, განჯის სახანოს 'აბბასიანების შეღწევა-მიმოქცევა.

ზარათის 1892 წლის განძის შემადგენლობა სრულად და მეტ-ნაკლებად დეტალურად არის ცნობილი. ყოველ შემთხვევაში, სხვადასხვა ტიპის საფასის ხვედრითი წილი მეტ-ნაკლებად მაინც გარკვეულია. ძალიან საყურადღებოა, რომ თითქმის 8 თუ 9 კგ ვერცხლის მონეტების შემცველ განძში შედიოდა სულ,

784 Пахомов, *Монеты Грузии*, 1970, 271-272.

785 Cf. ფაღავა, "ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის შემცველი სამონეტო კომპლექსების მეტა-ანალიზი" / Paghava, "Meta-Analysis of Monetary Complexes Comprising Sirma Tetri of the Kingdom of Kartl-Kakheti", 55-56.

მხოლოდ და მხოლოდ, 3 სირმა აბაზი, სავარაუდო ჯამური მასით 9 გ (7.83 ან 8.74 კგ-იდან), ანუ, მასით, განძის მხოლოდ 0.11, ან, 0.10% (ვერცხლის შემადგენლობით ოდნავ მეტი, ფარას დაბალი და სირმების მაღალი სინჯის გათვალისწინებით).

იგივენაირად დაბალია სირმა თეთრის ხვედრითი წილი მანდაეთის განძშიც — მხოლოდ 0.37%, ერთადერთი მონეტა 270-დან.

საყურადღებოა ასევე, რომ სამივე კომპლექსის შემთხვევაშიც სირმა მონეტები ექსკლუზიურად აბაზის ნომინალით არის წარმოდგენილი; ანუ, დასავლეთ საქართველოშიც ეს ნომინალი „დომინირებს".

განძების სიმწირის პირობებში, დასავლეთ საქართველოში სირმა თეთრის მიმოქცევის შესასწავლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ნარატიული და დოკუმენტური ცნობები იძენენ.

სწორედ დოკუმენტური ცნობები ცალსახად ადასტურებენ ირაკლი II-ისა და გიორგი XII-ის სირმა აბაზიანების დასავლეთ საქართველოში მიმოქცევას; ოღონდ, XIX საუკუნეში, უკვე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. თუ თბილისის გუბერნიაში, რომელიც მეტ-ნაკლებად ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიას მოიცავდა, 1851 წლისთვის მიმოქცევაში რჩებოდა 48,750 რუბლის თანხის სირმა თეთრი (საფიქრებელია, მეტწილად, აბაზის ნომინალის მქონე საფასის სახით), ქუთაისის გუბერნიისათვის ეს რიცხვი ბევრად ნაკლები არ იყო - და შეადგენდა 22,000 რუბლს, ანუ, თბილისის გუბერნიისთვის მითითებული თანხის ნახევარზე ოდნავ ნაკლებს.[786]

თუმცა, ეს პირველწყარო შედარებით გვიანდელ პერიოდს ასახავს.

სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია იმდენად ზუსტი, დოკუმენტური ინფორმაცია XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედზე, ანუ, იმ პერიოდზე, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო ჯერ კიდევ არსებობდა და სირმა თეთრზე დაფუძნებული ეკონომიკა ჰქონდა. რამდენად აქტიურად მიმოიქცეოდა სირმა თეთრი თუნდაც იმერეთის სამეფოში (ვიწრო გაგებით), რაჭის ჩათვლით?

თუმცა, შეგვიძლია მოვიშველიოთ 1808 წელს (ქორონიკონს ჩყჶ) ჯერ კიდევ დამოუკიდებელ იმერეთის სამეფოში შედგენილი საბუთი, რომელსაც თავად სოლომონ II ამოწმებს. მასში (სირმა) აბაზი მხოლოდ ორჯერ არის მოხსენიებული, შაურიც ორჯერ. უმეტესწილად მაინც ოსმალური მონეტებია მითითებული.[787]

ძალიან საინტერესოა ასევე ნარატიული წყაროც, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მოწმობა. გერმანელი ავტორი ჯერ აღნიშნავს, რომ:

> „Die in Imeretien, Mingrelien und Guria gangbare Münzen sind, weil der imeretische Zaar, der Dadian und Guriel kein Geld prägen lassen, folgende türkische Münzsorten.
>
> […]

786 გუგუშვილი, *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში*, 86.

787 ბერძენიშვილი (მასალები შეარჩია და გამოსცა), *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი I (ხელფასი, ქირა, ფასები)*, 261-263; ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით*, 136.

Sehr selten ist:
19. Teflisische Abas oder 16 Pary und
20. Tschauri oder 4 Pary.“[788]

„ვინაიდან იმერეთის მეფე, დადიანი და გურიელი ფულს არ ჭრიან, იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში თურქული მონეტების შემდეგი სახეობები მიმოიქცევა:

[...]

ძალიან იშვიათია:
19. თბილისური აბაზი, ანუ, 16 ფარი [ფარა — ი.ფ.], და
20. შაური, ანუ, 4 ფარი [ფარა — ი.ფ.].”[789]

იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მიხედვით, დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში თუ 1760-იან - 1770-იან წლებში მაინც, გაბატონებულია ოსმალური საფასე.[790] ზარათისა და მანდაეთის განძებიც იგივეზე მეტყველებს. საზოგადოდ, სავსებით ლოგიკურია, რომ საქართველოს (ყოველ შემთხვევაში, საქართველოს სსრ-ის) ტერიტორიაზე ოსმალური მონეტებისა და განძების აღმოჩენები ქვეყნის დასავლეთ რეგიონებშია კონცენტრირებული.[791]

თბილური სირმა აბაზიანები (და შაურები!) კი, გიულდენშტედტის მიხედვით, „ძალიან იშვიათია”, რაც სრულად შეესაბამება IV ჯგუფის განძების შემადგენლობის ანალიზის შედეგებს.

საინტერესოა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში, კერძოდ, ალავერდის სპილენძსადნობ ქარხანაში იმერელთა შრომითი მიგრაციის[792] მიუხედავად სირმა საფასე იმერეთში, ჩანს, ნაკლებად შემოდის.

ამასთანავე, XIX საუკუნის I ნახევარში იმერეთისა და, საზოგადოდ, დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევაში სირმა თეთრი უკვე აქტიურად მონაწილეობს. ერთგვარი შეუსაბამობაა XIX საუკუნის დოკუმენტურ მასალას, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ზარათისა და მანდაეთის განძისა და იოჰან გიულდენშტედტის მონაცემებს შორის, რომლებიც XVIII საუკუნის უკანასკნელი მესამედისა და XIX საუკუნის პირველი ათწლეულის მდგომარეობას ასახავენ.

არ არის გამორიცხული, რომ სირმა თეთრი ლიხთიმერეთში უფრო აქტიურად გადასვლას, ნაწილობრივ მაინც, 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს

788 გიულდენშტედტი, *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი* (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), 282, 284, 286.

789 თარგმანი ჩვენია. იხ. ასევე გია გელაშვილის თარგმანიც. იქვე, 283, 285, 287.

790 იქვე, 282-287.

791 ანთაძე, *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით*, 76-83, 98-108, 110-122, 131-136.

792 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №44, 79; №45, 97. გოგოლაძე, *სამთამადნო, სამთო - საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII - XIX სს)*, 15.

ანექსიის შემდეგ იწყებს. იქამდე კი ადგილობრივ სირმა თეთრი ფულად ბაზარზე მეტად მოკრძალებულ როლს თამაშობდა.

ვფიქრობთ, დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევა XVIII საუკუნის II ნახევარში და XIX საუკუნის I ნახევარში დამატებით კვლევას საჭიროებს.

***

ასეთია, დღევანდელი მდგომარეობით, სირმა თეთრის მიმოქცევის შესწავლის შედეგები.

ვფიქრობთ, ნათელია, რომ ამ ქართულ საფასეს XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში — XIX საუკუნის I ნახევარში, ქართლ-კახეთის სამეფოსა და, საზოგადოდ, ამიერკავკასიის რეგიონში უკიდურესად მნიშვნელოვანი ეკონომიკური როლი ეკისრებოდა.

# თავი X. მინაბაძები

სტაბილურად მაღალი სინჯის, უცვლელი და ისლამური დიზაინის, ხარისხიანად, და, ჩანს, საკმაოდ მაღალი ტირაჟებით გამოშვებული სირმა თეთრი იმდენად პოპულარულ და სანდო ვალუტად იქცა, იმდენად კარგი სახელი დაიმკვიდრა, რომ მისი ზეგავლენის არეალი ქართლ-კახეთის სამეფოს გეოგრაფიულ და ქრონოლოგიურ საზღვრებს გასცდა. სირმა თეთრის *მიბაძვით* მონეტები მოიჭრა როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობლად, ასევე, თბილისში, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიის შემდეგ.

რასაკვირველია, თავისთავად, სირმა თეთრს არ წარმოადგენენ, მაგრამ, სირმა თეთრის მინაბაძების განხილვა-ანალიზის გარეშე სირმა თეთრის ისტორიული ფენომენის კვლევა დაუსრულებელი დაგვრჩებოდა.

სანამ სირმა თეთრის მიბაძვით მოჭრილი მონეტების ცალკეული ჯგუფების განხილვაზე გადავიდოდით, ტერმინოლოგიურ წიაღსვლას გავაკეთებთ. *მინაბაძი* არ არის ცალსახა ცნება, და სხვადასხვა ტიპის საფასეს გულისხმობს; ამასთანავე, ვარიაციის დიაპაზონი დიდია — *მინაბაძი* ეწოდება, როგორც წესი, რაიმე *ხელისუფლების მიერ გამოშვებულ* (და არა იმდროინდელი გამყალბებლების დამზადებულ) სხვადასხვა ტიპის საფასეს:

- წარმოების ქრონოლოგიური თუ გეოგრაფიული თვალსაზრისით არაორიგინალურ ცენტრში დამზადებულ, მეტროლოგიურად და გარეგნულად ორიგინალის მეტ-ნაკლებად იდენტურ მონეტებს;
- წარმოების ქრონოლოგიური თუ გეოგრაფიული თვალსაზრისით არაორიგინალურ ცენტრში დამზადებულ მონეტას, რომელიც ორიგინალურს ბაძავს, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ჩვეულებრივ, ნაკლულია (მასისა და სინჯის, იკონოგრაფია-ეპიგრაფიკის, ასევე, დამზადების ტექნიკის მხრივ);
- წარმოების ქრონოლოგიური თუ გეოგრაფიული თვალსაზრისით არაორიგინალურ ცენტრში დამზადებულ მონეტას, რომელიც მეტ-ნაკლებად ორიგინალურ საფასედ ჩაიფიქრეს, მაგრამ, მასში შეგნებულად (თუ შეუგნებლად) გაიმეორეს ორიგინალური საფასის რაღაც მახასიათებელი (მეტროლოგიური, — დავუშვათ, სინჯი ან/და მასა; ან გარეგნული — იკონოგრაფიულ-ეპიგრაფიკული გაფორმება); ანუ, ორიგინალურ საფასეს მაინც რაღაცაში მიბაძეს.

გარდა ამისა, გამოვყოფდით

- საიუველირო მინაბაძებსაც. ეს არის კატეგორია მონეტებისა, რომელიც რაღაცით ორიგინალს ემსგავსებოდა, და კერძო პირთა (ხელოსანთა) მიერ სამკაულის ფუნქციის შესასრულებლად მზადდებოდა.

სირმა თეთრის მინაბაძებიც რამდენიმე ჯგუფად ერთიანდება. სათითაოდ განვიხილავთ.

*

დავით კაპანაძე გამოჰყოფდა მინაბაძების ჯგუფს, რომლებიც „უფრო უხეშია, მდარე სინჯისა და დაბალი წონისაც არის”.[793] მისივე თქმით, „ფიქრობენ”, რომ ეს მიმბაძველობითი მონეტები ნუხის სახანოში იჭრებოდა.[794] სამწუხაროდ, პატივცემული მეცნიერი არ აზუსტებს, თუ ვინ ფიქრობდა ამას; არც ინფორმაციის წყაროს უთითებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამას თავად ფიქრობდა? საილუსტრაციო მასალად თავისი *ქართული ნუმიზმატიკის* ერთ-ერთ გამოცემაში დავით კაპანაძეს მოყვანილი აქვს ერთი ესეთი მონეტის გამოსახულებაც.[795] სამწუხაროდ, ნაშრომის ფოტოილუსტრაციები, ხელმისაწვდომი პოლიგრაფიული ბაზის დონიდან გამომდინარე, იმდენად მდარე ხარისხისაა, რომ მონეტაზე მსჯელობა შეუძლებელია; ხოლო მონეტის წარმომავლობა თუ პოვნის ადგილი, ან, ამჟამინდელი ადგილმდებარეობა მაინც, ნაშრომში, სამწუხაროდ, მითითებული არ არის. აქედან გამომდინარე, გვიწევს ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ამ უხარისხო ფოტოსურათით: ცალ მხარეს, თითქოს, აღნიშნულია მოჭრის ადგილი თბილისი (تفل...?) არაბულად (კალიგრაფია მდარეა); ცალი მხარე დიზაინით მეტ-ნაკლებად მიემსგავსება სირმა უზალთუნებსა და შაურებს, მეორე კი უჩვეულოა; მონეტის კიდეები უსწორმასწოროა (რაც, ზოგჯერ, ორიგინალურ სირმა თეთრის მცირე ნომინალებსაც ახასიათებს). აი მეორე მხარე კი ძალიან ცუდად ჩანს და გაუგებარიცაა; თითქოს, რაღაც წარწერებია — არაბული? დიზაინი სირმა თეთრისგან განსხვავებულია?

ფაქტობრივად, სულ ეს არის, რაც ვიცით სირმა თეთრის ამ, დავით კაპანაძის მიერ ცალკე ჯგუფად გამოყოფილი მინაბაძების შესახებ. მათ არსებობას, თითქოს, დავით კაპანაძის ნაშრომში მოყვანილი ილუსტრაცია ადასტურებს. მაგრამ, პირადად ჩვენ მსგავსი მონეტა არასდროს შეგვხვედრია და არც მის შესახებ რაიმე პუბლიკაციას ვიცნობთ; ასე რომ, ვერაფერს დავამატებთ.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რამდენადმე სათუოდ გვეჩვენება ამ მინაბაძების მიკუთვნება მაინცდამაინც ნუხის სახანოსადმი. ვერ გამოვრიცხავთ მათ დამზადებას, თუნდაც, დაღესტანში, სადაც საკმაოდ აქტიურად აყალბებდნენ (თუ ბაძავდნენ) რეგიონისთვის ცნობილ სხვადასხვა ტიპის საფასეს (აულ კუბაჩიში; შესაძლოა, სხვაგანაც).[796] ამ საკითხის გარკვევაში დაგვეხმარებოდა ამგვარი მინაბაძების აღმოჩენების არეალის დადგენა. მაგრამ, საქმეც იმაშია, რომ ამგვარი მინაბაძების აღმოჩენის ფაქტების შესახებ არაფერი ვიცით.

*

აღვწერთ კიდევ ერთ მინაბაძს, რომელიც, როგორც ჩანს, სირმა აბაზიან-

793 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 100; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 159-160, ტაბ. XIX, №235. Cf. Капанадзе, Грузинская нумизматика, 101; კაპანაძე, *წარსულის მაცნეები*, 132-133; Капанадзе, “Комментарии”, 341, К стр. 237.

794 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 100; კაპანაძე, *წარსულის მაცნეები*, 132-133 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 159-160, ტაბ. XIX, №235. Cf. “Как полагают”. Капанадзе, Грузинская нумизматика, 101; Капанадзе, “Комментарии”, 341, К стр. 237.

795 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 159-160, ტაბ. XIX, №235.

796 Пагава, *Нумизматическое прошлое Дагестана и Грузии*, 98-116, 145-149.

ისა და აბაზნახევრიანის ელემენტების გამოყენებით დამზადდა.[797] მოვიყვანთ ამ მონეტის აღწერილობას (სურ. X.1, მასა 0.85 გ — მირჩილვის კვალი ეტყობა, კვეთა 12-15 მმ, სიქების თანაფარდობა 11:30-ზე):



სურ. X.1. ქარიმ-ხან ზენდის ინვოკაციის მატარებელი თბილური მონეტის მინაბაძი

**შუბლი**: ضرب تفلیس

ირგვლივ ხაზოვანი რკალია, რომლის გარეთაც სამწერტილებისგან შემდგარი ჯაჭვია; სამწერტილებისგან შემდგარი სამკუთხედები წვერით ცენტრისკენულად არის მიმართული, და არა ცენტრიდანულად, როგორც ეს ორიგინალურ სირმა აბაზიანებზეა.

**ზურგი**: როგორც ჩანს, შიიტური რელიგიური ფორმულა (ცალკეული გრაფემების წაგრძელებული ელემენტები გამყოფი ხაზების როლს ასრულებს) — لا اله الا الله محمد رسول الله علی ولی الله

ყურადღებას იპყრობს აშკარად ანომალური ნიშნები: ზედწერილების, მათ შორის, სიტყვა *თბილისის* მდარე კალიგრაფია; ლითონის, ვიზუალურად, აშკარად, დაბალი სინჯი (?); შუბლის ზედწერილები *ნასხით* არის შესრულებული, როგორც აბაზიანებსა და აბაზნახევრიანებზეა. გარეთა კომპლექსური რკალი სამწერილებისგან არის შემდგარი (დიზაინის სწორედ ეს უნიკალური ელემენტი მიუთითებს სირმა თეთრის მიბაძვაზე), როგორც სირმა აბაზიანებზეა, მაგრამ მოჭრის ადგილი ფიგურულ კარტუშში კი არ არის მოთავსებული, არამედ, უბრალოდ წრიულ რკალში, რაც აბაზნახევრიანების დიზაინს შეესაბამება; ამასთანავე, არტეფაქტის მასა მხოლოდ და მხოლოდ 0.85 გრამია (სირმა შაურის ნორმატიული მასა 1 დანგია, ანუ, 0.768 გ; აბაზიანისა და აბაზნახევრიანის, შესაბამისად, ოთხჯერ და ექვსჯერ მეტი); მონეტაზე შიიტური რელიგიური ფორმულაა; ხოლო ინვოკაცია یا کریم კი არ ჩანს.

ბუნებრივია, ზემოთ აღწერილი მახასიათებლებიდან გამომდინარე, ეს არ-

797 პირველადი პუბლიკაციისთვის იხ. Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 233-234. წინამდებარე ნაშრომში აღნიშნული არტეფაქტი სხვანაირად არის ინტერპრეტირებული.

ტეფაქტი ქართლ-კახეთის სამეფოს თბილისის ზარაფხანის ნაწარმი ვერ იქნება. ჩვენი აზრით, აშკარად, მინაბაძია, რომელიც აერთიანებს როგორც სირმა თეთრის (სამწერტილებისგან შემდგარი რკალი), ასევე, წინარე, ქარიმ-ხან ზენდის სახელით მოჭრილი თბილური საფასის ელემენტებს (შიიტური ფორმულა).

ამის საფუძველზე გამოვთქვამდით ვარაუდს, რომ ეს მინაბაძი უფრო 1760-1770-იან წლებში დამზადდებოდა, სანამ სირმის გაჩენის წინარე საფასე ადგილობრივ სამონეტო ბაზარზე გარკვეულ როლს ჯერ კიდევ თამაშობდა.

ისიც კი საკითხავია, ეს ჰიბრიდული მინაბაძი რაიმე ხელისუფლების (რომელიმე სახანოს?) მიერ არის წარმოებული, თუ კერძო პირის ნამოქმედარია, და, ფაქტობრივად, იმდროინდელი ყალბი მონეტაა და არა მინაბაძი.

*

კიდევ უფრო დეგრადირებულად უნდა ჩაითვალოს ე.წ. **საიუველირო მინაბაძები**. ამ არტეფაქტებს, ჩანს, სამკაულის როლის შესასრულებლად ამზადებდნენ, და არა სამონეტო მიმოქცევაში ჩასართველად.

განვიხილავთ *ხუთ* მონეტისმაგვარ არტეფაქტს, რომელთაც წლების წინ თბილისში, კერძო კოლექციაში გავეცანით, და, საფიქრებელია, ერთი და იგივე *მონისტოდან* იყო ჩამოხსნილი (ყუნწების იდენტობა და ერთად გაყიდვის ფაქტი საზიარო წარმომავლობაზე მიუთითებს).

1) განჯის სახანოს, D ტიპის[798] ‘აბბასის მინაბაძი (სურ. X.2); შეადარეთ ორიგინალური ‘აბბასის გამოსახულებას (სურ. X.3). ყველა ლეგენდა და დიზაინის (წერტილოვანი) ელემენტი დეგრადირებულია. მასა (ყუნწითა და მირჩილვით) 1.80 გ, კვეთა 19.5 მმ, სიქების თანაფარდობა 5:30. ლითონი?



სურ. X.2. განჯის სახანოს D ტიპის ‘აბბასის საიუველირო მინაბაძი



სურ. X.3. განჯის სახანო, განჯა, D ტიპის ‘აბბასი, ჰ. 1189 წ.

**შუბლი**: შიიტური მიმართვა *დაფარული იმამისადმი*

يا صاحب الزمان

*ჰოი, დროის უფალო*

ირგვლივ ხაზოვანი, შემდეგ წერტილოვანი რკალები.

798 ტიპი აღწერილია ნაშრომში Акопян, “Серебряный чекан Гянджинского ханства”, 33-34.

**ზურგი:**

ضرب كنجه ١١٨٩

*მოჭრილია განჯაში*

ირგვლივ ხაზოვანი რკალი, რომლის გარეთაც ხაზოვან-წერტილოვანი ორნამენტია.

D ტიპი პირველად ჰ. 1181 წელს გაჩნდა,[799] რაც არის კიდევაც *terminus ante quem non* ამ მინაბაძის შესაქმნელად.

2-3) სირმა აბაზის ორი ჰიბრიდული მინაბაძი. სურ. X.4-5. მასა შესაბამისად 0.73 და 1.71 გ (ყუნწით/ყუნწებითა და მირჩილვით), კვეთა 16 და 20 მმ, სიქების თანაფარდობა 6:30 და 2:45. ყველა ლეგენდა და დიზაინი დეგრადირებულია. ლითონი?



სურ. X.4. სირმა აბაზისა და სახანოების საფასის მინაბაძი



სურ. X.5. სირმა აბაზისა და სახანოების საფასის მინაბაძი

**შუბლი:** შიიტური მიმართვა *მიფარებული იმამისადმი*

يا صاحب الزمان

*ჰოი, დროის უფალო*

ირგვლივ ხაზოვანი, შემდეგ წერტილოვანი და ისევ ხაზოვანი რკალები.

**ზურგი:** მოჭრის ადგილისა და თარიღის ([ჰიჯრის] „122") აღმნიშვნელი ფორმულა

ضرب تفليس ١٢٢

*მოჭრილია თბილისში [თარიღი ჰიჯრით]*

სირმა აბაზისთვის დამახასიათებელ ფიგურული კარტუშში.

ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალებია.

ორივე მინაბაძზე, როგორც ჩანს, ერთი და იგივე თარიღია — ჰ. „122" წელი, რაშიც, სავარაუდოდ, 12[0]2 წელი იგულისხმება (ჰიჯრის 1202 წლის სირმა აბაზიანთა ერთ-ერთ ვარიანტზე თარიღი *1202* იმავე ადგილასაა მოთავსებული); სწორედ ეს თარიღი უნდა იყოს terminus ante quem non ამ ორი არტეფაქტის დასამზადებლად. მასა საკმაოდ განსხვავებულია, თუმცა, საიუველირო მიზნებისთვის წონითი სტანდარტის დაცვა, არც იქნებოდა საჭირო.

799 იქვე, 33.

4-5) კიდევ ორი საიუველირო მინაბაძი იმავე კომპლექსიდან, მოჭრილია სიქების ერთი და იმავე წყვილით. ისინი კიდევ უფრო დეგრადირებულია. მათი ზედწერილები, ფაქტობრივად, ფსევდოარაბული გრაფემების ნაკრებს წარმოადგენს. იკითხება მხოლოდ محمد და صاحب. უცნობია, გამოყენებული შენადნობი ვერცხლს თუ რა ოდენობით შეიცავს. სურ. X.6-7. მასა, შესაბამისად, 0.79 და 0.59 გ (ყუნწისა და მირჩილვის ჩათვლით), დიამეტრი 15 და 14 მმ.



სურ. X.6. სახანოების საფასის მინაბაძი



სურ. X.7. სახანოების საფასის მინაბაძი

განხილული საიუველირო მინაბაძები XVIII საუკუნის ბოლო მესამედში, შესაძლოა, XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში იყოს დამზადებული; საფიქრებელია, კავკასიის ისეთ რეგიონში, სადაც კარგად იცნობდნენ როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს, ასევე განჯის სახანოს ვერცხლის საფასეს (ქართლ-კახეთი? სახანოები? დაღესტანი?).

*

განსხვავებით ზემოთ აღწერილი ჯგუფისგან, გვაქვს, აშკარად, ოფიციალური ხასიათის, ანუ, ოფიციალურ, სახელმწიფო ზარაფხანაში, კარგი ვერცხლისგან (ვერცხლის მაღალი სინჯის შენადნობისგან) მოჭრილი მონეტების ჯგუფიც. ამ მონეტებზე მოჭრის ადგილად *განჯა* არის მითითებული, მაგრამ შუბლი ან ზურგი სირმა აბაზის მიბაძვით არის გაფორმებული.

ეს მონეტები რამდენიმე ჯგუფად არის წარმოდგენილი. დავით კაპანაძე იცნობდა მხოლოდ ერთ მათგანს და აღნიშნა კიდევაც მისი არსებობა თავის 1950, 1955, 1965 და 1969 წლებში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებში (და ევგენი პახომოვის წიგნის კომენტარებშიც, 1970 წელს).[800] ალექსანდრე აკოპიანი გამოყოფდა ამგვარი მონეტების სამ ჯგუფს;[801] მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ისინი, მიუხედავად მოჭრის ადგილად „განჯის" მითითებისა, სინამდვილეში, თბილისში იჭრებოდა, მაგრამ, განჯისთვის იყო განკუთვნილი და მიზნად ისახავდა განჯაზე ირაკლი II-ის პრეტენზიების გამყარებასა თუ დეკლარირებას;[802] თუმცა, ერთ-ერთ ნაშრომში ალტერნატიული მოსაზრება გამოთქვა —

800 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 100-101, ტაბ. XV, №191; Капанадзе, Грузинская нумизматика, 101, *Таб.* XV, №191; კაპანაძე, *წარსულის მაცნეები*, 133; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 159-160, ტაბ. XIX, №236-237; Капанадзе, "Комментарии", 341, К стр. 237.

801 Akopyan, "The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.", 48-50.

802 იქვე; Акопян, "Серебряный чекан Гянджинского ханства", 34-35; Акопян, "Типология монетного чекана Гянджи в 1172–1217 гг. х.", 85.

ჩათვალა, რომ ისინი შეიძლება თავად განჯაში მოჭრილიყო, მას შემდეგ რაც ეს ქალაქი (განჯის სახანოს დედაქალაქი) ქართველებმა ჰიჯრის 1203 წელს (1788/9) აიღეს;[803] თუმცა, თავადვე ამბობს, რომ უცნობია ქართველთა მოქმედება განჯის წინააღმდეგ ჰიჯრის 1200 წლის (1785/6) შემდგომ.[804]

პირადად ჩვენ აღნიშნულ მონეტებზე რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება გვქონდა,[805] და ჩვენს მსჯელობას ქვემოთ წარმოვადგენთ. ვიცნობთ ამგვარი მინაბაძების ორ ჯგუფს (ალექსანდრე აკოპიანის ნაშრომში წარმოდგენილია III ჯგუფიც; ამ ჯგუფისადმი მიკუთვნებულ მონეტებზე სირმა თეთრისთვის დამახასიათებელი დიზაინის ელემენტებს ვერ ვხედავთ, ამიტომ მათ არ მივიჩნევთ სირმა თეთრის მინაბაძად და აქ არც ვიხილავთ). მოვიყვანთ ორივე ჯგუფის მონეტების აღწერილობას.

I ჯგუფის მონეტები ცნობილია რამდენიმე თარიღით. დავით კაპანაძე მიუთითებდა რომ ამ ტიპის მონეტები ჰიჯრის 1201-1205 წლებში (1786-1791) იჭრებოდა.[806] ალექსანდრე აკოპიანიც (დავით კაპანაძის ზეგავლენით?) ჩამოთვლის ჰიჯრის 1201, 1202, 1203, 1204 და 1205 წლის მონეტებს,[807] მაგრამ ყველა მათგანის არსებობა ფაქტობრივი მასალით, ჯერჯერობით მაინც, ვფიქრობთ, არ დასტურდება. ამ ტიპის მონეტები ნამდვილად იჭრებოდა ჰიჯრის 1201,[808] — იხ. ასევე კიდევ ერთი, ახალი ეგზემპლარი (სურ. X.8); და 1202[809] წლებში; მაგრამ, იმ მონეტაზე, რომელსაც ალექსანდრე აკოპიანი ჰიჯრის 1203 წელს მოჭრილად თვლის, თარიღი, როგორც ჩანს, არასწორედ არის ამოკითხული[810]; რაც

---

803 Akopyan, "The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.", 51.

ჩვენი კონტრარგუმენტაციის არსი, თუ ვიმსჯელებთ განჯის სახანოს მონეტებისადმი მიძღვნილი მისი 2016 წლის პუბლიკაციით, ავტორისთვის გაუგებარი დარჩა. Александр Акопян, "Метрология и названия серебряных монет Гянджинского ханства", *Проблемы истории, филологии, культуры*, 2 (2016), 294-295, примечание 38.

804 Akopyan, "The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.", 48.

805 Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 227-233.

806 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 100-101, ტაბ. XV, №191; Капанадзе, Грузинская нумизматика, 101, *Таб.* XV, №191; კაპანაძე, *წარსულის მაცნეები*, 133; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 159-160, ტაბ. XIX, №236-237.

807 Akopyan, "The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.", 48-49.

808 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 100-101, ტაბ. XV, №191; Капанадзе, Грузинская нумизматика, 101, *Таб.* XV, №191; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 159-160, ტაბ. XIX, №236-237.

809 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск V*, 43-44, №1496; Akopyan, "The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.", 48.

810 კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 100-101, ტაბ. XV, №191; Капанадзе, Грузинская нумизматика, 101, *Таб.* XV, №191; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1969), 159-160, ტაბ. XIX, №236-237.

ალექსანდრე აკოპიანი დავით კაპანაძის მონოგრაფიებში გამოქვეყნებულ მონეტაზე თარიღს სწორად კითხულობს, როგორც [ჰიჯრის] 1201 [წელს], და არა 1203-ს, როგორც დავით კაპანაძესთანაა. კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, (1950), 114, ტაბ. XV, №191; Капанадзе, Грузинская нумизматика, 174, *Таб.* XV, №191.

შეეხება ჰიჯრის 1204 და 1205 წლით დათარიღებულ მონეტებს, მათ არსებობას ადასტურებს მხოლოდ და მხოლოდ ევგენი პახომოვის ცნობა, რომლის თანახმადაც, 1935 წელს აზერბაიჯანში ნაპოვნ, სახანოთა ვერცხლის მონეტებისგან შემდგარ განძში შედიოდა ჰიჯრის 1204 და 1205 წლებით დათარიღებული განჯის მონეტები სწორედ ამ ფორმულით.[811] თუმცა, ფოტოგამოსახულებები ნაშრომში მოყვანილი არ არის. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით, ამ ტიპის ჰიჯრის 1204 და 1205 წლების, განსაკუთრებით კი 1203 წლის მონეტების არსებობის საკითხს ღიად დავტოვებდით.



სურ. X.8. განჯის სახანო, განჯა, ‘აბბასი (სირმა აბაზის I ტიპის მინაბაძი), ჰ. 1201 წ., 2.55 გ, კვეთა 23-24 მმ, სიქების თანაფარდობა 3 სთ-ზე.

**შუბლი**: ცენტრალურ ხაზოვან რგოლში მონეტის მოჭრის ადგილისა და თარიღის მაუწყებელი არაბული ფორმულა:

ضرب كنجه
*მოჭრილია განჯაში*

ქვევით თარიღი ჰიჯრით

١٢١
*12[0]1*

ზევით კარტუში ინვოკაციით

*ჲა, ‘აზიზ* (يا عزيز; წერია როგორც يا عرعر)[812]
*ჰოი, ძვირფასო*

გარეთ ჯერ ცარიელი სივრცე, შემდეგ კი კომპლექსური ხაზოვან-წერტილოვანი-ხაზოვანი რკალი.

---

მაგრამ, რატომღაც, იმავე პუბლიკაციების საფუძველზე აკოპიანი ამტკიცებს ჰიჯრის 1203 წლით დათარიღებული ეგზემპლარის არსებობასაც. Akopyan, “The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.”, 48.

ავტორი იქვე უთითებს ჰ. 1205 წლის მონეტას, რომელიც იმავე ტიპის ნახევარაბაზიანად მიიჩნევს, თუმცა, თავადვე ახსენებს, რომ მინაბაძს ჰგავს. იქვე, 48-49, Fig. 5. რასაკვირველია, ეს საიუველირო მინაბაძია (მასზე თარიღის ამოკითხვაც სათუოა).

811 Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск III*, 64, №917; Akopyan, “The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.”, 48.

812 და არა يا كريم, როგორც ეს ალექსანდრე აკოპიანთანაა. იქვე.

**ზურგი**: სირმა თეთრის მსხვილი ნომინალებისთვის დამახასიათებელი ყურანული ფორმულა

الحمد لله رب العالمين

*ქება ალლაჰს, უფალს სამყაროთა*

ირგვლივ კომპლექსური რკალი (ორი წრეხაზი წერტილებით შუაში).

ამ ჯგუფის მონეტების წონითი სტანდარტი, ჩვენი აზრით, დამატებით შესწავლას საჭიროებს.[813] თუმცა, ამ საკითხის განხილვა სცდება ჩვენი ამჟამინდელი ამოცანის ფარგლებს.

II ჯგუფის მონეტები ცნობილია ორი თარიღით: ჰიჯრის 1204 (1789/90)[814] და 1205 (1790/1).[815] მოვიყვანთ მათ აღწერილობას:

**შუბლი**: ცენტრში მონეტის მოჭრის ადგილისა და თარიღის მაუწყებელი არაბული ფორმულა:

[თარიღი ჰიჯრით, 1204 ან 1205] ضرب كنجه

*მოჭრილია განჯაში [თარიღი ჰიჯრით,1204 ან 1205]*

ჩასმულია (სირმა აბაზის იდენტურ) ფიგურულ კარტუშში, რომლის ირგვლივაც კომპლექსური არშიაა (რომელიც მოიცავს ხან წერტილებს, ხან კი სამწერტილებს; სირმა აბაზიანებზე წერტილიანი რკალი შემოვიდა მხოლოდ ჰიჯრის 1193 წლიდან, თუმცა, შემდეგაც, ზოგჯერ გვხდება სამწერტილიანი სირმა აბაზიანები). ცალკე კარტუში ქარიმ-ხან ზენდის ინვოკაციით (يا كريم) არ არის.

**ზურგი**: შიიტური რელიგიური ფორმულა —

لا اله الا الله محمد رسول الله على ولى الله

ირგვლივ კომპლექსური არშია.

ჰიჯრის 1204 წლის ეგზემპლარი იწონის 2.89 გრამს, კვეთა 18-19 მმ, სიქების თანაფარდობა 18-19 მმ (სურ. X.9).

ჰიჯრის 1205 წლის პირველი ეგზემპლარი კი იწონის 2.73 გრამს (გახვრეტილია, აქვს მირჩილვის კვალი), კვეთა 18 მმ, სიქების თანაფარდობა 5:15 (სურ. X.10). იმავე წლის მეორე ეგზემპლარი იწონის 2.76 გრამს (აქვს მირჩილვის კვალი), კვეთა 19-20 მმ, სიქების თანაფარდობა 3:15 (სურ. X.11).

---

813 Cf. Акопян, “Метрология и названия серебряных монет Гянджинского ханства”, 286-295.

814 ჰ. 1204 წლის მონეტები 2013 წელს აღმოვაჩინეთ. Пагава, “Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)”, 228-229. ალექსანდრე აკოპიანი არ იწუხებს თავს ჩვენი დამოწმებით. Акопян, “Метрология и названия серебряных монет Гянджинского ханства”, 294-295.

815 Akopyan, “The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.”, 49-50; Акопян, “Серебряный чекан Гянджинского ханства”, 35; Акопян, “Типология монетного чекана Гянджи в 1172–1217 гг. х.”, 85.



სურ. X.9. განჯის სახანო, განჯა, ‘აბ-ბასი (სირმა აბაზის II ტიპის მინაბა-ძი), ჰ. 1204 წ.



სურ. X.10. განჯის სახანო, განჯა, ‘აბ-ბასი (სირმა აბაზის II ტიპის მინაბაძი), ჰ. 1205 წ.



სურ. X.11. განჯის სახანო, განჯა, ‘აბბასი (სირმა აბაზის II ტიპის მინა-ბაძი), ჰ. 1205 წ.



სურ. X.12. განჯის სახანო, განჯა, ‘აბ-ბასი (სირმა აბაზის II ტიპის მინაბაძი), ჰ. 1205 წ. (?)

ვიცნობთ კიდევ ერთ ამ ტიპის მონეტას (თარიღის ბოლო ციფრი არ ჩანს, სავარაუდოდ, 5, ანუ, ჰ. 1205, ვინაიდან ის ადგილი, სადაც ჰ. 1204 წლის ეგზემპლარზე *ოთხიანია*, ამ მონეტზე ცარიელია); მისი მასა (მირჩილვის კვალით) 2.96 გრამია (სურ. X.12).

ეს უკანასკნელი მონეტა *კოჯრის II განძში* შედიოდა (იხ. თავი IX). ჰიჯრის 1204 წლის მონეტა განჯის მიდამოებშია ნაპოვნი, ხოლო ჰიჯრის 1205 წლის მეორე ეგზემპლარი ერევანში ამოტივტივებულ სამონეტო კომპლექსის შემადგენლობაში შედიოდა (*ერევნის II განძი*). ანუ, დასტურდება ამ ტიპის მონეტების მიმოქცევა როგორც განჯის, ასევე ერევნის სახანოებისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზედაც. შესაბამისი განძები ადასტურებს ამ ტიპის მონეტების თბილურ სირმა აბაზებთან ერთად მიმოქცევის ფაქტს (იხ. თავი IX).

მეტროლოგიურად ეს მონეტები აშკარად (სირმა აბაზის) ოთხდანგიან (3.072 გ) წონით სტანდარტს მიეკუთვნება. ზომაც და სისქეც გვიანდელი სირმა აბაზების იდენტურია. კარტუშიც ძალიან სპეციფიკურია, და რეგიონში მხოლოდ სირმა აბაზისთვის იყო დამახასიათებელი. ვიზუალურად, ბუნებრივია, ერთმანეთს ძალიან ემსგავსებიან.

ამრიგად, ამ სამონეტო ტიპის კავშირი სირმა თეთრთან, სირმა აბაზისგან გაფორმების ელემენტებისა და მეტროლოგიის სესხება ეჭვს არ იწვევს.

ახლახანს აღმოვაჩინეთ ამავე სამონეტო ტიპის კიდევ ერთი, ახალი ნომინალი. წონიდან გამომდინარე, ეს უნდა იყოს შაჰი: წონა 0.50 გ, კვეთა 18 მმ, სიქების თანაფარდობა 7 სთ-ზე; მონეტას მირჩილვის კვალი ეტყობა, რომელიც, სამწუხაროდ, თარიღსაც ფარავს (სურ. X.13):



სურ. X.13. განჯის სახანო, განჯა, შაჰი (სირმა აბაზის II ტიპის მინაბაძი)

**შუბლი**: ცენტრში მონეტის მოჭრის ადგილისა და თარიღის მაუწყებელი არაბული ფორმულა:

ضرب كنجه

*მოჭრილია განჯაში [თარიღის კვალი?]*

ჩასმულია (სირმა აბაზის იდენტურ) ფიგურულ კარტუშში, რომლის ირგვლივაც კომპლექსური არშიაა (შედგება წერტილებისგან, და არა სამწერტილებისგან).

ცალკე კარტუში ქარიმ-ხან ზენდის ინვოკაციით (يا كريم), როგორც ჩანს, არ არის.

**ზურგი**: შიიტური რელიგიური ფორმულა —

لا اله الا الله محمد رسول الله علی ولی الله

ირგვლივ კომპლექსური არშია.

ალექსანდრე აკოპიანის მოსაზრებით, როგორც I, ასევე II (და, ასევე, III) ჯგუფის მონეტები ქართლ-კახეთის მეფის მიერ თბილისშია მოჭრილი, ემისიის მიზანი კი საფასის, ანუ, იმდროინდელი მასმედიის საშუალებით, განჯაზე ქართლ-კახეთის პრეტენზიების „პროპაგანდა" იყო:

> "an issue of such coins had a propagand character only, that of confirmation of Georgian claims on Ganja".[816]

2013 წელს გამოვაქვეყნეთ ნაშრომი, რომელშიც, კონტრარგუმენტების საფუძველზე წარმოვადგინეთ ამ საფასის ალტერნატიული ინტერპრეტაცია;[817] თუმცა, ჩვენ ოპონენტს თავისი აზრი არ შეუცვლია (ამასთანავე, ჩვენი მოსაზრების საწინააღმდეგო არგუმენტაცია ვერ წარმოადგინა).[818]

---

816 Akopyan, "The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.", 51.

817 Пагава, "Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)", 227-233.

818 Акопян, "Метрология и названия серебряных монет Гянджинского ханства", 294-295, примечание 38.

ალექსანდრე აკოპიანის არგუმენტაცია შეიძლება დავიყვანოთ სამ დებულებამდე:[819]

1. I და II ჯგუფის მონეტების ცალი მხარის სირმა აბაზთან ტიპოლოგიური მსგავსება;

2. II ჯგუფის მონეტების სირმა აბაზთან მეტროლოგიური იდენტობა;

3. ის გარემოება, რომ იმავდროულად განჯაში სინქრონულად სხვა სამონეტო ტიპი იჭრებოდა (ანუ, არსებობს მონეტები *იგივე თარიღებითა* და მოჭრის ადგილად *განჯის* მითითებით).

ჩვენი აზრით, ეს არგუმენტები არ არის დამაჯერებელი. მოვიყვანთ ჩვენს კონტრარგუმენტებს.[820]

ძნელი დასაჯერებელია, რომ თავისი ამბიციებისა და პრეტენზიების გამოხატვის მიზნით ქართველ მონარქს მოეჭრა მონეტა მოჭრის ადგილად არა საკუთარი დედაქალაქის აღნიშვნით, არამედ იმ ქალაქის აღნიშვნით, რომლის დამორჩილებაც სურდა — ამ ეპოქასა და რეგიონში ამგვარი ნუმიზმატიკური პრაქტიკის სხვა შემთხვევები უცნობია; და, ისედაც, უცნაურ ქმედებად გვეჩვენება — სხვა ამბავი იქნებოდა, ირაკლი II-ს საკუთარი თავი *განჯის მფლობელად* თავის *თბილისში* მოჭრილ მონეტაზე რომ დაესახელებინა.

*ტიპოლოგიური* მსგავსება (კარტუშისა თუ ზედწერილის სესხება) შეიძლება აიხსნას ბევრად უფრო მარტივადაც[821] — კარგი რეპუტაციის მქონე, სტანდარტული მასისა და სტაბილურად მაღალი სინჯის, კავკასიაში საკმაოდ გავრცელებული სირმა აბაზიანების (და აბაზნახევრიანების!) მიბაძვის სურვილით, წმინდა წყლის ეკონომიკური მოსაზრებებით. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ სირმა თეთრის მსხვილი ნომინალებისთვის ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლებას შეგნებულად შეურჩევია მაჰმადიანთათვის სავსებით მისაღები, *ყურანული* ფორმულა.

აბსოლუტურად იგივეს თქმა შეიძლება II ჯგუფის მონეტების სირმა აბაზთან *მეტროლოგიური* იდენტობის შესახებადაც. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო მოსალოდნელია — მინაბაძის გამოშვებისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იერის, არამედ მეტროლოგიის იდენტობისა თუ მსგავსების უზრუნველყოფასაც. თუ, რასაკვირველია, საუბარია სრულფასოვან (მასისა და სინჯის მხრივ, ძვირფასი ლითონის) მინაბაძებზე. ასე, ევროპის მრავალი ქვეყანა ჭრიდა დუკატურ ოქროს მონეტას, მიმსგავსებული დიზაინით, მაგრამ ორიგინალის მეტ-ნაკლებად იდენტური მასითა და სინჯით.

რაც შეეხება მესამე არგუმენტს, რომლის თანახმადაც არ არის მოსალოდნელი, რომ განჯაში *ერთდროულად* ორი *სხვადასხვა* ტიპის საფასე მოჭრილიყო, ამას იმით ვუპასუხებდით, რომ სხვა პერიოდისთვისაც ცნობილია იმავე

819 Akopyan, “The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.”, 48-51.

820 განვავრცობთ ადრეულ ნაშრომში ჩამოყალიბებულ არგუმენტაციას. Пагава, “Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)”, 227-233.

821 Lex parsimoniae — თუმცა, ეს, ცხადია, სრულფასოვანი სამეცნიერო არგუმენტი არ არის.

განჯის სახანოში მეტ-ნაკლებად ერთდროულად სვადასხვა ტიპის საფასის გამოშვება.[822]

რაც მთავარია, აბსოლუტურად გაუგებარია, რა პროპაგანდისტული დატვირთვა[823] უნდა ჰქონოდა ქართლ-კახეთის სამეფოში I და II ჯგუფის მონეტების გამოშვებას.

ცნობილია, რომ თავად სირმა თეთრიც, პრაქტიკულად, ანონიმურ ემისიას წარმოადგენდა, თუ არ ჩავთვლით, ცხადია, ორლესულ ინვოკაციას ქარიმ-ხან ზენდის პატივსაცემად — თავად ქართლ-კახეთის მონარქის სახელი ამ საფასეზე არ მიეთითებოდა: პოლიტიკური ამბიციების მიუხედავად, ვერც ირაკლი II-მ და, მით უმეტეს, ვერც გიორგი XII-მ ვერ გაბედეს *სიქეს* უფლების მითვისება (ძვირფასი ლითონის მონეტაზე თავისი სახელის აღნიშვნა), ანუ, თავისი სუვერენობის დეკლარირება.[824] სირმა თეთრს კრიტიკულად რომ მივუდგეთ, მასში ეროვნულს ვერაფერს დავინახავთ (მაინცდამაინც *ყურანიდან* ნასესხებ ფორმულას ეროვნულობის ნიშნად, ალბათ, ვერ მივიჩნევთ) — კერძოდ, ისეთ ვერაფერს, რაც ქართველი მონარქის ძლევამოსილებას გაუსვამდა ხაზს.

ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ I ჯგუფის მონეტებზე ინვოკაცია არის *ია, ‘აზიზ*, და არა *ია, ქარიმ*; II ჯგუფის მონეტებზე კი, ინვოკაცია, როგორც ჩანს, საერთოდ არ არის. II ჯგუფის მონეტების მცირე ნომინალი, შაჰი იმავე ტიპს შეესაბამება, რაც ‘აბბასი, — სირმა თეთრის შემთხვევაში კი მცირე ნომინალებს საკმაოდ განსხვავებული დიზაინი ჰქონდათ. თუკი *ე.წ. განჯის სირმები* ირაკლი II-ის ბრძანებით თბილისში იჭრებოდა, სამონეტო ტიპი რატომ და რისთვის უნდა შეეცვალა?

ქართველ მონარქზე ერთადერთ მინიშნებას სირმა თეთრზე მხოლოდ მოჭრის ადგილად ქართლ-კახეთის სამეფოს ცნობილი დედაქალაქის, *თბილისის* აღნიშვნას თუ ჩავთვლით. მაგრამ ზემოთ აღწერილ მონეტებზე ესეც არ არის — გამოშვების ადგილად *განჯა* არის მითითებული.

რის საფუძველზე უნდა მივიჩნიოთ პრაქტიკულად ანონიმური საფასე, რომელზედაც ქართველი მონარქის სახელი არ იყო მითითებული; და რომელიც ტიპოლოგიურად ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრს მხოლოდ *ნაწილობრივ* თუ შეესაბამებოდა (ინვოკაციითაც კი, ეს მონეტები, როგორც დავინახეთ, სირმებისგან განსხვავდებიან), ისიც ყველა ნომინალის მონეტის შემთხვევაში არა; და რომელზედაც შიიტური ფორმულა გაჩნდა; და მოჭრის ადგილად კი *განჯაა* მითითებული, — ირაკლი II-ის განჯაზე პრეტენზიის გამომხატველად? თანამედროვეებსაც ეს საფასე ამის გამომხატველად რის საფუძველზე უნდა აღექვათ?

საფასის მეშვეობით თავისი ძალაუფლების დეკლარირებისადმი ირაკლი II-ის ინდიფირენტულობას, ან, დიპლომატიურ სიფრთხილეს, და, შედეგად, *სიქეს* უფლებაზე შეგნებულად უარის თქმას, ადასტურებს ის ფაქტი, რომ განჯის სახანოს ქართლ-კახეთის სამეფოსა და ყარაბაღის სახანოს ერთობლივი ოკუპაციის წლებშიც კი, განჯის ზარაფხანა აგრძელებდა ოკუპაციამდელი ტი-

822 Акопян, “Серебряный чекан Гянджинского ханства”, 30. Album, *Checklist of Islamic Coins. Third Edition*, 297.

823 Akopyan, “The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.”, 48, 51.

824 Paghava, Bebia, “A Group of Unusual Sirma Abazis: Die Analysis”, 7-8.

პის მონეტების ემისიას.[825] ირაკლი II-ს რომ ძალიან ნდომოდა განჯის ფლობა ან განჯაზე პრეტენზია საფასის მეშვეობით საჯაროდ განეცხადებინა, ამის გაკეთებას, ალბათ, სპილენძის ფულის მოდიფიკაციით თუ შეძლებდა (რაც *სიქეს* უფლების მითვისებად ვერ დაბრალდებოდა).

რომც დავუშვათ, რომ I და II ჯგუფის მონეტები ნამდვილად თბილისში იჭრებოდა, როგორც ირაკლი II-ის პროპაგანდის იარაღი, თანაც, რამდენიმე წლის განმავლობაში, ჰიჯრის 1201-1202 (ასევე 1204-1205?) (I ჯგუფი) და 1204-1205 წლებში (II ჯგუფი), პროპაგანდის მიზნით *სხვადასხვა* ტიპის მონეტების ემისიის ფაქტი გაუგებარი რჩება.

გამოდის, რომ განჯის დასაკუთრების პრეტენზიის მქონე ქართველი მეფე ბრძანებდა „განჯის" მონეტებზე ხან თბილისური მონეტებისთვის დამახასიათებელი *ყურანული* ფორმულა გამოესახათ (მაგრამ, რატომღაც, I ჯგუფის მონეტებზე ინვოკაციის შეცვლით), ხან კი, (II ჯგუფის მონეტებზე) ყურანული ფორმულა ამოეგდოთ (ინვოკაციასთან ერთად), და შიიტური რელიგიური ფორმულით ჩაენაცვლათ (რომელიც თბილურ მონეტებზე *სირმამდელ პერიოდში* გამოისახებოდა) (სამაგიეროდ, მოჭრის ადგილი ფიგურულ კარტუშში მოეთავსებინათ, იმ ნომინალზედაც, რომლის დიზაინიც ორიგინალური სირმა თეთრის შემთხვევაში საკმაოდ განსხვავებული იყო).

ასევე, გამოდის, რომ, ჯერ, ყველაზე ცოტა ორი წლის განმავლობაში, ირაკლი II-ის განკარგულებით თბილისში იჭრებოდა „განჯის" თეთრი, მაგრამ ქართული ფულადი სისტემისთვის უცხო წონითი სტანდარტით (და უჩვეულოდ დიდი დიამეტრის, თხელი მონეტის სახით), და მხოლოდ შემდეგ გადაწყდა, მეტროლოგიურადაც ეს „განჯის" საფასე სირმა თეთრის იდენტური გამხდარიყო. ჩვენი აზრით, მეტია ალბათობა, მართლაც ირაკლი II-ის ბრძანებით რომ ყოფილიყო გამოშვებული, თუნდაც მოჭრის ადგილად *განჯის* მითითებით, ორივე ჯგუფის, და არა მარტო II ჯგუფის მონეტებისთვის სირმა აბაზის წონით სტანდარტს შეარჩევდნენ.

საპირისპირო მხრიდან რომ შევხედოთ, განჯის სახანოს ადმინისტრაციის მიერ ზემოთ აღწერილი ორი სამონეტო ტიპის მონეტების გამოშვება სავსებით ლოგიკურად გამოიყურება. წარმოვიდგინოთ, რომ, ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასურველია საკუთარი საფასის შეცვლა მისი სანდოობის განმტკიცების მიზნით. მეზობელ სახელმწიფოში — ქართლ-კახეთის სამეფოში ძალიან დიდი რაოდენობით იჭრება სტაბილურად ძალიან მაღალი სინჯისა და სტაბილურად უცვლელი მასის საფასე. ლოგიკურია, საკუთარი საფასე მას მივამსგავსოთ. მოჭრის ადგილად ვუთითებთ რეალობას — განჯას, მაგრამ, ვცვლით მონეტის დიზაინს, ვცდილობთ ის სირმა აბაზიანებს, თუ, სულაც, სირმა აბაზნახევრიანებს მივამსგავსოთ (I ჯგუფი). შემდეგ ეტაპზე კი, დიამეტრის შემცირებით, წონის გაზრდით, და სირმა აბაზისთვის დამახასიათებელი კარტუშის გადმოღებით, საკუთარ საფასეს უკვე, სულაც, სირმა აბაზად ვასაღებთ (II ტიპი).

ვფიქრობთ, ჩვენი მოსაზრებები საკმარისად დეტალურად ჩამოვაყალიბეთ. ვთვლით, რომ ზემოთ აღწერილი ორი სამონეტო ტიპის თბილისში გამოშვება მოჭრის ადგილად „განჯის" აღნიშვნით საკმაოდ უცნაური ქმედება

825 Akopyan, "The Coinage of Ganja Khānate of Georgian types, 1200–1205 AH.", 48; Акопян, "Серебряный чекан Гянджинского ханства", 34.

იქნებოდა, რომელსაც რეგიონში ანალოგია არ მოეპოვება და თავისთავადაც საკმაოდ არალოგიკურად გვეჩვენება — ვერ ჯდება ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლების ფულად პოლიტიკაში.

დავასკვნით, რომ აღნიშნული ორი ჯგუფის მონეტები იჭრებოდა განჯაში, განჯის სახანოში, როგორც სირმა თეთრის მიმბაძველი საფასე. სირმა აბაზიანებისთვის დამახასიათებელი დიზაინის ელემენტებისა და მეტროლოგიური მახასიათებლების სესხება კი სირმა თეთრის დიდი პოპულარობითა და სანდოობით აიხსნება.

რაც შეეხება განჯაში ერთდროულად ერთზე მეტი სამონეტო ტიპის მიხედვით საფასის გამოშვებას, გავიმეორებთ ჩვენს *ჰიპოთეზას*, რომ ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ქალაქ განჯაში ერთდროულად რამდენიმე ზარაფხანის (სახელოსნოს) თანაარსებობა, რომელიც იჯარით გაიცემოდა,[826] მაგრამ, საკუთარი სამონეტო პროდუქცია უნდა განესხვავებინათ (ხელისუფლების მიერ მოიჯარეების უკეთ გაკონტროლების მიზნით?). უადგილო არ იქნებოდა იმის აღნიშვნაც, რომ განჯის სახანოს ვერცხლის ემისიები სიუხვით გამოირჩეოდა, და ამიერკავკასიის სამონეტო მიმოქცევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

სირმების მიბაძვით განჯის სახანოში ვერცხლის მონეტების გამოშვების ფაქტი ძალიან საინტერესოა და სირმა თეთრის, ანუ, ქართლ-კახეთის სამეფოს, და, საზოგადოდ, საქართველოს ნუმიზმატიკური ისტორიის შემადგენელი ნაწილია.

*

2008 წელს გამოვაქვეყნეთ და გავაანალიზეთ მცირე ნომინალის „სირმა მონეტების" დიდი ჯგუფი: სურ. X.14-16. ზედწერილების ანომალური კალიგრაფიის, მასის უჩვეულო განაწილებისა და, საზოგადოდ, მონეტების ზედაპირის თავისებურებების გათვალისწინებით, თავიდანვე გამოვრიცხეთ მათი ქართლ-კახეთის სამეფოს ოფიციალური ემისიისადმი მიკუთვნება: ვიხილავდით ორ შესაძლო ვერსიას:[827]

1. მიმბაძველობითი საფასე;
2. კოლექციონერთა მოსატყუებლად განკუთვნილი თანამედროვე ყალბი მონეტები.

საბოლოო დასკვნისაგან მაშინ თავი შევიკავეთ.[828] დღეისთვის კი უკვე ეჭვიც არ გვეპარება, რომ აღნიშნული „მონეტები" სწორედ რომ თაღლითური მიზნით ჩვენს ეპოქაში დამზადდა და, ამრიგად, ისტორიული ღირებულება არ გააჩნიათ.

სხვათა შორის, 2008 წელს ჩვენი სტატიის გამოქვეყნების შემდგომ, ამგვარი მონეტის „შემთხვევით პოვნის" ერთი შემთხვევაც კი არ ვიცით. ერთი

826 თბილისის ზარაფხანა, როგორც ცნობილია, იჯარით გაიცემოდა. იხ. თავი VIII.

827 Paghava, "A Series of Peculiar Minor Denomination Sirma Coins: Modern Fakes or Contemporary Imitations?", 20-27.

828 იქვე. Cf. Bennett, *A Catalog of Georgian Coins*,



სურ. X.14. (თანამედროვე) ნაყალბევი სირმა უზალთუნი / შაური



სურ. X.15. (თანამედროვე) ნაყალბევი სირმა უზალთუნი / შაური



სურ. X.16. (თანამედროვე) ნაყალბევი სირმა უზალთუნი / შაური

მხრივ, ეს გარემოება ადასტურებს აღნიშნული „მონეტების" სიყალბეს; მეორე მხრივ კი, ალბათ, შეიძლება ჩაითვალოს ამგვარი, ანალიტიკური სტატიების კეთილისმყოფელი მოქმედების მაგალითად.

*

ჩვენი ყურადღება ასევე მიიპყრო ერთმა, თითქოს, აბსოლუტურად სტანდარტულმა სირმა აბაზიანმა (სურ. X.17). ერთი შეხედვით, უჩვეულო არაფერი ახასიათებს, მაგრამ, სირმა თეთრთან მუშაობის გამოცდილებამ გვიკარნახა, რომ მონეტა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდა: შუბლზე — ულაზათოდ შესრულებული თარიღი, რამდენადმე ანომალური ორიანით; *თბილისის* ანომალური კალიგრაფია (პირველ რიგში ვგულისხმობთ უჩვეულოდ წვრილ გრაფემა *ლამ*-ს); ზურგზე — წერტილების უჩვეულო(?) განაწილება 6 სთ-ზე. ჩვენ ეჭვებს მეტ საფუძველს აძლევს ამ თითქოს უდეფექტო აბაზიანის ანომალურად დაბალი წონა — 2.13 გ.



სურ. X.17. სირმა აბაზის მინაბაძი (?), ჰ. „1211" წ.

*

და, ბოლოს, ძალიან მოკლედ, შევეხებით სირმა თეთრის მიბაძვით მოჭრილი მონეტების კიდევ ერთ ჯგუფს. საუბარია ე.წ. ქართულ-რუსულ მონეტებზე, რომელთაც რუსული ადმინისტრაცია, უკვე 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, იმავე ქართლ-კახეთში, კერძოდ, თბილისის ზარაფხანაში 1804-1834 წლებში ჭრიდა.

ამ ძალიან საინტერესო საფასის ისტორიის საკვლევად, რომელიც ასევე ქართული ნუმიზმატიკური ისტორიის განუყოფელი ნაწილია, მრავალი საარქივო დოკუმენტი და სხვა პირველწყარო არსებობს, ისევე როგორც, ისტორიოგრაფია.[829] ამიტომ, დავკმაყოფილდებით მხოლოდ სირმა თეთრთან კავშირის წარმოჩენით, რაც უკვე დამტკიცებულია[830] (თუმცა, ვეცდებით, საკითხში მეტი სიცხადე შევიტანოთ).

გავიმეორებთ ევგენი პახომოვის გამოთვლებს,[831] იმ შესწორებით, რომ სირმა აბაზს მივიჩნევთ, ახალი მონაცემების გათვალსწინებით, არა 3.00, არამედ 3.072 გრამიან მონეტად (სირმა აბაზის მასა უდრიდა ოთხ დანგს, თითოეული დანგის მასა კი 0.768 გრამს უდრიდა). ქართულ-რუსული ვერცხლის საფასე დაეფუძნა „აბაზს" (თუმცა, ძირითადად, ორაბაზიანები იჭრებოდა), ნორმატიული მასით 71 დოლია (3.124 გ) და სინჯით 88/96 (ზოლოტნიკური სისტემის მიხედვით) (91.67%). სირმა აბაზის მასა კი იყო 4 დანგი, ანუ, 3.072 გ, სინჯი კი, საორიენტაციოდ (vide supra) 97.4% (რაც, მიახლოებით შეესაბამება ევგენი პახომოვის 92-93-იან სინჯს).

სუფთა ვერცხლის შემცველობა ქართულ-რუსულ აბაზში: 3.124 x 88 / 96 = 2.86 გ;

სუფთა ვერცხლის შემცველობა სირმა აბაზში: 3.072 x 0.974 = 2.99 გ სუფთა ვერცხლი.

როგორც ვხედავთ, რუსების მიერ გამოშვებული ქართულ-რუსული აბაზი სირმა აბაზზე უფრო მძიმე იყო, მაგრამ უფრო დაბალი სინჯი ჰქონდა, ვერცხლის შემადგენლობა კი მეტ-ნაკლებად იდენტური ჰქონდათ. ესეთი დამთხვევა (შემადგენლობა: 2.86 და 2.99 გ სუფთა ვერცხლი) შემთხვევითი ვერ იქნებოდა. რუსულმა ადმინისტრაციამ შეგნებულად მიიღო გადაწყვეტილება, ახალი საფასის სანდოობის უზრუნველსაყოფად, ფულადი სისტემა ძირეულად არ შეეცვალა. ამ მხრივ აღსანიშნავია ზემოთ ერთხელ უკვე ციტირებული 1818 წლის 7 იანვრის რუსული საბუთი, რომელშიც საუბარია თბილისის ზარაფხანაში მონეტის მოჭრაზედაც:[832]

> "Относительно тиснения серебряной монеты, которой здесь делаются абазы 88 пробы, весом в 71 долю, с содержанием 65 8/96 доли чистого серебра дву-абазника, вдвое против того, в вид взять должно, что качество их на первый раз было соображено с тою монетою, которая при царях здесь имела обраще-

829 фон Винклер, "Чеканка монет для Грузии (1804-1833 гг.)", 285-328; Романов, "Русские монеты чеканенные для Грузии. 1804-1833", I-V, 22-59, 61-64, таб. I-III.

830 Пахомов, *Монеты Грузии*, 271-272.

831 იქვე.

832 Акритас, Чхетия (подготовили к печати), *История горной промышленности Закавказья. Т. 1, Грузия (17 октября 1799 г. _ 29 апреля 1829 г.)*, №375, 482.

ние, чтобы не сделать вдруг слишком приметного переворота в обыкновениях народа и с изделиями ремесленников, которые делывались всегда из абазного серебра"[833]

„რაც შეეხება ვერცხლის მონეტის მოჭრას, რაც აქ კეთდება 88-ე სინჯის აბაზები, წონით 71 დოლია, ორაბაზიანში სუფთა ვერცხლის შემადგენლობით 65 8/96 დოლია, მაგაზე ორჯერ მეტი, გასათვალისწინებელია, რომ მათი ხარისხი [სინჯი - ი.ფ.] თავდაპირველად შეუფარდეს იმ მონეტას, რომელიც აქ [ქართლ-კახეთის - ი.ფ.] მეფეების დროის მიმოიქცეოდა, რომ თავიდან აეცილებინათ უცებ ნამეტანი თვალში საცემი გარდაქმნა ხალხის ჩვეულებებსა და ხელოსანთა ნაკეთობებში, რომელიც ყოველთვის აბაზიანთა ვერცხლისგან მზადდებოდა".

უბრალოდ, უწინდელი ქართული *აბაზნახევრიანის, აბაზიანის, უზალთუნის (½ აბაზი) და შაურის (¼ აბაზი)* მაგიერ რუსულმა ადმინისტრაციამ შემოიღო *ორაბაზიანი, აბაზიანი და ნახევარაბაზიანი.*[834]

ძვირფასი ლითონის იდენტური შემადგენლობის გარდა, ამ გარემოებას ადასტურებს ქართულ-რუსულ ვერცხლის მონეტებზე მითითებული ნომინალებიც. ჯერ კიდევ მარი ბროსემ დაადგინა, რომ 1804-1834 წლების ორაბაზიანზე, აბაზიანზე და ნახევარაბაზიანზე (სურ. X.18) ნომინალური ღირებულება („უ" = 400, „ს" = 200, „რ" = 100) სპარსული დინარებითაა გამოხატული;[835] ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ქართულ-რუსული აბაზი შეიცავდა იმდენივე ვერცხლს, და ზუსტად იმავე რაოდენობის დინარში იყო ნომინირებული, როგორც ქართლ-კახეთის სირმა აბაზი.




სურ. X.18. რუსეთის იმპერია, ტფილისი, „ქალაქური" ორაბაზიანი, 1809 წ.

ამგვარად, რუსულმა ადმინისტრაციამ ზუსტად დაიცვა პარიტეტი ძველ და ახალ აბაზიანს შორის, რაც 1801 წლის შემდგომ წლებშიც სირმა თეთრზე

833 იქვე, №375, 480-485.

834 Пахомов, *Монеты Грузии*, 272.

835 Brosset, *Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au XIX Siècle. Introduction et Tables des matières*, CLXXXVI- CLXXXVIII; Пахомов, *Монеты Грузии*, 272, примечание 1.

დამყარებული ფულადი სისტემის გავლენის შედეგი იყო. რასაკვირველია, „ქართული თეთრი" (სწორედ ეს ზედწერილი ამშვენებდა ქართულ-რუსულ ვერცხლის მონეტებს) საკმაოდ ორიგინალურ საფასეს წარმოადგენდა, მაგრამ, ფაქტია, რომ, მეტროლოგიურად, ის სირმა თეთრს *ბაძავდა*.

# თავი XI. ისტორიული როლი

წინარე თავებში განვიხილეთ სირმა თეთრის ემისიის სხვადასხვა ასპექტი, ამ ქართული საფასის წარმომშობი რეფორმის ჩათვლით. წინამდებარე, შემაჯამებელი თავი კი ეთმობა იმ როლის განხილვას, რომელიც სირმა თეთრმა ქართლ-კახეთის სამეფოსა და ქართველი ერის ისტორიაში ითამაშა.

სირმა თეთრი ქართულ-ისლამურ საფასეს წარმოადგენდა: მიუხედავად ამისა, ის ქართულ ნიადაგზე აღმოცენდა, ქართული ხელისუფლების მიერ შეგნებულად მიღებული გადაწყვეტილების ნაყოფი იყო. ქართული საფასის ეს უნიკალური სახეობა, სირმა თეთრი, ქართლ-კახეთის სამეფოსა და რეგიონის ეკონომიკური (ნაწილობრივ კი, პოლიტიკური და კულტურული) ცხოვრების განუყოფელ და არსებით ფენომენს წარმოადგენდა. ამ ფენომენში გასარკვევად, თუნდაც, სირმა თეთრის წარმატებულობა-წარუმატებლობის გასარკვევად გვერდს ვერ ავუვლით განხილვას, თუ რა მონეტარული ეკონომიკურ-პოლიტიკური გამოწვევების წინაშე იდგნენ ქართლ-კახეთის სამეფო და მისი მესვეურები, სანამ სირმა ვერხლის ემისიას დაიწყებდნენ.[836]

გასათვალისწინებელია არა მარტო ჰიჯრის 1179-1182 (1765/6-1768/9) წლების რეფორმამდელი, რეფორმის დროინდელი და რეფორმის შემდგომი პერიოდის ყველანაირ ლითონში გამოშვებული საფასის ანალიზის შედეგები, არამედ, ასევე, ქართლ-კახეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის ზოგადი კონტექსტიც. ამის გარეშე სირმა თეთრის ისტორიული როლის გააზრება შეუძლებელი გვგონია.

საზოგადოდ, საკუთარი საფასის გამოშვების მოტივები შეიძლება სამგვარი ყოფილიყო: ეკონომიკური, — სახელმწიფოსა და მოსახლეობის უზრუნველყოფა საფასით; ფისკალური, — ემიტენტისთვის მოგების უზრუნველყოფა; და, იდეოლოგიური, — საფასის, ანუ, იმდროინდელი მასმედიის საშუალებით ემიტენტისთვის სასარგებლო გზავნილის გენერირება და დისემინაცია.

განვიხილოთ, XVIII საუკუნის უკანასკნელი მესამედის ქართლ-კახეთის სამეფოს შემთხვევაში რა გამოწვევებისთვის უნდა ეპასუხა თბილისის ზარაფხანის ნაწარმს, და, შესაბამისად, რა მოტივაცია *შეიძლება* ჰქონოდათ მმართველ მონარქებს.

1783 წელს გეორგიევსკში რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის ტრაქტატის დადებამდე მაინც, ქართლ-კახეთის მდგომარეობა, ალბათ, შედარებით სტაბილურად უნდა ჩაითვალოს. აღინიშნებოდა ერთგვარი ეკონომიკური აღმავლობაც — წარმოების ზრდა; (თბილისის) მოსახლეობის მატება; საზოგადოებრივი ცხოვრებისა და, საზოგადოდ, ეკონომიკის, მონეტიზაცია; ვაჭრობის განვითარება.[837] გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ, ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, იგრძნობოდა საჭიროება

---

836 ფაღავა, „ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა", 363.

837 თაბუაშვილი, *ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის*, 27-105, 112-117.

ა) გაზრდილიყო მიმოქცევაში არსებული ფულადი მასა; და,

ბ) შემუშავებულიყო არა მარტო სახელმწიფოს შიგნით, არამედ, ასევე, რეგიონის სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკურ ერთეულებთან ვაჭრობისთვის მისაღები და ამ ვაჭრობის ხელშეწმყობი საფასე;

ირაკლი II-ის ზეობაში კვლავინდებურად ძალიან აქტუალურად იდგა ფინანსური (სახსრების ნაკლებობის) საკითხი; აქედან გამომდინარე, აქტუალური იქნებოდა

გ) ზარაფხანისა და საფასიდან მოგების მაქსიმალურად გაზრდის ამოცანაც.

სამთამადნო წარმოების აღორძინების შემდეგ ირაკლი II-ისა და მისი ადმინისტრაციის განკარგულებაში ყოველწლიურად შემოდიოდა მონეტის მოსაჭრელად ვარგისი, კლასიკური სამონეტო (მათ შორის, ძვირფასი) ლითონების — ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის არსებითი რაოდენობა. ბუნებრივია, ხელისუფლებისთვის აქტუალური აღმოჩნდა

დ) საქართველოში მოპოვებული სპილენძის, ვერცხლისა და ოქროდან ფინანსური მოგების მაქსიმალიზაციისა და ოპტიმიზაციის ამოცანა; მათ შორის, მოპოვებული ლითონის უშუალოდ საფასედ ქცევის, — მონეტიზაციის გზით;

ქართლ-კახეთის მონარქთა ოჯახში საფასის ზოგად-ეკონომიკური მნიშვნელობა რომ გააზრებული იყო, შეიძლება ვივარაუდოთ მაინც თეიმურაზ ბატონიშვილის ტექსტით:

> *„პაპის ჩემის სრულიად საქართველოს მეფისა მეფე თეიმურაზ მეორის დროსა და პაპის ჩემის მეფის ირაკლის მეორის დროსა და მამის ჩემის მეფის გიორგი მეათცამეტის დროსა, მათს მეფობაში კეთდებოდა და იჭრებოდა ტფილისსა შინა სამეუფოსა ქალაქსა მათსა სამარადისოდ სამუშაოდ და სავაჭროდ თეთრი (ესე იგი საფასე ანუ ფული).“*[838]

დანამდვილებით ვიცით, რომ ირაკლი II (მისი ადმინისტრაცია) არ იყო მოკლებული ეკონომიკურ აზროვნებას — მისი ინიციატივით ქართლ-კახეთის სამეფოში მრავალი სხვა ეკონომიკური რეფორმა თუ ღონისძიება განხორციელდა.[839] ზემოთ (იხ. თავი IX) უკვე განვიხილეთ ირაკლი II-ის მიერ რუსული რუბლების კურსის რეგულირების ფაქტიც — ქართველ მონარქს *აწყობს* უცხოურ (ამ შემთხვევაში, რუსეთის იმპერიის) ვერცხლის საფასეზე ხელოვნურად დაწეული კურსის არსებობა, როგორც ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირების ერთ-ერთი საშუალება; მაგრამ რუსეთის იმპერიის წარმომადგენელთან ურთიერთობაში თვალთმაქცობს, და რუსულ რუბლებზე კურსის (ხელოვნურად) დაწევას ვაჭრებს აბრალებს, ასევე, საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობელ სახელმწიფოებში არსებულ ეკონომიკურ კონიუნქტურას.

ასე რომ, ეჭვიც არ გვეპარება, რომ ირაკლი II დაინტერესებული იყო და

838 თეიმურაზ ბაგრატიონი, *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა), 41.

839 თაბუაშვილი, *ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის*, 27-50, 72-89, 125-134

აქცევდა ყურადღებას ზარაფხანის საქმიანობას და სახელმწიფო საფასის გამოშვების საკითხს.

თუმცა, საფასის იურიდიულ-დეკლარაციული ბუნებიდან გამომდინარე, და „ირანული" ტრადიციის პარადიგმაში მოქმედების პირობებში (ძვირფასი ლითონისგან, ანუ, ოქრო-ვერცხლისგან მოჭრილ საფასეზე მხოლოდ სიუზერენის სახელი უნდა აღნიშნულიყო; ვასალის მიერ საკუთარი სახელის მითითება ხელისუფლების უზურპაციის ტოლფას ქმედებად აღიქმებოდა; სპილენძის შავი ფულის გამოშვება კი ადგილობრივი ადმინისტრაციის კომპეტენციაში რჩებოდა), ასევე, ქართლ-კახეთის მეტ-ნაკლებიად დაქვემდებარებული და, ყოველ შემთხვევაში, საფრთხილო საგარეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით,

ე) ქართლ-კახეთის მონარქს თავისი საფასის, განსაკუთრებით ოქრო-ვერცხლის საფასის გაფორმებისას (სამონეტო ტიპის შერჩევისას) განსაკუთრებული სიფრთხილე და თავშეკავებულობა, დიპლომატიურობა უნდა გამოეჩინა.

ამასთანავე, ნადერ-შაჰის სიკვდილის შემდეგ წარმოქმნილი შედარებითი სამხედრო-პოლიტიკური ვაკუუმის, და თუნდაც მისი (მხოლოდ) ნაწილობრივ[840] ქარიმ-ხან ზენდით შევსების პირობებში, —

ვ) ირაკლი II-ს, ეგება, მიეცა მეტი შესაძლებლობა, ზოგად-ირანული ყაიდის, უნიფიცირებული ვერცხლის მონეტის გამოშვებაზე უარი ეთქვა, და მოდიფიცირებული, *რამდენადმე მაინც* ადგილობრივ მდგომარეობასა და ეროვნულ სენტიმენტებს მორგებული საფასე მოეჭრა; სპილენძის საფასის შემთხვევაში მეტი ეროვნული ელემენტის გამოსახვა კი კიდევ უფრო ადვილი იყო.

მონეტის, როგორც იმდროინდელ პირობებში ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და ეფექტური საშუალების სტატუსის გათვალისწინებით, საკუთარი ქვეყნის / სახელმწიფოს ევროპეიზაციაზე — პროგრესის გზით წაყვანაზე მზრუნველ მონარქს, სავარაუდოდ,

ზ) ექნებოდა სურვილი, საკუთარი საფასის ვიზუალური მხარე გადაეხალისებინა, და ის საკუთარი, დინასტიური და ეროვნული ავტორიტეტის განსამტკიცებლად გამოეყენებინა.

სხვათა შორის, იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოში და თბილისში გაბატონებული ირანულ-ორიენტალური ტრადიციების გათვალისწინებით, როგორც ჩანს, ქართლ-კახეთშიც შეიგრძნობოდა

ჱ) დონატიური (ოქროს) მონეტის (ნოვრუზზე?) გაცემის,[841] ამისთვის კი, სასურველია, შესაბამისი მონეტის (მოჭრის) საჭიროება.

ქართლ-კახეთის სამეფოს წინაშე მდგარ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გამოწვევებს ირაკლი II-მ და მისმა ადმინისტრაციამ სირმა თეთრის ემისიითა და სამონეტო რეფორმის ფარგლებში ჩატარებული სხვა ღონისძიებებით უპასუხეს. რამდენად ეფექტური აღმოჩნდა ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმა და მის ფარგლებში შობილი სირმა თეთრი? რა როლი ითამაშა სირმა თეთრმა ქართლ-კახეთის სამეფოს, საზოგადოდ, საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში?

---

840 დამოკიდებულება ქარიმ-ხანზე ხომ მაინც შეუდარებლად უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე ნადერ-შაჰზე.

841 ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, „ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია)", 238-242.

ცნობილი ფაქტების ერთიანობაში ანალიზის საფუძველზე ვეცდებით ამ შეკითხვებს პასუხი გავცეთ.

ჩვენი აზრით, წარმატებით მოხერხდა ახტალისა და დამბლუღის (შემდგომში ასევე შამბლუღისა და ალავერდის) საბადოებიდან მოპოვებული ოქრო-ვერცხლისა და სპილენძიდან მოგების მაქსიმალიზაცია (მოთხოვნა, რომ ბერძენ მადანჩებსაც მათი კუთვნილი ვერცხლი თბილისის ზარაფხანაში ჩაებარებინათ, სირმა აბაზიანებად მოსაჭრელად); სხვათა შორის, ამ სამონეტო ლითონების უშუალოდ მონეტიზაციის გზით (ვერცხლი პრაქტიკულად სრულად იჭრებოდა მონეტად; ოქრო და სპილენძი კი მხოლოდ ნაწილობრივ; თუმცა, სპილენძის საფასის ემისია, მაინც, განსაკუთრებით დიდი მოგების მომტანი იყო).

ფულადი ურთიერთობების გაღრმავება-გააქტიურების პირობებში, სამეფოს მზარდი ეკონომიკის ფულზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იმავე ოქრო-ვერცხლისა და სპილენძის გამოყენებით მოხერხდა ზარაფხანის მუშაობის ინტენსიფიცირება და მიმოქცევაში დიდი ფულადი მასის შეტანა (სამთამადნო წარმოებიდან მიღებული ლითონის მონეტად გარდაქმნის ხარჯზე); როგორც ქართლ-კახეთის, ასევე, საფიქრებელია, ნაწილობრივ მაინც, მეზობელი სახანოების ეკონომიკის გაჯერება ქართლ-კახეთის სირმა ვერცხლით, პირველ რიგში, აბაზიანებით (ფაქტობრივად, ახტალაში მოპოვებული ვერცხლით).

განსხვავებით ვერცხლის საფასისგან, სპილენძის საფასის რეფორმირებისას ირაკლი II-ეს ჰქონდა შესაძლებლობა მისი ვიზუალური მხარე უფრო გაბედულად გადაეხალისებინა თავისი სუვერენობის მეტად დეკლარირება-განმტკიცების მიზნით; და ეს შესაძლებლობა გამოიყენა კიდევაც. თუმცა, სამონეტო ტიპის ქართველიზაცია თუ ქრისტიანიზაცია მაინც, დაუსრულებელი დარჩა — ირანული ყაიდის ქალაქური შავი ფულის ტიპოლოგიური თვისებების აღმოფხვრა და ქართული სახელმწიფოს ეროვნულ ხურდა ფულად მისი გარდაქმნა მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, ქართლ-კახეთმა, მცირე დროით მაინც, მიიღო მეტ-ნაკლებად ეროვნული სახელმწიფო სპილენძის საფასე, რომელსაც მნიშვნელოვანწილად დაკარგული ჰქონდა ადგილობრივი მნიშვნელობის ქალაქურ შავ ფულთან მსგავსება.

სინქრონულად გამოშვებული სპილენძის ფულისა და სირმა ვერცხლის შედარება ხაზს უსვამს ამ ორი საფასისადმი მიდგომის განსხვავებულობას. თუმცა, ვფიქრობთ, სირმა თეთრის შემთხვევაშიც დიზაინის შედარებითი, ნაწილობრივი ქართველიზაცია მაინც შესაძლებელი იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ქარიმ-ხან ზენდის გარდაცვალების შემდგომ. არ არის გამორიცხული, რომ, ამ მხრივ, ახტალის ვერცხლიდან დიდი რაოდენობით ეროვნული საფასის დამზადების პოტენციალი გამოუყენებელი დარჩა.

